

644/  
1972/4

  
ՀԱՅԿԱՍՏԱՆԻ ՀԱՆՐԱՊԵՏՈՒԹՅԱՆ  
ՆԱԽԱՐԱՐԱԿԱՆ ԳՐԱԴԱՐԱՆ

# Կարգ

7

1972

# სენა

181

გამოცემის მეთქვესება წელი

12214

7

ივლისი

1972

თბილისი



საქ. კვ ცკ-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ალკ ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

# შინაპარსი

— 50 —

## თავისუფალ ვრთა მძლე კავშირი ქმურნი

- 3. რევაზ ახაიძე. ლექსები თარგმნა შორის ფოცხი-  
შვილმა
- 113. კონსტანტინე ტოტოჩავაძე. სსრ კავშირი და კა-  
ცობრიობის სოციალური პროგრესი

### პ რ ო ჯ ა, ვ ო ე ზ ი ა

- 6. შაბუა ამირეჯიბი. დათა თუთუაშენი. რომანი. პირ-  
ველი წიგნის დასასრული
- 54. ხუბა გაბუა. ლექსები
- 57. მურმან ჯაბუაშვილი. ლექსები
- 59. ჯემალ შირინა. ამბავი არამბუტისა. ნაწევები რო-  
მანიდან
- 87. შოთა ჯორიძე. ლექსები
- 88. შალვა ჩირაძე. ლექსები

### ჭ რ ო ნ ი კ ა

- 89. სერგი შილაძე. შვილიები. მეორე წიგნი. დასასრული

### შ ა შ ნ ი კ ი

- 104. ნოვალი ბართაია. ლექსები
- 106. დიმიტრი გარსამია. ლექსები

### ა ს ფ უ რ ც ე ლ ა ს რ ვ ე უ ლ ი

- 107. გივი გეგეჭორი. ჯალღარი ქონდრისპატივი  
ანუ სახლის კეთილი სულაბი

### ნ ა რ კ ვ ე ვ ი

- 110. ბაგრატ ჯოღაჯორი. ისინი ჩვენი ბედნიერები-  
სათვის იბრძოდნენ

### წ ე რ ი ლ ე ბ ი

- 120. ჯორჯა ვუგუშვილი. ერთი წიგნის თავგადასა-  
ვალი
- 126. ჯუმაბე თითოეობა. დოკუმენტური უმჯობეობა
- 135. ლარი ალიშოვაძე. გვრინი
- 140. დონატ კანდელაკი. აღმანახი „უმჯობეობი“  
იური სერგოვევი. ორიგინალი და თარგმანი
- 145. ბურაშაიშვილი ივანელოვების კრიტიკა

- 149. ელისაბედ როსტომაშვილი. თანამედროვე ბურ-  
შაიშვილი ისტორიის ერთი თემის შესახებ

- 159. ურველი მხრიდან

მთავარი რედაქტორი  
ჯანსუღ ჩარკვიანი

სარედაქციო კოლეგია:  
გურამ ასათიანი,  
აკაკი ბაქრაძე,  
გივი გეგეჭორი,  
გურამ გვირგვინი,  
მერაბ ელიშვილი,  
ქარლო კალაძე,  
კონსტანტინე  
ლორთქიფანიძე,  
ოტია პაპოვი,  
(პასუხისმგებელი მდივანი),  
ნუგზარ ფოცხიაძე,  
ნოღარ წულუკიძე,  
ტარიელ უბნაძე,  
სერგი შილაძე,  
ლაშა ჯანაშია.

1159

# თავისუფალ ერთეულ ქვეყნირი ქვეყრი

ჩვეუბას ასავენი  
ოსურიდან

## სტუმრად ლენინთან

დიდი ლენინი  
ახლაც  
ყველაზე ცოცხალია  
ცოცხალთა შორის,  
მ. შაიაშვილი,

მოველ.  
იანვრის დილა იდგა, დილა სისხამი.  
მე შენს საყვარელ კერასთან ვიდექ.  
მაგრამ რაღა დროს! —  
დიდ მასპინძელს ვერ მოგიწვარი  
და უხმოდ ვჭვრეტდი ლოლუების მორთოლვარე თითებს.  
დამიზნებოდნენ ლოლუები მიწას გაყინულს  
და ხიშტებს ჰგავდნენ ვერცხლისფრად მბზინავს.  
გადარცულ ტყიდან მოისმოდა ქარის ძახილი,  
ხოლო ბურუსქვეშ შენს ნაკვალევს მშვიდად ეძინა,  
დაბარბაცებდა ხეებს შორის ქარი აშარი  
და არყის ხეებს ცრემლი სწვეთდა დამზრალ მერქნიდან.  
შენს ტბას ამ ქარმა მოახურა ზამთრის თავშალი,  
შენს ნავს ნიჩბები დაღლილ ფრთების მსგავსად კვიდა.  
შენ არ იყავი...  
შორეულ გზებს გაჰყვევი თითქო.  
გელოდა ბაღი,  
საყარძელი,  
კუთხეში — ჯოხი...  
ხოლო ოთახში — მყუდროებად ქცეული სითბო  
კრძალვით ავსებდა ჩემს სულს, შენზე ოცნებით მოღლილს,  
აი, საწოლი, გაწოლილა მასზეც სიჩუმე,  
სდუმს ტელეფონი, —  
შენს ძვირფას ხმებს ინახავს ვგებ?..



ხოლო, კალენდარს დროც კი ვედარ აშარიშურებს,  
 დრო მიდის, მიდის, ფურცლები კი ჯიუტად თვლემენ.  
 ჩემო კეთილო მასპინძელო, გაუბედავ გითხრა,  
 რაც აქ ვირწმუნე  
 (აი რწმენა გასაოცარი!)  
 რა ეკითხება გაყვითლებულ კალენდრის ფურცელს,  
 ცოცხალთა შორის ხარ ყველაზე უფრო ცოცხალი.

თარგმანა ოთარ შალაზაძისა

## ტყვია, როგორც მე დაიმიჯნე

პოლკის ფოსტალიონის — მიხას  
 კოლჩინსკის ნათელ ხსოვნას

იგი ჩემს გათხრილ სანგარში მოკვდა,  
 ჭაბუკს სანგარი ექცა სამარედ,  
 ვაი, მიწასაც ვერ მივაბარეთ...  
 იგი ჩემს გათხრილ სანგარში მოკვდა.

არ უსრულია თოფი არასდროს,  
 დარბოდა, როგორც ფოსტის კარეტა  
 და ჩვენს წერილებს დაატარებდა...  
 მას არ უსვრია თოფი არასდროს.

და მაინც, როგორც ნამდვილ ჯარისკაცს,  
 პატივს ვცემდით და გვიყვარდა კიდევც,  
 ის გვინერგავდა რწმენას და იმედს,  
 როცა ღიმილით ბარათს გვაწვდიდა...

დღეს შინ ვარ... ხარობს მშობელი დედა...  
 და ხშირად, ძილი უტყდება როცა,  
 დადის და უცნობ ჯარისკაცს ლოცავს,  
 ვინც ომის წლებში უჭრობდა სევდას...

ვინც ჩემს წერილებს მას უგზავნიდა,  
 ვინც შუქს აწვდიდა გრიგალში, ქარში...  
 ტყვია, რომელიც მე დამიმოზუნეს,  
 ასე მგონია, მას მოხვდა მაშინ.

იგი ჩემს გათხრილ სანგარში მოკვდა,  
 ჭაბუკს სანგარი ექცა სამარედ,  
 ვაი, მიწასაც ვერ მივაბარეთ...  
 იგი ჩემს გათხრილ სანგარში მოკვდა.

# ერწონს ტბა

წვიმიან დღეს თუ წვიმიან ღამეს,  
ცა რომ შოლტავდა ელვით მთა-გორებს,  
შენ შთამაგონე ყველა სიმღერა,  
მზის სიყვარულიც შენ შთამაგონე!

მე მოვდიოდი შენსკენ დაღლილი,  
წკვარამში ნატვრის ვარსკვლავს გადარე,  
და სული ჩემი, როგორც ყვავილი,  
გრიგალ-ქარებზე გადმოვატარე...

ვითმენდი ტკივილს,  
ვუძღვებდი გრიგალს,  
მზის ხილვის რწმენით ძგერდა ეს გული,  
და ჰა, დაგყურებ მაღალი კლდიდან  
შენივ სიმშვიდით დამშვიდებულნი...

მზეს გაუშლია შენს მკერდზე ბადე,  
მზეა თუ კალმახს სდევს მებადური,  
წეროს უწყინარ სიმღერას ბადებს  
შენი ტალღების თბილი ხმაური.

შენს წინ კოხტაობს მწვანე წიწვებით  
მაღალი ნაძვი ავდარში, დარში  
და ხეობაში ისე ირწვვი,  
როგორც აკვანში — პატარა ბავშვი.

პატარა ერწო, გულს წვდება მწველი  
შენი ტალღების ღხინიც და სვედაც,  
უშენოდ რაა სიცოცხლე ჩემი, —  
ცისფერო ტბაო,  
დიდება შენდა!

წვიმიან დღეს თუ წვიმიან ღამეს,  
ცა რომ შოლტავდა ელვით მთაგორებს,  
შენ შთამაგონე ყველა სიმღერა  
და სიყვარულიც შენ შთამაგონე!

თარგმნა ილიას ფიცხიშვილმა



ჭაბუკ ამიერჯიბი

# დათა თუთაუზია

რომანი

პარღისფერი რვეული

პირველი დღეებისა თუ ერთი კვირის მანძილზე არზნევ მუსკიასთან და ნანოსთან ურთიერთობის ყოველ ეპიზოდს ცალ-ცალკე ნაჭრებად აღვიქვამდი, ყოველი მათგანი ჩემი მიმდინარე ცხოვრების ერთ-ერთი დამოუკიდებელი მონაკვეთი იყო, — სულიერი კმაყოფილების, ფიქრის, უფრო ხშირად სიამოვნების, სიხარულის მომგვრელი მონაკვეთი.

ერთ დილას ყველაფერი — არზნევ მუსკიას დანახვის წუთს აქეთ წუხანდლამდე, როცა მის სასტუმროში გვიან დამით ძილმა თვალები მიმიღულა, — ყველაფერი ერთად, აღმოჩენასავეით, გამოცხადებასავეით დამატყდა თავს, როგორც ათასი იღუმალების შემცველი მთლიანობა. ეს ფიქრს, განზოგადებას, დასკვნების გამოტანას მთხოვდა და არ მასვენებდა. მოვლენათა ამ გამთლიანებაში გადამწყვეტი როლი ნანოსთან სტუმრობებმა შეასრულეს: ეპკები, მიხედვრები კითხვებად აქციეს. ვინ არის არზნევ მუსკია და რას ეძებს იგი?

ვინ არის ქალბატონი ნანო თავყელი-შვილი-შირერისა? რა ხდება, ან ხდება თუ არა რამე ამ ქალსა და ლაზს შორის? რატომ ვარ ასე მძაფრად დაინტერესებული იმით, თუ რა სახის ურთიერთობები აქვთ მათ? ვინა ვარ მე ყოველი მათგანისთვის ცალკე და ორივესთვის ერთად?..

მართალია, მალე მოვიდა დრო, როცა არც ერთი ამ კითხვათაგანი ჩემთვის და კიდევ რამდენიმე ადამიანისთვის საიდუმლოებას აღარ წარმოადგენდა, მაგრამ ვინც შეძლებს თავი ჩემს ადგილზე წარმოიდგინოს, იმისთვის ცხადი შეიქნება თუ როგორ მაწუხებდა და მღრღნიდა მაშინ ყოველივე ეს.

კიდევ ერთი რამ მოხდა: ხალხში, საზოგადოებაში ტრიალი სამთავეს მოგვბეზრდა. დადგა დღე და გულმა აღარსაით გაგვიწია, ელიზბარ კარიჭაშვილისა და გოგიას მეტი არავინ გვაინტერესებდა. ესენი, თითქოს, რაღაც სიცარიელეს გვივსებდნენ, ჩვენს ყოფას თავისი სხვადასხვანაირობით ამდიდრებდნენ.

პირველი წიგნის დასასრული. დასაწყისი იხ. „ცისკარი“ № 2, 3, 4, 5, 6.

წინა ლამეს სამორინეში ვიყავით. იქ შევთანხმდით, რომ ხვალ ჩემს ბინაში

მოვიყრიდით თავს, ლაზი ელარჯს მოამზადებდა და ელიზბარი — ლულა-ქაბაბს. დილით არჩნევის სასტუმროდან კანტორაში წავედი, ორიოდ საათი დავყავი და შინისკენ გავწიე. დათქმულ დროს ელიზბარმა და გოგიამ ლაზი მოიყვანეს. ცოტა ხნის შემდეგ ნანოც მოვიდა. ნანო და გოგია სასტუმრო ოთახში დარჩნენ, წუხანდელი თამაშის პერიპეტეებს იგონებდნენ და ერთობ მხიარულად გრძობდნენ თავს. მსახურმა ეზოში მკაყალის გაფიცებებს მიჰყო ხელი. ლაზი და ელიზბარი სამზარეულოში საქმიანობდნენ. მეც იქა ვტრიალებდი. რამდენჯერმე დამითხოვეს, ხელს ნუ ვეიშლი, წადი, ჩვენი საქმისა ჩვენ ვიცითო, მაგრამ თავი ვერ დავანებებოლოს ცული და დასაკები ხორცი მარტუნეს. ამასთან დაკავშირებით ელიზბარს მეწისქვილის კარზე მიმდგარი სახედრის ანდაზა მოაგონდა და მუშაობას შევუდექი.

ეს ამბავია, — სადარბაზოდან ზარის წერილი მოისმა. ხელები ხორცის წვენში მქონდა ამოვლებული, ჩემი მსახურის წინსაფარი მეკეთა, გასვლა-გაგებება არ შემეძლო. არც გოგიას შეწუხება ჩავთვალე შესაძლებლად, ცალფეხი კაცი იყო და ნანოს გაგძახე, გაუღე, ალბათ, კლიენტია ვინმე და უთხარი, დღეს ვერ მივიღებ, ხვალ კანტორაში მნახოსმეთქი!

ნანო სადარბაზოში გავიდა, ცოტა ხანს მერე სამზარეულოში შემოიხედა და მითხრა:

— არ მიღის, კლიენტი არა ვარ, სტუმარი ვარო.

— სტუმარი ვარო?.. გვარი არ უთქვამს?

— არა. მაღალ-მაღალი, ტანთხელი, ორმოცდაათი-ორმოცდათხუთმეტი წლის კაცია. რუსია და არც რუსსა ჰგავს.

— შემოიპატიე?

— ჭეჩაში ხომ არ დავტოვებდი! მისაღებში ზის.

— მიდი, გაეგებე, ეგ ხორცი უკვე მზად არის, — მითხრა ელიზბარმა.

— მაშ რას ვიზამ, მაგრამ დღეს კარგად ვის ველოდი...

ხელები გადავიბანე, მოვწესრიგდი, მისაღებისკენ გავწიე. სასტუმრო ოთახში ფეხი შევდგი თუ არა, გოგიამ მანიშნა, მომიხლოვდო. მივედი. ნანოც შემოგვიერთდა. გოგიას რამდენადმე დაბნეული, შეფიქრიანებული იერი ჰქონდა. თითი მისაღებისკენ გაიშვირა და ჩურჩულით მკითხა:

— ასე ახლოს იცნობ მაგას, რომ დუპატიეებლად გესტუმროს?

— ვისა... ვინ არის?

— თუ არ ვცდები... კავკასიის ქანდარმთა შეფი, გრაფი სეგედი! — უფრო დაბლა წაგვიჩურჩულა გოგიამ.

წამიერი დუმილი ჩამოვარდა.

— მე მაგას... მე მაგას საერთოდ არ ვიცნობ. არა, ნაცნობობა არა გვაქვს, თორემ ისე, რა თქმა უნდა, გარეგნობით ვიცი რომელიც არის... — მივუღე და მისაღებისკენ დავიძარი.

გოგიამ მკლავში ხელი წამავლო, გამაჩერა, ტუჩებზე თითი მიიღო:

— სამზარეულოდან გასასვლელი არის?

— არის... აივანზე და მერე კიბეებით ეზოში. რად გინდა?

— გაართო, ეგებ, ცოტა ხანს. უტბად არ შემოიყვანო... ისე კი, რომ მოიშორებდე, აჭობებდა! — მითხრა გოგიამ და სამზარეულოსკენ გასწია.

— რაშია საქმე?! — ვკითხე ნანოს.

— მერე, მერე! წავიდეთ, — დაიჩურჩულა ნანომ და ხმამაღლა, სტუმრის გასაგონად დაიძახა: — აქეთ, ირაკლი, სტუმარი მისაღებში გელოდება!

ელდა ჩავიხშე, თავს დავეუფლე, სახეზე კლიენტების მიღება-გაცილებაში წლობით შემუშავებული მსუბუქი დიმილი დავიდე და გავედი.

გოგია არ შემეცდარა. სავარძლიდან, მართლაც, გრაფი სეგედი, კავკასიის ქანდარმთა მრისხანე შეფი წამოიშარა

**მავზა ამირეჯიბი**  
დათა თუთაშვილი





და თავზიანად მომახსენა თავისი ვინაობა.

ვეროპული ტანსაცმელი ეცვა. მალაღი, ტანხმელი კაცი იყო. ღრმა, ჭკვიანი თვალები და ოდნავ ეშმაკური, მაგრამ სანდომიანი ღიმილი ჰქონდა. მკრთალი, ნატიფი პირის კანი არისტოკრატიულ მოდგმასა და მყუდრო კაბინეტებში გატარებულ ცხოვრებას მოწმობდა.

— დიდად მოხარული ვარ, თქვენო ბრწყინვალეებავ... ვერ წარმოიდგენთ, რა კარგ დროს ინებეთ მობრძანება!.. იცნობდეთ, გეთაყვა, ქალბატონი ნანო ფარნაოზის ასული თავყელიშვილი-შირერისა... სულ მალე მზად იქნება ღმერთების შესაფერი სუფრა, წარმოვიდგენთ ჩემს უახლოეს მეგობრებს და თქვენს სტუმრობას ლუკულუსის დრეობით აღვნიშნავთ! ნება მიბოძეთ, გემსახუროთ.— პალტოში წავეწვდი, სრული დარწმუნებული ვიყავი, ბოდიშს მომიხდიდა, ვერ დავჩრებიო.

— ნუ შეწუხდებით, თავადო, მე მხოლოდ გრაფი ვარ, უნგრელი გრაფის ჩამომავალი. ამას საგანგებოდ ვუსვამ ხაზს: უნგრეთში ხუთ მოსახლეზე თითო გრაფი მოდის. ასეთია ოფიციალური სტატისტიკა, — ღიმილით თქვა სეგედიმ და პალტო თვითონ გაიხადა.

— საქართველოში ორ მოსახლეზე თითო თავადია, გრაფ. ჩვენ გკობივართ! — მივუგე მე, რომ გრაფის თანხმობით გამოწვეული დაბნეულობა მიმიჩქმალა. მისმა ბრწყინვალეებამ მიიხედ-მოიხედა, საკიდარი ვერსად შენიშნა და პალტო, უნებლიეთ, ისევ მე გამომიწოდა. გავედი და დავკვიდე.

— თავადო, რაც მომთავაზეთ, სწორედ იმის სათხოვნელად გეახელით! — განაცხადა სეგედიმ, როცა დავბრუნდი.

— რის სათხოვნელად, თქვენო ბრწყინვალეებავ?

— თქვენს მეგობრულ სუფრაზე დასწრება მინდოდა. უცხო კაცისგან ეს, ალბათ, უცნაური მოსასმენია, მაგრამ გაძლევთ პატიოსან სიტყვას, არაფრით შევზღუდო თქვენი დროს ტარება და

ჩემმა დასწრებამ, იქნებ, თავისებურად ელფერიც კი მისცეს თქვენს...

გრაფი ცდილობდა, რომ სადა, ძალდაუტანებელი ყოფილიყო, მაგრამ დელავდა და მის საქციელს, ერთ რომელიც მომენტში, უსიამოვნო სითამამემ დაჰკრა.

— რა თქმა უნდა, რას ბრძანებთ, რა სათქმელია!.. — მივუგე მე და ელდა მეცა, ვიი თუ, მოულოდნელობით გამოწვეული შეცბუნება სიყალბეში ჩამომერთვას-მეთქი.

გრაფი ღიმილით შემოგვეყვა სასტუმრო ოთახში, ღიმილითვე ჩაეშვა მითავაზებულ საეარქელში.

— მსმენია, თქვენო ბრწყინვალეებავ, ჩინებულად უკრავთ ფორტეპიანოზე, — უთხრა ნანომ და მე პროგრამით გათვალისწინებული საუბრის დასაწყისი ვიგრძენი: ხომ დეაპირეთ, რომ უნდა გავგვერთო და შეგვეყოფებინა!

ეგ არის, გრაფმაც იგრძნო რაღაც და ნანოს მიუგო:

— თქვენ, ქალბატონო, ჩემსავით დელავთ. დარწმუნებული ვარ, ეს გაუთვალისწინებელი ვიზიტი სხვებსაც აფორიაქებს. ერთობ მშვიდობიანმა, მაგრამ საკმაოდ რთულმა საპირობებამ მომიყვანა და მიზანი მოუღწეველი დამჩრება, თუ ამ ბინაში სიმშვიდემ და გულანდილობამ არ დაისადგურა. დახმარება უნდა გთხოვოთ, სახელდობრ, თქვენ უნდა გთხოვოთ, ერთადერთ ქალს ხუთი მამაკაცის საზოგადოებაში, სძლიეთ თავს და მომეპყარით, როგორც ძველსა და კეთილგანწყობილ ნაცნობს. ეს თქვენც დაგამშვიდებთ და მეც. ჩვენ ორივე ერთად, ჩვენი სიმშვიდით — სხვებს. — გრაფმა გაიცინა და დასძინა: — მალე დარწმუნდებით, რომ საუკეთესო ვანზრახვამ მომიყვანა.

ნანომ სტუმრის სიტყვები გაიკვირვა, ალბათ, უნდოდა ეთქვა, სრულიადაც არ ვლელავო, მაგრამ აღარ დავაცადე:

— ხუთიოდე წუთით დაგტოვებთ, თქვენო ბრწყინვალეებავ, ბოდიშს ვიხდით! სამხარეულოს უნდა მივხედო, სულ



მალე დავბრუნდები, — ვთქვი და გავეღო.

ვერ გამეგო, რა ხდებოდა, მაგრამ მოსალოდნელ პიკანტურ სიტუაციას თუ საშიშროებას ნათლად ვგრძნობდი. ალბათ, ამან შემიყვანა საძინებელ ოთახში და ფანჯრიდან ქუჩაში გადაამხენდა. ჩემს სადარბაზოსთან ორი ეტლი იდგა. ერთი ნანოსი იყო, მეორეში ვილაც ქუდიამოფხატული კაცი სთვლემდა. სეგედის კაცი იქნება-მეთქი, გავიფიქრე. სხვა რამ მნიშვნელოვანი თუ საექვო კერაფერი შევნიშნე.

სამშარეულოში გავედი. არზნევ მუსკია მოთუხთუხე ქვაბს დასცქეროდა. გოგია და ელიზბარი განაბულები იდგნენ, ფიქრობდნენ. ჩემმა გამოჩენამ, თითქოს, სამივე ააფორიაქა, მდრტვინავ სიჩუმეს უხერხულობაც მოემატა.

— გამაგებინეთ, რაშია საქმე... — ვთქვი მე.

— ჩვენც მავაზე ვიტყნთ თავს! — მითხრა გოგიამ.

— რამ მოიყვანა, რა მინდაო, — იკითხა ელიზბარმა.

გადავეცი, რაც იყო და როგორც იყო. — არაფერი არ არის მაგ, — თქვა ლაზმა. — გაიგო, ალბათ, ელარჯი რომ გვექნება და საჭმელად მოვიდა კაცი. რაა მერე?.. შენი ლულა-ქაბაბის საქმელად არ არის მოსული მაგ! — ელიზბარ კარიჭაშვილს გადაულაპარაკა ლაზმა.

— ელარჯზე მოსულს უფრო გავს, — დაუდასტურა გოგიამ.

დავრწმუნდი, რომ ის ლაპარაკი, საიდანაც ვითარებაში გარკვევა შეიძლებოდა, აქ უკვე დასრულებული იყო და მოულოდნელად გული მომივიდა:

— თუ თქვენი ნალაპარაკების ჩემთან გამეორება არ შეიძლება, მაშინ რა აზრამდეც მიხვედით, მარტო ისა თქვით!

— არაფერ აზრამდე არ მივსულვარ ჯერ, — მაყნობა ლაზმა.

— სამშარეულოდან ეზოში გასასვლელი კარი ვისთვის იკითხე, — მივმართე გოგიას.

— იმისთვის ვიკითხე, ვისთვისაა შეიძლება მოსული რომ იყოს ეგ აქ?

— რომელი შეთქმულები ჩვენა ვართ, შე კაი კაცო. განა, რომელი ჩვენგანი უნდა მიაჩნდეს მაგ კაცს იმდენად მნიშვნელოვან დამნაშავედ, რომ პირადად გვეაზლოს?! — ვლელავდი და როცა ვთქვი, მერეღა შევნიშნე, რიტორიული ინტონაციით ვთქვი. დავაპირე ხუმრობაში გადამეყვანა, რომ შეშინებული კაცის შთაბეჭდილება არ მომეხდინა, მაგრამ თანამოსაუბრეების იერმა დამამუხრუქა:

ლაზი კვლავინდებურად ქვაბს ჩასჩინებდა. გოგია იატაკს დაჰყურებდა. ელიზბარი დაკეილ, უკვე შეზავებულ ხორცს შამფურებზე ტმანაედა, თითები და ხელები ოდნავ უქანკალედა. ვიგრძენი, რომ ყოველ მათგანს ჰქონდა სათქმელი და ჩუმად კი იყვნენ, ერთიმეორეს ელოდებოდნენ. სიჩუმემ, იქნებ, სულ ოციოდე წამს გასტანა, მაგრამ მე იგი უსასრულობად, სულის ამომრთმევ უძრაობად მომაწვა და თავდაცვის ინსტიქტმა გარდუვალი კატასტროფის წინაგრძნობა აღმიძრა. ეხლა შემიძლია თავისუფლად ვალიარო — ეს იყო წამიერი პანიკა, თავგზააბნევა, სულის წამოძვახვა. თითქოს, ვილაცამ ჩემი უღრუბლო ცხოვრება, კეთილდღეობა, წარსული, აწმყო და მომავალი ფაიფურის ლანგარივით დასცა და ნამსხვრევებად აქცია. ვერ ვიტყვი, რას იხამდა ნებისყოფა, მაგრამ ის სულმოკლეობა, რომელმაც ერთიანად მომიცვა და შემიპყრო, მზად იყო ეყვირა: „თქვენ, ყველამ ერთად, რაღაც საშინელი ჩაიდინეთ და მეც საფრთხეში გამაბით. მე არა ვარ თქვენი თანამზრანველი, არ მინდა საშიშროება და რისკი! ბოლოსდაბოლოს რა დააშავა არსებულმა წესწყობილებამ, რატომ უნდა ვხედავდეთ მხოლოდ ავს და გვავიწყებოდეს სიკეთე?! არ მინდა, წადით აქედან ეხლავე და წაიყვანეთ ეს საზიზღარი გველი,

**ზაზუა აშირაჯიანი**  
დათა თუთაშვილი

რომელიც თქვენის გამოისობით შე-  
მოიკლაქნა ჩემს ბინაში, ჩემს ცხოვრე-  
ბაში, ჩემს მომავალში!..“

— მე ვიყო, იქნება, ის კაცი, ირაკ-  
ლი! — სიჩუმე დაარღვია ლაშმა.

— ჰა?.. რომელი კაცი? — ვკითხე  
უნებლიეთ და მეგონა, რომ სხვამ ჰკი-  
თხა.

— ვისთვისაც შეიძლება მოსული რომ  
იყოს ეგ სტუმარი!

სრულიად არ გამკვირვებია, ერთი  
წამითაც არ შეგმცბარავარ და, ალბათ,  
იმიტომ, რომ ითქვა ის, რაც ჩემმა ქვე-  
ცნობიერებამ არზნევ მუსკიასთან პირ-  
ველი შეხვედრისთანავე დაადგინა. ჩვე-  
ნი ურთიერთობა სულ ექვსი თუ შვიდი  
დღით განისაზღვრებოდა, მაგრამ რამ-  
დენიმე წაშში წლების გამოცდილებად  
იქცა, ლაშის სულიერი პორტრეტი უა-  
ღრესი სიხადით წარმომიდგა და დამრ-  
ჩა ერთადერთი გრძნობა, რომ ამ კაცს  
ზნეობრივი დანაშაულის ჩადენა არ შე-  
ეძლო. იმავე წამს მივხვდი, რომ გოვიას,  
ვლიზბარს და ნანოს ჩემს წინაშე ცოდ-  
ვა არაფერი მიუძღოდათ და იმასაც,  
რომ ადამიანური სამართლიანობა ყვე-  
ლა შემთხვევაში არზნევ მუსკიას მხა-  
რეზე უნდა ყოფილიყო, ხოლო ჩემი ად-  
ვილი კი იქ — სადაც ეს სამართლიანო-  
ბაა. მყისვე ვიგრძენი ჩემი აღშფოთე-  
ბის უსუსურობა, სიმდაბლე და სირცხ-  
ვილმა ჟრუანტელად დამიარა. გონებამ  
დაუყოვნებლივ მიკარნახა, რომ ამ ვი-  
თარებაში სულ სხვა რამ იყო საჭირო.  
სიტუაცია ჩარევას, მოქმედებას, პოზი-  
ციის აღნიშვნას საჭიროებდა და მშვი-  
დად ვთქვი:

— არზნევ, შენ უნდა მოიქცე ისე,  
როგორც შენთვის იქნება უმჯობესი.  
ჩვენ ყველაფრისთვის მზად ვართ!

— ისე უნდა მოვიქცე, ირაკლი, ძმაო,  
როგორც ყველასთვის იქნება უმჯობე-  
სი. მე მართო არ ვარ აქ! — მტკიცედ  
თქვა ლაშმა, მადლიერი თვალები შემო-  
მანათა და დასძინა: — არსად არ წავალ  
მე! ვააფიცებ. მსახური მყავლს  
და წაიღებს შამფურებს, სტუმართან  
გავიდეთ.



გაოგნებულებივით შეგცქეროდით,  
— ასე უნდა აჯობოს, მაგონებდით,  
ადასტურა ლაშმა თავისი გადაწყვეტი-  
ლება, ქვაბი გადმოდგა, ონკანთან მივი-  
და, ხელები გადაიბანა, ჩოხის კალთები  
ჩაუშვა და მითხრა:

— შეგვიძახე, ირაკლი, სახლის პატ-  
რონი და მასპინძელი ხარ შენ!

ხმა აღარავის ამოგვიღია, დავიძარი-  
თ. გრაფი ჩვენი შესვლისთანავე აღგა,  
თვალი მოგავლო. სათითაოდ წარუღ-  
ვინე ჩემი სტუმრები. არაფერი საყურა-  
დღებო — თავაზიანი ურთიერთმისალ-  
მებები, ამგვარი შემთხვევებისთვის სა-  
ჭირო ღიმილი და ტრადიციული: „დი-  
დად სასიამოვნოა!“

— დასხედით, ბატონებო, სანამ მსა-  
ხური გვაცნობებდეს, რომ სუფრა მზად  
არის! — მივმართე სტუმრებს და სა-  
ვარძლები მივუშარჩვე.

გრაფი თავისსავე სავარძელში ჩაეშ-  
ვა, ლაშს მიაჩერდა. ოცი წლის უნახავ  
ნაცნობს უყურებენ ხოლმე ასე.

— კაი გამოვიდა ელარჯი, ქალბატო-  
ნო ნანო. მე რომ შეგვირდით ისეთი,  
თითქმის, — უთხრა ლაშმა.

— ასეტი საოცარი მსგავსება მხო-  
ლოდ ტყუპებისა მინახავს! — თქვა  
გრაფმა ქართულად, ლაშს თვალი მოა-  
შორა, იდაყვი სამკლავზე ჩამოდო,  
თავი დახარა და იატაკზე გაფენილ ხა-  
ლიჩას დააქცერდა.

— თქვენო ბრწყინვალეებო, როგო-  
რი სუფთა ქართული გცოდნიათ! გასა-  
ოცარია, ღმერთმანი, — სიტყვა ბანზე  
აუგლო ნანომ.

გრაფი, მართლაც, კარგად ნასწავლ  
ქართულს ლაპარაკობდა. ჩანს, პრაქტი-  
კაც მდიდარი ჰქონდა და ერთადერთი  
ნაკლი მისი ქართულისა ის იყო, რომ  
ხორხისმიერებს ვერ ამბობდა.

— ვინ ვის მიამსგავსეთ, გრაფ, ვის  
გულისხმობდით? — ვკითხე რუსულად  
და ამის შემდეგ ქართულად აღარავის  
გვილაპარაკია ლაშის გარდა. ეს ხან რუ-  
სულს ხმარობდა და ხან ქართულს.

ქათინაურისთვის სეგედომ ნანოს მა-  
დლობა გადაუხადა, მე მომიბრუნდა,



ცოტა დააყოვნა და პატარა უხერხულობის გრძობით, მორცხვი ღიმილით მოთხრა:

— მუშნი ზარანდიას და დათა თუთაშხიას ვგულისხმობდი, ბატონო ირაკლი. — გრაფი წამით დადუმდა, ალბათ, ჩემს რეაქციას დაელოდა და როცა მოსალოდნელი ეფექტი ვერ შენიშნა, განაგრძო: — იქნებ, საოცარი არც იყოს ბიძაშვილ-მამიდაშვილი ერთმანეთს რომ ჰგავდნენ, მაგრამ ტყუალებივით?.. პირველი — ჩემი ერთ-ერთი მოადგილეა. მეორე — არზნევ მუსკიად წოდებული თქვენი კლიენტი და მეგობარი.

ის ბოლო ნახევარი საათი იმდენად მოულოდნელობებით იყო დატვირთული, რომ ჩემს ფსიქიკას რეაქციის უნარი სრულიად მიჩუქნებული ჰქონდა და არც გამკვირვებია რამე. საერთოდ, იქ, იმ წუთსევე, ცხადლეე და თვალწინ, რომელიმე ჩვენგანი შინაურ ცხოველად რომ გადაქცეულიყო, ვერც ეს მეტამორფოზა გამომიყვანდა სრული შინაგანი გარინდებისა და უძრავობის მდგომარეობიდან.

სტუმრები შევათვალეირე.

დათა თუთაშხიად ქცეული არზნევ მუსკია გიშრის კრიალოსანს აკაქუნებდა. ისეთი სახე ჰქონდა, ვითომ, ბავშვობის დროინდელი ონავრობა რამ მოავონდა და ღიმილი მოჰგვარაო. ნანოს მეტისმეტი მღელვარებისგან შუბლზე, დაწვისთავებზე ოფლის წვეთები გამოსხდომოდა, მარაოს იქნევდა და სუნთქვა უჭირდა. ელიზბარ კარიჭაშვილი მიხვდა, რომ გაფითრდა და ლოყებს ხელისგულებით ისრესდა. გოგია მშვიდი ჩანდა, დამსწრეთა თვალეირებაში იყო გართული ჩემსავით.

— მართალია ეგ, — სიჩუმე დაარღვია თუთაშხიამ. ნელა ლაპარაკობდა, ყოველი წყვილი მძივის ჩავდებას თითო, ორორ სიტყვას აყოლებდა. — ტყუალებივით ვართ. მამაჩემი და მუშნის დედა — ჩემი მამიდა, ესე იგი, — ტყუბის ცალეუბი იყვნენ. იქამდე ვგავართ ერთმანეთს, თქვენო ბრწყინვალეებავ, რომ, პატაშიძეა ერთი, პოლიცემისტერი, ის

რომ არ შესწრებოდა, ჩემს მაგიეირეშენის დაიჭერდნენ. აქციზში მსახურობდა მამინ ის.

გრაფმა ჩაიციინა:  
— მსმენია ეგ ამბავი.

ისევე სიჩუმე ჩამოვარდა. ვიჯექი და მეგონა, რომ ეს შეხვედრა თავიდან ბოლომდე ჩემი მოწყობლი იყო, ყველაფერი წინასწარ ვიცოდი და ახლა დინჯშემოყრილი ველოდებოდი კვანძის გახსნას.

— მე თქვენი სტუმარი ვარ, ქალბატონო და ბატონებო, — თქვა სეგედმი. — ამიტომ გთხოვთ, რასაც ვიკითხავ ან ვიტყვი, მხოლოდ ჩვეულებრივ საუბრად ჩამითვალეთ. — ნათლად ჩანდა, გრაფი ცდილობდა თავს დაუფლებოდა — ბატონო თუთაშხია, დარწმუნებული ვარ, დამსწრეთაგან ერთმა მინც გორჩიათ თავის გაჩიდება. საზარეულოს აქვს ეზოში გასასვლელი კარი. რატომ არ ისარგებლეთ ამ შესაძლებლობით?

დათა თუთაშხიამ რამოდენიმე წყვილი მძივი ჩაკაკუნა და მიუგო:

— თქვენ, ჩემო ბატონო, როგორ გვანიათ ეგ?

— სიმართლე მოგახსენოთ, არ მესმის. თუ კეთილ ინებებთ... მაღლიერი დაგრჩებით დიდად.

— ვიტყვი, აბა, — თქვა თუთაშხიამ, აზრი მოიკრიბა და დაიწყო: — არ შეიძლებაოდა ჩემი წასვლა. ბატონ ირაკლისთან არის და, ხელშეკრულებით ვარ დაკავშირებული, როგორც კლიენტი ვექილთან. ბატონმა ელიზბარამა სულ არაფერი არ იცის ჩემზე. მისთვისაც ლაზი აზნაური არზნევ მუსკია ვარ მე. ბატონმა გოგიმ და ქალბატონმა ნანომ, მართალია იციან, დათა თუთაშხია რომ ვარ, მაგრამ ერთმანეთს რომ ვხვდებით ჩვენ ხუთნი, ამ ხნის მანძილზე კანონსაწინააღმდეგო არაფერი ჩავვიდენია რომელიმეს და რაიმე ბრალდების წაყენებაც ვერ მოხერხდება მათთვის. ერთი შეიძლება დაბრალდეს მაგათ — დაუს-

შავუა აშირეჯიბი  
დათა თუთაშხია



მენლობა, მაგრამ ტყუილივით მოკლე ფეხი ექნება, მგონია, მაგ ბრალდებას: დაუსმენლობა, მოგვეხსენებთ, ის არის, კაცმა თუ რომელიმე ჩადენილი დანაშაული იცის და კანონს დაუმაღლავს და ან ის, აგერ რომ მზადდება დანაშაული და არ აცნობებს პოლიციას. რომ წავსულიყავი, ამ ხალხის შეწუხების საბაბი მოგვეცემოდათ თქვენი. არ მქონდა უფლება ქანდარმერიამი სასიარულოდ შემეჭმნა მათი საქმე. — ახლა, აქ რომ ვზივარ მე, ეს ხალხიც სუფთაა კანონის წინაშე და მეც სუფთა ვარ ჩემი სინდისის და ჩემი მეგობრების წინაშე. ეს ერთი, თქვენო ბრწყინვალეებავ. მეორე: თვენახევარია, თითქმის, თბილისში რომ ვარ. მალვა და თავის მირიდება აზრად არ მომსგლია ამ ხანში. მესამე დღეს-მეთქი, არ ვიტყვი, მაგრამ მეოცე დღეს ქანდარმერიამ ხომ უეჭველად იცოდა აქ რომ ვარ, დათა თუთაშხია! ჩემი დაქერა ყველგან შეიძლებოდა ადვილად, წუხელის შეიძლებოდა, სამორინეში რომ ვიყავით მაშინ და ყველგან, სადაც დაქერას მოინდომებდა დამქერი. კაი და, როდის იყო, თქვენხელა თანამდებობის კაცები ვინმეს დასაქერად თვითონ რომ დადიოდნენ! თქვენი აქ მობრძანება ჩემს დასაქერად მობრძანება რატომ უნდა მგონებოდა, ვითომ? ვთქვათ, და სულ სხვა საქმეზე ხართ მოსული და არც ქანდარმერიამ იცის თბილისში ყოფნა ჩემი; რატომ უნდა მეშინოდეს თქვენთან შეხვედრის, ნეტავი? პირადი ნაცნობობა გვექონია როდისმე, ვინახივართ და გარეგნობა იცით ჩემი, თუ რა არის კიდევ? მესამეც არის: ვიფიქროთ, თითქოს, რაც ვთქვი ყველაფერი მცდებოდეს მე და იმიტომ მობრძანდით, რომ ჩვენი ეს თავმოყრა ძალიან მოხერხებულია კანონისთვის — მე ცალკე ჩამიგდებთ ხელში და ამ ხალხს ცალკე ამხილებთ ჩემთვის ხელის შეწყობაში. ერთი გასროლით ორი კურდღელი რომ კვდება, ისე გამოდის ეს. საქმე ის არის, რომ სამზარეულოს კარიდან გასვლით იქნება, თუ ბინაში დარჩენით, — შეიარაღებული ხალხის ხელიდან გასხლტო-

მამ და გაქცევამ უნდა მომიწიოს მე. ათი ასეთი შემთხვევიდან შეიძლება ჩამოვხდეთ და სამი თქვენი. არ წავედი და უეჭველად თქვენი სამი რატომ უნდა გამართლდეს, მაინცდამაირც?... — თუთაშხია ქანდარმთა შეფს თვალი თვალში გაუყარა, შეპლიმა და დაასრულა: — მართალი მოგახსენოთ, რომ მომთავაზეს და არ წავედი, ახლა რაც ვილაპარაკე მაშინ არ ვიცოდი ეს. იმ წუთში გულმა მითხრა, არ ქნათ. მერე და მერე მოვიფიქრე, სწორად მოვქცეულვარ, თურმე.

— ჯერჯერობით ათ შემთხვევაში ათივე თქვენია, ბატონო თუთაშხია, მაგრამ ხომ შეიძლება... მე, რატომღაც უფრო ფრთხილი მეგონეთ.

— ასეთი ხელობაა ეს, თქვენო ბრწყინვალეებავ, — მიუგო თუთაშხიამ. — ათიდან სამი რომ არ არის მისი, ამის ილაჯი თუ არ აქვს კაცს, არ უნდა მოკიდოს ხელი მაშინ ამ საქმეს.

— ეხლა რომ შემოცვიდნენ პოლიციელები? — ჰკითხა გრაფმა.

თუთაშხიამ შესცინა, თავი დახარა, კელავინდებური სიმშვიდითა და კრილოსის ჩხაკახუკით უთხრა:

— არავინ არ უნდა შემოვიდეს, მგონია, აქ. ეგ რომ ყოფილიყო მოსალოდნელი აგერ არ ვიჯდებოდი ახლა... რაც არ მომხდარა, იმაზე ნუ ვილაპარაკებთ, თქვენო ბრწყინვალეებავ. ასე წინასწარ არასოდეს არაფერი არ მცოდნია მე, თორემ სიამოვნებით მოგახსენებდით მაგასაც.

სასადილოდან მსახურმა შემოაღო კარი, ყველაფერი მზად არისო, მანიშნა და წავიდა.

მიწვევა-მიპატიებამ მოსალოდნელი დღემილი ჟრიაშულით და ქუსლების ბაკუნით შეცვალა. გავედით. სუფრას შემოვუსხედით. ელიზბარ კარიჭაშვილი მსწრაფლ გამოცოცხლდა, სასმელ-საჭმლის მიმთავაზებლისა და მიმრთმევის როლში მოგვევლინა. მოსამხრებელი იყო, მადა ყველას აღმოგვაჩნდა. მიუწვდომელი ხალისით, შეიძლება ითქვას, გააფთრებით შევეუტიეთ მაგიდას. შუსტოვის უძველესი კონიაკი მქონდა, ჩა-



მოვასხი, სტუმრებს შეხვედრისა მივთავაზებ. დავლიეთ. ნანომაც კი გადაჰკრა ერთი ყლუპი და ისევ საქმელს მივდექით. ასე უსაუბროდ გაიარა კარგა ხანმა და, ალბათ, ყოველ ჩვენგანს აწუხებდა სურვილი, რომ ვინმეს ლაპარაკი წამოეწყო.

კიდევ დავლიეთ და ელიზბარმა განაცხადა, ელარჯი მშვენიერი მისატანებელი ყოფილა კონიაკზეო. ყველა მზადყოფნით დავეთანხმეთ. გრაფიც, მაგრამ საუბარმა თავი ვერ მოიყარა, ბურთი და მოედანი დანა-ჩანგლის მორიდებულ ხმაურს დარჩა.

კედლის საათმა ჩამოჰკრა. ნანო, თითქოს, ამას ელოდაო, სეგედის ღიმილით ჰკითხა:

— გრაფ, მხოლოდ მესამე ჰიქის შემდეგ უნდა გავგანდოთ თქვენი სტუმრობის ჰუმანიტარული მიზანი? ასე გაქვთ განზრახული?..

— მესამე ჰიქის შემდეგ? — გრაფმა გაიცინა. — არა, ქალბატონო, ახლავე ჯობია, თორემ მერე ენა აღარ დამემორჩილება, გონებაც მიმტყუნებს. ის მაფერხებს, რომ ვერ გადამიწყვეტია, საიდან შემოვუარო, როგორ დავაღწიო თავი ერთ სირთულეს, სახამუშო მომენტს...

— იქნებ, შეერთებული ძალებით მოვეროთ? — იკითხა კარიკაშვილმა.

— ჩვენთან ყველაფერი ადვილია, გრაფ, — დაურთო ნანომ.

ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. სეგედი ფიქრობდა.

— მაგ საქმეს მესამე ჰიქამ მართლაც უნდა უშველოს. აბა, ვნახოთ! — ჩამოვასხი, სადღეგრძელო ვთქვი, მაგრამ სეგედიმ ჰიქა მხოლოდ ტუჩთან მიიტანა და დადგა.

— კავკასიის მთავარმართებელმა, ბატონებო, გარკვეული სახეობის ბოროტმოქმედთა კერძო ამინისტის პირადი უფლება მიიღო, — მოგვმართა სეგედიმ და სუფრა მყისვე გაინაბა. — ამინისტია ხორციელდება წარსულში ჩადენილ დანაშაულთა პატიებისა და დამნაშავის შემორიგების გზით. მისი უდი-

დებულების ამ ბრძანებულებას მოდენიმე შენიშვნა ახლავს. მათ შორის ადამიანი, რომელიც მთავარმართებლისგან მიტევების გუჯარს მიიღებს, თავისუფალ მდგომარეობაში სახელმწიფოსთვის ნაკლებ საშიში უნდა იყოს, ვიდრე დევნილის მდგომარეობაშია. უკეთ რომ ვთქვათ, მისი საშიშობა რუსეთის იმპერიის რიგითი, „მშვიდობიანი“ ქვეშევრდომის საშიშობას არ უნდა აღემატებოდეს. არის ასეთი პირობაც: კერძო ამინისტისთვის წარდგენას ანხორციელებს კავკასიის უანდარმთა სამმართველო და კერძოდ მისი უფროსი.

გრაფი შეყოვნდა, დატოვებული კონიაკი გადაჰკრა, ლუკმა მიაცოლა.

სულ ცოტა ხანს სუნთქვაც კი არავისი ისმოდა. სტუმრის სიტყვები აღქმას, გადამუშავებას საჭიროებდა. როდესაც ბოლომდე მივხვდით, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი იყო გრაფის ნათქვამი ჩვენი მეგობრისთვის და, ამდენად, ჩვენთვისაც, — განწყობილება ვერცხლისწყლის სვეტივით ავარდა. ყველამ რალაც საქმე და საკეთებელი იპოვნა: ზოგმა დანა-ჩანგალი ამოქმედა, ზოგმა პაპიროსი მისთავაზა მეორეს, ზოგმა ცეცხლი... ხმას მაინც არავენ სძრავდა, რადგან, ცხადი იყო, სიჩუმეს იმ მნიშვნელოვანის დაკონკრეტება უნდა მოჰყოლოდა.

— კავკასიის მთავარმართებელს მე უნდა პატიებისთვის წარვუდგინო, ან არ უნდა წარვუდგინო სისხლის სამართლის დამნაშავე დათა თუთაშხია და მოვალე ვარ არ შევცდე ჩემს გადაწყვეტილებაში. ეს კი ნიშნავს, რომ აუცილებლად და, ამასთან, ზედმიწევნით ზუსტად უნდა ვიცოდე, ვინ არის და რას წარმოადგენს ბატონი დათა თუთაშხია, ახლა უფრო საშიშია სახელმწიფოსთვის, თუ მაშინ უფრო საშიში იქნება, როცა უბეში პატიების საბუთი ედება.

**პაპუა ამირეჯიანი**  
დათა თუთაშხია



გრაფი კვლავ დადუმდა და დრო ვიხელთე:

— თქვენო ბრწყინვალეზე, ბატონი დათა თუთაშხია ჩემი კლიენტია და ერთდროულად ჩემი ახალშექმნილი მეგობარიც. თქვენი სურვილის დაკმაყოფილება, ჩანს, მისი დაკითხვის, მასთან საუბრის გზით არის შესაძლებელი. აქლევთ თუ არა ბატონ თუთაშხიას თავისი ვეჭვილის გამოყენების უფლებას? მე მზად ვარ შევასრულო ჩემი მოვალეობა!..

სტუმარმა თავი ენერგიულად გაიქნია:

— მაგით ბევრი ვერაფერი გამოირკვევა. მე იმისთვის გეახელით, რომ პირადად გავიცნო ბატონი დათა თუთაშხია, ვისაუბრო მასთან ჩვეულებრივ, ასე ვთქვათ, შინაურ ვითარებაში და ჩემს მიერ აღრე გამოტანილი დასკვნები შევამოწმო. ამას გარდა, მსურს შევაჯერო ჩემი შეხედულებები მის პიროვნებაზე თქვენს წარმოდგენებთან — თქვენ ხომ მისი ახლობლები ბრძანდებით და ბევრი რამ ისეთი იცით ბატონ დათა თუთაშხიასი, რაც ოფიციალური დაწესებულებისთვის მუდამ უცნობი რჩება. ეს არის, ქალბატონო ნანო, ჩემი დაუპატივებელი სტუმრობის ქეშმარიტი მიზანი!

ვიცოდი, რომ ქანდარმთა შეფობა გრაფისთვის სინეკურა კი არა, დასაბამითვე დათქმული, განგებით მინიჭებული მოწოდება იყო. ამიტომ მისი სურვილი, ჩემის აზრით, რაიმე ქვეტექსტს, უხილავ და ძნელად მისაგნებ განზრახვას უსათუოდ შეიცავდა.

— თქვენო ბრწყინვალეზე, მპატივით, რომ გაწვევტინებთ, — ვისარგებლე პაუზით. — რამდენადაც მეცმის, თქვენი უპირველესი მიზანია მიაღწიოთ ყოველი ჩვენგანის სრულ ძალდაუტანებლობასა და გულწრფელობას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს საუბარი და ურთიერთობა ფარსად, ცბიერების აუქციონად გადაიქცევა...

— სწორი ბრძანებაა, — დამიდასტურა გრაფმა. — თქვენის აზრით, რა

არის საჭირო, რომ ყოველივე თქვენი თებული ფორმა და ინტონაცია ნათქმუნო?

— მოტივები, დამაჯერებელი მოტივები, თქვენო ბრწყინვალეზე. ისეთი მოტივები, რომელთა მეშვეობით თქვენდამი სრული კეთილგანწყობისა და ნდობის სტიმული მოგვეცემა.

— უფრო ნათლად?

— მე მგონი, უნდა დაასაბუთოთ, თუ რატომ არჩიეთ თქვენთვის საინტერესო დასკვნების მისაღებად სახელდობრ, აი, ასეთი ხერხი და არა ჩვეულებრივი დაკითხვა, ვთქვათ, დაბატიმრების შემდეგ!

გრაფი ჭამას შეუდგა და კარგა ხანს იყო ჩუმად. აღძრული კითხვა, ეტყობა, ყველას დაუჯდა ჭკუაში. ჩემი მეობრები გაფაციცებით ელოდნენ მისი ბრწყინვალეების პასუხს.

— ცოტა ხნის წინ მოგახსენეთ, ერთი სირთულის წინაშე ვდგევარ-მეთქი, — გრაფმა ტურჩებზე ხელსახოცი მიისემოთხვა, დაეცა, მაგიდაზე დადო და განაგრძო: — ჩემი მოსვლის საერთო, ძირითადი მიზანი უკვე ნათქვამია და განმეორებას აღარ საჭიროებს. ეხლა მე უნდა დავამტკიცო, რომ ამ მიზნის განხორციელება მხოლოდ აქ, ამ თქვენს შეკრებაზე მოსვლით შემეძლო და, რომ ყველა სხვა ხერხი სასურველ შედეგს ვერ მომიტანდა, უვარგისი იქნებოდა. სწორედ ეს არის რთული, რადგან მთავარი, ყველაზე დამაჯერებელი არგუმენტის მოყენას სამსახურებრივი ვალდებულება მიკრძალავს. იქამდე, სანამ აქედან წასვლას დავაპირებდე, მაგრამ, როგორც იტყვიან, ღმერთი მოწყალეა... სხვათაშორის, — ღმილით ჩაუმატა გრაფმა, — ჩემი თანამდებობის წყალობით, უფრო ხშირად მე მარწმუნებენ ხოლმე რაიმეში, ვიდრე მე სხვებს.

გამიელვა, რომ ჩვენის მხრივ უზრდელობა იყო სტუმრის ასე ჩაკირკიტებული გამოკითხვა — რა გინდა, რისთვის მოხვედრი. ბოდიშის მოხდა და თავის მართლება დავაპირე, მაგრამ სეგემი დამსწრო:



— ვიხუმრე, თავადო. ყველაფერი ისეა, როგორც უნდა იყოს და საუბარი განვაგრძოთ... მას შემდეგ, რაც დაისახა აბრავ დათა თუთაშხიას კანდიდატურა კერძო ამინსტიისთვის, მისი ძებნა და დევნა ავტომატურად შეწყდა. ეს ოთხი, ხუთი თვის ამბავია. ამ ხნის მანძილზე ჩვენ მასთან კონტაქტის დამყარებას ვცდილობდით, რათა, ჯერ დავვედგინა, დასაშვებია თუ არა მისი შეწყნარება და შემდეგ, თუკი დასაშვებია აღმოჩნდებოდა — მიგვეცა შემორიგების წინადადება. კონტაქტი ვერ მოხერხდა, ვერ მივაგენით, სად იყო...

— ალბათ, სხვა კანდიდატებიც არანაკლებ ძნელი მისაგნები იქნებიან, თქვენო ბრწყინვალეზავ, და ოფიციალურ პირთან შეხვედრაზეც, ხაფანგის შიშით, ბევრი არავინ დათანხმდება, — ვთქვი მე.

— რა თქმა უნდა, მაგრამ სხვებთან შეხვედრა საქიროებას არ წარმოადგენს ჩვენთვის, ყველა საფუძვლიანად გვყავს შესწავლილი. ბატონი დათა თუთაშხია ამ მხრივ გამოჩნაკლისია... დიახ... ამ ორი კვირის წინათ კონტრაზვერვის სამსახურმა თურქეთის მოქალაქის, არზნევ მუსკიას პერსონაში აბრავი დათა თუთაშხია დაადგინა; ხელისუფლებას კი ამინსტირების პროგრამა აქვს დასახული, შემორიგების პოლიტიკას ანხორციელებს. მართალია, ამჟამად თუთაშხია თითქოს ადვილი ასაყვანია, მაგრამ არ ავიყვანთ, რადგან დაპატიმრება დასახული პოლიტიკის ნაადრევად შეცვლას ნიშნავს, რაც საერთოდ და ყოველთვის ზიანის მეტს არაფერს იძლევა. თქვენ იტყვი, თხუთმეტი, თექვსმეტი წელიწადია ვერ მოიხელთეთ, აგერ, მისი დაპატიმრების ჩინებული შესაძლებლობა გეძლევათ და პროგრამა რალა შუაშიაო. კაცი ბკობდა, ღმერთი იციოდლაო, ნათქვამია; წარსულშიც გვქონდა ასეთი და, წარმოიდგინეთ, ამაზე ნალდი შესაძლებლობა თუთაშხიას ხელში ჩასაგდებად, მაგრამ განზრახვა სისრულეში მოუყვანელი დარჩენილა. იგივე ფინალი არც ეხლა გამო-

რიცხული და აუტიკვარი თავი რატომ ავიტიკოთ. აი, მოვედი: შეიძლება? მოვირიგებთ. არ შეიძლება? დავრწმუნდებით ამაში და აყვანას მერეღა ვცდით, მიზანშეწონილი გადაწყვეტილება? სეგედიმ ეს მე მკითხა.

— დიახ... უკეთ რომ ვთქვათ, საკითხის ერთ-ერთი გადაწყვეტაა. მანდ კიდევ რალაც უნდა იყოს, ესე იგი, სხვა მიზეზიც... მიზეზებიც თუ არა.

— არის, ბატონო ირაკლი, სხვა მიზეზებიც არის. ამ მაგიდის გარშემო მსხდომთაგან ჟანდარმერიასთან თუ საიდუმლო პოლიციასთან გარკვეული ურთიერთობა უკლებლივ ყველას ჰქონია. ამიტომ, ვფიქრობ, ადვილად გაიცემა სწორი პასუხი კითხვაზე: რა არის დაკითხვისა და გამოძიების პროცესი?

გრაფი დადუმდა და იმის მოლოდინში, თუ რომელი ჩვენგანი მოისურვებდა პასუხს, თვალთ ჩამოგვიარა.

— გაუგებარია, გრაფ, — ღიმილით თქვა ელიზბარ კარიჭაშვილმა. — უკლებლივ ყველასაო, ბრძანეთ... ლაზის, გოგიას და ჩემს მიმართ სწორი ბრძანდებით. ირაკლის და გრაფ სეგედის მიმართაც — ოურისტები ხართ და თუნდაც ამიტომ. ნანოს სად და რა ურთიერთობა უნდა ჰქონოდა საიდუმლო პოლიციასთან?

გრაფმა გაიღიმა.  
— მქონია, უცხოეთში მქონია, — თქვა ნანომ. — ვიცი, რაც არის დაკითხვა და გამოძიება.

ამ დასტურმა პატარა დაბნეულობა და სიჩუმე მოიტანა, მაგრამ გოგია სეგედის კითხვას დაუბრუნდა:

— დაკითხვა, თქვენო ბრწყინვალეზავ, ორი აღამიანის ბრძოლაა. ორივე მხარე იბრძვის, იქნებ როგორმე მოვახერხო, რომ საკითხი ჩემებურად გაშუქდესო.

— ჰეშმარიტებაა. ჩემის ღრმა რწმენით, დაკითხვა და გამოძიება, პირველ რიგში, საქმის ვითარების დადგენას იძ-

**ვახუა აშირაჯიბი**  
დათა თუთაშხია



ლევა და მერეღა, — ისიც ნაწილობრივ და ზერეღედ, — დასაკითხი პირის ფსიქიკისა და ბუნების ცოდნას. ბატონ დათა თუთაშხიას საქმეები იმ ზომით, რა ზომითაც ეს მისი შემოორიგება-შემოუორიგებლობის საკითხისთვის არის საჭირო, სავსებით შესწავლილი გვაქვს. გვეპირდება, ვიმეორებ, მისი ფსიქიკისა და ბუნების ცოდნა. ალბათ, დამეთანხმებით, რომ დაკითხვა ამას ვერ მომცემდა. ეს ჩემი მოსვლის კიდევ ერთი მოტივია. არის ერთი ფრიალ მნიშვნელოვანი გარემოებაც — ბატონ მუშნი ზარანდიას სურვილი; უფლება არ მქონდა ანგარიში არ გამეწვია მისთვის, დასასრულ, თქვენს წრეში, თქვენის თანდასწრებით ბატონ დათა თუთაშხიასთან შეხვედრა, ვიმედოვნებდი, საუბრის, აზრთა გაცვლა-გამოცვლის, შეხედულებათა დაპირისპირებისა და შეჯერების სახეს მიიღებდა. ბატონი დათა თუთაშხია პირადად, სამსახურს გარეშეც მინტერესებს. ხომ არიან ნუმიზმატიკი, ფილატელისტიკი, მხატვრობა-ქანდაკების კოლექციონერები? მეც მაქვს ჩემი ტრფიალი: ადამიანის ბუნება, საინტერესო პიროვნებები, თუ გნებათ, საქციელის ფილოსოფია!... გრაფი დაღუმდა, ისევ თვალებით ჩამოგვიარა და დასძინა: — მოვიყვანე, რაც მქონდა. მეტი არაფერი მბადია... უფლებამოსილი პირი ვარ და წინასწარ გაძღვეთ კეთილშობილი კაცის სიტყვას: იმ შემთხვევაში, თუ ჩემი აქ ყოფნის შედეგად უარყოფით დასკვნას მივიღებ, ბატონი დათა თუთაშხია გარანტირებულია ერთი კვირის ხელშეუხებლობით, ხოლო თუ დასკვნა დადებითი აღმოჩნდება, მას უახლოეს ხანში ჩაბარდება პატიების გუჯარი. მე ბევრი არაფერი მინდა; შემოგთავაზებთ ერთ-ერთ ეპიზოდს ბატონ დათა თუთაშხიას კანონგარეშე ცხოვრებიდან. განვსაჯოთ, შევაფასოთ იგი და გავცეთ პასუხი ჩემთვის საინტერესო კითხვას. ჩვენი პასუხი უნდა იყოს: „არ იქნება უფრო საშიში“ ან „უფრო საშიში იქნება“. რა აზრისა ხართ ამაზე?

ყველაფერი შეჯამდა და ისეთი მიმართულება მიიღო, რომ, ერთი შეხედვლით, უკეთესს ვერც მოიოცნებებდა. უკმაყოფილო იქნა ბინაში შეიქმნა ვითარება, როდესაც ჩვენი მეგობრის წარსულის პატიება და მისი საზოგადოებაში დაბრუნება, ფაქტიურად, ჩვენს ხელში აღმოჩნდა. საჭირო იყო, უმრავლესობას ეთქვა: „არ იქნება უფრო საშიში!“ თუ ასეთი დასკვნის გამოტანა შეუძლებელი აღმოჩნდებოდა, გრაფის პატიოსანი სიტყვა ურყევ პირობას ქმნიდა, რომ დათა თუთაშხია აქაურობას თავს უხიფათოდ გაარიდებდა და, ამგვარად, ქადრაკის ფიგურები საწყის განლაგებას მიიღებდნენ, ყველაფერი თავიდან დაიწყებოდა, ეს კი, რა თქმა უნდა, ზორკლებსა და ტრაგიკულ დასასრულს გაცილებით ჯობდა. ვასაგებია, რომ გრაფის კითხვებზე პასუხის გაცემაში თაოსნობა მე უნდა მეკისრა, როგორც იუროსტს, ამგვარ საქმეებში სხვა დამსწრეებზე უფრო გამოცდილ პირსა და, ბოლოს, როგორც მასპინძელს. არც დამიყოფნებია, სათქმელი მყისვე მოვიფიქრე და ეთქვი:

— ჩემის აზრით, ბატონებო, საჭიროა, ჯერ ყოველმა ჩვენგანმა გამოთქვას თავისი დამოკიდებულება მისი ბრწყინვალეების წინადადების მიმართ. ამით ჩვენ შევეამზადებთ საფუძველს, რათა ბატონმა დათა თუთაშხიამ გამოთქვას აზრი, სურს თუ არა ასეთი პროცედურის მონაწილე იყოს. მაშ ასე, ვაცხადებ: მე თანახმა ვარ!.. ნანო, შენ რას გვეტყვი?

— თანახმა ვარ! შევეცდები ვიყო მიუკერძოებელი და მართალი, — დაუყოვნებლივ თქვა ნანომ.

— გოგი, სიტყვა შენზეა.

— კი ვარ თანახმა, რა ლაპარაკი უნდა მაგას, მარა მიუკერძოებელი ვერ ვიქნები, ალბათ. დათა თუთაშხიას ახლოს ვიცი და მისი რაც ვიცი, ყველაფერი წესიერად ვამიანობად მაქვს მიჩნეული. მიუკერძოებელი დასკვნის გამოტანისთვის რანაირად გამოვდგები, როცა წინასწარ ყველაფერში ვარ მიკერძოებული?! რა უფლება მაქვს თქვენს პატიოსნებას და კეთილ განზ-

რახვას ცალმხრივი ახრით შევეუერთდე! ესეც არ იყოს, ვნახით და, ის ერთ-ერთი შემთხვევა, გრაფმა რომ უნდა მოიყვანოს, სწორედ უარყოფითი დასკვნისთვის ვარგოდეს, რა ექნათ მაშინ? — გოგამ მხრები აიჩჩია, ხელები გაასავსავა.

— წინასწარ ხართ დარწმუნებული, ბატონო გიორგი, რომ დათა თუთაშხია ახალ უფლებრივ მდგომარეობაში „უფრო საშიში არ იქნება?“ მერე და რა? შემთხვევა, რომელსაც მე განსასჯელად წარმოვადგენ, როგორი ხასიათისაც არ უნდა იყოს იგი, უშუალოდ შეიცავს თქვენი წინასწარი შეხედულების მამტიკიებელ ან უარყოფელ წვრილმსხვილმალს. თქვენ საშუალება მოგეცემათ არამარტო სიმართლე ბრძანით, არამედ თქვენი წინასწარი შეხედულების საფუძვლიანობა-სისწორეც შეამოწმეთ. ჩემის მხრივ, ბატონებო, ვფიცავ, რომ ვიქნები მიუკერძოებელი და მხოლოდ მიუკერძოებელი, როგორც განსჯაში, ისე განსასჯელი გარემოების შერჩევასა და მოყვანაში.

— თანახმა ვარ, — განაცხადა ელიზბარ კარიჭაშვილმა.

— მეც თანახმა ვარ, — ხელი ჩაიქინა გოგამ.

— მაშინ, ბატონებო, სიტყვა დათა თუთაშხიაზეა. გვაძლევთ თუ არა უფლებას, ვიყოთ თქვენი წარსულის მსაჯულეები და თანახმა ხართ თუ არა, რომ გრაფის წინადადება აღსრულდეს? — ვკითხე მე.

დათა თუთაშხიამ ღიმილით შეგვათვალღირა, ორი-სამი წყვილი მძივი ჩააკაუნა და გვითხრა:

— ვარ თანახმა.

გრაფი ადგა, ბოდიში მოგვიხადა, სადარბაზოსკენ გასწია. გაყვევი და წინააღმდეგობა არ გაუმტლავნებია. ქუჩაში გასულა უნდოდა. კარი გაუღღე, ზღურბლზე დაერჩი. გრაფი თავის ეტლთან მივიდა, იქ მჯდომ კაცს რაღაც უთხრა და ამობრუნდა. ეტლი დაიძრა, კაცმა თვალი მესროლა. მომეჩვენა, რომ ეს კაცი დათა თუთაშხია იყო. მართ-


ლაც, ტყუპის ცალივით ჰგავდა მუშნორის ზარანდია თავის ბიძაშვილს!

სუფრას დაუბრუნდით.

— დაიწყეთ? — იკითხა გრაფმა, პასუხს აღარ დალოდებია და განაგრძო: — მე უკვე მოგახსენეთ, რომ ბატონ დათა თუთაშხიას საქმეში არსებული მასალა ზედმიწევნით ვიცი. მრავალი შემთხვევიდან აქ განსასჯელად ისეთი შევარჩიე, რომელიც მოკლეა, შედარებით მარტივიც და, ამასთან, ისეთიც, რომ ჩვენთვის საინტერესო დასკვნის გამოტანას აადვილებს. მოვიყვან, გაცეანით მის არსს და განხილვას შევეუდგეთ. აი, ის შემთხვევა:

ბატონი დათა თუთაშხია ერთ ღამეს მივიდა ვინმე ზარნავასთან, რომლის მასპინძლობით იშვიათად სარგებლობდა. ეს ზარნავა ნავსადგურში მტვირთავად მუშაობდა, პატარა ფული დააგროვა, სოფელში მიწის ნაკვეთი იყიდა, ზედ დასახლდა, მაგრამ ნავსადგურთან კავშირი ამის მერეც არ გაუწყვეტია — უფრო მუშა იყო, ვიდრე სოფლის მეურნე. ზარნავამ რამოდენიმე დღით ადრე იცოდა, რომ მასთან დათა თუთაშხია უნდა მისულიყო, მაგრამ, სახელდობრ, როდის ეწვეოდა სტუმარი — რომელ დღეს და რა დროს — არ იცოდა. ბატონ თუთაშხიას მისვლის შემდეგ, სულ თხუთმეტი წუთი იქნებოდა გასული, რომ ზარნავასთან მოულოდნელად სხვებიც მივიდნენ — სამი კაცი. მათ თან მიიტანეს დაშლილი სასტამბავი მანქანა, შრიფტის ფუთები და ცოტა ქაღალდი; ყოველივე ეს მათ პოლიციის მოსალოდნელ დაცემას გამოაჩინდეს. ზარნავასთან მიტანა სახელდახელოდ მოფიქრებული ნაბიჯი იყო. სხვა, უფრო საიმედო ადგილი იმ ადამიანებს არ გააჩნდათ. ზარნავამ მოსულები სამზადში შეიპატიჟა. ბატონი თუთაშხიაც სამზადში გახლდათ. იყო ოროთახიანი ზუსტულაც, მაგრამ იქ ზარნავას ცოლშვილს ეძინა. მასპინძელმა

ააბაზა ამირაჯიბი  
დათა თუთაშხია





სტუმრებს მოტანილი ტვირთი მიამალ-  
მოამალვინა, ვახშამი მიართვა. ვახშმის  
დროს ბატონ თუთაშხიას საყურადღე-  
ბოდ რამოდენიმეჯერ ითქვა, ახლა კი  
წასვლის დროაო; სტუმრებს, რატომ-  
ღაც სურდათ, რომ ბატონი თუთაშხია  
მათზე ადრე წასულიყო. ბატონმა თუ-  
თაშხიამ თავი წაიყრუა და, პირიქით,  
თვითონ დაელოდა მოულოდნელი სტუ-  
მრების წასვლას. როცა ურთიერთლო-  
დინი გაგრძელდა, სტუმრებმა თუთაშ-  
ხიას პირდაპირ უთხრეს, ჭერ თქვენ წა-  
დით და მერე ჩვენა. ბატონმა თუთაშ-  
ხიამ უარი განაცხადა, თქვენზე ადრე არ  
გავალო. ჰკითხეს, რათაო. მან თავისი  
უარი შემდეგნაირად ახსნა:

„მე აქ ისე შემოვედი, რომ არავის  
შევუმჩნევივარ. თუ კიდევ ვინმე ჩასაფ-  
რებული მელოდებოდა, მან არც ეხლა  
იცის, რომ მოვედი და აქ ვარ. წასვლა,  
რა თქმა უნდა, შემძლია და სწორედ  
ისე წავალ, როგორც მოვედი, ანუ ის  
შესაძლებელი ჩასაფრებული კაცები  
გასვლას ისევე ვერ გაიგებენ ჩემსას,  
როგორც მოსვლისა არაფერი იციან.  
ამასთან ერთად, გამორიცხული არ არის,  
რომ თქვენ ვინმე კვალდაკვალ მოგყ-  
ვით, ან სადმე ნათქვამი გაქვთ, ზარნა-  
ვასთან მიგდივართო. ვთქვათ, მე თქვენ-  
ზე ადრე წავედი და ჩემს შემდეგ გასუ-  
ლებს რამე ხიფათი შეგემთხვათ! ვის  
დაბრალდება? ვინ იცოდა თქვენი აქ  
ყოფნა? რა თქმა უნდა, იმანაც, ვინც ამ  
სახლიდან თქვენზე ადრე წავიდა! რა-  
ტომ უნდა ვათქმევინო ვინმეს, მაგ გა-  
ცემაში დათა თუთაშხიას ხელი ურე-  
ვიაო?! ჩემზე უამისოდაც ათას რაღა-  
ვას ლაპარაკობენ, ისეთს, რაც არ გა-  
მიკეთებია. წადით თქვენ თქვენ გზაზე  
და მე წავალ თუ აღდგომამდე აქ დავრ-  
ჩები — ჩემი საქმეა!“

ლოგიკა და კონსპირაციის წესი ბატონ  
დათა თუთაშხიას მხარეზე იყო. ერთი  
წუთის შემდეგ გახურებული სროლა  
ატყდა. ბატონმა თუთაშხიამ მასპინძელს  
ჰკითხა, წინასწარ თუ იცოდი, ეგენი  
რომ გესტუმრებოდნენო? ზარნავამ  
მიუგო, არ ვიცოდიო, და მართალიც

იყო, არ იცოდა. ბავაბუგი კარგა ხანს  
გაგრძელდა. სროლა რომ შეწყდა, ზარნა-  
ნავამ თუთაშხიას თოფს დაავლო ხელი,  
ეზოსკენ გაიწია, წასულებს უნდა მივეშ-  
ველოო. ბატონმა თუთაშხიამ მასპინ-  
ძელს თოფი წაართვა, სახლი დატოვა-  
და მას შემდეგ იქაურობას აღარ გაჰკა-  
რებია. სროლის შემდეგად იმ სამიდან  
ორი მოკვდა, ერთი გაიქცა. გარემომც-  
ველთაგან ერთი მოკვდა ერთი დაიჭრა.  
რამოდენიმე დღის შემდეგ ზარნავას-  
თან მიტანილი ტვირთი პოლიციამ წაი-  
ლო. თვით ზარნავამ სამი თვე პატიმრო-  
ბაში დაჰყო და შინ დაბრუნდა. ასე გა-  
მოიყურება შემთხვევა ჩემს განკარგუ-  
ლებაში არსებული ინფორმაციის მი-  
ხედვით. ბატონო თუთაშხია, რამდენად  
შეეფერება სიმართლეს ჩემი ნაამბობი?

— მასე იყო, თქვენო ბრწყინვალე-  
ბავ, სწორედ მასე იყო ეგ! — სინანუ-  
ლით დაუდასტურა დათა თუთაშხიამ.

სეგედიმ თვალი შემოგვაგლო და  
გვეკითხა:

— თანახმა ხართ თუ არა, რომ მოყ-  
ვანილი შემთხვევა საანალიზოდ გამო-  
ვიყენოთ?..

დავთანხმდით, მაგრამ მე წინადადება  
შევიტანე, რომ დათა თუთაშხიას, თუ  
საჭირო შეიქმნებოდა, მნიშვნელოვანი  
დეტალები განემარტა.

— არ გამოვა უმაგისოდ არაფერი, —  
თქვა დათა თუთაშხიამ.

— თავისთავად ცხადია, დაუდასტუ-  
რა გრაფმა. — ვის რა შეკითხვა გაქვთ,  
ბატონებო, ბრძანეთ.

არავინ არაფერს ეკითხებოდა. ვიგრ-  
ძენი, ყველას ერთი რამის შიში გვეჭონ-  
და: გრაფის ჰეშმარიტი მიზანი, მიუხე-  
დავად მოყვანილი მოტივებისა, მაინც  
ბუნდოვანი იყო და უალაგო შეკითხვით  
მისი ფარული განზრახვისთვის უნებ-  
ლიე სამსახურის გაწევაც შეიძლებოდა.

სიჩუმე გაგრძელდა. ისევ გრაფმა  
მოგვცა მაგალითი:

— ბატონო თუთაშხია, როგორ მოხ-  
და, რომ ზარნავამ თქვენი მისვლა წი-  
ნასწარ იცოდა? გამოცდილი და ჰქვია—



ნი მღევარი მაგვეარ შეცდომებს, მოგესხნებათ, არ პატიობს.

— სწორი ბრძანებაა, თქვენო ბრწყინვალე ბავ. მაგ ყოველთვის შეცდომაა — წინასწარ შეტყობინება, მოვალე, მაგრამ ზოგჯერ გვერდს ვერ აუვლის კაცი ამას. ზარნავას ნახვა აუცილებელი იყო ჩემთვის და მისვლა თუ იქნებოდა, ნაღვზე უნდა ყოფილიყო, უშეშველად შინ რომ დამხვედროდა — ისე. კაცს რომ შეიპირებ, ამ სამ დღეში მოგაქითხავ და მელოდო, — ან დანიშნულ დროზე ადრე უნდა მიხვიდე, ან დანიშნულ დროზე გვიან. ის შეცდომა ამით სწორდება ცოტათი. მათალია, საშინოება რჩება მაინც, მაგრამ ათიდან შეიდი რომ ეთქვით, იმის ფარგლებშია ეგ. თვითონ ბრძანეთ, თქვენო ბრწყინვალე ბავ, ყველაზე დაფარულ და საიდუმლო საქმეებშიც კი, თუ ყოველთვის ხერხდება, რომ მომლოდინე არ იცოდეს, როდის მივა მასთან შეპირებული კაცი?

— სამწუხაროდ, უმრავლეს შემთხვევაში, ვერ ხერხდება, — მიუგო გრაფმა.

— მასე იყო მაშინაც, ვერ მოხერხდა სხვაფრივ. დანიშნულ დროზე ადრე ორი დღე ვუთვალთვალე ზარნავას სახლს და მიდამოს. დანიშნული დროის მერე — კიდე დილიდან საღამომდე; საეჭვო ვერ ვნახე ვერაფერი და მივედი, თვარა რას მივიდოდი ისე! მოვეტყუედი მაინც, მაგრამ ეს ცალკეა სათქმელი.

— ის რით აიხსნება, ზარნავამ რომ პოლიციასთან შეგმა დააპირა და შენ კი თოფი წაართვი? — ვკითხე დათა თუთაშხიას. ჩემს მიზანს შეადგენდა, რაც შეიძლება მეტი მტკიცებები გამოემჩნეურებინა იმისა, რომ დათა თუთაშხია ხელისუფლების წარმომადგენლებთან მტრულ ურთიერთობას ყველა შემთხვევაში ერიდებოდა.

— რთულია ეგ. კარგად უნდა დამიგდოთ ყური ყველამ, — დათამ პაპიროსს ცეცხლი მისცა. — პოლიციასთან შეგმა არ დაუპირებია, პოლიციასთან მისვლა

უნდოდა მას. სათქმელი ქონდა: თქვენ რომ დახოცეთ, სხვა ხალხია ეს ხალხი და თუთაშხია იგერ ზის უთოფოდ ჩემს სამზადშიო. საფარი და ალყა მათზე არ ყოფილა, ჩემზე იყო ის. იმ სამი კაცის არც მოსვლა იცოდა პოლიციამ და არც ვინაობა. მე და ჩემი ამხანაგები ვეგონეთ მათ...

სეგედმი გულიანად გაიცინა. დათა თუთაშხია დადუმდა, გრაფს მიაკებდა, მაგრამ იმ სიცილში არც დასტური იყო დათას მოსაზრებისა და არც უარყოფა.

— მაგ დასკვნამდე რამ მიგიყვანა? — ჰკითხა ნანომ.

— სროლა რომ ატყდა, ათზე ნაკლები არ იყო თოფი იქ. სამი — ზარნავასგან წასულების იყო, შეიდი ან რვა — სხვისი. ვიფიქროთ ჯერ, რომ ამ კაცებმა თავისი სტამბა რომ წამოიღეს, კვალდაკვალ ერთი და, თუ გნებავთ, ორი კაცი წამოყვა პოლიციის მათ. დაინახეს გამოღეწებულმა კაცებმა ზარნავასთან რომ მივიდა სტამბა. ვთქვათ, ერთი მათგანი პოლიციის მოსაყვანად გაიქცა, და მეორე დარჩა — ვინიცოდა არ მოხერხდეს ზარნავაზე მიბარება იმ სტამბის და სხვაგან წაიღონ კიდე, გაყვებოდა მაშინ ის დარჩენილი კაცი და ნახავდა, სადაც მიიტანდნენ. კეთილი და პატიოსანი, მაგრამ სტამბის მომტანები სულ საათნახევარს დარჩნენ ზარნავასთან და იმ წასულ კაცს პოლიციამდე სავალი რომ სამი საათი ქონდა და პოლიციას ზარნავამდე კიდე სამი რომ ჰირდებოდა, როგორ არის ეს საქმე, ნეტავი? ადევნებული კაცის წყალობით ალყა ვერ მოხდებოდა იქ, ცხადია ეს. კაი, ბატონო. ახლა გავსინჯოთ, ვითომ, წამოვიდნენ ის კაცები, წამოიღეს სტამბა, მაგრამ პოლიციამ იცოდა, სადაც მიაქვთ, შემოარტყეს ზარნავას სახლკარს ალყა წინასწარ, თავის კაცებიანად შემოუშვეს სტამბა და რომ გავიდნენ მომტანები, მაშინ აუტეხეს სროლა. არც ეს არის შესაძლებელი.

**მამუა ამირეჯიბი**  
დათა თუთაშხია



ბელი: სანამდე ზარნავასთან შევიდოდი, ვთქვი უკვე ჭერ იყო და მთელი დღე ვზვერე მიდამო, სოფელი და სახლი. მერე იყო და ერთი საათი მის ბოსტანში ვიყავი წამოწოლილი, ყურები მეძებარივით მქონდა. არავითარი ალყა არ მზადდებოდა იქ, დავრწმუნდი ამაში და მერე შევედი. შევედი და თხუთმეტ წუთში ის კაცებიც მოვიდნენ. რომ შემოდოდნენ არ იყო ალყა იქ, მერე მოხდა ეს და წინასწარ არაფერი არ იცოდა პოლიციამ იმ კაცების. ახლა, თქვენი აზრი მინდა გავიგო: ვისთვის იყო ალყა იქ?

— იქნებ, ორი კაცი კი არა, რვა კაცი გამოყვათ თავიდანვე? — თქვა გოგიამ.

— როგორ, შე კაი კაცი, იმსიგრძე გზაზე რვა შეიარაღებულმა ცხენოსანმა მოგდიოს და ღამის სიჩუმეში შენ ვერაფერი გაიგო ამისი?— მიუგო დათა თუთაშხიამ.

— შეუძლებელია! — თქვა გრაფმა.

ამ საკითხის გარშემო კარგა ხანს ვიმსჯელებთ. ბოლოს იმ დასკვნამდე მივდით, რომ ალყა სტამბის მომტანებისთვის არ შემოურტყამთ. ამ მოსაზრებას გრაფიც დაეთანხმა. ეს კი დასკვნის სისწორეს ნიშნავდა,—კავკასიის ქანდარმთა შეფზე უკეთ ვანა ვის უნდა სცოდნოდა რა იყო და როგორ იყო!

— კარგი, მაგრამ ეხლა იმის დასაბუთებაა საჭირო, რომ ალყა სახელდობრ შენ შემოგარტყეს, — თქვა კარიჭაშვილმა.

— ვიტყვი მაგასაც. დაგვალევიე, ირაკლი, თვარა, ფხიზელს ამდენი ლაპარაკის თავი ვინ მომიცა მე!

შამბანურზე გადავედით. დათა თუთაშხიამ ჭიქა ბოლომდე დაიყვანა და განაგრძო:

— იმ სამი კაცის ზარნავასთან მისვლა პოლიციამ რომ არ იცოდა, ამაში შევთანხმდით. თვითონ ზარნავასთვის და მისი, ცოლშვილისთვის ალყის შემორტყმა არავის არ ჰირიდებოდა არაფრად, ესეც ხომ ასეა! სხვა ვინ იყო იქ ჩემს მტრს კიდევ, ვისთვის მოვიდა ალყა, ამით დავიწყეთ და ახლა სხვას მოვახ-

სენებთ მე. ზარნავასთვის შეფედილი რომ მქონდა, იმ დღეზე ორი დღით ადრე, ღამე ჩიჩუების მოურავთან მთიბავები მოვიდნენ. ბატონებო, რვა კაცი. წამოიყვანა მოურავმა დილით და დააყენა სამუშაოზე რვავე. ჩიჩუების არის სათიბები იქ. თიბავდნენ ისინი და მთიდან დაეყურებდი მე. თიბეს ის დღე, წავიდნენ, რომ შეღამდა, მოურავის სახლში, დაიძინეს და მერე დილით უთენია დაადგნენ საქმეს ისევ. თიბეს ის დღეც და ისევ მოურავისაა გაათენეს ღამე. მუშაობდნენ ასე. მთიბავები კა არა, ჩაფრები იყვნენ ის კაცები, მაგრამ ღამე მივიდნენ მოურავთან, ცხენები მის თავლაში დამალეს, შიგ არ შემიხედავს მე და რა ვიცოდი. იარაღი სათიბზე არ მოქონდათ, შარვალ-ხალათი მათხოვრის ეცვათ და საეჭვო რა იყო იქ? მთიბავებია და მერე რა? არ ყოფილა, თურმე, საქმე, მე რომ მეგონა ისე. შემოიყვანა ზარნავამ სამზადში, გავიდა თვითონ, დაუძახა მეზობელს აქედან, ხვალ დილით ტყეში ვერ წამოვალ მეო და შემოვიდა ისევ. სტამბა რომ მოიტანეს, ტყეში წასვლაზე უარნათქვამი მეზობელი მაშინ შორს იყო უკვე, ჩაფრებთან გარბოდა გამწარებული, არიქათ, ზარნავასთან თუთაშხია არის მოსული. სტამბიანი კაცების მოსვლის არაფერი არ იცოდა მან. მოვიდნენ ჩაფრები, ზარნავას სამზადს შემოგრტყნენ. შემოვარდნას აპირებდნენ შიგ და მაშინ მოხდა სტამბის კაცები რომ გავიდნენ გარეთ. ზარნავას მეზობელმა ნიშანი მიიტანა მათთან, თვარა, რა იცოდა და არც უთქვამს მათთვის იქ, თუთაშხია მართოა და არავინ ახლავსო. შეველა თუ უნდოდა მამაძალ ზარნავას იმ სტამბის კაცების, სროლა რომ იყო მაშინ გაშველებოდა მათ! რომ შეწყდა სროლა, გაიფიქრა ზარნავამ, ეშმაკია დათა თუთაშხია, მიმიხვდება გაცემას და მომკლავსო. შიშმა მოაგონებია ის უეარგისი ხრიკი, ჩემს თოფს რომ დაავლო ხელი და გარბოდა. არ გაუვიდა, ეგ არის. ასე იყო ეს და არც ბატონი სეგედი და-



ფიცავს, მგონია, ჩემზე რომ იყოს ის ხალხი მოყვანილი იქ.

— ვადასტურებ! — თქვა გრაფმა, დაფიქრდა და სიცილი დაიწყო.

ჩვენც ვიცინოდით. ჩვენი სიცილი სიხარულის სიცილი იყო. ნამბობი ისე აღვიჭვით, ვითომ, აი, ეს არის ეხლა, ჩვენი მეგობარი თავისი გამჭირაბობისა და იღბლის წყალობით ნაღდ სიკვდილს გადაურჩა, ხოლო გრაფმა თავისი მხიარულების მიზეზი, მგონი, უაღრესად ზუსტად გამოხატა სადღეგრძელოთი:

— ბრავო, ბატონო თუთაშხია! თქვენს სადღეგრძელოს ვსვამ, ვაგიმარჯოთ და კვლავაც ხელი მოგიმართოთ ღმერთმა. ვიცი ვინც ხართ, მაგრამ ჩემს მოლოდინს მაინც გადააჭარბეთ! ამ საუბარს ჩემი პეტერბურგელი უფროსები რომ შესწრებოდნენ, ყველა საყვედურისთვის მოიხდიდნენ ბოღიშს, რომელიც კი, ჩემთვის გამოუთქვამთ თქვენ საქმესთან დაკავშირებით!

მთელ საათს გასტანა ქანდარმერიისა და დათა თუთაშხიას დელიკატურ ურთიერთობათა ამ ეპიზოდზე საუბარმა, სიცილ-ხარხარმა, დეტალების გამეორებამ და პერიპეტეიების დაზუსტებამ.

— ბატონებო, — თქვა გრაფმა, როცა საუბარსა და ღვინის სმას ღრეობად ქცევის პირი გამოუჩნდა. — ვაქვთ თუ არა კიდევ რაიმე შეკითხვა?

ხალხი თანდათან დაცხრა, დამშვიდდა, ისევ დღმიღმა მოიცვა სუფრა.

— ვფიქრობ, რომ ყველაფერი ცხადია... რა თქმა უნდა, ყველაფერი, რაც მოყვანილ შემთხვევას ეხება, — ვთქვი მე.

— შევუდგეთ დასკვნას! მაშ ასე, ყოველმა ჩვენგანმა უნდა წარმოსთქვას: „იქნება უფრო საშიში“ ან „არ იქნება უფრო საშიში“ და მოიყვანოს თავისი შეხედულების მტკიცება. კვერი დავუკაროთ.

— ვინ იქნება პირველი?

— დავიწყებ, — ვთქვი, როცა დავინახე, რომ ყველა მე შემომცქეროდა.

მოყვანილი შემთხვევა, დათა თუთაშხიას საქციელი იმ ვითარებაში, ფართო

შესაძლებლობებს ქმნიდა იმის მტკიცებისთვის, რომ ჩემს მარწმუნებელს ამყამად განსასჯელ პირს — დამნაშავეობისკენ, ზნეობრივი და სამართლებრივი ნორმების დარღვევისკენ საერთოდ არ ჰქონდა მიდრეკილება. იგი მშვიდობიან და მორჩილ კაცად გამოიყურებოდა დევნილის მღვდმარებაშიც კი და, ცხადია, ასეთივე უნდა ყოფილიყო პატიების შემდეგაც.

— მიაქციეთ ყურადღება იმას, ბატონებო, — ვამბობდი მე, — რომ დათა თუთაშხიამ თავისი ქმედებით გზა მოუჭრა კანონისა და წესრიგის დამცველებზე განზრახულ თავდასხმას — თოფი წაართვა ზარნავას! მართალია, ბოროტგანმზრახველს, თურმე, სულ სხვა მიზანი ამოძრავებდა, მაგრამ იმ წუთში თუთაშხიას, და თვით ეშმაკსაც კი, შეუძლებელია ბოლომდე გაცნობიერებული ჰქონოდა თოფმოღერებული მასპინძლის ქეშმარიტი სურვილი. სტუმრის ქმედება მხოლოდ იქით იყო მიმართული, რომ ახალი საშიშროებისგან ეხსნა მართლწესრიგი და მისი წარმომადგენლები...

ნათელია, რომ ეს მტკიცება დემაგოგიის მოზრდილ ულუფას შეიცავდა, მაგრამ მაინც აუცილებლად უნდა ყოფილიყო მოყვანილი. იმდროინდელ საადვოკატო პრაქტიკაში მსგავს მტკიცებებს მოწინააღმდეგეთა შემაყოყმანებელი, მათი შეხედულებების შემარყვეველი ფუნქცია ჰქონდა განკუთვნილი და ასეთი იერიშის შემდეგ წამოყენებულ მხოლოდ ერთ ნამდვილ მტკიცებასაც კი ადვილად შეეძლო დაცვისთვის სასურველი შედეგის მოტანა. ნამდვილი, სრულფასოვანი მტკიცებაც სახეზე იყო:

— თოფის წართმევის შემდეგ, ზარნავას მორალურ-ფსიქიკური შოკის აღქმის შემდეგ, ბატონ დათა თუთაშხიას ეჭვის ნატამალიც კი არ დარჩენია, რომ მის წინაშე, პირისპირ და მარტოდმართო იღვა ტიპიური ვამცემი. ეს იყო კა-

**პაპუა ამირაჯიბი**  
დათა თუთაშხია



ცი, რომელმაც დევნილი გაყიდა, გაყიდა ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით და იმ სისხლიანი, უჭუჭყიანესი ფულით ნაყიდი პური თავისი შვილებისთვის უნდა ეჭმია. დარწმუნებული ვარ, ვინც უნდა ყოფილიყო ბატონ თუთაშხიას ადგილზე, ზარნავას იქვე მოსპობდა. მოსპობდა შეგნებულად, მშვიდად და სრული გარანტიით, რომ ქვეყანაზე არავის ეცოდინებოდა, ვინ მოჰკლა გამცემი. დაუკვირდით, არც გამოძიებას და არც სასამართლოს არავითარი მტკიცება არ ექნებოდა იმისა, რომ ბატონი თუთაშხია საერთოდ იყო ზარნავასთან, არამტოუ იყო და მოჰკლა კიდეც. ასეთი ჩვენებები ან იმ ერთ გამცემულ კაცს უნდა მიეცა, ან თვით მკვლელს. პირველი — ემიგრაციაში იმყოფება და მსჯავრისთვის ხელმიუწვდომელია. მეორესთვის საამისო ჭკუა, კარგად მოგეხსენებათ, თავსაყრელად მიუცია ბუნებას. ბატონ დათა თუთაშხიას აზრადაც არ მოსვლია შურისძიება, საკადრისის მიზლვა. იგი მიტრიალდა და წავიდა! ვერ ვხედავ ვითარებას, რომელშიც ნაბატოები დათა თუთაშხია უფრო საშიში იქნება დევნილ თუთაშხიაზე. მე მოვრჩი.

ჩანს, ჩემმა მაგალითმა სხვები წახალისა, სათქმელი უკვე ყველას უტრიალებდა ენაზე, მაგრამ მანდილოსანი ვვერია, მისი რიგი იყო. ნანოზე აღრე, მე მხოლოდ იმისთვის ვილაპარაკე, რომ დანარჩენ მონაწილეთა მსჯელობისა და აზრისთვის საჭირო გეზი მიმეცა.

ნანო მიხვდა, რომ მის სიტყვებს ველოდით და თქვა:

— თქვენის ნებართვით, ჯერჯერობით თავს შევიკავებ, სხვების მოსმენა მინდა... მერე ვიტყვი.

— მაშინ, ჩემი ჯერი იყოს! — დაიძახა ელიზბარ კარიჭაშვილმა. — ეს ჩემი დასკვნაც იქნება და სადღევარძელოც.

სუფრა მიჩუმდა.

— კაცთა მოდგმის გარკვეულ ნაწილს განგება ახლის, კეთილის, მშვენიერის შექმნის ეინს ანიჭებს და ეს ადამიანები შეადგენენ კაცობრიობის ნალებს! ბა-

ტონ დათა თუთაშხიას სულ ერთი თვეა, რაც ვიცნობ. ვერც ამ ხნის განმავლობაში ვერ ვხედავ მის ისეთ ნაბიჯს, რომელიც დიდი ნიჭის გამოვლინების ნიშნად არ იყოს. ეს კაცი თავით ფეხამდე, სულით ხორცამდე მძებნელი და შემქმნელი პიროვნებაა. ამასთან, მისი მოქმედების სარბიელი უმძიმესი და ურთულესია ყველა სარბიელთაგან. მე შემოძლია დაგიმტკიცოთ, რომ ბატონი დათა თუთაშხია სწორედ კაცობრიობის ნაღების შემადგენელი ნაწილია და აი, რატომ: ადამიანის ძირითადი მოწოდება, დანიშნულება — ბრძოლა მგონია, ბატონებო, — შეგნებული, გათვითცნობიერებული ბრძოლა. ბრძოლის სხვებზე მძაფრი უნარი ახლის, კეთილის, მშვენიერის შემქმნელს სჭირდება და აქვს კიდეც. ეგ არის, ვინ რას ირჩევს შესაღწევად და ასაღებ ციხედ! ერთნი, მეტოქეს, თავისზე ნიჭიერს, თუ პატივმოყვარეობის ხელმყოფს ებრძვიან, ამაში ხარჯავენ მხნეობას, ნიჭს, სხვა სულიერ ძალებს. სამწუხაროდ, ეს შემოქმედთაგან დიდი და უმდარესი ნაწილია. მეორეებს ბრძოლის ღირსად ერთადერთი ციხე-სიმაგრე მიუჩნევიან — საკუთარი არსება! ესენი დაუნდობლად, უკომპრომისოდ, სამკვდრო-სასიცოცხლოდ ებრძვიან თავის თავს, რომ რაც შეიძლება მეტი გამოსძალონ საკუთარ შესაძლებლობებს. ეს არის შემოქმედთა უამაღლებულესი ნაწილი! პირველთა ბრძოლის მონაგარი, საბოლოო ჯამში — ნივთიერი ქონებაა. მეორეთა ბრძოლა — სულიერი მონაგარით გვირგვინდება. ბატონ დათა თუთაშხიაზე თუკი რამ ვიცი, ყველაფერი მხოლოდ იმაზე მეტყველებს, რომ ამ ადამიანს ერთადერთი რამ მიუჩნევია ბრძოლისა და დაძლევის საგნად — საკუთარი არსება! განა რა უნდა მოხდეს მის ცხოვრებაში ისეთი, რომ ამ დიდ ომს სახე და შინაარსი შეეცვალოს! — ელიზბარ კარიჭაშვილი შეყოვნდა, მერე ჭიქა ასწია, გაილიმა და დასძინა: — შეიძლება ასეთი პიროვნება სახელმწიფოსთვის საშიში

იყოს?! როგორც სადღეგრძელოს პატრონი ვამბობ: ყველაზე კეთილშობილ, ხანგრძლივ და უღმობელ ომს გაუმარჯოს — ომს საკუთარ თავთან!

— საინტერესოა! — ჩაილაპარაკა გრაფმა. — მაგ სადღეგრძელოს დაღვევა, ღმერთმანი, ღირს. — გრაფმა რამდენიმე ყლუბი მოსვა და ელიზბარს პკითხა: — მაპატიეთ, პირველწყაროს ხომ ვერ დამისახელებდით... დამუშავებული სახით ეგ საკითხი არსად შემხვედრია.

ელიზბარმა გაიცინა:

— თქვენ წარმოიდგინეთ, გრაფ, არც მე შემხვედრია! ჩემთვის პირველწყარო სანდრო კარიძეა — არის ერთი. მისთვის, ალბათ, გურამიშვილი და რუსთაველია პირველწყარო. ალბათ—მეთქი, რადგან დამუშავებული სახით, — ამ სიტყვის მეცნიერულ აზრს ვგულისხმობ, — ეს კონცეფცია არც მათთან შემხვედრია.

— ვგონებ, რომ ეგ ნეოპლატონიკოსებისა და ფსევდო—ლიონისე არეოპაგელისგან უნდა მოდიოდეს... გოგი, რას გვეტყვი? — ძველ გზაზე დავაყენე ლაპარაკი.

— ჩემი აზრი მე თავიდანვე ვთქვი: არც იმიდან, რაც დათაზე ვიცი და არც აქ მოყვანილი შემთხვევიდან არ ჩანს, რომ ეს კაცი ან ახლაა საშიში და ან მერე გახდება. მარა, ერთს დავუმატებ ახლა: კანონი და წყობილება გვაქვს ისეთი, რომ ჩვეულებრივი ამბავი დანაშაულად ითვლება, ხანდახან. ხშირად სულაც არ არის კაცი საიმისოდ დაბადებული და განწყობილი, მარა კანონი და წყობილება ვაადამნაშავეებს და ვაბოროტმოქმედებს მაინც. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, ხელისუფლება როგორ პოზიციას დაიკავებს დათა თუთაშხიას მიმართ, სიმართლე მომეტხოვებოდა და როგორც გამეგებოდა, ისე მოგახსენეთ!

— სწორი ბრძანებაა, ბატონო გოგი, — დაუდასტურა გრაფმა. — მაგრამ სანამ სახელმწიფო და კანონი არსებობს, მაგის საშიშროება მეტნაკლებად ყო-

ველთვის იქნება და არამართო მკვნი წყობილების პირობებში. ეგ ყველგან არის მოსალოდნელი და მოქალაქეს მით მეტი პასუხისმგებლობის გრძნობა და შეგნება მართებს, ახლა, რაც შეეხება სეგედის დასკენას განსასჯელი საკითხის გამო... — გრაფი დაღუმდა, იფიქრა და თქვა: — რა მოგახსენოთ?.. ძირითადად ყველაფერში გეთანხმებით. მეც დარწმუნებული ვარ, რომ ბატონი დათა თუთაშხია კანონთან და დამსჯელ დაწესებულებებთან ყოველგვარ ურთიერთობას მოერიდება, მაგრამ, ვფიქრობ, რაც გამოითქვა, რამდენადმე ტენდენციური, მიკერძოებული იყო. ვასაგებიც არის — საქმე მეგობრის მომავალს ეხებოდა, აქ მისი ყოფნა—არყოფნი საკითხი წყდება. არ დავმალავ, პირადად მე, მაინც თვით ბატონ დათა თუთაშხიას აზრი მინტერესებს და ვინაიდან ქალბატონმა ნანომ თავისი სიტყვა, მგონი, ბოლოსთვის მოიტოვა — მოვუსმინოთ ბატონ დათა თუთაშხიას! დათა თუთაშხიამ ერთხანს კრილოსანი ათამაშა. მერე ნანოს შეხედა, თუ გნებავთ, ჯერ თქვენ ბრძანეთო...

— თქვი, დათა. მე შენს შემდეგ...

დათა თუთაშხიამ კარგა ხანს იფიქრა. რამდენჯერმე ხელიც ვასასვავა, თითქოს, სათქმელად მომდგარ აზრებს უარყოფდა ან ყოყმანობდა, ღირს თქმად თუ არაო. მერე პაპიროსის კოლოფს ახადა, მოწვევა დააპირა. ესეც გადაიფიქრა, კოლოფი დახურა, განზე გადადო და დაიწყო:

— თქვენო ბრწყინვალეებო, ექვიანი ვარ მეტისმეტად. ხშირად ისეთი არ მჯერა, დასაჯერიც რომ არის და სიმართლეს. ცხოვრებამ მიქნა ეს, თვარა, აღრე მიმნდობი ვიყავი და ის არ მჯეროდა, ეშმაკობა და სიცრუე თუ იყო ქვეყანაზე. ნუ მიიღებთ შეურაცხყოფად, ამ ამბისთვის არ ბრძანდებით მოსული, აგერ, ორი საათის მანძილზე რასაც ვაკეთებთ ჩვენ. ვერც იმას მოგახსენებთ, რა გნე-

**ბაბუა აშირაჯიზი**  
დათა თუთაშხია





ბავთ, ჭეშმარიტებას ვერ მივაგენი ჯერ, მაგრამ ერთია ცხადი: ბუნებითაც კეთილმოსურნე და კარგი ადამიანი ჩანხართ და თქვენი აქ მოსვლაც სასიკეთოდ არის, ასე მწამს მე. მადლობის მეტი რა მეტქმის, თქვენო ბრწყინვალეებ! კარგი კაცი და კეთილი განზრახვა ყველგან და ყოველთვის ვარგა— ასეა. თქვენ ბრძანეთ, რომ ჩემი აზრის მოსმენა გენბავთ. მჯერა, რომ მართლაც და ნამდვილად გაინტერესებთ, თუმცა არ მესმის, რაში უნდა გესაჭიროებოდეთ ის. უნდა ავსარულო თქვენი წადილი, ზრდილობის და საპასუხო კეთილგანწყობის საქმეა, უარის უფლება არ მაქვს, ცხადია, თვარა, სიმართლეს მოგახსენებთ, მიჭირს რატომღაც.

თუთაშხიამ ღვინო შეგვეცისო, ღვინო-ღვინო შეგვათვალეირა, ჭიქა ასწია:

— ერთ სადღეგრძელოს ჩავაყოლებ სათქმელში. თქვენთან ვარ ალავერდს, თქვენო ბრწყინვალეებ. მხარს დამიჭერთ, მგონია.

— სიამოვნებით! — მიუგო გრაფმა და თავდაც წაავლო ხელი ჭიქას.

— ქუთაისში ძმაცაცმა დღუქანში შემოიპატიეა საქეიფოდ ერთხელ. სამი სხვა შემოგვევირთდა თანდათანობით და უსაშველო სმა ატყდა, მაგარი სმა! სადღეგრძელო ინება ლხინის უფალმა, თასი იყო ასფუთიანი, იმით დავლიეთ დიდი გაჭირვებით ყველამ. დათიკო ერთქვა ერთს — არ დალია მან. სალუქვაძე იყო გვარად მეორე შემოსწრებული, დათიკოს უთხრა, დალიე, შე კაცო, რა დაგემართაო! დათიკომ, — ნამეტანი ძნელია, ვერ დავლევო. გაიკვირვა სალუქვაძემ: ქართველობა საერთოდ ძნელიაო, უთხრა, ვითომ ქართველობა ხელობა იყოს რამე. გამეცინა და ჩამოჩა მესხიერებაში სამუდამოდ. მართლა ძნელია ქართველობა, ბატონებო, და სიძნელე მართო ის კი არაა, ჩაფებით და ჭურებით რომ უნდა სვას ქართველმა. მთავარი სიძნელე იმაშია, რომ უზის სუფრას, საწყალი, დაიწყებენ მის სადღეგრძელოს, აიყვანენ ცაში, გაასწორებენ ღმერთებთან, უნდა უსმინოს მან

და იყოს ასე! რას იზამს, სადღეგრძელო აქვს სხვა გზა და გამოსავალი. დიდი მოთმინებაა საჭირო, დიდი! ასე მგონია მე, რომ ქართველი კაცი მოთმინებას სუფრაზე სწავლობს, სწორედ. არ არის მთლად დასაძრახისი ეს ჩვეულება. სხვაგან სულ ერთმანეთის დაცივნაში და ლანძღვაში ვატარებთ დროს. სადმე ხომ უნდა გვიყვარდეს და ვაჭოთ ერთიმეორე? ამისთვის სუფრა გვაქვს მოგონილი და კარგია ეს. ქართველი კაცი ვარ მეც. სადღეგრძელოებად ჩავითვალეთ, რაც ილაპარაკეთ აქ და ამიტომ მეყო მოთმინება, თვარა, მე რომ თქვენს მოსმენაში დღე გამოვიარე, ღმერთმა იცოდეს ის! თქვენო ბრწყინვალეებ, საქართველოში, ამდენი სამსახურის მანძილზე, მოასწარიო უთუოდ ქართული ხასიათის და ქართველი ერის გაგება, მიუტყვევთ ჩემს მეგობრებს ცოდვები და ყველამ ერთად დავლიოთ იმ მძიმე ხელობის აღსანიშნავი და სადღეგრძელო, ქართველობა რასაც ქვია!

სადღეგრძელომ წინააღმდეგობა გამოიწვია. ერთხმად შეველდეით იმის მტყიცებას, რომ არავის არაფერი გადაგვიჭარბებია და რაც ვთქვით, ჭეშმარიტების მეტი არა იყო რა. თუთაშხია არ შეგვეკამათებია, გვისმენდა. როცა დავა მინელდა და ქართველობად წოდებული მძიმე ხელობისაც შეისვია, დათა შეწყვეტილ სიტყვას დაუბრუნდა:

— ეს ბოლო ოთხი თუ ხუთი წელიწადი ისე ვიქცევი და ცეცხვობო, — იმ ზარნავას საქმეს ერთი წუთით თავი დავანებოთ, — მართლაც არაფერი საშიში არ ვარ სახელმწიფოსთვის. ეგ არის, ყოველთვის ასეთი არ ცყოფილვარ მე და ისიც ძნელი სათქმელია, მომავალში რას იზამს და რას მოიმოქმედებს კაცი. მის ბრწყინვალეებასაც კარგად მოეხსენება ეს და ჩემი უახლოესი წარსულის ერთი მაგალითის კვალობაზე მომავალი საქციელის დადგენა-განჭვრეტასაც არ შეუდგებოდა ამიტომ. ვილაპარაკებ, ვითომ იმისთვის, რომ დასმულ კითხვაზე გავცე პასუხი და ამ ნალაპარაკევიდან გრაფმა და თქვენც, ბატონებო, თვი-



თონ ამოიღეთ, რაც გპირდებოდეთ, ის თავმოყვარეობით, ქედმაღლობით და ამაყი ხასიათით ვიარე ჩემი მოწიფული ცხოვრების პირველი ნაწილი. ამან მიმიყვანა გააბრაგებამდე. მეგობარი მყავდა ჩემზე უფროსი რამდენიმე წლით, ნაოფიცრალი კაცი. მკადრა რაღაც, არც მე, არც ჩემს ოჯახს და არც თვითონ რომ არ ეკადრებოდა, ისეთი. ვერც მე ვაპატიე, არც მან დაუწყო ძებნა შერიგებას. დავდექით ორმოცდაათ ნაბიჯზე; თითო-თითო ტყვია უნდა გვესროლა ერთმანეთისთვის რიგრიგობით, ასე შევთანხმდით. მე შემხვდა კენჭი და დავაცილე განზრახ — ბიბილოს ძირში გაიარა ტყვიამ, ხეში შეიჭრა. მასაც განზრახ დაცილეუბა არ შეეძლო — სულ ასე რომ გვესროლა, რა გამოვიდოდა მაშინ! იარაღი რომლითაც მეჭირა, იმ მკლავში მომხვდა მისი ნასროლი. წამოვიდა სისხელი, მაგრამ არ შევიცვალე ხელი. ამოვიღე მიზანში, მარჯვენა თელში მივაბჯინე ლულა. არაფერს არ დავეძებდი, შემდრკალიყო მხოლოდ. ისე იყო დამიზნებულა, რომ უძველად ხედებოდა. დაინახა ეს და სიკვდილი რომ იგრძნო თუ სასიკვდილოდ გამეტება გაუქვირდა ჩემგან — შედრკა, მიაბრუნა თავი, ის თვალი გამარბიდა, რომელშიც უნდა მოხვედროდა! ჩემსას რომ მივაღწიე, მეც მარჯვენა მკლავზე ჩამოვწიე ლულა და ვესროლე. ეს ვერ ვივარაუდებ, დაშავებულ ხელს სიმაგრე დაკარგული რომ ექნებოდა და ღვიძლში მიიტანა იარაღმა, სულ რომ არ ვაპირებდი, ისე! იცოცხლა, საწყალმა, რამოდენიმე დღე და გარდაიცვალა მშვენიერი, კეთილშობილი და რაინდი კაცი!.. ამ ამბავს გავდა, ასეთი ბუნების იყო ყველა ჩემი საქციელი გააბრაგებამდე და მის მერეც კაი ხანს კიდევ. ვიყავი მაშინ საშიში — სახელმწიფოსთვისაც და ადამიანობისთვისაც.

რამდენი მეტი გავიდა დრო, იმდენი დაუნდობლად და განუკითხავად მცემა ცხოვრებამ, მაგრამ არ იყო ეს მართლ ამაყი ხასიათის და ქედმაღლობის ბრალი; ერთი კაცისგან მეორე კაცის და-

ჩაგვრა მძულდა ბავშვობიდანვე, ვიტანდი ამას. გასაჭირში და განსაცდელში ჩაეარდნილი ადამიანი მებრალებოდა, ხელის გაწოდებას და მიხმარებას მოვალეობად ვუთვლიდი ჩემს თავს, ამისთვისაც იყო, რომ მხვდებოდა. ამასობაში ასაკმა მიმატა. აღრე ჩემი ღირსების შელახვას რომ ვერ ვიტანდი, მერე და მერე თითქმის მიმავეიყვანა საკუთარი თავი. ახლა სხვისი ღირსების შელახვას ველარ ვეგუებოდი ვერაფრით. დავდიოდი ამ ქვეყანაზე და, სიმართლეს ვამბობ, სიცოცხლის ფასად რომ მღირებოდა, მაინც ვებრძოდი უსამართლობით და ძალმომრეობით ლელოს გამტან კაცებს. მაშინაც საშიში ვიყავი სახელმწიფოსთვის და ძალმომრეობისთვისაც.

კაი რვა, ცხრა წელიწადი ვიდექი ამაზე. საქმე მე არ მქონდა სხვა, მიზანი დამისწრაფებდა. ეგ არის, მთავრობა მეთამაშებოდა კეკემალულობას, მაგრამ ამას არც დრო დაჭირებია დიდი, არც უკუადა გასართობადაც უკეთესს რას იტყოდა კაცი! კანონსგარეშე კაცმა თავისი ოდენა კაი საქმე თუ გააკეთა, ცხენის ზომამდე გაუზრდის და შეუღამაზებს ხალხი. მისი ბუნებაა ეს. გლახა საქმესაც ასე უშვრება. გლახა არ მიკეთებია მაშინ, დიდი სახელი გამივარდა, კაი მანძილზეც, მაგრამ ბოლო ყველაფერს აქვს და ამასაც გამოუჩინდა დასასრული: დავაკვირდი ჩემს საქციელს და იმ ხალხსაც, მე რომ გამოვადექი რამეში — შეელა იყო, დაცვა იყო, თუ ხსნა. ზოგმა ბოროტებით გადამიხადა, სხვამ იმაზე უარესი ჩაიდინა, რასაც ავაციდინე. ვილაც თვითონ განხა მოძალადე და ჯალათი. ღონე რომ მოიკრიფა ჩემი წყალობით, იმის მერე. არ ღირს ლაპარაკად!.. შევამკიე ზურგი ყველაფერს, აღარ ჩავერიე სხვის საქმეში, ქვა ქვაზე ნუ დარჩება ნურსად-მეთქი! მაშინ ყველამ დაივიწყა, რაც სიკეთე მქონდა ვაკეთებულ, ცუდი კაცების ქორებს აყვა ხალხი, ზურგი შემამკიცია თვითონაც.

**ვახუა აბრეჯიძე**  
დათა თუთაშვილი



დავრჩი მარტომარტო და მივხვდი, არ მოვიქეცი სწორად, მაგრამ მომავალში რა მეკეთებინა და როგორ მეცხოვრა, ვერც ამის ვავიგე რამე. გრაფმა რომ შემთხვევა მოიყვანა, იმის განსჯაში ის იქნებოდა მართალი, ვინც ასე იტყოდა: სახელმწიფოს იმ კაცის არ უნდა ეშინოდეს, რომელიც ბოროტების დათრგუნვას და მანში გაბმული მებრძოლი კაცების დახსნას არ შეეცდება! აღარ ვარ საშიში, ამიტომ აღარ ვარ!

ვიცი, გაინტერესებთ ყველას, რისთვის ვარ აქ, რას ვეძებ და რატომ მოვედი ჩემი წილი ბორკილის თუ ყულფის დასაწიერზე. გეტყვით მაგასაც. არც მგლის მოდგმის ვარ, რომ საქმლის შოვნისთვის ვიცხოვრო მხოლოდ და არც კურო ხარი, რომ ბალახი და ძროხები მჭირდებოდეს მარტო. ერის შვილი ვარ მე. ფიქრი მჭირია და საზრუნავი! არ შემიძლია მკლავებდაკრფილი ვიდგე და მშვიდად ვუყურო ჩემს ქვეყანას!.. მოვედი თქვენთან, ვნახვე, ვიფიქრე, რით ასაზრდოებს ეს ხალხი თავის გულს და გონებას. არც თქვენ არ იცით, მგონია, რა საკეთებელი და ნამდვილი საქმე. ერთი კია, ჩემსავით მოწყურებული ხართ თქვენც; საუბრობთ, ვარაუდობთ, ეძებთ. რაღაც გზაზე დგახართ, მართალია ესეც, მაგრამ სანამ მანდღედან აზრი, მიზანი და საზრუნავი ჩამოყალიბდება, საუბრუნე გაივლის კიდევ!

დათა თუთაშხია წამოდგა, გაიარა-გა-მოიარა, ხელში კრიალოსანი აათამაშა. პირველად ვხედავდი აღელვებულს, მაგრამ თვალნათლივ ჩანდა, თავის დაუფლებას ლამობდა და ეუფლებოდა კიდევ.

— თქვენო ბრწყინვალეებო, — თქვა მან, როცა სრული სიმშვიდე იგრძნო. — არ ვიცი, მივიღებ თქვენგან იმ ქალღსს თუ ვერ მივიღებ და არც ის მგონია, დიდი მნიშვნელობა თუ აქვს მაგას ჩემი მომავალი ცხოვრებისთვის. ამჟამად, დღეს, ვარ თუ არ ვარ საშიში კაცი — ვთქვი უკვე. ეგ არის თხუთმეტი თუ ჩვიდმეტი წელიწადი გავიდა, — გაიამბეთ მე, რამდენჯერ შემეცვალა ზნე

და საქციელი ამ ხნის მანძილზე. — ცი და ვერ მოგახსენებთ, ხვალ თუ ერთი წლის მერე რა გზას დავადგები. გოგემ ბრძანა აქ, კანონი როგორ მოიქცევა, იმაზე და მოიკიდებელი ბევრით. კანონი და სახელმწიფო, ჯერჯერობით, ისე აქვს კაცობრიობას აგებული, რომ გააბოროტოს კაცი, სიძულელი ჩაუდოს გულში. ნუ ჩამითვლით, თითქოს, იმის თქმა მინდოდა, რომ მხოლოდ რუსეთის იმპერიაშია ეს. ყველა ახლანდელ სახელმწიფოს და ყველა ახლანდელ წყობილებას ვგულისხმობ მე. გავადრო, მიხვდება ადამიანი ამას და შეიცვლება თანდათანობით თუ ერთბაშად ეს ამბავი. სიცრუის თქმას არ ვიკადრებ და ვერავის ვერ მივცემ იმის პირობას, რომ ჩამიდებენ თუ არა პატიების ქალღსს ჯიბეში, მეორე დღესვე შევდგები ბერად და მეფის და იმპერიის დეგრძელობისთვის ლოცვაში გადავიტყავებ მუხლებს. საითაც გული გამიწევს, იქით წავალ და იმ გზაზე ვივლი, თქვენო ბრწყინვალეებო! ეს არის ჩემი სიმართლე. თქვენ ბრძანეთ, თუ არ ერგება პატიების ქალღსს, ერთი კვირის ვადას ვაძლევ თუთაშხიას, ხელს ვერ ახლებს ვერავინო. არ მსურს, ჩემი გულისთვის უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდეთ. ჩათვალეთ, რომ არ გაქვთ ნათქვამი ეგ. სადაც გამიყვანს იღბალი და მარჯვენა, ის იყოს ჩემი ხედრი!

სიჩუმე ჩამოვარდა და დიდხანს გაგრძელდა. ანაზღად მივხვდი, რომ გრაფის შეპირებულ პატიებას დათა თუთაშხიასთვის, მართლაც, არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა. ეს კაცი საგანგებო, მხოლოდ მისთვის არსებული კანონ-წყესებით მართავდა თავის ცხოვრებას და სწყუროდა მხოლოდ ერთი რამ: მოქმედება, პატიების სიგელით ჯიბეში თუ უამსიგელოდ, — სულერთი იყო!

— ბატონო თუთაშხია, თქვენ ბრძანეთ, სახელმწიფო, როგორც ინსტიტუტი, ადამიანის გამაბოროტებელი საწყისიაო, — ხმადებლა თქვა გრაფმა და შემდეგ ყველას მოგვმართა: — ბატო-



ნებო, თქვენც იზიარებთ ამ შეხედულებას?

— მე ვიზიარებ! — მიუგო ნანომ.

— ხომ არ განმარტავდით... ესე იგი, უფრო ვრცლად ხომ არ გვეტყოდით? ამჟამად არსებობს თეორიები, რომელთა დედააზრი მაგ შეხედულებას რამდენადმე ემთხვევა...

— სიამოვნებით, გრად, — დათანხმდა ნანო, — თუმც კი, მგონია, რომ რასაც ვიტყვი, არც ერთ მათგანს არ დაემთხვევა. ამ შეხედულების ავტორი არასოდეს არ იმეორებს სხვის აზრს, არ მოჰყავს ციტატები სხვათა ნაწარმოებებიდან, არ იმოწმებს ავტორიტეტებს. ამასთან, იგი საუბრობს მხოლოდ საყოველთაოდ ცნობილ და მტკივნეულ პრობლემებზე, მაგრამ აშუქებს და ასახივოსნებს მათ თავისი სადა გონებისა და კეთილი გულის განუმეორებელი ნათელით.

— მით უფრო საინტერესოა, — გაამბნევა სეგედომ.

— მეღა დავრჩი, განსასჯელი საკითხის გამო აზრი არ გამომიტყვამს. სწორედ მაგ ასპექტით ვაპირებდი მსჯელობას. სხვისი ნააზრევის განმეორება ძნელია, მაგრამ... ინებეთ! დღემდე არსებული დიდი სახელმწიფოების ძირითადი თავისებურება გაფართოებისკენ, ახალი ხალხების დაპყრობისკენ, მათი მიწა-წყლის მიტაცებისკენ, მსოფლიო ბატონობისკენ სწრაფვაა. მათ იმპერიები ეწოდებათ, ხოლო ეს გამუდმებულ საომარ მზადყოფნას ან უშუალოდ დაპყრობითი ომების წარმოებას ნიშნავს. ომის ძირითადი მასალა მეომარია. ძლევამოსილების უმნიშვნელოვანესი პირობა ჯარისკაცის მძაფრი საომარი განწყობილებაა. თავდაცვითი ომების მამოძრავებელი ძალა მამულიშვილობა, სამშობლოს სიყვარულია და პირიქით: ვინ და რა გზით შესძლებს ადამიანი დაპყრობისთვის, ქლევტისა და ნადგურისკემისთვის აღძრას, დაატოვებინოს ოჯახი, სახლ-კარი, სამშობლო, უცხო მიწაზე სასიკვდილოდ წაიყვანოს, თუ გულში წინასწარ სიძულვილი არ ჩაუთესა! და-

პყრობითი ომის მამოძრავებელი ძალა სიძულვილი, გაბოროტება და მოხვეჭელური სულია. ადამიანში ამ მდებალი თვისებების აღძვრა-გაღვივება, პიროვნების ჭეშმარიტი დანიშნულების რღვევა, იმპერიის ბუნებიდან მომდინარეობს, მისი პირდაპირი მიზანია, მისი არსებობის გარდუვალი, აუცილებელი შედეგია. კაცობრიობის წარსულის ყველა საზოგადოებრივი თუ რელიგიური მოძღვრება ურჩევდა ადამიანს, ბოროტი ნუ იქნებო, მაგრამ არც ერთ მათგანს არ შეუქმნია საზოგადოების ისეთი მოდელი, რომლის ძირითადი ნიშანი ადამიანთა გაბოროტება კი არა, ურთიერთპატივისცემა და სიყვარული იქნებოდა. ამას მხოლოდ მარქსიზმი გვირღედა. ეს მოძღვრება ერთობ დამაჯერებელი სისწრაფით ვრცელდება. საფიქრებელია, რომ იგი სულ ახლო მომავალში კაცობრიობის წამყვან იდეად გადაიქცევა და მაშინ დაიწყება ახალი ეპოქა ზნეობის განვითარების ისტორიაში. ეს არის პასუხი კითხვაზე, რომელიც თქვენ ახლახან დასვით. კიდევ ორიოდ სიტყვა ძირითადი საკითხის გამო: პიროვნება, რომელშიც სიკეთე, სიყვარული და მშვენიერების გრძნობა სხვა თვისებებს სჭარბობს, შეუძლებელია არ იყოს იმპერიისა და მისი კანონების აქტიური მოწინააღმდეგე და იგი იმ ზომით არის მოწინააღმდეგე, რა ზომითაც არის სხენებული ღირსებები მასში მოცემული. იგულისხმება ისეთი პიროვნება, რომლისთვისაც სიკეთე, სიყვარული და მშვენიერების გრძნობა ანგარების მისაჩქმალავი ნიღაბი კი არა, ფსიქიკის ჭეშმარიტად ბუნებრივი მონაცემი და განუყოფელი კუთვნილებაა, ასეთ ნიადაგზე აღმოცენებულ ნაყოფთან უპირველესია კაცობრიული სამართლიანობა და, ცხადია, რომ ამ გრძნობით გამსჭვალული ადამიანი უეჭველ და აუცილებელ წინააღმდეგობაში იმყოფება დიდპყრობელურ სულთან,

**ზაზუა ამირაჯიბი**  
დათა თუთაშვილი



ანუ იმპერიის წყობილებასა და კანონ-  
თან, იგი იმპერიის აქტიური მტერია.  
არის მეორე გარემოება: სიკეთე, უპირ-  
ველესად ყოვლისა, ერისთვის სამსახუ-  
რი და კაცთათვის მაგალითია; სიყვარუ-  
ლი — უანგარობასა და პირუთვნელო-  
ბაში გამოხატული კეთილმოსურნე და-  
მოკიდებულება სამშობლოსა და სამყა-  
როს მიმართ; მშვენიერების გრძობას  
მშობლიური მიწა-წყლის სილამაზე და  
ერის ზნეობრივ-კულტურული საგან-  
ძური აღვივებს. ყოველივე ამას ზიარე-  
ბული კაცი — მამულიშვილია, პატრიო-  
ტია. ეს ნიშნავს ცხოვრებას დევიზით:  
„ერისა და მამულის კეთილდღეობა —  
უწინარეს ყოვლისა!“ — მაგრამ აუცი-  
ლებლად და მხოლოდ კაცობრიულად  
კეთილი საშუალებებით — მშვიდობის,  
სამართლიანობის, ზომიერების, სხვა  
ერების უფლებათა პატივისცემის გზით  
და ეს არის უზენაესი სიბრძნე, რომელ-  
საც ინტერნაციონალიზმი ჰქვია. თქვენ  
ბრძანეთ, გრაფ, რომ დათა თუთაშხიას  
შესახებ მრავალმხრივი და უხვი ინფორ-  
მაცია მოგებოვებათ. თუ ეს ასეა, მაშინ  
თქვენთვის ისიც თავისთავად ცნობი-  
ლია, რომ დათა თუთაშხიასთან კაცე-  
ბი იმპერიისთვის უაღრესად საშიშნი  
არიან! სხვა შეხედულების არსებობა  
გამორიცხებულია.

წამით სიჩუმე ჩამოვარდა და გრაფმა  
ჩაილაპარაკა:

— საინტერესო სუბიექტია ეგ სანდ-  
რო კარიძე.

უანდარმთა შეფმა კიდევ ერთხელ  
დაგვარწმუნა, რომ, მართლაც, ყველა-  
ფერი იცოდა.

— თქვენ გგონიათ, გრაფ, რომ მარ-  
ტო სანდრო კარიძე აზროვნებს ასე?  
სრულიადაც არა! კარიძე სხვაზე უკეთ  
აყალიბებს იმას, რასაც უმრავლესობა  
ფიქრობს, — უთხრა ნანომ.

— არა, საინტერესო ის არის, რომ  
ახალი იდეოლოგიის ჩამოყალიბების  
მოწმენი და თანამონაწილენი ვართ...  
ასეთი ეპოქა! — გრაფმა ხელი ჩაიქნია  
და ჰკითხა: — ქალბატონო ნანო, დაამ-  
თავრეთ?

— არა. ორიოდ სიტყვა კიდევ უნდა  
სათქმელი უბრალო, ადამიანურ მოთხო-  
ციებიდან.

ნანომ განაგრძო. მას, ალბათ, ასეთი-  
ვე ინტონაცია ექნებოდა, იგივე არგუ-  
მენტებს დაეყრდნობოდა, უანდარმე-  
რიის შეფთან მიღებაზე რომ მისულიყო  
დათა თუთაშხიას ხედრის შემსუბუქე-  
ბის სათხოვნელად. იგი არაფერს არ ამ-  
ტკიცებდა, არაფერს მოითხოვდა —  
მხოლოდ ემუდარებოდა, მხედველობა-  
ში მიეღო, რომ...

— თქვენო ბრწყინვალება, შეხედეთ  
კეთილმოსურნე თვალთ, სხვა არაფე-  
რია საჭირო. ხშირად შეგხვედრიათ და-  
თა თუთაშხიაზე სანდომიანი და კეთი-  
ლი ადამიანი? ენდეთ ინტუიციას და  
ჰკითხეთ თქვენს საკუთარ გულსა და  
გონებას: შეუძლია ამ ადამიანს იყოს  
უარყოფითი, ავი, ბოროტი, მრისხანე?..  
დევს თუ არა მის ბუნებაში, მის ხა-  
სიათში დანაშაული და ბოროტმოქმე-  
დება... არ ეყო, რაც ტანჯვა-წამება გა-  
მოიარა? უნდა ედირსოს თუ არა რო-  
დისმე ჰერს, ოჯახს, ლოგენს, მშვიდ  
ძილს!?. — ნანოს ცრემლები გადმოს-  
ცვივდა, ზეზე წამოიჭრა და სასტუმ-  
როსკენ გაემართა.

გრაფი მიჰყვა, ზღურბლზე შეაჩერა:

— ქალბატონო ნანო, ვწუხვარ, რომ  
თქვენი აღლევებისა და ცრემლების მი-  
ზეზი ჩემი მოსვლაა. პატიებას გთხოვთ.  
თავს ვიმხნევებ იმით, რომ მნიშვნელო-  
ვან საქმეებს თავისი უსიამოვნებები  
ახლავთ!.. შემომხედეთ. ო, როგორ გამ-  
შვენებთ ცრემლი! რომ მცოდნოდა, სა-  
განგებოდ შევეცდებოდი ამეტირები-  
ნეთ. თავბრულდამსხმელი ქალი ხართ,  
ქალბატონო ნანო... კმარა მშვენიერე-  
ბა, ნუ დაიდებთ ხუთი მამაკაცის ცოდ-  
ვას, ჩამოდიტ ციდან!..

ნანომ გაიცინა, გრაფს მოჰყვა, მაგი-  
დას დაუბრუნდა. ცრემლები მაინც  
სცვივოდა და ილიმებოდა — ქალური  
სისუსტისა და უმწეობის რცხვენოდა,  
მშვენიერი იყო ნანო...

— ღვინო! — დაიძახა გრაფმა, ჰიქე-  
ბის შევსებას თვითვე მიჰყო ხელი და



სიცილით მკითხა: — თვადო, ხომ საინტერესო გასართობი შემოგთავაზებთ?!

— შეუღარებელი, გრაფ... და მეტად სასარგებლოც!

— მანდილოსნის ცრემლს გაუმარჯოს, ბატონებო! — სეგედიმ ჭიქა ასწია. — ყველაზე დამაჯერებელ, ქმედითსა და შედეგიან არგუმენტს! ქალბატონ ნანოს გაუმარჯოს, რადგან მან ეს არგუმენტი თავის უმშვენიერეს ვარიანტში წარმოგვიდგინა!

გრაფი ნანოსთან მივიდა, ხელზე ეამბორა.

სადღეგრძელომ ხმაურით, ხუმრობითა და ბროლის წკრიალით აავსო ოთახი. ქრიალულმა ხმაში იმატა, აღგზნებამ დავა-კამათის განწყობილება შექმნა. ამ საყოველთაო აყალმაყალში გრაფი ზეზე წამოდგა და სიტყვა ითხოვა.

— ბატონებო, სამწუხაროდ წასასვლელი ვარ. მინდა დიდი მადლობა გადაგიხადოთ მიღებისა და მასპინძლობისთვის. ნასიამოვნები და ფრიად კმაყოფილი მივდივარ. გჯეროდეთ, რომ მუდამ მეხსომებით, როგორც საუკეთესო თანამესუფრენი და დახვეწილი ადამიანები. თავს ბედნიერ კაცად ჩავთვლი თუკი დადებით შთაბეჭდილებას დავტოვებ. აქამდე მიკრძალავდა სამსახური და თანამდებობა ჩემი მოსვლის ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზის გამხელას. აი, მთავარი მოტივი... — გრაფმა უბიდან ორი ქაღალდი ამოიღო, ორივე ოთხად მოკეცილი. ერთი მათგანი დათა თუთაშხიას სახელზე შედგენილი პატიების სიგელი იყო. მეორე — ამ სიგელის მიღება-ჩაბარების ოქმი, რომელსაც ხელის მოწერა სჭირდებოდა. — ბატონო ირაკლი, არ მინდა შეგაწუხო ბატონი დათა თუთაშხია. წარმოადგინეთ რწმუნების საბუთი და შეასრულეთ მოვალეობა.

— სიამოვნებით, გრაფ, მაგრამ ხელშეკრულება სანოტარო კანტორაში მაქვს, სამწუხაროდ, — ვთქვი მე.

დათა თუთაშხიამ ხელშეკრულების თავისი ასლი ამოიღო.

— ამანაც ივარგოს, იქნება, — თქვა მან და საბუთი გრაფს გადააწოდა.

გრაფი კითხვას შეუდგა. პატიების სიგელს თვალი საჩქაროდ ჩავავლე, სხვებს გადავეცი, საწერ-კალამი გამოვიტანე, ჭურჭელი მივწი-მოვწიე და, როგორც ვეჭილმა და რწმუნებულმა, ოქმს ხელი მოვაწერე.

გრაფი ფეხზე იდგა. ცალ ხელში ჭიქა ეჭირა, მეორეში ნოტარიუს ირაკლი ხურციძესა და ლაზ აზნაურ არზნევ მუსკიას შორის დადებული ხელშეკრულება და ყურადღებით კითხულობდა.

— რამდენი ხანია, ბატონო თუთაშხია, რაც თქვენი მამიდაშვილი მუშნი ზარანდია არ გინახავთ? — იკითხა სეგედიმ, როცა ეტლის საფეხურზე ფეხი შესდგა.

— მეთქვსმეტე წელიწადია, თქვენო ბრწყინვალეზავ, — მიუგო დათამ.

გრაფმა გახდიმა:

— ორი საათის წინ ამ ეტლში იჯდა, აქ იყო!

სიჩუმე ჩამოვარდა.

— რისთვის იყო აქ? — ჰკითხა თუთაშხიამ.

— იმ შემთხვევისთვის, თუ გაქცევას დააპირებდით. მოსაბრუნებლად იყო, დასარწმუნებლად, რომ ცული განზრახვით არაფერი არის მოსული.

გრაფი ჩაჯდა, საათი ამოიღო და დასძინა:

— დღეს, საღამოს ცხრა საათზე ბატონი მუშნი ზარანდია თქვენთან სასტუმროში მოვა. მთხოვა, გადმომეცა ეს!

ეტლი კუთხეს მიეფარა.

სუფრას მივებრუნდი.

— რატომ დგებიან ასეთი კაცები ასეთი მთავრობის სამსახურში, ნეტავი? — თავისთვის თქვა დათა თუთაშხიამ.

— ეხლა სეგედი თავისი ჟანდარმერიისკენ მიდის და ფიქრობს: რანაირად ხდება, რომ ასეთი კაცები ყაჩაღად გადაიანო! — მიუგო ელიზბარ კარიჭაშვილმა.

**ზაზუა აშირაჯიზი**  
დათა თუთაშხია



დათა თუთაშხიასთან დაშორებიდან თერთმეტი წლის და ნანო თავყელი-შვილ-შირერის კალიფორნიაში გადასახლებიდან რვა წლის შემდეგ სამოქალაქო სამართლის ნორმებმა, კერძოდ, სანოტარო საქმისწარმოების წესების სათანადო პუნქტმა, საშუალება მომცა ჩემს კანტორაში მათ მიერ შესანახად დატოვებული თუ ამავე მიზნით მერე გადმოგზავნილი პაქეტები გამეხსნა. იმ დროისთვის, როგორც ერთი, ისე მეორე კლიენტი უკვე შევიდი და მეტი წლის მანძილზე სდუმდა. მოვალე ვიყავი გაცნობოდი მათი ანაბრის შედგენილობას და მენახა, ხომ არ შეიცავდა იგი მითითებას, სურვილსა თუ განკარგულებას იმ შემთხვევისთვის, თუკი რაიმე მიზეზის გამო მათი ასეთი მითითება, სურვილი ან განკარგულება დროის ხსენებულ მანძილზე არ გადმოიმეცემოდა.

თერთმეტი წელიწადი და შევიდი წელიწადი! ეს სრულიად საკმაო დრო იყო იმისთვის, რომ ჩვენი თბილი, გულითადი დამოკიდებულებები მიმვიწყებოდა, ჩემი პროფესიის კაცს მეყასბესავით ამელო დანა და კონვერტები გამეჭრა, მაგრამ!.. გავაღე სეიფი, გადმოვიღე ჯერ ერთი, მერე მეორე საქაღალდე. მაგიდას მივიუჯექი... ხელები ამიკანკალდა, დანა დავდე და ფიქრმა წაიძლია.

დიღხანს ვიჯექი ასე. რამდენჯერმე ძალისძალად შევიკავე ყელში მობჯენილი და თვალზე მომდგარი ცრემლები. იმ დღეებზე სხვა დროსაც ბევრი მიფიქრია, განა არა, მაგრამ, ეხლა ეს ფიქრი შემაჯამებელი ფიქრი იყო — სინანულით, სევდითა და მწუხარებით აღსავსე მოგონება ადამიანებისა, რომლებმაც ჩემი სიცოცხლის მოკლე, ამასთან, უაღრესად საინტერესო მონაკვეთი შეავსეს და მოწყვეტილი ვარსკვლავებივით მიეფარნენ თვალს.

მიეფარნენ და მერე როგორ!

ვახტანგ შალითურმა პორტ-არტურის ალყის დროს გაათავა თავისი ბოლმით სასვე სიცოცხლე. ყუმბარამ ნაკუწებად

აქცია თავზეხელაღებულს...  
სანდრო კარიძემ მონასტერი ფიქრისა და ფილოსოფოსის შრომისთვის საუკეთესო ადგილად მიიჩნია, სამსახურს თავი მიანება, ბერად აღიკვეცა. ერთხელ ძეგვის სადგურზე დაინახე. თვალი ამაზრიადა. ელიზბარ კარიჭაშვილი საერთოდ გაქრა. მითხრეს, სოფელში ძველთაძველი სახლი და ერთი გადალაგება მიწა შემორჩენოდა. დაბრუნებულა, ოჯახს მოჰკიდებია, ყვავილების მოშენებას მისდგომია. გოგას ყელში ამოუვიდა რესტორატორობა, მძიმე პოლიტიკურ საქმეში გაეხვია. ბორკილი ხელმეორედ დაადეს, ეხლა უკვე ხის ფეხზე, და კანტორაში წაიყვანეს. მე მას რეგულარულად ვუგზავნიდი თვეში ათ მანეთს, სანამ ცოცხალი იყო. ნანოსი წასვლის დღიდან აღარაფერი მსმენია. დარწმუნებული ვიყავი, რომ ერთხელ მაინც გამომელაპარაკებოდა. ალბათ, აღარ იყო, თუმცა ნამდვილად ესეც არასოდეს მცოდნია. მარტო დათას ცხოვრების ექო მწვდებოდა ხოლმე ხანგამოშვებით. ცოცხლობდა, დაუნდობლად ებრძოდა თავს და იყო მუდამ მართალი კაცი — ერთადერთი და განუმეორებელი. ცოცხლობდა?.. ექვსი, შეიდი თვის წინანდელი ცნობების თანახმად, თორემ მაშინ, როცა პაქეტებს ვხსნიდი, იქნებ, უკვე აღარც ის იყო!..

გახსნის შედეგად ჩემს ხელთ აღმოჩნდა რამოდენიმე მნიშვნელოვანი საბუთი და ამ ორი ადამიანის მიწერ-მოწერა. დათას მიერ მიწერილი წერილები ნანოს ცალკე პაქეტში ჰქონდა. ნანოს წერილები სხვა ქაღალდებთან ერთად დათას ერთადერთ ანაბარს შეადგენდა. საბუთებით დაკისრებული ვალდებულებები შემდგომში სრულად და პირნათლად მოვიხადე. მათ საქაღალდეებს ჩემი სანოტარო კანტორის არსებობის უკანასკნელ დღემდე ვინახავდი. მერე არქივის განადგურების საათმაც დაკრა; დათას და ნანოს საქაღალდეები ასე, პირდაპირ, დასაწვავად ვერ გავიშე.

ჯერ წერილები ამ რვეულში გადმოვწერე და მერე დავეწვი.

„ლაზო! პირისპირ თქმა მინდოდა, მაგრამ ერთთავად ხალხში ვიყავით და ვერ მოვახერხე. ნაწილობრივ იმანაც შემადგერხა, რომ, ვნახოთ და, ასეთ საქმეებში ჩარევას მანდილოსნისთვის შეუფერებლად სთვლიდე?!

გუშინდელი დღე ჩემთვის ისევე გადატვირთული იყო განცდებით, როგორც ის, როდესაც პირველად გნახე ოჩამჩირეს მიდამოებში. განსაკუთრებულ გარემოებებში შეხვედრა, ალბათ, განგებისგან გვაქვს ხვედრად ბოძებული, თორემ საიდან სადაო?!

წუხელ დიდხანს არ დამეძინა, განვილილ დღეზე ვფიქრობდი. მერე დავიწყე ფიქრი იმაზე, თუ რატომ ვფიქრობდი ამდენს და ასე დაქინებით და იმაზეც, რომ ვიფიქრე თუ არა ამდენი ოჩამჩირეს ამბავის ღამეს. ბოლოს დავივლიდი, შფოთის შემოტევა გარემოებათა სიმძაფრეს მივაწერე და ჩამეძინა.

მხოლოდ დილამ მომიტანა სიცხადე, თურმე ვწუხდი იმის გამო, რომ გუშინვე არ გამოვნახე საშუალება მეტყევის, რაც შენ, ალბათ, უკეთ იცი, მაგრამ მაინც აუცილებელი სათქმელია: როგორ იქცევი!.. ვხედავ, ირაკლის მართლაც, ლაზი აზნაური არხნევ მუსკია ჰგონიხარ. იმაშიც დარწმუნებული ვარ, რომ შენი ნამდვილი ვინაობა თუ გაიგო კიდეც, მისგან ავი არაფერი გელის, მაგრამ გუშინ ორთაქალის ბაღებში, იმდენ ხალხში, ისე ახდილად ყოფნა?! ხომ შეუძლებელია, იქ პოლიციისგან არავინ ყოფილიყო?.. მე ვიცი, შენი ჩიბარებისთვის ჯილდოა დანიშნული და, ცხადია, თანხა შავი ორდერიტაც არის შემადგებელი. ვინმე ნაძირალა ზურგიდან მოგეპარება და გესვრის.

რა გინდა აქ, რაში გჭირდება ყველაფერი ეგ?.. მართალია, მე მაგის ჩხიბვის უფლება არ გამაჩნია, მაგრამ:

ბორკილებს ერთი ნაბიჯი გაშორებებს, მოეშვი აქაურობას!

ამ ბეჭედს გიგზავნი ხსოვნისთვის და ნიშნად ამაღლებული მეგობრობისა.

ამეთვისტო ჩემი თვალა.  
წადი, ლაზო!  
ნ.“

„გამიკვირდა ძალიან და გამეცინა, ქალბატონო ნანო, წერილი რომ მივიღე, ჩემს სიცოცხლეში არ მიმიღია წერილი. ვის უნდა მოეწერა ჩემთვის და სად უნდა მოეწერა, ნეტავი. იღბლიანი კაცი ვარ დიდად. სხვაგან რომ მიიქვამს ეს, გასცინებიათ, ვინც ჩემი ცხოვრება იცის. იღბალი არ მქონოდა, მაინცდამაინც თქვენ რატომ შეგეყრებოდით ოჩამჩირეში? აქამდე რა მაცოცხლებდა და რა მატარებდა? ზელმეორედ როგორ გნახავდით? დღეს ერთი დიდი სიხარული მარჯუნა იღბალმა კიდეც — პირველი წერილი მივიღე და ისიც მიწაზე უმშვენიერესი მანდილოსნის ხელით დაწერილი!

არ იცით, ალბათ, რა არის თქვენი წერილი ჩემთვის. არავინ არ იცოდეს, იქნება, ეს!.. ჩემი საქმის კაცი ვერ იბოგინებს, თუ ჰგონია, რომ მოფიქრალი და მზრუნველი ჰყავს ქვეყანაზე ვინმეკაი ხანია მას მერე, რომ მივხვდი — ჩემზე მე უნდა ვიფიქრო, მხოლოდ, და ცის ქვეშ ყველაფერზეც უნდა ვიფიქრო მე. ორივე ტვირთი უნდა ვზიდო ერთდროულად და ერთად. ერთ-ერთის ან ცალ-ცალკე ზიდვა უქმად შრომა არის ყოველთვის. კარგია ეს — მარტოკაციც ვარ და მთელი ქვეყნირებაც, მაგრამ ასეთ ადამიანს თანდათან და ბოლოს მთლად ავიწყდება, შესაძლებელი თუა ვინმემ რომ იფიქროს და იზრუნოს მისთვის. მიავიწყდება ეს და მოთხოვნილებაც მიიძინებს ამის — ხავსით დაიფარება, ფერფლი მიეყრება, ჩაკვდება, თითქოს. ცხოვრობ ასე — გიჭირს, გილხინს, წუხარ, მხიარულობ და აღარ იცი, რომ არის ადამიანისთვის ერთი სანუკვარი გრძობა კი-

**ვახუა ახრიაჯიძი**  
დათა თუთაშვილი





ღევ: ის სიხარული, როდესაც გაიგებ, რომ შენზე ფიქრობს ვინმე და შენი ბედი აწუხებს გულწრფელად და უანგაროდ. პატიოსანი თვალივით იშვიათი ლა ძვირფასი სიხარულია ეს სიხარული. რამდენ პირობას უნდა მოუყაროს თავი მის ასახდენად განგებამი ამას მხოლოდ რჩეულთათვის აკეთებს, მგონია, უზენაესი. მე ვარ მისი რჩეული, იღბლიანი კაცი და თქვენ ერთადერთი ადამიანი, ვინც ეს იშვიათი სიხარული მაჩუქა.

რისთვის და რად ვარ აქ — გრძელი საწერიია, მაგრამ მომავალში მოჩერხდეს იქნებ, თქვენსა და ჩემს შორის ეგ საუბარი, ასე მიგრძნობს გული. ნურაფერი შეგაწუხებთ, ქალბატონო ნანო, არ მაქვს ცუდის წინაგრძობა... ისე არ ჩამითვალთ, ვითომ, მთლად შემთხვევას მინდობილი კაცი ვიყო, მაგრამ ჩემი წინაგრძნობის მჭერა. როგორ არ მჭეროდეს, ნეტავი; ჯერ საათივით აწყობილი მომცა ბუნებამ და მერე უთასჯერ მაქვს გამოცდილ-შემოწმებული. ნურც იმას გაიფიქრებთ, თითქოს, თავკერძობით ცვხოვრობდე ქვეყანაზე და ჩემს იქით არ მესაქმებოდეს არაფერი და არავინ. სწორედ პირიქით არის ეს. დევნილი კაცისგან დიდხანს და საიმედოდ თავის შენახვას ერთი პირობა აქვს თავისი: ჩემი აკარგი იმ კაცების აკარგიდან გამოდის, ვისთანაც ვარ და ვისითაც ვარ. თუ მინდა ხიფათი არ შემემთხვეს, ჯერ იმაზე უნდა ვიფიქრო, რომ ჩემს კაცებს ვერ მიუღდეს ეჭვი, კანონი და სასჯელი. მეგობარი თუ გყავს კარგად, შენც მშვენივრად ხარ მაშინ. უბრალო და მარტივი პირობაა ეს. ზევით სხვა სიტყვებითაც დავწერე ამაზე — ორი ტვირთის ერთად ზიდვაზე რომ მოგახსენებდით. ყველა ღონე მაქვს მიღებული და მენდეთ, ქალბატონო ნანო, რომ ჩემს გვერდით მყოფ ადამიანს არც ერთს არ მოელის ხიფათი.

თქვენი ორმაგად ძვირფასი საჩუქრის მიღება მეუხერხულა დიდად. მე უნდა მებოძებინა თქვენთვის რაიმე, პირველ

ყოვლისა. მქონდა გულში, მაგრამ ნაღვრევად მივიჩინე ჯერ. ვიღებთ თქვენთვის პატიოსან თვალს, როგორც დედოფლის საჩუქარს და უღრმეს მადლობას მოგახსენებთ, როგორც ერთ-ერთი რაინდი და ქვეშევრდომი თქვენი სამეფოსი.

ამ წერილს ირაკლის კანტორის უკანა კაბინეტში ვწერ და მის შიკრიკს გამოვატან. ერთგული და სანდო კაცი ყოფილა ისიც. ერთადერთი და უმორჩილესი სათხოვარი მაქვს: ჩვენს შეხვედრებში თქვენთვის საშიში არაფერია — მერწმუნეთ და მენდეთ. ნუ მომერიდებთ და ნუ მომაკლდებით. უთქვენოდ აღარაფერს ექნება აზრი.

მარად თქვენი თაყვანისმცემელი — დ. თ.

„შეწუხებული ვიყავი, ქალბატონო ნანო, თქვენი ნაწყენობით. მითხარით: „უღირსი იყო ამ საღამოს შენი საქციელი, ლაზო. მე შეურაცხყოფილი ვარ!“ მერე ეტლიდან ჩამოძრძანდით, ცივად გამომემშვიდობეთ და სამუდამოდ წასულივით შეხვედით შინ. კინალამ წონასწორობამ მიღალატა მაშინ, კინალამ ჩამოვხტი მეც, რომ ათასი ბოლიშის მოსახდელად და მოტყევისთვის მეხმეთ... მივხვდი დროზე, ამას შეურაცხყოფად მიიღებდით კიდე. ჩამოვედი, ფეხით დავბრუნდი სასტუმროში, განადგურებული და გულდამწვარი.

ღამე გავათენე ამ წერილის წერაში. ვვედრებ განგებას, იმ ზომის არ აღმოჩნდეს თქვენი წყენა, რომ წაუციოხავად დამიბრუნოთ ეს.

ვფიცავ თქვენს სიცოცხლეს და ყველაფერს, თუ რაიმე დაფიცებად მიღირს ამ ქვეყანაზე, რომ მხოლოდ თქვენთვის იყო, რაც იყო იქ. ჩემთვის ერთი გავაკეთე მარტო — გკითხეთ, რატომ ხართ ცუდ გუნებაზე-მეთქი: მიზეზი თუ არ მეცოდინებოდა, ხომ ვერ ვიმართლებდით თავს ისე?.. აღარ მაცალეთ პირისპირ თქმა. ენით უფრო მეხერხება ეს, ვიდრე საწერ-კალმით. ვწვალობ დიდად, მიჭირს აზრის გამოყოლება, გადაწერა მიხდება ბევრჯერ



და სრულად და მაინც ვერ ვწერ, რასაც ვფიქრობ, იმას.

არ გახსოვდეთ, იქნება, მაგრამ თქვენ გქონდათ ხელი ჩემთვის გაყრილი და ირაკლი განზე იყო ცოტათი, დარბაზში რომ შევედი, მაშინ. მთელმა წვეულებამ ჩვენ მოგვაპყრო ყურადღება — თქვენ და მე, განსაკუთრებით. ზოგიერთს იმ წუთსვე შეენიშნენ ორჭოფული ღიმილი — ქალს თუ კაცს. მიგვიწვიეს და ერთად დაგვსხეს ორივე. ამას ქალბატონი მარიამიკ მიემატა — თქვენსას რომ მანდილოსანი გავიცანი, ის, ათი წუთის მერე მისგან ყველამ იცოდა, პირველად რომ არ ვარ თქვენს გვერდში. ერთი ისეთი გადალაპარაკებაც გავიგონე, სინდისს ვფიცავ, ყურები მინდოდა ამეხია ორივესთვის. თქვენ არ გაკადრეთ, ეგ არის.

ხომ უნდა მეღონა რაიმე, რომ დამსწრე საზოგადოებას აზრი შეცვლოდა? ამიტომ იყო, გამეხარდა, როდესაც ირაკლიმ მითხრა, ქალბატონ ელისო წერეთელს სურს შენი გაცნობა, ლაზეზის ამბავი აინტერესებსო. ბოდიში მოგიხადეთ და მიგატოვეთ, მაშინ. ცეკვების დაწყებისას მოხდა ეს.

ახლა ის გავსინჯოთ, ქალბატონო ნანო, მერე რა მოხდა და რა მოიტანა იმან, რაც მოხდა. ლაზეზი მიატოვაო, და ბაგრატიონები, დადიანები და გურიელები შემოგეხვივნენ უმალ. თქვენი გულის მონადირებას ცდილობდნენ ის დიდგვაროვანი კაცები. გართობდნენ, ვისაც როგორ შეეძლო და ერთიმეორეს ეცილებოდა ყველა. დღეს გულდაწყვეტილები არიან. ალბათ, პირველობას რომ ვერ მიაღწია ვერც ერთმა, სხვაზე მეტად რომ ვერ მოგაწონათ თავი. თქვენ რომ იმ წარმოსადეგი და მიმზიდველი ადამიანების წრეში თავი გეჭირათ, კეთილი თვალი მარტო მაგით მიხედებოდა, როგორი მანდილოსანი ხართ, მაგრამ მჭორავებმა სხვა გამოიჩინეს იმაში; ელისო წერეთელმა ხალხში მკითხა, — ისეთი რა მოუხერხეთ მაგ მშვენიერ ქალს, რომ ეშინია წესიერად გაუღიმოს მამაკაცსო! დაიწყეს

კისკისი. ცივად მიუღვე, — სტუმარმასპინძლობის მეტი არაფერი გეჭყვებოდა შირებს-მეთქი ჩვენ. ადრე, ლაზეზზე საუბარში, არსიუობის მაგვარი საქციელი რომ შემომამპარა ელისო წერეთელმა, ჩემი პასუხის მერე გამხნედა უფრო, მოჯადოებას უმატა ჩემსას. აყვევი მეც, ყველამ დაინახოს, ვიფიქრე, ამ ქალს რომ ვეარსიუები და ქალბატონი ნანო თავველიშვილი, რომ მართლაც, მხოლოდ მასპინძელია ჩემი-მეთქი. ეს იყო და ეს. ისევ სუფრასთან მიგვიწვიეს და მთხოვა მან, ერთად დაესხდეთო. წაყვევი, მიუღუჭევი გვერდში და ვიყავი ბოლომდე იქ. ამან მოიტანა ის, გამოსვლისას რომ კაი ხმამაღლა თქვა ვიღაცამ, — წაიყვანენ, მგონია, ჩვენს ელისოს ლაზისტანშიო! ხომ გაიგონეთ ეს, ქალბატონო ნანო, და ჩემი საქციელით თქვენზე ცუდის ფიქრებს რომ გამოეცალა ნიადაგი, ესეც ხომ მართალია?

ეს ყველაფერი ასეა, თითქოს, მაგრამ თავსატეხი ის არის, რომ მხოლოდ ერთი მხრივ არის ასე. მეორე მხრივ, მართლაც, „უღირსი იყო ამ საღამოს შენი საქციელი, ლაზო“ და, მართლაც, შეურაცხყოფილი დარჩა დედოფალი! მიზეზი ვჩხრიკე ამისი დიდხანს. ვიპოვე, მგონია, და ცხრამეტი წლის არ ვართ არც ერთი, უნდა გავიზიაროთ ჩემი შეხედულება:

ცეცხლი ხართ, ქალბატონო ნანო, და მისი წამოგიზგიზება იყო თქვენი სურვილი, უმშვენიერესი გულის მფლობელად წარსდგენოდა საზოგადოებას ლაზეზი აზნაური არზნევე მუსკია. სიკეთე ხართ და მადლიერების გრძობამ გიკარნახათ მანდილოსნური ღირსების გამეტება იმისთვის, რომ კიდევ ერთი ბედნიერი საღამო რგუნებოდა დათა თუთაშხიას. მე კი დიდი ხანია ქვა ვარ და მისმა სიცივემ მარტივი სიხარულის წყურვილი მომისპო. განდგეილი ვარ და ფიცმა აღმიკვეთა, ლოცვა დავამად-

**ზაბუა ამირეჯიანი**  
დათა თუთაშხია

ლო ვინმეს, მოხდელი ვალის საზღაური მივითვისო.

თქვენ ძღვენის ბოძება განიზრახეთ. მე არ მივიღე იგი. დამნაშავე ვარ ამაში და უმჯობესი გზა რომ ვერ გამოვინახე მიზნის აღსასრულებლად — ამაშიც.

მაპატიოს დედოფალმა, სასოება მაქვს მისი კეთილი გულის და სულგრძელობის.

თქვენი დასჯილი მონა — დ. თ.“

„**ეგმ, ღაზო!** ყველაფერი იმის ბრალია, რომ მე დედაკაცი ვარ და შენ მამაკაცი. განსხვავებული ბუნებისანი ვართ. ამიტომ მოხდა, რომ წვეულებაზე შექმნილ ვითარებას სხვადასხვა გასაღები მოვარგეთ.

იცი, რა მწყუროდა იმ საღამოს? რწმენა, რომ დამსწრეთა შორის უპირველესი რაინდი ჩემს გვერდით არის, ჩემთან არის და ეს მასაც სიამოვნებს. შურის აღსაძვრელად როდი მეწადა; განა ვინ იცოდა, რომ დთა თუთაშხია ხარ და არა ვილაც ღაზი აზნაური. ჩემი პატარა, უბოროტო პატივმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად და შენი სიხარულისთვის მჭირდებოდა ეს. ამ ჭიის მოსაკლავად მანდილოსნური ღირსებაც კი გაიწირება. ასეთია დედაკაცის ბუნება.

შენ ჩემი სახელისა და ღირსების სახსნელიად აღიძარი. ამით რაინდის რეპუტაციის მოხვეჭა არ განვიზრახავს, ვიცი; ვინ მიხვდებოდა, რომ ჩემგან ყოფნა და ელისო წერეთლის გვერდით ყოფნა სიმძიმისი იყო შენთვის. ადამიანური ვალის მოხდის გზით სულიერი მოთხოვნის დაკმაყოფილება გასურდა. მაგ ჭიის მოსაკლავად ის „მარტივი სიხარული“, რაც შენ ჩემთან ყოფნას დაარქვი, ყოველთვის და ადვილად გაიწირება. ასეთია მამაკაცის ბუნება.

ჩემი დედაკაცური ბუნების ხეაშვილი შენთვის ისევე მიუწვდომელი აღმოჩნდა, როგორც ჩემთვის—შენი მამაკაცური ბუნების საქციელი. ორი საწინააღმდეგო საწყისი შეხვდა ერთმანეთს. არის მესამეც, ორივე ბუნების ერთდროულად შემცველი — ღმერთი! ფილოსო-

ფოსები ამბობენ ასე. მე სიკეთე, <sup>მამა-</sup>ნია ღმერთად, რადგან იგი <sup>სრულყოფილი</sup> და მშვენიერებას გულისხმობს. თუ ადამიანში სიკეთემ თავისი უდაბვეწილესი სახით იჩინა თავი... შენ ახლო ხარ ამასთან.

ქეშმარიტება შენსკენ არის, რადგან შენი საქციელის შედეგი ზოგადად დადებითია. ჩემი განზრახვის შედეგი ჯერ საკუთრივ ჩემთვის იქნებოდა დადებითი და მერე მოყვასისთვის. არაფერში არა ხარ დამნაშავე. ის საყვედური „წამოგვიგვიზივინებს“ ბრალი იყო.

მაპატიე.

გადავივითხე ეს წერილი. იქნებ ჯობდა, ცხრამეტი წლისანი ეყოფილიყავით?

ნ.

P. Z. ირაკლისთვის უკვე მეგობარი ხარ და, მგონი, რომ უხერხულია, არ იცოდეს შენი ნამდვილი ვინაობა. როგორმე რასმე უნდა მივახვედროთ. ალბათ, გადაკრული სიტყვით აჯობებს. თუ თანახმა იყო, დღეს იმ გოგიას რესტორანში რომ ვიქნებით — მაცნობე, რამეს მოვიგონებ“.

„**ვილაც** რომ გიყურებს, ქალბატონო ნანო, და უკვირს, თუ შურს რა მშვენიერი ქალი ჩაუგდია ხელში ამ ღვთის გლახასო, — დამეთანხმებით, ალბათ, რომ „ღვთის გლახას“ კიდევ თუ უხარია შემოცქერლის ასეთი ფიჭი, მაინც მარტივი სიხარულია მისი სიხარული. ამას ვგულისხმობდი და არა ისე, ვითომ, თქვენს გვერდით ყოფნა მიმაჩნდეს მარტივ სიხარულად. ვნაობ დიდად, განმარტება რომ მომიხდა. ჩემი ცუდი მოქართულეობის ბრალია ეს.

წუხელის გოგიასთან ვახშობისას რაც მოხდა, ცოტა თავხედური იყო, მართალია, მაგრამ შალითურისთანა კაცებთან სხვანაირად მოქცევა არ ვარგა, კისერზე შემოსკუტება იციან მაგათ. მთლად და ბოლომდე არაფერი ეშველებათ, რაც არ უნდა იღონოს კაცმა, ვიცი მე. ეგ არის, წუხანდელისთანა გაკვეთილები შევლის ცოტათი — სხვაგან ნაკლებად



თახელი იქნება ვახტანგ შალითური, ნამდვილია ეს.

ეტლში რომ მითხაროთ, — ლაზო, მე ვიცი, ვინც ხარო, — ირაკლი გაფაციცდა. აღრე აღებული ეჭვი მაგ სიტყვებმა უფრო გაუმახვილეს, ვიგრძენი. იმდენად წარმოუდგენელი დამთხვევები ზღვება მის გარშემო, რომ თუ მიხვდა კიდევ ყველაფერს, ადვილად ვერ დაიჯერებს მაინც. ხომ არ აჯობებდა, ბოლომდე გვეთქვა ყველაფერი? ვითომ, მისთვის, — მეგობრისთვის გაკეთდა ეგ და უარეს საქმეებში და თავსატეხში ჩავაგდეთ ახლა. ჩემი ბრალია ეგეც: მეგონა, გაგრძელდებოდა საუბარი და ვეტყვოდი თვითონ. ამ ვარაუდით განიშნეთ თანხმობა რესტორნიდან გამოსვლისას, მაგრამ არ მოხდა, ისე მე რომ მიხლოდა.

რა ვქნათ, — გავჩუქმდეთ თუ პირდაპირ თქმა ვარჩიოთ?

ჩემს მოსაზრებას გეტყვით ამაზე. საერთოდ, ამ საქმეებში წესი ასეთია: ჯობია, რომ არ იცოდეს არაფერი. მე თუ ჩაუვარდი ხელში პოლიციას, — ირაკლიმ არ იცის ვინ ვარ, ჩემ თანამონაწილედ არაფერ უკანონობაში არ ყოფილა და ბრალს ვერაფერში დასდებენ მას. თუ ეცოდინება ვინ ვარ და როგორმე ათქმევინეს ეს, მაშინ ჩვენს შორის დადებულ ხელშეკრულებას ძალა ეკარგება და მეტი უსიამოვნება გადახდება, ვიდრე პირველ შემთხვევაში. საბოლოოდ ყურებზე ხახეს ვერ დააჭრის ვერავინ — ასეა ეს, მაგრამ... იფიქრეთ, თქვენც, ქალბატონო ნანო, და როგორც იტყვი, ისე მოვიქცეთ.

თქვენს მეთის ვიყავი, ჩემით ცხოვრებას რომ მივყევი. ჩვიდმეტისას პირველი მარცვალი ჩამივარდა გულში და თერამეტი წლის ასაკიდან დაწყებული ისე მეჩვენება, რომ ყველა ქალი, ყველა მამაკაცთან ყველანაირ ურთიერთობაში იჩაგრება. მის წყურვილს და ვნებას ათასნაირი შიში ახლავს გამუდმებით. ეს აწვალებს სწორედ. ყველაზე უფრო იმით იჩაგრება ქალი, რომ ეშინია, ვინმემ არ გადაიბიროს ჩემი მამაკაცი, ან თვითონ არ მიმატოვოს, სხვა

მიზეზითო. კაცებსაც კირთ იგივეს, მაგრამ რამ ნაკლებად და ნაკლებს. ეს რაღაცაა რომ გამიჯდა, მას მერე ქალთან ურთიერთობა გამიძნელდა. სულ ის იფიქრი მქონდა, ვაი, თუ ერთგულება არ გამყვეს ბოლომდე, ან რამე დავინახოთ ერთმანეთში ისეთი, გული რომ აგვიცრუვდეს ან ერთს ან მეორეს და ხომ უნდა იღარდოს და იტანჯოს-მეთქი მერე. სიყვარულის წერილი არ გამიგზავნია სიცოცხლეში არავისთვის. ჩვენმა მიწერ-მოწერამ მოიტანა და დაეფიქრდი, ცხრამეტი წლისას რომ მენახეთ, მოგწერდით თუ არა და როგორს მოგწერდით წერილს. თურმე ასეთი იქნებოდა ის:

„ბედისწერაა ჩვენი შვეხვედრა და სიყვარული, ნანო, განგებისგან ბოძებული იბაღია და ვერ წაუვალთ ეერსაით. ათასი მიზეზი არსებობდეს, იქნება, წყურვილზე ამთავითვე ხელის აღება რომ გვაიძულებდეს — ისეთი, მაგრამ არაფერი არ არის ეგ, როცა განგებამ ვალად დაგვდო ერთმანეთის ვიყოთ. ამხსნან, თუ გნებავს, ეს ვალი დღესვე — რა არის, მერე: თვითონ დავიღებ ისე, ვერ შემომბედავს გული უშენობას, სანუკვარო. ერთიც იცოდე, ცის ნაჩუქარზე უარის თქმა არ შეგჩრება არც შენ და არც მე. არც ერთი ღმერთი არ გვაპატიებს ამას, რამდენიც იწამეს ჩვენმა წინაპრებმა უწინ და მერე.

სიყვარულს ბედნიერება და სიხარული მხოლოდ მამაცებისთვის მოაქვს, მორევში უყოყმანოდ გადაშვებისთვის, მხდალის ტრფიალი შიშით და ანგარებით არის თანხლებული მუდამ. რა ღირსი არის და ვინ გაიმეტებს მისთვის ბედნიერებას! არ შედრკე, ჩემო სიცოცხლე, ჩემო ნანო, არ შეყოყმანდე, გულს წამოყევი; ნუ იფიქრებ, თუ სად მიგიყვანს ან რას მოიძი. მაინც, ერთად ყოფნაა ჩვენი ბედი, ასეა ეს, და მხდალის ხვედრს ნუ ირგუნებ შენით, სიხარულს შიშზე ნუ გაცვლი, სანატრელო.

მოვიღვივარ შენთან, რომ გემთხვიო.

**ჰაზუა აშირაჯიზი**  
დათა თუთაშვილი



ისევ თუ მეტყვი, არაო, მაშინ მოგიტაცებ, ცხრა მთას გადავატარებ.

სამარემდე შეყვარები და სამარის იქითაც, როგორც არავის ჰყვარებია დასაბამიდან“.

ხედავთ, ქალბატონო ნანო, ის შიში მე თქვენშიც ვიგულისხმე, მიუხედავად იმისა, რომ ერთხელ ბრძანეთ, ველიეო ამას. იქვე და იმავე საუბარში ისიც ბრძანეთ, ჩემს ცხოვრებაში გამორიცხული არაფერია, სრულიად და ყოველმხრივ თავისუფალი ვარო. შიშის დაძლევის დავიჯერებდი კიდეც, მაგრამ თქვენი თავისუფალი საქციელი ვერ დავიჯერე! ეგ იმისთვის ბრძანეთ, მგონია, რომ ბრყვი ვეტროვის ექვის უსაფუძვლობაში დავრწმუნებულყყავით ირაკლი და მე. ის ადამიანი არ ხართ, რაც იქ იტვირთეთ, ხატზე შემოდლია დავიფიცო ეს.

მაბატეთ, ასე ახლოს მოსვლა რომ შეგბედეთ და უმოარჩილესად გთხოვთ ამ წერილს ლიზდერებაში ნუ ჩამომართმევთ.

მარად თქვენი — დ. თ.“

„შენ წუხელაც ჩამოაგდე სიტყვა ქალის სიყვარულის მხილებაზე — შიშზე. ვიცი, იმედი გქონდა, საუბარში შემოგყვებოდი. ვერა. ეს ლაპარაკი მხოლოდ ჩვეს შორის და პირისპირ უნდა მოხდეს.“

ესლა „სიყვარულის წერილზე“ უნდა გაასახუხო. ჩემი სათქმელისთვისაც ჯობია და ვალის გადახდასაც ცინჯავ: იმ რამოდენიმე ბწყარით ისეთი სიხარული მომანიჭე, როგორც მხოლოდ ქალიშვილობაში ან ოცნებაში შემეძლო განშეცადა და ვცდილობ, მეათედი მაინც დაგაბრუნო.

„ბედნიერი ხარ, რომ ძალიან ცხრამეტი წლისად გარდაისახო და იქიდან მესაუბრო სიყვარულზე. იმითაც ბედნიერი ხარ, რომ ესლაც ჭაბუკის გული გაქვს და იმითაც, რომ ასეთი იქნები, სანამ ხარ. მე მაგ თვალთ ვერ დავინახე, იმ გულუბრყვილო სიყვარულს ვერ გაკადრებ, მაშინდელი ენით საუბარს ვერ ვავიბედავ, უსათნოესო კაცო. ოც-

დათექსმეტისას მიყვარხარ, თექსმეტისა გწერ.“

იმის საბაბი არ მომიცია, რომ ჩემს სიყვარულში შიში გეგრძნო. განა პირველსავე დღეს უფიქროდ და უყყყმანოდ არ დავიხლოვდი? ვერ მატყობ, რომ ბედნიერიცა ვარ, მიხარია კიდეც, გულისთქმას მოვდეც და არც არაფერი მენაღვლება? მანიშნე, მწყურთხარ-თქო და მოვალ. განუყოფლად შენია, თუკი რამ მახადია, ბედნიერებისთვის მე ის სიამაყე მეყოფა, რომ გეკუთვნოდი. იყავი ჩემთან, სანამ გეყვარები და გენდომები. ვიცი, მოვა დღე, დამტოვებ, მაგრამ ისიც ხომ შენი სასიცოცხლო აუცილებლობა ან სურვილი იქნება. მაშინ შენზე ფიქრი, მოგონება დამატკბობს და გამასხივოსნებს. მე ჯერ შენი სული დავინახე და სიყვარული მერე დაიწყო. სადაც გული მიმიყვანს, იქ მივალ, ოღონ ამით შენს ბედნიერებას მცირედი მაინც შეემატოს. შენთვის მიყვარხარ, გესმის? სხვანაირად ხომ მამაცის სიყვარული კი არა, მხდალის ტრფიალი იქნებოდა! მე ყველაფრისთვის მზად ვარ, გეძახი კიდეც და მაინც... უფიქრობ, რომ არ მოხვალ“.

დაგივვიანე, ორი დღე ვწერე. ერთია, როცა ლაპარაკობ. სხვაა, თუ სწერ — ქალაღლს მსჯელობის სიზუსტე და შეუვალლობა უყვარს. ამას კი დრო უნდა. მე დროც დიდი მოვანდომე და, ალბათ, სიზუსტესა და შეუვალობაშიც შევცოდე. შენი ნ.“

„მეტიხმეტად ვაგვირთულდა ყველაფერი, ქალბატონო ნანო, მაგრამ უამისობაც რომ არ შეიძლება, ის არის საქმე. დაბრკოლებები დაუხვედრა სიყვარულს ფიქრმა. ჭაბუკობაში არ იქნებოდა ასე და კიდეც კარგი: ამდენი განსჯა, სიმართლის ძებნა და ყოყყმანი კაცთა მოდგმას ადამ და ევას სიცოცხლეშივე მოაშთობდა და მოუღებდა ბოლოს.“

მამაკაცმა ქალს თავი რომ შესთავაზოს — ან მართლა უნდა იყოს იმ ქალის ღირსი თვითონ და ან უნდა ეგონოს, უკეთესი ვარო, მგონია მე. ყველა წესიერი ქალიც ასეა, ალბათ — თავისზე

უარეს მამაკაცს ნებით არ დაჰყვება სიყვარულზე. ბევრს ვფიქრობ ამის გარშემო და ვხედავ, თქვენოდენა რომ არ ვარ და თქვენც ხედავთ ამას. მაშინ ისე გამოდის, რომ თქვენი თანაგრძნობა და მზადყოფნა — საჩუქარი ან სამაგიეროა. უწინ ცოტა სხვაფერად მეგონა, მაგრამ თქვენი გაცნობის და დაახლოების მერე ისე ვხედავ, რომ წარსულში, სიკეთის თესვად რაც მიმაჩნდა, ვალის მოხდა ყოფილა ის, თურმე. ვალის დაბრუნებაში მხოლოდ მადლობა ეკუთვნოდეს, იქნება, დაბრუნებულს. ერთხელ მოგწერეთ მე, — ჩემს ლოცვას ვერ დავამადლი ვერავის და გადახდილი ვალის საზღაურსაც ვერ მივითვისებ-მეთქი. ერთი ეს არის, ხელს რომ მიშლის, მოვიდე.

კიდევ მოგახსენებთ, ახლა. აქაო, და ის კაცი ვარ მე, ვინც ბატონ შირერს ცხოვრების მეგობარი ნაძირალა სარჩიმელიას შეურაცხყოფას გადაურჩინა შემთხვევით, — ის კაციც ხომ არ უნდა ვიყო, ნეტავი, ბატონ შირერს ცოლს რომ შეუტყდენს და ლალატზე აიძულებს?! მესმის, რომ ასე ფიქრი მეტისმეტია, მაგრამ ჩემი ხასიათი ვიცი მე, სინდისი დაჰქენჯნის ურცხვი გასამრჯელოსთვის და ესეც თავისებური დაბრკოლებაა ჩემთვის.

ისიც მხედველობაშია მისაღები, რომ ჩვენს ამხანაგ-მეგობრებს თაყვანისცემისთვის ყველას ერთნაირად ჭირდებით თქვენ. ჩვენი სიახლოვე, როგორც არ უნდა დავმალეთ ის, — გამოგვაცალკე-

ვებს, ბალავარს თუ არა, ღობეს შემთავაზობს; არ გვაქვს უფლება განვუდგეთ ამ კეთილგანწყობილ და უაღრესად წესიერ კაცებს.

ქალბატონო ნანო, იმდენად მიყვარხართ, ისე არის ჩემი სული და გონება სასვე თქვენი არსებით, რომ მეშინია ამ სიყვარულის უკვე. ასეთმა გრძნობამ პირველ ხორციელ სიახლოვეში ხან თოფისწამალივით თვალის დახამხამებაში აფეთქება და მცირედი კვამლი იცის და ხან ნედლი თხმელასავით უცეცხლო ბუტბუტა და გულის გამაწყალელები ბოლვა. მოსვლა რა არის — მოვალ, მაგრამ ჩემი ბედუქულმართობით ის მოსვლა ერთადერთი თუ აღმოჩნდა და ისიც უვარგისი, მაშინ რას გიტოვებთ მოსაგონრად ან რა მიმაქვს საოცნებოდ?!

ან რა ღირსი არის თქვენი სიყვარულისა მამაკაცი, ვისაც ეძახიან და ის კი დაბრკოლებებზე და მიზეზებზე ფიქრობს, მაგრამ რა ვქნა, რომ არ ვარ ცხრამეტი წლის, უძვირფასესო ადამიანო, და რომ ფიქრი უღელვით მარგუნა განგებამ.

მაგრამ არის ერთი ბიძგი, ქალბატონო ნანო, რომელმაც არ იცის დაბრკოლება, და მიზეზი. ვგრძნობ, რომ მიახლოვდება ის და მაშინ მართალი ვიქნები ღმერთისა და კაცების წინაშე, თუნდაც არ გსურდეთ ჩემი მოსვლა და მიუხედავად ყველაფრისა ცისა ქვეში..

გეამბობრებით — დ. თ.“

#### ნიკანორი ქილია

— მუშნი ზარანდია დიდი ეშმაკი კაცი იყო, მართალია ეს, მაგრამ ბოროტი რომ არ იყო და გულკეთილი რომ იყო, აგერ გეტყვი ამისას.

პატარა კაცის ამბავი მოგეხსენება, ალბათ; დიდი კაცი დააშავებს და პატარას მოხვდება, შენი ბრალიაო. ესეც არ იყოს, კაცის შვილს, ხანდახან, ილია წინასწარმეტყველი რომ ვერ მიხვდება წინდაწინ, ისეთი ამბავი მოუწევს. ადა-

მიანი დიდი კაცის ბრძანებით რომ შეცდეს—სამსახური უნდა დაკარგოს და ოჯახი მშვიერ-მწყურვალე დაურჩეს?! არ გამოდის ცხოვრება ასე. აბა, რა ქნას პატარა კაცმა? რა ქნას და ისე უნდა წაიყვანოს საქმე, რომ თუ წაიბოროტო — არ დაეცეს და დაცემა თუა, ადგომაში თვი-

**პაპუა აშირაჯიბი**  
დათა თუთაყისი



თონ ის უნდა დაეხმაროს, სარმა ვინც გამოდო. როგორ უნდა გააყეთოს პატარა კაცმა ეს? როგორ და... როგორ იყო, საბაყოს უფროსობას თავი რომ დამანებებინეს და წელიწადი რომ უსამსახუროდ ვიყავი?! ისეც იმ ხალხმა მომცა მერე პოლიცემისტრობა, ვინც საბაყოს უფროსობა წამართვა. როგორ გავაყეთე ეს? როგორ და, უფროსის პატივისცემა უნდა იცოდე, უფროსისთვის კარგი კაცი უნდა იყო ყოველთვის, მარა მარტო ეს არ კმარა — პატარა უნდა ეწინოდეს შენი უფროსებს. ისეთი რამე უნდა იცოდე უფროსის, რომ გულში შიში ქონდეს, არ გამოთქვას და არ დამლუპოსო! ამ საქმეს თავისი ცოდნა და მოხერხება პირდება კიდევ და მუშნი ზარანდიაზე რომ დავიწყე ლაპარაკი, მისი ამბავი მინდა გითხრათ სწორედ.

მომივიდა ერთხელ ქალაქი თბილისიდან, დათა თუთაშხია და მუშნი ზარანდია მამიდაშვილ-ბიძაშვილი ყოფილან და გამოიკვლიე, რა კავშირი აქვთ ერთმანეთში და ისიც გამოიკვლიე, მუშნი ზარანდია ხუთი წელი რომ აქციხში იყო, რას მუშაობდა და რას აკეთებდაო. გამოუცდელი კაცი რას იზამდა? გამოიკვლევდა, გაგზავნიდა პასუხს და მოისვენებდა. მეც ასე მოვიტყეცი, მაგრამ არ მომისვენია; კარგი კამათელი რომ მოგივა ნარდში, იმ კამათელს ხომ უნდა კარგი გამოყენება?.. ისე, გინდ მოგსვლია და გინდ — არა. მთავრობისთვის თავს რომ იკლავდა მუშნი ზარანდია და არც მის ბიძაშვილი დათა თუთაშხიასთან რომ არ ქონდა საქმე, რის პოლიცემისტერი და რის ნიკანდრო ქილია ვიყავი, ეს არ მცოდნოდა! მაგრამ, რომ იტყვიან, სახარე ხბოს სასკორავეში შეეტყობაო, ისე ეტყობოდა მუშნი ზარანდიას, დიდი კაცობა მოუწევდა ბოლოსდაბოლოს და ასეთ კაცს შიში უნდა ჰქონდეს შენი, ის შიში გამოგადგება როდისმე.

მუშნიმ რომ კონტრაბანდისტებს ციხეებში მოუყარა თავი და მათი გამოსახსნელი ასი ათასი მანათის მომტანებრიც რომ მიაყოლა ზედ, იმ ხალხში ერთი ებრაელიც ერია. მოვიდნენ მუშნისთან იმ

ებრაელის ორი ძმაც, დიდი ფულით თავაზეს, ჩვენს სახლიკაცს უშველე რამეო. არ გამოართვა ფული მუშნიმ; თქვენ ძმას ისეთი ბრალდება აქვს, ციხე ერთ, ორ წელიწადზე მეტი არ მოუწევს და ნურც თქვენ გადაყრით ფულს და ნურც მე დამარღვევებთ კანონსო — ასე უთხრა! წავიდნენ ებრაელები. სოხუშში დომენტი რურუა იყო ოქრომჭედელი, იყიდეს მისგან ბრილიანტის საყურეები ბუთ ათას მანეთად; მუშნიმ რომ არ იცოდა, ისე მიუტანეს მის ცოლს, თხოვეს, უშველოს რამე შენმა ქმარმა ჩვენს ძმას და ამ ძღვენის მოტანა ბატონ მუშნის ერთხანს არ გაუშხილო, თვარა ნამეტანი ეწყინებაო. გავიგე ეს, დავიხვიე უღვაშზე და გავჩუმდი.

გავიდა ხანი. მუშნი ზარანდიას საქმიანობის მოკვლევის ბრძანება რომ მივიღე, შევამოწმე, რაც ვიცოდი და რაც არ ვიცოდი. არაფერი არ დადებია, სახელს რომ გაუფუჭებდა, ისეთი. დავწერე დასკვნა, გადავდევი გვერდზე და დავიწყე ებრაელების მიტანილ ბრილიანტის საყურეებში ფათური; ისე ვიფათურე, რომ მუშნი ზარანდიამ ქუთაისში გაიგო ეს ამბავი. გაიგო და კაი ხანს იყო გაბუსუნებული, ხმას არ ძრავდა. მერე ალბათ იფიქრა, ასე არ ივარგებსო და მნახა; იცი შენ, არაფერი უკანონობა არ მაქვს ჩადენილი და არ შეგცდეს რამეო. რა მინდოდა მეტი! მიეხარე, ხმის ამომღები არ ვარ, მაგრამ ვახსოვდეს, დომენტი რურუა ოქრომჭედელი ცოცხალია, ის ებრაელები აგერ არიან, შენი სულელი დედაკაცი შინ გიზის და ის საყურეებიც ზანდუკში უწყევია-მეთქი. მიეხვედრე, თვარა, თქმით — ასე თქმა არ ივარგებდა და არც მითქვამს.

წავედი თბილისში, მივართვი უფროსებს დასკვნა და ბრილიანტის საყურეების ამბავი სიტყვით დავამატე: ლაპარაკით ლაპარაკობენ, მაგრამ მტკიცება არ არის და დასკვნაში იმიტომ აღარ შევიტანე-მეთქი... რა იცის კაცმა, როგორ წავა საქმე და რატომ უნდა მისაყვედუროს ვინმემ, იცოდი და არ თქვიო. თუ გატყდა საქმე და გამოირკვა ამბავი



— ჯობია მე დამრჩეს სათქმელად, ხომ გეუბნებოდით და არ დამიჯერეთ-მეთქი... რა მითხრეს, თუ იცი? აქარლებმა მუშნი ზარანდიას ასი ათასი მისთავაზეს, ის არ აიღო და ხუთ ათას მანეთიანი საყურეებისთვის სულს როგორ წაიწყმედლაო. დავეთანხმე, ასეა, ალბათ-მეთქი. ნამეტანი გახარებული ვიყავი, რამხელა კაცი ვიშოვნე-მეთქი! ვიშოვნე და თუ წავიფორჩილებდი სადმე და როდისმე, მიშველიდა მუშნი ზარანდია, რა გზა ქონდა მეტი!.. მარა სხვანაირად დატრიალდა ყველაფერი და მაშინ ვნახე მუშნი ზარანდიას გამჭირიანობაც და კეთილი კაცობაც. დამიბარა მუშნი ზარანდიამ ერთ ღღეს: ნიკანდრო ქილია, თბილისში ჩამოდი და ჩემთან გამოცხადდიო. ჩავედი და ვეახლე. ვინ გყავს და პატიმრებული, ვინ გიზის პოლიციაში — სია ჩამომიწერეო. ჩამოვუწერე. ექვსი კაცი მყავდა მაშინ. სათითაოდ გამომიკითხა და მამაშობინა, ვინ რისთვის დავიჭირე და რისი მქნელი იყო. მატარია გყავდა დაქერილი — ქათმის ქურდი და ბაცაცა-მამაძალი. მან და მასავით ტურა ხაზავამ თხა მოიპარეს წალენჯიხაში. ორივე იქ მყავდა, პოლიციაში, მარა მუშნიმ მაინცდამაინც მატარიაო. კი, ბატონო — მატარია იყოს-მეთქი, მარა რაში ქიროდა ის სულელი კაძახი, მთლად ბოლოს მივხვდი.

— დათა თუთაშხია უნდა დაიჭირო, — მითხრა ზარანდიამ. — ისე უნდა გაკეთდეს ეს, რომ მისი დაჭერა ორ ღღეს მაინც ვერ გაიგოს ვერაფერ. ჩუმად უნდა გაკეთდეს.

კაცის შოვნაზე გელაპარაკე და ენა თუ არ შეაჩვიე და თუ არ გაუშინაურდი, არაფერი ნაშოვნი არაა ის კაცი. ებრაელებისგან მისი ცოლისთვის მირთმეული საყურეების ამბავი რომ გავიგე, მას მერე უფრო უბრალოდ ვეძებოდი მუშნი ზარანდიას და არც მას აუქნევია ხელი ჩემთვის.

— ნამეტანი გაჭირვებია, მუშნი-ბატონო! — ეთქვი მე და გავჩუმდი, რას იტვის-მეთქი.

არაფერი არ მითხრა ამაზე. დავუმატე მაშინ:

— მთავარმართებლის ქალღმერთი უშოვნე, ტყიდან გამოიყვანე — ამდენი შეძელი! ახლა ვინ და რანაირად შემოვიჩნდა ისე, რომ ველარ გახდი ვერაფერს და უნდა დავიჭიროთ შენი ბიძაშვილი დათა თუთაშხია?! ჩუმად უნდა გაკეთდესო? ხმაურით და სროლით რომ შეძლებულიყო მისი დაჭერა, ხომ დავიჭერდით ამდენ ხანს. სახლში გამოსულს ისე ვინ მოიხელთებდ დათა თუთაშხიას, ერთი გასროლა მაინც რომ ვერ მოასწროს და ერთი თუ მოასწრო, მეორეს და მესამესაც მოასწრებს მაშინ და...

ხელი აწია მუშნი ზარანდიამ, გამაჩერა:

— საქმეზე ვილაპარაკოთ ახლა ის მატარია გაუშვი შენ. დათა თუთაშხიას შავი ხბო მოიპაროს და მოგიყვანოს პოლიციაში. ტომარა მიეცი, ტომარაში ჩასვას და ისე მოიყვანოს. გათავისუფლებას შეპირდი. თუ მოიყვანა ხბო, მართლა გაუშვი სახლში და დახურე საქმე. დიდი ხნით არ წავა მატარია — ინდოურს მოიპარავს სადმე, დაიჭერ ისევ და მაშინ მოაგონებ თხასაც. პეტრბურგიდან პოლკოვნიკი სახნოვია ჩამოსული. ფოთში ვიჯდებით მე და ის. გვაცნობე, როცა ხბო უკვე პოლიციაში გყავდეს. ზევით სოფლებისკენ გაგზავნე ვინმე, თქვას იქ: მაზრაში ქურდებისგან წართმეული ხბოა და თუა აქ მისი პატრონი, მოვიდეს, წაიყვანოს-თქვა. დათა თუთაშხია, ასე მგონია მე, მოვა ხბოს წასაყვანად! შეუშვი თავლაში, გადაუქეტე კარი და ისევ აფრინე ფოთში ჩვენთან კაცი, აგერ მყავს-თქო, შეგვატყობინე. რომ შელამდება, აიყვანე თუთაშხია შენს კაბინეტში. გყავდეს იქ, სანამდე პოლკოვნიკი სახნოვი ჩამოვა ფოთიდან. დანარჩენი მან იცის და არ შეგეშალოს რამე, თვარა გგოროდოვით ყოფნას ვერ აგაღდენს ვერაფერი ძალა და იღბალი. ესაა, ჭერჯერობით, შენი დავალება და საქმე. დანარჩენი ჩვენ ვიცით და ჩვენი საქმეა.

**ვახუა აპირაჯიზი**  
დათა თუთაშხია





დიდხანს ვილაპარაკეთ კიდევ. არ გამომიშვა, სანამდე ყველა წერიმალე და ყოველნაირი შემთხვევა არ მოვისაუბრეთ, სანამდე თუთიყუშოვით არ გამოზეპირებინა მთელი ის ხრიკი და არ დაწმუნდა, რომ კარგად მივხვდი, გავიგე და ვიცი ყველაფერი.

ჩავექეი მატარებელში, დავბრუნდი ჩემს დაწესებულებაში. მოგაყვანივნე მატარია. ისე ჩლუნგი არ მინახავს ქვეყანაზე კაცი — გავგიჟდი კინაღამ, სანამდე მივახვედრე საქმეს. დავაბუშავე, როგორც იქნა და როგორც მატარიასთან ტუტუტის დამუშავება შეიძლება. მივეცი ტომარა. შავი ხბო რომ უნდა მოეყვანა ამ და ამ ნახიროდან — იცოდა ეს, მარა ვისი ხბო იყო — არ ვთქვი და არ იცოდა.

ორი ღღის მერე ღამით მოიყვანა მატარიამ ხბო. კაცი მყავდა იქ და აღრე ვიცოდი, თუთაშხიას ხბო ვილაკამ რომ მოიპარა. ვაჩუქე ბაცაცას ხუთ მანეთიანი, წადი-მეთქი. ტრიალებს მატარია, რალაცის თქმა უნდა და ვერ ბედავს.

— წადი, ახლა, თვარა, ჩაგაბოღნებ ქვევით და იჯექი იქ! — ისე მარტალიც იყო და ხუმრობაც.

შეშინდა მატარია, სეტყვასავით დამაყარა რალაც სიტყვები. მესამედ რომ თქვა მარტო მაშინ მივხვდი, რასაც მელაპარაკებოდა: ერთი შავი ხბო ვიცი, კიდევ. მასაც თეთრი ვაშლი აქვს მკერდზე. მოგიყვან იმ ხბოსაც და გამოუშვი, ნიკანდრო-ბატონო, ჩემი ამხანაგი, ხაზავო!

გავაგდე, მამაძალი. ვაფრინე კაცი ფოთში, ხბო აგერ მყავს-მეთქი, შევატყობინე სახნოვს და ზარანდიას. სულ რომ არ ველოდი, მეორე დღესვე მობრძანდა პოლკოვნიკი სახნოვი. გამოვივრდა და არ მომეწონა მისი მოსვლა; თუ მოვიმწყვდევდი თავლაში დათა თუთაშხიას, მაშინ უნდა ჩამოსულიყო. შევბედე და ვუთხარი ეს. ქილია, ჭკუითო, ასე მიპასუხა. პატარა კაცი ვიყავი და მართლა არ იყო ჩემი საქმე პეტერბურგელი პოლკოვნიკი როდის ჩამოვიდოდა და როდის წავიდოდა. გავჩუმდი და გავგზავნე კაცი ზევით სოფლებში...

**ბეზლარ გვალისა**

— „ბოჩოლია“ ხბოს დაარქვეს მაგათ და იმ ხბოს ამბავი თვითონ დათასგან ვიცი. მახსოვს ყველაფერი. ათჯერ და მეტჯერ სხვისთვის მაქვს მოყოლილი და კარგად ჩამრჩა მესხიერებაში. ბოჩოლის ამბავს ასე მიამბობდა დათა:

„აბრაგობა ისეთი საქმეა, ბეგლარ-ბატონო, ჭკუა თუ აქვს დაყოლილი კაცს, ეშმაკობას, რომ არ უნდოდეს, აბრაგობაში ისწავლის მაინც. ჩემი მადევრები, მართალი გითხრა, სულელები არიან და ჭკვიანურს რომ ვერ იგონებენ ვერაფერს მიტომ ვერ მიჰერენ. სანამდე ყუბანში გადავიდოდი, იქამდე ვისწავლე მათი ხრიკები. სულელი კაცების ხრიკები იყო ის ხრიკები. იმიტომ ვისწავლე ადვილად, თვარა, ერთი ჭკვიანი ჩაერია საქმეში და მას მერე რამდენჯერმე მოვტყუედი პატარა ბიჭოვით. იმ ერთის მეტი მაგათში არავინ არ ღირს არაფრად. აბრაგებს კი არა, ინდოურებს უნდა

დევდნენ მაგენი. ეს ერთი ვილაკაა, მართლა კაცია და ჩემი გაფუტება მისი ხელით იქნება — ვიცი მე ეს.

ბოჩოლიას ამბავს გეტყვი ახლა. თუთაშხიების ჯოგი ყველამ იცის სამეგრელოში. სამეგრელოში კი არა და ნოვოროსიისკიდან ბათუმამდე იცოდა ყველამ; ნამატს საცოდავი მამაჩემი ხან სად ყიდდა და ხან სად, ჩოში მომრავლდეს და ქვეყანას მოედვასო. მიტომ იცოდნენ ყველგან. შავი ჯოგი გვყავდა და მარჯვენა ფერდზე თეთრი დიდი ვაშლი ქონდა ყველას. ხარები გამოდიოდა ჩვენი ჯოგიდან მისთანა — უკეთესს ვერ იტყვის კაცი. ვახედავ, მოდის ხუთი წლის ხარი; ტანად კვარაცხელიების ორი ხარის ტოლია და მკლავის სიგრძე რქების წვერები ერთმანეთს ორი მკლავით არის დაცილებული. ზოგი იტყვის, გამწვევ ხარს კისერი სქელი და მოკლე უნდა ქონდეს და თავი დახრილიო. მუხ-



ლი არ ექნება მაგარი მოკლე ფეხი თუ არ აქვს და წვივი სქელიო. არ არის მართალი ეს. ნამდვილ ხარს კისერი სქელი კი უნდა, მაგრამ მოკლე თუ აქვს — უღელი გაუფუჭებს მალე. გრძელი კისერია კაი. მაღალი ფეხი რომ აქვს, გრძელი ნაბიჯი იცის მაშინ. თავი ირემივით უნდა ქონდეს მოღერებული. ხარი თავმომწონე და ამაყია კარგი. მეფესავით უნდა მოდიოდეს — დინჯად, ლამაზად და იცოდე მაშინ, ნამდვილი კაი ხარია. ერთია კიდევ — ძველმა კაცებმა იციან ეს, ახლებმა არ იციან; ცისფერი და დიდი თვალები თუ აქვს, — დღე-გრძელი ხარია, სხვა ხარზე მეტს ექვს, შვიდ წელიწადს იმუშავენს. საცოდავმა მამაჩემმა იცოდა თქმა: ქართველები ნოეს ჩამომავლები ვართ და ნოემ კიდობანში ხარი რომ ჩასვა და ორმოცი დღე წარლენა რომ იყო, ის ხარი ცის და წყლის მეტს ვერ ზედავდა ვერაფერს, თვალები გაუცისხვრდა და იმ ხარის ჯიშია ჩვენი ჯოგით...“

— აქამდე რომ იტყოდა დათა თავის ჯოგისას, გაჩერდებოდა, იფიქრებდა ერთხანს, მერე ჩიბუხის დატენვას მოკიდებდა ხელს და დაიწყებდა ისევ:

„მამა რომ დაგვიტორეს და დაგვიღიჯეს დათებმა, ბულიან ნაშენიანად ექვსასორმოცი სული იყო ჩვენი ჯოგი. სანამდე გავიგეთ, ჩვენს თავზე რა უბედურება დატრიალებულიყო და სანამდე ბიძაჩემმა მიცვალებულს აკითხა — კაი ხანი გავიდა. მივიდა ბიძაჩემი მგალი ზარანდია მთაში, მოაგროვა მიფანტულ-მოფანტული და დაპარული ჯოგი... რას მოაგროვებდა, ნეტარი კაცია, საწყალი; ქურდი, პატიოსანი და პირუტყვი ერთნაირად ეცოდება ყველა. ხმაშალალ სიტყვას ვერ წამოაცდენინებს და ავს ვერ ათქმევინებს ვერაფერი კაცი. დიკვანია დღესაც, მაგრამ მის სიტკობლეში კაპიკი არ იცის მრევლის. ასეთი აღამიანი რას მოაგროვებდა! მოუყარა თავი რაღაც სამას თუ სამასორმოცდაათ სულს. შავდიებს მიცა სამეოთხედოდ. მეოთხედი ჩვენი და სამი მეოთხედი მათი უნდა ყოფილიყო ნამატი.

ბავშვი ვიყავი მაშინ. დედა *ფეხმცხელი* ხნის მიცვალებული გყავდა *დასაწყისი* ჩემს დას, ელეს, მამიდაჩემი თამარი და მისი ქმარი მაგალი ზარანდია რომ გვზრდიდნენ თავის საკუთარ შვილებთან ერთად და თავის საკუთარ შვილებზე უკეთ — იცი შენ ეს. მაშინ რას გავხდებოდი, მაგრამ შევსრული ჩვიდმეტი წლის და მივაკითხე ჩემს ჯოგს. ჩამაბარეს შავდიებმა იმდენი სული, რამდენიც ბიძაჩემისგან ჩაიბარეს, მაგრამ ხბო, მოზვერი და დეკეული იყო მთელი ჯოგი; ხარი და ძროხა თავის წილად წაიყვანეს შავდიებმა. რას ვიზამდი. მიეყევი საქმეს, კარგად მოვაშენე ისევ. მაგრამ მიწია აბრაგობამ და დარჩა ჯოგი უპატრონოდ. ელე, ჩემი და, მთლად ბავშვი და გამოუცდელი იყო მაშინ. სანამდე საქართველოში ვტრიალებდი, რა უჭირდა საქონელს; ძოვდა, მრავლდებოდა და ისევ სამეოთხედოდ ყავდათ ხაცაციებს. აქ რომ ვეგულბოდი, უელიდნენ კარგად, პატრონის მეოთხედსაც პატიოსნად უხდიდნენ ელეს. გადავიკარგე მერე. ოთხი წელიწადი არ გავკარებთვარ ჩვენს მიწა-წყალს. ხაცაციებმა იფიქრეს, მოკლეს სადმე დათა თუთაშხიანო. ხომ იცი კაცის ამბავი — ხარბი ვართ და გაუმძაღარი; წაძლია სულმა, გამიფლანგეს საქონელი. რომ დაებრუნდი, სადღა იყო ჯოგი! ყავდა ელეს ბოსელში ერთი სპილოსავით ბულა და ერთადერთი ძროხა საწველად. ეს იყო და ეს. გამოჩენა იყო ჩემი — მომიგზავნეს ხაცაციებმა შუაკაცები. იფიცეს, იტირეს, ჭირი გაუჩნდა ჯოგს, გაგვიწყდა და რა ვქნათ აწიო. ვიცოდი ხალხისგან, არაფერი ჭირი არ გაჩენია საქონელს და ახალქალაქელ მალაქებს რომ მიყიდეს ხაცაციებმა ჩემი ჯოგი, მაგრამ არ მეცალა ამ საქმეზე გასადევნებლად; გამოვართვი ხაცაციებს ათასი თუმანი და მივანებე თავი. ასე იყო ეს.“

— ამ ადგილზეც გაჩერება იცოდა დათამ. გავიღიმებდა პატარას... როგორ

**ზაზუა აზირაჯიზი**  
დათა თუთაშხიან



გაიღიშებდა, თუ იცი? კაცს უწინ ჩადენილ სათაყოლო საქციელის მოგონებაზე ღიმილი რომ წვევია, გინახავს ალბათ, ასე იცოდა გაღიშება დათამაც და მერე იტყოდა დანარჩენს:

„ჩემმა მამიდაშვილმა, მუშნი ზარანდიამ პატიების ქალაღი რომ გამომიწყო მთავარმართებლისგან, ავიღე ხელი აბრაგობაზე, მოვედი ჩემს სახლში. ერთი თვის მერე იმ დღეის სწორს, მოიგო საფურე ხბო ძროხამ — ულამაზესს რომ ვერ ნახავდი, ისეთი ხბო. ელე სიხარულით აღარ იყო; მშვიდობის, სიკეთის და განსარების ნიშანი მოგვცა ღმერთმა, საფურე ხბო რომ მოიგო ძროხამო. ისეე მოგვიშენდება ჯოგი და ისეე მამაპაპის მადლი და დოვლათი დაგვიტრიალდება ოჯახშიო. მარტვილში წავიდა, წირვა გამოაყვანინა, სამადლობელი პარაკლისი გადაიხადა, ათი თუმანი შეწირა მონასტერს. დაბრუნდა იქედან და სანამდე კარგად არ გაზაფხულდა, ლოგინში არ იწვენდა იმ ხბოს, თვარა სხვაფრად, თბილ ოთახში ყოფნა და დიდი პატივი არ დაუკლია. ბოჩოლია დაარქვა სახელად. დედა არ გამოიგონია და არ მინახავს შვილის მომვლელი, ელე რომ იმ ხბოს უვლიდა. ქალაი, ვფიქრობდი მე, და შვილებისთვის რომ განგებამ წუხილის და ამაგის ღონე მიცა, — შვილები არ ყავს და ამ ხბოზე გამოიღო ყველაფერი-მეთქი.

უკაცო ოჯახის ამბავი მოგესხენება და მივეყვი სამუშაოს. იქეთ სახნავი, აქით საბარავი. აგერ ღობე, იგერ ჭიშკარი, ბაღი, ვენახი... საქმეს რა გამოლევს ოჯახში! მარტო კაცი ვიყავი, მაგრამ ჯაფა ყველაფერს ერევა და კარგად გავართვი თავი საქმეს. ისე ჩანდა, რომ შემოდგომაზე ჭირნახული სამი და ოთხი ოჯახის საკმარი უნდა მომსვლოდა. არ დავდებოდი არსად; დღეობები, ქორწილები, ნათლობები და ასეთები არ იყო ჩემთვის, ვერ ვეგუებოდი ხალხს“.

— მართლა არ დადიოდა დათა არსად. კაცმა რომ აქვას, მიზეზიც ქონდა ამის; დათა თუთაშხია დაბადებით ისეთი კაცი იყო, მას რომ ესმოდა იმ სიმართლის

გულისთვის ხიფათს არ დაერიდებოდა და თავს არ დაიზოგავდა. მიტრეხილად ხალხს რომ უყვარდა, მაგრამ ერთ დღეს შეუქცია ზურგი ყველაფერს: გული მოუვიდა, ყველა ძე-ხორციელი ჩემისთანა და ჩემზე უკეთესი რატომ არ არისო! მისი გამზრდელი მაგალი ზარანდია და თვითონ დათა თუთაშხია რომ იყვნენ, ყველა კაცი ისეთი თუ იქნა, რა უჭირს მაშინ მადლა ღმერთს და ძირს ერს! არ გამოდის ასე. გასაბრაზებელი და გასადგომი რა ქონდა დათა თუთაშხიას, არ ვიცი მე. თავისი დღე და მოსწრება არამკითხესავეთ ეჩრებოდა ყველას საქმეში. მტერიც ბევრი გაიჩინა ამით. მართალია, ის მტრები ცუდი და გლახა კაცები იყვნენ, მაგრამ უარესია ეს — კარგი კაცის მტრობის იმდენი ნუ შეგეშინდება, ცუდი კაცის მტრობის გეშინოდეს უფრო. აიყარა ხალხზე და მის გასაჭირზე გული დათამ; გალისკენ მიმავალი კაცი ფოთისკენ რომ შებრუნდეს, ისე შებრუნდა დათაც. სანამდე მისი მამიდაშვილი მუშნი ზარანდია მთავრობასთან შეარიგებდა, კაი ხანს როგორი იყო დათა თუთაშხია, თუ იცი?.. მართალია, თვითონ არავის და არაფერს არ დაუშავებდა, მაგრამ მის გვერდით წმინდა გიორგისთვის ყელი რომ გამოეჭრათ, თითს არ გაანძრევდა არასგზით. ეს ქვეყანა ისეა დაწესებული, რომ შენ თუ არ გინდივარ, არც მე მინდიხარ მაშინ! ნახა ხალხმა, დათა თუთაშხიამ ფეხებზე რომ დაიკიდა ყველა უსამართლობა და ადამიანის გასაჭირი. მაშინ თვითონ ხალხმაც აიკრა გული დათაზე. ვინც ერთგული და ჭირში ხელის შემწყობი კაცები ყავდა, შემოეფანტა და შემოეკარგა ყველა. ამაზე კიდევ უფრო გაბრაზდა და გააფთრდა დათა, მაგრამ რას იზამდა, როცა არ ესმოდა, თვითონ რომ იყო დამნაშავე. ამას დაემატა კიდევ: ის პატაშიძეები, პილიები და მისთანები, უჭულო კაცები იყვნენ ყველა, მაგრამ მაინც მიხვდნენ, აბრაგის სიმაგრე რაშია და დაიწყეს თავისი კაცების შირით დათა თუთაშხიაზე ათასი უბედურო და პილწი ხმების დაყრა.

ხალხმა დაიჭერა ყველაფერი. დაიჭერა კი არა, ჭირს ჭირი დაუმატა და ისეთი ამბები შეთხზა, დათა თუთაშხისის მის სიცოცხლეში გულში და გონებაში რომ არ ქონია. ეს მიტომ ვააკეთა მთავრობამ, რომ ხალხი დაკარგოდა დათა თუთაშხისას საბოლოოდ და ისევე გააბრავებაზე აღარ ეფიქრა. მიტომ იყო, რომ არ დაიარებოდა არსად და სამუშაოს რომ აკვდებოდა ზედ... რა ადგილზე გავჩერდით, რას ლაპარაკობდა დათა?..

„სექტემბრის ბოლოა, ასე. რვა თვე სრულდება შერიგებული რომ ვარ მთავრობასთან. დაბრუნდა სოფლის ნახირი და არ მოვიდა ეზოში ჩვენი ბოჩოლა. გაიქცა ელე, სადმე შერჩებოდა ღობის ძირა ბალახსო. ვერ იპოვნა. წავედი მე. ვნახე მენახირეები, ვკითხე ხბო. წყალზე რომ წავეყვანეთ ამ დილას ნახირი, მაშინვე აღარ იყო თქვენი ხბო და ვიფიქრეთ, სოფელში თუ დაბრუნდაო.“

ვიცი, სამზადში თმებჩამოშლილი ზის ჩემი ელე და მოთქვამს თავის ბოჩოლას. საწყალმა, დედაჩვენი ვერ იტირა — ახალი მიტოვებული ქონდა ძუძუ; მაჩვენე ვერ იტირა — შვიდი წლის იყო. ქალი უტირლად ვერ იქნება და არ გაჩერდება! არ შეიძლება, ვიფიქრე, ჩემი ხელკარიელი დაბრუნება. კაი ხუთი, ექვსი ვერსის სიშორეს არ დამიტოვებია ხევი, ტყე და ბუჩქნარი. მთვარიანი დამე იყო, დამითაც ვცებებ; არაფერი! მივბრუნდი შინ; ელეს, არც ქალი დაუცხვია, არც ძროხა მოუწველავს — ტირის, იპოტისის ლოყებს და იგლეჯს თმებს.

— რას შერები, შე ქალო! — გავჯავრდი მე. — ჯოგი დავკარგეთ, იმაზე არ დაიწყევია ასეთი ამბავი. ხბოა ერთი — სხვა ხომ არაფერი... უმეპველად მოპარული ან ნადირის შექმული რატომ გგონია, მაინც? წავალ დილით ადრე და მოგიყვან შენს ბოჩოლიას!

ვერ გავხდი ვერაფერს, არ იქნა ელეს დამშვიდება და დაწყნარება. შეიკმტა კარი თავის ოთახში; დილაზე წმინდა გიორგის ხატის წინ იღვა მუხლებზე დამხობილი და ტიროდა სულ. მომკლა მისმა ცოდვამ და რა დამაძინებდა. მზე

კაი ამოწერილი იყო უკვე და ელე ვისას ამბობდა ისევე:

— ილორულ წმინდა გიორგი, დიდ ღორონთი, სქან სახელი ხვამელი, ღორონთ თუთაშხა, სქან სახელი ხვამელი, ქოურგებე სქან ტიბინი ჩქიმ დათას, დო გინომტე გაჭირებამე, ღორონთ თუთაშხა!.. — და ასეთები სულ.

ჩავიცივი ტანზე, ჩავიდე გულში საგზალი, მოვეფერე ელეს, ნახავ თუ არ მოგიყვან ილორულ წმინდა გიორგის და თუთაშხა ღმერთისგან ნიშნად გამოგზავნილ ბოჩოლას-მეთქი და წავედი. გეტყვი სიმართლეს, იმედინად წავედი, შუადღემდის ვაპირებდი პონესა და მოყვანას, მაგრამ დამიღამდა და მაინც ვერ მოვენახე, საცოდავი.

აღარ გავაგრძელებ დიდად — მოპარული იყო ხბო. ექვსი, შვიდი თვის საქონელს ბოჩოლა და ხბო აღარ ქვია, დეკეულად შეიძლება ჩაითვალოს უკვე. ამხელას კი დაფატრავს ნადირი, მაგრამ ზურგზე წამოგდებას და შორს წაღებას — უკაცრავად ვარ, ვერ მოერევა. კაი ღონიერი მგელი, თვალს რომ მიაფაროს, ისეთ მანძილზე გაათრევს წვალებით. გაათრევს, დაუწყებს ქამას, გაძლება. მერე, ან დაფლეთს, ან მიატოვებს ისე. იმდენ ძებნაში დამარცხებული საქონლის კვალი რომ ვერ ვნახე — მოპარული იყო და მორჩა ეს. არა, მოპარვა ვინ გამიხედა, ნეტავი, ვის ქონდა რკინის გული და ორი თავი! რასაც ხალხი ჩემზე ლაპარაკობს, იმის გამკეთებელი არ ვარ; არც ვაქცაცობა მქონია იმდენი და არც გლახა კაცობა, სხვა საქმეა ეს, მაგრამ, რაც სახელი მქონდა და რაც ხალხს ვეგონე, ვეღარ უნდა გაეებე და ვინმეს ჩემი საქონლის მოპარვა...

ელე თავის ოთახში ლოცულობდა და ტიროდა. აქით, ჩემს ოთახში მე ვფიქრობდი, ლამის გამისკდა თავი და გადმომელვარა ტვინი: სანაშენოდ თუ მოიპარა ვინმემ? გამოყოფდა როდისმე თავს თუთაშხიების ჯიშის საქონელი,

ვახუა ამირეჯიანი  
დათა თუთაშხია



იციდა მომპარავმა ეს და ვერ გაბედავდა. კაი და, ამ ჭიშის ბულაც ხომ იყო საშოვნელი — ჩვენსას უნდა მოეყვანათვისი ძროხა იმ კაცს. არ გამოდიოდა ასე. ისეთმა ბაცაცამ თუ მოიპარა რომელიმემ, რომ არ იციდა ჩემი თუ იყო?.. მაგრამ მოპარულ ბოჩოლიას გზა-გზა ვერ ატარებდა, უგზოზე უნდა წაეყვანა. საით და როგორ წაიყვანა იმ ოხერმა, კვალი რომ ვერ ვნახე ვერსად!.. დავანებოთ თავი ამას.

სოფლის თავში ერთი პატარა საყანე მქონდა, ღომი იციდა კარგი იმ მიწამ და დავთესეთ ღომი. იქ ვართ მე და ელე, დავეყურებთ მოსავალს, აღება როდის უნდა, ამას ვლაპარაკობთ. ორი დღეა მას მერე, რაც ჩვენი ბოჩოლია მოიპარეს. ჩამოიარეს ამ დროს ტყიდან ქალებმა, ფიჩხი აქვთ მხარზე გადაებული.

— დილა მშვიდობისა, დათა-ბატონო!

— მშვიდობა მოგცეთ ღმერთმა!

— ბოჭაულმა აქით სოფლებში რომ კაცი გამოგზავნა, რაც თქვა იმ კაცმა, იცით ალბათ?

— რა თქვა იმ კაცმა? — დამასწრო ელემ.

— რა თქვა და, პოლიციას ნაპარავი ბოჩოლა წაურთმევია ქურდისთვის თურმე; ამ სოფლებში ვინმეს თუ დაეკარგა, მოვიდეს, გამოიცნოს და მისი თუა — წაიყვანოს!

— რა თქვა ბოჭაულის კაცმა, რა ფერის და რამხელა არის ქურდისთვის წართმეული ბოჩოლა? — კითხვა ისევ ელემ.

რას არ იტყვის ქალი!

— არ უთქვამს, ელე, მაგ... — უთხრა მეზობლის ქალმა და კაი ხანი იკაიანეს, იტყოდა თუ არ იტყოდა ბოჭაულის კაცი მონაპარი ხბოს ნიშნებს.

წავიდნენ ფიჩხიანი ქალები და აიკვიატა ელემ:

— ჩვენი ბოჩოლია იქნება, ნამდვილად!

წამოვედით შინისკენ. რა უნდა, ვფიქრობდი მე, ჩვენს ბოჩოლიას პოლიციაში? არ მომასვენა ამ ფიქრმა. რაც

მეტი ვიფიქრე, უფრო დავერწმუნებოდი, რომ ეშმაკობა და მამაძაღლობა არაფერი არ იყო ამაში; ჩემს მისატყუებლად და დასაჭერად თუ მოიპარეს ბოჩოლია?.. დაჭერა თუ უნდათ ჩემი, მოვლენ და დამიჭერენ. სტრავა აკლიათ, სალდათები თუ კახაი ყავთ ცოტა?! მთავარ-მართებლის მოცემული პატიების ქაღალდი ავერ მაქვს. ჯერ კაცკასიის განმგებელი არ გადავა სიტყვას და მერე ჩემი მამიდაშვილი მუშნი არ გამიცითებს ასეთ საქმეს. ათასნაირად ვავზომე და ავწონე ყველაფერი. საექვო ვერ ვნახე რამე, მაგრამ კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო, — ხომ შეიძლებოდა რამენაირად ისე ყოფილიყო საქმე, მე რომ ვერ ვხვდებოდი! ასე გადაწყვიტე: ჩემს ბოჩოლიას პოლიციაში არ ესაქმება არაფერი, სხვისი საქონელია ის საქონელი და ნამდვილად ჩემიც თუა, მაინც არ წავალ არასგზით! ვერც წამიყვანდა ვერაფერი ძალა სანამდე ვაქკაცი ვიყავი, მაგრამ ქალი რომ შემოგინდებდა და ისიც შენი საკუთარი და, მთელი სიცოცხლე შენზე ლოცვას რომ გადაყვა და შენი გულისთვის დაღვრილ ცრემლს ტურებში რომ ვერ ჩატევს — აღარ ხარ მერე ვაქკაცი, ნამდვილია ეს. შემომიჩნდა ელე, მაგრამ როგორ შემომიჩნდა! წადი და წადი, მომკალი თუ გინდა, ჩვენი ბოჩოლია პოლიციაში, ვიცი მეო. მისი დაკარგვა ოჯახის ხელახლა დანგრევა იქნება, უძვეელია ესო. ასეთი ჭიშის არის, ისეთი მეწველი დადგება, ჯოგის დედა და სხვა მისთანები გაუთავებლად. რას არ შევპირდი: არ მომწონს მაინც ჩვენი ჯოგის საქონელი, გადაჯიშდა უკვე, სხვა გავიჩინოთ, ის აჯობებს, ათს ერთად ვიყიდი კაი ჭიშის ბოჩოლებს-მეთქი. ეს რომ არასგზით არ ქნა, მაშინ ახალქალაქში გადასვლას და ხაცაკიებისგან გაყიდული ჩვენი ჯოგის ნაშენის გადმოყვანას შევპირდი. არც ეს ქნა, ჩემი ბოჩოლია მინდა და არ გამაგონო არაფერიო! წავიციდეთ ამაზე, აღარ გავეცით იმ საღამოს ერთმანეთს ხმა. ავდექი დილით — სად არის ჩემი ელე! მოვიკითხე მეზობლებში; ბოჩო-



ლიას მოსაყვანად წავიდა ამ დილასო, მითხრეს. ერთი კი გამოიღვა, არაფერი უპირს, იაროს ორმოცი ვერსი იქით და ორმოცი ვერსი აქით-მეთქი. ჰკუთის სასწავლებლად კაი იყო, მაგრამ შემეცოდა ქალი. შევკაზმე ცხენი, კაი შორს წასულს დავეწვიე, დიდი ხვეწნით და მუდარით დავაბრუნე და წავედი მაზრაში თვითონ. მიხაროდა, საწყალ ელეს რომ არ მოუხნა იმ გლახა კაცებში სიარული, ბოჩოლიას ძებნა და გამოცნობა. გზა-გზა არაფერ ხიფათზე არ მიფიქრია. ცხენი კარგი მყავდა. მაზრის პოლიციას რომ მივადექი, საღამო სად იყო ჯერ! ჩამოუხტი, მივაბი ცხენი ხეზე, შევედი ეზოში. დიდი ეზო აქვს იმ პოლიციას, ოთხივე მხრიდან ღობე და შენობებია შემორტყმული. პოლიცმეისტერის ოთახი მეორე სართულზე იყო. მივედი აივანთან და დავიძახე:

— ნიკანდრო ქილია, გამოდი ერთ წუთს, საქმე მაქვს შენთან!  
გადმოდგა მოაჯირზე პოლიცმეისტერი ნიკანდრო ქილია:

— გამარჯობა შენი, დათა თუთაშხია! რა გაგჭირვებია ასეთი, ამისშორეს რომ მომაკითხე, ხომ არ დაგჩაგრა და დაგჯაბნა ვინმემ? — იცინოდა მამაძალი.

— გაგიმარჯოს, ნიკანდრო... ამბობენ, ნაპარავეი ბოჩოლა გყავთ აქ და ჩემი ხომ არ არის, ამის გასაგებად მოვედი!

კინალამ მოკვდა სიცილით ქილია, სამეგრელოში შენ მოგპარეს რამეო?!

- მომპარეს! — გავიციხე მეც.
- დაშოშმინდა ქილია და მკითხა:
- როდის მოგპარეს?
- მეოთხე დღეა დღეს.
- გაბისონია, მოდი აქ!.. როდის წავართვით ის ხბო?

გამოეტრინდა გაბისონია თავის უფროსს და, მესამე დღეა დღესო, უთხრა.

- რა ფერის არის შენი ბოჩოლა?
- ნიკანდრო ქილია, ეშმაკობ რაღაცას! ის ხბო ნანახი გყავს, გატყობ. ნანახი რომ გყავს, მაშინ ისიც კარგად იცი, ვისი ჯოგის ნაშენია. დაგავიწყდა, თუთაშხიების საქონელი შავი რომ არის და თეთრი დიდი ვაშლი რომ აქვს მარჯ-

ვენა ფერდზე?.. მეშვიდე თვეშია ჩემი ხბო, თვალები ცისფერი აქვს.

— შე კაცო, ნანახი რომ მყავს, მიტომ გეკითხები სწორედ, — თქვა ქილიამ და გაბისონიას უთხრა: — ამისია მაგ ხბო, ასე მგონია მე. რას იტყვი შენ?

— დათა-ბატონმა რომ ბრძანა, ისეთია ის ხბო! — დაუდასტურა გაბისონიამ.

— კაი, აბა, დათა-ბატონო. მიდი მაგერ, თავლის კუთხეშია დაბმული და თუა შენი—წაიყვანე. საკვები არ მოკლებია აქ შენს ხბოს და სასმელი. გლახული თუ იქნას, მომპარავის ბრალია. სად და როგორ ატარა — ვინ იცის. მშვიდობით და ჰკუთით იყავი, აბა!

მოვათვალეერე იქაურობა. საეჭვო ვერ ვნახე ვერაფერი. სალდათი თვლემდა საკუჭნაოსთან და მეჯინიბე დაბორილობდა ეზოში. შევადე თავლის კარი. ჩვენი ბოჩოლია იყო ნამდვილად. მიცნო, საცოდავმა და დაიბღავლა. ცხენის მოსართავით ყავდათ დაბმული. მივედი, მოვეხვიე ყელზე. სინდისს ვფიცავ, ცრემლით ავესო ცისფერი თვალე-ბი ბოჩოლიას. აუხსენი თასმა. თოკი არ მქონდა წამოღებული. რა ვიცოდი, მართლა თუ ვიპოვნიდი ბოჩოლიას. ესეც არ იყოს, აღეღებულ ვიყავი დილით და თოკის დარდი არ მქონდა. შემოვიხსენი ქამარი, მოვაბი ბოჩოლიას ყელზე და წავედი კარისკენ. სულ კუნტრუშით და ფრუტუნით მომყვებოდა. მივაწექი კარს. არ გაიღო. კიდევ მივაწექი, არც ახლა გაიღო და მივხვდი, დაკეტილი რომ იყო. გული მომივიდა, მხარი მივარტყი, მაგრამ გარედან უშველუბელი ურდული ქონდა და კარიც სქელი და მაგარი იყო.

— რაო, დათა თუთაშხია, არ იღება, მაგ ოხერი, ხომ? — გავიგონე ვიღაც მურალი კაძახის ხმა. — არაფერია, მოითმინე ერთხანს.

— გააღე ახლავე, შე ცინგლიანო, ვი-

**ვაგუა ამირაჯიბი**  
**დათა თუთაშხია**

ლაც ტუტუცი ხარ მანდი!.. სახუმროდ არ ვარ მოსული მე!

— არავინ არ გეხუმრება, დათა თუ-თაშხია, რომ იცოდე შენ, — გასიებული ცხვირპირი შემოყო სარკმელში ნიკანდრო ქილიამ. — დაკავებული ხარ და დაწყნარდი ახლა!

— ავერ მაქვს მთავარმართებლის ქალღი, შე ციგანო მამაძალო და, მუშნი ზარანდია ცალკე მოგივლის კიდევ!

— მუშნი ზარანდია ახლა პროკლამაციებს დადევს და შორსაა აქიდან. მთავარმართებლის ქალღს დააფურთხე, მიიწეპე გავაზე და გქონდეს იქ. თბილისში ახალი მთავარმართებელი რომ დაჯდა და სხვის გაცემულ ქალღდებზე პასუხს რომ არ აგებს, არ იცი ალბათ შენ.

— ნამუსი მამაშენს არ ქონია, პაპაშენს, შენს გვარში წარღვნას აქით არავის და შენ ვინ მოგაოხრებდა, შე საცოდავო, შენ! — დავუყვირე ქილიას.

— ამ საჯინიბოდან რვა ცხენი რომ წაიყვანე, დათა თუთაშხია, იქედან ექვსი იყო ხაზინის და ორი — ჩემი საკუთარი. შენი რულის, მიწაწყლის და სისხლის კაცს ცხენებს რომ პარავდი და მერმე ნატანებში თათრებზე რომ ყიდდი, ვისი ნამუსით იყო ის? მამაშენის, პაპაშენის და წარღვნის მერე შენი წინაპრების ნამუსით იყო, ხომ?

— ასე ტუტუცებს სად გპოულობენ, თქვე უბედურებო, თქვენ! პატაშიძე და შენ ღვიძლი ძმები და ერთნაირი სულელები ხართ, სახარებაზე დავიფიცებ ამას. რას არის რომ ყბედობ, ნეტავი! — ელაპარაკე ახლა ამ რეგვენს, მე რომ არ წამიყვანია ის ცხენები.

თითმერიამ გამოიყვანა და მაჩუქა. იცოდა კაჭაია ბულავას ვალი რომ მქონდა გადასახდელი — ფოთში მევახშე იყო ერთი. მოკვდა კი ხანია. გაყიდვით, მართალია ეს, მე მიყვირე ნატანებში თათრებს.

პატარა ხანს მერე გააღეს კარები და შემოვიდნენ ფეხაკრფით. წინაშე მდებარე მათი კაცი ვიყავი, ჩემი ბოჩოლიას კისერზე გამოზმული ქამრის მეტი არ მქონდა ხელში არაფერი, მაგრამ ერთი რომ დამეფხაკუნებია ნახევარს გული წაუვიღოდა შიშით, ნამდვილად ვიცი ეს, მიქნია სხვა დროს.

— აწიე ხელები მაღლა! — დამიყვირა კარში გაკვეთებულმა ქილიამ.

— ხელები კი არა და ფეხებსაც ავიწევ კიდევ! მოიტანეთ მაგ ბოჩოლი, დამადეთ და გაათავეთ მიიმუნობა დროზე. ჩქარა ქენით, აწი!

ბავშვებივით დაფაცურდნენ, სირბილით მოიტანეს ბოჩოლი, დამადვეს და გაიკეტეს კარი.

ღამემდე საჯინიბოში ვყავდი. დღამდე, გამიყვანეს ჩუმად. ხმაურს რომ ძალიან ერიდებოდნენ, ისე ამიყვანეს ნიკანდრო ქილიას ოთახში. სანამდე კიბეებს ავივლიდი, იქამდე მივხვდი, ჩემი დაქერის და იქ ყოფნის ამბავს რომ მალავდნენ და არავისთვის გაგებინება რომ არ უნდოდათ. იმასაც მივხვდი, რომ ქილიასთანა ტუტუცის მოგონილი არ იყო ბოჩოლიას ხრიკი და რალაც დიდი ეშმაკობა რომ ტრიალებდა ჩემს თავს, მაგრამ ისიც მაშინვე მითხრა გულმა, მათი ხელიდან დაძვრომას რომ მოვახერხებდი. მოხერხდა, თუ გახსოვს, კარგად მოხერხდა, ბოჩოლიაც რომ წამოვიყვანე, ისე. ასე იყო ეს ამბავი და დღემდე არ ვიცი, ვის მოაპარვინეს ჩემი ბოჩოლია.

— პოლიციაში რა მოხდა, როგორ შეძლო იქედან წამოსვლა — ამბზე არ უყვარდა დათას ლაპარაკი. რამდენი წელიწადი იაბრაგა კიდევ, არ მახსოვს ახლა. ამ მეორე აბრაგობაში მიაბო დათამ ბოჩოლიას ამბავი პირველად და მერეც ვამბობინე ორჯერ თუ სამჯერ.



რომ შეღამდა, მოვიდა პოლკოვნიკი სახნოვი ჩემს დაწესებულებაში. ჩემი კაბინეტი ორი ოთახისგან შედგებოდა. კარი აერთებდა ოთახებს. გავიდა უკანა ოთახში, ჩაჯდა ჩემს საეარქელში და მიბრძანა:

— ქილია, ამოიყვანეთ თუთაშხია! კარგად მოამზადეთ. გამოვალ, როცა საკურო იქნება!

დიდი ჰკუა და გამჭირახობა არ კიროდა იმის მიხედვრას, რა დღეშიც ჩავვარდი; ჭერ იყო და, ოპერაციის გეგმის მიხედვით სახნოვს უზარანდლით არ უნდა გაეკეთებინა არაფერი. რომ გავფუჭებულყო საქმე, პოლკოვნიკი წაბრძანდებოდა თავის პეტერბურგში და აქ მე გამაძრობდენ ტყავს, შენი ბრალია ყველაფერიო! მეორე: კარგადაც გამოსვლოდა საქმე სახნოვს—საქებარს და წარმატებას ერთ ციკქნას მეც ვაღმომიგდებდა ალბათ, მარა უმთავრესს თავისთვის დაიტოვებდა და ზარანდლია დარჩებოდა ხანამშრალი. მართალია, არ იყო მუშნი სახელის მაძიებელი კაცი, მარა მაინც უკმაყოფილო იქნებოდა ჩემით — ესეც ხომ მართალია?! რა მექნა, პატარა კაცი ვიყავი და რასაც მიბრძანებდა სახნოვი — უნდა შემესრულებინა, აბა რა? მესამე ამბავიც იყო კიდევ: დათა თუთაშხიას იმ დროისთვის გიმნაზიაში შესვლა კაი დაგვიანებული ქონდა და, კარგად მოამზადეთო, პოლკოვნიკმა რომ მიბრძანა, რისთვის და როგორ უნდა მომემზადებინა, სანამდი არ ვკითხე, ვერ მივხვდი ვერასგზით.

— თხუთმეტი როზგი!

— რისთვის, ბატონო პოლკოვნიკო? — ამაზე ხარხარი აუტყდა პოლკოვნიკს მისთანა, რომ კელღები აზანზარდა ოთხივე.

სისულელე იყო ამის თქმა, წამომცდა და რას ვიზამდი აწი. მიტომ წამომცდა, რომ დათა თუთაშხია თუ წაგვივიდოდა ხელიდან რამენაირად, სახნოვს იქნებ ვერ დაეწყოდა, მარა თხუთმეტ როზგს

ჩემს შეილებს და მე არ გვაბრძანებდა არას გზით.

ალარ დავლოდებვიარ პასუხს, გავედი ოთახიდან, გავავზავენე ხალხი თუთაშხიას ამოსაყვანად.

თხუთმეტი როზგი! კი ბატონო, მარა ჩემი ხალხის ამბავი რომ ვიცოდი—რომელი შეაბამს ექვანსო, ნათქვამია და ისე შექონდა საქმე. მანგია მყავდა ერთი, მისთანა სულელს კაცს ვერ ნახავდი ამ ქვეყანაზე. მასაც კი ესმოდა, დათა თუთაშხიასთვის დარტყმული თითო როზგი თითო სიკვდილად რომ ფასობდა იმ დროში.

ამოიყვანეს თუთაშხია. დვას და მიუყურებს, გაუგებ რას ფიქრობს და რას აპირებს, მამაძალი?

— დააწვინეთ! — ვუბრძანე ჩემს კაცებს.

ხუთნი იყვნენ. ეტაკნენ თუთაშხიას. თითო წიხლი კამფეტებივით ჩამოურიგა ხუთივეს. ზოგს საღ მოხვდა, ზოგს—საღ და გაჩერდნენ ჩემი კაცები.

— დააწვინეთ! — ნამეტანი ვავბრაზდი.

—ახლოს არ მოხვიდეთ არც ერთი!— თქვა თუთაშხიამ, როზგებს შეხედა, დაწვა იტაკზე გულადმა და ჩემს კაცებს უთხრა: — შენ საბაღუა, ხარ, შენ — ტოლუა, შენ — მანგია, შენ — ჩილორია, შენ — გაბისონია...

—დაკარით!.. სამ-სამი დაარტყით თითომ, თხუთმეტი რომ გამოუვიდეს სულ!

დაუწყეს ცემა. არც ერთი არ ურტყამდა გულიანად: ხელს მაგრად იქნევდნენ — იცოცხლე, როზგს პაერში ზუზუნი გაქონდა, მარა მოხვედრით, ერთი არ მოხვედრია, საჭირო რომ იყო, ისეთი. იწვა აბრაგი, შემომყურებდა თვალეში, არ ძრავდა ხმას და კრინტს.

ასე, თორმეტი ექნებოდათ დარტყმული, რომ შემოაღო კარი პოლკოვნიკმა სახნოვმა და მისთანა ყვირილი და ვიულებელურება დაგვაწია, კაცი იფიქრებდა,





თუთაშხიას წილი საყვირალი და სალან-  
ძლავი ამან იყისრაო:

— რას შერებთო!.. შეწყვიტეთ ეს ჯა-  
ლათობა!.. ვინ მოგცათ უფლება!.. რა  
დააშავა მაგ კაცმა!.. იდიოტებო! დამი-  
ხედეთ, ერთი, ამ ნაძირალებს, ამათ?!  
ვაერთოეთ აქედან! ქილია, გაყარე ეს  
გარეწრები გარეთ! ადგილზე დახვრეტ  
ხუთივეს!..

მივხვდი, რასაც ნიშნავდა ეს წარმოდ-  
გენა, პირველი არ იყო, მარა ჩემმა ხალ-  
ხმა სიმართლედ მიიჩნია და პოლკოვნი-  
კი თავისი ალიაქოთის ნახევარზეც არ  
იყო მისული ჯერ, რომ დაყარეს როზ-  
გები და ფუცხუნ-ფუცხუნით გაცვივდ-  
ნენ გარეთ.

— ადექით! — ისეთი ხმით უთხრა  
პოლკოვნიკმა, რომ ბოდის მოხდას  
ნიშნავდა, პირდაპირ.

ადგა თუთაშხია.

— აპყარეთ ბორკილი! — მე მითხრა  
ეს.

— მანგია, შემოდით!

შემოვიდა მანგია. ვანიშნე, აპყარა  
თუთაშხიას ბორკილი, წაიღო თან და წა-  
ვიდა.

— აქეთ ოთახში შემოდით, ბატონო  
თუთაშხია, — შეიპატიუა პოლკოვნიკმა  
აბრაგე და ერთი დაიყვირა კიდეც: —  
ვინ დაგავალათ როზგები... რისთვის შე-  
ურაცხაყავით ადამიანი!

ისე გამოდიოდა, ვითომ მე ჩემი ნე-  
ბით ვაცემინე დათა თუთაშხია... მარა არ  
იყო თუთაშხია სახნოვის ჭკუის კაცი და  
მშვენივრად მიხვდა ყველაფერს — შე-  
ვატყე.

შევედით უკანა ოთახში, დავსხედით  
მის-მის ადგილზე, შევაჯე დაკითხვის  
ოქმი. შევყურებ პოლკოვნიკს, აწი რას  
იზამს, ან რას იტყვის-მეთქი.

— რა კავშირი გაქვთ ჭანტურიებთან?  
— კითხა ჩემმა უფროსმა თუთაშხიას.

ჭანტურიები აბრაგები იყვნენ — ორი  
ძმები.

— რომლებია, მაგ ჭანტურიები?

— ყაჩაღები.

— არ ვიცნობ მე მათ.

— იცნობთ. მიპასუხეთ, რა კავშირი

გაქვთ მათთან. — დაიგინა პოლკოვნიკ-  
მა.

— არ ვიცნობ მე მათ! — არც თუთაშ-  
ხია იყო სახნოვზე ნაკლები ჯიუტი და  
ოხერი.

მოდგენ და ნახევარი საათი სულ ერ-  
თი და იგივე ილაპარაკეს: „იცნობთ!“  
„არ ვიცნობ მე მათ!“ რამდენჯერაც  
თქვეს, იმდენჯერ ჩაეწერე. რა მექნა,  
აბა? რომ ვერ გახდა პოლკოვნიკი ვე-  
რაფერს, გაჩუმდა მაშინ ცოტა ხნით და  
უთხრა მერე დათა თუთაშხიას:

— კარგი, დავანებოთ თავი ამას. მთა-  
ვარმართებლის მიერ გაცემული საბუთი  
წარსულში ჩადენილ ყველა ბოროტმოქ-  
მედებას გაპატიობთ — ეს მართალია,  
მაგრამ შერიგების შემდეგ ჩადენილი  
სულ მცირე დანაშაულიც კი აუქმებს  
ხსენებულ საბუთს და თქვენ გასამართ-  
ლებული იქნებით ყველა დანაშაულის-  
თვის, რომელიც ოდესმე მანინ ჩაგიდგ-  
ნიათ. თქვენს მიერ ჩადენილი დანაშაუ-  
ლი კი ექვს სქელ საქალღდებში ძლივს  
ეტევა და ერთადერთი განაჩენი, რომე-  
ლსაც სასამართლო გამოიტანს — სახრ-  
ჩობელა იქნება. ცნობილია თუ არა ზე-  
მოთქმული თქვენთვის?

თუთაშხიამ პასუხი არ გაცა.

— საქმარისია შევძლოთ ჭანტურიებ-  
თან თქვენი დანაშაულებრივი კავშირის  
დამტკიცება, რომ სახრჩობელაზე დაა-  
რულდეთ სიცოცხლეს.

— არ ვიცნობ მე მათ!

პოლკოვნიკმა თავი გადაიქნია, ვითომ  
ნანობდა, თუთაშხია ასეთი გაუტეხავი  
რომ იყო და მიბრძანა:

— გაიმეორეთ!

მოვიყვანე ჩემი ხალხი ისევე.

— ზედმეტია ეს. არ გამოვა არაფერი  
აქიდან! — უთხრა თუთაშხიამ პოლკოვ-  
ნიკს და დაწვა ისევე.

— გამოვა, გამოვა! — თქვა პოლკოვ-  
ნიკმა. — დაკარით!

— ქილია! არ ჩანს მაგ კაცი მთლად  
სალი ჭკუის და მარცხში ვაგაბამს შენც,  
— მეგრულად მითხრა თუთაშხიამ. —  
ჭანტურიები არაფერ შუაშია, ვატყობ  
საქმეს. რა უნდა, ნეტავი, მითხრას პირ-

დაბირ. ჩემთან ეს კეკემაღლულობა არ გამოადგება მაგას, იცი ეს შენ.

— დასცხეთ! — დაიყვირა სახნოვმა, თითოთ მიმიხზო და მკითხა, რა თქვა მავანო.

სანამღი ვუთარგმნიდი, დაჯრეს როზგები აბრაგს. არ მოეწონა, ალბათ, ჩემი კაცების მუშაობა სახნოვს; წამოხტა, წაართვა ხელიდან გაბისონიას როზგი და დაცხო თვითონ — ხო, ხო, ხო!.. ცემა, სანამღი დაიღლებოდა. არ განძრეულა თუთაშხია, არ გაუღია ხმა-კრინტი. დაჯდა ისევ პოლკოვნიკი, მოითქვა სული, ხელახლა მათარგმინა თუთაშხიას ნათქვამი. რომ გავათავე თარგმნა, აუქნია ხელი პოლკოვნიკმა ჩემს კაცებს, ვადით აქიდანო და დაფიქრა.

დიდი იფიქრა და ამტვრია თავი რაღაცას. თვალები ძირს ქონდა ჩახრილი. ერთი გაფიქრება გავიფიქრე, ხომ არ მიიძინა ჩემმა უფროსმა-მეთქი. დათა თუთაშხია მხარ-თემოზე წამოვედო, შეიბჯინა ხელისგული ყურის ძირში და რანაირი თვლებით გვიყურა, თუ იცი?.. ახლა ენახოთ, კიდევ რა სისულელეს მოიმოქმედებს ეს ორი კაძახიო!

კიდევ მოვიმოქმედეთ!  
— დაჯექით აქ! — მიუთითა პოლკოვნიკმა სკამზე თუთაშხიას.

ისე აითრია უკანალი აბრაგმა, რომ წოლა ერჩია, მგონია.

— მაშუ ჭანტურიებს არ იცნობთ, ხომ? თუთაშხიამ თავი გაიქნია, არაო.

— დავუშვათ... მაგრამ იმისთვის, რაც ჩვენ გვჭირდება, ნაცნობობა მაინცდამაინც აუცილებელი არ არის. ერთი ეს მითხარით: შეგამიღიათ თუ არა გაიცნოთ და კონტაქტში შეხვიდეთ მათთან?  
— კი შემიძლია, მარა არ მჭირდება.

— თქვენ რომ არ გჭირდებათ, არაფერს არ ნიშნავს ეგ. ჩვენ გვჭირდება! თქვენ თავისუფლება და შინ ყოფნა გჭირდებათ, ხომ?

თუთაშხიამ მხრები აიჩეჩა, რა ვიცი, როგორ გითხრათო.

— დაგვაქერინეთ, დაგვანოცინეთ, ან თვითონ დახოცეთ ის ჭანტურიები. მა-

შინ სახარობელასაც აიციდნენ და საქართველოს უსიამოვნებებსაც.

თუთაშხიამ გულიანად გადაიხარხარა — გაუხარდა ოხერს, მიზანი რომ დააროშენა პოლკოვნიკს. არა, სხვა უსიამოვნებებსაცო — ვითომ სახარობელაზე მეტი უსიამოვნება კიდევ იყო რამე.

— არაფერი არ გამოვა, ბატონო პოლკოვნიკო, მანდედან! — დაწყუნარდა თუთაშხია.

— გამოვა, გამოვა! — აიხირა სახნოვმა.

ასე დაჯრებულ და დარწმუნებულ კაცი მეორე არ შემხვედრია არსად. გამოვაო! რატომ უნდა გამოსულიყო, ვითომ? ერთი, რომ თუთაშხია იმ საქმეს, მოშკალი თუ გინდა, სანამდელიოდ არ იქისრებდა და, მეორე — ჭანტურიებმა არც სროლა იციოდნენ თუთაშხიაზე უარესი და არც მასზე ნაკლები ეშმაკები იყვნენ. თუთაშხიამაც ეს კითხა:

— ასე დარწმუნებული რატომ ხართ, ბატონო პოლკოვნიკო?

— დარტყით კიდევ ათი როზგი და მერე განვუმარტავ, თუ რატომ ვარ ასე დარწმუნებული, — მითხრა პოლკოვნიკმა.

დაწვა თუთაშხია ისევ და ისევ დაუშინეს ჩემმა კაცებმა. მაინც რამ აატანინა იმდენი? მართალია, არ ურტყამდნენ კარგად, მარა ოცდაათი და მეტი როზგი მოცაცუნებითაც ნამეტანი ძნელი გასაძლებია, ღმერთმანი!

წავიდნენ კაცები და ისევ სკამზე დაჯდომა უბრძანა თუთაშხიას სახნოვმა.

— ახლა გეტყვით, რატომ ვარ დარწმუნებული იმაში, რომ დაგვეხმარებით. — პოლკოვნიკმა აზრი მოიკრიფა, მანიშნა, აღარ ჩაწეროო და თუთაშხიას მიუბრუნდა: — ხალხი, ბოლოსდაბოლოს მიხვდა, ვინცა ხართ. წინათ ყველა, ან თითქმის ყველა, თქვენი დამხმარე და ხელის შემწყობი იყო. ახლა — ყველა მტრად გადაგვიკიდათ. თქვენს მიერ დარბეულ თუ დახოცილ ადამიანებს

---

ზაზუა აშირაძე  
დათა თუთაშხია

შვილები წამოეზარდათ და საფარიდან თითო ტყვიის სროლას, არც ერთი მათგანი არ დაინანებს.

— უსამართლოდ არავინ არ შემიწუხებია, უწესო საქმე არ ჩამიდგინია არასოდეს და კაცის ცოდვა — საერთოდ არ მადევს მე, — თქვა თუთაშხიამ.

მოდგა მაშინ სახნოვი და ყველაფერი ჩამოუთვალა, რაც ჩვენი კაცების ენით ჭორები დაეუყარეთ თუთაშხიას და რაც იმ ჭორებს ხალხის ენამ დაუმბატა კიდევ; ლუწში თოდუების ოჯახი შენ ამოწყვიტო, მარტვილთან მეძველა და გამელაგდია — ყაჩაღები, შენ დახოცო, ოთხი ქალიშვილი ჩამოუთვალა — ოთხივე შენი გაუპატიურებულაო და, აღარ მახსოვს ახლა, კიდევ რა უთხრა!

— მაგ ამბებს ჩემზე რომ ლაპარაკობენ, გაგონილი მაქვს მე, მარა არც ერთი არ გამიკეთებია ეგენი, — ჩაილაპარაკა თუთაშხიამ.

სახნოვმა მასხრად აიგდო, გიგონებენ, შე საწყალო, შენო!

ლამის სამ საათამდე გაგრძელდა ეს ლაპარაკი, დათა თუთაშხია, რაც დრო გადიოდა, სულ უფრო და უფრო ნებდებოდა და ტყდებოდა, თითქოს, მარა ვხედავდი, რომ ეშმაკობდა მამაძაღლი.

— მძიმე მდგომარეობაში ხართ, ძალიან, — ეუბნებოდა სახნოვი. — რამდენადაც ვიცი, ყველაზე ერთჯულმა მეგობრებმაც კი ზურგი შეგიქციეს და რამდენჯერმე გითხრეს უარი მასპინძლობაზეც და დახმარების აღმოჩენაზეც. თქვენ ახლა გალოკილი თითივით მართო და მიუსაფარი ხართ. მეტიც, თქვენ განწირული ხართ და აი როგორ: კიდევ რომ გაათავისუფლოთ, მტრები და შურისმძიებლები მოკლავენ. ჩვენ უფლება არ გვაქვს მკვლელობას და ბოროტ-მოქმედებას ხელი შევეწყუთ. თქვენი გაათავისუფლება სწორედ ამას ნიშნავს. მასხადაძემ, ვეღარ გავიშვებთ. რაკი ვეღარ გავიშვებთ, მაშინ მსჯავრიც უნდა დაგადოთ ყველა იმ დანაშაულისთვის, რომელიც დღემდე მიგიძღვიოთ. ეს კი სახარხოზელას ნიშნავს. ერთადერთი გამოსავალი არსებობს: ჩვენს სამსახურ-

ში უნდა ჩადგეთ. ჩვენს სამსახურში ყოფნა ხელშეუხებლობას ნიშნავს. მტრები ხელყოფას ვეღარ შემოგინდვენ. მათ კარგად იციან, რომ ჩვენი კაცის მკვლელობისთვის სასჯელი მხოლოდ ერთია. მეორე მხრივ პერსპექტივაში გაქვთ სამსახური, ჯამაგირი, კეთილდღეობა, სახელმწიფო ჯილდოები და დაწინაურება. ამრიგად, თქვენ ორი უკიდურესობის წინაშე დგებხართ: ან ციხე და სახარხოზელა, ან თავისუფლება და კეთილდღეობა. გონიერი კაცისთვის ამ მდგომარეობაში არჩევანიც კი გამოირიცხებოდა... როგორც ხედავთ, ლოგია ჩემს მხარეზეა და არსებობს კიდევ უფრო დიდი ლოგია — ძალა! ჩვენს მხარეზეა ძალა, ყოვლისშემძლე, მსოფლიოს უდიდესი იმპერიების დამაოკებელი და მომთენიერებელი ძალა, რომელსაც თქვენ ბოლოსდაბოლოს ან დაემორჩილებით, ან დაიღუპებით... ამჯერად ბევრი არაფერი გვინდა; ჩავვაბარებთ ჭანტურიები ან მათი გვამები. ამისთვის ხელისუფლების კეთილგანწყობილებასთან ერთად მიიღებთ სამ ათას მანეთს... ოქროთი!

სიჩუმე ჩამოვარდა და ისე დალაგებული იყო პოლკოვნიკის ნალაპარაკევი, რომ ვიფიქრე, ნეტავი რა აქვს საყოყმანო და გადასაწყვეტი გათახსირებულ თუთაშხიას — მეთქი!

— მაფიქრეთ პატარა ხანს, — თქვა აბრაგმა. — მასეთი ამბავის დაუფიქრებელი გადაწყვეტა არ ივარგებს.

ეს რომ გაიგონა პოლკოვნიკმა, სიხარულისგან თუ არ გადაიეროდა — არ მეგონა, სწორედ. იფიქრა სახნოვმა, ახლა უნდა დაეაწვე, დაწოლა თუაო და გადაქრით უთხრა:

— უკვე გითხარით, რომ საფიქრალი მანდ არაფერია, რაც გელაპარაკეთ ყველაფერი წინასწარ არის მოფიქრებული და განსჯილი. მე ლოდინი არ შემიძლია, პეტერბურგში გადაუღებელი საქმეები მელის. თქვენი საკითხი დღესვე უნდა გადაწყვიტო, სათანადო განკარგულებები გავცე და ხეალ დილით ადრე ვზას გავუდგე. მე გელით... — პოლკოვნიკმა



საათი ამოიღო, სახურავმა გაიტაცუნა,  
— ...მე გელით ორ წუთს!

ორი წუთი გავიდა. სახნოვმა საათის  
სახურავი ისევ გაატაცუნა და მაგიდაზე  
გაშლილი ქალაღდების მოგროვება დაი-  
წყო, ვითომ ეჩქარებოდა და წასვლას  
აპირებდა.

— რამდენ ხანს დამაციდით მაგ საქ-  
მეს? — იკითხა თუთაშხიამ ხმადაბლა.

— ათ დღეს... ორ კვირას.

— რომ ვერ გაკეთდეს?..

— გაკეთდება, გაკეთდება! — დაეინე-  
ბით თქვა სახნოვმა და ვიფიქრე, კიდევ  
დამაძახებინებს ხალხს და, როზგებით,  
იტყვის.

— კაი, ბატონო, ვიზამ, ასე თუა საქ-  
მე! — ძალიან გაჭირვებულად თქვა თუ-  
თაშხიამ.

— გაფორმება უნდა ამ საქმეს, — სახ-  
ნოვმა კალამი მოიმარჯვა და წერა დაი-  
წყო.

დაწერა პირობის წერილი. ჩაწერა  
შიგ, რა ევალეზობდა დათა თუთაშხიას,  
რამდენ ხანში უნდა შეესრულებინა და-  
ვალეზა, რომელი პარაგრაფით და რომე-  
ლი მუხლით აგებდა პასუხს შეუსრუ-  
ლებლობის შემთხვევაში და სხვა ყვე-  
ლაფერი კიდევ, რაც ასეთ ხელწერი-  
ლებში იწერება.

გაათავა და, წაკითხვას თუ მოახერხე-  
ბო, კითხა თუთაშხიას.

მოვახერხებო.

დაიღო წინ თუთაშხიამ პოლკოვნიკის  
ნაწერი ქალაღდი, იკითხა ნახევარ საათს  
და თქვა:

— ვიფიქრე მე და არ ეყოფა ამ საქ-  
მეს ორი კვირა. თვენახევარი დაჭირდე-  
ბა, სულ უკანასკნელი. გადავწეროთ უნ-  
და ეს ხელწერილი.

შეხედე, მამაძალს! ხედავ შენ, რა  
მოიგონა?!. რატომ თქვა, თუ იცი? რა-  
ტომ და, უფრო რომ დარწმუნებულ-  
ყო სახნოვი, გაათავებულა საქმე, გად-  
მოპირებულა თუთაშხიამ — ეს ერთი  
და მეორე ის, რომ თანხმობა მეტი და-  
მაჯერებელი ყოფილიყო.

ვიცოდი, რასაც ეშმაკობდა აბრაგი,  
მარა სახნოვს არ ესმოდა ეს. გადაწერა

ეზარებოდა იმ ქალაღდის და მოტყუებულ  
უწყო დარწმუნება, ორი კვირის დასრუ-  
ბა არ დაეჭირდებო. იქეთ თუთაშხიამ დაი-  
ქინა, თვენახევარიო და კილამ წაიციდ-  
ნენ ამაზე. მერმე სახნოვს მოაგონდა,  
ნაწერის ბოლოში შენიშვნების გაკეთება  
რომ შეიძლებოდა, დათანხმდა ვადის  
გაგრძელებაზე, აგერ, ქვეშ მივაწერო-  
თო, მარა არ ქნა და არ მოაწერა ხელი  
თუთაშხიამ, სანამდე არ გადააწერინა  
ქალაღდი ხელახლა.

რას იზამდა და გადაწერა პოლკოვ-  
ნიკმა ხელწერილი. იკითხა ისევ ნახევა-  
რი საათი თუთაშხიამ, მოაწერა ხელი  
და დაინიშნა პირველი შეხვედრის ად-  
გილი ერთი კვირის თავზე. სანამდე გა-  
ვუშვებდით აბრაგს, ვიხელთე დრო, გავ-  
ბედე და ჩავჩურჩულე პოლკოვნიკს,  
გვატყუებს, ერთი სიტყვა არ დაიჯეროთ  
მაგისი-მეთქი. ისე შემომობრიალა თავი-  
სი თევზის თვალები სახნოვმა, ვითომ  
მე ვასულელე მთელ ღამეს და მერმე შე-  
ვუპირებდი მოტყუებას და პირობის  
დარღვევას.

გამოგვაცანინა თავლიდან თუთაშხიამ  
თავისი შავი ბოჩოლა, შეჯდა ცხენზე  
და, სიმართლე გითხრა, მას მერე თვა-  
ლით აღარ მინახავს არასდროს.

მეორე დილას თხუთმეტი ფურცელი  
ქალაღდი დამაწერინა პოლკოვნიკმა,  
თუთაშხია ქანტურებს რომ დაგვაპერი-  
ნებდა, იმის მერე რა უნდა მექნა და  
რა მუშაობა უნდა ჩამეტარებინა. ჩაჯდა  
ეტლში და წავიდა ფოთში.

დადგა თუთაშხიასთან შეხვედრის  
დრო. მე რას მივიღოდი იქ, იმდენი  
როზგის მერე! მოსაკლავი თავი ვის ქონ-  
და. ჩავსაფრდი შორს და დანიშნულ ად-  
გილზე კაცი გავავზაენე. მივიდა ჩემი  
კაცი იქ. არავინ არ დაუხვდა, რვა წლის  
ბიჭი ნახა ხიდის ყურში, ხურჯინს მიჯ-  
ლომოდა გვერდში და იჯდა ასე. იყო იქ  
ჩემი კაცი ერთხანს. რომ აღარ გამოჩნ-  
და თუთაშხია, იფიქრა, ეს პატარა ბიჭი

ვახუა ახიჩავიზი  
დათა თუთაშხია

მისი გამოგზავნილი ხომ არ არისო. კითხვა, ვინ ხარ და რას აკეთებ აქო? თუთაშხიამ გამოიმგზავნა, ვილაც კაცი ყავს დაბარებული ამ ადგილზეო. მე ვარ ის კაცი, რა დავაბარაო? აგერ, ეს ხურჯინი გამომატანაო. რაი, მერო?

ნიკანდრო ქილიას მიაართვან, ასე მი-თხრო.

წამოიღო ჩემმა კაცმა ხურჯინი, მოი-ტანა. გავხსენი: ცალ მხარეს ქათამი იყო და მეორე მხარეს ინდოური.

კაი, ბატონო, მარა, რაც იმის მერე თუთაშხიამ ამბები დააწია, იმასთან ყვე-ლაფერს, მართლაც, ქათმის და ინდოუ-რის ფასი აქვს, მანამდე მის ჩადენი-ლებს. ერთი კია, რომ, რაც ჩაიდინა და რამდენიც ჩაიდინა, ოხერმა, — თავისი სამხილებელი არ დაუტოვებია არაფერ-ში, მარა მისი მეორედ გააბარაგების შემ-დეგ საქართველოში ძალადობა, მკვლე-ლობა და ხანძარი რომ დატრიალდა უსაშველო, — უმრავლესობა მისი ხე-ლიდან იყო გამოსული; ასეა ეს, თუ ვარ ნიკანდრო ქილია!..

ამასობაში გავიდა კიდევ ერთი თვე. ჩამოვიდა ქუთაისის გუბერნიის პოლი-ციის უფროსის მოადგილე, ჩამოიყვანა ოფიცერი და გადამაბარებინეს საქმე-ები. მოგვამა ჭირი პოლიცემისტრობამ.

ჩავედი თბილისში, ვეახლე მუშნი ზა-რანდიას. დამინახა და გაცეცხლდა — მუგუზლებს ყრიდა პირიდან! ორ საათს მიყვირა, მიღრიალა და სახედარი მეძახა სულ. ისეთ გუნებაზე დავდექი, ვიფიქ-რე, მაინც გათავებულა ყველაფერი-მეთქი, მომივიდა გული და მივაყვირე მუშნი ზარანდიას:

— შენ დამაკარგვიანე, მუშნი ზარან-დია, თანამდებობა, შენ დაანგრიე ჩემი ოჯახი და ამ საქმის გამოსწორება, შენ-ვე კეთილ ინებე, თვარა მე ვიცი, რასაც გიზამ და რასაც მოგიხერხებ!..

— რას მიპირებ, მაინც? კაცმა წინას-წარ რომ იცის მოსალოდნელი უბედუ-რება, შეღავათია, რაც არ უნდა იყოს! — მასხრად ამიგლო ზარანდიამ.

— ებრაელების ნაჩუქარ საყურეებს/ თუ ატარებს შენი ცოლი, მუშნი <sup>და მადლი</sup> ტონო?! — ვკითხე მე.

— მოდი, დაჯექი აგერ, ქილია.

მივედი და დავჯექი.

გაალო კედლის განჯინა ზარანდიამ, ეძება რაღაც, იპოვნა რომ ჭირდებოდა ის ქალაღი და დამიღო წინ:

— ილიოტი და თავხედი კი ხარ, მარა წერაკითხვა იცი და კარგად წაიკითხე მაგ ქალაღი!

ნოტარიუსის ქალაღი იყო. ჩუქების მერე ერთი კვირის თავზე დაუბრუნებია საყურეები ებრაელებისთვის ზარანდი-ას. გავსტერადი კაცი. ამდენ წელიწადს ისე ეჭირა თავი, ვითომ დიდად დავა-ლებული იყო ჩემგან, რომ არ ჩავწერე მოხსენებით ბარათში საყურეების ამბა-ვი და რომ არ დავასმინე ქრთამი აქვა აღებული-მეთქი. ამდენ ხანს სულ იმის იმედი მქონდა, ნაშოვნი მყავს მუშნი ზა-რანდია და, ნუ დამიყენოს ღმერთმა საქმე ისე, მარა თუ დამჭირდა, ჩემს ნე-ბაზე ვატარებ-მეთქი, მეგონა. საღ ხარ თურმე?! მთლად გავგიჟდი და გავცოფ-დი:

— მუშნი ზარანდია, წამიხვედი გგო-ნია ხელიდან, მარა ჩემი შვილების უბე-დურობას არ შეგარჩენ მაინც. დავჯდები და, არ დავტოვებ არც ერთ უწყებას, ყოველდღე გავაგზავნი დასმენას, მუშნი ზარანდია ქურდია, მექრთამეა, მეფის და ტახტის მოღალატეა-მეთქი. არ და-მიჯეროს იქნება არავინ, მარა გაისვრე-ბი და გათახსირდები — ეს ხომ იქნება ნამდვილად! უნდა აღმადგინო თანამდე-ბობაზე, თვარა ვიზამ ამას!

გაიციანა მუშნი ზარანდიამ:

— მაგას და მაგაზე უარესს რომ იკად-რებ და იზამ — ვიცი მე ეგ, ქილია. და-წყნარდი ახლა, კაცი მყავს მისაღები და იჯექი ჩუმაღ.

დარეკა ზარი, შემოუშვეს ვილაც. დაჯ-და და საქმეებზე ილაპარაკეს კაი ხანს. წავიდა კაცი.

— ხომ დამშვიდდი, ნიკანდრო ქი-ლია? — მკითხა დაცინვით ზარანდიამ.

იმდენი დრო გავიდა იმ კაცთან ლაპა-



რაკში, რომ დავმშვიდდი კი არა, გონს მოვედი და კილამ თავში მუშტი წავიშინე, რა ვიკადრე და რა ვაკადრე-მეთქი: ჩავლუნე თავი, ვიყავი ჩუმად.

ამოიღო ზარანდიამ უჯრიდან სხვა ქაღალდი, დამიდო წინ და მითხრა:

— გადაწერე ეგ, დამიტოვე და წადი, დაისვენე ორ, სამ თვეს. ვნახოთ მერე.

წავიკითხე ქაღალდი. რას ხედავს ჩემი თვალები! მუშნი ზარანდიას ჩემი დასაწერი ახსნა-განმარტების და სამსახურში აღდგენის თხოვნა დაუწერია უჩემოდ. დაუწერია და როგორ, მერე!

— არ გეგონოს, ქილია, შემაშინე და მიტომ ვაკეთებ მაგას. არ მეშინია მე შე-

ნი. უსამართლობა დატრიალდა და მთელი თავს და უნდა დაგეხმარო. აღმჩინოვდა მოითხოვს ასე. ერთია კიდევ: არ ხარ დიდი ჭკვიანი კაცი, მარა არც მეჭრთამე და საქმის ორგული ხარ, შენი მაზრის ავკარგი სხვაზე უკეთ იცი და შენს ადგილზე ჯობიხარ სხვას. გვკვირია შენისთანა კაცები. გადაწერე ეგ და წადი.

ორი თვის თავზე ჩემი პოლიციებისტრობა ჩამაბარეს ისევ.

ასეთი ეშმაკი კაცი იყო მუშნი ზარანდია და ამასთან გულკეთილიც. ხედავ ამას ახლა შენ! ამას ქვია კაცური კაცობა, ასე უნდა ცხოვრება და თავის დაქერა ამ ქვეყანაში.



## ავისტოს წიგა

ავისტომ წიგმა გვადირსა —  
უკეთეს ვერც კი ინატრებ!  
გამელელთა ფეხქვეშ ანაზდად  
ჩნდება და ქრება ტალახი;  
ო, როგორ გვანან მგზავრები  
უცხო პლანეტის ბინადრებს —  
ქოლგებით — პარაშუტებით  
აჭრელბეულა ქალაქი.

ზღვისპირას ვილაც ჩერდება,  
ვილაცა მხნედ მიბიჯებს,  
ნავიდან ქშენით ამოდის  
მთლად გაწუწული მეთევზე.  
ქარი კი თავის მიერვე  
თავდაღმა გაკრულ აფიშებს  
ვერ კითხულობს და, რატომღაც,  
უკულმა აკრავს კედელზე.

ბალის ბუბუნი რაიმე,  
განსაკუთრებულს არ ბადებს, —  
მაინც სხვა არის ტოტების  
ატორტმანება ასეთი...  
სკამზე დაჭრილი მტრედით  
რალაც უმწეოდ ფარფატებს —  
ჯერაც გულმაღვიწყ პატრონის  
მოლოდინშია გაზეთი.

წიგმს ისევ კოკისპირულად —  
იმ ძალით, იმ ენერგიით,  
როდესაც რეკენ თუნუქის  
სახურავებზე წვეთები!..  
ო, ღმერთო, რა დრო გასულა!  
ამგვარ წიგმაში ნერგივით  
მეც ვიზრდებოდი ოდესღაც,  
ასლა — უბრალოდ ვსველდები.

## დ ე ღ ა ე ი წ ა

(ვარიანტი)

ნაწვიმარ მიწის ნედლი სურნელით  
და მადლიანი დილის მოტივით  
გაბრუებული და უზრუნველი  
მწვანე ფერდობზე ვარ გაშოტილი.

ფიჭვნარებს მიღმა გართხმული ველი  
მზეს ეფიცება და ნისლში ბოლავს.  
სადღაც მიხტის და ხითხითებს ღელე  
და, როგორც უნდა, აბრუნებს დოლაბს.

მე ისე მატკობს ხითხითი ღელის  
და სული ისე მიიწვევს მაღლა,  
მგონია, ცასაც მივწვდები ხელით,  
ეს რომ ძალიან მინდოდეს ასლა.

იზრდება შუქი, სითბო მატულობს,  
ქორი ევლება აქოჩრილ ყანას;  
შორს ქაოტურად მიმოფანტული  
ბუჩქები დამფრთხალ ვარიებს გვანან.

მე ყველა ბუჩქი თავისკენ მიხმობს,  
ცერებზე იწვევს და ხელებს მიქნევს.  
დგას ეკლესია ფიჭვნარებს მიღმა,  
ბაბუაჩემი მარხია იქვე...

მე თვალს ვადევნებ პეპლების ფარფატს  
და მსიამოვნებს, რომ ოდნავ სველი  
ბალახი, როგორც ბაბუას წვერი,  
ლოყაზე მჩხვლეტს და მიწაზე მბაბმს.

1.

თოვლზე წვებოდნენ მსდალი ჩრდილები,  
ირგვლივ იმგვარი დუმილი იდგა,  
ბაღი ხმამაღლა და დაჟინებით  
გამქრალ ფიფქებზე ფიქრობდა თითქო.  
დაჰბერა ქარმა და უცებ ჩადგა,  
დაცხრა ისედაც დარბეულ ქოსთან,  
როცა გაისმა კივილი სადღაც —  
ძალზე ნაცნობი: ვიღაცა მოკვდა!  
ვის დაეხუჭა უეცრად თვალი?  
ან ის ვინ არის — მოთმენა ჭირთა  
ვინც გვიანდერძა და, როგორც ვალი,  
სიცოცხლე ზურგზე აგვიდა ტვირთად?!  
მე არ მახსოვდა. მე გვიან მივხვდი,  
რომ აქ — თვალეში ჩამქრალი სხივით —  
ეგებებიან გარდუვალ სიკვდილს, —  
აქ ვერ მოისმენ წვივებს და კივილს.  
მე მომელანდა — მადლობა უფალს! —  
ქალის კივილად ელმავლის სტვენა,  
რომელიც ისევე აკრთობდა უბანს,  
და უნებურად ვძაბავდი სმენას.  
სადღაც ისმოდა მდინარის ჩქამი.  
აღარც ორღობე, აღარც ურემი...  
თოვლზე წვებოდა რუსული ღამე  
და ამოქნარებდნენ საკვამურები.

2.

თქვენ შეგიძლიათ მიაწეროთ ეს გრძნობა მირაქს,  
გულუბრყვილობას მიაწეროთ, ან — რასაც გნებავთ,  
ოღონდ ჭრილობას უცნაურად შეეკრა პირი,  
ტკივილის ტოლი — იდუმალი ვიგრძენი შეება.

ეს მოხდა ასე: თითქოს თვალწინ დაიმსხვრა სარკე —  
ფერადი შუქი აირეკლა მინებზე თრთოლვით  
და დავინახე — სახეირნოდ გამოსულ არყებს  
მკლავებში თოთო ბავშვებივით ეწვიან თოვლი.

და წარმომიდგა — თვალუწვდენი კილომეტრების,  
გადათოვლილი ტრამალების და ნაზავთარი  
დღეების მიღმა — მშობლიური სახლის კედლები  
და მოწყენილი გოგო-ბიჭის: — მამა სად არის?..

თვალ და ხელს შუა სულს ლაფავდა უკვე ზამთარი.



# წმინდა ტაძარი

ჩვენი მქუხარე სისხლის და მცხუნვარე მზის გადამრჩენი, ნაგები მძლავრი მარჯვენით ყველაზე წმინდა ტაძარი, — ეს მიწა ჩვენი დედაა, ჩვენი ღმერთი და გამჩენი, ამ მიწის მიღმა, ეტყობა, ბედნიერება არც არის.

არც ჩვენ ვყოფილვართ იაფი ბედნიერების მსურველნი, და თუმც ვარსკვლავთა მოწყვეტა არც გვიფიქრია ზეციდან, ერთი დღეც არ გვზმანებია უმიზნო და უზრუნველი, რომ ზურგზე აკიდებული ტვირთი ერთგულად გვეზიდა.

გულს როგორ ემღერებოდა! და მაინც რა მომჭანცველი, რა მძიმე, აუტანელი გრძობები გვეუფლებოდა, როდესაც ფეხის წვერებზე იწვედნენ ქონდრის კაცები, მთელი სიგრძე და სიგანით რომ დავენახეთ ზემოდან.

რა ცოტა გვყავდა მფარველი, რა ბევრი გვყავდა მრჩეველი. გმადლობთ! ნურაინ იფიქრებს, თითქოსდა ვართ უმადურნი, მაგრამ — უფალმა გვაშოროს მრჩეველი, განურჩეველი, და ნამთვრალევი თვალების ჩვენს სულში ზიზღით ფათური.

## ის დადიოდა მსუბუქად

ის დადიოდა ისე მსუბუქად, ამღერებული ღვთაებრივ ძალით, თითქოს ჩუხჩუხით გადადიოდა ქვებიდან ქვებზე მდინარის წყალი, — მიწას ძალიან ნუ დავამძიმებთ, გაუმხელებო და გასამხელო, ჩემო ტკივილო შეუცნობელო, ჩემო დარდო და ჩემო ნალველო. ღმერთო, შეუნდე ყველას —

რამდენიც

დინოზავრული ნაბიჯით დადის

მხოლოდ იმიტომ, რომ დედამიწას ნატერფალევი დააჩნდეს მათი.

„—ო, სულ ჩემო, იდუმალემა იხმე ფხიზელ და მუდმივ დარაჯად, ერთხელ იქნება, თვალებს აგიხელს და ფრთებს შეგასხამს ის, რაც არა ჩანს. აგერ, შეხედე!

ხედავ?

ნიავი

უხილავია და უმფოთველი,

სამაგიეროდ მის არსებობას ვერ უარყოფენ მწვანე ფოთლები...

ის დადიოდა ისე მსუბუქად, შურიან თვალებს გამოქცეული, თითქოს უჩინარ ფრთების წყალობით წონას კარგავდა მისი სხეული...



●  
 როცა გიყურებ —  
 ტყისპირია, აყვავებული,  
 მოჩანს ჯიხური,  
 ოდა-სახლი მოჩანს მეგრული.

ღვივის ჭალაკი,  
 მზე მალღდება თვალმოზიმიშიმე,  
 მიგაქვს კალათი,  
 დაცვარული ველი ციმციმებს.

გარემოს ადგას  
 შენეული ფერი კეთილი,  
 მიწაა დაბლა,  
 მაღლა ცაა გადაწმენდილი.

## გ ლ ა კ ა რ ი

საწვეთელში წვიმის ხმა,  
 ანუ ოლაჭვათირეს,  
 შენი ოქრო პირითა  
 ამბავს ჰყვები საკვირველს.

მეფობს ღამის წყვილიადი,  
 ისმის წვიმის შხაპუნი,  
 მიდის ვაჟი ზვიადი,  
 მესმის გულის ბაგუნი.

ვაჟი ომში მიიწევს,  
 ბრწყინავს პირი ხმალისა,  
 ბრწყინავს, როგორც დილის მზე,  
 გულის გასახარისად.

— ეშველება ქვეყანას?  
 ბაბუ, მითხარ, მართალი.

— ეშველება, მახარე,  
 გაგეცვითოს ფართალი.

საწვეთელში წვიმის ხმა,  
 ანუ ოლაჭვათირეს,  
 შენი ოქრო პირითა  
 ამბავს ჰყვები საკვირველს.

●  
შენ ტყის პირად თიბავ ბალახს,  
შორს — გაშლილი ველდება,  
აღარ დახვალ სუგდიდ-ქალაქს,  
ირგვლივ მშვიდი ფერებია.

შენ ტყის პირად დადგამ ზვინებს,  
ქვეყნად მკაცრი ზამთარია,  
მერმე უსმენ მარტის წვიმებს,  
ცისქვეშეთში — ავდარია.

და ცხოვრება მიდის ასე,  
მწუხრია თუ ცისკარია,  
ყურადღებას აღარ აქცევ —  
ცხადია თუ სიზმარია.

●  
ქაფათის ახლო, წიფლის ხეივანს  
დაეფინება როცა ფოთლები,  
როგორც სიზმარი, როგორც ფერია,  
კვლავ უეჭველად მომაგონდები,  
თუმცა მე ვიცი ყოველ წელიწადს,  
როგორ მკრთალდება დრო გაფრენილი...

ქაფათის ახლო, წიფლის ხეივანს,  
მივყვები ჩუმი და მოწყენილი.



# ამბავი არამხუტისა

(ნაწყვეტი რომანიდან)

ახალგაზრდა მწერალმა ჯემალ ქირიამ დაწერა რომანი „ამბავი არამხუტისა“, ნაწარმოებში არაერთი საინტერესო პრობლემაა დასმული და თავისებურად გადაწყვეტილი. ძირითადი კეთილისა და ბოროტის კვილია. აქ არის ოცნება ბედნიერებაზე, საერთო საქმისათვის თავდადება. რომანის მოქმედება გაშლილია რევოლუციამდელი სამეგრელოს ფონზე, როცა აჯანყებული მახები თვითმპყრობელობის დასამხოვად ირანმებოდნენ.

ვაქვეყნებთ რამდენიმე თავს ამ რომანიდან.

ქარი გაძლიერდა. მოგლეჯილი ყვები აბათქუნდა სახურავზე. ბაღში ხეები საცოდავად ატრიალდნენ და მათი შხვართი ტოტები ფანჯარას ეტლებოდა.

გათამამებულმა მახუტემ სამალავი დატოვა, ეზო უხმოდ გადაირბინა და ბაღში მიიმალა. ფრთხილად მიუახლოვდა განათებულ ფანჯარას, ცერზე აიწია და შეიხედა. დიდხანს ვერ მოწყვტია თვალი მის წინ გაშლილ სურათს.

კუთხის ბუხარში ეცეხლი ენთო და სითბოთი აესებდა პატარა ოთახს. ბუხრის რაფაზე ლამპარის ბრღლიალებდა და მისი სინათლე ბაღს ეფინებოდა შორეულ კუთხემდე. ფანჯრის პირდაპირ, კედელთან მდგარ პატარა საწოლში მამაკაცი ედგომოდა ბავშვის დაძინებას. აცეკვებულ გოგონას ძილი გაერთო მოდა და მამას დამალობანას ეთამაშებოდა. თავზე საბანს წამოიგდებდა, გაიტრუნებოდა, შემდეგ ისევ გადაიგდებდა და კისკისით წამოიძახებდა:

— კიტა, მამიკო!  
ბავშვის ზარივით წყრიალა ხმა აესებდა მთელ ოთახს და ბედნიერი მამის გულიდან დროებით გამოერეცხა სადარდებელი.  
— დაიძინე, ჩემო პატარა, დაიძინე... უკვე ივანაა! — ეხვეწებოდა იგი პატარა გოგოს, მავრამ ბავშვი თავისას არ იშლიდა.

კარგა ხანს იღვა მახუტი ფანჯარას აკრული. დაავიწყდა თუ რისთვის მოვიდა და სიფრთხილედ დაკარგა. მისი გული შეარბილა ბავშვის წყრიალა ხმამ და მამის უსაზღვრო სინაზემ.

უცებ კაცმა ფანჯრისაკენ გამოიხედა. მახუტის სუნთქვა შეეკრა. ბავშვიც ფანჯრისაკენ იყურებოდა და აღარ კისკისებდა. კაცი წამოდგა, ფანჯარასთან მივიდა, შუბლი ცივ მინას მიაღო და ბაღში გადმოიხედა. მახუტი ფანჯრის ქვეშ სიბნელეში ჩაცუცქდა და ასე უყურებდა კაცის გიგანტურ ჩრდილს, რომელიც ბაღში ქანაობდა და ტოტებზე იხეოდა. კაცი, ეტყობა, დამშვიდდა, რადგანაც ფანჯარას მოშორდა და ბავშვს მიუბრუნდა.

ფეხაკრეფით შემოუარა სახლს ირგვლივ. კიბესთან წყლით სავსე თუნგს წამოედო. თუნგმა გაიჩხაკუნა. მახუტი გახევდა, თუმცა ქარის ზუზუნში ვერავინ გაიგონებდა სუსტ კახუნს. მიაცურადა, თუნგიდან ლიკლიკით იღვრებოდა წყალი. ხელი ჩაიწინა და კიბეზე ავიდა. აივნის ფიცარი ატრიალდნდა. მუხლები ეძაგრებოდა, ფეხის თითებზე დგებოდა, ფიცარი კი მაინც ჭრატუნებდა. კარს ნელა უბიძგა; შიგნიდან ჩაურახავი აღმოჩნდა და ხელს უხმოდ დაემორჩილა. ოთახში ვერაფერი გაარჩია. მცირე ხანს იღვა კედელს აკრული და თვალს სიბნელეს აჩვევდა. მეორე ოთახში თამაშით გატაცებული



ბავშვი ვისკისებდა. კარის ღრუჯოში სინათლის  
 ძაფი შემოდინოდა და შუა ოთახში მდგარ მაგი-  
 დას ორად ჰქრიდა. „ვეი-თუ ბავშვი დავაშინო“  
 — ყოყმანობდა. კაცის ვარტე გამოხზობა უნდო-  
 და, მაგრამ იცოდა, რომ ხმაური ატყდებოდა.  
 ეს კი არ შეიძლებოდა.

ჩიქრთად შეაღო მევზობელი ოთახის კარი და  
 შეაბიჯა.

ბავშვმა და კაცმა ერთდროულად მოიხედეს.  
 ბავშვს სახე უცინოდა. მის გვერდით ძლიერი  
 მამა იღვია და ამიტომ არაფრის ეშინოდა. კაცის  
 თვალღებში შიშმა გაიკლვა, მაგრამ მხოლოდ  
 ერთი წამით და იგი მახუტებ ვერც კი შეამჩნია.

— ეშმაკმა დალაზეროს, იმ ქალს კარების ჩა-  
 კეტვა დაიწყებია... — ჩაიღუღუნა კაცმა. მის  
 ხმაში ბრავი არ იგრძნობოდა.

მახუტი ღღმდა.

— კარზე მანც დავეკაყუნებინა. კიდევ კარგი,  
 ბავშვი არ შემიშინდა... დაბრძანდი. — მან კუ-  
 თხეში მდგარ სკამზე მიუთითა — თუმცა დაუ-  
 პატყებელი, მანც სტუმარი გქვია... — კაცი  
 გარძობდა, რომ უადგილო სიტყვებს აშობოდა,  
 მაგრამ სიჩუმის ჩამოვარდნას უფრთხოდა და  
 ეს ალაპარაკებდა.

— ბავშვი გაიყვანე! — ცივად უბრძანა მა-  
 ხუტბი.

— არტომ?... პატარაა, მანც ვერაფერს გაი-  
 გებს...

— ბავშვი გაიყვანე!

კაცი უცებ ყველაფერს მიხვდა. სახეზე ოდ-  
 ნავ წამოფიქროდა, მაგრამ შიში არ დასტყობია.  
 — ეს ორგანიზაციის გადაწყვეტილებაა? —  
 ყრულ იკითხა მან.

— ორგანიზაციისა!

— მაგრამ რა უფლებით?..

— დალუბულებს ჰკითხე!

კაცმა თავზე ხელი გადაუსვა ლოგინზე წა-  
 მომჯღარ ბავშვს. გოგონა ვაკეირვებული უს-  
 მენდა უფროსების აღდევებულ, მშვიდ საუ-  
 ბარს და ვერ გაეგო, თამაშის ვაგარელებდა იყო  
 ყოველივე, თუ სერიოზული რამ ხდებოდა.

— მაგრამ მე მამა ვარ, — სუსტად გაიბრძო-  
 ლა კაცმა.

— მათ რამდენი ოპოლი დარჩათ?! — მახუ-  
 ტის ხმა შეტრბილდა.

„რა სასტიკი დროა, ახლა ეს ბავშვი უნდა  
 დავაშობო“ — ფიქრობდა იგი.

ბავშვი ლოგინზე წამოგდა და მახუტის ჩო-  
 ხის კალთაზე წაეპოტინა ფუნჩულა ხელებით.  
 — ვითამაშოთ?

მახუტი აიშლგრა და თავი ძლივს შეიკავა.  
 მისი სახის სიცივემ ბავშვს შეეკრთო და იგი  
 ისევ მამისაკენ მიბრუნდა.

— მამიკო, ვითამაშოთ?

— ჰო, შვილო, ჰო... — ანგარიშმიუტეველად  
 უპასუხა კაცმა და ბავშვი ხელში აიყვანა.

— ბავშვი გაიყვანე, ჩვენ უნდა ვიბრძო-  
 ლოთ!

— რითი? პისტოლეტებით ვერ გვართო-  
 ლებთ. სროლის ხმაზე ხალხი შეიწყვეტენ და  
 გიკვებენ. დანის ხმაურმა კი მესსრ-  
 — მწარედ უპასუხა კაცმა.

— უნდა შეძლო!

— არა, მახუტი, არ შემიძლია! შენ თუ და-  
 ნის ხმაურმა გუხერხება, იხმარე, მე კი არ შე-  
 მიძლია...

— ვითამაშოთ? — მტრულად გადახედა ბავ-  
 შვმა მახუტის.

— და რომ შემიძლოს, მანც არ ვიხმარდი.  
 არ მინდა, არაფერი არ მინდა! შენ კი გააკე-  
 თე, რაც შეგიძლია... რასაც შენი სინდისი ვა-  
 ვალდებულებს... — კაცი მკერდზე იკრავდა  
 ბავშვს და გულმდუღარედ ამბობდა სიტყვებს,  
 რომელთა აზრს იგი ბოლომდე ვერ წვდებო-  
 და — გამომწარა სიცილივით, ყველამ ზურგს  
 შემაქცია, შემიზილა! იდახ, სიძულვილისა არ  
 შემიწია, ზოზმა კი — შემამინა... ვანა მე კაცი  
 არა ვარ? ვანა მე ცოტა სიკეთე ვთქვი?... შენ  
 მანც იცი, რამდენი გამოიკეთებია. მაგრამ სი-  
 კეთეს ვინ დაგიფასებს, ან ვინ გააპატოებს რა-  
 მესს?... ახლა ყველაფერი წყალში ჩამიცივდა  
 მერედა რატომ?... მე რა ვიცი! ალბათ ქუქაზე  
 შევიწილე... მგონი, ახლაც არა ვარ ქუქაზე! —  
 კაცს ხმა უთრთოდა, ნერწყვი ყელში ეჩხი-  
 რებოდა და ნაწყვეტ-ნაწყვეტად ლაპარაკო-  
 და. უფრო და უფრო მწარდებოდა, ხმასაც  
 უმატებდა და ნელ-ნელა უახლოვდებოდა  
 სიფრთხილედ ქვეულ მახუტის, — ბარემ გაა-  
 კეთე, რისთვისაც მოხვედი და გამათავისუფ-  
 ლე!..

„მართლაც, გობია, რომ მოვკლა“ — მახუტბმ  
 ზურგს უკან დამალულ ხელში დანა მოსინჯა.

„ბავშვს უნდა აპატიო, ბავშვს უნდა აპა-  
 ტიო!“ — შინაგანი ხმა უწეწავდა სულს.

— ერთი რამ მინდა გთხოვო, — განადგურ-  
 რებული აღმიმანის სმით განავრტო კაცმა, —  
 ნურავის ეტყვი სიმართლეს... უკანასკნელი  
 თხოვნაა!..

— არ მესმის?

— უთხარი იქ, სადაც გინდა, სადაც შეგე-  
 კითხებიან... ყველას უთხარი, რომ მე ეწინააღ-  
 მებმა მომკლეს... — კაცის თვალღებში მახუ-  
 ტბმ სიკეთე შენიშნა.

„უნდა გავათავო, ძალიან გამოვრტელდა...“

— გაიფიქრა და უშალ მერე ხმა ჩაესმა —  
 „ბავშვს უნდა აპატიო, ბავშვს უნდა აპატიო...“

კაცი მის წინ იღვია. მათ ერთმანეთისაგან  
 მამის მკერდს მიხუტებული ბავშვი ჰყავდა.

— ახლა ჩემი ცოლი მოვა, — თქვა უცებ  
 კაცმა. იმერდ მოსმოდია მის ხმაში და სიმწარე  
 მის სახეზე წამით დღარაა ღომილმა.

„ტყუილია, სულ ტყუილია!“ — თითქოს ბუ-  
 რუსი გადაიგდო თვალღებიდან მახუტბმ და  
 მარჯვენა ხელი მოწყვეტით აიქნია. მერე  
 თვითონაც არ ახსოვდა, თუ როგორ მოხდა  
 ყველაფერი, როგორც ეყო ძალა, როგორც გა-

შედა... ტაკუნეი გაისმა, ალბათ ტანსაცმელი  
ვაიხა და იგრძნო თუ როგორ უძალიანდებოდა  
შეკრივი სხეული მახვილს და როგორ უბანდა  
თბილი სითხე ხელს...

კაცის სახეზე გაოცება გამოიხატა. თვა-  
ლებში ჭერ კიდევ არ გაქრობოდა წინანდელ-  
ღი ღიმილის კვალი.

— ბავშვი, ბავშვი, — წაიჩურჩულა მან და  
ხელები ჩამოჰყარა. გოგონა მახუტის ჩაუფარ-  
და მკლავებში და მან იგი ანგარიშმოუცემლად  
შეკრივა ჩაიკრა.

კაცი კი იღვრა შუა ოთახში. იგი ვერ მიმხე-  
დარიყო, თუ საიდან მოდიოდა აუტანელი ტყი-  
ნულები... თითებით ნახლდ მოეფერა დანის  
ტარს, რომელიც გახეული ტანსაცმლიდან  
უჩანდა. ნაბიჯ-ნაბიჯ დაიხია უკან, ზურგიით  
უძღვლს მიყვრდნო და იატაკზე დაქლა.

— ვითამაშოთ? — შეეკითხა მახუტის პატარა.

— რა? — ანგარიშმოუცემლად გამოეხმაურა  
მახუტი.

— გათავდა?... — წაიჩურჩულა კაცმა კუთხე-  
ში.

მახუტის უნდოდა ხმა ამოეღო, მაგრამ ვე-  
რაფერა თქვა. მან საშინელი დაღლილობა  
იგრძნო. ახლავე უნდა გასულიყო ამ ოთახი-  
დან, თორემ თვითონაც დაეცემოდა იატაკზე  
და ნერვული ძაბვა იკრუნებოდა.

მეორე ოთახში ფეხის ხმა გაისმა.

მახუტი შეტრიალდა და კარებში ქალს შეე-  
შეხა. ერთმანეთს ჩააშტერდნენ წამით. ქალის  
თვალბში შიში და გაკვირვება ჩანდა.

მახუტიმ ბავშვი ხელში შეაჩერა და წინა  
ოთახით ეზოში გავარდა.

— ვითამაშოთ! — მიაქანა ბავშვმა გაქვეულს  
ჭირვეულად.

„ვითამაშოთ, ვითამაშოთ“ — ჩაესმოდა ბავშ-  
ვის წკრილა ხმა.

„ვითამაშოთ, ვითამაშოთ“ — აკვიტებულნი  
ხმა არ აძლევდა საშველს.

ლობს თავს გადაეგლო და ბნელ ორღობე-  
ში ჩაიძვინა.

იცილა ქალმა სახლიდან; კიოდა გაბმით,  
შეწარედ, დაჭრილი ნადირივით. ზუზუნა ქარი  
ხან ახშობდა, ხან ქრჩხესა და ორღობეებში  
ატრიალებდა კივილს და აჩქარებულ მახუტის  
უწვიოდა, ზურგზე უტყალაშუნებდა.

აქ-იქ სინათლე აინთო, არახუნდა კარები  
და ფანჯრის დარბაზები. ლოგინებში და ცეცხ-  
ლის პირას შეთბუნებული არგოელები ერთდ-  
ბოდნენ ცივ ქარს, მაგრამ ქალის კივილი  
ბნელ ქუჩაში ავღებდა მათ.

მახუტის რამდენიმე კაცმა ჩაურბინა, საშვე-  
ლად მიემართებოდნენ.

— რა ამბავია, ცეცხლი ხომ არ გაჩნდა?! —  
გდაღძახა აივნიდან მეზობელმა მეზობელს.

— სხვა რა უნდა მომხდარიყო ამ ქარში!

— მახუტარას სახლი იწვის, მგონი! — ეჩივნებოდა  
მახუტიმ მოიხედა. არაიენ იწვიოდა.

— მაგის სახლს თუ ცეცხლი წაეკიდა, შეე-  
ცადე ნათით ჩაქრო, — ჩაიბუზღუნა მახუტის  
გვერდით ხმამ. ჩავლილმა კაცებმა გაიციენს და  
იმ მხარეს გაიქცენ, საიდანაც კივილი მოის-  
მოდა.

ფეხს აუჩქარა. ქარს შეეძლო ღრუბელთა  
გადაყრა და მაშინ მთავრე ვაანთებდა ქალაქს.  
„არგო უნდა დავტოვო, — გაიფიქრა — ორი  
საათის შემდეგ გვიანი იქნება, გზებს შეკრა-  
ვენ...“

ისევე თავისი უტყუარი ინტუიციით იგრძნო,  
რომ ვილაცა ფეხდაფეხ მოსდევდა. რამდენიმე-  
ჭერ შეჩერდა და ყური დაუგდო, მაგრამ ქა-  
რის მოტანილი წიოყობის მეტი არაფერი ის-  
მოდა.

ახედა, ცის გუმბათზე ობოლი ვარსკვლავი  
ციმიციმებდა. ქარს გაეხლიჩა ღრუბლის ფარდა  
და უძირო ჭა ამოეხერტიტა.

მოსახვევთან მღვევარს ჩაუხაფრდა, ეგებ  
ხელში ჩამივიარდესო, მაგრამ არაიენ გამოჩენი-  
ლა. ნერვები ღლატობდა... შემოსწრებული  
ქალის შიშიანი თვალები გაახსენდა უცებ.  
გაუკვირდა, რომ მთელი გზა სულ არ უფიქ-  
რია მოკლულზე. ახლაც ისე გაიფიქრა, სხვა-  
თა შორის, თითქოსდა იმ კაცის სიყვედილში  
მას არავითარი მონაწილეობა არ მიეღო.

ბაზრის მოედანთან დუქნის ჩრდილს ლანდი  
გამოეყო.

მახუტი შეჩერდა. მძარცველი უნდა ყოფი-  
ლიყო.

— ცეცხლი ხომ არა გაქვს? — შეეკითხა  
ლანდი.

— ცეცხლს მოგივადებ თუ გინდა! — მუქა-  
რით უპასუხა მახუტიმ და ობოლი ვარსკვლავ-  
ის შუქზე მუზერის ღულა ააღაღაპა.

ლანდმა დაიხია და სიბნელეში გაუჩინარდა.  
მახუტი ვანზე ვახტა და გაიქცა. იმ წამსვე  
უკნიდან სტენვა მოისმა. მსტოვარი უსტვენდა.  
მახუტი უფრო სწრაფად გაიქცა.

ზურგსუკან ფლოქვეების თქარუნი ატყდა.  
ჭერ გასწრება უნდოდა, მაგრამ მოსახვევამდე  
კარგა დიდი მანძილი იყო, სიბნელეც უკვე  
შესუსტდა და გზაზე გაქვეული კაცი ადვილად  
გამოჩნდებოდა.

პირველსავე ჭიშკარს ეძგვრა. ჩაეკტილი  
დახვდა. ცოტა იქით ღაღოზა მესერი მოარ-  
ღვია და შივ ჩაძერა. შორიხსლო ჩაუტუქდა და  
ავრე გაივიანა.

გზაზე ცხენოსან ეანდარმთა დიდი ჯგუფი  
გამოთქრიალდა. წინ ლანდი მობრბოდა და  
ხელებს იქნევდა.

**ჯამბალ მინია**  
ამბავი არამზუბინსა

— აქეთ, აქეთ, კინალამ ტყვია დამახალა მავ ბირძალმა... ჰა, აქეთ!

მახუტის განძრევისა ეშინოდა, რადგანაც გარშემო ვერაფერს ხედავდა და რამეს რომ წამოედებოდა, უნებურით ხმურით მღვეართა ყურადღებას მიიპყრობდა.

— ამ ქუჩაში კაცის ჭაჭანება არ არის, ალბათ მოკვნივებოდა, — ჩაბთზუნა ერთმა ყანდარმა.

— მომჩვენებოდა კი არა, კინალამ ტყვია მტკიცა შეზღწი! — ჭიკინაზე სკდებოდა მსტოვარი.

— შის ბუს თვალები აქვს, შე ცაცო, — შემრიგებლურად თქვა ყანდარმა.

— მაგას შენ არავინ გეკითხება! — გაწიწმატდა მსტოვარი, — შენ შენი მოვალეობა უნდა შეასრულო...

— კი, ბატონო...

მახუტის ამ შეტაკებამ განსაცდელი გადაევიწყა, მაგრამ მუხლები დაუბუქდა და სული კბილებით ეჭირა.

მსტოვარმა გადააფურთხა და მომიჯნავე ქუჩების განჩრეკა მოითხოვა. ყანდარმებმა გაქუსლეს. მსტოვარი კი ერთ ადგილას იდგა და ფიქრობდა. „უნდა მოკვდა, მაშინ უფრო ადვილად დაეაღწეე თავს“, — გულგრილად გაიფიქრა მახუტემ და თვითონაც შეჭხარა, იგი უკვე მკვლედი იყო...

მსტოვარი შეტოვდა, ბოლოს ცემას მოჰყვა გზისპირზე, მესრის მეორე მხარეს. ჩექმებს ატყაუუნებდა მონიჭყულ მიწაზე და წყალსა და ტალახს ვერც კი ამჩნევდა.

„გვალ სამალავიდან და ეშმაკებს დავუფრთხობ...“ — მახუტემ ვერ მოასწრო ჩანაფიქრის აწონ-დაწონვა, მსტოვარმა ბილწად შეიგინა და იმ მხარეს გაიქცა, საითაც ყანდარმები მიიმაღლენ.

მახუტი წამოდგა, მუხლები ქვანტით გამართა და ეხო-ეხო ამჯობინა სიარული.

სიბნელეში ფრთხილად მიიკვლევდა გზას. ფეხებზე ხან ბურჩი წამოედებოდა, ხან ქვა ან მცირე ბორცვი. უკვირდა, ეს სად მოეხდებო. მერე უცნაური ფორმის საგანი აციმციმდა თეთრად. იკარგებოდა და ისევ გამოჩნდებოდა ხოლმე თეთრი ციკავი. შიში იგრძნო, მაგრამ ამას საკუთარ თავსაც არ უმხელდა და ამიტომ მოციმციმე საგნისაკენ ვასწია გულდაგულ. ქვისაგან გამოთლილი ჭვარი აღმოჩნდა, საფლავზე დადგმული.

სასაფლაოზე მოხვედრილიყო და მახუტემ სიფრთხილე გააორკეცა.

სიბნელემ თანდათან იკლო. ცის ნარღვევი ფართოდებოდა და ირმის ნახტომის ვარსკვლავები წინწკლადნენ ზეცას. მერე უცებ მთვარე გამოგორდა, უხვად მიმოაფრქვია ვერცხლისფერი სხივები და ისევ ღრუბლის ჩაფანტულ ნაფლეთში ჩაიძირა, მაგრამ მთვარის სხივთა ციმციმა ფენა თითქოს შერჩა პირში-

წას. საფლავებს შორის თირის გარეშე ფეხი არ კირდა. ქარმა იკლო და ფეხის ხმასაც შეეძლო გაცეცადებინა.

ჩახუენი მოესმა. საფლავის გარეშე გამოეცა. მთვარემაც ამ ღროს გამოიხედა და ჭაბუკმა მის წინ ჩამორიგებული ჯვრები მოათვალიერა.

საფლავებს შორის მიწა ცვიოდა ბათქუნით. ისმოდა ჩხაკუნი, ხენეშა და ამოყრილი მიწა მთვარის სხივებზე იშნოდა ბრჭყვილა კენჭებივით. ფუი, ეშმაკს, მკვდრები ხომ არ ცოცხლდებოდნენ ამ ღრვს. ესლა ავლდა... შეუძლებელს ვერ ერწმუნებოდა, მაგრამ ინსტინქტი კრთის გარდუვალის წინაშე. ერთხანს ვაგანებულნი უყურებდა უცნაურ სურათს და ელოდა თუ როდის ამოვარდებოდა კუბოს სახურავი და ჩონჩხი აღმოართებოდა უკაცურ სასაფლაოზე.

თვის ფიქრებს ვეღვიმა. ვინ დაუჭერებდა, ასეთი რამ ვინმესთვის რომ ვაენდო.

დაავიწყდა კიდევ, როგორ მოხვდა ამ ადგილას და რას გაუბოდა გამალებით. წამოდგა და გულმოდგინედ გაემართა იქითკენ, საიდანაც ჩახუენი მოესმოდა. შავი, ჩაბნელებული სამარე აღმოაჩინა. სამარისა და ბანჯგვლიანი თავი მოჩანდა. კაცი მიწას თხრიდა და ზევით ყრიდა.

მესაფლავემ ფეხის ხმა გაიგონა. ბარს ორივე ხელით დაეყრდნო და უსიტყვოდ მიაცქერდა მოსულს. სახე შავ ტაფის მიუგავდა, თვალები ავსულივით უკიაფებდა. ეტყობა, არც გაკვირვებია კაცის გამოჩენა, თუმცა ბინდულენდი ამა რას შეამჩნევდი. მახუტის ბუსულა აეშალა, მაგრამ არ დაიმჩნია და სამარის პირას ჩაიშულა.

— რას აკეთებ, მია-კაცო?

— სამარეს ვთხრი! — უკმეხად უბასუხა მესაფლავემ.

— კი მარა, ამ შუალამეს რა გესამარება?

— არაა მაგი შენი საქმე!

მოსული უკეთ შეათვალიერა და ეტყობა მობრბილა.

— თუთუნი არა გაქვს?

მახუტემ ქისა გაუწოდა. მესაფლავემ ქალაღის ნაგლეჯზე დაიყარა, კიდევ დაუნერწყვა და აუჩქარებლად შეახვია.

— სამარეს ვთხრი, ამა რას ეშვრები, — მგობრულ კილოზე გადავიდა, — ხალხს იხოცება, მე კი ვჩიქნი და ვჩიქნი მიწას.

— ეს ვისთვისაა?

— მე რა ვიცი... ამაღამ ვინმეს მოკლავენ, ან თვითონ მოკვდება და იმისთვის იქნება.

მახუტი ფეხზე წამოდგა.

— შენ რა იცი, რომ ვინმეს მოკლავენ?

— გული მიგრძნობს, — მესაფლავის ხმაში რაღაც გამოწვევა იგრძნობოდა.

— ფუ, ალჭაჩი ყოფილხარ! — მიამახა მახუტემ და განშორდა.



მესაფლავებ კმაყოფილებით ჩაიხიხითა და  
ბარის ჩხაკუნს განახლდა. უცებ, თითქოს ახ-  
ლად მოავიწყდა, მიმავალს დაუყვირა:

— შენ, ჰეი, მშობილო, მკვდარი სულებისა  
არ გეშინია?!

მახუტიმ ჩემად შეუტურთხა. ქარი არ ღმუ-  
და ძველებურად და ვინმეს შეეძლო მესაფ-  
ლავის ხმის გაგონება.

თავი ძლივს დააღწია საფლავების ლაბირინ-  
თებს და ისევ ორღობეში გავიდა.

ატალახებულ გზას ორივე მხარეს ღობეწუნ-  
ლი გასდევდა. ღობის იქით მეგრულ ოღებს  
ეჩინათ. ხანდახან ძალით თუ მოვარდებოდა  
ჭკმაკარს და ყვფით აცილებდა ეზოს ერთი  
კუთხიდან მეორემდე. მახუტი ჯავრობდა, მაგ-  
რამ რა უნდა გაეწყო, მარტო აჩქარება თუ  
ააცილებდა ძაღლების ალიაქოთს.

მთელ გზაზე ეჩვენებოდა, რომ ვიღაც მოს-  
დევდა ფეხდაფეხ. საკუთარ თავს დასცინოდა,  
სიბნელემ და ძაღლების ღნავილმა და-  
გაფრთხოვ, მაგრამ ხშირად ჩერდებოდა, რათა  
ყური მიეგდო. შესუსტებული ქარის ფაჩური  
და ბაღებში ტოტების შრიალის მეტი არა ეს-  
მოდა რა.

კიდევ ცოტა და გაიჭრებოდა ეწერის უკი-  
დეგანო სივრცეში, სადაც ტურების ბილიებ-  
ზე ევრავითარი მდევარი ვერ მოიხელთებდა.

მთვარემ საბოლოოდ დააღწია თავი ღრუბ-  
ლებს, უღიმღამო გახადა მთელი ვარსკვლავე-  
თი და დღესავით გაანათა არგოს ქუჩები და  
ორღობეები.

„ხაფანგი!“ — გაუღვია მახუტის და ხის  
ჩრდილში გაჩერდა. მის წინ ვრცელი გზაჯვა-  
რდინი იდო და ამ ტრიალზე, სადაც ჩრდი-  
ლის ნამეციც არ ეცემოდა, ჩიტიც ვერ დაი-  
შალებოდა. უკან დაბრუნება ჰქუასთან ახლოს  
იქნებოდა, მაგრამ რამდენი საათი დაბორი-  
ლობდა უკვე ამ დაუსრულებელ ლაბირინთებ-  
ში და მუხლები ეკვეთებოდა. თანაც მდევარი  
ახლო-მასლო არ უნდა ყოფილიყო. ცხენის  
ხევივლს მაინც გაიგონებდა, სადმე რომ მდე-  
ვარი იყო მიმალული.

ჩრდილს გამოეყო და ჩქარი ნაბიჯით გას-  
წია წინ.

— აგერ! — დიამახა უცებ ხმამ მის უკან და  
აირია ცა და მიწა. მომჭინავე ორღობეებიდან  
გამოოჭრიალდენ ეანდარებში. მახუტიმ სცადა  
გასწებება, მაგრამ ცხენის მკერდს დაეჯახა და  
ფეხი დაუსხლტა. იმავე წამს რამდენიმე კაცი  
დეცა თავზე და ხელები გაუქაჩეს.

— ხომ ჩავიგდე ხელში? — ზეიმობდა მსტო-  
ვარი, — ახლა მე მოგიკიდებ ცეცხლს!

მახუტი დუმდა.

ხელები აღვირით შეუტრეს, ცხენებს შორის  
ჩაიყენეს, ჰკრეს ბეჭებზე მათარხი და გზან  
დაადგნენ.

— გახადეთ! — კივის გამძვინვარებული  
ფროსთოვენი — ჩქარა გახადეთ!..

შიშველი სხეული იატაკზე გლია და ნალა-  
ქედლი ჩემებში სთელავენ მას.

— ხმა ამოიღე, ხმა ამოიღე, თორემ შენს  
გვამზე ვიცეკვებ! — საიდანაც ჩამოსძახის  
ხმა და მის ირგვლივ უცნაური ჯამჭურით ცეკ-  
ვავს დათვალქცეული გამოძიებელი; ცეკვავენ  
საიდანაც გამოზობლებული კუნთებდაპერილი  
გიგანტები და სისხლის წინწყლები ლამაზდ  
იბნევა იატაკზე.

— აგერ გინდა, არა?! — დაეინებით ჩასძა-  
ხის ყურში ხმა — აგერ გინდა, არა?!

რა უნდათ, რას ერჩიან? მის ხმას მაინც ვერ  
გაიგონებენ. იცეკვეთ რამდენიც გინდათ, იცეკ-  
ვეთ სიკვდილის ცეკვა, მოჰყევით როკვას, გი-  
ტურსა და შლეგს, მის ხმას ვერ გაიგონებთ  
მაინც...

სცემენ? მერე და რა? რამდენ ადამიანს  
სცემენ დღედაღამ, რამდენია შეურაცხყოფი-  
ლი, სიკვდილის პირას მიყვანილი, გათული-  
ლი... მახუტისაც სცემენ. ყველას თუ სცემენ,  
რალა მახუტი გადაურჩებოდა მოძალადეთა  
ხელს, რათა იგი სხვებისგან გამოჩნული?

იცეკვეთ, იცეკვეთ, მაინც ვერაფერს გაიგო-  
ნებთ მისგან, რადგანაც მას თქვენი ენა არ ეს-  
მის.

სკობია სულ სხვა რამეზე იფიქრო, ნების-  
ყოფა მოიკრიფო და სულ სხვა რამეზე იფიქ-  
რო...

შენ დაუნდობლად გეცემენ. გაგხადეს, შიშ-  
ველი დაგაგდეს იატაკზე და ნალაქედლი ჩემ-  
ებში გთვალავ... შენ კი ამაზე ნუ იფიქრებ...  
იფიქრე, რომ ეს შენ არა ხარ, ეს შენი სხეუ-  
ლია მხოლოდ. გაიხსენე, თუ რას ვასწავლის  
შენი მსოფლმხედველობა. ყველაფერი მატე-  
რიაა, ბალახი, მიწა, შენ. შენი სხეულიც მატე-  
რიაა, იგი მიწაა. აიღე პეშვი მიწა და თი-  
თებს შუა გაეხრილე. აი, ეს მიწაა შენი სხეუ-  
ლი. მიწას ტკენიან, თელავენ, მას კი არ ტკი-  
ვა, ერთხელაც არ დაიკვნესებს. ძირს მოთი-  
ბული ბალახი უხმოდ ეცემა და იმ წამსვე  
იწყებს ტკნობას. ჰეი, შენს ფეხს რომ და-  
ადგა, გაქრება; მტერში გაერევა და ვერ შე-  
მოგჩივლებს. შენ რატომღა უნდა იკვნესო,  
შენი სხეული რად უნდა იხლავებოდეს ტკი-  
ვილებისაგან...

ხმა? ენა მხოლოდ იმიტომა გაქვს, ადამი-  
ანებს სიმართლე უთხრა. ჯალათებთან კი რო-  
გორ შეიძლება ხმის ამოღება. მათი ენა ჯალა-  
თების ენაა მარტო და ისინი ადამიანთა მოდგ-  
მისა არ არიან.

მიწა ხარ და გაუფლრი. გტყვია, ძალიან გტკი-

**ჯამალ მირიბ**  
ამბაპი არამხმტინს



ვა, მაგრამ მიწა ხმას ხომ არ იღებს. შენც არ უნდა ამოილო. შენ კი არ გცემენ, ისინი მიწას სცემენ. შენ ისინი ვერ მოგწვდებიან თავიანთი ბანჯგელიანი თათებით, რადგანაც შენ უსასრულოდ მალა ხარ.

— ხმა ამოილე, ხმა ამოილე, დაიკენესე მაინც, პირტუცვო! — გაკვივის მოცეკვავე ფოთბოვენი.

„პირტუცვო?“  
ნერვები!

ვერ გაუშედი შენს ცუდაცობას? შეთანხმებას ეძებ? არასოდეს!

ენას გადაიკენეს და ხმას არ ამოიღებს; ან ჭალათებს როგორღა ელაპარაკოს. ისინი სულ სხვა ენაზე ლაპარაკობენ და მახუტის მათი ენა არ ესმის. იგი ხმას არ ამოიღებს, რადგანაც იგი მიწაა. მიწას კი არ ეშინია გუთონის საჭრეთლისა, არც ბარის დაკრისა ეშინია, იგი უკვდავია. მახუტის სხეულიც უკვდავია, იგი არასოდეს გაქრება. მამ რატომ უნდა ეშინოდე?

როკავენ ტოტოჩინა ლანდები იატაკზე დაგდებულთ შიშველი სხეულის ირგვლივ და სისხლი იღებება სუთის ნალაჰედილი ჩექმეები. ეს რა ცეკვაა? ერთი ნაგივარი ცეკვავდა ჭანსულოს ბაზარში. სწორედ ჭანსულოს ცეკვავენ ტოტოჩინა ლანდები. მუხლებს მალა ყრიან და ნაღით ხორცზე აბტებიან, ისევ და ისევ... „ჭანსულო, ჭანსულო, ათაქ მერე გეცობუნე?...“

ეს მახუტის შიშველ სხეულზე ცეკვავენ ჭანსულის... გათელეს იგი, ფაიფურის ლარნაკივით დაამსხვრიეს, პირიდან სისხლი აღინეს... მერე და რა?

— რა გქვია, ის მაინც თქვი, რა გქვია, თორემ შემოგაკეცვები...!

„კეტსალი, კეტსალი, კეტსალი“ — ფიქრებში პასუხობს მახუტი, მაგრამ მოცეკვავეებს არაფერი ესმით და გრძელდება სიკვდილის როკვა.

მართლაცდა, ვინაა აქ რომ გდია, იატაკზე? ან რაა იგი? ეგებ მხოლოდ რიყის ქვაა, გზაზე რომ გდია და ყველა რომ ფეხს ადგამს... მაშინ კეტსალი რისთვის ერქმევა? არა, იგი არაა რიყის ქვა, არც მოთიბელი ბალახია, არც პეშეში გაეცრილული მიწაა... იგი ფრინველია, რომელსაც ფრთებს აგლეჯენ. დიახ, ფრთებს აგლეჯენ მახუტის და ამიტომაა ასე რომ სტიკია; მაგრამ ეს როგორ შეიძლება? ვისა აქვს უფლება ფრთები დააგლიჯოს ცისთვის გაჩენილ ფრინველს? მერე რითილა იფრინოს ჩიტმა, რითი შეჰკარს კამარა ლურჯ ვუმბათზე? ფრთებმოკლევილი ჩიტი ხომ იგივე ლოკოჩინაა. მოკაღ იგი, მაგრამ ჩიტს ნუ გადააქცევ ლოკოჩინად.

— რა გქვია, რა გქვია! — დაჟინებით ჩას-

ძახის საძულველი ხმა ადამიანისა, რომელმაც დიდი ხნის წინათ მიჰყიდა ეშმაკ ქუჩულუნსა... „კეტსალი, კეტსალი, კეტსალი“... პასუხობს მახუტი და დაგლევილი ფრთები საშინლად ეწვის.

— მგონი გრწმობას კარგავს — ჩაიდულენა ეილიამ.

— მიდი, წყალს გადაეახამთ და გაცობლდება!

წყალი, წყალი!  
ნეტავ, რატომ აცხელდა ასე უცხად. მზე უუურებს თვალბში ისედაც დასიციხულს. ტუჩები უსკდება წყურვილისაგან გასაფრთხულს. ერთი წვეთი წყალი, ერთი წვეთი წყალი... მაშინ რა ძლიერი წარღვნა მოვიდა და რა მშვენიერი იყო დგაფუნა წვიმამაშხება...!

...„გახაფხულის პირველი თვე გათავდა უკვე. ახლან ესხირი ბობოქრობდა არგოს ქალებში. მძიმე ღრუბლები ჩამოწოლილიყვენ ცაზე. ელვა იგრაგნებოდა ცის კილიდან კიდემდე. რაზაზებდა, გუგუნებდა ზეცა; მინა წყაროლებდა ფანჯრებში; წვიმა მშხილით ეშვებოდა სახურავებზე, მდელიზე, ტოტნარებში, ყველაფერი მოქუფრულიყო, ირეოდა, ხმაიარბდა.“

მრავალი წლის წინათ, არც კი მახსოვს როდის, შარვალაკაპიწებული გაეობოდი ეზობიდან მოვარდნილ ღვარნაშში. თმის ძირებამდე გაღუმპული მივეყინებდი ცისა და წვიმის ჰიმნს, ვმღეროდი სიმღერას, რომელსაც არც მელოდაა ჰქონდა, არც სიტყვები... ჩემი ხმა, ჩემი სიხარული, ჩემი აღტაცება, გულის ცახცახი ითქიფებოდა სტიქიის რიალში და მე ვიყავი უსაზღვროდ ბედნიერი.

ხელბგაშლილი მე შევეყიროდი ღრუბლებს:

„გასკდი, ჩამოიღვენთე ცაო!“

და ცა იხლიებოდა აურაცხელ ნაფლეთებდა, წიოდა, ხრიალებდა და ასდებოდა დღამიწას.

ღოფო მოვარდა და ჯოჯოხეთური ქიმერელით აესხებდა ქვეყანას.

მერე ჩემს გვერდით ჯუნა გამორბოდა. წყალი წურწური ჩამოუღიოდა თმებზე, სახეზე; კისერზე; ჩითის კაბა ეტმასნებოდა მისი სხეულის ყოველ ნაკვს და ის თითქმის მიფრინავდა ცით ვარდნილ ღრუბელთა ნაფლეთებს შორის.

„გავიქცეთ, ჯუნა, გავიქცეთ!“ — ვეძახდი აღტყვებული და ჩემი ხმა იყარებოდა წყლის დგანდგარში.

ჯუნა იცინოდა; კახის კალთა მუხლებს ზემოთ აეგლო და ისე გამორბოდა. ხანდახან გადამსწრებდა და მე ვხედავდი მხოლოდ მის დამწვარ კანებს, რომლებიც მღერიე წყალში მიდგაფუნებდნენ ბადემი გახვეული კალმახებივით... მერე მე გვაასწრებდი და გზას ვუკვალავდი.

„გავიქცეთ, ჯუნა, გავიქცეთ!“



ლოლო კი ბოროტად გვეგაბუნებდა ყოველი მხრიდან, მივოცნიდა სახეს, კოცნიდა ჯუნას სახეს, წურწურით ჩამოგვლიოდა მოცინარე ბაგეებზე...

ღრიალებდა მოძალებული წყალი, ქვეყნის წყალი ქოჩქოჩინებდა ირგვლივ...

ერთი წვეთი წყალი, მხოლოდ ერთი წვეთი..."

— გრძნობა დაჰკარგა! — დიძახა ხმამ.  
— დაასხი!

ვერ მოისზრა, რა უნდა დაესხათ. ეგებ წყალს აწოდებდნენ. საჭირთა თვალის ვახელა, ჭიქის გამორობევა და აუჩქარებლად ამოწრუპვა, რათა ბუნდები წუთი ვახანგრძლივდეს.

სახეზე ცივი სითხე ვადმოვლევარა. ერთი მოილოკა სველი ტუჩები, მაგრამ წყურვილი ვერ მოივლა.

გამოფხიზლდა.

შიშველი ეგდო იატაკზე და თავზე პალეიანი გამოშობებული და მისი ტოტოჩინა თანაშემწეები ადგნენ. «ჯალათები!» — მიხვდა მახუტი... როგორ შეიძლება მათ მიერ მოწოდებული წყლის დაღევა. ყველაზე უანკარესი წყაროს წყალიც უსხამად იქცევა მათ ხელში. არა, მახუტი არ დაღევს მათ მიერ მოწოდებულ წყალს, თუნდაც ერთ წვეთს. დაე, დაახრჩოს წყურვილში, ყელი გაუშვოს, ტუჩები დაღუბეთქოს, გრძნობადაკარგული იატაკზე დასცეს და გრილი ფიცრები ალოკინოს. ჯალათის ხელებიდან უკვდავების წყალსაც არ მიიღებს მახუტი.

— არ გინდა ხმის ამოღება, არა?! — ესმოდა მახუტის საძულველი ხმა, — ხელზე გინდა შემოკვავდე, არა?! მიღით, მგლის ტყავს მხოლოდ ძაღლის კბილები ხეეს!

შეუბრალებელმა დარტყმამ ისევ ვანუახლა ჯოჯობეთური ტკივილები. «მგონი სულ დამამტროეს!» — ესლა გაიფიქრა და კროჰა შეჰკრა. ეცნეს! არ უნდა დასცდეს და იფიქროს... იფიქროს სხვა რამეზე. სხვა რაღა დარჩენია მკვლელთა ხელში ჩაეარდნის.

«შენც ხომ მკვლელი ხარ?» — ჩიხითხითა იღუმაღმა ხმამ.

«არა, არა! მე მხოლოდ შურისძიება ვარ! — პასუხობდა კრიჰაშკარული — მე მხოლოდ შურისძიება ვარ, მკვლელები კი როკავენ ჩემს ირგვლივ...»

«ბავშვს რატომ არ აპატოე, ბავშვს...» — საშველს არ აძლევდა ხმა.

«მე ხომ შურისძიება ვარ...» — ეკვიანდა იმეორებდა მახუტი.

იატაკი სისხლის წვეთებით დაიწინწკლა და სუთის ჩეკმები სრესენ სისხლის წვეთებს.

ვლია ლტობებრივი სილაშაზის შიშველი ჭბბუკი იატაკზე და ნალაქედლი ჩეკმები თელავენ მის სხეულს... ეს როგორ მოხდა?.. ეს როგორ შეიძლება?.. ვისა აქვს უფლება ღმერთი დაავდოს იატაკზე და ნალაქედლი ჩეკმებით ვასრისოს... ვინ ბედავს ხელჰყოს იგი? ვინ ბედავს მშვენიერების ჭუჭყიანი ჩეკმებით გათელვას?..

ჩამოდი იესო, შენ მხოლოდ ჯვარს გაცეცხ და მუტი არაფერი!

— სთქვი, სთქვი, სთქვი!.. — შორიდან მოჰყარა ხმის ზუზუნა ხმა და ვერ მიმხვდარა თუ ვისი ხმაა იგი, — რა გქვია, რა გქვია, რა გქვია?!

«კეტსალი, კეტსალი, კეტსალი!» — ჩაქუჩის ცემასავით იმეორებს მისი გონება.

ჭერ კიდეე პატარამ წაიკოთხა წიგნი ინდიელებზე და კონკისტადორებზე, უსახლდრო სელევებსა და დიდ მდინარე ამაზონზე, ვანადგურებულ ცივილიზაციებსა და მშვენიერ ჩიტზე, რომელსაც კეტსალს ეძახდნენ.

კითხულობდა პატარა მახუტი და გული ათასნაირი წადილით ევსებოდა.

მეზობელ ოთახში კი ძიძა ატირებდა ჩონგურის სიმეხს: «დიდოვ ნანა, ვითოფირი წანერ ვორღი!» — მღეროდა ძიძა.

«თავისუფლება კეტსალისთვის უშაღღესი იდეალია!» — წერდა წიგნის ავტორი — გალიაში იგი უერა ძლებს. მშვენიერი ფრინველი უშაღღესობა...»

«მოკოდუ ტორონჯი ბუფიციონი...» — ძიძა ატირებდა ჩონგურის სიმეხს მეზობელ ოთახში.

«მე ვარ კეტსალი, რომელსაც სული ეხუთება ოთხ კედელს შუა» — ფიქრობდა მახუტი.

ირბეოდნენ, პერს ტუბული ბგერებით ავსებდნენ ჩონგურის დაქიმული სიმეხს.

— რა გქვია, რა გქვია, რა გქვია!.. — ჩასჩურჩულებდა უცნაური ხმა და სიზნებულ შემოდიოდა თვალეშში.

«კეტსალი, კეტსალი, კეტსალი...» — პასუხობდა იგი და ქრებოდა სუსტი აზრი.

ძიძამ ჩიხითხითა, გაიყურსა, ისევ ჩიხითხითა, დიაცივით ატირებული არაუშანგი პარმალზე დატოვა და წახანხალდა. საქმეს რა გამოუღევდა ძიძას, მაგრამ ერთბაშად ვერ გაერკვა თუ რა უნდა ეკეთებინა. სამზარეულოში შევიდა ოფლში ვახვიტული ბიჭიკო პაერლუმელში ვარაიას აბრუნებდა, რათა წითლად შეებრაწა. კარდალში ხბოს ბეჭი იხარშებოდა. ძიძამ სახურავი მოჰხადა, ჩაბებრა, რათა პერი ჩავედო და ისევ დაახურა. ქურაყაზე შემოდგმული სხვა ქვაბებშიც შეამოწმა რიგრიგობით. ერთი ძროჟუნულიც შეაწაღრა, ხომ არ ვაღმეოვარღებო. არც ავი უთქვამს, არც კარგი. ჯანდრის ხე აილო, ორომზე ფქვილი მოაფრქევა, ცომის ნაჭერი დაატყაუნა და ჯანდრას შეუღდა. მუშაობდა თვფარხილი, თავისთვის პუტუნებდა რაღაცას, ვერც კი ამჩნევდა ვაიცებულ ბოჭიკოს და პატარა ჯაჭოთვალემა გოგონას, რომელიც კუთხეში მიუყუდულიყო და იქიდან უყურებდა უფროსების საქმიანობას. ხანდახან ხელები გაუ-

**ჯამალ ძირია**  
ამბავი არამხუტისა

შეშდებოდა ძიძას, მთლად გაირინდებოდა, შიშ-  
ნაქამი ნადირის თვალებით მიმოხედავდა და  
უტყებ ჩაიხიხიხებოდა. ბიჭიკოს თანდათან შიშ-  
იწვია. ვერ ვაგვო, თუ რა ქაჯი ჩასახლდა მში-  
შარა და უწყინარი ძიძის სულში... მაღე ორომ-  
ზე იმდენი კვერი დაგროვდა, რომ მთელი კვი-  
რა ეყოფოდა ოჯახს. ძიძა ღუმელისაგან მიბ-  
რუნდა, ჭენჯო არ აუღია, ისე მოჰხადა სახურავი  
თუჯის ქვაბს და ათუხთუხებულ წყალში დაუ-  
წყო კვერებს ჩაყრა. მზარეულს მოთმინება დაუ-  
ლია, გამხმარ მკლავზე ხელი წაატანა და გაუ-  
კავა.

— რას შერები, ბებერო, ყველის ჩადება  
დავაიწყება?

— უნებ, რავა დამაიწყება მე სამიწესი —  
გაოცდა ძიძამ და მისმა წამოძახილმა ბიჭიკო  
დაამშვიდა: „გადაყრუვდა ეს საცოდავი!“

ყველისაივის ხელი მაინც არ უხლია. თავის  
საყუწნაოდან საქსოვი ჩხირები და ძაღვი მოარ-  
ბენინა, მუნჯ გოგონას ფეხის ზომა აუღო და  
წინდების ქსოვას შეუღდა. დახანხალვდა ოთა-  
ხიდან ოთახში, ხან ვისთან შევიდოდა და ხან  
ვისთან, და გამაღებით ქსოვდა და ქსოვდა...  
ზოგჯერ შედგებოდა, მეხდარტყმულივით ვახვე-  
ლებოდა, დაძაბული იგონებდა რაღაცას, მაგ-  
რამ უმაღ ავიწყლებოდა თუ რისთვის შეჩერდა,  
ანკვიფრებდა თავისი უმწეობა და ხიხითის  
იწყებდა.

ასე დადიოდა მთელი საღამო და მთელი დამე.  
გარიყრავს სასტუმროში შეეხებდა და სავარ-  
ძელში ოღნავ მიღო თავი. არასოდეს მჭდარა  
ამ სავარძელში, მაგრამ ეს ახლა არ ახსოვდა.

აღრე ამდგარმა გენერალმა ჩამოიარა. ძიძას  
უკვე ეღვიძა. ლიბრგადაკრული თვლები მიაპყ-  
რო არავანანგს, მაგრამ არ წამომდგარა, რაღაც  
ჩაიწმეტუნდა ლეკვივით. ვერ გაიგებდი, ტირო-  
და თუ იცინოდა.

— რა დაგემართა, შე საცოდავო! — დამნა-  
შავის კილოთი წარმოთქვა არავანანგმა.

ძიძამ არ უპასუხა. თითქოს სიბერე დაავიწყ-  
დაო, წამოფრთხილდა სავარძლიდან და კა-  
რებში წაიხატუნდა, არავანანგს არ უშეებდა  
თავის პაწია და დაშინებულ აზრებთან. მიფარ-  
ფატებდა და მიხიხიხებოდა თავისთვის.

სამოახლოში, ძველი ტახტის კუთხეში მუწი  
გოგონა მოყუწტულიყო სიცივისაგან; ბაბლის  
საბანი გადახდოდა და თეთრი, ფუნჩიულა ბარძა-  
ყები მოუჩანდა. ძიძამ შეანჯღრია, ადრე შე დასა-  
მიწებელიყო, — წამოაგდო; პირდაუბანელი და  
თმავაჩეჩილი ბაღში ჩაიყვანა, ხელებში ახლად  
ნაქსოვი წინდები ჩაუტუპა, მუსხისთავებზე და-  
ყოყრილი ხელი გადაუსვა, მოიფერა, — მეც  
ასეთი მუხლები მჭონოდა ოდენსაღაც, — აჩიფ-  
ჩიფდა.

ჭკროდ შემოადგა შორეული წლების სიღრ-  
მიდან ამოტივტივებული სახეები...

...მეუღელმა უტუ მთქამ ურო დაავუგუნა

გრდემლზე და მთელმა ხალხმა კვერი დაუყ-  
რაო...

ეგონა ხამაილა ლაბარაკობა, შატრამ მანამ  
დან ფშეტუნდა ამოსდიოდა. მსკრთისკლემს  
შესციკინებდა, ცდილობდა გაეგო, თუ რას  
ეუბნებოდა კეთილი ძიძა, მაგრამ მოხუცის ნაო-  
კებისაგან ბანტივით შეყრილი ბაგეები ძლივს  
ლოდინდენ სიტყვებს და გოგონა ვერაფერს  
ხედვოდა...

...მეუღელმა უტუ მთქამ ურო დაავუგუნა  
გრდემლზე და მთელმა ხალხმა კვერი დაუყრაო.  
თექვსმეტი წლის ტლუ გოგომ ბედი სასწო-  
რზე შეავლო, თველიდან ბატონის ნაურვალი შე-  
რაა გამოიყვანა, ბატონა ჯულერ სახეზე მათრახი  
უზუნუნა და გაქქესლა.

შეიყარა ქვეყანა, მიწა იძრა ფლოქვებქვეშ,  
მიირეგვე-მოირეგვე საბატონოები. ტლუ გო-  
გო დაქტროდა ქვეყნიერების კიდიდან კიდე და  
ძარღვებში ქაქმეძღარი, პარტახს ტოვებდა თა-  
ვის გზაზე.

მაგრამ უშეველებელი ყოფილა ეს ქვეყანა, მი-  
სი პატარა კუთხე ვერც კი წვეთობდა ზღვაში  
და ხანძარი და ტყვია ეწვია იმთ, ვინც უყ-  
ვარა და ვისაც იცავდა. სახრჩობელები აველ-  
ყვალდნენ გზისპირებზე და პირგახეული სიყე-  
დილი დახარხარებდა ჩრდილოეთის ცივი ბო-  
როს ფრთებზე.

სამი დღე მიაგვლებდა გახვითქულ შვარას  
ტლუ გოგო ნადირის ბილიებზე, რათა სიყე-  
დილს გაქცეოდა. მეოთხე დღეს საგზალი გამოე-  
ლია და ცხენიც დაუვარდა. ვერ დამარხა თავისი  
მეგობარი, ვერ მოერია. ფეხით განაგრძობდა  
გზას გაუქვალავ ქაგებში და ტურების ღნავილი  
ეწვიაღა კვალზე.

მერე რაღაცა გაშლიგინდა ტერეში... ტლუ  
გოგო შეშინდა და გაიქცა, მაგრამ მის გვერდით  
ქაგებში ლაწუნი არ შემწყდარა. ძნელი გასარკ-  
ვევი იყო, ნადირი აედევნა თუ მასალად დაშინე-  
ბული არსება ვარბოდა უთავბოლოდ. ცერამბის  
ბოლომდე ჩაირბინა, პატარა კვაპალიაზე გა-  
მოიჭრა გულგახეთქილი და ადამიანს შეეჩეხა  
პირისპირ.

„ვეგაი!“ — წამოძახა გოგომ.

„ვეგაი!“ — კივილი პირში შეადნა უცნობს.  
ულავამებალადამოგანგლული ბიჭი იყო და ში-  
შისაგან სახე გამიტკალვებოდა. უნდობლად შეა-  
თვალვებდა ერთურთი, ერჩინათ, თვეთავიანთი  
გზით მოქსუდა, მაგრამ ტლუ გოგომ დაასწრო:  
„შენ აქ რა გინდა?“

„მომდევენ, — თავი წანარისკენ გააქნო  
ბიქმა — ძაღვებით...“

„მეც მომდევენ, ცხენი კი დამივარდა.“

„მეც დამივარდა.“

მოაყურადეს. არსიდან ხმა არ ისმოდა, გარდა  
კვალსადევნებელი ტურების ნავილისა.

„ერთად წაიდიეთ“ — შესთავაზა გოგომ და  
გზა გვერდიგვერდ განაგრძეს. მათი გულები აივ-  
სო ნდობითა და სიხარულით, რადგან შარტო-

ნი არ იყვნენ და შეეძლოთ ერთმანეთისათვის ხელის გაწოდება.

მზე რომ ზენიტზე ავიდა, ჩრდილში დაისვენეს, ხამ ბალახზე.

„შენ ლამაზი ყოფილხარ“, — თქვა ტლუ გოგამ და ტუჩებზე თითი შეახო.

„შენი“ — გაწითლდა ბიჭი.

„გინდა გააკოვო?“

„მინდა“ — ნაკვერჩხლად გადატყვიცა ბიჭს ლოყები და ხელის მოხვევა მოუნდომა.

„ხელდ არ მახლო, თორემ მათრახით აგაკრელებ“ — დაქანდა გოგო. ბიჭმა ხელები სწრაფად დამალა ზურგს უკან. ტლუ გოგამ მისი ცხელი ლოყები ნებში აიღო და ტუჩებზე გაუბედავად აკოცა, მერე თვალბზზე, ისევ ტუჩებზე.

ორივე აცხცახდა. გოგოს მათრახი გაუვარდა, ბიჭი კი კბილებს ზურვებულივით აკაწავებდა და სირცხვილისა და მღვღინარებისაგან იწვოდა.

„აქედან რომ გავაღწევთ, ხომ დაქვრწინდებით?“

„კი“ — ბიჭი ყველაფერზე თანახმა იყო, თუნდაც კასა და მიწას გაასაჩუქრებდა.

ზამბარად დაქიმულ წელზე ხელი მოჰხვია, ჩეჭმანა, ვადალუნა, კოცნა დაღებუნა და ქვადკეცული ძუძუები გადაუთვალა.

ჭაობიდან მოფრენილი კოლერი სისხლს წოდუნენ ტლუ გოგოს შიშველ მუხლისთავებსა და თეძოებზე...

მერე ოდნავ დამშვიდდნენ, მაგრამ ქვეყანა არ გახსენებიათ. იწვნენ ხამ ბალახში და ალერსით ლეღდნენ დროს. ვათამამებული ბიჭი ტუჩებით ელაკიცებოდა სახეზე, შიშველ მკერდზე. ურცხვად უფათურებდა ხელს მუხლისთავებზე და ისევ და ისევ აცხცახებდა სიყვარულით გაუპაძარს.

ვერც კი შეამჩნიეს, მზე როდის გადაიწვერა. თანდათან ბინდი ჩამოწვა და კვალს აყოლილმა ტურებმა ალყა დაარტყეს. აგრილდა, მაგრამ ერთმანეთის სიმხურვალით გამთბარებს არც კი უგრძენიათ... მერე ბედნიერი ძილი მოველნათ, თითქოს ნამიან ბალახში კი არა, საქორწილო სარკელის სითეთრეში ჩაძირულიყვენ განცხრომით...

ზედ უროთან აყვდა ქოფაკი და კანჭზე მტკინეულად სწვდა კბილებით. თავზარდაცემული წამოვარდა და გეყვივით მიიხედა-მოიხედა. პატარა მინდორი ირგოდა მის თვალწინ; ირგვლივ დათარეშობდნენ ცხენები, ადამიანები, ძაღლები და იღვა ერთი ღრიანცელი. ანგარიშმიუხედავად სტრუტა ქაფთარ-ძეძეში თავი და ტანსაცმლის ნაფლეთები შეატოვა ეკლებს. მაღალი კანი დაეკაწრა, სისხლი ჩამოსდოდა ბეჭებზე, მკლავებზე, კანჭებზე, მაგრამ შიშისაგან გაბრუებული არაფერს გრძნობდა. მირბოდა უგზო-უკვლად და ყეფა და ყიფინა ინთქმებოდა ჩავებისა და შორიანი ჭაობების სიღრმეში.

დრომ დაკარგა სათვალავი, დამეც გიწველა უსაშველოდ, ის კი მირბოდა და მირბოდა, რაიმე გადაერჩინა თავისი ჯერ კიდევ წინველმარტყმულ კოცხლე, რომელსაც ასეთი ნეტარების მწერე მაე შესძლებია თურმე.

ძაღლების წყავეწყავი და ადამიანთა ხორბოცი მიწვდა. სამარისებურმა სიჩუმემ დაისადგურა. ლამაზი ბიჭი გაახსენდა და გული დაეთუთქა. მან ალბათ უფრო ადრე მოტიმა და მტერს დაუგლო მძინარე სატრფო. არ უქებდა სიქველესა და გულადობას. წუხდა, ლაჩარს რად ვაჩუქო სიყვარული, მაგრამ ეს იყო მხოლოდ სიტყვა, რადგანაც ახსოვდა წელზე შემოსაღტული მკლავების ღონე, მისი ტუჩების გემო და ენატრებოდა მისკენ ბილიკის დაქანა. უნდოდა გაბრუნება, მაგრამ მხარი ეცვალა და არ იცოდა საითკენ წასულიყო.

მოელი დამე თავგზაბნეულად იფხაწენა. მზე რომ ამოვიდა, ვერ იცნო, ჯერ კიდევ დამე ეგონა. უპეები ჩალურჯებოდა და შიმშილისა და წყურვილისაგან გასაყათებულს თვალები გაღმოცენება ჰქონდა.

ჭაობა კატა შემოეფთო საცოდავი კნავილით. მზეც კი რამ ეგონა და დაუფუცხუნა. კატა ხეზე ავარდა და ტოტზე შემოსკუმებულმა ისევ კნავილით უბასუხა.

ტუის განაპირა გავიდა და არეული გჩერდა. მზეს ზურგს უკან ტოვებდა და წინაც, ბეებს მოღმა მზე ღვიოდა. ვაოცდა, რამ ვაოჩაო მზე. ახლოს რომ მივიდა, ტაყა-ტყვი შემოესმა და სიღამწერის სუნე იგრძნო. ალბათ მზე ჩამოვარდებოდა. ახია მავაზეო, — ნიშნის მოვეებით გაითქობა.

პატარა სოფელი აღმოჩნდა, ტყეში ჩაკარგული. ჯავარუთიანი ფიკრული და ხაივადახტრული სამზადი იწვოდა და ცეცხლის ენებს ახლომდგომი ბეების გაბარჯლული ტოტებისათვის მიეწვდინა, აჰყოლიდა.

ირველივ კაციშვილი არ ჰქანებდა. დასაკლავად დამწვევებული ჯაქვედა გნისობდა მხოლოდ. საქთამის კარი გამოალო და შემფოთებული ფრინველი გამობერტყა.

ტროში ოწინარი აუწწულიყო. ქოთანში ნისკარტჩარჩილ წეროსავით თავი ჰკარგო და ქვებამოკონწილალებული ბოლო ზევით აევირავებინა. ვილაკას სათლი წყალში ჩაეძირა, მაგრამ ამოღება დამზარებოდა და ისევ დაეგვლო. გაახსენდა, რომ ენა უსივდებოდა წყურვილისაგან. გეომს გადაეყვდა და ბნელში ჩაიხედა. სიგრილე მოელამუნა სახეზე. საღდაც, კუპრივით ჩაბნელებულ სიღრმეში მოძალელებული წყალი ჩაილიდა ჩხრიალით და ამ ჩხრიალმა გაახვლა, წყურვილი გაუთასწილა. ჯაქვს დაეკვიდა და ამოსწია. წყალში სათლი ადგაფუნდა და ოწინარი მძიმე ჭრაქუნით აყირავდა. ალბათ შიმ-

**ჯამში ძირია**  
ამბაში არამხტბისა



შილა და დაღლილობამ დაასუსტა ტლუ გოგო, პატარა სათლი ემძიმებოდა, რატომღაც, ჯაჭვი ხელისგულს უსერავდა და ხელებს ძლიერ ინაცვლებდა. მერე ოწინარის ბოლომ ერთბაშად გადასწონა, წვერი ცისკენ ატყორცნა და ჯაჭვზე დაკიდებული ტვირთი გვიმიდან ცობოლივით ამოავლო.

შუპკივლა გოგომ და გულშემოყრილი დაეცა. ჯაჭვზე ჩამოყიდებულ ლამაზ ბოქს კისერი ეშმაკურად მოედროცა და ენა გადმოეგდო...

და გაქრა მაშინ სიცოცხლის აზრი, აფეთქება ჩაიჩურბა სტიერის პაერგაოშოვებულ გუდასავით, ჩადგა შიში თვალბში.

ეს ცხოვრება სულ არ ჰგავდა იმ ორიოდ დღის სიგიჟეს, მაგრამ იგი პარვად ესადაგებოდა წინა თხუთმეტ წელს და ამიტომ მიეჩვენია...

დაკოჭრილი ხელი გადაუსვა გოგონას ხორცსავე მუხლებზე და ჩიფჩიფი ვანავარძო. მუნჯმა გოგომ ვერაფერი გაავო, მოსწყინდა დიდხანს ჯდომა და მოხუცის ხელებს დაუძვრა. ძიძამ თვალი მიავიკლა. დააიწყდა, თუ რატომ მოიყვანა პატარა გოგო აქ, რას უშაბობდა, ან რად გაექცა მუნჯი გოგო ბოლოს და ბოლოს... ძიძას სად ეცალა სკამზე საყურეუტლო, ათასი საქმე აწუხებდა, ოღონდ არ იცოდა, რომელი ერთი-სათვის მიეხედა. თავის ბოსტანში წახანხალდა. პაწაა შემოდობილი ჰქონდა სასახლის უკან. ყოველ გაზაფხულს მართავდა ბოსტანს და მისი მწვანელი ხანდახან ბატონის სუფრასაც გასწვდებოდა. ახლა უბრალოდ შემოიარა თავისი სამფლობელო. ღორებს გადაეთხარათ საბოსტნე, თხებს ტუპიკი გადაეძოვათ, მიწა ატალახებულიყო და ქუსლებზე ეგლისებოდა. სიარული უჭირდა, მაინც წინ და უკან დაფაფვლებდა ვიწრო თირზე. ნახა, და უკან რას დათესავდა და სად რას. საჭირო იყო გაწმენდა, დაბარვა, გათოხვნა, საჭირო იყო კელების გავლება, ნაკვეთებად დაყოფა, ბაზოს შემოვლება და ნაზურგების გასწორება; მაგრამ ახლა კუკუდაფანტულ ძიძას ხან ერთი ახსენდებოდა, ხან მეორე და ამიტომ უკანვე წახანხალდა სახლში.

თავის საყუქნაომდე ძლიერ მიადწია და ლოვინში ჩაწვა. ცოტა ხნის შემდეგ მუნჯმა გოგომ მოკითხა. გაოცებულმა დახედა ლოვინს. ძიძა ისე იყო დაღუფლი, რომ სახანს არც კი ემჩინებოდა. გოგონა გაიქცა, ბიჭიკო მოიყვანა. მზარეულმა თავზე ხელი იტყიკა, კამის წყალი მოუტრებინა, მაგრამ ვერ დააღუენა.

მალე მთელმა სახლმა გაიგო, რომ ძიძას სიცხე მისცა და კრაზინი დაეწყო.



გაიჩაყუნა გასაღებმა, აპრილდა რკინის ქანგაინი კარი.

ზღურბოზე ფოთოვიეიჩი იდგა, მის უკან კი ძანდარმთა ლაღაქა სახეები იბუერებოდნენ.

— გამოდი!

მახუტი დაუბრუნდა სინამდვილეს. ნირვანა არ არსებობდა, სულს სიმშვიდე შეუძლებელი იყო, რადგანაც დღეს თავდება სიტყვები ერთი, ორი, სამი...

სარკმელს შეავლო თვალი. მთელ საკანში სარკმელიდა აკავშირებდა ციხის იქით არსებულ სამყაროსთან. ვამპოლი ნიაგი შემოიჭრა და აბლაბუდას აფამფალვებდა.

ზურგს უკან ხელები შემოიწყო და დერეფანში გავიდა. დიდხანს მიდიოდნენ ჭირგინივით ვიწრო დერეფანში, ეშვებოდნენ კიბეზე, შერე ისევ დერეფანში მიდიოდნენ და ნალაქვილი ჩექმები მიზარუნებდნენ კვალდაკვალ.

დერეფნის ბოლოს ოთხკუთხად ამოჭრილი თეთრი ლაქა ელვარებდა. მზე ანათებდა ციხის მობათქამებულ გალავანს.

„ალბათ იმ ლაქასთან დამყენებენ“ — გაიფიქრა და უშალ ჩაემა ჩონგურის სიმის დუღუნი — „დიდოვ ნანა...“ — მღეროდა სადაც შორს ძიძის ხმა.

ეზოში გავიდნენ. ცენოსანი ქანდარმები ელოდებოდნენ მოუსვენრად და ქანდარმთა ცხენები ბოროტი ჭიხინით ეხლებოდნენ ერთმანეთს. ხმლები იშეშლეს მხედრებმა და მზის შუქზე ალაპლაპებული ხმლები იწყოდა კვარივით.

„ნუთუ ამდენი ხმალი დაჭირდება ჩემს აჩეხვას?“

ალაყავის კარები გაიხსნა ხმაურით და პროცესია ქალაქში გავიდა.

წინ ბატონი იუსტიციის მრჩეველი მიემგზავრებოდა სახაზინო ეტლით. შემდეგ მახუტი მიამიჭებდა, რევოლვერებით შეიარაღებული ოთხი ქანდარმის თანხლებით. ბოლოს კი — ოთხ-ოთხად დაწყობილი ცენოსანი ქანდარმები გაშეშვებული ხმლებით ხელში.

ილა იყო და ნაწვიმარზე გრილოდა. ქვეაფენილზე კვესადნენ ფლოკეები და ქალაქს აღვიტებდა ქანდარმთა ცხენების ჭიხინი და თქრიალი.

სადაც შორს ისმოდა დაფდაფების განუწყვეტელი რაკუნი და დაფდაფები აღვიტებდნენ ძილ-მღვიძართ: — ფრთხილად, საშიშროებაა, ფრთხილად!

„ჩქიმ გურიში გემუანო, ჩქიმ ხეთ მოკოდუ მობრდიკონი, ნა...“ — ევენსოდა ძიძის ხმა და ტუსაღს ყოველი მყვი უმძაფრებდა სიცოცხლისადმი სიყვარულს.

ან რად უნდა მომკედარიყო გაზაფხულის ამ უმშვენიერეს, დაწმენდილ დღეს? ის იყო ახალგაზრდა, ენერგიული, შეყვარებული. მისი მუხლები ზამბარის სიმსუბუქით იღუნებოდნენ, კბილებით ტყვიას იჭერდა და თვითონაც დაუმოხნებლად შურთანში არტყამდა ტყვიას; მყერდში გული უცემდა, მტკიცე და ნაზი, დამოძი და დაუნდობელი ერთდროულად; ფილტვები ვერ ძლებოდნენ დილის გრილი შაერთი. მისი ყოველი იოგი მღეროდა, მძაფრად



ისრუტავდა სიცოცხლის ყოველ ნამცეცს. მაშ რად უნდა მომკვდარიყო იგი გაზაფხულის ამ უმწვენიერეს და დაწმენდილ დღეს?

ქანდაკითა ცხენები მოთქრილებდნენ ქალაქში, ფლოჭები კეხსავდნენ ქვაფენილზე...  
ერთი, ორი, სამი...

ფარდის მიღმა გაიფლევს შეშინებულმა თავლებმა. „შავი თვალები, შავი თვალები!“ ჯუნა გაახსენდა უმაღლ, მისი თვალშალშაჲა. წუთითაც არ დაეწყებია, მაგრამ აქამდე ცდილობდა არ ეფიქრა. ახლა კი შეშინებულმა თვალებმა მარამაში მოჰხადეს მესხიერებას და ჯუნას თვალები წარმოუდგა ცოცხლად.

— იარე! — შეუღრინა გვერდით მიმავალმა ქანდაკმა.

ქუჩაში გავშლელი არ ჩანდა. თითქოს იგრძნო ქალაქმა საშიშროება და ყველა თავის შინაურ ციხეში ჩაიკეტა.

ქადრების მობელვა აღემთავრებინათ თურქმ და დახოცილი ტოტები ეყარა ხეივანში.

გულმაგარი იხვი გამოსულიყო მარტის სამმართველოს წინ გუბურაში მომღერალი ბაყაყის შესაყრობად, მაგრამ ცხენების თქრიალი რომ გაიგონა, სწრაფად წვახვავდა.

ცოცხალი ღობიდან ვარდ გამოშქარალიყო და შინათვის მიეშვირა ქალწულის ზელულებმ ქუქუსავით მკვრივი კოკორი.

ნაბიჯი შეანელა. ეგებ ენახა ბუტკოს ახოხრების სასწაული.

— იარე!  
ნალაქედლი ჩექმები რიტმულად მიბრახუნებენ ქვაფენილზე.

ერთი, ორი, სამი...

შოსახვეთან შოსან დიაცს ჰქიდა თვალი. გულმა რეჩხი უყო. „ჩუნა!“ — უნდოდა დაეძანა, მაგრამ თავი შეიკავა. სხვა ვინმე იქნებოდა ალბათ. არ მოუხედავს შოსანს, ისე გაუჩინარდა ათასი ჰიშკრიდან ერთში.

ისევე მოესმა ჩონგურის სიმის დუდუნე. „ღიღოვ ნანა, ვითოჯირი წანერ ვორდი“ — კნენსოდა ძიძის ხმა.

„ვაჰმე, ძიძაია, რად არ იცი, თუ რა ხდება დღეს?..“

ვაჰმე, ძიძაია, შენი კვილი რად არ მესმის სიკვდილისავენ საყუთარი ფეხით მიმავალს?..  
ვაჰმე, ძიძაია, ის ქუქუ რად არ გტყივა, რომელზეც კბილი დგადგი ჯერ კიდევ ჩვილმა?..

ვაჰმე, ძიძაია, რად არ იცი, თუ რა ხდება დღეს?..

ვაჰმე, ძიძაია, ვაჰმე!..“

სადღაც შორს რიტმულად არაყუნდნენ დაფდაფები: ფრთხილად, საშიშროება, ფრთხილად!..

თვალები შეავლო წინ მიმავალ ეტლს და ფოთხოვეჯის მზერას შეეფეთა უნებლიეთ. დამცინავად მოეკუტა ბატონ გამომძიებელს თავისი დაგულღებული თვალები და ისე უყუტრებდა.

„სისუსტეს მამრენეს“ — ეწყინა მახტარის მხარეზე თავი მალა ასწია, კოხები მკაცრად შეუჭრეს წელგამართული განავრობდა გზას და გველის მზერას თვალს არ არიდებდა.

ფოთხოვეჯის სახე მოედროცა და მან ზურვი შეაქცია მოწინააღმდეგეს. მახტარი ახლა მის კინკრბის ხედავდა მხოლოდ. ეტლი ქვაფენილზე მირაზხაზებდა და ფოთხოვეჯის კინკრბის სასაცილოდ ხტოდა.

„ჯუნა, მე კეტსალი მქვია“ — ფიქრობდა მახტარი.

„ჯუნა, ჩემთვის მაინც არ არსებობს მესამე გზა...“

და თუ შეუძლებელია თავისუფლება, მაშინ სიკვდილი ხომ შესაძლებელია?..

სიკვდილი ხომ შესაძლებელია?..

სიკვდილი ხომ შესაძლებელია?..“

კეხსავენ ქვაფენილზე ფლოჭები, მზის შექუხე კვარავით იწვის გაშიშვლებული ხმლები, ნალაქედლი ჩექმები მირაზხუნებენ რიტმულად...  
ერთი, ორი, სამი...

ცა იყო ისეთი ლურჯი, რომ თვალის გასწორება ჰქირდა. ამ სილურჯეში აქა-იქ გაბნეული ღრუბელთა ქულები საოცრად სპეტაკი და წმინდა იყო...  
„და თუ მას შეიპყრობენ, კვდება!..“  
და თუ მას შეიპყრობენ, კვდება!..“  
ზეალისათვის ისევე დარი იქნება ალბათ...“



ადგილი იცნო. ეს ის სასაფლაო იყო, სადაც იმ ღამეს შემოეხეტა. დაღრეცილი ჯერების ტყე იდგა ირგვლივ. მოუვლელი საფლავები მოწასთან გაესწორებინა ეამს. თლილ ქვებს კიდები ჩამორეცხობდა და წარწერები არ იკითხებოდა. კატაბარდს დაეჯარა ადამიანთა სასუფეველი და ქალაღლის გახუნებული ყვავილებილა აფერადებდა ზოვიერთ საფლავს. ალაგალაგ უფრო მდიდარი საფლავებიც მოჩანდა; ეს იყო ან რკინის გისოსებით შემოღობილი ოთხკუთხედი, ან ბეტონის უწნოდ გამოჩარხული ობელისკი, ან ბათქაშმორღვეული აგურის ტაგრუცი.

„უფალო მიიბარე სული მონისა შენისა კოწისის“ — ანგარიშმიუცემლად ჩაიკითხა.

ფოთხოვეჯმა ეტლი შემოსახველთან დატოვა და ახლა სხეებზე წინ მიცუნტელებდა საფლავის გორაკებს შორის გაკეალულ თირზე. ქანდაკმებიც ჩამოქვეითდნენ და ცხენები ღაგამით მოჰყავდათ.

საიდანღაც სახებანჯვლიანი მესაფლავე გამოქნულდა. მახტარს იგი იცნო და უსიაშო

**ჯამალ ძირიბი**  
ამბაზნი არამბუშტისა



გარბობა დაეფუტა. უსახურმა მესაფლავემაც იცნო იგი, მაგრამ გულგრილად ჰყიდა მზერა და უმალ ფოთხოვეიის მიეახლა მხრებში მობუზული. ფოთხოვეიჩმა რაღაც წასურჩულა. მესაფლავემ თავი დაუკრა, — კი, შენი ჭირიმეო, და წინ გაეარდა.

თეთრი ქვისაგან თლილი ჭვარიც გამოჩნდა და ის ადვილიც, სადაც იმ ღამეს გათხრილ სამარის წააწყდა დევნილი.

— აი, აქ! — ახლად მიწამიყრილ საფლავს დააღვა სატანის ნაწიერი და ეს ის საფლავი იყო ზუსტად...

„ბედისწერა“ — გაიფიქრა მახუტებ და გარეგნული გულგრილობის შენარჩუნებას შეეცადა.

ნახევარწორედ შემოგვივინენ საფლავს. ეანდარმებმა ზმულები ქარქაშში ჩააგეს და მათ მაძლარ სახეებზე ცნობისმოყვარეობის მსგავსი რამ გამოიხატა. ცხენები ცქმუტავდნენ მოუთმენლად და ზანდაზან შესუბინებდნენ უმიზეზოდ განაწყენებულნი.

ფოთხოვეიჩი წინ წარსდგა და მახუტეც გვერდში ამოიყენა.

— ახლა იხილავ შენი კაი კაცობის ნაყოფს! — ამჯარა მუქარა ისმოდა გამოძიებლის ხმაში.

მახუტე დუმდა.

— დაწყვი! — უბრძანა ბატონმა იუსტიციის მრჩეველმა მესაფლავეს.

უსახო კაცმა მიწას ბარი დაჰკრა. ფხვიერი მიწა ბარს ადვილად ნებდებოდა და მესაფლავე ზანდაზან კატასავით იწყებდა ცხვირში კრუტუნს. იარაღს მარჯვედ ატრიალებდა და თხუნელასავით სწრაფად ეშვებოდა შავ სამარეში. კოსტიია პორუჩიკმა ცხენი მოაგვლვა. პიერტუცი თეთრი ქვის ჭვართან დაავლო და ბრბოს მიუახლოვდა.

„ცხენატი!“ — იცნო მახუტებ და მღვლეობისაგან სახე წამოუღვივდა.

„აჰა, ხომ იმოქმედა?“ — წყრილი თვალები დაეცა ფოთხოვეიჩმა.

გენერლის ალუტანტმა ეანდარმები მისწომისწია, ნახევარწორეში შემოვიდა და ფოთხოვეიჩსა და მახუტის შორის ჩადგა.

— საინტერესოა... — ჩაიღუღუნა მან.

ფოთხოვეიჩმა მოიხედა, არ სწყენია მისი გამოჩენა, მაგრამ ცოტა არ იყოს გაუქვირდა. რაც კოსტა პორუჩიკი ვახდა, კარლომ უმატა მის მიმართ ყურადღებას, რადგან იცოდა, რომ კოსტასათვის პორუჩიკობა პირველი სიფხური იყო მხოლოდ.

— იმან ხომ არ გამოგაგზავნა? — არავაშანგზე შეეკითხა.

— არა... შორიდან დავლანდეთ და ცნობისმოყვარეობამ მომიყენა.

— კარგ სპექტაკლს კი გიჩვენებ დღეს... — ბოროტად ჩაიღიმა კარლომ.

მახუტე დუმდა.

სიცხემ მოუქირა. გათანგულმა ეანდარმებმა ლილები შეიხსნეს. სიზარმაცე ჩაეღვრათ ცხენებში და ხმის ამოღება ეზარებოდათ. სირუმე ჩამოვარდა. ბარის ჩხაკუნილა ისმოდა სასაფლაოზე და ეს მონოტონური ჩხაკუნმა თანდათან ძაბავდა აღამიანთა სუსტ ნერვებს.

— ჩხაკ-ჩხუკ, ჩხაკ-ჩხუკ, გააწყალა გული, — თვლი მოიწმინდა ერთმა ეანდარმმა.

— ყელში ამოვიდა უკვე — ზანტად გაეპასუხა მეორე.

— ამბობენ, ახლაც დანაგავრილიაო, — შიშით წაიხურჩულა მესამემ.

— ჰო, ჰო, — კვერი დაუკრა პირველმა, — რამდენჯერ ააყალეს თურმე, ის კი კვლავ უბრუნდება ჭრილობას...

ნიჩბმა კუბოს სახურავს გაუხახუნა. თითქოს ნერვებზე გაუხახუნესო სალესი ქვით, ზურგის კანკალმა დაუარა ბრბოს.

სამარეში ჩამქვრალმა მესაფლავემ სახურავს მიწა გადასწმინდა და ამოიხედა, დაჭიანებული კბილები დაკრაქა.

— მზადა!

— გახსენი! — უბრძანა ფოთხოვეიჩმა, თუმცა მასაც უკვე ზღვრანისფერი გადაჰკროდა.

მესაფლავემ ბარის წვერი სახურავის ქვეშ შეჰყო და ტკაცუნით ამოაგლო. ანგარიშშიუცემლად დაიხია სამარის პირას მდგომმა სასაფლაოზე, ეანდარმებმა კი წინ წაიწიეს და კისრები წაიგრებლეს, რათა მათაც მოეკრათ თვალი საოცარი სურათისათვის.

კუბოში იწვა მუცელში დანაგავრილი ლერქი კაცი.

იმავე წაშ შორიახლო ბეჭობზე გაეარდა თოფი და ზედ ფოთხოვეიჩის ყურთან იწვილა ტყვიამ...



ავი დღე გაუთენდა ბატონ იუსტიციის მრჩეველს. ყველაფერს დაიჭრებდა, მაგრამ ასე დღისით-მზისით ქალაქის ცენტრში ეანდარმთა მთელ რაზმს რომ თავს დასხმოდნენ, ამას ახლა კი არა, რვეოლუციის ყველაზე მძიმე წლებშიც ვერ დაიჭრებდა. ბატონი კარლო ფოთხოვს-მე ვახსინთია, ანუ უბრალოდ ფოთხოვეიჩი, ანუ მდამბურად კარლუმა დღეისათვის არც მეტი, არც ნაკლები, გადამწყვეტ ფანდს ამზადებდა. სიკვდილით ეკეტასალს რომ ემუქრებოდა, მთლად ლიტონი სიტყვა როდი იყო, მაგრამ მინც და მინც დღეს არ აპირებდა სისხლის დაღვრას. ბატონი კარლო ფსიქოლოგი ვახლდით და, როგორც ამაზე უკვე ითქვა, სხვადასხვა ობიექტზე ზემოქმედების მთელი სისტემა ჰქონდა შემოშავებული. მან უკვე იცოდა, რომ წამებით ტუსაღს სიტყვას ვერ დააცდევინებდა. თანაც იმის შემდეგ, რაც ძიებამი თვით არავაშანგი ჩაერია. ამიტომ გააღწევიტა ხერხი ეღონა და ისეთი დარტყმა



მოყვენებინა კეტსალისათვის, რომ მისთვის კეტსალობაც დაეწიყებინა და რჯულზე მოეყვანა. თავისი ვალურჯებული მსხვერპლის ნახვა კეტსალს შინც და შინც ვერ გაახარებდა და თან დახვრეტის ინსცენირებაც თუ დაემატებოდა, გამოძიებების აზრით ვერავითარი რკინის ნებისყოფა ამას ვერ გაუძლებდა.

დასაწყისში ყველაფერი ისე მიდიოდა, როგორც ბატონმა გამოძიებელმა ჩაიფიქრა. მესაფლავემ ბარის წვერი კუბოს სახურავ-ქვეშ შეშო და სახურავი ტყაცუნით ამოავლო. კუბოში ესვენა მუცელში დანაგავილი ლურჯი კაცი.

შეპაჩარა თვით ფოთხოვეიჩის, ფერი ეცვალა, ანგარიშიუცემლად ბოჩინჯალი ვადადა უკან. ზურგზე უხრდელად მოაწვენ ცნობისმოყვარი ქანდაკებები, ჭგროდ შემოთხვივნენ გათხრილ სამარეს და კისერწაგრძელებულნი იცქირებოდნენ.

— ვაიმე, დედა! — დაიკენესა ერთმა კუქამორთაილებულმა ასალგაზრდამ და იქვე მიწაყრილზე ჩამოემხო.

მახუტისაც წამით უღალატა თავშეკავებამ და მანაც ოდნავ დაიხია. ეს ის კაცი იყო, რომელიც სიზმარში იხილა ამასწინათ. იგი სამველს არ ამღვებდა მახუტის და ალბათ სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე უპირებდა დევნას.

მხოლოდ კოსტაია პორუჩიკი იდგა თავის ადგილას ნირშეუცვლელად. მას არც კი ჩახუტდავს გათხრილ სამარეში. მკედრები არ აინტერესებდა არეაშანგის აღიუტარება, ფხოზლად აღდევნებდა თვალს ირგვლივ შეყრილ ხალხს და როდესაც ყველა სამარეს დაეხვია, მკლავში ხელი შეუშინებლად ჩაავლო ტუსას.

იმავე წამს შორიაბლო ბეჭობზე გავარდა თოფი და ზედ ფოთხოვეიჩის ყურთან იწვილა ტყვიამ...

ერთი წამი, ერთი თვალის დახამხამება თითქოს გაქვავდა სასაფლაო, მაგრამ ზარცემული ბრბო ამორავდა უმაღლეს. ჭელგა-ჭელგა მიაწყდა ზან მარჯვნივ, ზან მარცხნივ, დაიგორგლა, შეიკრა, მერე აფეთქდა გორგალი, წიწიბურას მარცვლივით განიზნა მთელ სასაფლაოზე...

ხელოვნებად ქვეყელი ქანდაკებები მიძვრებოდნენ მიწაში, ევკროდნენ საფლავებსა და ეკლიან ბუჩქებს, ეხუტებოდნენ ყოველ ღრმულს...

ფოთხოვეიჩი მხოლოდნელოზისაგან რეტდასხმული იდგა. ტყვიამ ისე ახლოს გაუწივლა, რომ ერთბაშად გონს ვერ მოვიდა, რადგან არ იცოდა, ცოცხალი დარჩა თუ მისი სული ანგელოზებს მიჰქონდათ ცისკენ.

კოსტაია პორუჩიკს სახეზე ისევ ის უცვლელი ირონიული ღიმილი დასთამაშებდა. მაშინაც კი, როცა მის მეგობარს ხუთჯერ ეცვალა ფერი, მაშინაც აულღებულნი დარჩა და ისევ იდგა, თითქოს მახუტის მკლავს ეყრდნობოდა. უბიძგა მახუტის. თვალებით ქვისაგან თლი-

ლი ჭვარი ანიშნა, სადაც ცხვანტის დაეცემოდა ურები და ყოველ გასროლაზე თავს სწავტურებდა და კანზე თრთოლა უვლიდა.

მახუტი მიხვდა... ერთბაშად მყიფე ვახდა ძაფი, რომელიც მას სიკვდილთან აკავშირებდა და სიცოცხლემ გამოუწოდა მარჯვენა. გაქრა სასაფლაო, მიწყნარდა სროლის ხმა, დამფრთხალ ქანდაკებთა ღრიაიცელი, ფოთხოვეიჩის ღვარძლიანი ვინება, აქანავდა მიწა და ცაც შეინძრა გუგუნით. მახუტი მარტოკა დარჩა სამყაროს ცენტრში, ჭოლგეიანის ფართო ველზე და მისგან ოციოდ ნაბიჯზე ქვისაგან თლილ ჭვართან ყური დაეცქვიტა მის ერთველ ცხვანტის.

აღვიღს მოსწყვდა მახუტი და გაქანდა, ფრთები შეისხა. უზომოდ დიდი ღრო მოუნდა ოცი ნაბიჯის ვადადგმას, მრავალჯერ მოყვდა და გაცოცხლდა ამ გზაზე ლურჯ კაცსა და ცხვანტის შორის... რიალებდა მის თვალწინ აბობოჭრებული სასაფლაო, ცხვრებოვით ჭელგა-ჭელგა გარბოდნენ ქანდაკებები, ხარხარებდა პირდაპირებული სამარე, საფლავის ქვები იშვებოდნენ და საფლავებიდან ამოყავული ეპოლეტიბანი ჩონჩხები ექიდებოდნენ მუხლებზე.

ზეხინით შეხვდა ცხვანტი თავის ბატრონს, ქვეიანი თვლები შეავლო, ყური ცქვიტა... აფერისისათვის ღრო საღ ჰქონდა მახუტის. არაადამიანური ძალა იგრძნო ძარღვებში. ახლა წყდებოდა მისი სიცოცხლისა და სიკვდილის საკითხი და მთელი ძალ-ღონე უნდა მოეხმო; მოსწყვდა მიწას და შეაფრინდა ცხვანტის ზურგზე. აღდრი ერთბაშად ვერ იპოვა, ფაფარს ჩაეჭიდა და დეზი ჰკრა. იმასაც შეასწრო თვალი, რომ კოსტა გამოთვებოდა კვალზე. ცხვანტის ვეგრობით მარჯაფა ცხენი იდგა და იმისაგენ გამოდიდა პორუჩიკი.

ბატონი მამომძიებელი გონს მოვიდა და გულზე ცეცხლი შემოეწოთო. ის მარტო იდგა გათხრილი სამარის პირას და მთელ სასაფლაოზე ვაბნეული ქანდაკებები ბეჭობზე ჩასაფრებული თითო-ორთოლა ტერორისტის ტყვიას მიწაზე გავკრა.

— უ-უჰ! თქვენი დედა! — იღრიალა ფოთხოვეიჩმა და რევოლვერი იშიშვლა — ყველას ამოგხოცავთ!.. ლაწირაკებო!.. უღღუ-რებო!.. სამხრეებს ჩამოგახვეთ საკუთარი ხელებით!..

იმ ქანდაკებებმა, რომლებიც შედარებით ახლოს იყვნენ, ლანძღვა-გინება გაიგონეს და მართლაც ბეჭობის მიმართულებით ასტეხეს სროლა. მათ სხვებიც აყვენენ და მალე მთელი სასაფლაო ააღლდა რევოლვერების ტყვიამ.

— შეუტრეთ, მაგათი დედა!.. შეუტრეთ!.. — ივივნებოდა სამარის პირას ატროკებული ფოთხოვეიჩი, მაგრამ ამ ბრძანების შემსრულებელი არაინი იყო, რადგანაც ბეჭობიდან კარგად ჩანდა მთელი სასაფლაო და ტყვიისათვის შებლის მიშვერა არავის სურდა.





ნაზი გულის პატრონი იყო და ვერცხვანაძე  
სისხლს, ოღონდ საკუთარს.

— მოდი აქ და დაიჩოქე!

მესაფლავეს სახე წამოენთო, მაგრამ ბრძანებას დაემორჩილა და სამარის კუთხეში დააჩოქა. ფოთხოვეინი მის მხარზე შედგა და სამარიდან ამოცოცდა.

ივგელივ გამარაზებული ფეხტარებივით ზუზუნებდა ტყვია და ფოთხოვეინი მიწაყარლის უკან ჩაგორდა.

შორიასო თანდარმი იწვა და რევოლვერს ესროდა ბეჭოსს. მისი ნასროლი მიზნს ვერ აღწევდა, მაგრამ ის მინც დაეინებით ისროდა.

„შეტარი!“ — გულზე ჯავრი შემოენთო ისევ ფოთხოვეინს და თანდარმს მოუხმო:

— მოდი აქ!

თანდარმი მოცოცდა.

— ხომ ხედავ, დაჭრილი ვარ!..

თანდარმმა უხმოდ ჩამოუხია სახელო.

— ფრთხილად შენი!.. — უხეშად შევივნა ფოთხოვეინმა. — ჩემი მკლავი ხისა ხომ არ გგონია?

თანდარმი მოიღუწა, მაგრამ ხმა არ ამოუღია. ვათხვრელი სახელო ფრთხილად შემოაჭრა და სისხლი მოსწმინდა. მკლავი ოდნავ გაკაწროდა, ფოთხოვეინი კი მინც მიზეზიანობდა. გაახსენდა, მახუტა რომ ცხვირწინ ააჯალუს და ისევ აბოხოქრდა.

— ძაღლებო! რას ჩასაფრებულხართ? ფლანგებიდან მოუარეთ, ფლანგებიდან!..

თანდარმმა ნაკაწრი პერანგის ნახევით შეუხვია და ხელი კისერზე დაუჭირა. ახლა ფოთხოვეინი ბრძოლის ველზე გამოქვიშულიყო სარდალივით.

— ყოჩაღ! — შეაქო თავისი დოსტაქარი — როგორმე ვაღწიე აქედან და პოლიცემისტერი მონახე. ქალაქის ქუჩები შეპკრან და კვარტლკვარტალ ვადაჩხრიკონ... ეს კურდღლები მალე მოკურცხლავენ აქედან..

თანდარმი ბრძანების შესასრულებლად გაცოცდა.

— ფლანგებიდან, ფლანგებიდან შემოუარეთ! — დაუყვია ფოთხოვეინმა დაფანტულ თანდარმებს ისევ — ცოცხლები მჭირდება, ცოცხლები!.. თუ ვაიქცენ, ამოუყუეთ!..

ბეჭობიდან სროლა თანდათან შენედა და მალე სულ შეწყდა.

გათამამებული ფოთხოვეინი საფლავის მიწაყარლზე შედგა და ბრძოლის ველს ვადაჩხვდა. ბატონი გამოძიებელი მართლაც დიდებულო სანახავი იყო, თუნდაც იმიტომ, რომ დაჭრილი ხელი პერანგის ნახევით კისერზე ჩამოევიდა, მეორე ხელში კი რევოლვერს ატრიალებდა.

— წინ! — დაიღრიალა რაც ძალი და ღონე ჰქონდა და რევოლვერიანი ხელი ბეჭობისაკენ გაიშვირა.

თანდარმები სამალაგებიდან წამოცვიდნენ და აღმართზე აქუნტლდნენ. ფოთხოვეინიც მათ

უცებ მახუტი გაახსენდა ფოთხოვეინს. შუბლზე ხელი იტყია და თვალი თირს ვაადევნა ქვისგან გათლილი ჯვარის მიმართულებით. ორი მხედარი მიჰქროდა თირზე, მახუტი და კოსტია უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ ერთბაშად ვერ გააკრვია, რომელი იყო ტუსალი და რომელი პორუჩიკი. „კოსტია არ გაუშვებს“ — იმედი მიეცა, მაგრამ ტყვია მინც დაუშინა. წინას ვერ მისწვდა და უკანა მხედრის ცხენს მორატყა. „უსკიზინა დაჭრილმა პირუტყვმა, მუხლები მოეკეცა და ქვებს მიღლეწა. მხედარმა აბჟანდიდან ფეხის ამოღება მოასწრო, თვითონაც ვაგორდა კატაბარდებში და უმაღლე წამოხტა. „კოსტია!“ — იცნო ფოთხოვეინმა. ფიქრის დრო აღარ დარჩა და წინა მხედარს უიმედოდ დაადევნა ორიოდე ტყვია.

კოლოსავით დაიწვილა რაღაცამ და ფოთხოვეინს მკლავზე უბწყინა უხილაემა ნესტარმა. გაოგნებული ვახვედა ბატონი გამოძიებელი. მკლავზე დაიხედა. სახელოზე წითელმა ლქამ გამოეგონა. ლაქა თანდათან მატულობდა და პერანგის სახელო კანზე ეწებებოდა. ფოთხოვეინს გული შეუწუხდა, თვალი დახუჭა და სამარეში ბრავანნი მოადინა.

გონს მოვიდა. თვალდაბუქული იწვა რაღაც რაბილზე და გახრწნილი გვამის სუნი უხშობდა ყნოსვას. საღდაც ზევით მღეროდა ტყვია და ისმოდა თანდარმთა ღრიალი. თვალი გააკვიტა, ლურჯი კაცის სახეს შეეფეთა პირისპირ. თავლია კუბოში ეგდო ლურჯი კაცის მყარდზე და კბილებდაკრეკილი მყვდარი შემხაროდა სტუმარს. შეძრწუნდა ფოთხოვეინი, კრილობა დაავიწყდა, სამარის ნესტიან კედელს მიაწვდა და მიწას ფრჩხილებით ჩააფრინდა, რათა როგორმე ზევით აფოფებულყო, მაგრამ დაჭრილი ხელი უშლიდა.

სამარეში დაგულული ფხუტუნი გაისმა. ფოთხოვეინს მოეჩვენა, რომ ლურჯი კაცი კუბოდან წამოდგა და მის ზურგს უკან იდგა. წამიც არ დასკირდებოდა და მის ვაალმასებულ კბილებს იგრძნობდა თავის მსუქან კისერზე. მხრები აიწურა ბატონმა გამოძიებელმა და ციბრუტით შემოკეიფილა. სამარის კუთხეში მესაფლავე მიკუტულიყო და ჰიან კბილებს კრეკდა. — ვერ ხედავ, რომ ასკლა მიჭირს, მომეხმარე! — შეპლრინა ფოთხოვეინმა.

— ზევით ისვრიან, ბატონო... შეიძლება მოგკლან..

ფოთხოვეინს შერცხვა თავისი შიშისა.

— დაახურე კუბოს სახურავი! — ბრაზით წაუსისინა კუთხეში მიკუტულს.

მესაფლავემ უზრდელად ჩააფხუკუნა, ზღაზენით წამოდგა და კუბოს სახურავს მოარგო.

ფოთხოვეინს შიში თანდათან გაუქრა, მაგრამ ჰტილობა გაახსენდა ისევ. სახელო მთლიანად შეედება და იგრძნო, რომ ისევ გული უღონდებოდა. ბატონი იუსტიციის მრჩეველი



მიჰყავდა და თან ყვირილით ამხნევებდა:  
 — წინ, წინ!.. დაიჭით ან ამოუფუტეთ!..  
 ყველაზე ახალგაზრდებმა უკვე ბეჭობზე ააღწიეს.

— ვაშა!.. — როლში შეიჭრა ფოთხოვეიჩი.  
 ბეჭობზე ადამიანის ჰუჭანება არ იყო. ცარიელი პილზები ეყარა მხოლოდ აქა-იქ.  
 ფოთხოვეიჩმა გაოფლიანებული შუბლი შეიმშრალა და ბინძურად შეიგინა.

— გაჩხრიკეთ! — შამხარზე მიუთითა და ზიზლით დაუმატა — დოყლაპივობ!.. ჯამიტლეკივობ!..

ჩააფრინდა ფაფარში ცხვანტის და ტუპასავით გაეკრა ზურგზე. თავი აავლო ცხენმა, ყალყზე შესდგა და ქვისაგან ნაგებ საფლავს გადაეკლო...

სასაფლაო კატაბარდებით მოფენილ თირზე გაქენებულ ცხვანტის აღვირი ქვევით დასთრეოდა. ტყვია ზუზუნებდა რგვეთს, მაგრამ მახუტი ცდილობდა აღვირის მოხელთებას და ყურადღებას არ აქცევდა აბეზარ თავცეცხლას ზუზუნს.

კისერზე გადააწვა ცხენს, ყელზე მოჰხვია ხელი და მეორეთი ჯერ ჭილაედარს მისწვდა და მერე აღვირს.

ცხენი ხროტიწებდა და ზორბა ნახტომებით მიიკვლევდა ვხას მესრისაკენ...

მახუტომ აღვირი ხელში ჩაივლო და უნაგირზე გასწორდა. უკან მაშინდა მოიხედა. მარჯვენა ცხენზე ამხედრებულ კოსტაია პორუჩიკს ტუჩი ჩაეკენიტა და ფეხდაფეხ მოსდევდა.

„შე კი არ ვენდობოდი, მე კი არ ვენდობოდი!“ — გაჰქენწლა მახუტის, მაგრამ ფიჭრის დრო არ იყო.

პორუჩიკს ცხენს მოულოდნელად წინა მუხლები მოეკვეცა... ცხენმა ფერდი აავლო და კოსტა ბურთივით გადავარდა კატაბარდებში. პირუტყვი კი გამწარებული ჭიხვინით გადაკოტრიალდა რამდენიმეჯერ და სისხლი და ხორცი შეატოვა ქვასა და მარმარილოს.

მახუტომ აღვირს მოჰქანა და კისერმოღრეცი ცხვანტი ადვილზე დაატრიალა, კოსტაიას ჩამოუქროლა და ისევ მესრისკენ გააქუნა. პორუჩიკი გვერდით აედევნა. მახუტომ ცალი აბჯანდი გაავთავისუფლა, ხელიც შეამშველა და ისიც მკვირცხლაოდ მოახტა ფერდზე ცხვანტის.

დაჰკვილა მახუტომ და ისევ გააქროლა სალარა ცხენი. ირგვლივ ზუზუნებდა აბეზარი ტყვია და კოსტაია პორუჩიკს ზურგზე ტაო ეშვებოდა.

გაუჭირდა ცხვანტის ორი მხედრის მესერზე გადატანა. ჰკრა ფლოქვეები და გამოხმხარა მესერი მოფშენა ხუხულასავით.

გზა თავისუფალი იყო და მახუტომ პირდაპირ ბორნისაკენ გააქუნა...

ტყვია მათ უკვე ვერ მიეწეოდა, მაგრამ წინააღმდეგოვით გიჟურად მიაფრენდნენ ცხვანტის. უკან დარჩა სროლის ხმა, უკან დარჩა საბრძოლო ყვირინა და ღრიანცელი. მახუტი საბოლოოდ დაუბრუნდა სიცოცხლეს.

„შე კი არ ვენდობოდი!“ — სინდისის ქენჯნა აწუხებდა მახუტის, მაგრამ არც ახლა იყო ფიჭრის დრო.

მოსახვევიდან ჯარისკაცები გამოცვივდნენ და შამხანების სროლა ატეხეს.

ისევ მოაბრუნა ცხენი მახუტომ და სხვა მხარეს გააქროლა. ქარი ზუზუნებდა ყურებში და მახუტის არ ესმოდა თუ რას ჩაჰკვიროდა კოსტა.

— რაო? — ქარმა სული შეუფუტა მახუტის.

— ბორნისაკენ გზა უკვე შეკრული იქნება!..

— უფრო მიხვდა, ვიდრე გაიგონა მის ზურგს აკრული კოსტაია პორუჩიკის ნათქვამი.

— ეწერიში გავაღწიოთ! — მიამახა პასუხად.

მოსახვევი საკმაოდ შორს აღმოჩნდა. უჩინოდან კი ზედიზედ ადევნებდნენ შამხანის ტყვიას. კოსტაიამ რეველვერი ამოიღო და ექვსი ტყვია ერთი მეორის მიყოლებით გაუშვა. მერე რალაც გაახსენდა და მეშვიდე რეველვერსმევე ჩატოვა.

მის ნასროლს მიზნამდე არ მიულწვვია, მაგრამ ჯარისკაცები მიწაზე დაცვივდნენ და ისევ განატრქმეს სროლა.

დაიხლართა ცხვანტას წინ ორღობეთა ლაბირინთი.

კვალზე არავინ გამოთნებია. გაზაფხული იყო და სიკვდილი არავის სურდა.

„ნეტავ სად მოვხვდი, ეს რა მხარეა?“ — ვერ ცნობდა მახუტი დახლართულ ორღობებს.

ცა ლურჯი იყო და თეთრი ფუმფულა ღრუბლები კიდეც უფრო უსვამდნენ ხაზს ცის სილურჯეს.

შე უმოძრაოდ ეკიდა ცაზე და მახუტომ არ იცოდა, თუ რა დრო იყო.

გარეუბნის ორღობეები გაიწვლნენ სოფლის ორღობეებივით. სახლები სულ უფრო შორიშორ იდგნენ ერთმანეთისაგან და მწვეანე ბაღები და შავი ნახანებები სულ უფრო და უფრო იპყრობდნენ მიდამოს.

ქალაქიდან ჯერ კიდევ ისმოდა საბრძოლო ყვირინის ხმა. სროლა და ღრიანცელი ხან მისუსტდებოდა, ხან ისევ ძლიერდებოდა, ადგილს ინაცვლებდა ერთი მხარიდან მეორეში.

უკებ გაიხლიჩა ორღობეების ხლართი, ბორკილები შეეხსნა ცხვანტის ფეხებს და გავარდნივი ჭოლეჯიანის ფართო ველებზე.

იცნო მახუტომ მწვეანით მოსილი ველი.

კვარაცხელიას ოდიდან თეთრმანდილიანმა ქალმა გადმოიხედა და რალაც გადასამხა ეზოში ჰადრებთან შეყოვნებულ კაცს.

**ჯემალ ჰირია**

ამბავში არამხუტისა



გზა პირდაპირ კვეთდა ველს და კახათისაკენ მივიკლავებოდლა.

მახუტომ ცხენი შეაბრუნა და ველის დასალიერში მოღებულ გვიმრნარს მიიტანა.

ოღესლაჲ ასევე მიაქროლებდა შვე ულას ამ ფართო ველზე. მის წინ კი თეთრყაბალახიანი ტყეობი მიიგვლებდა ფაშატს. წამოეწია მაშინ მახუტი, ცხენდაცენ გადაიტაცა თეთრყაბალახიანი და უნდაოდა მათრახი თეკიცა მიხთვის, მაგრამ მისი ჯავარ-პურის თვალემა შემოანათეს და დაცხრა ყმაწვილი, ვალხვა შაქარყინულივით.

ცხენატის ემემა ორი მგზავრი. ვადაზურებულს კანი უთრთოდა და კისერსა და ფერდებს სველი ზოლებით ულიანდაგებდა ოფლი.

ხორტინებდა და ქაფი ეღვრებოდა ლავამზე. წინანდელივით არ შექმლო ფლოქეებით ეფლითა ძეძნარბი, ნაპარწყლები ეყრევივნებინა კაციანი ქვისათვის, ეღვის უსწრაფესად მოვლია თვალსაწიერი... ნელი ჩორთით მიიწვედა წინ და გზასაც უფრო მოხერხებულს არჩევდა.

— ცხენი დაგვივარდებდა — მოპხედა თანამგზავრს მახუტომ.

— მგონი გავდწვიეთ, — სახეზე სიფითრე შერჩენოდა პორუჩიკს.

მახუტი კისერზე ხელს უთათუნებდა ცხენატის და აართოლებული პირუტყვი ყურებსა ცქვეტდა.

ტურების ბილიებზე მიდიოდნენ და ჩაღუნა და გღერძი იპყრობდა მიდამოს.

ჩამოქვეითდნენ. წინ კოსტიაი პორუჩიკი მიდიოდა, მახუტის კი აღვირისათვის ხელი ჩაეველა და ფეხდაფეხ მისდევდა.

„მე კი არ ვენდობოდი“ — ფიქრობდა დარცხენილი მახუტი, მაგრამ ახლა ორმაგად რტხვეწიოდა. რადვანაც უნდობლობის კია ღრწინდა ისევ.

ხშირ კოპიტნარში შევიდნენ. მზე მიეფარა მწვერდ ფოთლებს და ნესტიან ქრელ ჩრდილში გრილოდა. ფეხებქვეშ ამშორებული წყალი ჭყლოპინებდა და ჭაობის კოდოები წიოდნენ ყურთან ჩაღლილ ტყვიასავით.

ყვითელ ფოთლებში გასრილადა უხსენებელი. ცხენატი აფრუტუნდა, ფლოქეი ზე ასწია, რათა გადაეთქერა იგი, მაგრამ მახუტომ აღვირს მოპქანა და უქმყოფილო ცხენმა ტორი რბილ მიწას დაქარა.

ენწირა ახოში გავიდნენ. მკერდის სიმალღზე ვადპირილი დიდრონი თხმელები შესაბრალისად აჩანხულიყვენენ და მახუტის რატომაც კუბოზე აჩანხული ჩონჩხი გაასხენდა. სიკვდილის ყველა ფორმა გულის ამრევი იყო სანახავად.

განაყავს შუა ფართოდ ტოტემაფთარჩხული ხემძევალი ლეღვი იღვა. კენწეოვებზე უკვე ესხა ცერის ტოლა ბარუ ლეღვი, ძირეულ ხეს კი სურო და ძალყურძენა შემოხვეოდა და ახრჩობდა.

ლეღვის ჩრდილში შეისვენეს. საკმაოდ მო-

შეებულნი იყვნენ, მაგრამ პორუჩიკს თავის დროზე საგზლის წამოღება არ გახსენებია. ახლა უნდა ეთმინათ. მახუტომ ცხენატის ლავამი აართოდა და მკერე ხნით სანახაზოდ მიუშვა. კოსტიაი კი მკათნას რამდენიმე ფოთოლი მოსწყვიტა და უგემურად დაღეჷა.

— მე თქვენ პირველი დანახვისთანავე ვიცანით, — იცრუა მან, — თქვენ მახუტი ხართ!

— ნეტავი რა დავემართათ ჩვენებს, სროლა დიდხანს გავრძელდა რალაც... — მახუტის ქალაქის ამბები აწუხებდა.

— როგორმე თავს დააღწევდნენ — ხელი ჩაიქნია კოსტამ. მისთვის თულ ერთი იყო, დააღწევდნენ ისინი თავს თულ სულ ერთთანად ამოთელიტებოდნენ; მთავარი იყო არეაშანვისა და მისი, პორუჩიკის სურვილების შესრულება, დანარჩენთა სურვილებსა და სიცოცხლესაც მნიშვნელობა არ ჰქონდა.

ლეღვის ჩრდილში ჯიქას გამოესხა პაწია ყვითელი ყვავილები. მახუტომ ერთი მოსწყვიტა და თითებს შორის გასრისა.

— თქვენ ყველაფერი მოხერხებულად მოაწყვეთ, — მაღლობის მაგიერ უთხრა პორუჩიკს.

— მე მხოლოდ თქვენი გამზრდელისა და... — აქ შებოძოდა წამით — ჯუნას სურვილებს ვასრულებდი...

— განა ისინი ერთად არიან? — რალაც შიშნარეგმა იმედის ნაბრწყალმა გაუელვა მახუტის.

კოსტამ ჩაიქნია და ჯღატარა თვალემა განზე წაიღო. მას ხელში რევოლვერი ეჭირა და აწვილებდა.

— ეს უკვე არ ვიცი! ეს არაა ჩემი საქმე... არეაშანგმა შტაბს-კაპიტნობა უნდა მომცეს, ჯუნამ ფული. ჩემთვის ესეც და ისიც საჭიროა.

„გველხოყერა!“ — უნდობლად გაიფიქრა მახუტომ და თვალი შეავლო რევოლვერს.

— ნეტავი სად მოვხვდით? — იყთხა უცებ პორუჩიკმა და ახო შეათვალერა.

— მეც პირველად ვარ ამ მხარეს, — მახუტიც ვერ ცნობდა მიდამოს, — არც კი ვიცი საით უნდა წავიდეთ.

— ალბათ ასეცაა — დაასკვა პორუჩიკმა და რევოლვერი ბუღში დაბალა — მე მგონი ქალაქი იმ მხარეს დაგერჩა; ჯოღეჩიანიც იმ მხარესაა... აქეთ გავუას ტომბაა კუნჩობონზე, იქით კი არყო... ოღონდ საყთხავია, ბორანზე გავალწვით თუ არა...

— ალბათ ასეცაა — იქნეულად დაუტრა კვერი მახუტომ — უკვე ნაშუადღევია და მზემ ცვანესკენ გადაიწია. თუ მზეს ხელმარცხნივ დაგვოვებთ, ბოლოს და ბოლოს არგოს მივალწვით...

ცხენატის მოუხმეს და გზა განაგრძეს. ქურუმ ტყეში შევიდნენ. მზის სხივები ფოთლებში ძლიეს ატანდა და მწელი გასარყვევი იყო, თუ საითკენ იხრებოდა მზე. ნესტისა და შმორის



სუნ იღგა, ნიავი არ არხევდა დაგუბებულ ჰაერს და ოფლად ქცეულნი ძლივს სუნთქავდნენ.

ჰაობის უსახო ყვავილები გამოანათებდა ხანდახან წაბლისფერ მიწაზე და ფეხბეჭევში ისინებოდა უძირო ტლაპო.

წინ ისევ ვოსტაია პორუჩიკი მიიკვლევდა გზას. მახუტის კი ცხვანტი მიჰყავდა მის კვალზე. პორუჩიკი სუსტ, აწურულ მხრებს მიჰქანებდა და მახუტის ხანდახან ეჩვენებოდა, რომ მის წინ კუზიანი და კოჭლი ნოქო ბიგვა მიჩალახუნებდა შმორიან ჰაობში.

უსიამო წინაგრანობა შემოაწვა გულზე. ოღონდ თვითონაც არ იცოდა რატომ.

ზოგჯერ ვოსტაია მოჰხედავდა ნატუსალიარს და მაშინ მის ჯღატარა თვალებში ხან დამცინავი ღმილი კრთოდა, ხან გაუგებარი მუქარა, ხან სიძულელი. ვერ მიხვდა მახუტი, კეთილისათვის იღწვოდა ეს კაცი თუ ბოროტისათვის, სიცოცხლის წარმოგზავნილი იყო იგი თუ სიკვდილისა.

ტოტები სულ უფრო და უფრო ჭაჩის ცოცხად იქცეოდნენ, ტყე უფრო ჭურჭლდებოდა და უშნოდ გაბარჯლული ტოტები იმ ჩონჩხის მოგლეჩილ ხელის მტევანს ჰგავდა, მახუტის რომ ზურგზე მოხვდა საგვარეულო აკლდამაში.

— ფრთხილად! — შესძახა მან.

გაფითრებული კოსტაია პორუჩიკი გახვდებოდა. იმ ადგილას, სადაც ის ამასწინათ იღგა, ტოტიდან ჩამოვარდნილმა უხსენებელმა მოადინა ტყაპანი. ერთი ბოროტად დაისისინა და ნეშომპალაში გაძვრა.

— მგონი ჯოჯოხეთის კარიბჭეს მივალწვით! — ენის პორუჩიკით სცადა გახუმრება კოსტამ.

კოტა რომ გაიარეს, გზა ისევ გადაუჭრა მკლავის სიმსხო უნასმა. გველს თავი წამოეწვია და ამჟყად მიყუდებოდა ორკაპიანი ენის სისინით. მისი ჭრელი, დაწინწკლული პერანგი მძივების ასხმულისაგეთ ჯავარობდა ყავისფერ მიწაზე.

კოსტაიამ რევოლვერს სტაცა ხელი, მაგრამ გაახსენდა, რომ მხოლოდ და მხოლოდ ერთი ტყვი ედო შიგ და ქვემძრომის დასჯა გადაიფიქრა.

უცნაურად აპრაქუნდნენ გიგანტური ხეები. ზევით ნიავი ირწვოდა, მაგრამ აქ, პირგახსნილ ჰაობთან ჰაერი არ იბროდა და სამარისებურ დღემოდ მხოლოდ დაცლებული კვლის წვილი იმ გველის კაჭრობა არღვნიდა.

საღღაც მათ კვალზე დაიხველა ტურამ.

● საღღაც მათ კვალზე დაიხველა ტურამ. კვილი შეეპასუხა მეორე. მერე ერთხანს სიჩუმე ჩამოვარდა და მოპირდაპირე მხრიდან მოისმა მოთქმა-ჩივილი ხროვისა.

— ჩვენი კვალი აღდეს, — ჩაისისინა პორუჩიკმა.

ცხვანტის ფეხი დაუშვავდა და სიარული უჭირდა. ამიტომ ქვეითად მოდიოდნენ და ჭინდრული ცხვანტი მორჩილად მიჰყვებოდა პატრონს უკან. ტურების ყოველ შეიკვლებზე ცხენს თრთოლვა უვლიდა და ისე ახლოს ეკვრებოდა მახუტის, რომ ღრუნით ზურგზე ეხახუნებოდა და სიარულს უშლიდა ისედაც დაღლილს.

შემშლილი ვადაიწვდათ, საღმე წამოწოლა და მოსვენება ერჩინათ, მაგრამ შმორალი ადგილი არსადა ჩანდა და მიაბოტებდნენ ფოლორწმი მოთხვრილი და შმორიან წყალში გაწუნწულულნი.

— ავგქარდეთ, თორემ ჰაობს ვერ მოვლევთ! — თქვა მახუტამ.

— ისედაც ვერ გავალწვით — იმედი ეკარგებოდა კოსტაიას.

— გავალწვით, აუცილებლად უნდა გავალწვით! — შენ გელის ჭუნა — რაღაც შური იგრანობოდა კოსტას ხმაში.

მახუტამ მის მხრებს შეავლო თვალი. ნოქო ბიგვაც ასეთი უნდა ყოფილიყო იმ დღეს, როდესაც ჯოჯო დადიანი მიჰყავდა ფიჩორში სანადიროდ.

— შენ კი ფული და შტაბს-კაპიტნის სამხრეები...

პორუჩიკმა არაფერი უპასუხა, რადგანაც ფეხბეჭევში სიმაგრე იგრანო.

ტოტებს შორის აკაიფდა პირველი ცთომილი ასპირაზი. ხან ჭრებოდა, ხან ისევ ინთებოდა ბრიალა ვარსკვლავი და გზაანუღუღებს თავისიკენ იხმობდა, სინათლესა და მყუდრო კერას სთავაზობდა.

„მოვდივართ, მოვდივართ!“ — პასუხობდა სიკვდილის კლანჭებიდან დახსნილი მახუტი.

„მოვდივარ, ძვირფასო, მოვდივარ... მოვალ და მუხლებს მოვიყრი შენს წინაშე... მოვალ და ხელებს დაგიკოცნი, რადგან ჭუნა ხარ...“

ვარსკვლავი კი ციმციმებდა, თბილი და ახლობელი, ერთადერთი კეთილი და ცოცხალი არსება ჯოჯოხეთის ამ კარიბჭესთან.

ტყე თანდათან გამეჩხერდა. კოლო აწივლდა გაშმაგებით. აქ უფრო მეტი იყო მისთვის სასუსუნავი. ალბათ ადამიანები ცხოვრობდნენ საღმე.

ტყის ნაბირას რომ გავიდნენ, ვარსკვლავებით მოჭედოლი ცა წამოებურათ თავზე. ირმის ნახტომის მირიადი სამყარო მოძრაობდა, ირეოდა, გუგუნებდა აპოკალიპსური, უბრალო მოკვდავის სმენისათვის მიუწვდომელი ხმებით.

ტურების კვილი მიწყად ტყეში და ორივემ შვებთ ამოსუსთქა.

— ახლოს სოფელი იქნება ალბათ, — თავისი რევოლვერი გაახსენდა პორუჩიკს.

**ჯამალ ძირია**  
ამბავი არამზებინა



— სიფრთხილე გვმართებს; ეგებ გვიცნონ კიდევ...

მახუტომ შეშფოთება იგრძნო. ასე ძნელად მოპოვებულ თავისუფლებას ვეღარ დასთმობდა წუთიერი ვაუფრთხილებლობის გამო. პორტუგის რევოლუერის შეავლო თვალი.

„მე კი მას არ ვენდობოდი!“ — უცებ გაახსენდა ავჯივრებული აზრი, მაგრამ ახლა არ რტყვენოდა ამ აზრისა.

„მან გადამარჩინა, ცხენტი მომგვარა, თან გამოწყა, მას ჯუნა ენდობა...“ — თავს ირწმუნებდა იგი, მაგრამ გრძნობდა, რომ ეს ლიტონის სიტყვები იყო, რადგან ექვის ჭია ისევ და ისევ ღრღნიდა.

შე ხნულს წაიწყდნენ. ძნელი იყო ხნულში სიარული, მაგრამ სადაც ხნულია, იქ ადამიანიც უნდა ყოფილიყო და ხალისნარევი სიფრთხილით მიიწევდნენ წინ.

— თუ სახლს წაიწყდით, მე შეველ, სახრდოს რამეს ვიპოვი და გზასაც გავიციოთხავ, — ამბობდა კოსტა, — შენ კი გარეთ მომიცადე... რა საჭიროა საფრთხეში თავის ჩაგდება.

ხნული მოთავდა, წინ ისევ ტყე იწყებოდა, სახლი კი არსად ჩანდა.

— აუ!.. აუ!.. — შესძახა პორტუგია, მაგრამ პასუხად მხოლოდ ტურის კვილი გაისმა ახლო ტყიდან.

— აქ არაინ ცხოვრობს! — დაასკვნა გულგატეხილმა.

- უნდა წავედეთ — შეახსენა მახუტომ.
- მაგრამ წინ ისევ ტყეა!
- იმის იქით არგოა უთუოდ...

ვიწრო ბილიკი მონახეს. ვარსკვლავების სუსტ სინათლეზე ოდნე ცრიატობდა იგი ბუნქებს შორის და რაღაც ათითად ნაბიჯზე იყარებოდა.

— გვიჯობს სადმე დავბანაკდეთ და გზა უთვინია ვანეგარძოთ, თორემ ამ სიბნელეში სულ აგვებნევა... — თქვა კოსტამ.

პორტუგის დალღობისაგან სახსრები ტკიოდა

ჭონჭითა და ხეიწით მოფენილ პატარა მანდორზე გავიდნენ. ირგვლივ ტყე იგვერგვებოდა შვად, მინდორზე კი აქა-იქ ხარობდა ბლუჯაბლუჯა ბალახი, ბუწკო და ჭანჭყაბურა.

ადგილი საკმაოდ მშრალი იყო. ხის ქვეშ დაბანაკდნენ, რათა მტრის თვალი არ მისწვდენოდათ, თვითონ კი შეეძლოთ აქედან თვალთვალი.

მახუტომ ცხენს ლაგამი აართვა და საბალახოდ მიუშვა. როცა შემობრუნდა, კოსტაია ვერ იპოვა. ალბათ გაწვებოდა უკვე.

ბრტყელი ქვა მონახა, სასთუმლად დაიდო და ზურგზე გაწვა. ხეშეში ბალახი უფხოქნიდა შიშველ კისერსა და მკლავებს, ზურგში კენჭები ესობოდა მტკივნეულად, მაგრამ ქაბუკი ტკივილს ყურადღებას არ აქცევდა.

ვარსკვლავ-მორბედი ცვიოდა იმ თვალთვალი. მახუტომ იგრძნო, რომ თანდათან მისწყ-

და მოკენილ მინდორს, აიწია და ჯავარ-პირს-ლავეთში გაითქვიფა.

ასპირიოზი ჩაილიოდა პორიზონტს იქით სხივთა ფართო კონა გადმოსტყორცნა შეჭურვარსკვლავმა და მახუტი ზედ შედგა, რათა სხივთა ლიანდაგზე ასპირიზამდე ასულიყო და ზევიდან ენახა ქვეყანა, სადაც მისი თვალშალშავე ცხოვრობდა.

ცივი მოტივა იგრძნო. ყურისძირში ჩაენმა ბოროტი სისინი. მკლავზე გლუვი სხეული ვადასრიალდა და სიბნელეში გაქრა.

ძილი ვაუტყვდა, წამოჭდა. მიხვდა, რომ ვილაცა თავზე ადგა. წამოიწია და პორტუგია იცნო. კოსტაია ფეხებგაბარჯვლი იდგა და ჩამავალი ასპირიზის სხივზე რევოლვერი უღელვარებდა.

— რა ვინდა? — შეცბა მახუტი და უნდობლობის ჭია აუბოგრდა სულში.

— არაფერი, ძილში ლაპარაკობდი, — ყრუდ ჩაილაპარაკა კოსტამ და ისევ სიბნელეში ვაუჩინარდა.

მახუტის ესმოდა, თუ როგორ ხენეშოდა პორტუგია, როგორ აჩხუქუნდა მის ქვეშ კენჭი და მოისრა ხეშეში ბალახი. პორტუგია დასაძინებლად წამოწვა.

ქაბუკი დამშვიდდა და ისევ მიღულა თვალი.

„უცნაურია ადამიანის ბედი, — ფიქრობდა იგი, — იბრძვი და ბორგავ, ის კი არ იცი, სად მოგედგება ბოლო. ეს რომ იცოდე, თივას მაინც დაიფენდი სიკვდილის წინ, თორემ იწეკი ახლა ამ ბასრ კენჭებზე...“

ფიქრი თანდათან აებნა და დაავიწყდა, თუ რაზე ფიქრობდა.

ასპირიზმა ისევ გადმოსტყორცნა სხივი და მახუტომ დაინახა, რომ ასპირიზი კი არა, ჯუნა შესციცივებდა თვალბეში და ეს ბრიალა სხივი თვალსა ტყენდა.

„ჯუნა, ჩემო პატარა ჯავარ-პურო, შენზე „ათას ერთ ლამეში“ წაევიციხე...“ — ფიქრი დალაგდა ისევ — „შენ ზლაპარშიც მიუწვდომელი იყავი და მთელი ჩემი ცხოვრება შენი ძებნაა მხოლოდ...“

ერთხელ ძიძამ უბრძანა ოთხფოთოლა სამყურა მოენახა... ეძება, ეძება, ბაღუსთან ერთად... რომ ბოვია, ჯუნას ინატრებდა, თვალშალშავას... ამაზე მეტი სიკეთე რაღა უნდა ენატრა...

ისევ იგრძნო ცივი და გლუვი სხეულის შეხება; ისევ ჩაენმა ყურისძირთან ბოროტი სისინი. წამოჭდა... თავზე ისევ კოსტაია პორტუგია ადგა და ხელში შვად მზხინავი რევოლვერი ეჭირა.

— ახლაც ვლაპარაკობდი? — იქნეულად იკითხა მახუტომ.

— სსუ-უ! — ხელი აიქნია კოსტაიამ.

ასპირიზი უკვე ჩასულიყო, მაგრამ ირმის ნახტომის ვარსკვლავეთს კოსტას სახე ცვილისფრად შეედგა.

— გესმის?



მინდორზე წყვილ-წყვილი წერტილები დაბ-  
ტოდნენ. ტყისკენ მიიხედა. შვე გრავილიში  
ურიცხვი სინათლე ფუთფუთებდა. ისმოდა ჩუ-  
ში ხავილი და მოუთმენელი წყმტუნის. წერ-  
ტილები ხან ქრებოდნენ, ხან ისევ ინთებოდნენ,  
დაბორიალობდნენ ადგილიდან ადგილზე.

— ციციანთელებია?

— ტურებია... ისინი ჩვენს სიკვდილს ელიან...

— დიდხანს მოუწყვეთ ლოდინი — გულმა  
რეჩხი უყო მახუტის.

— ჩვენ აქედან ვერ გვაღწევთ, ტურები წი-  
ნასწარ გრძნობენ. — ხმა აუცანკალა კოსტაია  
პორუჩიკს, რომელსაც ახლა ბუმბულის ლოგი-  
ნი ერჩინა შტაბს-კაპიტნობას და თეკოს.

— უნდა გავაღწყოთ! — შეაცრად შეეპასუ-  
ხა მახუტი და სიმშვიდის მაგალითი რომ მიე-  
ცა, ისევ ზურგზე გაწვა — წაუძინეთ პორუ-  
ჩიკო, წაუძინეთ... მალე ინათებს და გზას გა-  
ველდებოთ...

იკვლა ტურამ ტყეში. ასტეხა დავაღვი და  
წივილი-ცივილი ალყად შემოტრეყმულმა ხროვამ  
და ამ კვიღაში ორივეს განაჩენი ჩანდა.

შესაბრალოსად დაიხვივლა ცხვანტიმ. ისე  
ახლოს მოვიდა, რომ კინაღამ ფლოქვი დააღვა  
პატრონს.

ორთავეს ბუსუსებმა დააყარეს.

— ეშმაკმა დალაზეროს, მართლაც ტურების  
კერძი ხომ არ გაეხდებოთ? — ჩაიღუღუნა მა-  
ხუტიმ და წამოხტა.

— გული რაღაც საშინელს მიგრძნობს —  
უიმილოდ ჩაიწუწუნა პორუჩიკმა.

— მედი, დავუკეინოთ, გვებ დაფრთხენ...

— ბევრნი არიან და იმიტომ ბედავენ.

— თუმცა კეინიც იარაღია, შემოვივინახოთ  
ბოლოსათვის...

ნადირთა წრე კი სულ უფრო და უფრო ვიწ-  
როვდებოდა.

— ხეზე უნდა ავიდეთ! — თქვა კოსტამ.

— ცხვანტის დაგლეჯენ — ერთგული პი-  
რუტყვი ვერ ემეტებოდა მახუტის.

— ვ-პ-ე-ი — შეპლრიალა უცებ კოსტაიამ.  
ტურების ხავილი და კვიღი გაისმა პასუხად  
და წრე უფრო შეიკრა.

თითქოს იმატა უკუნმა, მაგრამ ლანდებად  
ქვეული ნადირის ვარჩევა მაინც შეიძლებო-  
და. კიდეც ნახევარი საათი და ლაჩართა ეს  
ხროვა დახვევდა უკაცურ ტყე-ღრეში მო-  
ხელთებულ ადამიანებს.

ორთოდა ცხვანტი, ტოვებს მიწაზე სცემდა,  
საკოდავი ზვიზვინით შესთხოვდა პატრონს.

— ჩუმად! — დაისისინა უცებ კოსტაიამ.

ტურებმა შეწყვიტეს კვიღი და საზარელი  
სიჩუმე დასადგურდა ერთ წამს. გაიყინა, ვაქ-  
ვავდა ცისქვეშეთში ყოველი... და ამ სიჩუმეში  
გაისმა ფოთლების ნახი შრიალი და მსუბუქი  
ფეხის ხმა. ვილაცა მოაბიჯებდა ტყეში. კაცე-  
ბი ხის ჩრდილში მოიკუნტნენ და იქიდან უთ-  
ვალთვალდებდნენ ტყის პირს.

„აცხა...“ — გაისმა ქალის ხმა, შოლტის  
ტყალმუნი და ტურების მორჩილი წყმტუნის  
გაირღვა ნადირთა წრე, კუდამოქმედებულ ხრო-  
ვა ვარბოდა ლურლუთი ტყისაკენ.

ტყის სიშვეს გამოეყო მხრებზე თმებჩამო-  
ლილი ქალი. თეთრი საოსო ეცვა და ვარსკე-  
ლავთა სხივებზე ოქროფერად მოეღვარე შოლ-  
ტი ეჭირა.

„აცხა!.. — შიამაბა ისევ მორჩილ ნადირს —  
ბედისწერაში რას ერევეთ? განაჩენი ისედაც  
გამოტანილია...“

აღმოსავლეთი შეივერცხლა და სიფრთხანა  
შუქი დაიქსელა აბლაბუდასავით. აკლამის  
მრუმე სინათლე დადგა ველზე და ბნელ ტყე-  
ში გაივალა ტურების ხროვა, თეთრსამოსიანი  
ასული და ღამე...

— რა იყო ეს? — ჩურჩულით იკითხა კოს-  
ტაია პორუჩიკმა.

მახუტიმ მხრები აიჩჩა და ცხვანტის ხელი  
მოუთათუნა კისერზე. ცხენი ორთოდა და პატ-  
რონის ალერსს მალეიერი ხვივილით პასუ-  
ხობდა.

მოდოდა დღე...

მოდოდა დღე...

შხის სპილენძისფერი სხივები ველზე გაწე-  
ნენ და აითქვიფნენ წითელ ჯიჯაყაში. ტყის-  
პირს ჩამოაცილეს ბურუსის პირბადე, გადაწ-  
მინდეს ღამეულ მოჩვენებათა კვალი.

დიდხანს მიშტერებოდნენ იმ ადგილას, სადაც  
ამასწინათ თეთრსამოსიანი ასული იღვა.

— ალბათ მოგვეჩვენა — გამოფხიზლდა მა-  
ხუტი.

— გვებ აგრეც იყო, მაგრამ ძალიან ღამაზი  
მოჩვენება კი იყო — საზგადაფთობებულ პო-  
რუჩიკს ენის ბოროკი დასიგმდა, — ნეტა ვი-  
ცოლდე სად ვიმყოფებით, არასოდეს მინახავს  
ეს ადგილები...

— როგორმე გავაღწევთ! — იმედი არ ეკარ-  
გებოდა მახუტის — დარწმუნებული ვარ, რომ  
არგო ახლოსაა.

ცხვანტი მიუბრუნდა და ისევ კისერზე მიუ-  
თათუნა ხელი. ცხენმა ზვიზვინით უპასუხა,  
ნადირთბი ფეხი დასიებოდა და კოჭლობდა.

— ეს ცხენი არაფერში გვარგებს, ჯობია დავ-  
ტოვოთ, — თქვა კოსტამ, — აქ ბალახი ბევ-  
რია, როგორმე თავს გაიტანს...

— ტურები დაგლეჯენ.

— რა უფუოთ, ასეთი ყოფილა მისი ბედის-  
წერა.

ცხვანტი ყურებს ცქვეტდა და ჰკვიანი თვა-  
ლებით შეჰყურებდა ადამიანებს, თითქოს ამ-

**ჯემალ შირია**  
აშბაპი არამხუტისა

ბობდა, ყველაფერი მესმის, მაგრამ აღამიან-  
თავან სამსახურის წილ სიკეთე ვის მივზღოვო.

— არა, არ დაეტოვებ! — ჩუქტად გააქნია  
თავი მახუტებ. ჯალადარს ხელი ჩაავლო და  
ტყეში შევიდა. დარწმუნებული იყო, რომ მა-  
ღარ არსო მიაღწევდნენ.

კოსტაია პორუნიკმა რევოლვერის ბუდე  
შეისწორა, ტანსაცმელი ჩამოიფერთხა, მკაუ-  
ნას მწკლარტე ფოთოლი პირში ჩადო და  
ფეხათრევი თამაჯა უქან.

მშრალი ტყე იყო. რბილი, ხვევრდოვანი ბა-  
ლახი ფენია მიწაზე. ამოლტილი ხეები ირ-  
წეოდნენ ზენარ ნიავს აყოლილნი.

„ბედისწერაში ნუ ერგეო, განაჩენი გამო-  
ტანილია“ — თქვა თეთრსამოსიანმა ასულმა.  
ვინ გამოიტანა განაჩენი? რა განაჩენი? ან რა  
წერა ბედისწერის წიგნი?

მახუტებ თავი ასწია და მიმოიხედა. მოეჩვენ-  
ნა, რომ ჯოჯო ამოფარებოდა ძირეულ ხეს. რო-  
ცა ჩაუარეს, არაფერი იყო... მეორე ხის უქან  
ჩასადრებელიყო ჯოჯო. იმას რომ ჩაუარეს,  
იქვე არაფერი იყო... უჩინარი საფრთხე იმა-  
ლებოდა ამ ტყეში. ყოველ წუთს იყო მოსა-  
ლოდნელი რაღაც საშინელი. ვერაფერი გააკ-  
ვირებოდა დღეს მახუტის. ხეები რომ გასუ-  
ლოვრებულაყენენ უცებ, ფესვები ამოეგლიჯათ  
მიწის სიღრმიდან და გზააბნეულთა ირგვლივ  
დააწყნოთ ტორტმანით ცეკვა... ან ხვევრდივით  
რბილი ბალახით შემოსილ მიწას გაეხსნა უცებ  
პირი და უფსკრულს გადაეყლაბა ისინი. რაიმე  
უცნაური და ზებუნებრივი უნდა მომხდარიყო  
დღეს და მახუტის ვერაფერი გააკვირებდა.

— ლამაზი კი იყო ის ოხერი — ამოიოხრა  
კოსტამ.

— ვინ?

— ის ქალი, თეთრსამოსიანი...

— ის ხომ მოჩვენება იყო?

— მე რა ვიცი! იმ სიბნელეში ვინ რას გა-  
არჩევდა, მაგრამ ნამდვილად ვხედავდი, თუ  
როგორი იყო...

მახუტისაც ეგონა, რომ სიბნელეში მანაც  
გაარჩია ქალის სიმშვენიერე. შავი, ბრიალა  
თვალები უკრთოდა ვითომ, მალაღი მკერდი  
უტოკავდა თეთრ სამოსქვეშ, ჩამოქნილ თე-  
ძოებს მიაჩნევდა დედოფლურად... თვალი უბ-  
ნელდებოდა მის შემყურეს, მაგრამ მას ჯუნა  
ჰყავდა და ეს იცავდა უბედურებისაგან.

— თითქმის შემახდა კიდევ... კინაღამ გამო-  
ვლდექ, — გამოტყდა კოსტა, — თავი ძლივს  
შევიკავე...

— მერე შენი შტაბს-კაპიტნობა?

— ამანაც გამაჩერა, — ჩაიციხა პორუნიკ-  
მა, — ოცნებაზე კაცი უცხად ვერ აიღებს  
ხელს, მაგრამ ღმერთმა მამორის და ერთხელ  
კიდევ თუ მოკვარი მავას თვალი...

უცებ ხმა ჩაუწყდა, შეშინებული თვალები  
მიმოავლო ტყეს და მახუტი მიხედა, რომ მისი

თანამგზავრიც ელოდა საშიშროებას მშვენიერ  
ტყეში.

გაჩუმდნენ. მახუტი არ ჩასძიებდა, მხოლოდ  
რას იზამდა პორუნიკი, თეთრსამოსიანი რომ  
გადაპროდნენ ისე.

ტყე დაიბურა.

ხეები თანდათან დაპატარავდნენ და დაიღე-  
ლატუნენ.

ისევ აწივდა კოლო.

გველის კაპრობა გაისმა სადღაც.

ქალიანი ბუჩქი გაშლართულიყო შავ ქონუ-  
ყოზე და მწვანე გუბებებს შმორიანი ჰვავი უე-  
ლიდა ტანჯორის ბრუნვისაგან.

ნელი დუღუნი მოისმა მიწისქვეშეთიდან.

შეჩერდნენ, მიაყურადეს, თვალბუნი შემოლო-  
თება გამოეხატათ. მხოლოდ ცხვანტი ფრუტუ-  
ნებდა მშვიდად და გზადაგზა ნორჩი ყლორ-  
ტების მოკვებებს ცდილობდა.

ნელი, თანაბარი დუღუნი ედებოდა ჯავბ-  
სა და ჰაობებს, ნახი ბუბულის ხაფიფ შეხებას  
ჰგავდა იგი...

— არგო! — მიხვდა მახუტი.

— არგო?! — სიხარულიცა და გოცებაც  
ჩანდა კოსტაიას წამოძახილში. იმედგაწყვეტი-  
ლი პორუნიკი გამოცოცხლდა.

ნახივებს მოუხსირეს, გზას უკვე არ არ-  
ჩევდნენ.

ხავსით დაფარული ჰაობი ტორტმანობდა  
ფეხებქვეშ. ხავს წყალი უდებოდა ქვაქვა-  
რით და სკდებოდა მიწის ცივბიანი ფილტვი-  
ბიდან ამონასუნთქი ბუბუტლაკები.

შავ-მწვანე ხაიაში გველი მიძვრებოდა და  
პირში გაჩრილ ბაყაყს მიაქანებდა. ბაყაყი ყო-  
და და მისი გადმოკარკლული თვალბუნი ჰაობის  
ცივბიან ბუბუტლაკებსა ჰგავდა.

მრავალი წლის წინათ გამომხმარი და დროის,  
წყლისა და ჭარისაგან გამოფიტულ ლიხნარს  
წააწყდნენ. მშრალი ლიხი იფშენებოდა და მისი  
ნამსხვრევები ებლაუტებოდათ ფეხზე, ტანსაც-  
მელზე, ხელს უშლიდათ სიარულში. ლიხის კენ-  
წერობებმა ცა დაფარა, ნამსხვრევებმა გზა და  
ორმა აღამიანმა ერთმანეთი დაჰკარგა. ისინი  
მსხვრევის ხმითა ცნობდნენ ერთუთრის აღ-  
გისსამყოფელს.

— აჟ! — იძახდა გამოფიტულ ლიხში ჩაყარ-  
ბული კოსტაია.

— აჟ, აჟეთენ იარე! — პასუხობდა ვაოფ-  
ლიანებულ მახუტი და გზას უკვალავდა ლიხის  
ნამსხვრევებში ჩაფლულ ცხვანტის.

კენწერებიდან და ფოთლებიდან თეთრი  
ქინქალი ცვიოდა და მახუტის თმა შეევერცხლა.

— ჯოჯოებმა წავიღოთ!.. — იგინებოდა უე-  
ნაურ მტერთან ბრძოლაში დაღლილი კოსტაია  
პორუნიკი და გადამტებული სიმძაფრით ებრ-  
ძოდა მას.

არაფერი ესმოდათ, გარდა ლიხის ჩლახუნისა  
და მხოლოდ მაშინ, როცა ხანდახან სულის მო-

სათქმელად შეჩერდებოდნენ, საიდანაც მოდოდა წელი და ნახი დღედნი.

ვერე გაიხსნა ლხისი კედელი, გამოჩნდა დაკაობებული ბუჩქნარი და მის იქით აციმციმდა ვერცხლის ზოლი.

— არგო!

— არგო?! — სიკვდილის კლანჭებიდან თავდაღწეული ადამიანის სიხარულით წამოიძახა კოსტამ.

მახუტიმ ჭილადადარს ხელი უშვა და წინ გავარდა, პორუჩიკი მას მიჰყვა და ცხვანტიც კოკლამით მიჩაახუნდა მდინარესთან.

ფართოდ გაშლილიყო ბობოქარი არგო, გუგუნით შიგორებდა მღვრიე ტალღებს. ნაპირებში ვერ ჩატეულიყო და ხრავდა, ძიძვნიდა მიწას. მორღვეული ნაპირი დგაფუნით ინთქმებოდა ბნელ უფსკრულში და წყალი ისევ იკრავდა. პირს.

ნაპირთან ორი კობრი თელაობდა. ადამიანთა ლანდები დაეცა იმ ადგილს და კობრები გაუჩინარდნენ.

— სადა ვართ?... ვერაფერსა ვცნობ... — სიხარულით გაუწედა პორუჩიკს.

— ვერც მე, მაგრამ საღდაც ქვევით უნდა იყოს ბძია ონოფრეს ბორანი.

— ამ ჭაობებში ვერ გავალთ, იქითა ხაბო კი მაღალი და მშრალია... — კოსტამ რაღაც უთქმელ აზრს გაუღიმა და რვეოლვერის ბუდეს მიეაღერსა.

— არგო მრავალგზის გამოცურავს, — უნებურად წაიტრაბახა მახუტიმ, — გაცუროთ?

— შე ცურვა არ შეხერხება...

— მაშ რაღა გქნათ, ამ ნაპირზე ხომ ვერ დაგტოვებ?

— შენ გაცურე და თუ იმ ნაპირს მიაღწიე, მეც მოვახერხებ რამეს... — კოსტაია პორუჩიკს თავლებში ნაპერწყმები უხტოდა და ტუჩებს წაბადეწუმ უცნაური ღიმილი უხსნიდა.

— რომ დავაბრუნო?

— ტუეებისა და ჭაობების მეშინია, თორემ არგო ჩემი მონაა! — ხრინწიანი ხმით თქვა კოსტამ და მახუტიმ მისი ნათქვამი ხუმრობად მიიჩნია.

ძიქვა და ბლუზა გაიხანდა და თავზე ჩალმასავით დაიხვია. ფეხსაცმელები თასმით კისერზე ჩამოიყიდა, ჭილადადარს ხელი ჩაავლო და ცხვანტი წყლისკენ წაიყვანა.

პირუტყვი შეთროლდა, ფრუტუნით დაიხია უკან, დაიძვრა, მაგრამ პატრონმა აღვირი გადაჭრა კისერზე რბილად და ცხვანტიც დამორჩილდა, კელანობით მიჰყვა უკან.

ნაპირთან ქვიშა მიეფინა არგოს და ფსკერი თანდათან ღრმავდებოდა. ახლად გაღხობილი თოვლისა და ყინულის ღვარი მოდიოდა და მახუტის ემინოდა, რომ სიცივისაგან კრუნჩხვას დაწყებინებდა. ნაბიჯ-ნაბიჯ ფეხობოდა მღვრიე და ცივ წყალში და ჩურჩულით ამხნეებდა ყურღავეტბოლ ცხვანტის.

წელამდე რომ უწია, ცხვანტი გვერდელ გიოყოლია, ცალი ხელით უნაგირის კებს ჩაქვიდა ცალი კი ღონიერად მოსხვა.

ცხვანტის მარტო კისერი და თავი მხოლოდ წყლიდან, ფრუტუნებდა. თავდაუზოგავად მიარღვევდა არგოს ცივ ტალღებს.

მახუტი ღონის გამოზოგვას ცდილობდა და მკლავს მოზომილად უსვამდა.

მესამედი რომ გასცურეს, შესესხვინა უცებ ცხვანტიმ, შეუშინდა საიდანაც მოგორებულ ტალღას და უკან მოინდომა გაბრუნება. უშუხე-ლა მაშინ მახუტიმ აღვირი და დაუცივიან:

— წინ ცხვანტი, მხოლოდ წინ!..

დაძივრა საღარა და აწობა ტალღას.

მახუტის ღონე ელეოდა თანდათან... დაესუსტებინა იგი ციხეს, შიშვალს, უკანასკნელ დღეებში გადატანილ გაჭირვებას.

— წინ ცხვანტი, წინ!.. — ცენს კი არა თავის თავს უკუეხებდა და ამხნეებდა.

ხელავდა მახუტი, რომ არგო ხდებოდა უფრო და უფრო ფართო, მაღალი ხაბო უფრო და უფრო შორდებოდა მას.

ბობოქრობდა იმ დღეებში წყალუხვი არგო; ხრავდა ნაპირებს და ნაპირები დგაფუნით ინთქმებოდა შვგ ჭურღმულში; გლუქდა ასწლოვან ხეებს და ჩამოქონდა ფესვებგაბარჯლული ხეები; წყვეტდა ბორნებს და შმაგად აფურთხებდა ფიჩორსა და ცვანეს...

ბობოქრობდა იმ დღეებში წყალუხვი და მღვრიე არგო და მახუტი და ცხვანტი უკანასკნელ ძალ-ღონეს ძაბავდნენ, რათა თავიდაულწით მისი უღმობელი და ყინულოვანი ხეგენსათვის.

— წინ ცხვანტი, წინ!.. — კივიებდა მახუტი და ერთგული ცენი მიარღვევდა მთებდან ერთიმეორის მიყოლებით მოვარდნილ პერმოდებულ ტალღებს.

ღიდი კუმი წამოვიდა საიდანაც შხუილით, თავზე გადაევლო მახუტის; შლამით აფესო ნესტოები და ცივი წყალი ასვა. შემობარდნა მორევმა, დაატრიალა. დატრიალდა მთებიდან ზღვამდე გადაჭიმული არგო, ნაპირებმა გადაინაცვლეს, ერთმანეთს მიეთხლიშნენ და გაქულიტეს არგო.

მარწუხებით მძლავრმა თითებმა სტაცა ფეხებში მახუტის და სიღრმისაკენ დაითრია ძალგამოლეული ჭაბუკი. ფეხები გაასასვავა, რათა მოეგერიებინა, მაგრამ ვერ მოიშორა რკინის თითები და თვითონაც ორთავე ხელით წაეპოტინა უნაგირის კებს. ვერ გაუძლო ცხვანტიმაც, ჩიყურყუმალავა და მღვრიე წყალი ყლაპა.

მოიხუდა სასაწორკვეთილმა მახუტიმ, არგო ვრცელი იყო და შმაგი. ნაპირზე კოსტაია იღ-

ჯიშვალ მირია  
ამხამი არამხუტისა



გა, თვალები ორი წითელი ვარსკვლავით  
უბრწყინავდა ბოროტად, გიგანტური ხელები  
გაღმოქვეყნდა მდინარეზე და იითები მარწუ-  
ხივით ჩვევლო მახუტისათვის...

ისევ გაიბრძოლა მახუტემ, მაგრამ არგოს  
ცივი ტალღები და კოსტიას რკინის თითები  
წეწონდნენ ბნელი, შლამით მოფენილი ფსევ-  
რისაყენ და ღონე არ ყოფნიდა განწირულს.

კოსტია ექაჩებოდა ფსევრისაყენ და მისი  
უღონობით გახარებული ხარხარებდა და ხარ-  
ხარებდა, დასცინოდა მის სიქველეს, იდეალებს,  
სიცოცხლისადმი ლტოლვას, დასცინოდა მის  
კეთილშობილებას და მოურიდებლად ღრია-  
ლებდა აღური კაცის სიტყვებს:

«ღალატი ყველგანმავალია, მას ვერ მოჰკ-  
ლავს... მას ვერ მოჰკლავს.»

თვალეში ბინდი მოაწვა მახუტის. არგოს  
ზედაპირი ლიციციებდა ჰორიზონტიდან ჰო-  
რიზონტამდე და უღონო მახუტი ძლივს ტივ-  
ტივებდა ლიციცია ზედაპირზე.

ხეში გამოჩნდა ორჩხომელი მოარღვევ-  
და წყალს შესართავიდან სათავესაყენ. თეთრ  
იალქანზე დიდი ყვითელი მზე ჰქონდა გამო-  
ხატული და მაცთურ ნიავს იჭერდა თეთრი  
იალქანი. ნიავს ოქაჩებზე გოლიათი იჯდა და  
გაოცებული უყურებდა მახუტისა და ცხვანტის  
ბრძოლას არგოსთან.

«არამხუტ! არამხუტ! მძა ვარ შენი და მიშ-  
ველი!» — შევედრა მახუტომ.

ფეხზე წააოღვა გოლიათი ჰაბუჯი. ათასი  
მცირე ზანზალაკით აჭრილდა ზედილისაგან  
ნაქსოვი ჯაჭვის პერანგი; არგოს სივერცხლე  
აირყვია მის ჩაფხუტზე; ავახუნდნენ მუხლის-  
ათაებმა და ბარძაყებზე ჩამოცმულნი თორნი  
რკინისანი.

ფეხზე წააოღვა გოლიათი ჰაბუჯი და აქანავ-  
და მისი ორჩხომელი; მისთან ერთად აქანავდა  
იალქანზე გამოხატული დიდი ყვითელი მზე და  
ტალღებმა გადაქერცლეს არგოს ციმციმა ზე-  
დაპირი...

«არამხუტ, ჩვენ ერთნი ვართ, მე და შენი!»

— იძახდა ძალაგამოლეული მახუტი და კოს-  
ტიას გიჟური ხარხარი ესმოდა ჰაობიანი ნაპი-  
რიდან.

«ღალატი ყველგანმავალია, მას ვერ მოჰკ-  
ლავს... მას ვერ მოჰკლავს!» — მისძახოდა პო-  
რუჩიკი.

იშიშვლა მამინ ხმალი გოლიათმა, გადაწე-  
ლინა არგოს, დაჰკრა და მოჰკვეთა რკინის  
მკლავები ნაპირზე მოხარხარე ჯაღოქარს.

იძალა ცხვანტომ და ჰაბუჯი გაიყვანა ქვი-  
შთან ფლატებზე. ფეხებქვეშ სიმკვარე იგრანო მა-  
ხუტომ. სიცოცხლემ ისევ მოიხედა მისკენ; მაგ-  
რამ არ დაუთმო შმაგმა არგომ, მოაწყდა ნა-  
პირს, გამოხრა, გამოლდრა ქანობი და მონაგ-  
რია, დგაფუნით ჩააფშენია მღვრიე წყალში  
განზე ვასტყორცნა ტალღამ მახუტი, მაგრამ იგი

უკვე გამარჯვებული იყო და არგომ ვერ ჩაიჭ-  
რა მკერდში. ნაპირის შლამში ჩაეარდა. ვახუ-  
ტი, ლუჯა მიაღო სველ თიხას და სიხარულით  
რუტა მისგან. გონს მალე ვერ მოჰყვარდა და  
დესაც ცხენი გაახსენდა, ცხვანტი არსად ჩან-  
და.

ზაბოზე აცოცდა და იქიდან მიიხედ-მოიხედა.  
კვალს ვერსად დალანდა საღარა მეგობრისა.  
არგოს მოეტყა იგი და მსხვერპლად შეეწირა  
ფსევრზე მორიალე ჯოჯოებისათვის.

ღონემიხილი ბაოზე ჩამოჯდა და ზურვით  
კუნძს მიეყრდნო, მუტს მიეფიცა. სითბო ელვ-  
რებოდა დალილ იოგებში და თვალები ელვ-  
ლებოდა. გონებმა ბურუსი გადაეფარა. ვერ გა-  
იხსენა თუ რა საშინელმა გადახდა ერთ-  
წამის წინ, ვერ გაიხსენა თუ რას გადაურჩა და  
ვინ გამოუწრდა მამველი ხელი.

მოეჩვენა, რომ ზურვიდან ეპარებოდა რაღაც.  
თვალა დაჰყვირა, ძილი დაუფრთხა. ტყე მღუ-  
მარებდა მის უკან და ჰყოჩმუხებზე ფოთოლიც  
არ ტოკავდა. მის წინ კი ტბილად მოდუღუ-  
ნებდა ნაზი და უცოდველი არგო და მის ვერ-  
ცხლისფერ ზედაპირზე ჰვლიც არ ინძრეო-  
და; ორ ნაპირს შორის ჩაქეპყილი, მორჩილად  
მოჰყვებოდა იგი ბუნების მიერ მისთვის მიჩე-  
ნილ კალაპოტს.

მეორე ნაპირზე კოსტია პორუჩიკი იდგა.  
ძიქვა და ჩექმები გაეძრო და კისერზე გადა-  
ეგდო. ოფიცის მთხვარილი კიტელი კი  
ილაღებამდე აეკაიწებინა და შიშველი, თეთრი  
ღელქიმა მოუჩანდა. წყალთან მისულოყო, ჩა-  
ყოფდა ცერს ცივ წყალში და უკანვე ამოხე-  
ბოდა ჰალური კისკისით. ვერ ბედავდა თოშ-  
ნარეუ წყალში ჩასვლას. ცივი წყალი უღიტი-  
ნებდა აღბათ და ისიც ცქეკავდა, ჯამბაზივით  
ხტუნაობდა, კისკისებდა.

მეორე გაბედა, შემოღვაფუნდა, აუჩქარებლად  
წამოვიდა... წყალი მუხლებზე მოადგა, შემდეგ  
თქმებზე და როდესაც ვიპამდე ჩაეშვა მღვრიე  
წყალში, პირდაპირ გამოწილა... მოდიოდა სწრა-  
ფად; თამამად მორიდებდა მღვრიე ტალღებს;  
თითქოს წყალში ჩამირეულ უხილავ ზოგირზე  
მოაბიჯებდა იგი წელგამართულად.

არგო კი მორჩილად ელაშენებოდა ტანზე  
და გასარკულ ზედაპირს ჯეჯიმივით უფენდა.

მახუტი გაუნძრევლად იჯდა ბაოზე და ისე  
უთვალთვალვებდა სატანის ნაშვირს.

ზაბოზე ამოღვაფუნდა წითელთვალემა პო-  
რუჩიკი, სახეზე ხელები ჩამოსივა და თითქოს  
გაძრო უჩინარი ნიღაბი. ისევ ის კოსტია იდ-  
გა მახუტის წინაშე, ჯღატარა თვალეობით  
შეჰყურებდა სახეში და უცნაურად უღიმოდა.

— რატომ არ იცვამთ, თვალეო? — ფამილა-  
რულად შეეკითხა და მახუტის გააყრეოლა, უხ-  
სენებლის სლობკანს შეეხო თითქოს.

კოსტია პორუჩიკს მკლავებზე ღვანთქები  
ანინდა.



„ვეფხისტყაოსანი“ — გაიფიქრა მახუტომ და სული ძიქვა და ბლუზა სწრაფად ჩაიცივა.

— წავედეთ!  
კოსტია პორტნიკმა სარტყელი წელზე შე-  
მოარტყა, რევოლვერის ბუდე გაისწორა და  
ისინი არგოს თავქვე ჩამოაყენენ.

ცენმა დაიპიხინა და ადგილზე დატრიალ-  
და. ჯუნამ მათრახი მოუნაცვლა. ნაწყენმა  
პირუტყვმა ფლოქეები მიწას დაჰკრა და კვა-  
ლი დააჩინა; ერთხელ კიდევ შესქიხინა,  
ყოფნა შედგა და ისევ ერთ ადგილას შემო-  
რუნდა. მხედარმა თავი ძლივს შეიმაგრა; ყაბა-  
ლაში შეისწორა, ჩიხის ჩამოვარდნილი კალთა  
ხელმოკრულ აიყვია და ცხენს მუხლები შე-  
მოაქლო. ისევ ჰქრა მათრახი, მაგრამ გაჭიუტ-  
და პირუტყვი და ადგილიდან არ დაიძრა.

ხიზოთი შემოესმა უცებ, მოიხედა. ცხენის  
გაეაზე შეუძისოლა ჰინკა იჯდა.  
„რად მოხედი?" — არ ვახსარებია ჯუნას.  
„მე კეთილი ვარ, ერთხელ მახუტი ვიწვევ  
შორიდან!"

„მგებ ახლაც იცი, სად არის?"  
ჰინკამ ილია მოიქეჭა, რწყილი კბილებით  
ჩაყინდა და თვითმყოფელურად უთხრა:  
„მე ყოველთვის ყველაფერი ვიცი".

ცხენი ისევ დატრიალდა ადგილზე, თრთო-  
ლა უვლიდა შემოინებულს, კისერს ღრეცდა და  
სისხლიან თვალებს უბრალებდა მის გეაყზე  
შემოსკებებულ არსებას.  
„მათრახის ტარზე გადადი, ზომ ხედავ ეში-  
ნია".

ჯუნამ მათრახი განზე გასწია და ჰინკა მის  
ტარზე გადასკუბდა.  
„ვიცი, მაგრამ არ გიტყვი"... — ჰორვეულად  
თქვა მან.

„რატომ?.. სიკეთე ჰქენი და მითხარი..."  
„სიმაართლე ყოველთვის სიკეთე როდია!"  
ცხენი ისევ ფრთხილად, თვალებს განზე  
კუსავდა, მაგრამ მხედარს ემორჩილებოდა  
და ბილიკზე მიგეღავდა.  
„მით უმეტეს, რომ გვიანაა. ვერაფერს შეე-  
ვლი..."

ჯუნა შემფოთდა და აღვირი ბოლომდე მიუშ-  
ვა. შემინებულმა ცხენმა ეწერში გავალულ  
ტურბის ბილიკზე ფრთები შეისხა.

„მე უგზო-უკვლოდ მივეჭრებიარ! — ჩიოდა  
ჯუნა — მე მივეჭრებიარ და არც კი ვიცი, ვშორ-  
დები თუ უგზალოდები მას..."

„იქროლე, იქროლე! — ყირაზე დადგა მათ-  
რახის ტარზე შემოსკებებულ ჰინკა — გასწი  
იქით, სადაც უკანასკნელად შეხვდი... მაგრამ  
დაიჭერე, ტუყილად მიჭრებიარ... უკვე გვი-  
ანა..."

„ჩამოვეცალე!" — მათრახი აიჭინა ჯუნამ და  
ჰინკა ჰაერში გაუჩინარდა.

მიჰკროდა ჯუნა ეკალბარდებით აძინებო  
ეწერზე და ჩირგვთა მწვენივ გრანული გარბნი  
და უკან.

— მიდი, ძვირფასო, მიდი! — ამხნეებდა და-  
წინებულ ცხენს.

იკეებოდა ბილიკი ფლოქეებზევე, ითელბო-  
და საიდანაც უშნოდ გამოჩრილი ეკლიანი  
ბლქი, მზეს შიფიცებელი გველი იძურწებო-  
და ზარღებში; მზე ქანაზბდა ცაზე და იალკი-  
ალი გაჰკონდა ცასაც.

— მიდი, ძვირფასო, მიდი!.. — ეხეწებოდა  
ერთგულ პირუტყვს და კისერზე უთათუნებდა  
ხელს.

უშვენიერეს უფლისწულსა ჰკავდა იგი, სა-  
ნაეარდოდ გამოსულს. თეთრ ყაბალახში ჩა-  
ვალა ვრუხა თმები, თეთრი, კალთებაცეცილი  
ჩოხა ახენდა მის ყმაწვილურ წელს; შავი წა-  
ღები ეტმასნებოდა ნატიფ ფეხებზე... და მიჰ-  
კროდა უშვენიერესი უფლისწული, რადგა-  
ნაც დაცალეული გავდი ვერ სძლებს მარტოდ-  
მარტო...

მიჰკროდა ჯუნა მახუტის საშველად და ვრცე-  
ლი ეწერი კაბუტლობდა მისი ცხენის  
ფლოქეებზევე...

...ოდესლაც ცაზე ჩამოწვა შავი ღრუბელი და  
ჯგეთი წამოვიდა მიწაზე. ჯუნა და მახუტი  
გარბოდნენ წვიმის ქვეშ და ზაფხულის თბი-  
ლი წვიმა ჰხანდა ჯუნას სახეს, მკლავებს,  
მკერდზე მტმასნებულ სველ კაბას... მირბოდა  
ჯუნა და მისი დამწვარი კანები კალმახებივით  
მიღვავუნებდნენ ორღობებიდან მოვარდნილ  
ღვარნაშში.

„გაიქეცი, ჯუნა, გაიქეცი!" — უძახდა მა-  
ხუტი და ვზას უკაფავდა თავსხმში დაკარგულ  
გოგონას.

შეშინდა მაშინ ჯუნა, ეგონა ვერ გაიკვლევდა  
გზას, სამუდამოდ ჩარჩებოდა წვიმის იმ რიალ-  
ში და სტიქიის სიგიჟით ატაცებული გაითქვი-  
ფებოდა მასში...

„ჯუნა, ჯუნა!" — იძახდა მაშინ მიწისქვე-  
შეთი და ერთადერთი საყრდენი დაკარგულ  
გოგონასათვის მისი მახუტი იყო...

კისერი წინ გაეწვდინა ცხენს, ძარღვები  
ებერებოდა დამაბვისაგან, ხმაურით ისრუტავ-  
და ჰაერს და წინა ფლოქეების კვალს ახვედ-  
რებდა უკანასკლ...

მიჰკროდა ჯუნას ცხენი და მოვარდნილი ნი-  
ავი უწეწავდა ფაფარს.

ისევ მოესმა ხიზოთი მხედარს, მათრახის  
ტარის წვერზე ჰინკა კირწი-კორწით გადაღა-  
ოდა ყირაზე.

„დააგვიანე ჯუნა, უკვე დააგვიანე!" — გაჰ-  
კიოდა იგი და სიცილისაგან სული უგუბდღ-  
ბოდა.

**ჯემალ ჰირია**  
ანგაზნი არამხუტისა

„მომწყდის!“ — აიქნია ჭუნამ მათრახი და მუქისტოლა არსება თამბაქოს ბოლივით გაუჩინარდა ჰაერში.

— მიდი, ძვირფასო, მიდი!.. — ჩასტურულბდა ერთგულ პირუტყვს და ისიც თავდაუზოგავად ლევდა სივრცეს.

ქარი ზუზუნებდა ჭუნას ყურებში, ქარი ცდილობდა ყაბალახი მოეხადა მისთვის და აეწეწა შავი თმები, აფერიალებინა ტყაში მთვან თმებივით.

ქარი ეხვეოდა ურცხვად, უკოცინდა ბაგეებს, თვალებს...

ქარი ხარხარებდა, რადგანაც ჭუნას დასტყუა მახუტის წილი კოცინა...

ვერცხლისფერმა ზოლმა გაიფლავა მის წინ. არგო გაშლილიყო. ვრცელი და ბოზოქარი. აღიდებულყო ნაწვიმარზე, მოეგლიჯა ბორნები და დაეპყრო ნაპირები. ახლა კი ფართოდ გამოხლართული მდორედ მოღუღუნებდა და ცრიატებდა მისი მოსარეული ზედაპირი.

ქინკა შემოახტა ისევ ცხენს გავაზე. შეწუხდა პირუტყვი, შესწიხვინა და კვლავ ყალუხე დაღაცა ფეხქვეშ მოღებული თხილის ბუჩქი გადაარეგვა.

„ახლა ხომ დაგქირდი, ახლა ხომ დაგქირდი!“ — ხარხარებდა ქინკა და ვერცხლის ზოდებით ფარავდა არგოს ზედაპირს.

დაჰკვილა ჭუნამ თავის ერთგულ ცხენს და თავგამოდებული გადაეშვა არგოში. ნალეზმა გაიკეცეს ვერცხლის ზოდებზე, ნაპერწყალი დაჰყარეს და გაჰვნდა ცხენი ვერცხლის ხილზე...

ცხენის გავაზე შემომჭდარი ქინკა კი ხარხარებდა, ხარხარებდა და კირწი-კორწით გადადიოდა ყირახზე.

ტორტმანობდნენ ზოდები, ფლოქვებიდან ეცლებოდნენ, შიშინით ამოდიოდა არგოს მღვრიე წყალი, ცდილობდა ჩაენთქა თამამი მხედარი, მაგრამ ისევ ვერცხლის ზოდებით იფარებოდა არგოს ზედაპირი და კვესავდნენ ნალები ვერცხლის ზოდებზე.

ხარხარებდა ქინკა, მოჰკიოდა ჭუნა და კისერწაგრძელებული მისი ცხენი გარბოდა ვერცხლის ხილზე...

ნაპერწყლებს ტოვებდა ნალები გზაზე და ნაპერწყლები ქრებოდნენ ტალღებში...

ხაბოზე ავარდა ჭუნას ცხენი, გაქრა ქინკა, მიწყდა მისი ხარხარი... მოიხედა ჭუნამ, ცრი-ატი გადაჰყარდა ვრცელ და ბოზოქარ არგოს, დაშვეული ტალღები ხარბად ლოკავდნენ თიხის ნაპირებს.

ისევ აზუზუნდა ყურში ქარი, ისევ შეებრძოლა ყაბალახს, რათა ჭუნას თმებში ჩახვეულიყო და ისევ იტაცებდა ცელქი ქარი მახუტის კეთვნილ კოცინას...



საეტლე გზა უკვე გამოშრალიყო, მარჯვნივ ბორბლებითა და ფლოქვებით ნატყვნე წიხვებს თიხას ალაგ-ალაგ ტუქუიანი ლაქები აჩნდა.

ჭუნამ გახვითქული ცხენი იმ ადგილას შეაკავა, სადაც ამ ორიოდე კვირის წინ ბაღუს ეტლიდან ჩამოვიდა.

საცნობი ბილიკი დალანდა და იქით გადაიხვია. დავეკრებულე თვალიც იტყოდა, რომ აქ დიდი ხანი იყო, რაც არაფის ვაველო.

ხეიარა ბარდები ცდილობდნენ ბილიტზე გაბატონებას და იქნეულად კაწრავდნენ იშვით გამველეს.

ბილიტზე უხვად გაბნეულიყო ვაეის ია და კიდევ მინდვრის სხვა უამრავი ყვავილი, რომელთა სახელების გასახსენებლად ჭუნას ახლა არ ეცალა.

ნაკადულს რომ გადადიოდა, ცხენი შეჩერდა. ჭუნამ აცალა, სანამ პირუტყვი წყურვილს მოიკლავდა და დავეკრებულე მზერა მიმოავლო მეორე ნაპირს. ხამი ბალახი გაეთელა ვიდაცას და ჭუნა მიხვდა, რომ აქ ახლახან კაცმა გაიარა. სიფრთხილეს უმატა.

უხმოდ უნიძვა გვერდებზე ცხენს და გზა აუჩქარებელი ჩორითი განაგრძო. მათრახი ქამარში გაიჭო, ხელში კი რვეოლვერი აიღო და ცდილობდა ფოთლების ოდნავი შეტოვებაც არ გამოჰარვოდა.

ლორდაშიყრილ ველთან ჩამოქვეითდა. ცხენი იქვე დაავლო, თვითონ კი წელში მოხრილი, ბუჩქნარებსა და ქვების გროვას ამოფარებული მიიწევდა წინ.

უცებ შეჩერდა. რაღაც უცნაური ბუბუნე ჩაესმა. გული აუტოკდა. ქვეებს ხელიკვით გაეკრა და ისე უსშენდა ბუბუნეს.

თითქოს ინა აიდვა მიწამ.

„ჭუნა ჭუნა“ — წაიჩურჩულა ხმამ, გაიკბუნა და ისევ სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა.

ჭუნამ ისევ მიაღო ყური ქვეებს, მაგრამ უკვე არაფერი ისმოდა.

წამოხტა და თხმელნარისაკენ გაიქცა. სანამ ბუჩქებს მიეფარებოდა, მიდამო შეათვალერა. საეჭვო არაფერი ჩანდა.

ბუჩქებსა და ბარდებში გაეჭრა, დაიხარა და ბნელ ხვრელში შეჰყო თავი. ხვრელი ნელა გუზუნებდა. ვიდაცას შეეშფოთებინა მისი მღუმარება და შორეული ექოს გამოძახილია აღწედა ჭუნას ყურთახმენამდე.

გაბედა და შივ შექცა. სიბნელეში გაქიმული მავთული მოსინჯა და ნელა გაჰყვა. ზურგსუქან თანდათან დამატარავდა მრგვალი, ნათელი ჭრილი და ჭუნა მალე სრულ უქუნში გაითქვიფა.

სადაც გაიჩაკუნა ქვამ. შეთრთოლდა მავთული ჭუნას ხელში. შეთრთოლდა ჭუნაც და

ქვის სლობ კედელს აეკრა. უკუნში ვილაც მოიწვედა გასასვლელისაკენ. არაფერი ჩანდა, მაგრამ ტოკავდა მავთული და მის ტაქტზე ნიავის ნელი ტალღები სახეზე ელამუნებოდა ქალს.

ქუნამ რევოლვერის ჩახმაზი შეაყენა და ლულა სიბნელეს დაუმიზნა.

ასე იცდიდა ერთ ადგილას გახევებული და შიშისაგან გულშეკუმშული.

მაღე ფეხის ხმა გაისმა, ვილაცა ცერზე შემდგარი კატასავით მსუბუქად და ფრთხილად დგამდა ნაბიჯებს.

— ჰეი, ვინ ხარ?! — შესძახა მოთმინება-დაკარგულმა ქუნამ.

შეწყდა ფეხის ხმა, უფრო მაგრად შეტოვდა მავთული და მერე გაისმა გაქცეული ადამიანის ფეხსაცმლის ჩლახუნები.

— შეჩერდი, გესერი!.. — დაჰკვილა ქუნამ და უკან გამოუდგა, მაგრამ სიბნელეში ძნელი იყო სირბილი და ვერ დაეწია.

მავთულის ბოლომდე მიადწია. წელში გასწორდა და ისევ კედელს აეკრა, რათა სიბნელიდან მოულოდნელად თავზე არავინ დასხმოდა.

ვრცელ დარბაზში იმყოფებოდა და შუა დარბაზში ჰერის ნარდვევიდან სინათლის სვეტი იღვრებოდა. სინათლეს თანდათან შეაჩვია თვალი და ბინდში კაცო დალანდა. იგი დარბაზის შორეულ კუთხეში აეკროდა კედელს.

— შეჩერდი! — ისევ მიაძახა ქუნამ და მისი ხმა მრავალგზის ვაიმეორა შორეულმა ეჭომ. მაგრამ ლანდი მიწამ ჩაყლაპა.

ქუნამ იცოდა, რომ იმ მხარეს გვირაბი გადოდა და ფეხდაფეხ მიჰყავდა გაქცეულს.

უცებ რაკაცას წამოდგა და ზედ დეკა ადამიანის ჯერ კიდევ თბილ სხეულს...

კარგა ხანს ჩამოჰყვებოდნენ არგოს ნაპირს. ხაბო მთლიანად ახლად ამწყვანებული სამყურას ხალიჩით იყო დაფარული და ფეხსაცმლის ლანჩა იფლობოდა რბილ მასაში. სამყურას უკვე გაეკეთებინა თავთავები და ლანჩილისფერ მდელოზე უხვად მოზნეული მოყვითალო-თეთრი თეთვთავები თაფლის სურნელებას აფრქვევდა. მახუტის უნდოდა ბავშვივით ვაწოლილიყო მდელოზე, ჩახუტებოდა ნაზ სამყურას, ლოყვით ვახახუნებოდა ნორჩ ფოთლებს, ესუნთქა მისი თავთავების სურნელებით.

კოსტია პორუჩიკი წელმოორდევულად მოჩლახუნობდა მის გვერდით, რადგანაც შიშობილმა და გრძელმა გზამ ვადალა შტაბს-კაპიტანობის კანდიდატი და არ ძალუძდა პოეტური, ამალეებული მზერა მიეპყრო ვაზაფხულის ამ ზეიმისთვის. მას სხვა საფიქრალი აწუხებდა და თქმაც დალილობის გამო აზრი ძუნწად მოუდობდა თავში. იგი მინც ერთი და იმავე საგნის ირგვლივ ტრიალებდა.

— ვიცოდეთ მინც სადა ვართ... — უწუმ ჩიოდა იგი და რევოლვერის ბუდე ისწორებდა.

ხუთა კენწწროებს იქით კვალი დალანდეს. პატარა ძელური გადაჰყურებდა მდინარეს. პატარანი აფხაზი აღმოჩნდა. ადგილსამყოფელი ვერ აუხსნა ლტოლვილებს, მაგრამ მჭადის ნატიები კი გაუზიარა.

დანაწინდნენ და ისევ გზას დაადგნენ. ერთი საათის გზაც არ ჰქონდათ ვავილი, რომ მახუტემ დაღვარკნილი მუხა იცო არგოს პირას.

— ოჰო, მგანი ვადარჩა შტაბს-კაპიტანი, — გამახსნევა მან პორუჩიკი, — ამ მუხას ცენობ... აქედან ახლოსაა ადგილი, სადაც ალნათ ქუნა გვიცდის.

მახუტი გამხიარულდა. კოსტასაც გაუხარდა, მაგრამ როცა მახუტემ ქუნა ახსენა, პორუჩიკის სახეზე ისევ მოწყენილობა აისახა.

არგოს ზურგი შეაქცოეს და გავიარებულ ეწერში გავიდნენ, ტურების დაქინდა ბილიკზე. ნაშუადღევამდე მიდოლდნენ. მზე ჰიშკიშზე დადგა. ჩრდილი არსად იყო და ლტიღვილებს თავი უხურებდა. ძონძროხი ძეძენარი აღოდა ერთი შეორეულ და ფოთოლშემოცალ თხმელებს ახრჩობდა.

ბილიკი თეთრად ბრჰყვიალებდა და ნაბიჯის გადადგმისას ფჰვილივით მსუბუქა მტვერის დგებოდა ფათქუნით.

შარაზე გავიდნენ. მუხს ისიც გაეშრო, მაგრამ ადგილ-ადგილ ჯერ კიდევ დარჩენილიყო მოყაყაენე ბაყაყებით სახეგ ლაყვა.

უცხო თვალისათვის ძნელად შესამჩნევ ბილიკს აჰყენდა შეღმართზე. აქედან საეტლე გიშორს მოჩანდა ორივე მხარეს, მაგრამ არსიდან არც ჰქვიით, არც ცხენოსანი არავინ ჰაკანებდა. გულდამშვიდებული მახუტი წინ გაუძღვდა თანამგზავრს და ნაყადულთან ჩავიდა. წანწალა წყალს წაელო ისევ. ლტოლვილებმა გაირბინეს და გადახტნენ.

ისევ შეღმართს აჰყენენ. ვაეის იეზით მოფენილ ბილიკს ადამიანის ნაფეხური არ აჩნდა.

კოსტია პორუჩიკი უხმოდ მისდევდა წინ მიმავალ მახუტის და გზა-გზა ეკალას ნორჩი ულორტებით იცენიდა პირს.

ბილიკმა ისინი კვადორლით მოფენილ ველზე გაიყვანა. აქა-იქ ქებზიდან თითო-ოროლა უწნოდ დაღმეკილი თხმელა ამგერილიყო, ეკლიანი ძეძვით დახუნძლული.

ქებებზე ჩამოსხდნენ. მახუტი ტოქმანობდა. ვერ გადაწყვიტა ჩაყვანა თუ არა სიიდუმლო მიწისჰვევითმი მისი გადამჩინი. ბოლოს და ბოლოს, მას შემდეგ რაც პორუჩიკმა გააკეთა, იგი სრული ნდობის ლირსია, მაგრამ მახუტის გულში ეჰვის ჰია

**ჯამალ მირიბ**  
აშბაპი არამხუტისს



მანც ფოთინობდა და ვერ იქნა, ვერ ათქმევინა თავის თავს, — ვენდობოი უყუყმანოდ... ქვეშე, ზედ მახუტის ფეხთან, ერთადერთი სამყურა ამოსულყო, სუსტი და ნახი.

ოთხფოთლიანად მოჩვენა... ოდესღაც ძიძამ გაგზავნა არგოს პირა ხაბოზე, სადაც უამრავი სამყურა ოზრდებოდა და უთხრა, ოთხფოთოლა სამყურას თუ მოტებნი, ნატერა ავისრულდება...

დაიხარა და მოწყვიტა. გული დაწყდა, რადგან ესეც სამფოთოლა აღმოჩნდა. ამოიხენეშა, რას იხამ, როცა კაცს ბედი არ გწყალობს...

მზემ უფრო დააცხუნა, ჩრდილი კი არსად იყო. თეთრ ქვეშეზე არეკლილი სხივი თვალებს ტყენდა.

— აქ რას უნდა ვუცადოთ? ზომ თქვე აღვილი ვიცანიო, ბარამ გზა განვავარძოთ — შეწყვიტა პორტუგეზა მღვდმარება.

ეგებ ჟუნა უკვე იქაა, მიწისქვეშეთში და მახუტის უცდის... ეგებ გუშინ მივიდა და მას შემდეგ არც ამოსულა ზევით. მახუტი კი მზეს მიფიქვებია, ეკვიანობს კოსტაია პორტუგეზ და ჟუნას აღოღინებს... რა აქვს პორტუგის საჭუი? ეს კაცი ჟუნას გამოგზავნილია. მართალია, ფული დაიქირავეს, მაგრამ ჟუნა ენდო მას. ეს კაცი არგვანანის გამოგზავნილიცაა... ლალა სიცოცხლეზევე სამუდამოდ გამოეშვიდობა ვახრდილს, მკვდრებში ჩაირცხა, მაგრამ ვერ დაიმორჩილა საყუთარი გული და თავისი ადიუტანტის სახით მამუელი ხელი გამოუწოდა. ამდენი უნდობლობა და ეკვიანობა უსამართლობაა, სხვა რომ არა იყოს რა. კოსტას ამის საბაზი არ მიუტეია მისთვის. რას იტყოდა მუდამ კონტად გამოკანაქული, ახლა კი მახუტის გადარჩენაში მონაწილეობას გამო წერამოშვებელი, კუმეიანი, გაუფარულებული ოფიცერი. მახუტის აზრებში რომ ჩაებნდა?... ის უსომოდ შეურაცხყოფილი დარჩებოდა.

— აქედან ქალაქი ახლოსა! — დაამშვიდა პორტუგეი მოულოდნელად.

კოსტაიამ ყური ცქვიტა.

— ჩვენ რომ გზა გადავკვიროთ, იმას თუ დამყვი, ერთ საათში ბორანზე გავალ.

პორტუგის საოპონებისაგან სახის ფერი გალუხალისდა.

— მამ, აქ რას ამოვიდიოდი? იქვე უნდა გაეკრილოყავით. შენ შენი გზით წაზედიოდი, მე კი ქალაქს დაებრუნდებოდი.

— აქ ჟუნა უნდა მოვიდეს, — სრული ნდობა გამოუცხადა მახუტემ, — შესაძლებელია, იგი მოვიდა კიდევ...

— მერე და სად არის? — წამოხტა პორტუგეი და წელზე შემორტყმული ქაპარი და მასზე დაკიდებულ რევოლვერის ბუდე გაისწორა.

— აქ! — მიწაზე ფეხი დაკრა მახუტემ და იქვე ახლოს უხვად ამოყიდა თხმელის ტოტებში გაუჩინარდა.

კოსტაია პორტუგეი ფაცხა-ფუცხა უკან.

მახუტემ უკანასკნელი ბუჩქის ტოტი გადასწია და ისინი ვიწრო ხვრელის წინ აღმოჩნდნენ.

— აქ უნდა შეეძებოთ? — მღვლეარებისაგან ხმა ჩაებლია კოსტაიას.

მახუტემ თავი დაუქნია და ერთხელ კიდევ ატყაუდა ეკვი, მაგრამ უკვე გვიანი იყო და ეკვის ქა ჩააქუნა.

პორტუგემა შესვლისთანავე თავი ჰერს მიარტყა და ამის შემდეგ წელში ოთხად მოკაცული მიფორთხავდა მახუტის კვალდაკვალ. თვითონვე ეფარებოდა ვიწრო ტრილიშ შემოსულ სინათლეს და უკუნში ვერაფერს არჩევდა.

მახუტი კი ჩვეული სითამამით მიჰყვებოდა კედლის გასწვრივ გავიშულ მავთულს. მის ცნობიერებაში უკუნთან ერთად შემოდიოდნენ უცნაური მოჩვენებანი... ერთხელ საგვარეულო აკლდამაში ჩაავდეს. კუბოების წყება იხილა. ერთი კუბოს სახურავი გასკდა და იქიდან ეპოლტებიანი ჩონჩხი ამოჩაებუნდა. შეჭრუნებული ქაბუკი სლობ კედელს მაიწყდა და გაიქცა. ჩონჩხმა ხელის მტევანი მოიმხსებია და ზურგში ესროლა გაქცეულს...

...მერე სველ, ნესტიან ჯირგინში მიჰყვებოდა და მის ნაკვალეზე თანდთან სუსტდებოდა აღევენებული ჩონჩხების ჩხარა-ჩხური...

უცებ შიშმა შეიპყრო. თითქოს ისევ ჯირგინში მიჰყვებოდა და ეპოლტებიანი ჩონჩხი მოსდევდა ძვლების ჩხარუნით.

წემოტრიალდა მყის და ზედ პირისაზევე შეიარაღდა აქოშინებულმა პორტუგემა.

— რა მოხდა? — ნერვულად იკითხა მან.

— მშ?... არაფერი! — დაბნეულად უპასუხა მახუტემ და კვლავ განავარძო გზა ვიწრო, ნესტიან ჯირგინში და ეპოლტებიანი ჩონჩხი კვლავ ფეხდაფეხ აედგენა.

მავთული გათავდა და მახუტი წელში გასწორდა.

ჰერის ნარღვევში მჭრქალი სინათლის სვეტი შემოდიოდა და ოდნავ ასუსტებდა ვრცელ მიწისქვეშა დარბაზში დასადგურებულ უკუნს.

მახუტი შედგა სინათლის სვეტის ქვეშ და შემობრუნდა.

— აი, აქ!..

კოსტაია პორტუგეი არ გამოდიოდა სიბნელიდან და მახუტი მას ვერ ზედავდა.

...არამხუტი, არამხუტი, ძმა ვარ შენი! — გაიფიქრა მოულოდნელად.

მიწისქვეშეთში მრავლისმეტყველი დემილი ჩამოვარდა. სადაც შორს წყაბა-წყუბი გაქქონდა ჰერისგან ჩამოღვევითი წყალს. ნელა ტოკავდა გაშვული ნიავი და სიბნელიდან არ გამოდჩოდა გენერალ არგვანანის ადიუტანტი.

— სად ხარ? — ხმადაბლა იკითხა მახუტემ და იმ ადგილს დააკვირდა, საიდანაც პორტუგეი უნდა გამოსულიყო. მრუმე სიბნელეში ყველაფერი ინთქმებოდა და მახუტის ანთებულ ცნო-

ბერებში ჯოჯობეთური სახეები იხატებოდა. „არამხუტ, არამხუტ, მძა ვარ შენი“... სუნთქვა შეეკრა მახუტის.

— სად ხარ? — გაიმორა მან და პასუხი რომ ვერ მიიღო, უცებ ყველაფერს მიხვდა. ოქროს გისოსებს მიაყვდა კეტსალი, ფრთები მიახსხვრია თავისუფლებას მონატრებულმა.

ხელები თავზევით აღმართა მახუტემ და მთელი ხმით საშველად უხმო თავის ნანიანატრს.

— ჟუნა!.. ჟუნა!..  
— გაცოცხლდა ერთადერთი ტყვია, რომელსაც მისთვის ეძინა.

ზათქი და გუგუნე განიზნა მიწისქვეშეთში, სადაც გრიალით ჩამოიწვრა ათასწლეული ქანები, მზლილით მოვარდა ამოძრავებული ქარი, ჩაბებრა შორეული ვადასავლელებისა და ტალანების ორკესტრს; გაცოცხლდნენ იღვშალი სულები და აპოკალიპსური ხმებით აივსო ნოტიო ჰაერი... და ამ ჯოჯობეთურ ზრიალში ისევ და ისევ გაისმოდა მიწის ჯურღმულეებში მისუსტებული და სამუდამოდ ჩამარხული ხმა: „ჟუნა... ჟუნა... ჟუნა...“

კოსტია პორტუკეა თავზე ხელები შემოიჭდო და ისე დაეშვა ბნელ კუთხეში, თითქოს კუპრით სავსე კასრი იძირებოდა. მიწისქვეშეთიდან მოვარდნილი საზარელი ხმები ლღვერდივით სცემდა პორტუკეს.

ასე იქდა კარგა ხანს კუპრში ჩაფლული და თავს სამუდამოდ დამარხულად გრძნობდა. მერ, როდესაც ექო ოღნავ მიწყნარდა, გამბედაობაც თანდათან დაუბრუნდა, ხელით მოსინჯა გვირაბში გაქიმული მავთული და გასასვლელისაკენ ფეხბერვით გასწია. მაგრამ გვიანი იყო, რადგან ნათელ ჭრალს ვიღაცა აეფარა უყვე.

— ჰეი, ვინ ხარ?! — შესძახა ლანდმა და პორტუკეა ჟუნას ხმა იცნო. შეცბა გენერლის ადიუტანტი, უნდოდა ტყვიით ეპასუხხა, მაგრამ რევოლვერში მეტი ეაზნა არ იყო და განზე მოიხროლა უსარგებლო ნივთი.

გასასვლელს ზურგი შეაქცია და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ისევ დარბაზისაკენ წაილახუნდა.

აქ სურდა დადარაჯებოდა, რათა ქალისათვის იარაღი ხელიდან გაეგდებინებინა, მაგრამ იცოდა ვისთან ჰქონდა საქმე და ვერ გაბედა.

— შეჩერდი, ვესკრი!.. — მისძახოდა ჟუნა და პორტუკეა ცდილობდა სიბნელეში გაუჩინარებას.

დარბაზს კედელ-კედელ გაჰყვა, რათა სინათლის ვიკინით სვეტის ქვეშ არ გაეშლო და მიწაზე დაგდებული ადამიანისათვისაც გვერდი აეჭვია.

შობირდაპირე მხარეს ზერელს წააწყდა და როცა მღვეარმა ერთხელ კიდევ მიაძახა, შე-

ჩერდიო, ზერელში შეძვრა და გრძელსა და ნესტისაგან ამშორებულ ჯირვინში თხუნელის სავით გაეცოცდა.

მღვერის ფეხის ხმა მიწყდა. პორტუკეა იცოდა, რომ ჟუნა ჯირვინის დასაწყისთან დაუდარაჯებდა და ამიტომ ფოფხვას განაგრძობდა. ათიოდე წუთის შემდეგ ისევ უზარმაზარ დარბაზში აღმოჩნდა, რასაც ჰაერის მოძრაობითა მიხვდა. გადაწყვიტა აქვე მოეცადა, სანამ მღვეარს არ მობუზრდებოდა დარაჯობა. ჩუმად იჯდა და ყურს უგდებდა.

იღვშალი ღულღუნი მოდიოდა სიღრმეებიდან, თითქოს ჩიოდნენ გარდაცვლილთა სულები და ამ ჩივილისაგან კოსტია პორტუკეს თმა აებურტანდა.

ჭერიდან წვეთი ჩამოწყაბუნდა. იქვე ახლოს გუბე უნდა ყოფილიყო. ხელი მოაფათურა, სველ ქვევს წააწყდა. ორიოდ ნაბიჯი გადადგა და ყინულივით ცივ წყალს შეეხო. ყლუპი დალია; ყინტარო იყო და შეაცივნა.

უცებ გაოგნდა. მოეჩვენა, რომ ჯირვინის ბოლო დაეკარგა. უკანვე გადადგა ბოჯინჯავლი და როდესაც კედელს წააწყდა, მოაფათურა. მარჯვენა ნეზზე ცივი ნივი შეეხო და გაუხარდა. გვირაბი იყო. ფრთხილად შეძვრა, რათა ისევ წინა დარბაზში გაეღწია, მაგრამ ათიოდე ნაბიჯი რომ გაიარა, ყრუ კედელს წააწყდა.

თავზარი დაეცა პორტუკეს. მართლაც დამკარგვედა იმ ჯირვინის ბოლო, რომლითაც აქ შემოძვრა. ისევ გაუბურინა დარბაზში გაბრუნდა. კედელ-კედელ გაჰყვა და ახალ გვირაბს წააწყდა. ეს მაინც ის იქნებოდა და იმას მიჰყვა, მაგრამ ისევ ყრუ კედელს წააწყდა.

ასე დადიოდა იგი უკუნში ჩაფლული მიწის ქვეშა დარბაზის უსწორმასწორო კედლის გასწვრივ, ქვევზე ფეხი უტლებოდა, ტანსაცმელსა და ხორცს იგლეჯდა წვეტიან ლოდებზე, წამალაწუმ ახალ ზერელს პოულობდა, მაგრამ ყოველი მათგანი ყრუ კედლით თავდებოდა.

ნებისყოფა თანდათან ეკარგებოდა პორტუკეს, მუხლებში ძაბავი უქცობდა. იქდა უხილაეი და ყინულივით ცივი გუბურის პირას და სიბნელისათვის მიეშტერებინა უსინთლო თვალები, რომლებიც ახლა არც ჯღატარა იყო და არც სხვა რამ ფერისა.

მიხვდა, რომ ცოცხლად ჩამარბხა, რომ აქედან ვერასოდეს ამოვიდოდა, რომ მთელი ეს ათასტონიანი ქანები შობრდნენ, თავისი სიმძიმით დააწვევენ მის სუსტს მხრებს და შალე ეს სიმძიმე მოიყოლებდა ქვეშ, გასრესდა, ზერ-ზემალს გადაუმსხვრევდა. ეს ხლებოდა იმიტომ, რომ მან მოჰკლა კეტსალი...

შურისძიება მაინც უნდა მომხდარიყო და

## ჯანგალ ძირის

ამბავში არამხუტისა

ამაში ერთა რაღაც ღვთაებრივი, მიუწვდომელი ნება.

— არა, არა! — შესძახა ციბაშეყრილმა პორუჩიკმა და ფეხზე წამოხტა.

„არა, არა!..“ — სიცილ-ხარხარით დაურბინა ექომ ყოველ მხრივ ჰარკვანად დატეხილ ბნელ ტალანებს და მისი სიტყვები უკანვე სახეში მიაფურთხა პორუჩიკს.

ისევ დაიწყო ხელების ფათური კედლის გასწვრივ და წვეტიანი ქვები უსერავდნენ ხელებს. გვირაბს რომ წააწყდებოდა, დიდ ხანს წონიდა, ეს არის თუ არაო, შეგვლას ვერ ბედავდა და ხელის ფათურს განავრძობდა. ბოლოს ერთ ტალანში შევიდა. სხვაზე მალაქტერიანი და ფართოდ გამოჭრილი ჩანდა და წელ-გამართლს შეეძლო სიარული. ტალანი იგრინებოდა თავგაქმეპილი გველივით და პორუჩიკიც დაუფიქრებლად მიჰყვებოდა ამ ბნელ გრებილბს. ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ ჰაერში რჩებოდა გაწვდილი ხელი და გვერდით ტოვებდა უცნაურ ღრმულებს, რომლებიც არ იცოდა, გვირაბთა დასაწყისი იყო თუ ჩამონგრეული კედელი.

უცებ რაღაც აციმციმდა წინ. სიხარულისაგან სული შეუგუბდა, ფეხი ააჩქარა. ხან რას წამოედებოდა, ხან რას. დანასავით პირმკრელი კატი ახვედა მხრებზე ხორცს, უზარმაზარი სიმძიმის ქვეშ ჩამოხნეილ ჰერს წამლაუფუმ ახლიდა შუბლს, მაგრამ ნერვული ცახცახით შეპყრობილი და უსიტყვოდ დუდუნისაგან დორბლმორბული მიიჩქაროდა თერთა ლაქისაკენ და მოულოდნელად წაადგა მას.

უაზროდ დაეცქერდა. აღამიანის თავის ქალა ეგდო დახვეებულ ქვებს შორის. აქამდე არ სჯეროდა, რომ ასეთი სიბნელე არსებობდა ამ ქვეყნად. ეგონა, თვითონ ჰქონდა თვალის სიხალთე წართმეული და ამიტომ ვერ არჩევდა მიწისქვეშა ტალანების კედლებსა და ჰერს. ახლა კი მის ფეხებთან ოდნავ ციმციმებდა ფოსფორმოდებული თავის ქალა და სხვა რამ ირგვლივ არ არსებობდა.

უაზროდ უყურებდა კოსტა ამ ერთადერთ თეთრს საგანს ამდენ სიშავეში და არ იცოდა სად იმყოფებოდა, რას შერებოდა, რას გაურბოდა.

ხელში აიღო თეთრი ნივთი და ხელები აუკანჯალდა. თავის ქალას უბა ჩამოუვარდა და ისევ ტკაცუნით მიეხურა. პორუჩიკმა თითებზე დასახა ცილი რახა-რუხით გავორდა თეთრი ბურთი, რომელიც ოდესღაც თავი იყო და ისტერიულმა ხარხარმა გაუხია პირი პორუჩიკს. ხარხარმა ზრიალ-ზრიალით დაუარა მიწისქვეშა გვირაბებსა და დარბაზებს, თვითონაც ხარხარით უპასუხა მრავალგზის გამეორებულმა ექომ და

გაცოცხლდა, დაიხლანა სიცილისაგან სულზე გუბებულები ჭოჩოხებით.

სული შეუგუბდა პორუჩიკსაც და მოიკაცვა. იგი ერთ ადგილას ბანცელდნენ და რაღაც გიჟურ დავლურს უვლიდა. ბოლოს თავი მკერდზე ჩამოუვარდა და კუთხეში მიიქუქკა, რადგანაც უცქე მოკვდა. გათავდა მისი კარიერის საქმე. ახლა მათხოვრობა ერთიან შტაბს-კაპიტნობასაც, არგაშანგის ქონებასაც, თუკის ვულსაც, მაგრამ გვიანი იყო ყველაფერი.

მსუბუქი ფეხის ხმა შემოესმა მოულოდნელად. თავი წამოსწია და უსინათლო აეკლბი უქუნს მიპაყრო. არ იცოდა ტალანში იყურებოდა, თუ ერთ კედლისათვის მიეპყრო მჭერა, რადგან ერთხანით უქუნეთი ბატონობა ყველგან.

და იხილა პორუჩიკმა კოსტა კაჟუაიამ უმწვენიერესი ქალწული. თეთრი სამოსი კოჭებს უფარავდა ასულს, მაგრამ იგი ვერ მალავდა მის მშვენიერ ნაკეთებს. მალე მიეოდი უტოკავდა მოჩვენებას, ჩამოშლილი თმბა ეღრებოდა მხრებზე, თვალეხი უქრთოდა ორი ვარსკვლავივით...

„ღედოფალო, სიციცხლე მაჩუქე!..“ — შეევედრა კოსტა და დიაცივიტ აქვითინებული მუხლებზე დაემხო თერთსამოსიანი ასულის წინაშე.

ასულმა თითქოს ვერც შეამჩნია იგი, გვერდით ჩაუარა ამაყად, თერთმა კაბამ გაიშრიალა პორუჩიკის ცხვირწინ, კაბის კალთა ოდნავ შეეხო კიდეც და მოჩვენებამ გზა განავრძო ტალანში.

სიკვიემორეული პორუჩიკი დაოთხილი მიჰყვა კბილებს კაჟაწით.

ასე მიდიოდნენ დიდ ხანს. წინ თერთსამოსიანის ასული მიბაიჩებდა ამაყად, მის უკან კი მუხლებდასისხლიანებული პორუჩიკი მიფორთხავდა და ქალწულის ნაფეხურს კოცინდა.

შეჩერდა მშვენიერი ასული, მკაცრად დახვედა მის ფერხით დამხობილს.

„ღედოფალო, სიციცხლე მაჩუქე და ჩემი სული წაიღე!..“ — შეპაყვირა ისევ პორუჩიკმა.

„შენ უცქე მკედარი ხარ!“ — თქვა თერთსამოსიანმა ასულმა, დაიხარა, პორუჩიკს სული ამოართვა და კედელზე ჩამოჰკიდა.

პორუჩიკის სული სვე ლაქად დააჩნდა მიწისქვეშეთის ბერბენე სიშავეს.

თვალი დახუჭა კოსტაიამ, არ უნდოდა ეხილა საკუთარი სულის სიშავე და როცა გაახილა, არც მისი სული ჩანდა, არც თერთსამოსიანი ასული. მისგან ათიოდ ნაბიჯზე კი შუის სხივი ცრიალ-კიალობდა.

შეჭბლავდა პორუჩიკმა, ძლივს მიფორთხდა ხერელამდე და მზეზე გაძვრა.

მის წინ არგოს ვერცხლისფერი ზოლი ვაშლილიყო. ამ ადგილიდან ასიოდ მეტრზე კი ბიძია ონოფრეს ბორანი ქანაობდა ნაპირთან.

მე ამ ლამაზი დღეების იქით  
მაქვს კიდევ უფრო კარგი დღეები,  
ამ მარადმწვანე ტყეების იქით  
ვერ ვნახე უფრო მწვანე ტყეები.

მე ამ ლამაზი ვენახის იქით  
არა მაქვს უფრო კარგი ვენახი,  
მე ამ ლამაზი ვენახის იქით  
უფრო ლამაზი ზვარი ვერ ვნახე.

მე ამ ლამაზი ბორცვების იქით  
არა მაქვს უფრო კარგი ბორცვები.  
მე ამ ლამაზი ლოცვების იქით  
კიდევ მაქვს უფრო კარგი ლოცვები.

მე ამ ლამაზი ოცნების იქით  
მაქვს კიდევ უფრო კარგი ოცნება —  
ავსებული ვარ მამულზე ფიქრით  
ჩემი გაჩენის დღე და მოსწრება.

## „გოგლაურა“

„გოგლაურა“ არის სადღეგრძელო,  
დაბადებისა და გამარჯვების.  
მე ასე ვიტყვი, მასპინძელო,  
და შენ იგულისხმე დანარჩენი.  
სადღეგრძელო არის „გოგლაურა“,  
მეტი რაღა უნდა დავმატოს?!  
დაეზადოს,  
ვისაც გოგო უნდა,  
ვისაც ვაჟი უნდა, დაეზადოს!  
დღეს აქ თამადაა ლეონიძე,  
არჩევანს გიწონებ, მასპინძელო,  
მათი ქორწილები მე მომიწევს,  
მომავალი უნდა ვადღეგრძელო.

„კახურმა“ აუდუღა ყველას სისხლი,  
პოეტი ენამწეობს, იზადრება,  
ამბობს — სადღეგრძელო იყოს მისი,  
ვინაც ამ საათში იზადება.  
დედა საქართველო იყოს მისი  
ენა, რჯული, გვარი და სახელი,  
არსად აემღვრიოთ თვისი სისხლი,  
იყოს ერის კაცი სასახელო;  
აკვანში თვალები აახილოს,  
საქართველოს ძეა თუ ასული.  
ძეობას, მამულის სასახელოდ.  
არასდროს ჰქონოდეს დასასრული.





## ბ ე რ ი კ ა ს ე ბ ი

სხედან მყუდროში ერთ დროს მძიმე უღლის გამწვენი  
და მოგონებით საზრდოობენ ბერიკაცები.  
ასჯერ მონაყოლს, ასმეერთედ ისევ ყვებიან  
და შორს გაფრენილ სიჭაბუკეს ეფერებიან.  
მზის ერუანტელი ვნებადამცხრალ ძარღვებში უვლით,  
თანდათანობით ეკიდებათ თვალბზუე რული.  
სხედან მყუდროში, ერთდროს მძიმე უღლის გამწვენი,  
მოგონებებით ამაყობენ ბერიკაცები.

## ს ა მ რ ე ე

როგორც ეს მზე და დღე დღევანდელი, —  
საესეა ფიჭრი ათასი ფერით...  
და საქართველოს ზეცის ნათელი.  
სულში და გულში თავისით მღერის.

აპა, ამიხდა ნატვრა, წადილი...  
ვთბები, ვნელდები და ვხალისდები;  
ხევიები, მწვანედ გადაბარდნილი,  
ლაღად სუნთქავენ თეთრი ნისლეებით.  
ირმის ბლაგილი, ჯახანი ჯიხვის  
სურვილებს უნხელს მაღალ სივრცეებს...  
ნიჭრის მდინარე და, როგორც მჯიღებს,  
ლოდებს კლდეები მკერდზე იცემენ.  
ამოფრენილა ღრუბლის ქაფიდან  
ხეები თოთო ფოთლების ფრთებით.  
ამხედრებულან და ისწრაფვიან,  
ცად ისწრაფვიან ბალდადის მთები.  
როგორც ეს მზე და დღე დღევანდელი, —  
საესეა ფიჭრი ათასი ფერით...  
და საქართველოს ზეცის ნათელი  
სულში და გულში თავისით მღერის.



საკბი ჭიღაია

# შ ვ ი ლ ე ბ ი

მეორე წიგნი

მათი ცხოვრების დასასრული

ნაბომ გული ველარ დაუდო საღბინოში ცხოვრებას. ელენე ისევ უზომოდ უყვარდა და პეტერბურგი აპოღებდა, მაგრამ ვერაფერი გადაწყვიტა. მან იცოდა, რომ ადვილი არ იყო ქმრისათვის — და ისიც გაუღენიანი ქმრისათვის — ცოლის წართმევა, მაგრამ ელენე ვერა და ვერ დაივიწყა. ერთხანს საფრანგეთში წასვლა გადაწყვიტა, იფიქრა იქ ძველ ნაცნობებს მოეინახულებ და გულს გადაეყოლებო. წავიდა კიდევ, მაგრამ იქ უფრო წავიდა ელენეს სიყვარულის ალი. ერთ მწვენიერ დღეს ისევ პეტერბურგს აშოყ თავი. და იმავე დღეს ელენეს სახლს მიაშურა. ალაყადის კარი ფრთხილად შეღო და ყველაფერი ერთბაშად გაიკვლიდა. ეზოში ორად ორი არყისხის ძირას რკინის გრძელი სკამი იდგა. ამ სკამზე უყვარდა ჩამოჯდომა და წიგნების კითხვა ელენეს.

ნაბომ კიბე აირბინა და ზარის ღილაკს ხელი დააწკაპო. კარისკაცი ახალი კაცი იყო ამ სახლში არ იცნობდა ნაბოს, მაგრამ სამხედრო ფორმაში გამოწყობილი ვახუცი მინც შეიპატოვა შინ სტუმარმა დისაბლისი მოიკითხა. შინ არ არის, მოკრძალებით უპასუხა მოსამსახურემ. ახლა იმ ოთახში შეიხედა, რომელსაც წინათ ელენეს ოთახი ერქვა. ოთახში ყველაფერი ისევ ისე იყო. ისევ შოაგონდა აქ გატარებული საღამოები და გადამქრალი სიყვარულისა და სიღამაზის ენებათა დღევა. ისევ მოიწყინა. აღბათ ბოღმა დაახრჩობდა, რომ ამ დროს მოსამსახურისათვის ისევ არ ეკითხა: ხომ არ იცით

ელენე საღ არისო. ქმრისას ვახლავთ — სხაპასტუბით უპასუხა მოსამსახურემ — დედაც მისთან წაიღია, შეუძლოთ ვახლავთ, ჩემო ბატონო, დიდი ქალბატონი ყოველდღე იმასთან არის, — მთლად ენად გაიკრიფა მოსამსახურე.

გონება აერია მიურატს, თავი დაუტოვა მოსამსახურეს და მთლად დაბნეული დაუყვა პეტერბურგის ქუჩებს; იქვე, საღდაც რესტორანში შევიდა და უგრძნობლად დათერა. ეგონა დარღს არაყში ჩავლავო, მაგრამ პირიქით მოხდა. ახლა მთლად ცეცხლად შემოუნთო ელენეს სიყვარული და გადაწყვიტა იმ დღესვე ეხიხა, ცუდი ზნე სჭირდა ნაბოს; დათერებოდა თუ არა, ეონს ჰკარგავდა, არაფრის წინაშე უკან არ დაიხედა. ცოტა ფათერაკს როდი გადაეყრია ამის ვაბო, მაგრამ ეს ზნე ვერა და ვერ მოიშორა.

სიურალი მიურატი ადგა და ისევ ელენეს სახლს მიაშურა, ახლა უფრო გაბედულად დააქირა ხელი ზარის ღილაკს და გაბედულად უთხრა მსახურს: — დამეფიწყდა ელენეს ახალი ბინის მისამართი მეკითხა თქვენთვის. მსახურმა ისევ სხაპასტუბით დაუსახელა ქუჩა და სახლი. ნაბომ მეეტლე იხმო და რამდენიმე წუთში ელენეს ქმრის სახლს მიაღდა. მაგრამ სწორედ აქ მოხდა უცნაური რამ, რაც აქამდის არასოდეს შემთხვევია. შედრკა ეს უშიშარი კაცი. ვერა და ვერ გადაეწყვიტა ჭიჭურად შეჭრილიყო უცნობ ოჯახში, საღდაც ეხლა ელენე ეგულებოდა. თითქმის ფეხები მოეკვეთათ, გაშეშდა, გაჩერდა. მერე ხელი უცნაურად ჩიქინია და გაბრუნდა.

ნაბო ნეის პროსუპეტზე გამოვიდა, იქიდან

დასასრული. დასაწყისი იხ. „ციცკარი“ № 4, 5, 6.



პატარა ნიკოს სახლს მიადგა. ნიკოს დიდი პატრიარქის მითითებით მიიღო მამიდაშვილი. აქ ნიკოსაგან გაიგო, ხელს სასახლეში დიდი ბალი იმართებოდა. ნაპომ პატარა ბავშვივით შესთხოვა, ხელს უჩემოდ არ წახვიდოდი. და მოულოდნელად გამოეშვივებოდა ბიძაშვილს. მიურატმა ის დამე სასტუმროში გაათია და თავისებური გვერდით შეადგინა მეორე დღისა. მეორე დღეს პეტელი დღე მარტო დადიოდა პეტერბურგის ქუჩებში და ისევ ელენეზე ფიქრობდა. საღამომ დაიწყო თუ არა, ნიკოსთან დაქმნული აირიოდა და დაიწყო და მარტო მიადგა სასახლეს. სასახლეშიც ყველაფერი ნაცნობი იყო ნაპოსათვის. ამ დღე მთავრებს, გრავებს, თეადებსა და პირიქებს სათითაოდ ყველას იცნობდა, მაგრამ ეხლა იმითვის არ ეცალა, ელენეს დაქმნებდა მათი აღკვერტი თვალეში. შერე თვით ელენეს შენიშნა მიურატი და მისკენ გამოიჭრა, ხელი ჩამოართვა. ნაპო ხელზე ეამბორა სასტუმრულ მიწურს და ის იყო ელენემ ქმარი და მასზე წარუდგინა კიდევ. ნაპომ ზიზით წაგდა ერთსაც და მეორესაც და მოუჩუბებულად უთხრა ელენეს: მე თქვენთან საქმე ნაკესა“.

ელენე შეეცა, ასეთ რაშეს არ მოელოდა. ნაპომ ზოყნანი რომ შეატყო, მამინ ერთბაშად მოუჭრა: „არა, ისეთი არა არის რა, რაც თქვენ ქმართან არ შეიძლებოდაც, მაგრამ აჯობებდა პირისპირ გველაპარაკა“. კარგიო, თანხმობის ნიშნად თავი დაუტრა ელენემ და ისიც უთხრა, წაიღ, მე-3 კაბინაში შედი და მეც მოვლო.

ფარდულიან ოთახებს, რომლებსაც კაბინას ეძახდნენ, პირადი მოლაპარაკებისთვისაც იყენებდნენ. დანიშნულ კაბინაში შევიდა ნაპო. იგი მხეცივით მივარდა ელენეს, დაუჩოქა, ჭერ კაბაზე ეამბორა, მერე სახეს მისწვდა. ამას ელენე არ მოელოდა, ჭერ გაუძალიანდა, მერე გაუჭაერდა და როცა ვერაფერს გახდა, შეევეჯრა, ხომ ხედდა ქმარი და მასზე ეცვის თვალით გვირგვინოვლებენ, ნუ შემარცხვენ ამ ხალხში საჩაროდ, შემბრალოე. მაგრამ კაცს არ ეშმოდა ქალის მუდარა და ერთსა და იმავეს იმეორებდა:

— არა, არა, უშენოდ ვერ გაველი, ვერ შევეძელი შენი დავიწყება, რა ხელი აქვთ შენს ქმარსა და შენს მახლს ჩემთან, მათ შენი თავი უსინდისოდ წამართვეს, ან უნდა დაგებრუნო, ან თავი უნდა მოვიკლა, სხვა გზას ვერა ვხედავ. — მთლად აგზნებულ და დაძაბული იმეორებდა ამ სიტყვებს ნაპო და ისე ჰყოცინდა კაბაზე, ხელეებზე, სახეზე...

ქალი მთლად დაიბნა, არ იცოდა რით ეპასუხა. ცეცხლ-თამაშს აყოლილ ბალის მონაწილე ახალგაზრდებს მათთვის არ ეცალათ, მაგრამ ეკუთვნილი ქმარი და მახლი სწორედ მაშინ მოადგნენ კაბინას, როდესაც ისევ სახეზე ჰყოცინდა უზომოდ გახელებული მიურატი

ელენეს... და ის იყო ერთბაშად შემოკრუნენი ქმები. ეს ჩოჩოლი ხალხმა შენიშნა და ნაპოს ნაპო გარშემო ხალხი შეეგულდა. იმეორე ნაპოს შეურაცხყოფილმა ქმარმა დღეში გამოიწვია ნაპოლონ მიურატი. სეკუნდანტები აირჩიეს და მეორე დღესვე შედგა დუელი. მიურატმა სასიკვდილოდ დაჭრა ელენეს ქმარი. ეს ამბავი გახმაურდა და დააპატენტეს მიურატი, სამხედრო სამსახურიდან გადააყენეს. უფრო მკაცრა სასჯელი მოელოდა, ამ საქმეში სალომე რომ არ ჩაეხუთყო.

პრინცესა სალომემ ეს ამბავი შეიტყო თუ არა. პეტერბურგს გაემგზავრა. პეტერბურგში დღის ბილიკებით ისევ გაიკვლია ვაზა სასახლისაკენ და ნიკოლოზ II-ის კარზე დიდებით მიიღეს. დედოფალი მოეფერა სალომეს, საქმის ვითარება აუხსნა, დედოფალი უქებდა შვილის რაინდულ ბუნებას, ოღონდ აჩქარებას სწამებდა. შეიწყნარეს სალომეს თხოვნა და ნიკოლოზ მე-II ბრძანებით ნაპო ციხიდან გამოეშვიეს.

შერიგებულ ფრანგ ოფიცერს რუსეთის არმიამ კვლავ სამხედრო სამსახურა შესთავაზეს. ნაპო დაეთანხმა ამ წინადადებას. მას კვლავ იმედი ჰქონდა, რომ დაიბრუნებდა წართმეულ მიწურს. ჩინებული ოფიცერი და განათლებული ფრანგი სულ მალე დაწინაურდა რუსეთის არმიის სამსახურში. ისევ გამოჩნდა სასახლის ბალებსა და შეკრებულობებზე ეს ჭენტლმენი ოფიცერი. ისევ ფარვანასაივით ევლებოდნენ გარს სეფექალუბი, მაგრამ უიღბლოდ მიწური მიურატი სხვა ქალის სიყვარულს არ იყარებდა და ისევ ელენესთან მისასვლელ ბილიკებს ეძებდა. კვლავ მოქმენა სატრფო, კვლავ მოიგო მისი გული, მაგრამ საოცრება მოხდა. ნაპოს საერთოდ გადაწყვეტილი ჰქონდა ცოლი არასოდეს ეთხოვა. ახლა კი ელენეზე ასე ჩაიცივინო ეხეწებოდა ცოლად წამოშვივით. არა, უცნაურად დაიმორჩილა ამ ქალმა ეს ჭიუტი და გაუტეხელი კაცი. ცოლი, ნაპოს აზრით, ბორჯილია, ოჯახი კი ბორჯილების ჭაჭიე, თუ ამასი გაყავი თავი, მერე შვილობით თავისუფლებამე! მუე კი ასეთ ბორჯილებს ვერ ავიტან — ფიქრობდა ნაპო — თავსაც გავეტანჯავ და ოჯახსაც. მე, უზრუნველი ფრინველი მინდა ვიყო, არა, ფრინველი კი არა, მინდვრის პეპელა, დღეს, ერთ ყვავილს რომ დაყნოსავს და ხელს მეორესს. მე არწივი მინდა ვიყო, უშვიარის და ძლიერი, ცოლი თუ შევირთე ყვავი გავედებო. ყვანჩალა, ყოველდღე ლუქმა-პურის მაძიებელი. მე ლალად მინდა ვიცხოვრო, თავისუფლად“.

— კი მაგრამ ფრინველიც არ არის უშვილო — არც პეპელა, არც არწივი! უშვილობა და უჭირობა ხომ გვარის ამოწყვეტაა — ეუბნებოდა მეორე ხმა ნაპოს, მაგრამ ის ამ ხმას მუდამ ეურჩებოდა თავისი მრწამსით. „ეინ



რა მოივლო ოჯახით? კვლავ ფიქრობდა ნაპო. ახლა მამა მოაგონდა, მამა, რომელმაც თვით-მკვლელობით დაამთავრა ცხოვრება.

«არა, არ მინდა, მორჩა და გათავდა! მკურანების გვარი ჩვენი უნდა დასრულდეს. რაცა დაინგრა ჩვენი დინასტია, უნდა დამთავრდეს კიდევ ჩვენი გვარი! აბა მე რა მომეძა მიურატობარ, რომ ჩემ შვილებს მოუტანოს ბედნიერება! არა, არ მინდა; ჩემი შვილები ჩემსავით დაეხეტებოდნენ და ხელგაშვებული სამსახურს იხოზღდნენ» — ასე ფიქრობდა მიურატი, საფრანგეთ-იაპონიის ომში დაჭრილი ჰოსპიტალში რომ იწვა...

სამხედრო სამსახურმა, რომელიც მორჩილებას მითხოვდა უფროსების განყარგულებებისას, შეაძულა ნაპოს ჯარისკაცობაცა და თავისი თავიც. და როცა პეტერბურგში დაბრუნებულმა გაიყო ელენე გათხოვდა, გაშხარდა; კიდევ, რომ განთავისუფლდა მოვალეობისაგან და, ის იყო, თავის დედულეთს შააშურა, რომ აქ ისევ ეწვია სევდა და ისევ საფრანგეთს მიამურა. საფრანგეთის სამხედრო მინისტრისაგან ისევ აიღო ნებართვა რუსეთის ჯარის სამსახურისა. ყოფილი ფრანგი ოფიცერი, საფრანგეთის რჩეული გვარის შვილი, ნაპოლონების დინასტიასთან სისხლით დაკავშირებული, მაგრამ ესლა ყველგან დამარცხებული, ისევ სიყვარულში ეძებდა ხსნას. და ამიტომაც მოაშურა ახლა ისევ პეტერბურგს. პეტერბურგიდან გაქცეული ასე ფიქრობდა, გამოგდებოდა სიყვარულის ბანგისაგან. მაგრამ ასე არ მოხდა. უფრო მწვედ ეწვია სიყვარულის ძალა და ესლა ყოველდღე ეზეუნებოდა ელენეს ცოლად წამოყვებო. ამას ის ნაპო სჩადიოდა, რომელსაც დიდი საზოგადოებრივი ცხოვრების ინტერესებით არასოდეს არ უცხოვრია. სამშობლოს ბედით არასოდეს წაწუხებულა, საყუთარ თავში ჩაკეტილი, ეგოისტური ზრახვებით და მიზნებით ცხოვრობდა. ამგვარ მიზნით უარყოფდა ის ცოლის შერთვას.

სული... მილოცებები... ხვალ ნათესაებები ინახულენ, ზეგ ცოლთან ერთად — ბალები და თებარები, თავი დაუჯარი დიდ თავადებსა და მის ნათესაებს, დედოფალსა და მეფეს, ყველას წინაშე მორჩილებითა და მიღებული ნორმებით ილაპარაკე! არა, მე ეს არ შემძლია, მე ამისათვის არ დავბადებულე. მე ომის კაცი ვარ. ომი, ბანქოს თამაში, ქვიეთი და დროსტარება, ერთი — უფრო მიმდობი, მეორე — უფრო ცბიერი, მესამე — მედამ მომღიმარი და გაქნილი. ვინ ვის გააბამს მახეში, ვინ ვის უფრო შეიყვარებს ოფიცრებს შორის? — ამ ეგოისტურ მიზნებს არ გასცალდება მისი ფიქრები. და აი ასეთი ნაპო, დღეს აცახცახებული და წელში ორად მოხრილი, დღე-ნათღა ელენეს იმას ეხვეწება, ცოლად გამოწყვიტო. დღესაც მთელი დღე ემუდარებოდა,

მაგრამ ელენემ ახლოს არ გაიყარა მისი სიტყვები.

— იცმარეთ, ბატონო, რაც მე უბედურება მომეყენეთ — კანონიერი ქმარი სასიყვედილოდ დამიჭერიტ ნახევრად ინვალიდს, სახელშერცხვენისლ ახლა შვილის დედაც გინდათ წაართვათ, არა, ის მამაა ჩემი შვილისა, შვილი კი მე უხომოდ მიყვარს, ესლა შვილის გაუმედღერებასაც ნუ მარგუნებთ წილად, გემუდარებით, ვიყენეთ აი ასე! მე ასე მგონია, ასე ჩუხად ასე ფარულად რომ ვართ, უფრო საინტერესოა ჩვენი რომანი. მე ვიცო, რომ თუ შენი ოფიციალური ცოლი გავხდები, მეორე დღესვე გაქრება ეს ინტერესი. თანაც მე არ მინდა დავჯარგო ის, რაც ცხოვრებასთან მაკავშირებს. მერე, ნუ დაივიწყებ იმ საზოგადოებასაც, რომელშიაც ვცხოვრობთ. — ეუბნებოდა ელენე.

— საზოგადოება, საზოგადოება, რას ჯავჩებება ეს საზოგადოება! აბა ერთი ჩემ გულში ჩაიხედე! ნუთუ არა მაქვს უფლება ჩემი გულის კარნახით ვიცხოვრო ამ ქვეყანად? — ნაპო უარესად დაძახულად ლაპარაკობდა, კვლავ ემუდარებოდა ქალს, მაგრამ ამაოდ.

იმ საღამოს სასტუმროში მარტოდ მყოფს უფრო გაუმძაჟრდა ეს გრძნობა, სული შეეხუთა, ფანჯარა გამოაღო, გარეთ გაიხედა. გარეთ თოვდა, ხან კიდევ წვიმდა. საღლა ეტლმა გაიხრიგინა. ისევ მოაგონდა ყოველივე ის, რაც დღეს მოხდა. ადგა, გარეთ გავიდა, ოქტომბრის ამ თოვლ-ქყაში ლენინგრადის ნესტიანი ქარი ძალ-რბილში ატანდა. სახეში სცემდა თოვლი და სიცივე და უცხად გამოცოცხლდა, ვახალი-და, ისევ შევიდა ოთახში, მაგრამ იგივე ფიქრები შეესია და მთელი დამე ჰაჩყავია გაათია.

საღამობრიო ბედნიერებისათვის ბრძოლა და ზრუნვა, მას შემდეგ, რაც მიურატების დინასტია ურასსწორი ბრძოლაში დანარცხდა და საღინასტო კარიერისაგან ყველა გზა მოკერა, ნაპოს აღარ აწუხებდა, არ აფიქრებდა. ესლა ერთადერთი კითხვა, რომელიც თავში ეტრიალებდა, ელენე იყო. და რაც უფრო უარს ეუბნებოდა ელენე, მით უფრო ახელებდა ეს ერთადერთი სურვილის შეუსრულებლობა.

გვარდიის პოლკი, სადაც მიიღეს ის სამაჩტრში, ერთ დღეს იმპერატორმა შეამოწმა. ნაპო წესრიგისა და დისციპლინის კაცი იყო და ისე კარგად ჰყავდა პოლკი სამხედრო წესით გაწვრთნილი, რომ იმპერატორს მოეწონა და მეთაურის — ნაპოლონის დაჯილდოება ბრძანა. ამან ერთბაშად გაუცვლა გზა ნაპოლონის დიდი მთავრებისა და მეფე-დედოფლის წრეში. აქ ხედებოდა ის ელენეს, უკვე დამშვიდებული და ბედთან შერაგებული. ახლა ის იმითაც კმა-

**სერგი შილიანო**  
შვილები

ყოფილი იყო, რომ ელენე მას არ უშლიდა შეხვედრას.

იმ საღამოს ისევ გატაცებული ისხდნენ სასახლის ბაღში, ფიქრებსა და სიყვარულის მოკრევეში ჩაძირულნი. არც კი გაუვიათ, როგორ შეიცვალა ამინდი. უცხად ბალტიის ზღვიდან მოვარდნილმა ღელვამ ნეგაც ააფორაიქა. ქარმა ცაზე ღრუბლები აყარა. ღრუბლებსა და ქარს ტრფილით დამთვრალეებისაყენ მოჰქონდა პეტერბურგული ნესტიანი სიგრილე. უცხად შესცივდა ელენეს და უფრო მავრად ჩაეხუტა ნაპოს. ნაპო სულ გაინაბა. თოვლ-ჭყაპის წვეთებს ქარი სახეზე სცემდათ, მაგრამ ვიდრე თქვენი არ წამოვიდა, ერთმანეთს არ დასცილებიან. მერე ადგნენ და სასტუმრომდის მიაცილა ელენემ ნაპო. მიღად გაწუწული ნაპო აქ ქურდულად შეიპარა. ასე ყოფილ დღე მეორედმოდა ეს ფარული შეხვედრები.

ამ ბოლო დროს დიდი უმეყოფილების გრძნობა ეწვია ნაპოს. მას წინათ დიდი შეღაპარაკებაც მოუხდა მეგობარ ოფიცერთან. საქმე კინალამ ღუელამდე მივიდა. საქმე ის იყო, რომ ნაპოს იუმორის გრძნობა არ გააჩნდა. უბრალო შეხუმრება თუ გადაყრული სიტყვა აღაგზნებდა და მუდამ დასაბული უსმენდა მოსაუბრეს. არასოდეს გულდამდობილი არ იყო მეგობრის მიმართ, გამოუცნობი ეჭვი შხამავდა მის სიციცხლს და ვერ ხედავდა, რომ ეს ეჭვი, ბეტ შემთხვევაში, უსაფუძვლო იყო. ასევე უსაფუძვლო იყო მისი ეჭვი ახლა ელენეს მიმართაც. ნაპოს ვილაციასთან გაეგო, რომ ის ოფიცერი, რომელიც გუშინ წაჩხვბა, თითქმის ელენეს ჰყვარებოდა. ნაპოს ეს ოფიცერი გარყვნილ კაცად მიაჩნდა და მისად ასეთ რამეს მოელოდა. მაგრამ ელენე? არ ეგონა თუ ელენე უღალატებდა.

ოფიცერთან წინა დღის შეხვედრას ელენეს დამაბული უყვებოდა ნაპო. ქალმა ბანზე აუცლო საუბარი. ამან უფრო გაადიზიანა ნაპო და სატრფოს უშვერად მიაციერა: — წადი იმ უენ გარყვნილ ოფიცერთან! ასეთ რამეს არ მოკლოდა ელენე. შეერთა, შეწუნდა, ნაპოს ემტკიცებდა უდანაშაულო ვარო, მაგრამ — ვიოდ. გამბოროტებული და ატირებული შინ გაიქცა.

მთელი კვირა არ შეხვედრიან ერთმანეთს ნაპო და ელენე. იმ შაბათს სასახლეში დღეა ბალი ვიპართა. აქ კი კვლავ შეხვდნენ ისინი ერთმანეთს. ნაპო ისევ ეჩვენეულად, ვაღაზაინებული, ნერვულად ელაპარაკებოდა ელენეს. ქალი ქმართან ერთად იყო და საპასუხოდ ხმა არ გაუცია, ოღონდ ეს კი უთხრა: „გათავდა ყველაფერი, ნუ მოვიგონებთ, რაც იყო ჩვენს შორის, თუ ღმერთი გწამს, თავი დამანებე!“

ის იყო და ის, ელენე ნაპოს აღარ შეხვედრიდა. ახლა ნაპო უკვე აღარ დარბობდა. ის ვილად გერმანელი ქალით იყო გატაცებული, მაგრამ ისე მოხდა, რომ ის ქალი ქმართან ერთად

გამგზავრა დასასვენებლად ნიკაში. ახლა ნაპო მთლად აუტანელი ვახდა — საზოგადოებაში, წვეულებაში, სუფრაზე... ტანჯილულ მუცელზე ბრაზობდა, იბუტებოდა, ექვიანხმდა; მის სიტყვებს ისევ მოუხდა თავის მეგობარ ოფიცერთან შეღაპარაკება და მიხვდა, რომ სამხედრო სამსახურის მოვალეობისა და მუდღირის დაცვის ასე ვაღიზიანებული და აფორაიქებული ვერ შესძლებდა. მიხვდა ამას და პეტერბურგზე გაბუტულმა დედუღეთს მოაშურა.

სალომეს მესამე შვილი ბებეც უქმროდ დარჩა. საბუდისწერო რომანის საქმეც უცნობრად წაუვიდა. ბებეს პრინცესას ხელშეკითხის მიუტარებლის ადგილ-მამულის საქმეთა მწარმოებლის (მას უფროს მოურავსაც უწოდებდნენ, მიუტარებს რამდენიმე მოურავი ჰყავდათ: სალხინთში, ზუგდიდში და ჭკადუაშში), ვაგი შეუყვარდა, მაგრამ ვიდრე დედა სალომე გაიგებდა, მანამ ჩაიშალა ეს რომანი. მოურავის ვაგი დათა VII კლასის მოსწავლე იყო, რომ გარდაიცვალა. დიდხანს იდარდა ფარულად ბებემ დათას დაქარვვა, მაგრამ ახა ბედთან რას გააწყობდა! ეს რომანი კი უბრალოდ დაიწყო!

მიუტარების დიდ სასახლეში, ჭკადუაშში სუფრა იმავე წესით იშლებოდა, რა წესითაც ეკატერინეს დროს იყო დადგენილი. დიდი სასახლო დარბაზის ვრცელ მაგიდას დადგენილი წესით შემოუხსნებოდნენ. სუფრის თაყში სალომე დადებოდა, მარცხნივ — ყველაზე საპატიო სტუმარი, მარჯვნივ — კარის ძღველი. შემდეგ რიგ-რიგობით, რანგის, თანამდებობის და მდგომარეობის მიხედვით დასხდებოდნენ. იმ დღესაც ასე იყო: სუფრის თაყში პრინცესა იჯდა, მარცხნივ — ქუთაისიდან სტუმარი ჩამოსული გუბერნატორი — ხანში შესული, თანაქალაქი, მალაღობი და გამხდარი კაცი და მისი ახალგაზრდა ცოლი. გუბერნატორს ქართული ქალი ჰყავდა ცოლად — ქაჯარაძე, რომელიც მკითხველად კვლავცოხდა: შიშველ მკლავეზე სამაჯურები ეკეთა, თითებზე მკვირვასი ბრილიანტები. ცოლი მუდღირით და ორდენებით მორთულ ქმარს შესციციენებდა. გუბერნატორის ცოლის გვერდით მისრის თავადანაურობის წინამძღოლი იჯდა. თანმოტველილი, კისერწაგრძელებული, კვხიანი სვირი მკაცრ იერს აძლევდა მისრის წინამძღოლს. გვერდით მას დახალი, წითური, კორფლიანი სახეშეშუბებული ცოლი იჯდა. შემდეგ ნამდვილი სამხედრო სამსახურად ვადამდგარი, სამხედრო მუდღირში გამოწყობილი, მცალი, ახამანი „პოლკოვნიკი, დადიანი იჯდა, მას შემდეგ — ქუთაისელი სამრეწველო მალაზიების პატრონი, დიდი ვაჭარი, ყოფილი გლეხი, დადიანების ყმის შვილი. ჩასუქებული, წელსქვემოთ უფრო მსუქანს, მარჯვენა ხელზე ოქროს ბეჭედი ეკეთა. აქვე — მოურავი იჯდა, მოურავის შემდეგ — ვადიების, მისწავლებულები,



ინგლისელი ექიმი და შინაურები. სულ ბოლოს ბებე დაქადარიყო, მის გვერდით — პატარა-ლივით მორცხვი მოურავის ვაჟი დათა, კუთხი-სის გამწახის მივქმევე კლასის მოწიფე იყო. სუფრაგანდაფარებულ ვრძელ მავიდაზე თეფშე-ბი, დანა-ჩანავალი, კიქტი, კონიათა და დეი-ნით სავსე ოთხეტთხანი გრაფინები ელაგა. სუფრას ოთხი ლაქია ემსახურებოდა — ბა-კემარდებანი ფრანგი და სამცხე ადგილობრი-ვი. საძმელს ერთი ჭურჭლით შემოპქონდათ იგი თეფშებზე გადაპქონდათ. ჭურ პრინცესას შოა-თმეფდნენ, მერე — სტუმრებსა და მღვდელს, ბოლოს შინაურებს ჩაოთურებდნენ. თეფ-შებზე პატარა ნაკრებს დებდნენ. მერე, ვინც მოთხოვდა, უმატებდნენ. დათა მორცხვად უმადა. თამამი ბებე ახალბედა, კიდევ მოი-თხოვეო, მაგრამ მორცხვობდა პატარა სტუმ-რი. ეს შემაჩნია ერთმა ლაქიამ და დამატებით მოუტანა ეკრძი. ახლა დათას უფრო უკრძება და სწამელს ზელი არ მიყარა...

მავლის გარშემო მსხდომნი ყურადღებით უსმენდნენ სალომე დადიანს. პრინცესა ამერი-კული დედლის ამბავს ჰყეუბოდა. იგი დადიანე-ბის ახლო ნათესავის, სულვა ჩოჩუას შვილს შეეხებოდა:

— ჰოდა, იმ ჩვენ შალვას შვილს შეუყვარდა თერამე მეფის ძმისწულის ცოლი, უღამაზესი ნატაშა. არც ნატაშა აღმოჩნდა გულცივი ჩო-ჩუას მიმართ და მოიქსოვა საიდუმლო სამიჯნუ-რო ზადე. ბოლოს საქმე იქამდე მივიდა, რომ ნატაშა ქმარს არად ავლენდა და საერთო შეკ-რებულობებზე გამოიწვევდა ეჭირა თავი. მერე ისე შორს შეტოვა, რომ ერთი წვეთულების დროს ჩოჩუა და ნატაშა დათარენ და საჯაროდ, სა-ხალბოდ დაუწყეს ლომნა ერთმანეთს. შეურა-ცხუოფილმა ქმარმა იქვე დღელში გამოიწვია ჩოჩუა მოგვხსენებათ, ჩვენი შალვას შვილი სამეხდრო პირი იყო და მუნღირისა და პირადი ცარსების დაცვა უყარანებდა მიელო ეს გა-მოიწვევა. ჰოდა, შედგა ეს ამერიკული დელო, რომლის წესი ასეთია: ყუთში ორ ეტრონს ჩაყდებენ. ერთ იმთავანს აწერია „სასაყდელ-ლი“. ვინც ამას ამოიღებს, იგი კალღებულა თავი მოიკლას. საწყალ ჩოჩუას შვილს ასეთი გეტონი ეტრო. ისიც უსიტყვლა დეპოზილია ბერს და ან ასეთი ამბავი მოხდა.

პრინციკი საუბარი რომ დაამთავრა, ზადემა ამოაოჩრა. ახლა გუბერნატორმა წამოწვა კა-მაია. იგი ისევე ქალაქის რომანს შეეხებო-და კამათში მპარის წინამძღოლი ჩაერა, რომ-ლიც ამტყეებდა, წიგნები რყენა ჩვენს ახალგაზრდებსო.

— პატონებო, მე ამას წინათ ტოლსტოის „ადღომი“ წაიყითხე, პირდაპირ გასაყვიო, რატომ ბეჭდებენ ასეთ წიგნებს. აქ ხომ ყველა-ფერა შეგინებულა; თავადობაც, სასაპრთ-

ლოც, მინისტრებიცა და მეფეც — თქვა მახვი-წინამძღოლმა.

ვილიც არ დაეთანხმა მპარის წინამძღოლს, მასლოვას იცავდა. ამ საუბარში აიშალა კიდევ სუფრა. ამ დროს ის ლაქია, რომელმაც შენიშნა, რომ გინახოე-ლი დათა არაფერს უკამს, მივიდა, ზელი მოჰკი-და და სამზარეულოში შეიხმო. — შენ არ-ფერი გიკაბია, მოდი ჩვენთან ერთად ისაი-ლეო. დათა შეჰყვა ლაქიებს და ისაილა. აპრს მერე დათა შეეჩვია სამზარეულოს. იგი სიმარ-თლესაც და ჭორსაც პირველად აქ იგებდა.

ბებეც უშეტეს დროს სამზარეულოსა, საკა-ლაბოსა და საინინობებში ატარებდა. აქ შეეჩ-ვივნენ ერთმანეთს ბებე და დათაც. პეკლებსაც ერთად იჭერდნენ და მფიხარეშიც ერთად ჰყეუმალაობდნენ. მერე სკოლის წლები მოვი-და, სკოლაში უკვე წამოიჩიტნენ. ეს ის წლები იყო, როცა სქესი იფიქიბეს ახალგაზრდებში (დათა და ბებე ტოლები იყვნენ) და სულე-რად და ზორციელად აღტყინებულთ აღარ ძა-ლქმთ უხვად არ ხარჯონ, ფანტონ გარნობე-ბი. დათას და ბებეს მოთხოვნილებად გადაეკ-ცათ მინდორსა და ტყეში ხეტალი. აქ გადა-ყვებობდნენ ხოლმე ისინი უცხო მწყემსებს, მინდრის მუშა გლეხებს თუ ზაყმებს. ყველას უზიარებდნენ გარნობებს, ხარობდნენ და ცხოვრობდნენ იდილიური ცხოვრებით.

ბებე უზომოდ აყვია ამ მოჭარბებულად მეოცნებე ყმაწვილს და ეს პირველი ზაყმფერი გატაცება, მეგობრობა და ოცნება სულ მალე სიყვარულში გადაიხარდა. ახლა სრულიად გა-მოიცივლა დათა. აქამდე მორცხვი, თავმდაბა-ლი, სიტყვაყვირი გინახოელი ბებეს შეხვედ-ბოდა თუ არა, ენად გაიკრიფებოდა, ცისა და ბარისას ჰყეუბოდა. ბებე აღვზნებოთ უსმენდა.

ბებე უკვე ტანაყრილი იყო. ლამაზაო, ვერ იტყოდით, მაგრამ კენარა ტანი მიზიზღელო-ბას ანიჭებდა მის მდამ მომღიმარ სახეს. შე-უყვარდათ ნაადვლოდ სიყვარულით მოურავის შვილსა და პრინცესას ერთმანეთი. სწორედ ამ დროს მოურავის შვალი აედა ვადა. ეს ისე უცაბედად ვარდაიცილა ჭეთაის. რომ შობ-ლებზეა ცოცხალს ვეღარ მოესწრეს.

ასე დამთავრდა ბებეს პირველი რომანი... შემ-დეგ იმდენი მოულოდნელი ამბები დატრიალდა მოურავების ოჯახში, რომ ყველაზე უმცროს-ჭალიშვილისათვის — ბებესათვის არავის ეცა-ლა. არც ბებეს ეცალა თავისი თავისთვის.

სალომეს საირბეს მერე წყალი ურჩიეს. საირბეში მეყოვე ბეყო ფიფია იყო ბევრჯერ ნავალი. დადიანების ცხვრის ფარა საირბეს

სარკი მთლიანი  
შვილიანი



სამოვრებში დაყავდა და ამ მიდამოების ყველაზე კარგი მცოდნე იყო. ეს ბეყო მოიხზო მოურავმა და სალომეს მოჰგვარა. სალომე აივანზე დიდ სავარძელში შალმობეველი იჯდა. მოურავი ფეხაკრფით მიუახლოვდა პრინცესას, ნება თხოვდა და წარუდგინა მეჯოვე ბეყო.

— საირმეში ნაყოფი ხარო?  
— დიახ, დედოფლო, თქვენს ფარას ზაფხულობით იქ დავეყვები.

— მევეე წყლისა თუ გსმენია რამე.

— როგორ არა, დამიღვია კიდევ.

უფრო დაინტერესდა პრინცესა და საუბარი გააგრძელა.

— მევეეა ალბათ, ცუდი დასალევია.

— არა, დედოფლო, რომ დალევ ცოტა გემევეება, მავრამ მიეჩვევი და სულ გინდა სვა, ცივია და სასიამოვნო სასმელი.

— რას რგებსო, თუ გავიგონია?

— ქალბატონო, იქ ერთი ერისათვის ფიცრული სახლია, შიგ აუარებელი ხალხი ირევა. სწორედ იქ გამიგონია, კუჭნაწლით დაავადებულთათვის უებარი წამალიაო.

პრინცესამ მოკლედ მოუტრა. შევიძლია მოიტანო?

— კი, როგორ არა. სამი დღე დამჭირდება, ქალბატონო, სამი დღე, სამი კაცი და თქვენი ზრქანება, ქალბატონო.

პრინცესას ესიამოვნა ასეთი პასუხი. ახლა მოურავს ნოებრუნდა პრინცესა და კითხა — რა გვარისა არიო ეს მეჯოვე?

— ფიფია ვახლავთ, ქალბატონო.

— ფიფია? რომელი ფიფიასი ხარ?

აქ პასუხი დააყოვნა ბეკომ, მაშინ მოურავმა აღექსი ბერიძემ მოახსენა: ეს, ბატონო, კობა ფიფიას შვილია. თითქოს რაღაც მოაკონდა სალომეს და ერთბაშად იკითხა, — ეს რომელი კობაა? მოურავი რომ მოუქლავს?

ბეყო თამამი იყო და პატიოსანი. და ვიდრე მოურავი უბასუხებდა თავად უამბო. — დიახ, ქალბატონო, იმ უბედურ მამაჩემს შემოაყვდა თურმე ის მოურავი.

— როგორ თუ შემოაყვდა?

— ჰო, შემოაყვდა, დიდი ღვთის რისხვა ვინეუ ყოფილა ის მოურავი, ქალბატონო.

— ვინ მოვახსენათ?

— თავად მამაჩემმა, ქალბატონო. თურმე მამაჩემს ათი კაცის თანხლებით მოუვარდა, ოჯახი აუწიოჯა, გადასახადი რათ არ გადაიხადედო და ამ საბაბით ათასი კონა ისლი და დახერხილი სამზარეულო სახლის ფიცრები წაართვა. მაშინ გაბოროტებულმა კობამ იქვე ხეზე ჩამოკიდებულ კაციანი თოფი ჩამოიღო და დაედგინა მომხდურებს, ის იყო დაეწია მოურავს და შესძახა კიდევ, დააბრუნე ჩემი ქონება თუ არა არ დავინდობო. მოურავს სასაცილოდ არ ეყო ეს მუქარა და გზა გააგრძელა, მაშინ კი დაუმიზნა და ესროლა, შიგ გულში მოარტყა იმ უბედურს.

ახლა კი გაბრაზდა სალომე. მეჯოვეს შეეხებო წამოუტტა, თვალბი მრისხანედ შეხედდა ბრძანების კილოთი ეთხრა: იმ წამანეს ვაღიემართა, ვალს, ზომ იყო, გადახდა უნდა და ალბათ იმ მოურავმაც იმ ვალში წაიღო ისლი და ფიცრები. ამ ავადმყოფ, განრისხებული ქალის ტონს არ შეეხუა მეჯოვე და ასე მოახსენა — არა, ბატონო, ჩვენ ყმები არასოდეს გვეფილვართ და ახა გადასახადი სიდან გვევალეობოდა? — უსამართლოდ მოქცეულა თურმე, უსამართლოდ ის მოურავი. აქ შეჩერდა, თვალბი მოქუტა და ბეგერის მნახველმა და ბეგერის გამგონე მეჯოვემ კილო იცვალა.

— ახა, შენისთანა ღვთისნიერი კი არ იქნებოდა, ქალბატონო ის მოურავი...

სალომე მოლბა. კარგი, კარგი, ძველ თამაშუქებს თავი დავანებოთ. ახლა ის მიიხარო როდის შევიძლია წახვიდე საირმეს.

— როცა კი მიბრძანებთ, მე მზადა ვარ.

და ის იყო პრინცესამ მოურავს უბრძანა იმ კვირისათვის მოეზადებოდა რაც საჭირო იყო საირმეში გასამგზავრებლად...

სახლნიოდან წამოსული მეჯოვე ბეყო და მისი მხლებელი ბიჭები ორი დღის შემდეგ ვანში იყვნენ. ის ღამე ვანში გაათიეს. დილით უთენია ადგნენ, სოფელი უხუთი გალიეს და ტყეთავის აღმართს შეუდგნენ. ქვის ჯვარის, ლობორტისა და ბოსტანიას მთა გადალახეს და საირმეს მიაღწნენ. იმ საღამოს საირმეს მთაში კარავი გამართეს და იქ დაინგნეს. კარავში მეჯოვე ბეკომ ასეთი რამ უამბო თანამხლებლებს: აქ ოცი წლის წინ ვახლი ბირველად მამაჩემს, იმ ღამეს ბოსტანიას მთაში გაათიეთენ. ცხვრები და თხები ფარეხში რამ შეერყეთ, ჩვენც დავიძინეთ. უცხად ირმების ბღვილიმა გამომღვიფა. მამამ აგვიხსნა — ახლა მყვირალობაა, დედალ ირმებს დასდევენ მამლები და ავეთ ერთი ღრიანწყალი, ისინი იქ იყრიანო თავს, სადაც შეავე წყალი. მეგრე ის ამბავიც მოგვიყვა თუ როგორ აღმოაჩინეს ირმების მღვივარა მეჯოვეებმა მთავე წყალი... ეს მეჯოვეო, — თქვა ბეკომ ლევან თოლორდავა ყოფილი. ლევანი უშიშარი კაცი იყო თურმე. მაშინ ამ მიდამოებს არავინ ეკარებოდა თურქების შიშით და სასეე იყო ეს ტყე ირმების ჯოგით. საირმეც აქედან დარქმევი იმ მოთასე და ამ წყალსაც. ლევანი კი ყოველ ზაფხულს აქ იყო თვის ფართი. თურქები ახლოსაც კერ ეკარებოდნენ ამ უშიშარ მეჯოვეს. ახლაც იმ ადგილას, სადაც ლევანის ფარა ბალახობდა ლევან თოლორდავას მთას ეძახიან, ხოლო იმ ადგილას, სადაც ცხვრის და თხის ფარეხი იყო, ლევანას სადგომარს...

შო: ამოსულა დაასწრეს მეჯოვეებმა და წაბლნაოს წყლის ხეობას აღმა აყენენ, მთელი ნახევარი დღე იარეს და მევეე წყალს მიაღწნენ იქ. სადაც წაბლნარის მდინარე ორად ყოფს მთას, ერთი ხელის დადება მიწახედ სამ



ადგილს ამოდიოდა მკვამე წყალი. ორს კორი და ორი ვირი წყლით სავსე კასრებით დატვირთეს და უკან გაუდგნენ გზას. ისევ სამი დღე იარეს და სალხინოში ჩაუტანეს პრინციესა სიორმეს წყალი. დიდათ გაიხარა სალომემ და მთელმა სასახლემ. მთელი თვე სვამდა საგანგებოდ შენახულ საირმეს მკვამე წყალს სალომე, მაგრამ გაუმჯობესება არ დაეცა, ნერვი ის იყო გადაწყდა საფრანგეთს გამგზავრებულიყო სამკურნალოდ.

შობა დღეს, დადიანების ტრადიციის კვალობაზე, სალომე დადიანს უამრავი საჩუქარი მიუძღვნეს. პრინცესა ვახალისა და ყველა სტუმარს დიდი პატივისცემით იღებდა.

ყველაზე ადრე სალომეს თავისი ნათლულეები, კარის მღვდლის დათას შვილები ეწვივნენ: ქებათმად 7 წლის ელის ილიაში საგანგებოდ ამოხუტებული ოქროსფერადღებებიანი და ოქროსფერივე გრძელუბმულიანი ბატონისოდენა ყვერული მოჰყავდა. უფროს დას, შეეთვალწარბა ქრისტიანს კი დღის გამოცხვარი ხაჭაპურები და ტკბილეულობა მოჰქონდა. მოურავმა პირველად ისინი წარუდგინა პრინცესას. სალომე მოეფერა ნათლულეებს, ელის კულულები გაუსწორა, ქრისტიანს ახლად შეეკრილი ბროწეულისფრად დაწინწალული ჩითის კაბა მოურუნა, გვერდით მოისვა, მღვდელი და მისი მეთლვე მოიეთხა და თეთრი მანეთიანი ვერცხლით დასაჩუქრა ნათლულეები.

დავით თოდუა, რომლის ქალიშვილები ასე დასაჩუქრებული გაისტუმრა პრინცესამ, 1890 წლიდან სალხინოში მიურატების სასახლის მღვდელი იყო. ფერადი ქვისაგან ნაგები ეს ეკლესია 1782 წელს ააშენებნა კაცია დადიანმა სამეგრელოს მთავრის საგაზაფხულო რუზიდინციის კარის ეკლესიად. კაცია დადიანმა კარის ეკლესიის შიდა სვეტზე საგანგებო წარწერა გააყეთებინა: „ქრისტეს დედა, მცირე წვლილს ვებდაე შენს სახლად იძღვენ ეს ეკლესია. შენს მიერს შენდა, გძლენობ ვით შეგშვენდა, ჩემზე მხედველ ყავ ჩემი მესია, მე დადიანმან შენგან მოსავმან, კაციმ გიგე სახლი ესა და მეთლლი და მით მნათობდა მამაით მარხობლ სუფევა გვეც უმჯობესია. ქებაქით ჩღპ წელს“ (1782 წ.).

ეს ეკლესია შემდგომში კვლავ გადააეთეს კაცია დადიანის შვილმა და შვილიშვილებმა გიორგი, ლევან და დავით დადიანებმა. იგი ეპატერნი დადიანის საეპარქიო სალოცავი იყო. მას შემდეგ კი, რაც სალხინო სალომე დადიანს — მიურატებს ეწვიადა, ეპატერნიმ, პრინცი ავილი და პრინცესა სალომე საგანგებოდ უღვრდნენ სამთავრო სასახლის ეკლესიას. მიურატები: ავილი და მისი შვილები კათოლიკეები იყვნენ. სალომე დადიანი — მართლმ-

ღიდებელი. თავმოყვარე და პატივმოყვარე სალომეს განკარგულებით სამთავროს სასახლეს ეკლესიაში ღვთისმსახურებას მართლმადიდებელი ეკლესიის წესით აღასრულებდნენ. პრინცი და მისი შვილები სალომეს ამ სურვილს უსიტყვოდ ემორჩილებოდნენ. საქმე იქადასაც მიდიოდა, რომ როცა მღვდელი — დავიანი იტყოდა: „კათაქმეველნი, განვედით“ — პრინცი და მათი შვილები ტოვებდნენ ეკლესიას.

დავითი სასულიერო პირთა შორის ყველაზე განათლებული მღვდელი იყო მთელს ამ მხარეში: ქართლის, რუსულის, ლათინურის და ცოტაოდენი ფრანგულის მცოდნე. იგი ადვილად ართმევდა თავს მიურატების ამ რთულ მღვდელთმსახურებას. მას მარტვილის სასწავლებელი ჰქონდა დამთავრებული. შემდეგ იგი გრიგოლ დადიანმა (გრიგოლ დადიანი დავითის ბების, ანაკირას ვახრდილი იყო) ქუთაისში, გამბიელ ეპისკოპოსს მიაბარა, სამღვდლოდ გასამზადებლად და პენსია ინფიტერიის გენერალმა ათი მანეთი დაუნიშნა დათა მოწამეთა მონასტერში მიაბარეს. აქედან გელათის მონასტერში გადაიყვანეს. აქ შეისწავლა სასაფუძვლო კითხვა და ბერძნულ-ლათინურსაც დაუეფლა. გამბიელ ეპისკოპოსის ნამოწამეთა, 1890 წელს გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსმა გრიგოლმა მღვდლად აქურთხა. იმავე წელს იგი პრინცესამ მიიწვია სასახლის მღვდლად.

დათა თოდუა დიდი პასუხისმგებლობით მოეკიდა სასახლის კარის ეკლესიის წინამძღვრობას. მიურატები კმაყოფილი იყუნენ დათას მღვდელმსახურებისა. მან 5 წელი იმსახურა მიურატებთან მღვდლად. წელიწადში 80 მანეთი ეძლეოდა. მაგრამ ეს თანხა ცოტა იყო წვრილშვილიანი მღვდლისათვის (4 შვილი ჰყავდა). ამიტომ ერთ დღეს შეჰხებდა და სთხოვა პრინცესას ეშუამდგომლა მისთვის, რომ სადმე ახლო სოფელში განეწესებინათ მღვდლად. მიურატებმა შეუსრულეს ეს თხოვნა და დათა თოდუა პრინცესამ სალხინოს მეზობელ სოფელში დომაყეში დაანიშნინა მღვდლად. მაგრამ ურთიერთობა და მეგობრობა მიურატებთან არ შეუწყვეტია დათა მღვდელს.

იმ წელს პრინცესა საფრანგეთში გასამგზავრებლად ემზადებოდა. ჯანმრთელსა და ენერგიულ ქალს საეპკო ავადმყოფობა ამ ბოლო დროს შეეჩვია. შინაურმა ექიმმა, ინგლისელმა პროფესორმა სამკურნალოდ საფრანგეთში წასვლა ურჩია. ავდილად დაეთანხმა ექიმის რჩევას და სამგზავრო მზადებას შეუდგა.

მარტის დღე იყო. დილით ისევ თოდუა, მაგრამ ზღვაურმა დაუბერა და მზემ ერთბაშად გააქრო იმ ღამეს მოსული თოდუი. სალომემ დათა მღვდელი ახმოზინა. დათა სალომესთან

**სმრბი პილიანი შვილები**





აღარ მესობდა, ახლა სხვა იყო სასახლის მღვდელი. პრინცესამ მაინც დათა მოიხმო.

— იცი, დათა, მე ამ ზაფხულს პარიზს მივდივარ სპორტუნალოდ. იქიდან შეიძლება აღარ მელირსოს დაბრუნება... აქ შეჩერდა პრინცესა, ოხვრით ამოისუნთქა და ზეზე წამოდგა.

— პოდა, სიკედილის წინ აღსარება ჩემი სულისა შენ უნდა გავანდო...

— ამას რას ბრძანებთ, ჩემო ქალბატონო, თქვენ სასიკვდილო რა გპირთ?

— არა, მღვდლო, ეს მე უფრო ვიცი. — თქვა პრინცესამ და ხელით ანიშნა, — წვივდეთ კარის ეკლესიაშით. სასახლის ეკლესიის კარიღი იყო, შიგ ტრაპეზთან საწინაღობო ენთო. სალომე პირველი შევიდა ეკლესიაში და პირვეარი გადაისხა.

დათა მღვდელმა ანათორა გადაიკცა, ვიბიდან ლოცვანი ამოიღო, გადაშალა და კითხვას შეუდგა:

„ალაღე ბირი ჩემი და აღავეც იგი მადლობითა. აღმოსთქვას გულმან ჩემმან დიდება დედოფლისა და შევამკობდე დღესასწაულსა მასსა ბრწყინვალედ მშენიერსა და გვირგვინოსანსა.“

— არა, მღვდლო, ლოცვანის სხვა ადვილი წამიკითხე. რამე სევედიანი. მღვდელმა გადაფურცლა საყუთარი ხელით გადაწერილი ლოცვანი და გაოგნებულმა აზრდაუტანებლად დაიწყო კითხვა: „განაამკა მას ეახელ. მისი ეტლი არ თუ წბილი! შენა გნაზო. მადვე გსახო, განმინათლო გული ჩრდილი, თუ სიყოცხე მწარე მქონდა, სიკედილიმკა მქონდა ტბილი!“ „მე სიკედილი აღარ მიმაძის, შემოგვედრებ რათვან სულსა, მაგრა შენი სიყვარული ჩავიტანე, ჩამარხა გულსა: მომეგონოს მოშორებმა, მემატების წყლული წყლულსა; ნუცა მტირ და ნუცა მიგლოც, ჩემო, შენთვის სიყვარულსა!“

პრინცესა გაკვირვებული მისჩერებოდა ლოცვად დამდგარ მღვდელს, მერე თითქოს რაღაც მოაგონდაო, ისევ შეაწყვეტინა: „მღვდლო, ამას რას კითხულობ, ეს ხომ რუსთაველია?“ თოდუა გონს მოეღვ და მიხედა რუსთაველის ვეფხისტყაოსანიდან ამოწერილი თავისი საყვარელი ტაუბები ნესტანის წყაროლისა შერჩევით ჰქონდა ჩაწერილი. ეს ადგილები ყველაზე უფრო უყვარდა მღვდელს. რომ ამხილეს, შეცბა, წიგნაჲ გადაფურცლა და ისევ შეუდგა კითხვას. ახლა საეკლესიო ლოცვებისა და საგალობლების სხვა გვერდი გადაშალა. აქ იმ სიტყვას წააწყდა, რომელიც მღვდელმა პრინცესას მაშინ წაუკითხა, როგორც ფიცი, როდესაც დათა პირველად მოიყვანეს სასახლის ეკლესიაში მღვდლად.

— „რით შემიძლია გავამართლო მე ესრეთი ჩემზედ თქვენი ყურადღება, ბატონო პრინცესაჲ! ჭეშმარიტად არ ძალბძის მე პასუხი

სიმღიღობით? არა! სწავლით და განათლებით? არა! შთამომავლობით? არა! ვფიქრობ, ჩემი მხარეა, როგორც ლოდ ერთით — ერთგულებით გავამარტონს!“ სწამს კვლავაც დაემისახტო თქვენი ყურადღება უმეორფასესო ბატონო: „გარანა ამ შემთხვევაშიაც დაეძვებელი საყუთარის თავის ძალაში და ღონეში მე ტამარსა ამას შინა ნიადაგ აღვაველენ ლოცვისა და ვედრებასა ღვთისადმი, რათა მან მომცეს მე შეძლება თქვენის ერთგულის სამსახურისა. და მასთან დღეს ჩვენ მიერ შეწირული მისდამი მსხვერპლი მიიღოს მან საღვთაგებლოდ და საცხოვრებლად თქვენი-სა.“

მღვდელი აქ შეჩერდა. პრინცესამ ამით ისარგებლა და უთხრა:

— იცით, მღვდლო, მე ცოდვანი ამ ქვეყნისანი, როგორც ყოველ მოკვდავს, არ შეიძლება რომ არ მქონდეს. მაგრამ მე ახლა იმ ცოდვათვან შრნთან ერთად ღმერთს ყველაზე მძიმე ცოდვების პატიებას შევთხოვ, არა, მღვდლო?

გაოცებული მღვდელი მთლად აღზნებულსა და აეახტებულ პრინცესას შეჰყურებდა და სიტყვა ვერ მოვნახა სანუთუშებელი. პრინცესამ ისევ განაგრძო:

„პოდა, მე — კანონიერ ცოლს აშოლისას — იცით თუ არა თქვენ, მღვდლო, რომ მიყვარდა გიორგი ბატონიშვილი? აი ის ჩვენი მეზობელი თავადი, დედაჩემის ხელღებელი დანათლული!“

— არ ვამიჯონია, არ სქენია ჩემს სურვესაჲს, ჩემო ქალბატონო!

— სტყუი, მღვდლო, შენც იცოდი ესა და სხვა ჩემმა ახლობლებმაც სასახლის კარზე: ჩემდაცე ჭორობილით კიდეც ამის გამო. მაგრამ მე ყურადღებას არ ვაქცევდი, რადგან მტყუანი ვიყავი ღვთისა და ქმრის წინაშე.

— არა-მეთქი ქალბატონო. — ისევ შეჰპალადა ზეცისკენ ხელაყვობილმა მღვდელმა.

— არა, დიოა ტყუილად მანუგეშებ ამ შენი უარით. მე ისიც ვიცი, ჩემო დათა, რომ შენ ერთხელ, ის ჩემი მოტრფილად ბატონიშვილი გზაზე შეგხვდა და კინაღამ ხმლით თავი წააკალა.

— ეს ყი მართალია, ჩემო ქალბატონო, მაგრამ იცით რატომ?

— რატომ, რატომ? — ჩააცვიდა პრინცესა, ეგონა ეხლა მაინც დაეცდენ საიდუმლოსო.

— იმ დღეს ეკლესიიდან მოვდიოდი, ჩვენი სოფელი გლეხის ბავშვი მოვნათლე და სახელად გიორგი დავარქვეი. ამის გამო თითქოს შეურაცხყოფილი ბატონიშვილი გზაზე დამხვდა, ხმალი იშვიშლა და შემომიძახა, როგორ გაბედე და ჩემი სახელი დაარქვეიო იმ ვილაც გლეხტყანას შვილსო. მე ჭვარი აღემართე და ქრისტეს სახელი ვუპასუხე, ჩვენი მეფის ნიკოლოზის სახელი რამდენს შევარქვე ჩვენს



სოფელში მეთვი, მაშინ თავი უნდა მომკვეთოს მეთვი მეფემ. შერცხვა და მოქნეული ხმალი ძირს დაუშვა.

— მღვდლო, ბანზე ნუ მიგდებ სიტყვას, შენ ხომ ყვითლი და პატროსანი კაცი ხარ, და იცი შენ ჩემი სულის ცოდვანი, მაგრამ პატროსნება შენი არ გაძლევს პირისპირ მითხრა ჩემი დანაშაული. რაკი არ მიუხებები, მე გეტყვი თავად.

სალომე იქვე ეკლესიის შიგნით ეკატერინესთვის საფანჯაროდ გაყვებულ ქვის სკამზე ჩამოჯდა, თავი მალდა აღმართა და სათქმელს სარქველი მოხსნა:

— არა, რა საჭიროა დაფარვა ამ განკითხვის გამს. მე მიყვარდა ბატონიშვილი, გაგოგებით მიყვარდა და, რამდენადაც ძლიერი იყო ეს სიყვარული, იმდენად ექვიანობდა ჩემი ქმარი. და რსომ დაემფარა ექვიანობა ავილისა, ქაბურთელი მოვიხმე იჯახში და მოურაობა ვებოძე. ქაბურთელი, ის ეშმაკის ფეხი, გაეიშინაურე — წარმოთქვა დედოფალმა და ეკლესიის თაღებშია ეწო ვრო გამოსცეს, რომ თვით სალომესაც შეეშინდა ამ ხმებისა. მან შიშისგან სახეზე ხელები აიფარა, მერე ისევ გონს მოეგო და საუბარი განავრძო:

— ის ქაბურთელი ვილაც ურჯულო იყო, მზეცი, მაგრამ მე რალაცნობილად დამიშინა და დამატყვევა და აღბათ ჩემს გამო ან ბატონიშვილი მოკლავდა ქაბურთელს, ან ავილი — ორივეს იმ დროს ორი უხეუდრებდა ერთად რომ არ მომხდარიყო... ბოლო გამს ქმარს არაფერს არ ევეითებოდე და სწორედ მის დაუკითხავად დაეზღვიე ჩვენი ძველი სასახლე ზუგდიდს. ჩემივე ბრძანებით დაეაწყვიენე ის ძველი სასახლე, რომ ფულები ამელო. ეს სრულიად საკმარისი საბაზი ვახდა, რომ თავი მოეკლა ჩემს უბედურ ქმარს... იმავე დღეს უტყაბედად გარდავიკვალა. გიორგი ბატონიშვილი, ამბობენ ქაბურთელმა მოაწამელნი... არ ვიცი, რამდენად მართალია, ისე კი ჩემი ქმარი ბოლო დროს უფრო ქაბურთელზე ექვიანობდა... ახლა რომ მიხვდები. მღვდლო, რა უფრო ღრმა და დაფარულმა მიხეზებმა გადააწყვეტინა თითქმის გარეგნულად მშვიდსა და ჯენჯლმენს იმ ფრანგ კაცს თავის მოკვლა. შენ მამაკაცი ხარ, მღვდლო, და მიხედე, რა შეურაცხყოფა მივაყენე ჩემი დაუხედავი ნაბიჯებით ჩემს ცხოვრებულ ქმარს. შემომფიცე, რომ ამ საიდუმლოს არავის ეტყვი. თითო ჩემმა შვილებმა რომ ვაიგონ, არ მაპატიებენ. მათ მამა ძლიერ უყვარდათ... დიახ, უყვარდათ თეიანით სისხლი და ხორცი, ყვითლი და მზრუნველი მამა. გასოვს, მღვდლო, ამ ეკლესიაში, სადაც უხლა ჩვენ ვიმყოფებით, მართალმადიდებელი სარწმუნოების წესით სრულდებოდა ყოველივე და ეს ჩემი ნებით ხდებოდა. აშვილი და შვილები კათოლიკეები იყვნენ. და როცა შენ, შენებუო

მიმღერებოთა და გარკვევით იტყოდით სიტყვას: „სათაყვეველნო, განვედიო“, აშვილი და ჩემი შვილები უსიტყვოდ გადიოდნენ ეკლესიისგან, მე მარტო უჩრებოდი ამ ეკლესიაში. ჰოდა, მაშინაც მარტო ვიყავი, მე ღვთის წინაშე და ახლაც მარტო ვარ ამ აღსარების გამს შენა წინაშე. და ასე მარტოდ რჩენილი მოკვლევია აღბათ მე საფრანგეთში, სადაც ახლა სამკურნალოდ მივიღივარ. მე მჭერა, რომ შენ, ჩემო დათა, ილოცებ ჩემი ცოდვილი სული-სათვის, ჩემი შვილებისათვის. — ესა თქვა და გული შეუღონდა პრინცესას. დიდხანს ეფერებოდა დათა მღვდლო, ვიდრე მოასულაუკუნედა. მოსულიერებულ სალომეს მღვდელმა ხელი მოჰხეი და ისე მიაცილა სასახლემდე...

სალომე დადიანი, თუმცა ავადმყოფობდა, მაინც პირადად განაგებდა იმ დიდხალ მანუ-ლებს, სამეგრელოს სამთავროდან წილად რომ ერგო ოდიშსა, სამურზაყანოსა და სვენთში. საფრანგეთში სამკურნალოდ გამგზავრების სწორედ წინა დღეს ვეჭოლმა ალექსი ბერიძემ პრინცესას მორათვა პირველი პირი იმ პირობის წერილისა, რომელიც სალომე დადიანის სახელით ვაჭარ ხუხუნთან დაიდო. აი ეს პირობის ხელწერილი „1909-ს წელს აპრილის 11 დღესა. პირობის წერილი ესე შეეკარით ერთი მხრით ვეჭილი პრინცესა მთურატისა აზარ ალექსი ნიკოლოზის ძე ბერიძემ, ხოლო მეორეს მხრით მცხოვრები სოფ. ლესაქეს იასონ დიმიტრის ძე ხუხუნმა. მეორე მხარე ხუხუნმა გამოვართეთ დუქნის გასაშენებლად ერთი ნაკვეთი ადგილი საყუბრება თქვენის მარწმუნებულ პრინცესას, მდებარე სოფ. ლესაქამეხ, სახელწოდებული „ტეხურის კალა“. ზომით წინა პირი რვა არშინი, ხოლო სიგრძით ოცი საყენი, რომლისათვის უნდა შემოგიტანოთ წელიწადში იჯარის ფული მანეთი და ცამეტი შური. ამა ჩემგან ალებულ სადუქნე ადგილზე ვალდებულ ვარ გავაშენო საეკლესიო დუქანი პლანისამებრ და ყოველი საჭირო მოთხოვნილება და წესები ვაუმჯობესებებისათვის თქვენი ვეჭილის განკარგულებისა შევასრულო. ფ-დ. ვალდებულ ვარ იჯარის ფული შემოგიტანო ყოველი წლობით აპრილის თვეში და თუმცა არ შემოგიტანეთ ვადაში, ყოველ გადაცილებული დღისათვის ვინძი შტრაფად მანეთზე თითო კაკიკი, სტ. ჩემგან ალებული სადუქნე ადგილი არც შენბა უფლებია არა მაქვს გადავიცხვა პირს, ვადაცე ნებადაურთველად ვეჭილის ბერიძისა. ჰდ ვადა ამა პირობისა ითვლება ხუთი წელი I-ის იანვრიდან მომავლის 1914 წლის I-ს იანვრამდე. შემდეგ ვადის გასვლისა ხელახლის პირობით უნდა ავიღოთ ან ადგილი უნდა დაესცალოთ. ზღ რომელიმე მუხლი ამა

სმარბი ზილიანა  
შვილები



პირობისა თუმც დავირღვიო, შტრაფად გადავიხადო ასი მანეთი და ადგილიც დავიცალო შენობის გადატანით.

მას შინა ხელს ვაწერ ვეჭილა პრინციესა მიურატისა ა. ბერძენ და იასონ დიმიტრის ძე ხუხუნია“.

სალომეს შემდეგ მკრედი იმ მამულებსა და უძრავ-მოძრავ ქონებას, რომელიც მიურატებს ეკუთვნოდა, ბებე განაგებდა. მას იმავე ტიტულით, ისეთი პატივისცემით მიმართავდნენ, როგორც პრინცესა სალომე დადიანს.

„უკაცრავად განსაგვართ, რომ უბრალო ბარათით ვებღავე თქვენს უმაღლესობასთან წერილის მოწერას, მაგრამ რადგან საქმე თხოულობის ამისთვის მეც იძულებული ვახლავართ შევაწუხო თქვენი უმაღლესობა. ამას წინათ თქვენი გამოგზავნილი კაცის ხელით მოგწერეთ, რომ მარტაშაძის მადნის მითის მოწაწილენი არ იქნებიან სახლშიდ და ეხლა რადგან დაბრუნდნენ და თავი მოიყარეს მათ სოფელშიდ მეც შეუდგეი საქმის კეთებას და შინაური პირობა ჩამოვართვი მამასახლისის დამოწმებული ყველა მოწაწილევს გარდა ოთხი ან ხუთი პირისა, რომელნიც არ იმყოფებიან სახლში კიდევ. ხელმოწერილია სულ 44 მოწაწილე და რომელნიც დარჩნენ ისინიც უთუთო თანახმა არიან, მაგრამ დღეს დღეობით არ იყვენ სახლშიდ. თქვენის წერილისდავჯარად ავარჩევინე სოფლების სამი კაცი და მეოთხე თვით მე და ჩვენზე გავაკეთებინე კანტარატი, ასე რომ ჩვენ უფლება გვაქვს გადავსცეთ 9 წლის ვადით სამუშაოდ მადანი მათი წილი, მხოლოდ ნოტარიუსი არ არის მახლობლად და შინაურათ დავსწერეთ და შტრაფები დაუწერეთ დიდი, რომ არ დავვირღვიონ პირობა და მამასახლისის შევამოწმებინე. ახლა როცა თქვენ გვიბრძანებთ მაშინ ვახლებით ეს ოთხი არჩეულენი პირნი თქვენთან პირობების შესაკრავად. როდესაც დავგვიბარებთ ის თქვენი ნებაა. თქვენი გამოგზავნილი ტუხნიცი და მუშები ვნახე პირადად და ისინიც მოგახსენებენ საქმის ვითარებას. მადანი უთუოდ ინახება მხოლოდ იენისის რიცხვებამდის, ნუ მოუჩქარებთ გამოგზავნას, რადგან წელს დიდი თოვლია მთებზედ. 1-ლ იენისიდან 6 თვე შეიძლება თამამად მუშაობა. გზა ახალია ახალკალაშდის იქმნება მთიდან 20 ან 23 ვერსებით და სულ საურამე და სამარხილი. მხოლოდ ცოტა ზაინჯი დასჭირდება. მთიდან 6 ვერსზედ გავტანთ მადანს მთელი ზაფხულის განმავლობაშიდ და შემდეგ ძირს კალაზედ ახალკალაშდის მთელი ზამთარი არ გაჩერდება ზიდა მადნისა. მხოლოდ ძებნის დროს სჯობია თოვლი აღებული იყვეს და უფრო ადვილად მივაგნებთ და ამისათვის კი 1 იენისამდის მე ვერ ვიჩრევთ ჩემის მხრით რომ ნახვავთ მადანს. ეს ექვს გარეშეა, ამას თვით იმ მთის სახელიც ამტკიცებს სტავთა შორის.“

დაეშთები მარად თქვენთვის მლოცველი მღვდელი არსენი ონიანი.  
8 მარტი 1916 წელი. დ. ლალიშვილი

„...1916 წ. მაისს 14 დღესა მე ქვემოთ ამისა ხელის მომწერი ბეგლარი კონსტანტინეს ძე ჩარკვიანი ვალდებული ვარ მოვართვათ თქვენ პრინცესას ანტუანეტა მიურატს ოთხასი ორმოცდაათი მანეთი (450 მ) გვანდრას მთის საბალახოსათვის, რომელიც თქვენგან დღევანდელს რიცხვში ავიღე თქვენგან ორი ტრედათ უნდა მოგეთ 20 იენისს პირველი ნახევარი 225 მ., ხოლო მეორე ნახევარი ავვისტოსთვის დამლევს ამა 1916 წლისა და მას შინა ხელს ვაწერ აწი ბეგლარ ჩარკვიანი“.

დიდალი სახნე სათესი, ტყე და საბალახო, მთები და მდინარეები ისევ მიურატებსა და დადიანებს ჰქონდათ, მაგრამ ისიც ფაქტი იყო, რომ ნულ-ნულა მთელი ეს სიმდიდრე ვაჭრებისა და შექმნილი გლეხების ხელში გადადიოდა. ღარიბდებოდა ერთ დროს უმდიდრესი მიურატების ოჯახიც. ამას ვერც იმან უშველა, რომ პრინცესა ანტუანეტა თვითონ მამაკაცივით მუშაობდა, განსაკუთრებით ოკალეშის ზერებში.

„მწყალბელო ბატონო ბებე. გისტრეგებთ თქვენ კეთილ წარმატებას. გიგზავნი ორ ყველს. ჭერ მეჭოგებთ არ იყო მოსული და ძალიან ნაჩქარები ნაკეთები ვახლავს, მარა რაც შეიძლება კარგია თუ კი გზაში არ წახდა“...

1910 წელს მიიკვალა ანდრია დადიანი. იგი მარტვილის მონასტრში უფროსი ძმის ხიყო დადიანის გვერდით დასაფლავდა. უცოლბელოდ გადაგებული ანდრია დადიანის საფლავს იმავე წელს, ვიდრე სალომე პარიზს გაემგზავნებოდა მარმარილოს ფიჭალი დაადო და ზედ ასეთი წარწერა გაუკეთა:

„მთავრის დავით დადიანის ძე ანდრია. ფიქალი ვეს დავსდევ დამან მისმან სალომე პრინცესა მიურატისამ“.

ქაღალდშიდან ფოთამდე სალომე დადიანი მცირე ამაღამ ვააცილა. ერთი ეტლი და ათი ორე ცხენისანი მისდევდა წინ მიმავალ პრინცესას. დილით ადრე გამოსულნი საღამოს ფოთში ივნენ. ის ღამე დადიანების ნათესაის გაუთას სახლში გაათიეს პრინცესამ და მამასახლობლებმა. ღამე ავი-სიზმრებით შემოთებულ პრინცესას ცუდად ეძინა. მერე ის იყო, გაუთავებულ გრძელ ღამეს განთიადმა ჩამოკვლიჯა შავი ნიღაბი. მზე ამოვიდა დღისა და ეამის იმედით. გონება მოვამლუშა სალომემ თვალეში მოისრისა, უძილობისაგან დასიებულ თვალეზე მსუბუქი ცრემლები უეღავდა. ლოგინიდან ადგა, ტანთ ჩაიცვა და ფანჯარაში გაიხედა. ზღვის ზედაპირზე ირიბად ციმციმებდა



ახლად ამოწვერილი მზის სხივები, სამანძიანი თეთრი ფრანგული გემიდან ბოლქვ-ბოლქვებად ამოლიოდა ნაცრისფერი ბოლი. ზღვა იყო ირგვლე, ზღვა იღვა მის სულში, ზღვას არ უჩანდა ბოლო და დასასრული.

— განა ასე არ იყო და ასე არ არის თვით ჩემი ცხოვრება? — გაიფიქრა სალომემ. — დიახ, მე ამ ზღვის ერთი პეშვი ვარ, ერთი ზვირთი ვარ და ისე დავიკარგე ამ უსასრულო სამყაროში, როგორც ზვირთი, აგერ ახლა ქარმა რომ ათამამა. ასე მათამამა მე ნახევარი საუკუნე ამ უთავბოლო ცხოვრებამ. დაუსრულებელი სიზმრებითა და ზმანებით სავსე ეს ჩემი ცხოვრება, ხან კარგად მოსაგონარი, ხან ავად სახსენებელი, ფიცხელი ომი იყო. ამ ზღვასავით დაუღვებარი. მერე რა, ალბათ ყოველი ადამიანის ცხოვრება ომი! დიახ, მაინც ლამაზი იყო ეს უსასრულო წამება ჩემი სულისა. ვაი, რომ ახლა ომის ქარცეცხლი უკვე ჩამდგარა. სული აუჯანყდა ჩემს სხეულს, ათასი გზით გახარებულს და ამდენჯერვე წამებულს. თუმაქი დაირღვა კავშირი ჩემი სულისა და სხეულისა, მაგრამ ხომ იყო დრო, როცა მე შემომანატროდნენ აქაც, ჩემს სამშობლოშიც და იქაც — უცხოეთშიც. მაშინ ხომ უზომოდ ხარობდა ჩემი სულიც და ჩემი სხეულებიც. მე რომ შემეძლოს კვლავ დავიბრუნო ახალგაზრდობა, ალბათ უკეთ გავატარებდი ჩემს ცხოვრებას. ახლა, როცა უკან ვიხედები, უფრო ნათელია ჩემი შეცდომებიც და ჩემი ცოდვებიც. ბევრი სამიში და უცნაური ამბავი ვადაშხდა. თან ბედი მე არასოდეს მანებებებდა, ამიტომ სასიამოვნო მოვონება ცოტა შერჩა ჩემს გონებას. და მაინც, ღმერთი რომ დაამცოდნეს, მე ისევ ვისურვებდი ამ პირობებში ცხოვრებას, რათა ბოლომდის შემესვა ამ ცხოვრების ფილა. მე მუდამ მეჩვენებოდა ისეთი რომანების კითხვა, სადა ადამიანები უმწყილოდ და უცოდველებად არიან გამოყვანილი. ამ უთავბოლო ცხოვრებაში ადამიანი არ შეიძლება უცოდველი იყოს. როგორც დედაჩემი, მეც ამაყ ვიყავი, ამპარტავანი, ცხვირზე ბუზს არ ვისვამდი. ბევრი შემდურდა ამის გამო, მაგრამ მე ამას არად ვაჯღებდი. ჩემი მდგომარეობის ქალი დიახ ამაყი უნდა იყოს და თავი ადვილად არაფის უნდა გაუყაროს: მიყნურობის მოყვარულიც ვიყავი. ოღონდ, ახალგაზრდობაში ვამტკიცებდი, ორმოცი წლის შემდეგ ქალმა საალერსოდ თავი არავის უნდა გაუყაროს მეთქი, მაგრამ ეს წესი მე თვით ვერ დავიცავი. თურმე ვცდებოდა, ქალს ღრმა სიბერემდის სწყურია ქათინაურებით განებივრება და სიყვარულობანას თამაში..

სალომე ამ ფიქრებში იყო, როცა მოურავი კარზე დაუკაკუნებლად შემოვიდა, თავი დაბლა დაუჭრა და მოახსენა: გემის კაპიტანი ვინაზე, დღეს სამ საათზე გავდივართო...

დღეს ეწეა სალომე ფოთის ნავსადგურში, ვაჭურებს ზღვას. ათასგვარი ფიქრები უკვე ცხლდება მის წარმოდგენაში. ამ ნახევარი საუკუნის წინათ, პატარები; ნიკო, ანდრო, სალომე და თამარი, დედის კალთას ამოფარებულნი გაემგზავრნენ სწორედ აქედან პეტერბურგს. ოციოდე წლის შემდეგ აქვე დაბრუნდნენ სამი ნიკო, ანდრო და სალომე. თამარიც პეტერბურგის ამბებს შეეწირა. პეტერბურგს შეეწირა ვიეტრინე ქაჯვავაძის სამთავროც.

— ერთდერთი, რასაც მიიღწია დედაჩემმა ევატერინემ, ის იყო, რომ ჩვენი გვარი მიურატების გვარს დაუკავშირა. ახლა აქედან უმჯერს ამ განვილო, გონებაში უმდგომელ წარსულს ზღვასავით დიდს, ვრცელსა და უნაპირის და არა ჩანს დასასრული ამ ცხოვრებისა. ეხლაც იმას ფიქრობს, რათ დამთავრდება ეს გამგზავრება. — თქვა სალომემ და ფოთის პორტში შემომდგარ გემს შეხედა. ეს გემი ერთხელ კიდევ ჩაიყვანს პრინცესას პირისში. მაგრამ ისევ დაბრუნება ერგება თუ არა, როდისმე წილად? ფიქრობდა სალომე და ამ მწარე ფიქრებისათვის თავი ვერ დაღვწია. იღვა პრინცესა ზღვის პირას და იმეორებდა, როგორც ყოველი სწეული ადამიანი: „ამაოვება, ამაოვებათა; ყოველივე ამაოა“.

ამ დროს მოურავი აღექვი მოვიდა და პრინცესას მოახსენა: — ყველაფერი მზად არის, გემი ნახევარ საათში გაემგზავრებაო. თითქოს ფიქრებიდან გამოერყვა სალომე: — ჰო, მივდივარ, ჩემო აღექსი და ალბათ დაბრუნება არ მაწყურია.

— რას ამბობ, ქალბატონო, რა გავჭირვებოდა ასეთი, — იმეორებდა ამ სიტყვებს მოურავი და თვითონაც არ სჯეროდა, რომ დიდფარა თავისი უსუსურობა, ხელზე ეამბორო პრინცესას.

— დიახ, მივდივარ, მივდივარ, ჩემო აღექსი, — უთხრა სალომემ მოურავს — ალბათ აღარ დავბრუნდები. ანდრომად ვტოვებ: მკედარს აქ ნუ ჩამომიტანენ. არ მინდა ჩემს სამშობლოში მკედარი დავბრუნდე. თუ ჩემი თვალებიც ვერ იხილავს ჩემი ქვეყნის განუმეორებელ სილამაზეს, მე რაღა მინდა აქ! ვაი შენ, ჩემო თავო, რა უმიზნოდ ვახტილდე და ვიარე იქით-აქით! წასულა, ამაოდ და უჩუროდ გაფრენილა ჩემი ცხოვრება. ორბად დარჩება ჩემი სალხინოც და ჩემი ჰვალუაშვიც.

— შეილები, შეილები მოუვლიან და უპატრონებენ შენს ქონებას. შენს მამულს, შენს, სალხინოს და ჰვალუაშს. — გამოეხმაურა უკუნობი ხმა.

სალომემ ხელები გაასავსავა: — არა, ვერც შეილები უპატრონებენ და მოუვლიან. ნაპო ალთას ვარბის, ლუკიანე —

**სარგო ზილიანი**  
შვილიძე



ზალთას. ჩემი ბებე კი, აბა რას ვახდებდა! არა, სხვანი დაბატრონებანი, კალიასავით შეეხვეიან და დაიტაცებენ. ასე იქნება, ასე იქნება, აღიგევა პირისაგან მიწისა სასხენებელი ჩემი ადგილის დედას მოწორებული ჩემი ძელები იქ, საფრანგეთში, უფრო გვიან გაიგებენ ამას და ამიტომ მიჩრვენი იქ, პარიზს დავიმარხო — ასე ამბობდა სალომე და თითქოს რაღაცის იმედი კიდევ შერჩენოდა.

სალომემ ისევ ზღვას ვახდებდა. მთელმარე ზევა უძრავად იწვა. გემის მიღობი კვამლი აოლოდა. ზღვის ნიაფმა ნახშირის ნაშენავისა და თევზის სუნი მოიტანა. სეველისაგან გათანჯულ სალომეს ფეხრები ისევ ვიანგველასავით შევისია. ფეხრები, საოცარი ფეხრები ზღვის ჯალღებით ერთმანეთს ცვლიდნენ. სალომე იღვას იღვა ფეხზე. ბარბაკება ზღვის შემყურე. სიხარში იყო თუ ცხადად. ვერ გაერკვია. მიანც იღვა და ფეხობდა. ფეხრობოვებული კინალკმ წაბარბაკდა. ეს შენიშნა მოზარება და იქვე სკამი მიუცურა, სიხოვა დაბარბანდით. სალომე დაჯდა, მაგრამ გული ისევ ეკენსოდა, უწუხდა. არა, ეს მარტო ავადმყოფობის ბრალი არ იყო. გრანობა. რომ სახელად შორდებოდა ამ შეჩვეულ ადგილს. წუხდა და ფეხრობდა და მიანც ვერ გამოერკვია ახლა ავადმყოფობა უფრო აწუხებდა, არ რაღაც უფრო დიდი დარდი.

— არა, აღარ შემოძლია ამდენი ლოდინი, ნუთუ არ მოვიდა ჩასხდომის დრო. — კვლავ იკითხა სალომემ.

მოურავი ძუნძულით გაიქცა ამბის ვასაგებდ. სალომემ სკადა შეეკავებინა თავი და სკუბარი გება იქვე მდგომ აღშინაბასთან. ახსობაში მოურავი მოვიდა; კამიტანი ამბობს, კიდევ ნახევარი საათიო. მაგრამ სალომეს ყური არ დაუვლია მოურავისათვის. სალომე ისევ ზღვას ვასკეროდა. ზღვა წმინადა მშვიდი და დაწმენდილ ნაპირთან. ზღვის ფსკერზე ყველა კენჭს სათითაოდ დაითვლიდა კაცი. ახლა ცას ახედა. შორის ზღვის ზედაპირს რუხი მოყვითალო ფერის ზოლი ვასდევდა. ცხელი ნიაფის აღმური არხედა ამ ზოლს. მოწმენდილი ცაზე კი, ზედ პალიასტომის ტბასთან, ერთი მუშა შავი ღრუბელი ეყიდა. გარინდებულ და დაძაბულ სალომეს საყურარი გულისცემა ესმოდა ვულზე ისევ მძიმედ აწვებოდა მოგონებათა ვამა. მას შემდეგ, რაც ავადმყოფობამ დარია ხელი, სიცოცხლის ტრფიალი გაუმძიარ სალომეს ვანვლილი ცხოვრებიდან უფრო უსიამო სურათები ასენდებოდა. ახლაც ავინდებდა სალომეს ერთ დღეს როგორ დაკარგა ყველაფრის ხალისი. მოდუნდა, ვაყვითლდა. სასახლის ინგლოველი ექიმო ყოველდღე სინჯავდა. რა სახის მკურნალობა არ ჩაუტარა, მაგრამ ვერას — ვახლა. და რაც უმთავრესია, დიაგნოზი ვერ დაუსვა ავადმყოფს. მერე ქუთაისელი თოფურაიცი მოიყვა-

ნეს და პრინცესას ავადმყოფობას სენი უწოდეს. მაგრამ დედოფალს ვეფხველეს და პარიზს წასვლა ურჩიეს. ავინდებდა ეს ეხლა დედოფალს, მაგრამ არაფერს იმჩნევს. წინათ სხვა იყო: ყველაფერს სიცილოდა და კისკით ან აჩემებული ეეს-ტით — მხრები აჩქვით ვამოხსატავდა, მაგრამ აბა ახლა, ავადმყოფობისაგან დაკარგნილს, სად ჰქონდა ამის თავი!

ეხლა ასე მოეჩენა სალომეს: თავზე დასდგომას ანგელოზები, ვალობენ უსწავრო სიმღერას. თმაზე კიცნენ ვალობები მიძღვნიან და თითქოს სიკვდილსა და უფუნეთს ერეკებიან. სათნო ანგელოზები მისი სულის სადიდებლად არას იშურებენ. ქებას ასხამენ პრინცესას და მის ღვაწლს ვანადიდებენ. ანგელოზების ეს საჩუქარი, თვით დღერთისაგან მიძღვნილი, ამხნევებდა მის სულს, სხეულს და უცებ შგება იგრანო მისმა დავრდომილმა სხეულმა. მაგრამ მერე უცებდ ჩაქრა ეს ზმანება და გონს მოეგო. სწორედ ამ დროს მოურავიცი მოვიდა და ჩასხდომის დროაო, მოახსენა პრინცესას. სალომე აღვა, წელში გაიმართა, საზღვაო ვავზლის მოსაცდელ დარბაზს თვალი მიმოვლო და ნაღვლიანი ღიმილით მოურავს უთხრა:

— შენ როდისმე ვგიჭრია თუ არა იმაზე, ჩვენი ცხოვრება ამ მოსაცდელ დარბაზში ყოფენას რომ ჰგავს? დგახარ და უცდი გემის თუ მატარებლის ვასვლას, მერე მოვა დრო, დარეკავს ზარი, მოკალათდები მატარებელში თუ გემში და მილიხარ, ამ დარბაზს აქ სხვა ხალის ვესებს. ახლა ის უცდის, მერე იმის ვერე მოევა და ისიც მიდის და ასე დღენიადაგ. მგზავრები მილიან და მილიან. ეს დარბაზი კი დვას. ეს მიწაც, ეს ზღვაც. ეს ცაც დვას მშვიდად. წყნარად, ჩვენი სადაღე მიგვეჩქარება, ველავთ და ვუცდით, მერე დარეკავს ზარი და, მიად! მივდივართ!... ოღონდ, მატარებლისა და გემისაგან ვანსხვევებით, იმ ქვეყნიდან არასოდეს ბრუნდებიან მეორედ, — ეს თქვა და ხელი ჩაიქენია სალომემ. მერე ბანცალით ვაყვა ვანიცილებულია ვვეფს. ისინი ზღვის ნაპირს ივენ ვემართნენ. ჰადრების ჩრდილში შემოვდა კამიტანი. მოურავლებით მივეგება პრინცესას და ხელზე ეამბორა. ახალგაზრდა, ვამდლარი, მაღალი, მშისაგან და ზღვისაგან სახეშერუჭული, წარმოსადევი მეზღვაურის შემოგვეგება ესიაშოვნა პრინცესას და ფრანგულად მადლობა ვადაუხვდა გემის კამიტანს.

და ახლა ის დღე ვახსენდა, დედასთან ერთად რომ დაბრუნდა მოურავი ახალდევარდაწერილი ფოთს. ჰო, რა ზემოთ მიიღეს მამინ ეკატერინე აქ! ახლა კი ათიოდე კაცი აცილებს პრინცესა სალომეს. ისიც იმიტომ, რომ ავადმყოფი პრინცესა ეცოდნებოდა. აღბო ამიტომ, თორემ, ახლა მისი შიში და რიდი არავისა აქვს. ვაკურებდა ის ვამცილებლემს და მის ვამოხედავამ არც კმყოფილება იგრანო-



ბოლა და არც მადლიერება. ეკვი და ყოყმანი დაუფლებოდა მის სულს.

პრინცესა გემზე ისე ავიდა, რომ უკან არ მოუხედავს, გამცილებლები ამაოდ უქნევდნენ ხელს. თავისთვის განკუთვნილ კაბუტში შევიდა და მაშინათვე წამოვიდა.

ვიდრე გემი არ დაიძრა, გამცილებლები ისევ პლატფორმაზე იდგნენ და სალომე დადინიზე საუბრობდნენ, ასე ეგონათ, გემბანზე უთუოდ გამოვა და იქნაღამ გამოგვეშვიდობებო. გემი კი იგვიანებდა.

— არა, — გულისტყვილით ამბობდა ალშიბაია, — ეკატერინე ჰევეკავაძისა და დავით დადინის ეს ნაბარტყილ გაფრინდა. ისე კი, კაცმა რომ სიმართლე თქვას, არ იყვნენ ურიგონი ჩვენი კუთხისთვის. აი თუნდაც ჩვენი სალომე! წაივდა და ნამდვილად გული დამწყდა!

ძალიან უყვარდათ სალომე დადინი მის ქვეშევრდომებსო, ვერ ვიტყვი, მაგრამ ვერც იმას ვიტყვი, რომ სძულებოდეო. არა, პრინცესას, ამ ევროპულად განათლებულ ქალს სხვა ენები ჰქონდა. საზოგადოებაში მისი გამოჩენა ერთბაშად გვხიბლავდა. საუბარიც მომხიბლავდა ჰქონდა და საქციელიც დიახ, არ იან ადამიანები, რომელთა ხმას, სახეს, მოძრაობას, საუბარს, რაღაც გამოუცნობი სიბზო და ინტიმი შეაქვს ადამიანის გულში. ასეთი ადამიანები ერთბაშად გვაყვარებენ თავს, ისე ერთბაშად, რომ ვერც კი ვასწრებთ იმის გაგებას, რაზე გვაწყენინეს თუ არა. მათ დიდი ადგილი უჭირავთ საზოგადოებაში, ჩვენს სულიერ ყოფაში. როცა ისინი ხელიდან გვეცლებიან, მათი ადგილის შევსება ადვილი არღია, თითქმის შეუძლებელია...

ეს საუბარი ალშიბაიამ თითქოს იმიტომ წამოიწყო, რომ პრინცესას განშორებით გულს-ჩასახული სევდა დაეფრთხო და განედეგა:

სალომეს თვალსაჩინო ადგილი ჰქონდა ჩვენს ქვეყანაში. მან მარტო პირველი ორთქლნავალი, ტრაქტორი და სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანები კი არ შემოიტანა ჩვენს ქვეყანაში, არამედ ნათესაობითა და ნაცნობობით პირდაპირი კავშირი გააბა საფრანგეთთან. მასთან მოდიოდნენ მწერლები და მეცნიერები, გენერლები და არტისტები, ინჟინრები და აგრონომები... და გულით, ვაშლილი ხელით ეგებებოდა სტუმრებს პრინცესა.

წაივდა სალომე საფრანგეთში და გული აქ დატოვა, საქართველოს მოტრფიალე გული, თუმცა მეგობრები და ახლობლები იქაც არ მოაკლდებო. გახსოვთ, ამას წინათ პარიზიდან რომ ესტუმრა თორმეტი ფრანგი ლუდოვიგ ბონაპარტის მეთაურობით? ეს ლუდოვიგი საქართველოს მეფისნაცვლის სულს კაცი იყო, ქარბის გენერალი. 1905 წელს უთანხმოება მოუვიდა მეფის ნაცვალთან და გაჯარებული საფრანგეთს წაივდა. იგი თბილისში ყოფნისას

ხშირად ყოფილა მიურატებთან და ამას ქვეყნის პარიზიდან თორმეტი კაცით ისევ ესტუმრებოდა ლომეს. დიდი ამბით დაეხედით ფოთში, ფოთიდან ზუგდიდს ჩამოვედით, ზუგდიდს ალექსი ბერიძემ უშაპსპინლა, ჰკადუაში — პრინცესამ. ლუდოვიგის ვარდა სხვა თორმეტი ფრანგი პირველად იყვნენ საქართველოში. ისინი მოხიბლნენ ჩვენი სტუმართმოყვარეობით, ზნეჩვეულებით, ბუნებით და ადამიანებით, ქართული ცეკვით და სიმღერებით. გახსოვთ? მაშინ ერთმა ფრანგმა მთხოვა მისთვის ფრანგულ ტანსაცმელში გამეცვალა ჩემი ჩოხა-ახალუხი. სალომემ მეორე დღესვე მოიხმო თერგება და თორმეტეე ფრანგი ჩოხა-ახალუხით შემოსა. პო, რა გულით გაიხარეს ფრანგებმა! მათ თან წაიღეს საქართველოს სიყვარული და პატივისცემა...

ალშიბაიამ გემს შეხედა. გემი ისევ იდგა ალშიბაიამ ისევ ვანავარო საუბარო:

— ჰოდა, იმას მოგახსენებლით, მარტო მანქანები კი არ შემოიტანა, ჩვენში მარტო მეურნეობის ახალი ევროპული წესი კი არ დანერგა, არამედ გაამდიდრა დავით დადინის სამთავროში დაცული ჩვენი ქვეყნის სიძველეთა დიდი კოლექცია საფრანგეთიდან ჩამოტანილი ნაპოლონის საიმპერატორო ოჯახის ნაწილი ნივთებითა და წიგნებით. აშლილი ის კაცი იყო. რომელმაც საფრანგეთსა და საქართველოს შორის ეკონომიური და კულტურული ხიდი გადგება სცადა. თქვენ მოგახსენებთ, რომ აშლილი ნაპოლონის არმიის ცნობილი მხედართმთავრისა და სიძის (ნაპოლონის დის — კაროლინა ბონაპარტის ქმრის) ნეაპოლის მეფის მარშალ იოახიმ მურატის შვილიშვილი იყო. აშლილი მამა ბიძაშვილი იყო ნაპოლონ III-სა და სწორედ მისი მეუღლის — დედოფალ ეკვინიას და ეკატერინეს თაოსნობით მოხლა აშლილისა და სალომეს დაქორწინება. ეკატერინე დედოფალი დიდ იმედებს ამყარებდა ამ ქორწინებაზე. საიმპერატორო ოჯახის პრინცის შემოყვანა სამეგრელოს სამთავროს განმტკიცებასა და შენარჩუნების იმედს აღუძრავდა დედოფალს. მაგრამ თქვენ ჩემზე კარგად მოგეხსენებათ, როგორ სამნის ბუმბუკით გაქრა უბოცნება. ერთსაც გეტყვით: თავის უფროს ძმანზე, ნიკოზე ნაკლები მზრუნველობა როდი გამოიჩინა სალომემ ჩვენი კუთხის მიმართ — დიდი სამგალითო ოჯახი შექმნა. თქვენი არ ვიცი, მაგრამ, მე მათს სასახლეში შევლიყარ, თავი სადმე უცხოეთის დიდ მუზეუმში მგონია. თქვენ იცით, მე ბევრი მივლია, მარტო საფრანგეთში ათი წელი მისწავლია და მიცხოვრია. და ჩემი ვაყვარებდა პროვინციულ ბატონიშვილებს ადვილად როდი შეუძლიათ. მაგ-

**სმარტი ზილიანი**  
ზილიანი



რამ უნდა გამოვტყუდეთ, რომ სალომეს სასახლე სულ სხვა რამ არის. აი იმ დღით რომ ვისაუბრებთ, თქვენ შენიშნავდით, რომ განსაკუთრებული, ფრანგული სერვიზით გააწყობინა სუფრა პრინცესამ. ბოლოს ფინჯანით ყავა რომ მოგვტანეს, იმ ფინჯანს ფრანგული ორი „ა“ აქვს გაკეთებული მონოგრამად. ეს დავით დადიანის ნაქონი სერვიზია. ამ ფინჯანზე ყო თვითონ დედოფალს რომ მოართვეს, დადიანების ღერბია გამოსახული: ხეზე ჩამოკიდებულ ოქროს ვერძი. ქვევით ოქროს ვერძის დამცველი ჭარისკაცების ფიგურებია გამოყვანილი.

ყველა დიდ ოჯახში მიღებულია შეკვეთით დამზადება სერვიზებისა. ამ უცხოურ ფორმებში დამზადებულ თევზებზე, ფინჯანებზე, ღარნიკებზე აღნიშნული იყო მათი პატრონების ინიციალები, მეტწილად ფრანგულად. ასე იყო ეს დადიანების სასახლეშიაც. თუ მიაქცივთ ყურადღება, დედოფლის წინ პატარა მაგიდა იდგა. მე ავღებო და ამ მაგიდას ხელთ შევიტყე. მიყვარს თავიერება ამ ძველი ნივთებისა. ისინი ყველაზე უფრო უკეთ ინახავენ სურნელებას ძველისას (ა ხშირად უტყუარად მოგვითხრობენ თუკიანი პატრონების თავდასახელს. ამ მრგვალ მაგიდის ცენტრში გამოსახულია ნაოლეონსა და ეოზეფინას გვირგვინტრასეცა. ფაიდური სავანგებულ ჩასმულია ბრინჯაოს ჩუქურთმით ჩარჩოში მსხვილად გამოკვეთილი ინიციალი „N“ დედოფალი ადგა, ჩემთან მოვიდა და ნელვლიანად შიბრადა, ეს ნაოლეონის საყვარელი მაგადა იყო, მემკვიდრეობით ჩემს მამამთილს ერგო, ზოლო მე რომ ყვარი დავიწერე, იმ დღეს საჩუქრად მიბოძა ჩემმა მამამთილმა, ბონაპარტთან კავშირის სიმბოლოდ. ყველაზე უნაყვალური, იშვიათი რელიქვია მინც ნაოლეონის ნიღაბია.

სწორედ ამ ნაოლეონს ათქმევინა ჩვენმა დიდებულმა მამულიშვილმა ნიკოლოზ ბარათაშვილმა: „ესამი ჩემია და ესმისა მე ვარ იმედო“. ამა დაავიღებდი რა ბრძნული ნათქვამია. ბარათაშვილის ეს ლექსი მე სალომეს ალბომში წაიკითხე. პრინცესა სასახლეში ინახავს ამ ალბომს. ის ასევე სასახლეში უფრთხილდება ყოველ ნივთს, ყოველ წიგნს. ახლა წიგნები იკითხეთ დადიანების სასახლეში იმიტომაც მიყვარდა სიარული, რომ რა წიგნს, რა ქურნალს, რა გახუთს არ ნახავდი იქ. ყველაზე მეტი მინც ნაოლეონების, მიურატების და მათთან დახლოებულ პირთა მემუარებია საინტერესო. მიყვარს ამ მემუარების კითხვა და ამიტომ ჩემი საყვარელი ალავი სალომე დადიანის ბიბლიოთეკაა. პირველ ქურნალ-გაზეთებს, ფრანგულად, რუსულად, გამართულ სწორედ აქ კითხულობ, ახალ გამოცემულ რომანებსა და წიგნებსაც აქ ეცნობო. აქს მიუმატეთ ენობლი მსატერების სურათები: დადიანების,

მთაგრებისა და მათი ოჯახის წევრების პორტრეტები, აგრეთვე სხვათა და სხვათა პორტრეტული და გრაფიკული ნამუშევრებზე; მთაგრების მდიდარი კოლექცია და ნათელი გახდება რა მთაგრისი ეროვნული განძია თავმოყრილი დადიანების სასახლეში. დიდი ოჯახი აქვთ მიურატებს, დიდი ოჯახი აქვთ დადიანებს. მაგრამ ახლა იკითხეთ რამდენი რამ სჭირდება ამ სასახლეებსა და სამუზეუმო ნივთების შექმნას? არ დაგიმაღავთ და გეტყვით, მე — სობოლის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულ არის — კიორხი მძულს ყველა დროის პატრონი და მტაცებელი. ხალხის ოფლისა და შრომის მონაგარი ყველაფერი ის, რასაც ახლა დადიანები ფლობენ. ოღონდ მოვა დრო და... ამას ამბობდა ლაბერალურ-თავადზნაურული ინტელექციის ფეხს ხმას აყვალდა ალუბია, რომელიც თავად იყო ამ კუთხეში ერთი ყველაზე დიდი მემამულე...

ერთსაც გეტყვით: დადიანებში ბევრი ბრძენი და მამულისთვის თავდადებული კაცი ეროსა და მამარისია აქ ცოტედ დადიანის სახელ ვახსენოთ, მინც გულბოროტი და გულგარკლიანები უპაბობდა მათში. ყოველი მათგანი ვანდილებისთვის, სამთავროს ხელში ჩაგდებისთვის იბრძოდა. ზოგს მემკვიდრეობით უღიმოდა ბედი, ვისაც ეს ბედი არ ერგებოდა თვით იბრძოდა სამთავროს კვერთხისათვის და არავის ინდობდა ამ გზაზე არც ძმისა და არც ძმისშვილებს. ვანა ასე არ მოიქცა მამია დადიანი? სამთავროს პირდაპირი მემკვიდრე ძმისწული დაიქირა და შხეფის ციხეში ადარკვევა... ყმაწვილკაცმა თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე. ზოლო სამთავრო მამია დადიანმა მიიტაცა. შემიღვე გამოიერებულმა და აზვავებულმა იმერეთის მეფეს ომი გამოუცხადა, იმერეთი დაამარცხა, ზოლო დამარცხებულ მეფე ლევანი ტყვედ წაპოიყვანა და იმავე ციხეში, შხეფის ციხეში დაამწყვდილა. იქვე გარდაიცვალა იმერეთის მეფე ლევანი. ასეთი დაუნდობლები იყვენ ტახტისა და დიდების მაჩიებელი დადიანები. უფრო დაუნდობლები გლეხკაცების მიმართ: გაწამებული და დატანჯული ხალხიც არ ინდობდა დადიანებს. და აი ამ ბოლოს 1905 წლის რევოლუციამ რომ იფეთქა, სწორედ დადიანებს შეუტოეს. სალომესაც შეუტოეს... იქ კი — ჩხორიწყუში პლატონ დადიანი, ეს მრისხანე მემამულე დაიქირეს და ღორივით ყვლი გამოლადრეს. მერე ნათესაებმა რომ დასახლდნენ, ისევე მიუხტნენ საფლავს და ზედ მისი მეძებარი ძალი დააყენეს... ასეა, ჩემო ბატონო, ხალხი მოქმედებს, ხალხი იბრძვის და ახლა ამ ამოქმედებულ ხალხს ვერც ერთი მჩაგვრელი წინ ვერ დაუდგება...

ჭადვად ქცეულ ალშიბაიას გემის გამგზავრების ნიშანმა — საყვირმა შეაწყვეტინა სიტყვა.



გემა გენი პარზისაყენ აილო. კაიუტაში წა-  
მოწოლო, შავი ფიქრებით გონებადამძიმებულ  
სალომეს თან მიაკლესდა კარის მღვდლის,  
მოურავისა და სხვა გამკლავებულთა ლოცვა.  
მაგრამ პრინცესას ვერც ლოცვამ უშველა და

ვერც პარიზელმა ექიმებმა უშველეს. წავიდა  
და წავიდა. ის დღე იყო და ის დღე, მეტყველებულ  
ლომე დადიანს საქართველო აღარ უნძრუნეს  
1913 წელს პარიზში მიიყვალა და იქვე და-  
საფლავეს...

მინაწერი. საქართველოში სულ სხვა დრო  
დადგა: ახლა დადიანების ბედი არავის აწუ-  
ხებდა. პრინცესა სალომეს გარდაცვალებამ  
უხმაუროდ ჩაიარა. არც ნეკროლოგი, არც სამ-  
კიბარი... ქართულ პრესას ერთი სიტყვაც არ  
დასცდენია. ახლა სხვა საფიქრალი და სხვა  
საზრუნავი ჰქონდა ქართველ კაცს, მთლად სა-  
ქართველოს...

არას ვიტყვიტ დიდი ნიკოს ქალოშვილის —  
ვილაყ ვადითელზე გათხოვილის — მეგვიდ-  
რეებზე.

რაც შეეხება მიურატებს, სალომეს ერთად-  
ერთ შვილიშვილს — აშლი მიურატს რვა შვი-  
ლი ჰყოლია. ლუკიანეს ძე აშლის — შვილე-  
ბისათვის ქართული საბელბე დაუტკმეცია: თა-  
მარი, ეკა, ქეთევანი, გიორგი...

უცოლოდ გადაცხელი ნამო შორეულ  
აფრიკაში, რომელიდაც ომში დაიღუპა. რევი-  
ლუციისაგან ბუღაყროლი ლუკიანე და ბებე  
საფრანგეთს შეეზიზნენ, იმედგაცრუებულნი  
გარდაიცვალნენ და იქვე დაასაფლავეს. ეკატე-  
რინეს ვაჟის შვილიშვილი პატარა ნიკო —  
სამეგრელოს სამთავროს უკანასკნელი მემ-  
კვიდრე — პეტერბურგის ციხეში მოკვდა  
1917 წელს. მისი ნეშტი მისმა უსახლგროდ მო-  
ტრფილვე მერი შერვაშიძემ ციხიდან გამოაპა-  
რებინა და მოსკოვში, ბატონიშვილების კოლო-  
ნიის კარის ეკლესიაში დასაფლავა. და გაწუ-  
და ისტორიის ქარიშხლისაგან შრაიელჯზის და-  
გრებილი სამეგრელოს სამთავროს ჯაჭვი, თუ

თურმე ამას წინათ აშლი საქართველოში  
ჩამოსულა, დედუღეთის ყოველი კუნძულ  
დაუთვალეობებია, თავის მასწავლებელთან —  
80 წელს გადაცილებულ მარკოზთან უსაუბრია.  
ხოლო როცა სალბინოში დადიანების სასახლე-  
ში შესულა, ერთბაშად ნაწვიმარ ბალახზე ვა-  
გორებულა: მთლად ტალახში ამოსვრილი ახ-  
ალთახალი კოსტუმი იქვე გაუხლია, სხვა ჩაუ-  
ცვამს, ეს ტალახიანი კოსტუმი კი სათუთად  
გაუხვევია და ასე უთქვამს: მე ალბათ პარზის  
მოკვდებნი. ჩემს შვილებს ანდერძს ვუტყვებ—  
გარდაცვილს ეს ქართულშიწიანი კოსტუმი  
ჩამაცვას, რომ დედუღეთის საფიციარი მიწა სა-  
მარეში თან ჩაეციტანო.

**აოლოთმთა**

ამ მეთხვე წიგნით დავასრულეთ ეკატერინე ჭავჭავაძის პოეტურ სახელს ამოფარებუ-  
ლი მეცხრამეტე საუკუნის ქრონიკები. მე, ამ წიგნების ავტორს, პროფესიით რიგით ლიტერა-  
ტორს, კრიტიკოსს-ბელეტრისტის კალამი იმან ამაღებინა, რომ მწამდა და მჭეროდა: მასალას  
თუ იცნობ, წიგნში მომქმედ ისტორიულ პიროვნებათა სამოქმედო არეში თუ გიცხოვრიათ, არ  
არის საჭირო დიდი მწერალი იყო, რომ მკითხველს გასაგებად გადასცე მასალა, რომელსაც  
წლობით სწავლობდი, აკვირდებოდი, რის შედეგადაც იგი შენი სულის ნაწილი გახდა. აქ ერ-  
თიე არის სათქმელი: თუ კრიტიკოსობა შენი კუშმარტი მისწრაფებაა, მაშინ უთუოდ მწე-  
რალიცა ხარ და ბელეტრისტის საწყარო შენთვის უცხო არ უნდა იყოს. ამ რწმენით ვწერდი  
მე ამ წიგნებს, ყოველ ცისმარე დილას, სამსახურამდე, და ყოველ საღამოს, სამსახურიდან შინ  
დაბრუნებულნი. ამ ქრონიკების წერაში ხან მთელი ღამე თერთად გამითენებია, რადგან თავი-  
სუფალი დრო ცოტა მწონდა ყოველდღიური მუშაობით დატვირთულს.

სამშობლოსა და გულის კარნახით ვწერდი ამ წიგნებს. ძველ მემბატინეთა დარად მეც  
ერთი სათხოვარი მაქვს: თუ რამე შევცოდე, შემინდე, ჩემო ბუერის მომთმენო მკითხველო. ამას  
კი თამამად ვიტყვი, რომ ჩვენი საერთო საფიციარის — საქართველოს უანგარო სიყვარულმა  
დამაწერინა ეს წიგნები.

აბტონი







## ნოაღი ბაკთაია

### ისფაჰანის პეროდროგე

აეროდრომის ცქერა მიყვარს,  
ლამაზ ფრთოსნების აფრენას და დაფრენას ვუმჯერ,  
განსაკუთრებით კვირაში ორჯერ: —  
ჩემი სამშობლოს თვითმფრინავი მოფრინავს როცა.  
ვით დედოფალი ფრინველების — ეშვება იგი.  
საამაყო მისი ცქერა ზომაზე მეტად.

### ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს

რა საამური რამა ხარ,  
შენი სახელის ჭირიმე.  
წავალ და ფარებს გავყვები,  
დავიკარგები ღრუბლებში.  
სამი თვე ველარ მიხილავს  
ჩემი ცოლი და ბავშვები.

არ მინდა შავი ნაბადი,  
ალარც ძაღლი და კომბალი.  
შენს წვიმას ხელებს შევუშვერ,  
შენს მგლებს შევაჭმევ ჩემს ფარას,  
რა საამური რამა ხარ,  
შენი სახელის ჭირიმე.

### ა მ ა ნ ა

ისეთი სინაზეა  
მაგნოლიის რტოების...

მე აქ გეოლოგივით  
დავსახლდები დროებით.

გულმა როგორ გამიძლოს,  
რამე რომ არ ვეძებო.

აქ უთუოდ იქნება  
ოქროს საბადოები.



აი, მესმის მათი საქმე,  
 პატარძლობაც ამას ჰქვია.  
 უთენია ამდგარან და  
 ეზოები დაუგვიათ.  
 შემოდგომა ბლუჯა-ბლუჯად  
 კალათებში ჩაუყრიათ.  
 ზურგზე მოუკიდებიათ,

რა მსუბუქად წაუღიათ.  
 ზოგი შუკას გასულა და  
 ზოგს ყანაში დაუყრია.  
 ცეცხლი გაუჩაღებიათ,  
 კვამლს ჰაერი გაუთბია.  
 მეუღლეებს ისევ სძინავთ,  
 არაფერი გაუგიათ.

## პატარა უფლისწული

ახლა ის არის პატარა ლეკვი,  
 მაგრამ სულ მალე გახდება ლომი.  
 თავზე დაიდგამს სამეფო გვირგვინს,  
 გულზე დაიკრფეს ვეება თათებს.  
 მუხლს მოიყრიან წინაშე მისთა  
 სრულიად მხეცნი ხმელეთისანი.

შეაზანზარებს ცასა და მიწას,  
 როს განრისხდება — ღრიალი მისი.  
 ვით შვენის მეფეს — მას ეყვარება  
 დროისტარება და ნადირობა.  
 ახლა კი იგი პატარაა და  
 უფლისწულივით არის ლამაზი.



შუკას მიჰყვება ცოცხალი ღობე  
 და ღობის იქით ყველაფერი ჩანს —  
 მიყუჩებულან ძველი მოყვრები:  
 ამერა, ვალა, გვიტი და ჯუბუ.  
 შტოფში ასხია თხლესავით ღვინო,  
 ფერით მიხვდები ნიხიად ნაყიდს.  
 ბალახებში დევს ნატეხი მჭადის,  
 ზედ დაცოცავენ ჭიანჭველები.

## მ ო ბ ო ნ ე ბ ა

ავად ვიყავი და არ მეგონა,  
 თუკი ოდესმე მოვრჩებოდი.  
 უკვდავების წყლის მოსატანად  
 ჩემი უფროსი ძმა წავიდა.

წაიღო შუბი, მკლავის სიმსხო,  
 და შუბის სიმსხო ორი მკლავი.  
 თავს დამტრიალებს მოგონება,  
 როგორც ორი და მოწყალების.



რა უცნაური რამ არი  
 იენისის სიცხე, ღმერთმანნი;  
 ეზოში ორი მამალი  
 ეძიძგილება ერთმანეთს.

განა რაიმეს გულისთვის  
 ან საჩხუბარი რამ არი?  
 სრულიად არაფრის განა  
 იჩხუბებს ხოლმე მამალი.



## ს ი ს ს ლ ი

კოშკის მორყეულ სათოფურში  
გაჩრილი თოფით  
ვდგავარ ჩემთვის და  
ვუთვალთვალე ვწერილფეხა ნადირს;  
და მიყრდნობილი ხავსიან კედელს  
ჩემს მაჯისცემას რომ ვაკვირდები,  
მე ვგრძნობ აშკარად,  
როგორ ღვინდება ჩემში სისხლი  
ჩემი წინაპრის.

მოწვიმს...

ამალამ ნამდვილად მოწვიმს;  
წვიმის ღრუბლებთან ცა მიწებს ეძებს.  
გაიჟღინთება პატარა ბორცვი,  
გაიჟღინთება...

ჩამავალ მზეზე  
დასალიერი დაიწყებს ბაბანს;  
და, როგორც სიტკბოს პირველი კოცნის,  
ვერ დავივიწყებ ამ წვიმას ალბათ.

მოწვიმს...

ამალამ ნამდვილად მოწვიმს.



გვიპირველი

## ჯალბოქარი ქონდრისკასები

ანუ

## სახლის კეთილი სულაბი

ავგუსტ კოპიშის მიხედვით

### I.

ის ვერ აიწერება  
სიტყვითა და მელნით —  
რა განცხრომით ცხოვრობდნენ  
ბინადარნი კელნის.  
მათთვის გუნდი შრომობდა  
სახლის კეთილ სულთა,  
ეძინათ და ეღვიძათ  
ისე, როგორც სურდათ.  
არა ჩანდნენ სულაბი  
არსად საღამომდის,  
როცა ყველას ეძინა,  
კაცუნები ქონდრის  
კარიდან და ფანჯრიდან  
მოძვრებოდნენ ღამით,  
იმათ ხელში ბზინავდა  
მაგიდა და სკამი.  
ფუსფუსებდნენ, ხმარობდნენ  
ტილოს, ჩვარს და ჯაგრისს,  
პატრონს ტყბილად ეძინა,  
ლაგდებოდა სახლი.

### 2.

უდარდელი დურგლები  
მისწოლოდნენ დაზგებს,  
იწვნენ ბურბუშელაში,

ალბათ სადმე გასკდნენ.  
უცვებ ბნელში გამოჩნდა  
რამდენიმე ლანდი  
ისევე ქონდრისკაცების;  
ნაჯახით და რანდით  
სწრაფად თლიდნენ, რანდავდნენ  
და ხერხავდნენ ხერხით,  
სანამ დილამ ოთახში  
შემოადგა ფეხი.  
ბოძებს, კოჭებს, ჩარჩოებს  
გაპკრეს შალაშინი,  
იქვე იწვნენ დურგლები  
გამომთურალნი ღვინით.  
დილით დურგლებს უკვირდათ:  
ნუთუ ვხედავთ სიზმარს,  
ვისმა ხელმა გამართა  
სახლი, ნეტავე, ვისმა!..

### 3.

მთელი ზამთარ-ზაფხული,  
როცა მეფუნთუშეს  
უდარდელად ეძინა,  
იმ უჩინარ მუშებს  
ქმონდათ ერთი ამბავი,  
თავს იკლავდნენ შრომით  
და ფქვილს ეზიდებოდნენ  
უზარმაზარ ტომრით.

ცომი ბევრჯერ მოზილეს  
გოლიათი ვარცლით,  
ფუსფუსებდა ღუმელთან  
ყველა ქონდრისკაცვი.  
როდი იკარგებოდა  
უქმად ერთი წუთი,  
ტაბაკები აავსეს  
ეკლერით და შუთი.  
ყურს არავინ უგდებდა  
მეფუნთუშის ხროტინს,  
ცეცხლზე ნელა ცხვებოდა  
კრემიანი ტორტი.

4.

მაშინ კელნის ყასაბსაც  
არა ჰქონდა საქმე,  
არხეინად ხვრინავდა;  
როცა ღამით სარკმელს  
მთვარე მოადგებოდა,  
მოდოდა მასთან  
სახლის კეთილ სულების  
უჩინარი დასტა.  
ყასბის ნაცვლად ისინი  
ტრიალებდნენ უწინ,  
ეცემოდა ნაჯახი,  
ირყვოდა კუნძი.  
ხორცი მარცხნივ ცვივოდა  
და ცვივოდა მარჯვნივ,  
ბეჭი ანდა ბარკალი,  
ანდა ჩალაღაჯი.  
ბოლო აღარ უჩანდა  
ფუსფუსსა და სირბილს,  
ზოგი ნიორს ეძებდა,  
ზოგი კიდევ — პილპილს.  
როცა უნდა განთიადს  
შემოედგა ფეხი,  
ვიტრინაში ეკიდა  
გაბერილი ძეხვი.

5.

ჩვენი ქონდრისკაცები  
კიდევ უფრო ხშირად  
ღამის ბინდში სწვევიან  
წელმოწვევებელ სირაჯს.  
შმორიანი ორშიშო,  
ჭინჭილა და ლიტრა

ისე დააკრიალეს,  
არ დაუძრავთ სიტყვა:  
მხოლოდ ის თქვეს: „რა არის,  
ჭურჭელს სუნი უდის...“  
გამორეცხეს ჯამები  
და ჭიქები ლუდის.  
ისევ ღვინით ავსებდნენ  
დაობებულ სარდაფს,  
თანაც ტაშნიკს სინჯავდნენ,  
ირჯებოდნენ მარდაღ.  
როცა დილა დგებოდა  
და დრო იყო წასვლის,  
ღვინით ძლივსლა სუნთქავდა  
გოლიათი კასრი.

6.

სიტყვის კაცი არ არის  
იმ თავითვე თერძი,  
ხვალ მუნდირის პატრონი,  
ის ეშმაკის კერძი,  
მოვა ჯაჯღანს დაიწყებს  
და მოითხოვს მუნდირს,  
თერძს კი სძინავს ღრმა ძილით;  
კაცუნების გუნდი  
მთელი ღამე კერავდა,  
არღვევდა და ჭრიდა,  
აზომებდა მანეკენს  
ზურგიდან და მხრიდან.  
დააკერეს ღილები,  
გადაუსვეს უთო,  
შეიკერა... მშვიდობით  
ხვალის ფათიფუთო!  
ღილით გაღვიძებული  
გაიღიმებს თერძი:  
რალას იტყვის პატრონი,  
ის ეშმაკის კერძი!

7.

მაგრამ თურმე, ნუ იტვით,  
სახლის კეთილ სულთა  
ნახვა თერძის დედაბერს  
მეტისმეტად სურდა.  
სახლში მოუპნევია  
ყველგან ხმელი ბარდა,  
ბნელში ბახ! და კიბიდან  
ვიღაც გადავარდა.

თურმე ფეხი დაუსხლტა,  
გადააწყდა ნაგავს,  
ერთი კასრში ჩავარდა,  
ერთი გარბის სხვაგან.  
ერთი კიდევ ხალათით  
გამოედო ლურსმანს,  
გასწია და გახია...  
და ფეხსაცმლის ქუსლმა  
დაიქუხა კიბეზე,  
ქალი მორბის სანთლით,  
სწრაფად გაქრა ბუხარში  
რამდენიმე ლანდი...

8.

წავიდნენ და წავიდნენ,  
გაქრნენ კისრისტეხით...  
თუნდაც მთელი დუნია

მოიარო ფეხით,  
იმათ ვერსად იპოვი,  
მიწამ უყოთ პირი,  
ყველა დამწუხრებულა,  
თერძის ცოლი ტირის.  
სწორედ მისი ბრალია,  
რომ სულელები გაქრნენ,  
თვითონ უნდა აკეთოს  
ახლა ყველამ საქმე.  
ნეტავ თერძის მეუღლეს  
მოსტეხოდა ფეხი,  
თვითონ უნდა დაგავონ  
და გაუსვან ხერხი,  
კერონ, აცხონ, მოხარშონ...  
არის ჩახაქოლი  
მეტად ცნობისმოყვარე  
ჩვენი თერძის ცოლი!





ბაგრაშ ჯოღოხრი

ილინი ჩვენი ბელნიერებისათვის იბრძოლნენ

რუსეთის მშრომელი ხალხი დიდი ოქტომბრის რევოლუციის წლისთავს რომ ზეიმობდა, ელისე ნოზაძე მაშინ მკერავის შეგირდი იყო ხაშურში. მერე და მერე საკუთარი სამკერავლო სახელოსნოც მოაწყო და ღარიბი გლეხის შვილმა საარსებო შემოსავალი გაიჩინა. ახლა ხელოსანი ბიჭისათვის უცხო აღარ იყო სიტყვები — „თავისუფლება“, „თანასწორობა“, „შეიარაღება“, „რევოლუცია“, — ხარბად ეწაფებოდა პოლიტიკური ხასიათის ლიტერატურას. ვ. ი. ლენინის მოწოდებებს, ი. ბ. სტალინის სტატიებს, ქუთაისის „სპარტაკის“ ორგანიზაციის ეურნალს და სხვა.

მოუსვენარი აზრის ახალგაზრდა ელისე ცხოვრებაში საიმედო ასპარეზს ეძებდა... იპოვა კიდევ: მიზნად დაისახა ხალხისათვის რაიმე სარგებლობის მოტანა, ამიტომ შემთხვევითი არ იყო ის, რომ თვრამეტი წლის ელისემ მთელი თავისი შემდგომი ცხოვრება სამუდამოდ დაუკავშირა ბოლშევიკური პარტიის საიმედო საქმეს.

1918 წლის თებერვალში ელისე ნოზაძე აქტიურად მონაწილეობს ხაშურის მშრომელთა აჯანყებაში — ამ დღიდან ჩამოყალიბდა ერთ-ერთი ნიჭიერ პროპაგანდისტი, კონსპირაციული მუშაობის გაბედულ ორგანიზატორად.

ბოლშევიკური ტრადიციებით ნაწრთობი პროპაგანდისტი ელისე ნოზაძე გულდასმით განუმარტავდა მსმენელებს მუშათა და გლეხთა ცხოვრების მძიმე პირობებს და უცხოელთა ბიშტებზე დამოკიდებულ უზადრუკი მენშევიკური მთავრობის პოლიტიკის „სამოთხის“ სამყაროს.

ელისე ნოზაძე თვალყურს ადევნებს ხალხის მოძრაობას, ახალგაზრდების ფუსფუსს ხაშურში „სპარტაკის“ ორგანიზაციის შექმნის თაობაზე, ელისემ აქ გაიგო ცხოვრების ავ-კარგი,

საბოლოოდ დარწმუნდა, რომ მშრომელი ხალხის ხსნა საუკუნეობრივი მონობისაგან მხოლოდ ლენინურ ბოლშევიკურ პარტიას შეეძლო.

1918 წელში გაიოზ დევედარიანის ხელმძღვანელობით ხაშურში შეიქმნა „სპარტაკის“ ორგანიზაცია. ელისე ნოზაძე ამ ორგანიზაციის აქტიური წევრია 1919 წლის ივნისიდან, ხოლო ამავე წლის დეკემბერში იგი შევიდა ბოლშევიკური პარტიის რიგებში. ამ დღიდან ელისემ თავისი უმწიკვლო შემოქმედებითი შრომა მთლიანად რევოლუციის საქმისათვის ბრძოლას დაუთმო და აქტიურად ებრძოდა მშრომელთა სძულველ მტრებს, მტკიცედ იცავდა ბოლშევიკური პარტიის იდეურ-პოლიტიკური ერთიანობის ხაზს და აქტიურ პროპაგანდას ეწეოდა მასებში, აერცვლებდა არალეგალურ პოლიტიკურ ლიტერატურას.

1918 წლის თებერვალში ხაშურის რაიონის მშრომელთა მასიური აჯანყების მსგავსად, 1919 წლის შემოდგომაზე მენშევიკური მიწის რეფორმით უკმაყოფილო სოფელ ხეციის გლეხობამ. ელისე ნოზაძის აქტიური მონაწილეობით მოაწყო გამოსვლები. მათ გამოსვლებს თავისი ხმა შეუერთეს ხაშურის და სურამის მუშებმა, ქარგალ-ხელოსნებმა, დახლის მუშაებმა და მახლობელი სოფლების მოწინავე რევოლუციურმა გლეხობამ. ძლიერი შეტაკების შემდეგ უთანასწორო ბრძოლაში მენშევიკების გვარდიის ნაწილების წინააღმდეგ აჯანყებულები დამარცხდნენ. ბოლშევიკური პარტია და რევოლუციური ძალები ახალი შეტევის მოსამზადებლად არალეგალურ მდგომარეობაზე გადავიდნენ.

ელისე ნოზაძის სამკერავლო სახელოსნო, შემდეგ კი მისი საცხოვრებელი სახლი ბოლშევიკური პროპაგანდის მუშაეთა მომზადების,



ბოლშევიკური პარტიის ხაშურის ორგანიზაციის კრებების ჩატარების აიმიერო კონსპირატიული პუნქტი ხდებდა. აქ, ელისე ნოზაძის სახელსონში და საცხოვრებელ სახლს ტარდებოდა არალეგალური კრებები, აქ სახადუნენ მენშევიკების წინააღმდეგ ბრძოლის გეგმებს. კრებებს ხელმძღვანელობდნენ კომკავშირის ამირკავკასიის საოლქო კომიტეტის წარმომადგენელი გიორგი დევდარიანი და გიორგი ილიასძე კალმახელიძე. რევოლუციური მოძრაობის აქტიულობის საკითხების განხილვისას კრებებზე მონაწილეობდნენ ბოლშევიკები: ილია ზაქარაიას ძე აბაიძე, ისიდორე მთხვლის ძე ლომიძე, ნიკოლოზ (კოლია) მესხიძე, მოსე ნიციფორეს ძე ცინცაძე, ალექსი ვერმანაშვილი, სოგრატი სვიმონის ძე ბაბლიძე, მანია თედიაშვილი, დათიკო ალექსის ძე ლაბაძე, ლაზარე იოსების ძე ტავანაშვილი, იასონ მამაცაშვილი, ალექსი ზაქარაიას ძე ლაცაბიძე, მიხეილ ნიკოლოზის ძე ტერიაშვილი, გიორგი ზაქარაიას ძე ქალიაშვილი, გიორგი სპირიდონის ძე ქალიაშვილი და ელისეს ძემბი — გიორგი და ირაკლი ნოზაძეები.

მენშევიკური მთავრობის საგანგებო რაზმებს არ ეძინათ: ხან სამკერვალო სახელოსნოსა და ხან საცხოვრებელ სახლზე მოულოდნელ თავდასხმებს წყობდნენ. ბევრჯერ განიცადა ჩხრეკა და აწიოკება ელისეს ოჯახმა, ზნორად სამი შმის სიოცხლე ბეჭეზე გვიდა. ელისე ნოზაძის ენერგიული საქმიანობის წყალობით იყო, რომ კრების მონაწილენი ბევრჯერ გადაარჩნენ, განსაცდელს. მაგრამ სახელოსნო კი ვერ გადაურჩა, მენშევიკების ჯაშუშებმა ცეცხლი წაუქიდეს, ვერფლად აქციეს იგი. მაგრამ ელისემ ამჯერად სახლი დაუთმო ხალხის განმათავისუფლებელ მებრძოლ რევოლუციურ შტაბს. ამ სახლში იყო მოთავსებული საიდუმლო საწყობიც, სადაც კარგად შეხამებული ბოლშევიკური ლიტერატურისა და პაროლამატიების დასტა ინახებოდა. აქედან იგზავნებოდა პარტიულ კომკავშირულ ორგანიზაციებსა და ფართო მასებში გასავრცელებლად. მის სახლში ინახებოდა ბოლშევიკური პარტიის ორი დროშა, რომელმაც გირის არა ერთი ნატყვიარი მოიშურმა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ ელისე ნოზაძის ხელით მტრისგან ხელშეუხებელი ხაშურის რევოლუციური კომიტეტს ჩააბარდა.

ელისე ნოზაძის სამკერვალო სახელოსნო და საცხოვრებელი სახლი, ბოლშევიკების ერთ-ერთი კონსპირატიული პუნქტს რომ წარმოადგენდა, ეს დოკუმენტი ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში ინახება. მან საშუალება მოგვცა ვაეყოლოდით კვალს და გამოგვემუხურებინა „სპარტაკის“ ხაშურის ორგანიზაციის აქტიური წევრის, ბოლშევიკური პარტიის საქმისათვის თავდადებული ახალგაზრდა მებრძოლის, ხაშუ-

რის ორგანიზაციის პირველი მებრძოლის — ელისე ნოზაძის რევოლუციური ცხოვრებასა და მინობა.

1920 წლის 7 მაისს რუსეთის საბჭოთა მთავრობასა და საქართველოს მენშევიკურ მთავრობის შორის დაიდო სამშვიდობო ხელშეკრულება ბოლშევიკური ორგანიზაციების ლეგალიზაციის პირობებით. ამ ხელშეკრულების საფუძველზე მენშევიკური საყრდობიდან განთავისუფლდა საქართველოს ყველა ბოლშევიკი პატიმარი და გამოცხადდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პოლიტიკური მოქმედების ლეგალიზაცია. ამ გარემოებამ გარკვეული დასაბამი მისცა გარდატეხის პერიოდს პარტიულ-კომკავშირული ორგანიზაციების ცხოვრებაში — გაფართოვებინათ რევოლუციური პროპაგანდისტული მუშაობა. მალე ლეგალიზაციის პირობებით ხაშურში მოწვეულ იქნა პარტიულ-კომკავშირული ორგანიზაციების გაერთიანებული კრება, სადაც ერთ-ერთი აქტიური მონაწილე ელისე ნოზაძე იყო. კრება ლუმბრძუმის მისასვლელის გოგირდის აბანოსთან მიმდინარეობდა. კრებაზე მოხსენიებით გამოვიდა ძველი ბოლშევიკი გიორგი ელისაბედაშვილი. მან აქ მენშევიკების წინააღმდეგ ბრძოლის ბოლშევიკური ტაქტიკა დაახსიათათ: აქვე დასახეს გეგმები პროპაგანდის გაშლისა და პრესის გაგრძელების შესახებ რაიონის ცენტრიდან დაშორებულ სოფლებში მასიურ შეიარაღებულ აჯანყებაში ხალხის აქტიური მონაწილეობისათვის.

1920 წლის აგვისტოდან დაიწყო საქართველოს ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის პირველი ყრილობის ჩატარების მოსამზადებელი მუშაობა. ხაშურის კომკავშირის რაიონულ კონფერენციასე არჩიეს საქართველოს ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის პირველ ლეგალურ ყრილობაზე დასასწრები დელეგატები — ელისე სვიმონის ძე ნოზაძის, სოგრატი სვიმონის ძე ბაბლიძის და დათიკო ალექსის ძე ლაბაძის შემადგენლობით.

1920 წლის 25 აგვისტოს გაიხსნა საქართველოს კომკავშირის პირველი ლეგალური ყრილობა — ძველი ბოლშევიკები მამია და მარიამ ორახელაშვილები, არაქელა ოქტაშვილი, ნესტორ ცერცვაძე და სხვები ესწრებოდნენ. ყრილობა მეტად ძნელ პირობებში დაიწყო: მენშევიკური მთავრობა ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ ჩაეშალა ყრილობის მსვლელობა.

ერცელი შესავალი სიტყვით ყრილობა გახსნა ბორის ძნელაძემ. მან ილაპარაკა რუსეთში საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის გამარჯვებაზე ოქტომბერში და გვირული მე-11

**ბაბრატ ჯოლაგორდი**  
 ისინი ჩვენნი ბედნიერბენისათვის იბრძოდნენ.





წითელი არმიის ბრწყინვალე წარმატებებზე. ბორის ძნელად მგზნებარე გამოსვლამ საქართველოს კომპაგნიის ურილობაზე აღაშფოთა მენშევიკური მთავრობა, მათ ურილობა ჩაშალეს. და მაინც შეუპოვარი წინააღმდეგობების ატმოსფეროში ურილობამ თავისი გარკვეული ამოცანა შეასრულა.

ურილობიდან დაბრუნების შემდეგ ელისე ნოზაძე აქტიურად იბრძოდა მენშევიკური მთავრობის ყბადაღებული აგიტაციის წინააღმდეგ, მისი ცრუ პოლიტიკური მოქმედების ჩასაშლელად. ელისე განუმარტავდა მასებს შეიარაღებული აჯანყების აუცილებლობას.

ელისე ნოზაძე დადიოდა ხაშურის საწარმოო დაწესებულებებში, სახელოსნოებსა და მახლობელ სოფლებში. იგი არწმუნებდა მასებს: მენშევიკების არსებობის უკანასკნელი დღეები დათვლილია, არ დაეზაროთ მენშევიკების არმიას, ხელი შეუშალეთ და დავაპატიმროთ ისინი.

1921 წლის მარტის სუსხიანი ამინდი იღვამე-11 არმიის მებრძოლების ხაშურში შემო-

სვლის ორი დღის წინ ელისე ნოზაძე მენშევიკების საგანგებო რაზმმა დააპატიმრა. პოლიტიკური საქმიანობის ბრალდებით ელისე სასჯელი დახვრეტა მიუსაჯეს; განაჩენის შესრულებას წუთებიღა აკლდა, ბოლშევიკებმა რომ მიუსწრეს და სიკვდილს გადაარჩინეს.

1921 წლის მარტში ხაშურში ოქტომბრის მზემ შემოანათა, ელისე ნოზაძემ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება იზეიმა.

დაიწყო საბჭოთა ქვეყნის მშვიდობიანი მშენებლობის პერიოდი. ელისე ნოზაძე ჯერ ხაშურის რაიონის ერთ-ერთი რევოლუციური კომიტეტის მდივანი, შემდეგ კი პარტიულ მობილიზაციით წითელი არმიის რიგებში მუშაობს პოლიტმომზადების დარგში. ხოლო რამდენიმე წლის შემდეგ ელისე ნოზაძე უბრუნდება თავის პირვანდელ სპეციალობას: სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე 72 წლის პერსონალური პენსიონერი კვლავ ამაყად განაგრძობს სასახლო შრომას.



# სსრკ-კავშირი და კავშირების სოციალური პროგრესი

## კონსტანტინე გომიკაძე

### სსრკ-კავშირი და კავშირების სოციალური პროგრესი

სოციალური რევოლუციები ყოველთვის ღრმა კვალს ტოვებენ კაცობრიობის ისტორიაში, ეპოქალურ მოვლენებს წარმოადგენენ საზოგადოების კანონზომიერი, აღმავალი განვითარების პროცესში. მაგრამ წინათ არც ერთ სოციალურ რევოლუციას ისეთი მძლავრი და ყოველმხრივ გავლენა არ მოუხდენია ადამიანთა ცხოვრების ყველა სფეროზე, როგორც ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ მოახდინა. წინანდელ რევოლუციებისაგან განსხვავებით, რომლებსაც თავისი შინაარსითა და შედეგებით შეზღუდული ხასიათი ჰქონდათ, ოქტომბრის რევოლუციამ დასაწყისი მისცა კაცობრიობის ისტორიის ახალ ერას კაპიტალიზმის დამხობისა და სოციალიზმის მშენებლობის ერას.

ვ. ი. ლენინი უდიდეს საერთაშორისო მნიშვნელობას ანიჭებდა დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას. „ჩვენი, — წერს ლენინი, — უფლება გვაქვს ვიამაყოთ და ვამაყოთ კიდევ იმით, რომ წილად გვხვდა ბედნიერება დაგვეწყო საბჭოთა სახელმწიფოს აშენება, დაგვეწყო ამით მსოფლიო ისტორიის ახალი ეპოქა, ახალი კლასის ბატონობის ეპოქა, იმ კლასისა, რომელიც ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში დანაგრეულია და ყველგან ახალი ცხოვრებისკენ, ბურჟუაზიაზე გამარჯვებისაკენ, პროლეტარიატის დიქტატურისაკენ, კაპიტალის უღლისა და იმპერიალისტური ომებისაგან კაცობრიობის განთავისუფლებისაკენ მიისწრაფვის“ (თხზ., ტ. 33, გვ. 42). ბოლშევიკური პარტიის პროგრამა საზოგადოების სოციალისტური გარდაქმნის, სამართლიანი დემოკრატიული ზავის და მშვიდობის დამყარების დარგში შეესაბამებოდა და დღესაც შეესაბამება საზოგადოების განვითარე-

ბის ობიექტურ მოთხოვნებს, ყველა ქვეყნის მშრომელთა ძირეულ ინტერესებს.

მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს — სსრკ-კავშირის არსებობის 50 წელი ყველაზე მნიშვნელოვანი, ყველაზე მდიდარი ეპოქა კაცობრიობის ისტორიაში. სსრკ-კავშირის შექმნა გახდა ერთ-ერთი გადაწყვეტილი ფაქტორი, რომელმაც უზრუნველყო ხელშემწყობი პირობები სოციალისტურ საწყისებზე საზოგადოების გარდაქმნისათვის, ყველა საბჭოთა რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის აღმავლობისათვის, მშრომელთა მრავალეროვანი სახელმწიფოს თავდაცვითი ძლიერებისა და საერთაშორისო პოზიციების განმტკიცებისათვის. სსრკ-კავშირმა მთლიანად გაამართლა ის იმედები, რომლებსაც მასზე ამყარებენ არა მარტო საბჭოთა ხალხები, არამედ მსოფლიოს ყველა ქვეყნის მშრომელები, მთელი პროგრესული კაცობრიობა.

სსრკ-კავშირის შექმნა და წარმატებით განვითარება დიდმნიშვნელოვანი ნიშანდობით მთელი კაცობრიობის სოციალურ პროგრესში. მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს შექმნის, ჩვენი ხალხების საერთო მეცადინეობით განვითარებული სოციალისტური საზოგადოების აშენების, ურთულესი ეროვნული საკითხის გადაჭრის საბჭოთა გამოცდილებამ მსოფლიო აღიარება პოვა და ფასდაუდებელ დახმარებას უწყევს სოციალური და ეროვნული განთავისუფლებისათვის ყველა მებრძოლს.

მსოფლიოში არ არსებობს ისეთი ქვეყანა, რომლისათვის საბჭოთა კავშირის განვითარებას არ ჰქონდეს გადაწყვეტილი მნიშვნელოვანი პროგრესის ძალთა ზრდისა და განვითარების საქმეში.

ვ. ი. ლენინი თავის გენიალურ ნაშრომში „მეზარცხენობის“ საყმაწვილო სენი კომუნისში



ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის საერთაშორისო მნიშვნელობას — რომ უხეზოდა, წერდა; ფართო აზრით ეს იმას ნიშნავს, რომ ოქტომბრის რევოლუციის ყველა ძირითადი და ბევრი მეორეხარისხოვანი თვისებები ზემოქმედებას ახდენენ სხვა ქვეყნებზე, აზქარებენ რევოლუციებს; ვიწრო აზრით კი იმას ნიშნავს, რომ ოქტომბრის რევოლუციის ზოგერთი ძირითადი თვისება გამოირდება საერთაშორისო მასშტაბით, ისინი ისტორიულად გარდუვალნი არიან, სოციალისტური რევოლუციის საერთო კანონზომიერებას წარმოადგენენ.

ვ. ი. ლენინის ეს წინასწარბედა მთლიანად გამართლდა. ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ და მისი გავლენით ამოძრავდნენ ხალხთა მასები, მთლიანობით უბრალო ადამიანები, რომლებიც საზოგადოებრივი პროგრესის აქტიურ, შეგნებულ მებრძოლებად გადაიქცნენ. უჩვეულო ტემპით დაჩქარდა კაცობრიობის განვითარება პროგრესის გზით. ისტორიულად მოკლე დროში ჩვენი ქვეყანა გადაიქცა მძლავრ სოციალისტურ სახელმწიფოდ. შეიქმნა მსოფლიო-სოციალისტური სისტემა, გაიზარდა საერთაშორისო მუშათა კლასის ძლიერება, შეირყა საერთაშორისო იმპერიალიზმის პოზიციები, დაიშალა კოლონიური სისტემა. საბჭოთა ქვეყნის გამოცდილება ვახდა კლასობრივ ბრძოლაში საბოლოო გამარჯვებისათვის მსოფლიო პროლეტარიატის ძალთა ზრდისა და რწმენის განმტკიცების უშრეტო წყარო.

მიმდინარე ეტაპზე მწვავე ბრძოლაა გაჩაღებული ბურჟუაზიულ იდეოლოგიასა და კომუნისტურ იდეოლოგიას შორის, რაც წარმოადგენს დრამატულ კაპიტალისტურ წყობილებასა და სწრაფად მზარდ სოციალისტურ წყობილებას შორის არსებულ მძაფრ წინააღმდეგობათა ასახვას. ამ ბრძოლაში ერთ-ერთი მთავარია სოციალური პროგრესის საკითხი.

ბურჟუაზიულ მეცნიერებსა და მრავალრიცხოვან სკოლებს არ მოუციათ და არ შეუძლიათ მოგვეცნნ სწორი, მეცნიერული პასუხი ისტორიის განვითარების პერსპექტივებზე, სოციალურ პროგრესზე, რადგან ისინი იცავენ იმ წყობილებას, რომელიც ისტორიის მიერ განწყობილია დასაღუბადად. კაპიტალისტურ საყვაროში ობიექტურ აღიარებას პოულობენ მხოლოდ ის თეორიები, რომლებიც კაპიტალიზმს ქუშმარტივად პროგრესულ საზოგადოებად ცნობენ, ამტკიცებენ, თითქოს კაპიტალიზმი იმყოფებოდეს თავისი განვითარების გარიგარეზე და მისი მთელი ისტორია ჯერ კიდევ წინ იყოს. მათი მიზანია შეცდომაში შეიყვანონ ფართო საზოგადოებრივი აზრი, გააბრეყონ მშრომელები, ხელი ააღებინონ კლასობრივ-განმათავისუფლებელ ბრძოლაზე.

არიან აგრეთვე ისეთი ბურჟუაზიული სოციალოგები (მ. ჰინზბერგი, ლ. ფონ ეიხე), რომლებ-

ბიც საერთოდ უარყოფენ ცნება „სოციალურ პროგრესს“ და წინადადებას იძლევიან: „მნიშვნელოვანად შემოიღონ ცნება „განვითარების“ სოციალური ცვლილებები“, რადგან ეს ტერმინები თითქოს უფრო სწორად გამოხატავენ სოციალურ ცვლილებებს. ამერიკელმა სოციოლოგებმა პ. ბეკერმა და ა. ბოსკომ კი მოითხოვეს ცნება „სოციალური პროგრესის“ ნაცვლად შემოღებულ იქნას არაფრისმთქმელი სიტყვები „ჩვენ არ ვიცით სიით მივდივართ, მაგრამ ჩვენ ვიპყოფებთ ვახზე“. ეს ფაქტიურად იგივეა, რაც ბერნშტეინის დებულება — „შოპარობა ყველაფერია, მიზანი კი არაფერია“, და გამოხატავს ბურჟუაზიულ და რევოლუციონისტულ იდეოლოგიათა ქუშმარტ ერთიანობას.

ბურჟუაზიულ იდეოლოგებს შორის ყველაზე მეტად გავრცელებულია ამერიკელი სოციოლოგის როსტონს თეორია „ეკონომიური განვითარების სტადიები“, რომელსაც ავტორმა „ანტიკომუნისტური მანიფესტი“ უწოდა. როსტონ უარყოფს საზოგადოებრივ-ეკონომიურ ფორმაციებს. მას პროგრესის განმსაზღვრელად მიაჩნია ტექნიკური განვითარების დონე. მისი აზრით, ყოველი საზოგადოება ვაივლის განვითარების ხუთ სტადიას; ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უკვე მიადრწეს განვითარების უმაღლეს სტადიას (მაღალი კეთილდღეობის საზოგადოება), სხვა ქვეყნები კი მათ ბევრად ჩამორჩებიან. მაგალითად, ინგლისი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა და საფრანგეთი მეოთხე სტადიაზე არიან. საბჭოთა კავშირი ამ ქვეყნებს ფეხდაფეხ მისდევს; ყოველ ქვეყანას შეუძლია მიადრწეს განვითარების ამერიკულ დონეს, მაგრამ ამას ვაივთებენ არა სოციალური რევოლუციებით, არამედ ტექნიკის განვითარებით. მამასადამე, როსტონსათვის არ არსებობს კაპიტალიზმის სოციალიზმით შეცვლის პრაქტიკა.

ამრიგად, ბურჟუაზიული თეოტიკოსები ცდილობენ სახელი გაუტეხონ საზოგადოებრივი პროგრესის მარქსისტულ მოძღვრებას, კაპიტალიზმი დასაბონ პროგრესის უმაღლეს საფეხურად, დასაბუთონ მისი მარადიულობა. მაგრამ ისტორიის ნამდვილი მსვლელობა აქარწყლებს ანტიკომუნისტის ყველა ნალაყბებს. საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიულ განვითარების ანალიზი, რომელიც მარქსიზმის კლასიკოსებმა მოგვეცეს, ცხადყოფს, რომ ყველობა მოდის აღმავალი, პროგრესის გზით. კ. მარქსმა მეცნიერულად დასაბუთა, რომ უფრო პროგრესულია ის საზოგადოებრივი ფორმაცია, რომლის წარმოების წესიც უზრუნველყოფს განვითარების უფრო მაღალ დონეს. საზოგადოების მიერ ბუნების ძალების უფრო სწრაფი ტემპით დამორჩილებას, მატერიალური და სულიერი კულტურის მეტი სიუხვის შექმნას.

საზოგადოებრივი პროგრესი, მარქსისტულ-ლენინური გაგებით, ნიშნავს ერთი საზოგად-



დობრივ-ეკონომიური ფორმაციის შექმნას მეორე, უფრო პროგრესული ფორმაციით. მარქსი წერდა: „თუ ზოგადად ავიღებ წარმოების აზიურ, ანტიკურ, ფეოდალურ და თანამედროვე, ბურჟუაზიულ, წესებს შეიძლება ეკონომიური საზოგადოებრივი ფორმაციის პროგრესული ეპოქები ეწოდოს“ (პოლიტიკურ ეკონომიის კრიტიკისათვის. სახელგამი, 1953, გვ. 11).

საზოგადოების აღმავლობა დაბალი ფორმაციიდან მაღლისაკენ ისტორიული ადგილებლობაა. მას საფუძვლად უდევს საწარმოო ძალთა განუწყვეტელი განვითარება და მატერიალური წარმოების წესის ცვლა. „თავიანი განვითარების გარკვეულ საფეხურზე საზოგადოების მატერიალური მწარმოებლური ძალები ვარდებიან წინააღმდეგობაში არსებულ წარმოებით ურთიერთობასთან... რომლის შეგნითაც ისინი აქამდე ვითარდებოდნენ. მწარმოებლურ ძალთა განვითარების ფორმიდან ეს ურთიერთობა მათ ბორჯილად იქცევა. მაშინ დადგება სოციალური რევოლუციის ეპოქა“ (იქვე, გვ. 19).

ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია საზოგადოების ღრმა სოციალური გარდაქმნის, მისი ახალი სწრაფი პროგრესის დასაწყისი იყო. სსრ კავშირის შექმნით, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის სრული და საბოლოო გამარჯვებით და მსოფლიო სოციალისტური სისტემის შექმნით შრომითივე სწრაფად, განუხრევლად განვითარებადი, სავსებით ახალი, არანტაგონისტური — სოციალისტური საზოგადოებრივ-ეკონომიური წყობილება, რომელიც არასოდეს არ განდობა საწარმოო ძალთა პროგრესის ბრკილი და რომლის განვითარება-სრულყოფა უზრუნველყოფს თანდათანობით გადასვლას კომუნისტურ საზოგადოებრივ-ეკონომიურ ფორმაციაზე.

სოციალიზმამდე კლასობრივ საზოგადოებრივ-ეკონომიურ ფორმაციებში საზოგადოებრივი პროგრესის განმსაზღვრელი საერთო ძირითადი ნიშანი იყო ანტაგონისტური წინააღმდეგობრივი ხასიათი. პროგრესი ხორციელდებოდა წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრების, უმცირესობის მიერ უმრავლესობის ჩავერისა და ექსპლოატაციის ვითარებაში, მძაფრე შეუჩრეველი კლასობრივი ბრძოლის პირობებში. მონა, ყმა, პროლეტარი — ეს შრომის საზოგადოებრივი ორგანიზაციისა და შრომის ნაყოფიერების პროგრესის თანმიმდევრული საფეხურების ამსახველი ცნებებიც არის, მაგრამ ამ პროგრესის მშრომელი პირობების რადიკალური გამჯობესება როდი მოსტევდა. პირიქით, უშუალო მწარმოებელია ჩაკვრა-ექსპლოატაცია სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა ეს გამსაკეთებლობით ამაყთა შეიქმნა საზოგადოების განვითარების კაპიტალისტური სტადიისა. კაპიტალიზმის პირობებში, — წერდა კ. მარქსი, — თითქოს ყველაფერი თავის წინააღმდეგობად იქცევა.

მანქანებს, რომლებსაც აქვთ სასწრაფოებრივი ძალა — შემასუბუქონ და უფრო ნაყოფიერი გახადონ ადამიანის შრომა, შოშილი და სილიტაყე მოაქვს მთლიანობისათვის.

ანტაგონისტური საზოგადოებრივ-ეკონომიურ ფორმაციებში პროგრესი ნამდვილი საზოგადოებრივი პროგრესის წინაისტორიის წარმოადგენდა. კაპიტალიზმმა უწყე ამოწურა თავისი პროგრესული განვითარების შესაძლებლობანი. იმპერიალიზმი ხალხების საზოგადოებრივი პროგრესის მტერია; ახლა კაპიტალისტურ ქვეყნებს აღარ შეუძლიათ გადაწყვიტონ არც ერთი მნიშვნელოვანი სოციალური პრობლემა. ეს კაპიტალიზმის ბურჟუაზიული საზოგადოების შეგნით ანტაგონისტურ წინააღმდეგობათა კლასობრივი ბრძოლის შემდგომ გამწვავებას და სოციალისტური რევოლუციის გარდუვალობას სოციალიზმის ღრმს, სსრ კავშირისა და სოციალისტური სისტემის არსებობის პირობებშია ძირფესვიანად იცვლება საზოგადოებრივი პროგრესის არსი, სოციალიზმის პირობებში პროგრესი მიმდინარეობს სოციალური ანტაგონიზმის გარეშე, მუშათა კლასის, გლეხობისა და სოციალისტური ინტელიგენციის მეგობარად, მშერი ურთიერთობის პირობებში. ამ პროგრესის ეკონომიური საფუძველია სოციალისტური საკუთრება წარმოების საშუალებებზე, წარმოების სოციალისტური წესი უზრუნველყოფს ჩვეურობას და ექსპლოატაციასგან გათავისუფლებულ მშრომელთა განუხრევლად მზარდ მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებათა სულ უფრო სრულად დაკმაყოფილებას.

სსრ კავშირის მშერ ოჯანში ყველა საბჭოთა რესპუბლიკამ მიადგინა ჩამორჩენილობიდან უფროს პროგრესს, სოციალისტური ეკონომიკისა და კულტურის მძაფრ განვითარებასა და აკეთებას, რაც ლენინური ეროვნული პოლიტიკის სიდიადის შედეგი და მამადატურებელია.

სოციალიზმის თვითიული ნაბიჯი სულ უფრო თვალსაჩინოს და დამაჯერებელს ხდის სოციალიზმის უპირატესობებს კაპიტალიზმთან შედარებით. ამას მოწმობს თუნდაც საბჭოთა კავშირის მაკალითი. პროლეტარიატის ხელისუფლებამ შექმნილგობად მიიღო ეკონომიურად უაღრესად ჩამორჩენილი, დატყვევ, განანაკებული ქვეყანა. ექსპლოატაციისაგან თავისუფლმა შრომამ, რომელმაც საკესებით შეიცვალა ხასიათი, ჩვენი საშუალო ფოკლეს ისტორიული ვადამო თანაუდროვე მაღალგანვითარებულ ინდუსტრიისა და სოფლის მეურნეობის, მოწინავე მეცნიერებისა და ტექნიკის, კოსმოსური ხომალდებისა და უმძაფრესი რეაქტიული ტექნიკის ქვეყნად გადააქცია. სსრ კავშირი ახლა

**კონსტანტინე ბოტოკაპა**  
სსრ კავშირი და კავშირობის სოციალისტური პროგრესი

სამრწველო წარმოების დონით ევროპაში პირველ და მსოფლიოში მეორე ადგილზეა. მაგრამ შორს არ არის ის დღეც, როცა ჩვენი ქვეყანა უკან ჩამოიტოვებს მრწველობის განვითარების დონით მსოფლიოში პირველ ადგილზე მყოფ ამერიკის შეერთებულ შტატებს.

მსოფლიო სოციალისტური სისტემის არსებობამ კიდევ უფრო დააჩქარა საზოგადოებრივი პროგრესი. მსოფლიო სოციალისტური სისტემის შექმნა და განმტკიცება, — ამბობდა ლ. ი. ბრეჟნევი პარტიის XXIV ყრილობაზე, — მძლავრი ამაჩქარებელი იყო ისტორიული პროგრესისა, რომელსაც დასაბამი დიდმა ოქტომბერმა მისცა. დაისახა ახალი პერსპექტივები მთელ მსოფლიოში სოციალიზმის გამარჯვებისათვის. სოციალიზმის მსოფლიო სისტემა გადაამყვევტი ძალა ანტიიმპერიალისტურ ბრძოლაში. ჩამორჩენილი ხალხების წინაშე დაისახა ეროვნული აღორძინების, საუფუნობრივი ჩამორჩენილობისა და სიღატაკის ლიკვიდაციის, ეკონომიური და მოქალაქეობის მიღწევისა და განმტკიცების ნათელი პერსპექტივები. ამიტომ უსტად განვითარებულ სახელმწიფოებს თავიანთ პროგრესის საფუძვლად მიანიათ სოციალიზმი და არა კაპიტალიზმი. როგორც სკკპ XXIV ყრილობის რეზოლუციისა ნათქვამი, «თანამედროვე ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოწინავე რაზმია ის ქვეყნები, რომლებიც დაადგენ განვითარების არაკაპიტალისტურ გზას, ესე იგი აიღეს პერსპექტივაში სოციალისტური საზოგადოების მშენებლობა».

სოციალისტური ქვეყნები ყოველმხრივ უწყობენ ხელს ჩამორჩენილ ქვეყნებს ეკონომიკის, კულტურის, მეცნიერების, მთელი საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაში. ისინი არ იშურებენ ძალღონასა და სახარებას, რათა უანგარო, ძმური დახმარება აღმოეჩინონ მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოებს, ხელი შეუწონ მათთან მეგობრული კავშირის განმტკიცებას. მართო საბჭოთა საპროექტო ორგანიზაციების დახმარებით, მშენებელ-სოციალისტთა შინაწილობით აზიისა და აფრიკის ქვეყნებში 1970 წელს აშენდა 370 საწარმო და სხვა ობიექტი. მოსკოვის ლემშემას სახელობის უნივერსიტეტმა და საბჭოთა კავშირის სხვა უმაღლეს სასწავლებლებში აშეამად სწავლობს აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის 74 ქვეყნის 4 ათასზე მეტი სტუდენტი. 1961 წელთან შედარებით 1970 წელს ხუთჯერ გაიზარდა საბჭოთა მასწავლებლების, ექიმებისა და კულტურის დარგის სხვა სპეციალისტების რიცხვი, რომლებიც ახლა აზიისა და აფრიკის 28 ქვეყანაში მუშაობენ. ასეთია კომუნისტური პროგრესის პრაქტიკული გამოხატულება.

კაპიტალიზმის, სოციალისტური და ეროვნული ჩაგრვის, რასობრივი დისკრიმინაციის ხისტკმას აშეამად უპირისპირდება მსოფლიო

სოციალისტური სისტემა. სოციალისტური ინტერნაციონალიზმის პრინციპების თანმიმდევრული განხორციელება უზრუნველყოფს ქვეყნების სპეციფიკური და საერთო ინტერესების ყველაზე სრულ რეალიზაციას. ახალ საზოგადოებრივ წყობილებას თან მოაქვს ახალი ტიპის საერთაშორისო ურთიერთობა.

მსოფლიო ასპარეზზე სსრ კავშირი გამოდის ისეთ ძალად, რომელიც მტკიცედ და თანმიმდევრულად ახორციელებს მშვიდობისა და მეგობრობის პოლიტიკას, იცავს ხალხთა თანასწორუფლებიანობის ლენინურ პრინციპებს, მტკიცედ იბრძვის კოლონიალიზმის, ნეოკოლონიალიზმისა და რასიზმის წინააღმდეგ, ჩამორჩენილი ხალხების ეკონომიური დაწინაურებისა და კაცობრიობის სოციალური პროგრესის დაჩქარებისათვის.

დიდია საბჭოთა-სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის როგორც პრიორიტარული ინტერნაციონალიზმის ციკხალ განსახიერების მნიშვნელობა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმისა და კომუნისმის აშენებისათვის, თავდაცვის განმტკიცებისა და სსრ კავშირის ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის უზრუნველყოფისათვის, საერთაშორისო ასპარეზზე სოციალიზმის პოზიციების განმტკიცებისათვის, მსოფლიო რევოლუციური პროცესის განვითარებისათვის.

სოციალისტური ქვეყნების ურთიერთდამოკიდებულებას სულ უფრო მეტად ახასიათებს მუდმივად მზარდი პოლიტიკური, სამეურნეო და კულტურული კავშირი, ეკონომიური ინტეგრაციის განვითარება, გამოცდილებისა და ცოდნის აქტიური გაზიარება, მკიდრო თანამშრომლობა საგარეო პოლიტიკის დარგში.

კაცობრიობის პროგრესს აშეამად დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის პირამში — მსოფლიო სოციალისტური სისტემა განსახლერავს. კომუნისმის იდეები, — ნათქვამია პარტიის ახალ პროგრამაში, — ხალხის მსახურის გონებასა და გულს ეუფლებიან «არა სხვა ქვეყნებთან ომის გზით, არამედ საზოგადოების უფრო სრულყოფილი ორგანიზაციის მაგალითით, საწარმოო ძალების აყვავებით, ადამიანის ბედნიერებისა და კეთილდღეობისათვის ყველა პირობის შექმნით».

სოციალისტური სისტემის შექმნა, სოციალისტური ქვეყნების ღონისძიებათა კოორდინაცია სახალხო მეურნეობის განვითარების, გეგმების შემუშავების, ეკონომიური და კულტურული ცხოვრების განვითარების სფეროში, წარმოების ცალკეულ დარგებში სპეციალიზაცია და კოოპერირება ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს ფარგლებში და და სხვ. უზრუნველყოფს იმას, რომ თვითუც ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობა, ხოლო სსრ კავშირში კომუნისმის მშენებლობა მიმ-



დინარეობს უფრო სწრაფად, ვიდრე ამ ერთობლივი მოქმედების გარეშე იქნებოდა შესაძლებელი. 1961-1965 წლებთან შედარებით 1966-1970 წლებში ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს ქვეყნებს შორის საქონლის ურთიერთ გაყვლა გაიზარდა 1,5-ჯერ და 150 მლნ მანეთს მიაღწია. ამასთან სოციალიზმის ქვეყნები ერთობლივად მოქმედებენ, რათა მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ინტერესების შესაბამისად გადაწყვიტონ საერთაშორისო აქტუალური საკითხები და განამტკიცონ სოციალისტური სისტემის თავდაცვისუნარიანობა. ყოველივე ეს უზრუნველყოფს სოციალიზმის ახალ-ახალ გამარჯვებებს კაპიტალიზმთან მშვიდობიან ეკონომიურ შეჯიბრებაში. ახლა ვ. ი. ლენინის ვანკუნგეტა იმის შესახებ, რასაც ის ჯერ 1923 წელს წერდა „საბჭოთა ხელისუფლება დაიწყო და გაუსწრებს კაპიტალისტებს, და ჩვენ მოგებული დავრჩებით არა მარტო წმინდა ეკონომიურად“ (თხზ., ტ. 31, გვ. 560).

უდიდეს წარმატებებს, რომლებსაც სოციალიზმის ქვეყნები განუწყვეტლავ ამრავლებენ, ვეღარ ჩქმალავენ, ვეღარ აქარწყლებენ ჩვენი მტრები, იმპერიალიზმის ქომავანი. ეს მათს ძალეებს აღემატება. ისინი იძულებული არიან ასეთ თუ ისე კიდევაც აღიარონ ჭეშმარიტება. მაგალითად, წამყვანი ამერიკული გაზეთის „ნიუიორკ ტაიმის“ რედაქტორი ტერნერ კტლჯი აღნიშნავდა: „თუ ვილაპარაკებთ ეკონომიური თვალსაზრისით, ჩვენს კუთვებ ვერანოხთ საბჭოთა კავშირის სუნთქვას. იგი ჩვენგან დაცილებულია სულ ბევრი ორი ნაბიჯით — თავისი საბრუნველო ძლიერების განვითარებაში ის ჩამოგვრჩება რაღაც ათეული წლით“.

სსრ კავშირში პროგრესის ტემპები უფრო სწრაფი იქნებოდა, რომ არ არსებობდა ომის საშიშროება და მასთან დაკავშირებული დიდი სამხედრო ხარჯები. როგორც სკკპ XXIII ყრილობაზე აღინიშნა, „საერთაშორისო ვითარების გამწვავების გამო საქორი ვადა დამატებითი სახსრების გამოყოფა ჩვენი ქვეყნის თავდაცვის განმტკიცების მიზნებისათვის“. კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა თავიანთ გადაუდებელ ამოცანად სახავენ ომის საშიშროების ლიკვიდაციას, საყოველთაო განაარალების მიღწევას, ხალხთა შორის მყარი მშვიდობიანი ურთიერთობის დამკვიდრებას.

საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარეობას ჩვენი სოციალისტური წყობილების თვით ხასიათი განსაზღვრავს. საბჭოთა საგარეო პოლიტიკის მიზანი ის არის, რომ უზრუნველყოს სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან ერთად სოციალიზმისა და კომუნისმის აშენების ხელშეწყობი საერთაშორისო პირობები; განამტკიცოს სოციალისტური ქვეყნების ერთიანობა და შეკავშირება, მათი მეგობრობა და მშობა; მხარი

დაუჭიროს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოქმედებებსა და განახორციელოს ყოველმხრივი თანამშრომლობა ახალგაზრდა განვითარებადი სახელმწიფოებთან; თანმიმდევრულად დაიყვას სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპები, გადაწყვეტი წინააღმდეგობა გაუწიოს იმპერიალიზმის აგრესიულ ძალეებს, თავიდან ააცილოს კაცობრიობას ახალი მსოფლიო ომი.

მსოფლიო სოციალურ-პოლიტიკური რუკის მკვეთრად შეცვლამ ბურჟუაზიული იდეოლოგიები გამოთვალ მდგომარეობაში ჩააყენა. მათი წინაპრები ბევრად უკეთესად გრძობდნენ თავს, რადგან მაშინ სოციალიზმი მხოლოდ ერთ ქვეყანაში იყო გამარჯვებული. ახლა სოციალიზმი დედამიწის მტკბორებათა ერთ შესამედზე მეტის ხორცშესხმული პრაქტიკული საქმიანობაა. მთელი მსოფლიოს ასეულ მილიონობით დაბეჭელებული და დაჩაგრული დაშინების სსრ კავშირში, ახალგაზრდა მძლავრ სოციალისტურ სისტემაში ხელავს თავისი სანუკიაროცენებისა და მისწრაფებების განსახიერებას. ამერიკის შეერთებულ შტატების ყოფილი პრეზიდენტი კენედის კი იძულებული გახდა ეღიარებინა, რომ სოციალიზმს უფროა ქვეყნები „დაიპყროს“ რაკეტის გაუსროლელად, მათი საზღვრების გადაუღაზავად. მაგრამ იმპერიალისტურ ბურჟუაზიას აშუაარდ მაინც არ სურს აღიაროს თავისი დამარცხება, რადგან ეს მისი პოლიტიკური თვითმკვლელობა იქნებოდა.

იმპერიალიზმის იდეოლოგია მნიშვნელოვანი ნაწილი ამკობინებს კაპიტალიზმის დაღუპვის პირდაპირი აღიარების ნაცვლად საყოველთაო პესიმიზმს იქადაგებს, ილყანოს ატომური იარაღით მთელი კაცობრიობის, ცივილიზაციის სრული განადგურების „რეალურ“ პერსპექტივაზე. მაგრამ ამ ვებატონებს „აეიწყებდნათ“, რომ მშვიდობის საქმე ხალხებმა თავიანთ ხელში აიღეს და ყოველ ღონეს მხარობენ, რათა არ დაუშვან მსოფლიოში ომი, ერთ უმეტესს — მსოფლიო ატომური ომი; თუ, მიუხედავად ამისა, იმპერიალისტებმა ასეთი ომის ვაანება შეძლეს, ცივილიზაცია საერთოდ მაინც არ დაიღუპება, არამედ თვით იმპერიალიზმი აღიგვება პირისაყვად მიწისა. კომუნისმისაკენ პროგრესს ვერავითარი ძალა ვერ შეაჩერებს.

„სოციალიზმის მსოფლიო სისტემას — აღინიშნა სკკპ XXIV ყრილობაზე, — უდიდესი წვლილი შეაქვს ყველა ხალხისათვის ისეთი საარსებოდ მნიშვნელოვანი ამოცანის გადაწყვეტაში, როგორც არის ახალა მსოფლიო ომის თავიდან აცილება. სრული რწმენით შევიკლია

**კონსტანტინე ბოტოჩავა**

სსრ ტაშვირი და ტაშვირიობის სოციალისტური პროგრესი



განაცხადით, რომ იმპერიალისტ აგრესორთა ბევრი გეგმა იმიტომ ჩაიფუტა, რომ არსებობს აქტიურად მოქმედებს მსოფლიო სოციალისტური სისტემა“.

კომუნისტური პროგრესი მთელი მსოფლიოს თვალწინ ახდენს თავის უპირატესობათა დემონსტრაციას კაპიტალიზმთან შედარებით. თუ მოწინავე კაპიტალისტურმა ქვეყნებმა ინდუსტრიულ განვითარებას 150-ზე მეტი წელიწადი მონადომეს, სსრ კავშირმა ეს მშვიდობიანი შრომის 50-მდე წელიწადში შეძლო. იმპერიალიზმის პირობებში შრომა ბორკილებშია. დემოკრატია აღდენას განიცდის, ე. წ. დაბალ ფენებში — უმუშაო მწარმოებლებში ვერ სიწვევს განათლების სხივი, გაბატონებულია სიღატაკე და ა. შ. სოციალიზმის პირობებში კი პირიქით, შრომა თავისუფალია და ღირსების, დიდების საქმეა. აქ ყოველგვარი ჩაგვრისა და ექსპლოატაციისაგან თავდაღწეული მშრომელები თვითონ განაგებენ თავიანთ ბედს, სოციალისტური სამშობლოს საქმეებს.

კომუნისტური პროგრესი უზრუნველყოფს სახალხო განათლების, კულტურის, მეცნიერების განვითარების საყოველთაოობასა და მაღალ ტემპებს. არც ერთი სოციალიზმამდელი საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაცია არ უზრუნველყოფდა მშრომელთა ნიჟისა და უნარის სრულ განვითარებასა და გაფორმებას. პირიქით, ახშობდა მათ, ზღუდავდა მასების გონებას. მხოლოდ სოციალიზმის, კომუნისმის დროს არის შესაძლებელი მილიონობით მშრომელის ნიჟისა და უნარის, მათი შემოქმედებითი ძალების გამოვლინება და ყოველმხრივ განვითარება, მეცნიერებისა და კულტურის პროგრესის დაჩქარება. ახლა სავსებით გაქარვნილია ექსპლოატატორული კლასების აღარ არსებობა უბედრული მონაპირი, თითქმის შეუცნობელი განვითარება მხოლოდ მკონებელი, ექსპლოატატორული კლასებისაგან გამოსულ ადამიანებს შეუძლიათ. საბჭოთა კავშირისა და სოციალისტურ ქვეყნებში მეცნიერებისა და კულტურის ყუყუებამ საქვეყნოდ ცხადყო ასეთი მსჯელობის სრული უმართებულობა. ახლა ჩვენს ქვეყანაში ათეული მილიონობით გონებრივი შრომის მუშაკია, სოლო მეცნიერ მუშაკთა რაოდენობამ 930 ათასს გადააჭარბა. ეს მუშათა და გლეხთა კლასებიდან გამოსული საბჭოთა ინტელიგენციაა.

თუ როგორ უწყობს ხელს სოციალიზმი საზოგადოებრივი პროგრესის დაჩქარებას, ეს კარგად ჩანს საბჭოთა რესპუბლიკების, მათ შორის საქართველოს მაგალითითაც. საქართველო, რომელიც სოციალისტური რევოლუციის გამაჩქარებამდე ჩამორჩენილი ავტარული ქვეყანა იყო, ახლა მაღალგანვითარებული მიწველობისა და სოფლის მეურნეობის სოციალისტური რესპუბლიკაა. ამჟამად აქ ერთ სულ

მოსახლეზე განვითარებით, იწარმოება ფუცი 3,2-ჯერ მეტი, ვიდრე იაპონიაში, ხაზაქი 2,5-ჯერ მეტი, ვიდრე ინგლისში, ელექტროენერჯია 9-ჯერ მეტი, ვიდრე თურქეთში, რომელიც ტერიტორიის მხრივ 11-ჯერ და მოსახლეობის მხრივ თითქმის 7-ჯერ აღემატება საქართველოს. 1970 წელს რესპუბლიკის 766-მა ელსადგურმა გამოიმუშავა 9 მლრ კილოვატ-საათამდე ელექტროენერჯია, რაც 450-ჯერ აღემატება 1913 წლის დონეს. საქართველო უკვე 1964 წელს აწარმოებდა იმაზე მეტ ელექტროენერჯიას, ვიდრე მთელი საბჭოთა ქვეყანა 1928 წელს. საქართველო აწარმოებს უფრო მეტ ელექტრომაგუნს, ვიდრე ისეთი მოწინავე კაპიტალისტური ქვეყანა, როგორც არის საფრანგეთი.

ჩვენმა რესპუბლიკამ ასევე დიდ წარმატებას მიაღწია კულტურისა და მეცნიერების განვითარებაში. საქართველოში 1970 წელს იყო 19314 მეცნიერ-მუშაკი. უმაღლესი განათლების დარგში მას მსოფლიოში პირველი ადგილი უჭირავს. ყოველ 1000 მოსახლეზე მოდის 38 უმაღლესდამთავრებული. თუ 1913 წელს ერთი ექიმი 7.400 მცხოვრებელს ემსახურებოდა, ამჟამად ათი ათას სულზე 32-ზე მეტი ექიმი მოდის, მაშინ როცა, მაგალითად, ამერიკის შერებულ შტატებში შესაბამისი მაჩვენებელია 12.

მსოფლიო სოციალისტური სისტემის არსებობა ჩამორჩენილ ხალხებს უსახავს ეროვნული აღორძინების გზას, საუფუნობრივი ჩამორჩენილობისა და სიღატაკის ლიკვიდაციის, ეკონომიური დამოუკიდებლობის მიღწევისა და განმტყიცების ნათელ პერსპექტივებს. რა გზით წყვეტს კოლონიალიზმის უღლისაგან გათავისუფლებული ქვეყნები — კაპიტალისტური თუ არაკაპიტალისტური გზით? ეს კითხვა ახლასეულ მილიონობით მშრომელს აღელვებს. მათ საყუთარი გამოკიდლებით იციან, რომ კაპიტალისტური განვითარების გზით წაგვლტანჯვასა და წამებას მოუტანთ, ვერ უზრუნველყოფს ეკონომიკის სწრაფ აღმავლობას. ამავ დროს ისინი ზედავენ, რომ სოციალიზმი ხალხთა თავისუფალი განვითარების გზაა, უზრუნველყოფს ეკონომიკის სწრაფ განვითარებას და მშრომელთა ნამდვილ ბედნიერებას.

კაპიტალისტური პროგრესისაგან განსხვავებით, კომუნისტური პროგრესისათვის დამახასიათებელია უკრიზისო, განუზრვლად მზარდი განვითარება. სოციალიზმმა ბოლო მიუღო კლასობრივ ანტაგონიზმს, ექსპლოატაციასა და ჩაგვრას, მთელი ხალხი უხვად დააჯილდოვა საზოგადოებრივი პროგრესის შედეგებით. ბურჟუაზიული წყობილება უზრუნველყოფს ექსპლოატატორული უმცირესობის გამდიდრებას და იწვევს მილიონობით ადამიანს ექსპლოატაციას, ტანჯვასა და გაღატაკებას. მაგალითად, ამერიკის შერებულ შტატებში მშრომელთა



შრომის მთელი ნაყოფის 60 პროცენტს ვაბა-  
ტონებული ფენა — მოსახლეობის ერთი პრო-  
ცენტი ითვისებს. ასეთ ვითარებაში კაპიტალის-  
ტური ქვეყნების მშრომელთა ლტოლვა სოცია-  
ლისტებისაგან სავსებით გასაგები, ბუნებრივი და  
კანონზომიერია.

ამ რამდენიმე ხნის წინათ ამერიკის შეერთე-  
ბული შტატების საზოგადოებრივი აზრის ინს-  
ტრუქტმა მოაწყო ახალგაზრდობის გამოკითხვა.  
ახალგაზრდებს უნდა გამოეთქვათ თავიანთი აზ-  
რი კომუნისტების შესახებ. გამოკითხვის ორგანი-  
ზატორები მათთვის სრულიად მოულოდნელი  
შედეგის წინაშე აღმოჩნდნენ. ფიქრობდნენ,  
ახალგაზრდობა დაგმობდა კომუნისტს, უარ-  
ყოფდა მის პროგრესულობას. მაგრამ გამოკი-  
თხვის მონაწილეთა თითქმის ნახევარმა გამო-  
თქვა აზრი, რომ 20-25 წელიწადში კომუნისტი  
განიმტკიცებს პოზიციებს მთელ მსოფლიოში.

ყოველივე აღნიშნულიდან ნათელია, რომ  
ძალთა თანაფარდობა მსოფლიო ასპარეზზე  
სულ უფრო და უფრო იცვლება სოციალიზმის,  
მუშათა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი  
მოძრაობის — საერთოდ კომუნისტური პროგ-  
რესის სსაარგებლოდ. და ეს სტიქიური მომ-

რაობა როდია. მას სათავეში უდგანან, ხელმძღვანელებენ  
ვანელობენ, წარმართავენ მარქსისტულ-ლენინ-  
ისტური მოძღვრებით შეიარაღებული კომუნის-  
ტური პარტიები.

იმპერიალიზმი, რომელიც ახლა სულ უფრო  
გამოდის ხალხთა ჯალათის როლში, არა მარტო  
ხელს უშლის საზოგადოების სწრაფ პროგრესს,  
არამედ განადგურებიათაც კი ემუქრება კაცობ-  
რიობას. სწორედ ამიტომ არის, რომ მსოფ-  
ლიოს ხალხები განსაკუთრებული ძალით  
გრძნობენ კაპიტალიზმის დაღუპვისა და კომუ-  
ნისტების გამარჯვების გარდუვალობის შესახებ  
მარქსიზმ-ლენინიზმის დებულების სისწორეს,  
და რაც უფრო მაღე დაემხოზა კაპიტალიზმი  
მთელ მსოფლიოში, მით უფრო დაჩქარდება  
საზოგადოებრივი პროგრესი. ეს შეგნებელი  
აქეთ მსოფლიოს პროგრესულად მოაზროვნე  
აღამიანებს, ისინი, ყველა მშრომელი დაინტე-  
რესებელი არიან კაპიტალიზმის დამსობითა და  
სოციალიზმის, კომუნისტების გამარჯვებით, რის-  
კენაც გზა პირველად ჩვენმა ქვეყანამ სსრ კავ-  
შირმა, დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა  
რევოლუციამ გააყვამ.





## ზუკაბ აუგუნიძე

### ერთი წიგნის თავგადასავალი

ცხრაასი წლის წინათ ბიზანტია მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს და უძლიერეს სახელმწიფოს წარმოადგენდა. ეს უზარმაზარი იმპერია სამხრეთ-დასავლეთით ესაზღვრებოდა ჩვენს ქვეყანას, ხოლო ჩართველთა მიწა-წყლის ერთი ნაწილი, ტაო-კლარჯეთი, უშუალოდ მის ფარგლებში შედიოდა. ბიზანტიის იმპერატორის მეუღლე მარიამი ჩართველთა მეფის ასული იყო. ბუნებრივია, იმხანად ბიზანტიის სამეფო კარზე ჩართველებიც მოღვაწეობდნენ. მათ შორის განსაკუთრებით გაითქვეს სახელი ტაო-ელი ერისთავთ-ერისთავის ბაქურიანის ვაჟებმა გრიგოლმა და აბაზმა.

ერისთავთ-ერისთავი ბაქურიანი ბაგრატიონთა დიდებულ გვარს ეკუთვნოდა. მას და მის ძმას ზეასროვანს ტაოში დიდი მამულები ჰქონდათ და პატივითა და დიდებით იყვნენ მოსილნი. ბაქურიანს ჰყავდა რამდენიმე ასული და ორი ვაჟი — გრიგოლი და აბაზი, ზეასროვანს კი ერთი ვაჟი ჰყავდა, ბიძის სენხია — ბაქურიანი. ერისთავთ-ერისთავი ბაქურიანი ადრე გარდაიცვალა და შვილები შეიარეწლოვანი დარჩა. მისმა მეუღლემ ადგილ-მამული და ქონება უმოთავერსად ქალიშვილებს მისცა მზითვად, ვაჟებს კი ბევრი არაფერი დაუტოვა. ძმები რომ წამოიზარდნენ, გადაწყვიტეს ბიზანტიის სახელმწიფო სამსახურში შესულიყვნენ და ქონება და პატივი ზმლით მოეხვეჭათ. მართლაც ასე მოიქცნენ და დიდ წარმატებებსაც მიაღწიეს. განსაკუთრებით დაწინაურდა უფროსი ძმა გრიგოლი, — ტანმორჩილი, მაგრამ მკვირცხელი, გულადი მეომარი და შორსმჭერტელი სარდალი.

გრიგოლ ბაქურიანის ძე, რომელსაც ბიზანტიაში გრიგოლ ბაქურიანს (ბაქურიანს) ეძახდნენ, სხვადასხვა დროს მსახურობდა იმპერიის ფარგლებში შემავალ მრავალ ქვეყანაში: ყარსში, სომხეთში, იბერიაში, სირიაში, ბულგა-

რეთში. კეთილსინდისიერი სამსახურისთვის მას ბევრგან ჰქონდა მიღებული ადგილ-მამული ბიზანტიის როგორც აღმოსავლეთ (აზიურ), ისე დასავლეთ (ევროპულ) ნაწილში. ცნობილია, რომ კარის (ყარსის) ციხე-ქალაქი და მისი მიმდგომი ქვეყანა გრიგოლმა შემოუტყვევია საქართველოს მეფეს გიორგი მეორეს.

1081 წელს ბიზანტიაში სამეფო გადატრიალება მოხდა: მთავარსარდალმა ალექსი კომნენოსმა ტახტი და ცოლი ერთად წაართვა იმპერატორ მიხეილს. გრიგოლ ბაქურიანის ძე ალექსის მიემხრო და თვალსაზრისით როლი შეასრულა მის გამეფებაში, ახალმა იმპერატორმა უხვად მიავა სამაგიერო თავის ერთგულ დიდებულს: მიანიჭა მას სევასტოსის წოდება და დანიშნა დასავლეთის დიდ დომესტიკოსად, სევასტოსი („ბატონისანი“) კესაროსის შემდეგ ყველაზე მაღალი ტიტული იყო იმდროინდელ საბერძნეთში, დომესტიკოსი კი სამხედრო ოლქის უფროსს ანუ მთავარსარდალს ერქვა. იმ დროს მთელ იმპერიაში სულ ორი ასეთი სამხედრო ოლქი იყო — დასავლეთისა და აღმოსავლეთისა — და გრიგოლი დანიშნა მათგან უფრო მნიშვნელოვანი დასავლეთის ოლქის, ე. ი. ევროპული ნაწილის, მთავარსარდალად.

საკმაოდ მაღალ ხარისხს მიაღწია აგრეთვე მეორე ძმამ აბაზმა. იგი მაგისტროსი გახდა. მაგრამ აბაზს აღარ დასცალდა დამტკბარიყო ამქვეყნიური დიდებით, — ადრე გარდაიცვალა, როცა მისი ძმა გრიგოლი ჯერ კიდევ აღმოსავლეთის ქვეყნებში მსახურობდა. აბაზმა თავისი ქონება და ადგილ-მამული ანდერძით ძმას დაუტოვა და ისურვა, რომ თვითონაც იმ ეკლესიაში დაეკრძალათ, რომლის აგებასაც გრიგოლი აპირებდა.

აღმოსავლეთის მხარეებში სამსახურის დროს გრიგოლს დასავლეთში თავისი ადგილ-მამულის



მართვა ძმისთვის ჰქონდა მინდობილი. უკან დაბრუნებისას მას არც თავისი, არც ძმის ქონება წესრიგში აღარ დახვდა: ვიღაც-ვიღაცებს ესარგებლათ აბაზის სიყვდილით და ბევრი რამ დაეტყაეთ. მაგრამ ძმების სიმდიდრე მაინც აურაცხელი იყო.

სამეფო ვადატრიალებისა და პაპნიკებთან ომში გამარჯვების შემდეგ ქვეყნად ერთხანობას სიმშვიდე ჩამოვარდა. გრიგოლმა დრო იშოვა და დიდი ხნის განზრახვის განხორციელებას შეუდგა. ის ამ დროს უკვე ხანში შესული კაცი იყო და სულის ხნისათვის ზრუნავდა, საამისოდ კი ყველაზე უკეთეს საშუალებად დიდი სიმდიდრისა და უფლებების მქონეს, მაგრამ სიმშობლოსავე მომორბეულ ქართველ კაცს ის ესახებოდა, რომ იქ, უცხოეთში, ქართველთა მონასტერი დაეარსებინა.

გრიგოლმა თავის ვრცელ მამულში საგულდაგულოდ შეარჩია საუკეთესო სამონასტრო ადგილი დღევანდელ ქალაქ პლავდივის ახლოს, რომელსაც მაშინ ფილიპოპოლი ერქვა. რალოზის მთებში, ჩეპელარსკას ხეობაში, მდებარეობდა გრიგოლ ბაკურიანის ძის კლთხილის სოფელი პეტრიწონი, რომელიც ბუნების მრავალი სიკეთით უხვად იყო შემკული: ზომიერი პავა, უხვი წყაროები, ცივი წყალი, შიგ გემრიელი თევზი, მრავალფერი ნაყოფი, ხილი და ყურძენი, ათასგვარი ფხალეული... ასეთი ადგილი სწორედ ზედამოჭრალი იყო მონასტრისათვის.

ადგილი შეარჩია თუ არა, გრიგოლი შეუდგა კიდევ მონასტრის მშენებლობას. მან მხოლოდ თავისი და ძმის დანაზოგი მოახმარა მონასტრის და სხვისი არაფერი გაურია. მუშებსაც კარგ ვასამარჯლოს აძლევდა და უფასოდ არავის ამუშავებდა. სიმდიდრე დიდი ჰქონდა, ძალაუფლება მის ხელთ იყო, მუშახელი და სამუშაო მასალა არ აკლდა. სამონასტრო ნაგებობათა მშენებლობა სწრაფად დაიწყო და 1083 წელს დასრულდა კიდევ.

პეტრიწის მონასტერი შედგებოდა სამი ეკლესიისაგან, ბერების საცხოვრებელი სენაკებისა და სხვადასხვა სათავსებისაგან. მთავარი ეკლესია ღვთისმშობლის სახელზე იყო აგებული, ორი მომცრო ეკლესია კი იოანე ნათლისმცემლისა და წმინდა გიორგის სახელზე. ერთი მთავარი საგანგებოდ ფერდობზე ააგეს და მისი ქვედა სართული საქალღედ ანუ აკლამიდ განაწესეს. აქ გადმოასვენა გრიგოლმა თავისი ძმა აბაზ მავსიტროსი და თვითონაც აქ ისურვა დამარხება. ზედა სართულში ეკლესიის ერთ ნიშაში დღემდე შემორჩა ძველი ფრესკა, სადაც ერთად არიან დახატული ძმები გრიგოლ და აბაზ ბაკურიანის ძენი.

გრიგოლმა თავისი დაარსებული მონასტერი ყველაფრით უზრუნველყო: შესწირა მას სოფლები მრავალი კომლი გლეხით, ციხე-ქალაქე-

ბი, ზვრები და საძოვრები, სათევზაო ტბები, წესილი ქვილი, აუგო სასწილეო ანუ საავადმყოფო სამი სასტუმრო სხვადასხვა ადგილას, დაუარსა სასწავლებელი, სადაც ყოველწლიურად ექვს-ახალგაზრდას უნდა მიეღო სასულიერო განათლება. გრიგოლმა მონასტრის შესწირა აგრეთვე საეკლესიო წიგნები, ხატები, ჯვრები, სამოსელი, — ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაც კი მონასტრის სტირდებოდა. მან თავისი მონასტერი გაათავისუფლა ყოველგვარი გადასახადისაგან, აუკრძალა თავის ნათესავებს მონასტრის საქმეებში ჩარევა და მონასტრის ქონებიდან რაიმე წილის მოთხოვნა. ამრიგად, პეტრიწონის ქართველთა მონასტერი ყოველმხრივ თავისუფალი და დამოუკიდებელი იყო.

მონასტერი გათვალისწინებული იყო 50 ბერისთვის (წინამძღვრის ჩათვლელად), რომელთაგანაც 49 ქართველი უნდა ყოფილიყო და მხოლოდ ერთი ბერძენი, რომლის მოვალეობასაც შეადგენდა ადგილობრივ ხელისუფლებასთან მიწერ-მოეწერა. გრიგოლმა საგანგებოდ აკრძალა ბერძენების დამკვიდრება მონასტერში, რადგან შიშობდა, ქედმაღალმა ბერძენებმა ქართველები არ შეავიწროონ და ჩემი დაარსებული მონასტერი მათ ხელში არ ჩაეარდეს. გრიგოლმა აკრძალა აგრეთვე მონასტერში ქაბუქებისა და საქურისების მიღება, არც იმის ნება დართო, რომ მონასტრის ფარგლებში ქალს ან ცოლიან კაცს ეცხოვრა, ანდა მის მახლობლად დედათა მონასტერი აგებულიყო. ჩანს, თავისი მონასტერი გრიგოლს გათვალისწინებული ჰქონდა ძირითადად ყოფილი ჯარისკაცი ქართველებისთვის, რომლებიც სიკაბუქეში სისხლს ღვრიდნენ ბიზანტიის სამსახურში, სიბერეში კი დაუძლურებულნი და უპატრონოდ დარჩენილნი იძულებული ხდებოდნენ მონასტრის კედლებში ეძებნათ თავშესაფარი. ასეთები მრავლად იყვნენ იმდროინდელ ბიზანტიაში.

გრიგოლმა თავის დაარსებულ მონასტერს შეუდგინა ტიპიკონი, ანუ წესდება, რომელშიც დაწერილებით აღნიშნა, თუ როგორ ასუნდა მონასტერი, რა შესაწირავი, მოძრავ-უძრავი ქონება და ადგილები მიეცა მას. წესდება განსაზღვრავდა, როგორ უნდა წარმოითქულიყო მონასტრის მშათა ცხოვრება, როგორ აერჩიათ წინამძღვარი, ვის რა საქმე და როგორ უნდა ეკეთებინა, სუფრა როგორ უნდა გაეშალათ, გლახაქენი როგორ გაეკითხათ, ავადმყოფებისთვის როგორ მოეცლოთ, სტუმარი როგორ მიეღოთ, დღესასწაულები როგორ ჩატარებინათ, მონასტრის დამაარსებლნი და მათი მიკვალუბლები, აგრეთვე გარდაცვლილი წინამძღვარი და მძანი როდის ეხსენებიათ, როდის

**ზურაბ ჭავჭავაძე**

მრთი წიგნის თარგმანსაგალი



რამდენი სანთელი აენთოთ და ასე შემდეგომ.

ტიპიკონი შედგენილი იქნა ორ ნაწიხე, — ქართულად და ბერძნულად. ქართულად, ცხადია, იმპატორ დაიწერა, რომ მონასტერი ქართველებს ცუფთენოდა, წესდებაჲ ქართველ ბერებს უნდა წაეკითხათ და დაეცვათ, ბერძნული კი სახელწოდება ენა იყო და ამიტომ იფრინდიული ძალად სწორედ ბერძნულ ტექსტს ეძლეოდა.

გრიგოლმა სუფთად გადააწერინა ორივე ტექსტი, თანაც უბრძანა, რომ ბერძნული ორ ცალად დაეწერათ, რადგან ერთი ცალი, მისი გადაწყვეტილებით, შესანახად უნდა გადაეცათ წმინდა პანაგის მონასტრის წიგნთსაცავისათვის ბიზანტიის დედაქალაქში — კონსტანტინოპოლში (დღევანდელ სტამბოლში). სხვათა შორის, გრიგოლს სწორედ ამ მონასტრის ტიპიკონი ჰქონდა ნიშნულად, როცა თავისი მონასტრის წესდებებს აღვენდა. წესდების ერთი ცალს სატახტო ქალაქში შენახავს უნდა დაეცვა იგი ყოველგვარი შემთხვევითობისაგან.

სევასტოსმა და დასავლეთის დიდმა დომესტიკოსმა გრიგოლ ბაქურიანის ძემ თავისი ხელმოწერით დამტკიცა პეტრიწონის მონასტრის წესდება. როგორც ქართულ, ისე ბერძნულ ცალადს ბოლოში წიფით მელნით მან ქართულად მოაწერა: „მტკიცე არიან ზემო წერილი ესე ნებითა ღმრთისაჲთა“. ბერძნულ ცალებზე გრიგოლმა ხელი მოაწერინა აგრეთვე იერუსალიმის პატრიარქს ფეთვიმეს, რომელიც თესალონიკიდან იერუსალიმს მიმავალი სტუმრმა მას ფილიპოპოლში. პატრიარქი იმპერატორ ალექსის ჰყავდა მიწვეული ბერძნებისა და ფრანგების (ნორმანების) დახვედვის საქმეში მონაწილეობის მისაღებად. ცხადია, გრიგოლ ბაქურიანის ძემ ვითარცა მთავარსარდალს მონაწილეობდა ამ მოლაპარაკებაში. მან ისარგებლა შემთხვევით და უკან დაბრუნებისას პატრიარქი ფეთვიმე სტუმრად მიიწვია, აჩვენა თავისი ახლად აშენებული მონასტერი, აცურთხებინა იგი და მონასტრის წესდებაჲ მისი ხელმოწერით განამტკიცა.

წესდების დამტკიცების თაობაზე შიგნითაჲთა: „დაიწერა უკუე და დამტკიცა წესი ესე განგებნისაჲ ამის პატრიონისა მონასტრისა ჩუენისა ღმრთისშობელისა პეტრიწონისაჲ ბრძანებითა ჩემ გრიგოლ სევასტოსისა და დიდისა დომესტიკოსისა ყოვლისა დასავლეთისა მიდამოსა, მისა ბაქურიანისაჲთა, მამუნებლისა ზემო თქუელისა ამის მონასტრისა და ეკლესიისა, წერილითა ბერძნულითა და ქართულითა, თუესა დეკრეტორსა, მუშვიდსა ინდიკტიონისა, დასაბამითგანთა წელთა ექვს ათას ხუთას ოთხეოც და მეთორმეტესა. და ქუე მოთა წარიწერნეს კელითა. ჩემითა ზემოქსენებულისა გრიგოლისითა ყოველნივე ესე ტიპიკონი, ხოლო ბერძნულნი ორნივე წარიწერნეს შემდეგომად ჩემისა

დაწერილისა წმიდისა პატრიარქისა კონსტანტინოპოლისა ღმრთისა ეფთჳმესითა“. 811 წ. 1101 წ. აქ მოხსენებული თარიღების დღევანდელ სათვალავზე გადმოყვანით გამოდის, რომ პეტრიწონის წესდება შედგენილი და დამტკიცებულია 1033 წლის დეკემბერში.

ამის შემდეგ სამ წელსაც არ გუვლია, რომ გრიგოლ ბაქურიანის ძე პაპნიკებთან ომში დაიღუპა. მისი ცხედარი პეტრიწონში გადასვენეს და მის მიერვე აშენებულ საძვალეში ამის გვერდით დაკრძალეს. მას აქეთ ავტრუქე ცხრაასი წელი სრულდება. ამ წინს მანძილზე პეტრიწონის მონასტრისაჲ და მის ტრიპკონსაც ბევრი რამ გადახდა თავს.

ტიპიკონის ბერძნული ტექსტის ერთი ცალი, როგორც ვანზარახული იყო, შესანახად გადაეცა პანაგის მონასტრის კონსტანტინოპოლში. მისი შემდგომი ბედი უცნობია; ბერძნული ტექსტის მეორე ცალი და მასთან ერთად ქართულიც, თავისთავად ცხადია, მონასტერში დარჩა. იგი ყოველწლიურად რამდენჯერმე თაფიდან ბოლომდე ხმაშილია უნდა წაეკითხათ, რათა ყველას კარგად დაეხსომებინა და მტკიცედ დაეცვა.

პეტრიწონის მონასტერში დიდხანს ერთგულად სრულდებოდა დამაარსებლის ანდერძი და ის წესები, რომელთა დაცვასაც გრიგოლი მოითხოვდა. მონასტერი უცხოეთში ქართველთა თავშესაფრად და ქართული კულტურის თვალსაჩინო კერად იქცა. ამ მოღვაწეობდა დიდი ქართველი ფილოსოფოსი იოანე პეტრიწი, რომელიც შემდეგ ახლად დაარსებულ ველათის აკადემიაში იქნა მიწვეული. პეტრიწონის ტაძრის გუმბათს დღესაც ამშვენებს ყვარო, რომელსაც ქართულად აწერია: „ქლევად ცე. ი. გამარჯვება“ იესუ ქრისტისაჲ“. აქვე დღემდე არის დაცული ქართველი ხატა, რომელიც ტიპიკონსაჲ მძებმა ათანასიმ და ოქროპირსა მოაქედინეს 1311 წელს. ჩვენამდე მოაღწია აგრეთვე პეტრიწონში გადაწერილმა ერთმა ქართულმა ხელნაწერმა, რომელიც XIV საუკუნით თარიღდება. ეს ხელნაწერი პეტრიწონიდან როგორც სევანეთში მოხვედრილა, ამჟამად იქ თბილისში ხელნაწერთა ინსტიტუტშია დაცული. პეტრიწონში გადაწერილი სხვა ქართული წიგნები და აგრეთვე გრიგოლ ბაქურიანის ძის მიერ შეწერილი წიგნები, რომელთა შემწირობების საში საქმად ბევრია ჩამოთვრილი, დღეს აღარსად ჩანს. გადაარჩა მხოლოდ პეტრიწონის ბერძნული ხელნაწერები, გადაწერილი XI-XIV საუკუნეებში. ისინი ჯერ სოფლის საეკლესიო მუზეუმში გადაუტანიათ, მეორე მსოფლიო ომის დროს კი რილოს მონასტერში გაუხიზნიათ.

რაც შეეხება თვითონ ტიპიკონს, ის რომ ხშირი ხმარებისაგან არ გაცვეთილიყო, XIII საუკუნეში მისი ასლი გადაუღიათ, ქართული



და ბერძნული ტექსტი ერთ ყდაში ჩაუხვიათ და ისე შეუნახიათ. ამ სწორედ ამ წინააღმდეგობაზე დასველებული და ასე დაწერილებით შემოგვინახა პეტრიწონის საეპისკოპოსოსი.

XVII ს. დასაწყისში პეტრიწონის მონასტერი ვინმე გრიგოლს თუ გიორგის განუხლებია. ამ დროს ბულგარეთს თურქეთის უღელი ედგა. ბულგარეთის ეკლესია კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს ექვემდებარებოდა, რაც ხელს უწყობდა ეკლესიაში ბერძენთა ბატონობას. გრიგოლ ბაქურაიანს ძის სურვილის საწინააღმდეგოდ, ახლა მის დაარსებულ მონასტერში ყოფნას ბერძენებს აღარ უშლიდნენ. გამართლდა გრიგოლის შიში და მალე ბერძენებმა მთლიანად დაისაჯურეს მონასტერი.

მონასტრის განმარტებელმა შეაყვინძურა ეკლესიები და სხვა შენობები, დააწესა ახალი სა-მონასტრო დღესასწაული. ახალი სარგო გაუჩინა ბერებს, მონასტრისაც სახელი შეუცვალა და ბაქოვოს მონასტერი უწოდა, რადგან ამ დროს უკვე სოფელ პეტრიწონს ბაქოვოს ეძახდნენ (წინათ ეს სახელი ერქვა სოფელ პეტრიწონის ერთ-ერთ საყანე ადგილს — ავარას, რომელიც გრიგოლ ბაქურაიანს ძემ მონასტრის შესწირა).

ყოველივე ამის გამო, ცხადია, მონასტრის წესდებაც შეიცვალა. ამიერიდან ძველი წესდება დარჩა მხოლოდ ვითარცა მონასტრის ისტორიის ამსახველი დოკუმენტი. მასში დროდადრო ჩანაწერებს აკეთებდნენ მონასტრის საპატრიარქოს სტუმრები, სასულიერო, ტიპიკონის ქართული ტექსტის ბოლოს მოთავსებულია იერუსალიმის პატრიარქის დოსითეოსის ჩანაწერი, გაკეთებული 1669 წლის 15 ოქტომბერს. ჩანაწერი ბერძნულია, მაგრამ დოსითეოსს ქართული წერა-კითხვაც სცოდნია და ხელი ქართულად მოუწერია: „ქ. იერუსალიმის დოსითეოსი“.

იმავს გვერდზე არის იერუსალიმისვე პატრიარქის ხრისანთეს ჩანაწერი. გაკეთებული 1720 წლის 7 აპრილს.

აქვეა ახალციხელი მღვდლის იოვანე მარკოზისშვილის ჩანაწერი ნუსხური ხელით. იგი 1702 წლის აგვისტოთი თარიღდება.

სხვა ადგილას ვიღაც სომეხს აღუნიშნავს თავისი ვინაობა: „შე ქურდელი არუთინ გეხემ ძე ხაჭურავსა“. მინაწერი XVIII საუკუნისაა და აღბათ მონასტერში სალოცავად მისულ პირს ეკუთვნის.

უემოსხენებულ ხრისანთე პატრიარქს, რომელიც 1720 წელს აღდგომის დღესასწაულზე ყოფილა პეტრიწონის მონასტერში, იქიდან წაჩედილა მონასტრის წესდების ბერძნული ტექსტის ასლი. შესაძლოა ეს ასლი სულაც მისი ბრძანებით დაამზადეს. მაგრამ სიჭარბის ბრალად იყო თუ სხვა რამ მიზეზი, ასლის გადაღებისას, მასში საკმაოდ ბევრი შეცდომები მოსულიათ და თანაც ორიოდ ადგილი „შეუს-

წორებიათ“. კერძოდ, გრიგოლ ბაქურაიანს ქვეანდერძში, სადაც ეწერა, რომ წესდება შედგენილია ქართულად და ბერძნულად და ხელმოწერილია ჩემ მიერო, ჩაუმტებიათ, თითქოს წესდება სომხურადაც. დაიწერა და მის ხელი გრიგოლმა სომხურად მოაწერა. ამ „შესწორებამ“ შემდგომში დიდი გაუგებრობა გამოიწვია და მის საფუძველზე აკად. ნ. მარმა მთელი თორია აავთ, თითქოსდა გრიგოლ ბაქურაიანს სომეხი ქალკედონიტი იყო.

1782 წელს ვიღაც უცნობ პირს პეტრიწონის ტიპიკონი ძველი ბერძნულიდან ახალზე უთარგმნია. საუკუნეზე მეტ ხანს ეს თარგმანი დედანთან ერთად ინახებოდა — პეტრიწონში, შემდეგ კი მასთან ერთადვე ეუნძულ ხიოსზე მოხდა. გასულ საუკუნეში, ვიდრე ორივე ეს ხელნაწერი (ძველი დედანიც და მისი თარგმანიც) ჯერ კიდევ პეტრიწონში იყო, ტაპიკონით დაინტერესდა ბერძენი მკვლევარი გიორგი მუსესოსი და მოინდომა მისი გამოცემა. მაგრამ მას ძველი ტექსტი არ გამოუჩინეს. არამედ მისცეს 1782 წელს შესრულებული თარგმანი, რომელიც გ. მუსესოსმა შეისწავლა და გამოსცა 1888 წელს. აქედან იწყება ტიპიკონის მეცნიერული კვლევის ისტორია.

შემდეგ პეტრიწონის ტიპიკონით დაინტერესდა დრანგი მეცნიერი ლუი პეტეტი (Petit — ეს გვარი ქართული დაწერილობით გვხვდება როგორც პეტეტი, ასევე პეტი და პტი). მან დიდი ძიებისა და ვაიფაგაბის შემდეგ ბუქარესტის ერთ ხელნაწერთა კოლექციაში მიაკვლია პეტრიწონის ტიპიკონის ძველი ბერძნული ტექსტიდან გადაღებულ ასლს. მისი აზრით, ეს სწორედ ის ცალია, რომელიც ხრისანთე პატრიარქმა წამოიღო პეტრიწონიდან 1720 წ. ლ. პეტეტიმ ეს ტექსტი სათანადო გამოკვლევითურთ გამოაქვეყნა 1904 წელს რუს ბოზნატიანისთა ორგანოში «Византийский Временник»-ში.

გასული საუკუნის 70-80-იან წლებში ვიღაცას პეტრიწონის ტიპიკონის ქართული ტექსტის ასლიც გაუქურდებია, აღბათ იმ მიზნით, რომ გაეყვია. როგორც ჩანს, მას ქართული ცუდად სცოდნია ან სულაც არ სცოდნია და ტექსტი დედნიდან ასო-ასოდ გაძმოუწერია, ამიტომ შიგ ბევრი შეცდომა მოხვლია. ეს ახალი ხელნაწერი 1892 წლამდე მონასტერში ინახებოდა, შემდეგ კი სოფლის სინოდალურ ბიბლიოთეკას გადაეცა ქვემოხსენებული მიზეზის გამო.

XIX ს. ბოლოს ბულგარეთმა გადაიგდო მონიბის უღელი. იმ დროს ბაქოვოს (პეტრიწონის) მონასტერი ბერძენებს ეკავათ; მაგრამ ბულგარელები ედაეებოდნენ და მოსალოდნელი იყო, რომ მონასტერი მათ ხელში გადაე-

**ზურაბ ჟუმაზურიძე**  
მრთი წიგნის თარგმანის ავტორი



დოდა. ბულგარელები შიშობდნენ, ბერძენებმა იქიდან არაფერი გაიტაცონო. ამიტომ ბულგარეთის სახალხო განათლების სამინისტრომ აღწერა მონასტრის ქონება და მათ შორის ხელნაწერები და ძველი ნაბეჭდი წიგნები 1892 წელს გადაეცა სოფლის სინოდალურ ბიბლიოთეკას. მაგრამ მანამდე ბერძენმა ბერებმა მაინც მოახერხეს ზოგი რამის დამალვა. პირველ რიგში გადაამალეს მონასტრის ტიპოგრაფის ძველი ქართულ-ბერძენული ხელნაწერი, რადგან იგი სწორედ ბერძენების წინააღმდეგ დალაგებდა და სადავო საკითხს ერთბაშად დადწყვეტდა ბულგარელების სასარგებლოდ. იქ ხომ გრიგოლ ბაქურაიანის ძე პირდაპირ მოითხოვდა, ჩემ დაარსებულ მონასტერში ბერძენებს ერთის მეტს ნუ გააჭაბანებთო. ამიტომ ეს ტიპოგრაფი მონასტრიდან სასწრაფოდ წაიღეს და დამალეს კორაიანის სახელობის ბიბლიოთეკაში კუნძულ ხიოსზე, რომელიც იმ დროს ოსმალეთის ფარგლებში შედიოდა (1912-13 წლების ბალკანეთის ომის შემდეგ იგი საბერძნეთს მიეკუთვნა). ტიპოგრაფის ქართულ-ბერძენულ ხელნაწერთან ერთად ხიოსზე დამალეს მისი ახალი ბერძენული თარგმანიც. ალბათ იქვე წაიდებდნენ ტიპოგრაფის ქართული ტექსტის ასლსაც, რომ სცოდნოდათ, რას წარმოადგენდა იგი.

კორაიანის ბიბლიოთეკის კატალოგში ჩვენს ქართულ-ბერძენულ ხელნაწერი ჩაუწერიათ ვითარცა სომხურ-ბერძენული. მეცნიერები დიდხანს ამაოდ ეძებდნენ ამ ხელნაწერს.

კუნძულ ხიოსზე დაცულ პეტრიწონის მონასტრის ხელნაწერებს მეორე მსოფლიო ომის წინ ვასცნობია ბერძენი ისტორიკოსი კ. ამანტოსი და მათ შესახებ მოხსენებით გამოსულა ათონის მეცნიერებათა აკადემიაში 1938 წლის 17 თებერვალს. იმავე წელს ეს მოხსენება დაიბეჭდა კიდევ. გამოკვლევას დათმული ჰქონდა ტიპოგრაფის ქართული ტექსტის პირველი და უკანასკნელი გვერდების ფოტოსურათები.

ეს გამოკვლევა რომ წაუეთხავს, ერთ ბერძენს მოუხდომებია ხელი მოეხთეს ამ საქმეზე. მან იცოდა, რომ უცხოეთში იყვნენ ქართველები, დანიტერესებულნი საზღვარგარეთ დაცული ქართული სიმეველებით. მათ კ. ამანტოსის გამოკვლევა ჯერ არ ექნებოდათ წიათხელა. ამიტომ ამ ბერძენმა გააკეთა ტიპოგრაფის იმ ორი გვერდის ფოტოსურათი, რომელიც კ. ამანტოსის გამოკვლევაში იყო ჩართული და გაუგზავნა ბერლინში აკაკი და თამარ პაპაევებს, მაგრამ აკალის დასაბნევად მისწერა, თითქოს ხელნაწერი მან ნახა კვიპროსზე, თან მოსთხოვა, ჩემი წერილი და ფოტო მაღე უკანვე დამიბრუნეთო. აკაკი პაპაევამ ეს წერილი და ფოტო გაუგზავნა საფრანგეთში ქართულ სიმეველეთა უდიდეს სპეციალისტს ექვთიმე თაყაიშვილს. პროფ. ექვ. თაყაიშვილმა ივარაუდა, პეტრიწონის ტიპოგრაფი კვიპროსზე ალბათ ძველ

ქართულ მონასტერში — ლალიაშვილმეცნიერულად და აცნობა პაპაევებს, ყოველწინაწინააღმდეგადად, რომ ამ წერილის ავტორმა ჩვენი ხარკით გავციკეთოს ტიპოგრაფის ძველი ხელნაწერის ფოტოები და გამოგვიგზავნოსო. მაგრამ ამასობაში მეორე მსოფლიო ომი დაიწყო და ეს საქმე ჩაიშალა.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ ხიოსზე დაცულ ხელნაწერს გაეცნო სოფლის უნივერსიტეტის პროფესორი ვსევოლოდ ნიკოლაევი და მის შესახებ ორი გამოკვლევა გამოაქვეყნა ბულგარეთის ისტორიის ინსტიტუტის მოამბეში. ამ გამოკვლევების წყალობით ჩვენშიაც ცნობილი გახდა, რომ პეტრიწონის მონასტრის ტიპოგრაფი კუნძულ ხიოსზე კორაიანის სახელობის ბიბლიოთეკაში მოხვედრილა. მაგრამ მანამდე ჯერ ის ასლი იქნა ნაპოვნი, რომელიც სოფლის სახელმწიფო ბიბლიოთეკაში ინახებოდა.

როგორც ზემოთ ითქვა, ბაჩკოვოს (პეტრიწონის) მონასტრის თაობაზე ბერძენებსა და ბულგარელებს შორის ატეხილი დავის დროს მონასტრის კუთვნილი ხელნაწერები და ძველი ნაბეჭდი წიგნები სოფლის სინოდალურ წიგნთსაცავს ჩააბარეს სითი. სიაში სულ 26 ხელნაწერი და ნაბეჭდი წიგნი შედიოდა. მათ შორის უკანასკნელ ნომრად შეტანილი იყო „საეკლესიო სომხური წიგნი. ცნობილი არ არის, როდის დაიწერა“. სინამდვილეში ეს იყო პეტრიწონის ტიპოგრაფის ქართული ტექსტის ასლი, რომლის შესახებაც ზემოთ გვექონდა საუბარი. უფრო მოგვიანებით სოფლის სახელმწიფო ბიბლიოთეკის ხელნაწერებისა და ძველი ნაბეჭდი წიგნების აღწერილობაში ამ ხელნაწერის შესახებ ნათქვამია: „ხელნაწერი წიგნი უცნობ ენაზე ახალი დროისა... ნაწერი სომხურს ჰგავს, მაგრამ სომხური არ არის“.

1936 წელს სოფიაში ყოფილა და ეს ხელნაწერი უნახავს ვარკაშის უნივერსიტეტის პროფესორს გრიგოლ ფერაქეს, რომელსაც, რასაკვირველია, არ გაუჭირდებოდა დაედგინა, რომედ ენაზე იყო დაწერილი და რა შინაარსისა იყო იგი. ვინ იცის, იქნებ მის გამოცემაზეც ფიქრობდა, მაგრამ მსოფლიო ომმა შეუშალა ხელი. ამ ომის დროს გრ. ფერაქე გერმანელმა ფაშისტებმა იმსხვერპლეს ვარკაშაში.

1949 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ მოაწყო სამეცნიერო ექსპედიცია ბულგარეთში აკად. აკაკი შანიძის, აკად. ნიკო ბერძენიშვილისა და დოც. ოთარ გიგინეიშვილის შემადგენლობით. სოფლის სახელმწიფო ბიბლიოთეკაში ექსპედიციის წევრებს უჩვენეს მომსწრო ხელნაწერი, რომელიც ბიბლიოთეკის კატალოგში შეტანილი იყო ვითარცა უცნობი შინაარსის სომხური წიგნი. იგი სწორედ ზემოხსენებული ტიპოგრაფის ქართული ტექსტის ასლი აღმოჩნდა. ექსპედიციის წევრები დიდად



ვახარა ამ ხელნაწერის პოვნამ, რადგან მაშინ მისი დედნის ასავალ-დასავალი ცნობილი არ იყო.

ამ ხელნაწერის მიხედვით ტიპიკონის ქართული ტექსტი გამოსცა და ლათინური თარგმანი დაურთო უცხოეთში მოღვაწე ქართველმა მეცნიერმა მიხეილ თარხნიშვილმა 1954 წელს. მაგრამ, როგორც ვიცი, ხელნაწერი ქართული უცხოელთა პირის მიერ იყო გადაწერილი და ბევრი შეცდომა ახლდა. მ. თარხნიშვილმა ზოგი რამ გაასწორა, მაგრამ ყველაფრის გასწორება შეუძლებელი იყო. სხვას რომ თავი დავანებოთ, მკვლევარს როგორ უნდა აღედგინა ის ადგილები, რომლებშიც გადაწერის გამორჩენილია? მ. თარხნიშვილმა იცოდა, რომ ტიპიკონის ძველი ქართულ-ბერძნული ნუსხა კუნძულ ხიოსზე იყო დაუცული, მაგრამ მისი გაცნობა ვერ შეძლო.

მ. თარხნიშვილის მიერ მოწოდებული ცნობების მიხედვით ხიოსის ხელნაწერის ფოტოპირების მისაღებად ზრუნვას შეუდგა აკად. აკაკი შანიძე. ეს იყო ჯერ კიდევ 1953 წელს. მიწერ-მოწერა კარგა ხანს გაგრძელდა. ბოლოსდა-ბოლოს მიღებული იქნა ჯერ ბერძნული და შემდეგ ქართული ტექსტის ფოტოპირები.

ტიპიკონის ბერძნული ტექსტი გამოსცა აკად. სიმონ ყაუხჩიშვილმა 1963 წელს, დაურთო მას ქართული თარგმანი, გამოკვლევა და სათანადო შენიშვნები.

სულ ახლახანს აკად. აკაკი შანიძემ გამოსცა ტიპიკონის ქართული რედაქცია, დაურთო მას რუსული თარგმანი, ვრცელი გამოკვლევები ქართულ და რუსულ ენებზე და ბრწყინვალე სამეცნიერო აპარატურა. წიგნი გამოვიდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის "ძველი ქართული ენის ძეგლების" სერიით.

ამ წიგნის გამოცემით დასრულდა ის გრძელი და მიხვეულ-მოხვეული გზა, რომელიც გამოიარა ქართულმა ხელნაწერმა ცხრა საუკუნის მანძილზე. ამ გზის ხვეულება ახლა ხელის-გულეობით მოჩანს სწორედ აკაკი შანიძის ორი-ათეული წლის დაუღალავე კვლევა-ძიების შედეგებით.

ა. შანიძემ მისთვის დამახასიათებელი დინჯა და ყოველმხრივი ფილოლოგიური ანალიზით გზით გარკვეა გრიგოლ ბაქურიანის ძის პეტრიწონის მონასტრისათვის შედგენილი ტიპიკონის ქართული და ბერძნული ტექსტების ურთიერთობა, დაადგინა, რომ გარკვეული ცვლილებები შეუტანიათ გვიანდელ ბერძნულ ხელნაწერში, ქართული ტექსტი კი პირვანდელი სახით არის დაცული. საფუძველი გამოეცალა ნ. მარის თეორიას, რომელსაც ზოგი სხვა მკვლევარიც ბეჭითად იმეორებდა, თითქოს გრიგოლ ბაქურიანის ძე ტაოელი სომეხი იყო დიოფი-ზიტური სარწმუნოებისა და თავისთვის ქართულს უწოდებდა მხოლოდ სარწმუნოების გამო. როგორც ა. შანიძე აღნიშნავს, გრიგოლის ქართველობა არაერთგზის არის ხაზგასმული ტიპიკონის ტექსტში. მას თავი მოაქვს, რომ „ქართველნი ვართ ნათესავთ მკენნი და მკედრობით აღზრდილნი და მარადის ქირვეულსა ცხოვრებასა ჩუეულნი“ როგორც ვხედავთ, აქ ლაპარაკია ნათესავით, ე. ი. ტომით, ერთენ-პით ქართველობაზე და არა სარწმუნოებაზე. ამრიგად, საბოლოოდ გაიფანტა ბურუსი გრიგოლ ბაქურიანის ძის პიროვნების გარშემო და ეს დიდი მოღვაწე და ქართველი პატრიოტი ახლა უფრო ნათელი სახით წარმოდგა ჩვენს წინაშე.

წიგნში წარმოდგენილია ტიპიკონის ენობრივი მიმოხილვა და ვრცელი ლექსიკონი, სადაც გარკვეულია მრავალი სიტყვის არა მარტო მნიშვნელობა, არამედ ეტიმოლოგიაც. აღარაფერს ვიტყვით იმ გამოკვლევების შესახებ, რომელიც წიგნს დამატების სახით ერთვის და პეტრიწონის მონასტრის ქართულ წარწერებს შეეხება.

ერთი სიტყვით, პეტრიწონის ქართველთა მონასტრის ტიპიკონი, შედგენილი გრიგოლ ბაქურიანის ძის მიერ, ეს ბრწყინვალე ძეგლი ძველი ქართული ენისა, მართლაც ისეა გამოცემული, როგორც მას ეკადრება.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭომ აკად. აკაკი შანიძეს ამ ნაშრომისათვის ივანე ჯავახიშვილის სახელობის პრემია მიანიჭა.



## ჯუმაჯი თითხარია

# დოკუმენტური უმჯობობა

ისტორიულ-რევოლუციური თემატიკა ყოველთვის აქტუალური იყო საბჭოთა მწერლობაში. სოციალური თავისუფლებისათვის ბრძოლისა და ახალი ადამიანის ჩამოყალიბების ურთულესი პროცესები აისახა ბევრ შესანიშნავ ნაწარმოებში. ქართული საბჭოთა მწერლობის მიღწევები ამ სფეროში თვალსაჩინოა და საყოველთაოდ აღიარებული.

ისტორიულ-რევოლუციური თემატიკა რჩება ჩვენი მწერლობის შთავონების წყაროდ, რადგან საბჭოთა ადამიანის ჰეროიკული სული ახალი ძალით დამკვიდრებასა და განვითარებას მოითხოვს, მაგრამ, ვინაი რომ, ზოგიერთი ავტორი ეფარება თემის აქტუალობას და უღიმღამოდ, უფეროდ, საესკეზით არააქტუალურ წიგნებს სთავაზობს მკითხველებს.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“ 1966 წ. სამი ათას ცალად გამოსცა ილია მელქაძის, როგორც საგამომცემლო ანოტაცია ვეაუწყებს, „მხატვრული ნარკვევი“ — „კოლხეთის ვარსკვლავი“, ავტორ ახლანდ კი, „მერანამ“ 10.000 ცალად კვლავ დაბეჭდა იგივე წიგნი, ოღონდ გაერცობილი და გადაამუშავებული, — წიგნს ახლა „ციხრის ვარსკვლავი“ ჰქვია და დოკუმენტურ მოთხრობადაა მიჩნეული. ეს მეტამორფოზა გედექტრებიანებს, რომ ადვილი შესაძლებელია „ციხრის ვარსკვლავი“ მორიგ გამოცემაში რომანად მოგვევლინოს.

წიგნის წინათქმვაში შავით თეთრზე წერია „ეს წიგნი ჩვენი ხალხის გმირული ბრძოლის მატარის ერთი ფურცელია“. მაშ, თუ ასეა, ქართველმა მკითხველმა, ჩვენმა ახალგაზრდობამ აუცილებლად უნდა გაიცნოს იგი...

...ამ ნაწარმოებში საოცარი სულიერი მეტამორფოზა ხდება. ადამიანები სხვაფერდებიან მექანიკურად, ჯადოსნური კვრთხის ერთი მოქმევი. თანაც საქმე შეეხება პიროვნების კონცეფციის, მრწამსის შეცვლას, არაკაცების იარაღით ხელში დადგომას ბარიკადების აქეთა მხ-

არეს. მაგრამ ეს გარდასახვა პიროვნებისა, ეს მუორედ დაბადება ფსიქოლოგიურად საესეზოთ დაუსახებუებელია, თვით სიტუაცია თითოდაც გამოწოვილია და, დოკუმენტურობისა რა მოგახსენოთ, გვარიანად მელოდრამულია, ოღონდ იმგვარად მელოდრამული, ძალზე გულუბრყვილო მკითხველსაც მხოლოდ უხებრხელ ღიმილს რომ მოჰკვრის.

ძველ გვახარისა და ხუტა ვერუღავს „გარევოლუციონერობაზეა“ საუბარი. (ისე კი, სადაც წესი და სამართალია, პერსონაჟების სახელისა და გერის შერჩევისას ავტორს თანამედროვეთა მიმართ მეტი ტაქტი უნდა გამოქიანდ). მაინც ვინ არიან ესენი?

ჩამოყალიბებული ყალბბანდები და ყომაზბაზები.

ძველ და ხუტა თამაშის დროს წაეკიდნენ ერთმანეთს. თერმე, ძეკუსთვის ცოლს უთქვაშა ან ნარდისა და ბანქოს თამაშს უნდა დაანებოთ თავი ან ერთმანეთს გაეყაროთო. ხუტამ ძეკუს უბრძანა: მიხვალ თუ არა შინ, იმ ცოლს პანლური ამოქარი და გაავადეო.

ამაზე ძველმ შუბლი შექმუხნა და საკამოდ მკვახედ უბასუხა:

„ცოლი ზოგსავით ქუნაში კი არ მიზოგნია, რომ პანლური ამოყერა, მასე შენ მოექციე შეს ცოლს“. (გვ).

რალა თქმა უნდა, „ხუტას ხელში ხანჯალმა იელვა. თუ არა ჯებებს სიმარდე, ძეკუს ნამდვილად გულ-მუცელს გამოუფატრავდა“ (ჩვე).

ხუტა ვადარიეოდა, აბა, რა: „ხუტას ცოლი აღერ საევეო ყოფაქცივის ქალი იყო და ეს მოელმა სოფელმა კი არა, ახლომანლო მიდამოებშიც კარგად იცოდნენ, ხუტას შეუყვარდა და ცოლად შეირთო“. რაც მართალია, მართალია, „თამარი მშვენიერი დიასახლისი და მეუღლე გამოლგა თვისი წესიერებით, ყოფაქცივითა და გულკეთილობით ყველას გული მოინადირა“...

რა ქანს ხუტამ? ძველ უნდა მოკლას. მაგრამ,

ჭებუნი არ იყო, „ხანჯლის ერთ გაქნევას და კაცის გათავებას ერთი წამი უნდა. მერე — ციხე და მისი ჩანის (127 გვ.).

სწორია. ჯერ დრო უნდა გავიდეს, მერე ქვა-ცა (ერთი ჭიჭა არაყისთვის ცხრა მთას გაივლის) „ოთერწვერა აღმასხანის“ სასადილო „სიციცხლეში“ უნდა დათრონ და აქ, „სიციცხლეში“ (ბედის დაცინვია, აბა, რაა! — ჯ. თ.), უნდა შემშვადეს ძუქუს მოკვლის გეგმა. შემშვადე. ქვაცას ძუქუს ნადრობის დროს, ეითომ შემსხვევით, უნდა მოეკლა. ქვაცა ერთი ჭიჭა არაყისთვის ცხრა მთას გადაივლიდა, მაგრამ ძუქუ ვერ მოკლა. ახლა ხუტამ და ჯებუმ ქვაცა უნდა აუვონ ანდერძი:

— ხუტამ მოვიყვანე სიტყვის გამტეხი, ლაჩარი. ვანაჩენი შენ გამოუტანე. მე კი... — ქვაცას თავზარი დაეცა“ (132 გვ.).

მაგრამ ხუტა გახარებულა, რომ ქვაცამ ძუქუ ვერ მოკლა:

— აბა, რა ვეკაცობაა, კაცის ჯერი გვირდეს და ეს ჯერი სხვისი ხელით ამოიყარო. ძუქუს მე თვითონ უნდა გავუსწორდე... მე თვითონ!“  
შაინც?

„მის ეინს ნუნუხე ვიყრი (იქვე).  
ნუნუ ძუქუს ცოლია.

მერე (155 გვ.): „გამართა ბრძოლა, ხუტამ ჩამოაწყვიტა ყელსაბამი და კაბა შემოახია, ქალს მკერდი და მხრები გამოუჩნდა. ამან ხუტა სულ გაამხეცა. ხელში აიტაცა და ტახტზე დააწვი-ნა“. მაგრამ „ბედად ოთახში ანტისა გამოჩნდა“. ელუარეუბანიანი „ანტისა გამწარებული მიადვა ხუტას:

„კაცი ხარ შენ ამის შემდეგ?“

გაზილვებულმა ხუტამ იხტიბარი არ გაიტეხა და ნაშალადევად გაიცინა:

„გგონიან რომ შემაშინეთ, არა? მეტი არ არის ჩემი მეტი? შემოიღია ვე დანა ისე ავართვით, თვალის დახამაშებასაც კი ვერ მოასწრებთ. მაგრამ ვეკაცი ვარ და ქალთან ჭიდილი არ მეკადრება!“ (156).

აი, ასეთი ხუტა შინ მიდის, მან „დაკვირვებით გადაავლო თვალს თავის მოქმედებას, აწონდაწონდა იგი და მიხედა, რომ თავაწყვეტილმა დროსტარებამ დააკარგინა ადამიანური ღირსება...“ (იქვე). რას ვედავებით ავტორს: პერსონაჟმა დაკვირვებით ასწონდასწონა და მიხედა...

ავტორმა უკვე თქვა, რომ „ადრე საეჭვო ყოფაქცევის“ თამარმა „წესიერებით, ყოფაქცევითა და გულკეთილობით ყველას გული მოინადირა...“

თურმე მეტიც უქნია. შინმოსულ ხუტას იგი მიახარებს: სოფელში მოწყალეობის დების რაზმი შექმნეს და მე რაზმის უფროსად ამირჩიეს. ზის ახლა იგი, „შვენიერი დიასახლისი და მეფულე“, თან თუთარ ხალათს იყვრავს და თან ქმარს შეჭმნილ ვითარებაზე, რევოლუციური კომიტეტებისა და სახალხო სასამართლოების

სექშიანობაზე კვალიფიციურ ლექციას ჩაუთარებს და ოცნებით შეუძახებს:

„ოი, რა ბედნიერად ვიგარძობდი თავს ამ მომენტში! რამ ამომღვამოდი გვერდში!“

ეს „გვერდში ამოღვამო“ ხუტამ ვერ გაიგო:

„ეგლა მავლია, რომ ქალებში ჩაედგა...“

მაგრამ თამარი აუხსნის:

„ეგ ვინ გაკადრა, გენაცვალე! გვერდში ამოღვამოა განა იმას ნიშნავს, რომ ჩემს რაზმში იყო და ჩემს მხარდამხარ იბრძოდე? არა, მე ვე არ მიუიქრია. მე მხოლოდ წითელ რაზმში მინდა იყო...“ (157 გვ.).

„ჰოი, დედანო, მარად ნეტარნო!“ და ასეთი ხუტა უკვე წითელ რაზმშია.

ძუქუ საღაა, ძუქუ?

ქვაცას გადარჩენილი ძუქუ ზუგდიდს წავიდა. „ზუგდიდიდან შინ მიმავალმა ძუქუ გეხარია ამ აბაშის ამბებზე წაღწეხიანი მოკვრა უყრა. აბაშში რა მოხდა?“, „მძარებელი № 21 (რა დოკუმენტური სიზუსტეა? — ჯ. თ.) ის იყო წივილით აპირებდა აბაშის სადგურში შეგრატუნებას, რომ თოფი გავარდა...“ პატრებები გაათავისუფლეს წითელრაზმელებმა. აი, ეს შეიტყო ძუქუ. „დეზ ჰკრა ლურჯას და შინსაკენ მხიარულად გასწია, რომ ახალი ამბავი ეხარებინა ნუნუსათვის...“

თვითონ ძუქუს შაინც რა ახარებს? როდის აქეთ დაინტერესდა უომარბაზი და შარახვეტია სახალხო მოძრაობის ბედ-იღბლით, როდის აქეთ ახარებს ძუქუს ამ მოძრაობის წარმატება. მის ხასიათში (ეჰ, ხასიათი საღაა!) რალაც არაფერი ისეთი ნიშანი არ ჩანდა, რომ ამ დღეს მოესწრებოდა.

ძუქუ შინაა.

— ძუქუ, მეც ხომ მუხტრის რაზმელებთან ვიქნებოდი, ამ დღეში რომ არ ვიყო? — ნალვლიანად უთხრა ნუნუმ.

ძუქუ მიხედა, რომ ქალი ფეხმომობას გულისხმობდა.

— შენა არ მიყვირს, — მიუფო ძუქუმ. — აქ მყურელი ცხოვრება არ გირჩევნია იმ შფოთსა და უბედურებას?

— რას ამბობ, ძუქუ, მეგობრებთან ყოფნა რა სჯობს? ბედნიერად ჩათვლიდი თავს, თუნდაც შენ ყოფილიყავი მათთან — 154 გვ. (ხომ გახსოვთ, მკითხველო, რას ეუბნება ხუტა ვერულუას მისი „შვენიერი დიასახლისი“: „ოი, რა ბედნიერად ვიგარძობდი თავს, შენც რომ ამომღვამოდი გვერდში...“).

და ახლაც „ჰოი, დედანო...“

— თუ ეგრე გწალია რაზმელი ვიყო, გავბედი კიდევ! — მიუფო ქმარმა...“

ჰოი, ასეთი, ძუქუ გეხარია წითელ რაზმშია, და, რა თქმა უნდა, როგორც ამას ღირსეუ-

**ჯუმაბარ თითმარია**  
დოკუმენტური შემოცმა



ლი შვაფური სიუფეტი თავისთავად გულისხმობს, ხუტა ვერულავაი იყვება.

მინც რა გვიყვირს, იქნებ ამ ქალს, ნუნუს, აღრეც ჰქონდა მის ქმარზე, ძუქუზე, გარკვეული ზნეობრივი გავლენა, იქნებ მათი მეთულეობა აღრეც ურთიერთპატივისცემასა და სიყვარულზე იყო დაფუძნებული და იქნებ გულითადად შეუღლებოდა იდეურ თანამაზრებობაში გადართობა, მაგრამ სწორედ რომ პირიქითაა:

„ქორწინებიდან ერთ თვესაც არ გავიგლო, რომ ძუქუმ გარე-გარე იწყო სიარული. სტუპაროვით იმეფათი სანახავი ვახდა... მის მოლოდინში ნუნუ ზმირად რჩებოდა უსადილოდ და უყვანმოლ. ქმარი კი უმეტესად გათენების ბრუნდებოდა შინ — ნასვამი, გულხანობილი და გაბრაზებული...“ (114 გვ.) და ა. შ. ქალმა ქმრისგან გაქცევა გადაწყვიტა კიდევ ერთხანს. მაგრამ ახლა მისი ერთი სიტყვა გადამწყვეტი აღმოჩნდა... მივეყვით ძუქუს.

რახმელებმა კახაყებს კუღით ქვა ასროლინს. ძუქუ და ხუტა ამ რაზმში არიან. „მაღლე რახმელთა სამივე ჯგუფი შეერთდა. მხადანაფიცები სიხარულით ეხვეოდნენ ერთმანეთს და კამარჯვებას უღოცადნენ. მხოლოდ ორმა რახმელმა, ხუტა ვერულავამ და ძუქუ გვახარიათ, თვალი აარიდეს ერთმანეთს. ეს შეაჩნინა რახმის მეთაურმა ჯუნდა ცირაშუმამ.“

— თქვენი, ეი, ინდარებებით რომ ვაფხოლოხნარო, აქ მოდიით! — ხუმრობანარევი ბრძენების ცილოთი მიმართა მათ“ (162 გვ.).

ცირაშუმამ ვერულავას და გვახარიას უბრძანა: „ერთმანეთს საყაროდ ერთგულება და ძმობა შეჰყოციეთ, ანაა გაგვეცალღეთ! აბა, ახლავე გადაწყვიტეთ, ჩქარა!“ (163 გვ.).

რა ვუყოთ, რომ ხუტა ძუქუს დანით კლავდა, რა ვუყოთ, რომ ხუტამ ქვაცას ძუქუს მოკვლა დაეავლა, რა ვუყოთ, რომ ხუტამ ძუქუს ცოლს გაბაზება დაუბარია, ჰოდა „ძუქუმ და ხუტამ ერთმანეთს ყოყმანით გადახედეს. ნაბიჯის კადღებმა ორივეს გაუჭირდა. მერე ძუქუმ მიმადლობად (მინც მიენდო, მინც! — ჟ. თ.) გაუღიშა... დარცხვენილმა (მიენდვენე კაცს! — ჟ. თ.) ხუტამ მისკენ გასწია და ხელი ჩამოართვა...“ (163 გვ.). კიდევ კარგი, თორემ ეინ იტის, რა მოხდებოდა, ახლა კი, ნახეთ: „ამ შეტაკებაში ბარძაყში დაჰრეს რახმელი ძუქუ გვახარია, რომელიც ხელში აიტაცა ხუტა ვერულავამ და ასე აყვანილი მოსავლელად გადასცა მოწყალეების ღებ...“ (166 გვ.) და, რა თქმა უნდა, „ქათქათათურ (!) ხალათებში გამოწყობილ მოწყალეების ღებისაგან შემდგარ რახმს სათავეში ეღვა თამარ ვერულავა“ (165 გვ.).

მერე არ ჩანს, რომ ხუტა მთლად სახლში შემოდილოდეს ძუქუსთან და ნუნუსთან, მაგრამ პერსპექტივაში ამის იმედი უნდა ექონოთ:

„...ნუნუ, საგზალი სწრაფად გაუმზადე ძუქუს... მაღე ხუტა ჩამოიციღის და იციოდე, არ შეაგვიანო“ (168 გვ.); „მაღე ზურგჩანთიანი, ია-

რალასხმული ხუტა ვერულავა ქიშკარს მიიღო...“ (170 გვ.).

უკარბავად კი ვართ „ციცკრის ვაჩქველავა...“ ავტორთან, მაგრამ დიდი სახალხო მოქმედების, ერთობის მონაწილეებზე ჩვენ ცოტა სხვაგვარი წარმოდგენა გვქონდა. წინათქმაში კი წერია, ეს წიგნი „მთლიანად დოკუმენტურ მასალებზეა აგებული“, მაგრამ ვეკვობ, რაიმე დოკუმენტი ამავრდებდეს ასე ჰიპოზარად, ხელის ხუტა მოკმით, ყოვლად უღოცადნებ, ასეთი ხუტა ვერულავას და ასეთი ძუქუ გვახარიას „გარევეოლუციონერებას“. თანაც, საოცარი ისაა, რომ ძუქუს ამ ნაბიჯს მისი სულითა და ხორციით გაუიღღელი, ავჯიკი მამა საქმოდ იოლად ურიგებდა; თავიდან კი ერთს უღოცადნებ, რა ჰქონდა ჩემს შვილს ტყეში გასახრწნავიო (მართლაც რა ჰქონდა?), შვილი მელდებოდა, მაგრამ მაშინვე თავის ნაბიჯსაც ატანს და მშვიდობიანად ეთხოვება („ძუქუ დედ-მამას გადაეხეცა...“)

საერთოდ, მეანისა და მეანისა იდეური მოტყევა ავტორს საოცრად ეიოლება. ამისთვის სულ ერთი პაწაწინტელა აზხაციე ჰყოფნის. ამ მხრივ ანონიმური „ორი ახალგაზრდა“ სწორედ რომ სასწაულებს ახდენს. ისინი „სამაგვრელონი ცნობილ ყაჩაღებს — ბათუ ზენიასა და ხეოა დარასელიას“ ტყეში მალულად ხედებოდნენ ხოლმე, „ესაუბრებოდნენ ხალხის ბრძოლის მიზნებსა და ამოცანებზე, ერთობლივად გამოსყენების მნიშვნელობაზე...“ და ა. შ.

რა თქმა უნდა, „საუბარში სიმონა ძალაძის ამბავიე მოიშველეს“ და, როგორ გგონიათ, „ეს ყაჩაღები თავიანთ ერთგულ თანაშემწეებად უანიშნეს (იცოდნენ მინც იმ ყაჩაღებმა, რომ სწორედ დანიშნული თანაშემწეები იყვნენ? — ჟ. თ.)“. მერე ისინი, ის ყაჩაღები, სროლის ინსტრუქტორებად განაწილეს — „ახლა ისინი თანასთღლელებს ავარჯიშებდნენ სროლაში...“ (35 გვ.).

ერთი სიტყვით, მოვლენები ვითარდება პრინციპით: გინდ დიქერე და გინდ — არა. არაკითარი ფსიქოლოგიური მოტივაცია, არავითარი განვითარება ხასიათისა. ავტორს ჯიქურ მივეყვართ შედეგამდე, ხოლო ამ შედეგამდე მიმავალ გზა-ბილიეებს ვერ გვიჩვენებს, მოვლენების არსს კი განსაზღვრავს, უფრო სწორად. უკვე მზარად განსაზღვრულსა და საყოველთაოდ ცნობილს კიდევ ერთხელ, ოლონდ სქემატურად საზღორავს, თანაც უკვე მხატვრის პრეტენზია, იმდენად უსაფუძვლო პრეტენზიით, რომ ცოცხალი ხასიათების ნაცვლად ხასიათების სქემებს ქმნის. — ამ ნაწარმოებზე ბევრი პერსონაჟი ქეშმარტებას ღაღადებს, მაგრამ მათი საუბარა უფრო ლექციების კურსს, თავისთავად — თემატურად და მსოფლმხედველობრივად — მნიშვნელოვან. მაგრამ მოსაწყენად, ერთფეროვნად, რომომომოდ წაყითხული ლექციების კურსს ჰგავს.

ხოგურთი ადგალი ამჯარად სათავედასაგლო-



სასიერო; საღაღობო ფილმების გავლენითაა დაწერილი. ამა, რვა თათრისა და ერთი ქართველის ძველი, პრაგინციული, მოყრეპყებული „თოროით“ წერა ეს რაში სჭირდება. დოკუმენტური პროზა მართლაც სასიერო ფილმი ხომ არაა, სადაც ათასგვარი პირობითობაა დასაშვები. გახსოვთ რას წერდა მ. ჯავახიშვილი:

„არცნამ „ნაზალი გვერდზე მოიგდო, თოფი ფეხზე შეაყენა“ და ერთმა კაცმა თორმეტი შეიარაღებული ყაზახი დაიფრინა. პოეტს ყველა აპატიებს ამგვარ სპიერბოლას, პროზაიკოსმა კი მკითხველი უნდა დააჭეროს, ე. ი. დაწვრილებით უნდა აუხსნას როგორ მოხდა ასეთი სასწაული...“ და ა. შ.

მთლად მკითხველის დაჭერებას ვერ მოვთხოვდით ი. მელქაძეს, — საამისოდ იგი მხატვარი, მწერალი უნდა ყოფილიყო, მაგრამ „დოკუმენტური“ მოთხრობის“ ავტორი ნერც ამგვარა „ემოციურა“ ეპიზოდებით ცდილობს მკითხველის აღტაცებას:

„ორი კახაი მივარდა სიმონ თოლორდავას დედასთან გურანდასთან და საწოლისკენ წაათრევს. ამ დროს ანტისა ლობიის საცმებს ნაყუდება. გურანდას კივილი რომ შემოესმა, ქვესანაყმომარჯველები ვარეთ ვეაერდა, ერთ კახაკს ისე ჩასცხა, რომ იგი იქვე თავგატეხილი გაიშლართა; მეორე კი, ვაფთხრებული ქალი რომ დაინახა, თავქუდმოგლეჯილი შარახე ვეაერდა“ (170 გვ.).

ყოჩაღ, ქვესანაყმომარჯველები ქალი ანტისა, ერთ კახაკს თავში ისე ჩასცხა, იქვე თავგატეხილი გაიშლართა, მეორემ კი, ვაფთხრებული რომ დაგინახა, თავქუდმოგლეჯილმა შარახე მოუსვა. კიდევ კარგი, გავასწრო. ესეც „მთლიანად დოკუმენტური მასალა“.

ანდა: თახ კახაკს და ერთ ბოჭალელ ძუკუ და ხუტა მისდევენ. აქაც იოლად წყდება საქმე. უცებ ძუკუმ ტხენი შეაჩერა, თოფი გაღმოიღო, კახაი ნიშანში ამოიღო და სასხლეტს თითი ნელ-ნელა დააჭირა. კახაი გზაზე ვაგორდა. მეორე ვასროლაზე მეორე კახაიც ტხენს გაღმოეკიდა. ამ დროს მესამე კახაკმა თოფი მოიმარჯვა, მაგრამ ძუკუს უკან სროლის ხმა გაისმა და ისიც ტხენიდან გაღმოვარდა (ბუტამ იმარჯვა — გ. თ.).“

ერთი კახაი და ერთი ბოჭალელი თავქუდმოგლეჯილი (ავტორის საყვარელი სიტყვაა. გახსოვთ, ვაფთხრებული ანტისას დანახვაზე თავგატეხილი კახაკის მეგობარი კახაიცი რომ თავქუდმოგლეჯილი შარახე ვეაერდა (გ. თ.) ტყისაქენ გარბოდნენ. ხუტამ კახაი ამოიღო მიზანში და ისიც იქვე ვაგორა...“

ქეშმარიტად კომპოზიციური სანახაობაა! მოწინააღმდეგის ამგვარი გაშარეებით („დოკუმენტური მოთხრობაში“) საკუთარ თავსავე ემტყობო. კახაკები ლაჩრები არა ყოფილან, კახაი ერთ თავს ქვესანაყით ატარებდა სო განაყინებდა ვინმე დედაკაცს, არც ხუტი კახა-

კი დავხოცინებოდა აგრე დედულურად ორ გვირგვინულ მუ. პირიქით, თავისუფალი, უშიშარი კახაკები დიდი იმედი ჰქონდა თვითმპყრობელობას და არც პატივს აცლებდა ამ კახაკებს. გარკვეული ისტორიულ-სოციალური მიზეზებს გამო კახაკები დიდხანს ერთგულად, სწორედ რომ ერთგულად ემსახურებოდნენ თვითმპყრობელობას და სრულიადაც არა ისე ბრძიუვლად და გაუაზრებლად, როგორც ზოგ-ზოგებს წარმოდგენიან (ცნობილია, რომ სწორედ კახაკობის საბოლოოდ მომხრობა ვაუჭირდათ ბოლშევიკებს განსაკუთრებით). ჩვენი ერთობელები, ცხრაახუთელები, ნახევრად უიარაღონი რადაც უსახო მასასთან, ნეიტრალურ „ქადაღლის“ ჯარისკაცებთან კი არ იბრძოდნენ, არამედ თავუხელად, ტყვიის წვიმებგამოვლილ, ტახტი ერთგულ კახაკებთან — სწორედ ამ უიარაღორო სამკედრო-სასიციცხლო ბრძოლაში გამოჩნდა ჩვენი მშრომელი გლეხობის გმირობა, თორემ „ქვესანაყმომარჯველებ“ ანტისებს რომ ეხოსკად და დაეფრინათ კახაკები, რა გვიტრიადა.

ანდა, რა იოლად იმედად ზუგდიდის ციხეს. არ დაგაეიწყდეთ, რომ ციხეში სხედან წითელრაზმელები და მათი მეთაურები, საშიში პოლიტიკური პატიმრები. კი, ბატონო, შეიარაღებული რაზმი ჩუმად შევიდა ქალაქში. კი, ნამდვილად ზუგდიდს ჯერ კიდევ ღრმა ძილთ ეტინა, როცა რაზმი ციხეს შემოერტყა. მაგრამ ეს რაღა: „წითელრაზმელთა მოულოდნელი თავდახმით თუხარდაცემული და დაბნეული ციხა დარაჯი მთლად ავანკალდა, თოფი იქვე დაავლო, ხელები ზეადაპრო, თითქმის ლეკვას აპირებსო (იქნება მართლაც აპირებდა? — გ. თ.), და რაზმელებს შეევედრა: — ოლონდ ნუ მომკლავთ და კარს ისე ვავალებ, ჩამიჩუმო ვერაუინ ვაგორსო...“ (73 გვ.).

ნამდვილად რომ კომიკური ვითარებაა! ამისთანა ციხეების კარს თუნდაც ერთი დღით ვამოკეტავს ჰქონდა კი რამე აზრი? მთელი ეს ციხე, საშიში პოლიტიკური პატიმრებით ამოვსებული ციხე ერთი დაბნეული დარაჯის ამირა ყოფილა, ის დარაჯიც ვარეთ მღგაარა, რაზმელებს უხმაროდ შეუპყრით, მერე დარაჯი თვითონვე შეხეწებია მომხდურთ: ოლონდ ნუ მომკლავთ და კარს ისე ვავალებ, ჩამიჩუმოც ვერაუინ ვაგორსო და ა. შ. რაზმელებმა იმდენი პატიმარი სულ „ერაპილთათა და შეძახილებით“ გაათვისუფლეს, თანაც, ყოველი შემთხვევისთვის, „დამფრთხალი ყარაული ვაფთხრთილეს: კრიტი არ დამარა, ვინც ვიყავით, თორემ ცოლშვილიანად ამოგწყეციაეთო, და ქალაქი სასწრაფოდ დატოვეს“.

დამფრთხალმა ყარაულმა კრიტი დასძრა თუ არა, არ ვიცით. ეგ კიდევ არაფერი: „რაზმელებმა არა მარტო პატიმრები გაათვისუფლეს, არა-

**ჯუშუბარ თითყობის  
დოკუმენტური უხვითობა**



ბერდანა წამოიღეს ციხიდან“. მაინც ვის ჰქონდა ეს თორმეტი ბერდანა, ყველა იმ ერთი დამფრთხალი დარაჯისა იყო? მთავრობას საშიში პოლიტიკური პატიმრებით სავსე ციხისთვის ერთი დამფრთხალი დარაჯი ძლავს დაუყენებია, მაგრამ სიმონ თოლორაძეა თავის სოფელს შეუტეველ ციხე-სიმაგრედ აქცევს: „დღეიდან სოულის თავში და ბოლოში რაზმელების მორაგებობას დაეწევიან. ნახვ, უჩვენოდ ჩიტი ვეღარ შემოფრინდება სოფელში“.

ნამდვილად ღიმილის მომგვრელია მელიტონ ფილიას გაქცევა სასამართლოს დარბაზიდან. ვიცით, რომ მ. ფილია ნამდვილად გაიქცა სასამართლოს დარბაზიდან, მაგრამ იგი გაიქცა თბილისის ბოლშევიკური ორგანიზაციის დახმარებით და არა ისე „იპროვინაციულად“, როგორც ეს მოთხრობაშია აღწერილი. თურმე, ნუ იტყვი, თვითმპყრობელობის დამსჯელი ორგანოები ჰქუესთან იმდენად აფრთხად ყოფილან, რომ ხელისუფლებისთვის საშიში მსჯავრდებული თავის ნება-გუნებაზე მიუშვიათ, ისე რომ თვალყურის დევნება საჭიროდ არც კი ჩათვლიათ. მთელი ნახევარი საათი მდგარი იგი სასამართლოს ჭარბაზში ნაცემობ-მეგობრების წრეში და მერე... „ნახევარი საათის შემდეგ პროცესი განახლდა. ვილაყამ ხმამაღლა გამოაცხადა, დასხედით, სასამართლო მოდისო. მაგრამ ბრალდებულის ადვოკატთან შეჯავრებულნი არ ჩქარობდნენ“. მაგრამ ამ დროს „სამოქალაქო ტრანსამელში ჩაქმული მელიტონი... არხინად მიაბიჯებდა შუა ტროტუარზე...“ (190 გვ.). როგორ მოახერხა მაინც მელიტონმა გაქცევა? ამხანაგებს უთხრა: „პროცესის განახლებამდე ასე დარჩით, როგორც ახლა ხართ, და ჩვეულებრივად განაგრძეთ საუბარი. დანარჩენი მე ვიცი. აბა, წავედი...“

და წავედა.

ნეტარ არიან მორწმუნენი!

აი, ასე „დოკუმენტურადაა“ ასახული რევოლუციური მოვლენები ი. მეღაძის „ციხისკრის ვარსკვლავში“. არ შეიძლება ჩვენს ახალგაზრდობას, რომელიც სათანადოდ იცნობს რევოლუციური წარსულის ნამდვილ დოკუმენტებს, იცნობს თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ხალხის თავგანწირული, გმირული ბრძოლის ისტორიას და დიდი გულისყურით კითხვობს ამ ისტორიის ამსახველ მალაქნივიერ მხატვრულ ნაწარმოებებს, ი. მეღაძის „ციხისკრის ვარსკვლავთან“ უმწიფარი, უგემოვნო, უემოციო „დოკუმენტური მოთხრობები“ მიეცეთ სულიერ საზრდოდ.

ნაწარმოებში აურაცხელი პერსონაჟია, მაგრამ მათი დიდი უმრავლესობა არ მოქმედებს, მხოლოდ იხსენიება. აკტორი თავს მოვალედ არ თვლის, რაიმე უთხრას ამ პერსონაჟებზე მკითხველს. დიალოგებსა თუ აკტორისეულ ინფორმაციებში ხშირად იხსენიებიან თვალსაჩინო პარტიული მოღვაწეები, მაგრამ მათზე აკტორი

მხოლოდ ოფიციალურად ცნობილ ფაქტებზე ეუყვება, ამ პიროვნებებზე ჩვენს წარმოდგენას რაიმე ადამიანური ნიშნით ვერ ამიღირებს. ამას კიდევ რამე ეშუალება, რადგან ქართული მკითხველი კარგად იცნობს თვალსაჩინო პროვოკაციული რევოლუციონერების ცხოვრებას, მაგრამ რა ქნას ცაყმა, როგორ გაავოს, ვინაა, რა ხალხია ესენი, აკტორი რომ ერთხელ ჩამოთვალაში მოაქუჩებს, მერე კი არც ახსენებს, არც მათს წარსულზე გვეუბნება რამეს და არც მათ ურთიერთობებზე, არც მათს პიროვნულ თვისებებზე, — ვერაფერი გავგვივია, „დოკუმენტურად“ იცნობს აკტორი ამ ხალხს თუ ეს პერსონაჟები თავისუფალი ფანტაზიის ნაყოფია. ვინდ ასე იყოს, ვინდ ისე, მხოლოდ სახელი და გვარი არაფერს გვეუბნება, რადგან არ ვიცით ვისია ეს სახელები და გვარები. აი:

„გვიხერია, დავითაიამ, ფაჩულიამ და კორშიამ მოითხოვეს...“ (17 გვ.) დიახ, ამ გიზხერია, დავითაიამ, ფაჩულიამ და კორშიამ ერთი რაღაცა მოითხოვეს და ამით ამოიწურა მათი ფუნქცია მთელ ნაწარმოებში, მერე ეს ხალხი ცამ ჩაყალა თუ მიწამ, არ ვიცით.

„გოგიმ ოროლოდ წუთით შეკრიბა გოგავა, მიქაია, თევზაია, პაპავა, იზორია, დარასელია, შუშანი, ჭგერენია...“ (18 გვ.).

მერე, მერე? ვინა ეს გოგავა, მიქაია, თევზაია... გოგიმ მათ გასაერკელებლად ფურცლები დაუბრია. ვანა ჩვენ სხვა რამე გავიკეთ ამ ხალხზე? მერედა, ვანა იმ სოფელში ასე თითოთითო გოგავა და მიქაია ცხოვრობდა, რა ჰქვია მათ, რა ხნის ხალხია, რას მოელიან რევოლუციისგან, რაგორია მათი სოციალური ბუნება, რა ბუნების ხალხია? ამოდ მოძებნით პასუხს ამ კითხვებზე.

„კრებიდან დაბრუნებული ჭგალელი გლვხები კოკი თოდუა, ოტია კედია, ბეგლარ ლემონჯავა, ჭუნა ცირამუა და იასონ ზარქუა ზანტად მოდიოდნენ თავიანთი სოფლისკენ...“ (21-22 გვ.).

„დღის ბოლოს სოფლის თავკაცებმა — პეპუ ყელიამ, ბოშინა ჩიქვამ, მოსე დარასელიამ, ვუღუ რაბამ, უტუნა წურწურამ, გეანგი ესეანჯამ, კოკი შამუვიამ, კიმოთე ევანიამ, პეტრე საბახტარაშვილმა და ლალო ევანიამ ადრე ანეზეს საქმეს თავი და გულდამამხარებულები შეიყარნენ...“ (28 გვ.).

ვინა ეს ხალხი, ნაწარმოებში თითო-თითო რეპლიკისთვის შემოყვანილი ეს გოგოია ვახარია, ეს ტუტი ზარქუა. ბუტუტი ვიქია, ჭუნა საჩაია, ჭაქუა ცირდავა, ტუტუ ევანია და კიდევ მრავალი მავანი და მავანი. იქნებ აკტორს ამ კრებების ოქმები და ჯახაკებთან შეტაკებების დაწვრილებით აღწერილობანი აქვს ხელი. აქნება სწორედ ამ ხალხს, სწორედ ამ გვარ-სახელების პატრონებს მიუძღვით მეტ-ნაკლები ღვაწლი რევოლუციის წინაშე, იქნებ მართლაც ყოველივე ეს „დოკუმენტურ მასალებზეა“ აგებული

ლი“. თუ ასეა, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ის დოკუმენტური მასალები დიდად უფრო საინტერესო და ცოცხალი, გაცილებით უფრო ამალელებელი, უფრო შთაბეჭდვადი იქნებოდა, ამ აღმანიანზე გაცილებით მეტს გვეტოვდა, ვიდრე ამას ი. მეღქაძის „დოკუმენტური მოთხრობა“ „ციხის ვარსკვლავი“ გვეუბნება. ისტორიკოსი ი. მეღქაძე გაცილებით სასარგებლო საქმეს გააყეთებდა ამ დოკუმენტური მასალების გამოქვეყნებით, ვიდრე მან „ციხის ვარსკვლავით“ გააყეთა. ავტორისავე თავმოსაწონი გამოთქმა რომ ვინმართ, მის მოთხრობაში „ვარსკვლავები გაფერმკრთალდნენ“.

ახლა მთავარ პერსონაჟებს მივადექით. იქნებ ავტორის ენერჯია, მხატვრული შესაძლებლობები აქ, მთავარი პერსონაჟების ხასიათში იყოს გამოვლენილი: რამდენად შთაბეჭდვადი მხატვრული სახეა პროპაგანდისტი გოგი, იგივე სპირიდონ ბიჭის ძე ამალეობელი, იგივე... თუმცა, გერ შოვიცადოთ. ავტორს იგი უბადლო მუქვრატყველა სურს წარმოგვიდგინოს, მაგრამ შეუძლებელი იყო მისი განყენებული, „თორაული“ ნამჭერმეტყველარი, მისი მანერული, პათეტიკური დეკლამაციები გლეხობის გულს მოხეტეროდ. ეს უფრო რომელიმე მოკაცტრო რატორის საპარამენტო სიტყვაა, ვიდრე პროფესიული რევოლუციონერი-პროპაგანდისტის არსებითი, ცოცხალი საუბარი მშრომელ გლეხობასთან, რომელიც ეს-ესაა სწავლობს რევოლუციურ ანბანს. მაგრამ ავტორი აღტაცებულია ასეთი გამოსვლით (ორატორის „სიტყვა“ მის მთლიანად მოაქვს) და თვითონაც პათეტიკურად შენიშნავს:

„ტაშის გრილი და ვაშის ძახილი დიდხანს არ შეწყვეტილა. ხალხს თვალები ანთებოდა, გოგის სიტყვით აღზნებულნი მხად იყო თუნდაც ახლავე დასტაკებოდა წყეულ თვითმპყრობელობას და დაუნდობლად წყელეკა. პირისაგან მიწისა აღეგავა“ (14 გვ.).

როგორც ჩანს, თვით ავტორი ღრმად და დარწმუნებული, რომ თავისი პერსონაჟისთვის შექმნა ორატორული ზელოვნების შედეგრი, რომელიც სასწაულებს ახდენს. მაგრამ ორატორს ავტორთან ერთად ჩვენ ვერ ვუყრავთ ტაშს.

საერთოდ, ამ პროპაგანდისტს ძალზე არაბუნებრივი, თითქმის უხერხული საუბარი სჩვევია. ვისთან, ვისთან, მაგრამ გერონტი ქიქოძისთან ამგვარი საუბარი თუ შეიძლებოდა:

— ჩემო გერონტი, ქეშმარიტად ტბილი მოსაუბრე, მხატვრული სიტყვის დიდი ოსტატი ხარ, ბრძენი კაცი ხარ...“ (199 გვ.), და რაც უკვე მეტისმეტია, ასევე პათეტიკურად, „მოქარგულად“ საუბრობს ამ წიგნში თვით გერონტი ქიქოძეც.

მაშ ასე, გოგი ერთ დროს პარტიული სახელი ყოფილა მოლიტონ გლახუნის ძე ფილიასი (ჩვენ მისი ორი ძირითადი პარტიული სახელი ვიცო-

დით — „გორკი“ და „ავგუსტულა“, მაგრამ ის არაა არსებითი რამ). მ. ფილია უღრესად ინტერესო ბიოგრაფიის პროფესიული ლექციონერი იყო და მისი ცხოვრება მართლაც რომ ჩინებული მასალაა მწერლისთვის, ოღონდ, მასალა, თავისთავად, ვერ განსაზღვრავს ნაწარმოებს ლირსებას. მ. ფილია სრულად ვაბეჯება რსდმპ წევრი და მას შემდეგ მთელი არსებით რევოლუციის ერთგული ჯარისკაცი იყო. 1910 წელს მ. ფილია გაემგზავრა საზღვარგარეთ და რამდენიმე თვე დაჰყო შვეიცარიაში, გერმანიაა და იტალიაში, გაეცნო ლენინს, მრწმენლოვანი გარემოებაა, რომ 1913 წელს, აკუსტოში, ენევის ბოლშევიკთა ჯგუფმა მ. ფილია თავის წარმომადგენლად გაგზავნა ავგუსტ ბეულის დაკრძალვაზე. შემდეგ მ. ფილია პარიზის უნივერსიტეტში ამთავრებს ქიმიის ფაკულტეტს. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ იგი ერთხანს კომინტერნის დავალებით მუშაობს საფრანგეთისა და გერმანიის კომპარტიებში. 1925 წლის იანვარში სამუშაოდ გაგზავნეს პარიზში — საბჭოთა წარმომადგენლობაში, ამავე წელს გადაიყვანეს ბერლინში, საბჭოთა საეკერო წარმომადგენლობაში. 1927 წლიდან მუშაობდა გაზეთ „მუშის“ პასუხისმგებელ რედაქტორად (იხ. „რევოლუციური მოძრაობის მოღვაწენი საქართველოში — ბიოგრაფიების კრებული“, გამ. „საბჭოთა საქართველო“, 1961 წ.), აი, ამ მასშტაბის, ასეთი რთული და ამალელებელი ბიოგრაფიის პიროვნება ი. მეღქაძის „დოკუმენტურ მოთხრობაში“ ერთი ულიმამო მხატვრული სახეა, რომელიც თვალსაჩინო კონკრეტულ პიროვნებაზე ჩვენს წარმოდგენას აფერმკრთალებს — მწერალი თავის გმირთან ვერ გვაახლოებს. მ. ფილიას ნამდვილად რომ არ გაუმართლა ბედმა!

(სხვათა შორის, მ. ფილია 1888 წელს ი. ბადებელი და ი. მეღქაძე მისი დაბადების თარიღად 1884 წელს ასახელებს. ეს „დოკუმენტური მასალასთან შემოქმედებითი მიდგომა“, ცნობისთვის: 1930 წ. ანექტაში თავის დაბადების თარიღად თვით მ. ფილიაც 1888 წ. ასახელებს. ასეა სხვა ბექდურ ცნობებშიც. გამოდის, რომ 1904 წ. მ. ფილია მხოლოდ 16 წლისა ყოფილა, ეს კი ავტორს, ალბათ, ზელს არ აძლევდა).

ჩვენ გმირების გარომანტიულების საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს, თუნდაც დოკუმენტურ ნაწარმოებებში. მხატვრული პირობითობა და ფანტაზიის უნარი დოკუმენტურ მოთხრობაშიც აუცილებელი რამაა, თუკი ეს მოთხრობა მხატვრის დაწერილია: ჩვენ „მცოცავი რეალიზმის“, „პროტოკოლური“ სიმართლის დამყველება სრულიადც არა ვართ, მაგრამ როცა ავტორი თავის გმირს კონკრეტული დროისა და გარე-

**ჯუმაარ თითქარია**  
**დოკუმენტური უმწიოზა**



მოს, კარგეული სოციალური წრის ფსიქოლო-  
გიური ბუნების გათვალისწინებლად გვიხსი-  
ათებს, რა დასაშალია და, თავს არ ვიტყუებთ,  
წიგნის წინათქმეში საუბარია მთავარი გმირი  
ქალის ნუნუ ჭგერენიას „სულიერ მშენებასა  
და კეთილშობილ სახეზე“, მაგრამ... ნუნუ ჭგე-  
რენიაა, პირდაპირ ვიტყვით, ერთი ბუტაფორუ-  
ლი: ფსევდორომანტიკული სახეა, რომლის პი-  
რად თუ „ორატორულ“ საუბარს აკლია უშუ-  
ალობა, სისადავე, ქალური კლება, ასაკობრივ  
ნიშნებზე რომ არაფერი ვთქვათ (მოსწავლე-  
ახალგაზრდობის“ სახელით ლაპარაკობს ხოლმე  
ნუნუ ჭგერენიაა—მიხეც იმ ერთ სოფელში  
იმ დროს რა „მოსწავლე-ახალგაზრდობა“ იყო?)  
ყველაფერი „ზიზიშებებს“ ამ ქალში, ყველაფერა  
ნამალადეგია, ყველაფერი „იდეალურია“.—  
ერ მარტო მისი პორტრეტი რად ღირს!—  
„ალაგეს შველივით გადავლო ტანწერწეტა,  
ეშინანი, შავთვალწარბა, მსხვილწაწავებიანი ქა-  
ლიშვილი...“ და, რა თქმა უნდა, „ნიავეით გა-  
იქროლა“. ეს „შველივით“ და „ნიავეით“ გო-  
გონა „მოსწავლე-ახალგაზრდობის“ სახელით  
ელაპარაკება „ჭვირფას მამებს, დედებს, ძმებსა  
და დებს“, რალაზე არ ელაპარაკება (18 გვ-  
77-78 გვ.), იმდენ საკითხს ეხება და ისე ცხადი  
და ნათელია მისთვის ყველაფერი, რომ ვაოცე-  
ბასა ხართ—ამისთანა მოქადავე თუ სოფელ-  
შივე ჰყავდათ, ქალაქელი პროპაგანდისტი რა-  
ლად სჭირდებოდათ და, რაც უნდა ითქვას, ავ-  
ტორი უნერბულ დღეში აყენებს თვით მ. უი-  
ლიას, რომელსაც „მოსწავლე ახალგაზრდობის“

„შეე გერ კიდევ ამოსული არ იყო...“ (1 გვ.)

„მუხურში გოგი დილაადრიან წავიდა. დღის  
ორი საათი იქნებოდა, როცა იგი თოლორდავას  
ეწვია. სიმონი, ის იყო, სადილს შესდგომოდა.  
როგორც კი სტუმარს თვალი მოჰკრა, ტბაქა  
გვერდზე გასწია და ახალმოსულის შესახვედრად  
აჭქარებული ნაბიჯით გაემართა...“ (10 გვ.).

„თუ ნებას მომცემ კრებაზე მეზობელი სოფ-  
ლებს ბალხსაც მოვიწვივ...“ (11 გვ.)

„შეე ჩასასვლელად რომ გადაიხარა, გოგი შა-  
რაზე გავიდა...“ (12 გვ.).

„ანკად შერახია ტანი და მალე გაუჩინარ-  
და...“ (13 გვ.).

„შელამებისას გოგი ფარნას ესტუმრა...“ (13  
გვ.).

„ნიავეით გაიქროლა ზღაპრული სილამაზის  
დოკოამ...“ (13 გვ.).

წარმომადგენლის სიტყვით უსაშველევად...  
თოვანებს: „რა ჩინებული მოლბარავე...“  
ნუნუ. ალბათ, გრძნობთ კიდევ, რა სიხარული  
გამოიწვიეთ ხალხში...“ და ა. შ.

ერთი სიტყვით, ნათელი ვითარებაა. ი. მელ-  
ქაძის „—ციცკრის ვარსკვლავისთანა“ ფსევდო-  
პერიოდიული, უღიმამო „დოკუმენტური“ თუ  
არადოკუმენტური მოთხრობებით ჩვენს ახალ-  
გაზრდობას რეველუციურ-პერიოდიული თემები-  
სადმი ინტერესს მხოლოდ თუ გავუნებებთ.  
ლიტერატურა ადამიანის მცოდნეობაა, უპირვე-  
ლეს ყოვლისა, ი. მელქაძის „ციცკრის ვარსკვ-  
ლავეში“ კი ადამიანების გაუმქდავებელი ნეკა-  
ტივებილა დავინახეთ. ამგვარი წიგნით დროთა  
—ჩვენი შესანიშნავი თანამედროვეობისა და  
გმირული რეველუციური წარსულის კავშირა  
წყდება: წავიციოთხავთ ი. მელქაძის „ციცკრის  
ვარსკვლავს“ და ასეთ ამოცანას ვუსახავთ თავს:  
სასწრაფოდ, დაუყოვნებლივ უნდა დავივიწყოთ  
იგი, ვითომ არცა ყოფილა თორემ ამისთანა  
წიგნებში ჩვენს იდეალებს, ჩვენს განწყობი-  
ლებასა და გემოვნებას საქმე უკან წაუვა.

მიხეც რა ისეთი ფერიცვალევა განიცადა ი.  
მელქაძის ნაწარმოებმა, რომ იგი — „მატერუ-  
ლი ნარკვევი“ „დოკუმენტურ მოთხრობად“ იქ-  
ცა. „ბევრი რაშ“ მართლაც შეიცვალა და გვი-  
ნდა მკითხველი თავად დარწმუნდეს, თუ არს-  
ებითად რა ხასიათისაა ეს ცვლილებები. ერთმა-  
ნეთს შევეუბრისპირებთ ადგილებს პირველი და  
მეორე გამოცემებიდან, ვაჩვენებთ რამ რა სი-  
ხე მიიღო:

„ციც კაბდონს სილურჯე ეპარებოდა...“  
(1 გვ.).

„მუხურისაყენ გოგი დილაადრიან გაემართა.  
დღის ორი საათი იქნებოდა, როცა თოლორდა-  
ვას ესტუმრა. სიმონი ის იყო სადილობას შეს-  
დგომოდა. როგორც კი სტუმარს მოჰკრა თე-  
ალი, ტბაქი გვერდზე გასწია და მის შესახველ-  
რად გაემართა...“ (7 გვ.).

„თუ გინდა, მეზობელი სოფლებიდანაც მო-  
ვიწვივ ხალხს...“ (8 გვ.)

„შეზინდებისას გოგი შარაზე გავიდა და გზას  
ვაუყუა...“ (8 გვ.).

„უპასუხა ქალიშვილმა და გაუჩინარდა...“  
(9 გვ.).

„კარგა დაღამებულყო, გოგი რომ ფარნასთან  
მივიდა...“ (9 გვ.).

„გოგონამ ნიავეით გაიქროლა...“ (9 გვ.).



„შინ არავინ დარჩება, გარდა მძიმე ავადმყოფებისა...“ (13 გვ.).

„კრებას შენ გახსნი და ორიოდ სიტყვასაც იტყვი...“ (15 გვ.).

„რა თქმა უნდა, გაჰყვები, თუ ყველა ჩემსავით მოიქცა!“ (16 გვ.).

„მხოლოდ სტუმრად მოსულს არ ეძინა...“ (18 გვ.).

„მისი ღიდრონი თვალები ოდნე მრისხანედ გამოიუტრებოდნენ“ (21 გვ.).

„გოგის დასაბუთებულმა, პასუხმა დაეკვებულნიც გაამხნევა და რწმენით აღავსო“ (24 გვ.).

„გათენებისას გოგი კახეთში წაივდა...“ (25 გვ.).

ტექსტოლოგიური დაცვირვება ათობით და ასობით ამისთანა „მნიშვნელოვან“ ცვლილებას შეამჩნევს. ბევრი ფაქტი ეციოთ: ერთი და იმავე წიგნის სხვადასხვა გამოცემაში არათუ ფრაზები და სიტყვები იცვლება, არამედ ჩნდება ახალი პასაჟები, ახალი ეპიზოდები, ახალი პერსონაჟები (ან ქრება ძველი), ზოგჯერ ნაწარმოების დედა-იდეაც შეცვლილა, დრამატიზმი გამძაფრებულა ან განელებულა. მაგრამ მნიშვნელოვანია და გამართლებული მხოლოდ ის ცვლილებები, რომლებიც რაიმე თვისობრივ ღირსებებს მატებენ ნაწარმოებს.

„ციცქრის ვარსკვლავში“ (1971 წ.) „კოლხეთის ვარსკვლავის“ ასობით და ასობით წინადადება, შედარება, სიტყვაა შეცვლილი, მაგრამ ესაა წყალში გადაყრილი შრომა — ი. მელქაძის ნაწარმოებს ამით არც არაფერი მომეტებია და არც არაფერი დაჰკლებია. შეიქმნა კი იღუპილი, რომელმაც ერთგვარად განაპირობა წიგნის მეორედ გამოცემა (თავს ნურავინ მოიტყუებს — ეს ნამდვილად მეორედ გამოცემაა და არა ახალი ნაწარმოების გამოცემა): ამდენი კორექტივისა და ნაწარმოების ეანრობრივი „გარდასახვის“ შემდეგ, თათქოს, ბუნებრივია, რომ წიგნის ხელმეორედ გამოცემას წინ ვერაფერი აღდგომოდა. სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ რამდენიმე ეპიზოდშია ჩართული „ციცქრის ვარსკვლავში“ ისეთი, რაც „კოლხეთის ვარსკვლავში“ არ ყოფილა. რატომ მოხდა ეს და რა მიზეზით? ვფიქრობთ, საკითხავია აი, ეს არის, ძალის თავე აქ უნდა ემარხოს.

საქმე ისაა, რომ „კოლხეთის ვარსკვლავში“ მოქმედებს პროპაგანდისტი, მოქადავე გოგი, აი, ის გოგი, ვინც, როგორც „ციცქრის ვარსკვლავში“

„მძიმე ავადმყოფებს გარდა ყველა მოე...“ (9 გვ.).

„კრება შენ გახსნი და ორიოდ სიტყვაც იტყვი...“ (10 გვ.).

„რა თქმა უნდა, გაჰყვები, თუ ყველა ჩემსავით გასულელდა...“ (10 გვ.).

„არ ეძინა მხოლოდ გოგის...“ (11 გვ.).

„მისი ღიდრონი თვალები ოდნე ნაღვლიანად გამოიუტრებოდნენ“ (13 გვ.).

„გოგის დასაბუთებულმა და გამარჯვების რწმენით აღსავსე პასუხმა ხალხი უფრო გაამხნევა“ (15 გვ.).

„გათენებისას გოგი კახეთში უნდა წასულიყო და წაივდა კიდეც...“ (23 გვ.) და სხვა და სხვა და სხვა.

ვის“ ფინალში გაირკვა, ყოფილა ცნობილი პროფესიული რევოლუციონერი მელიტონ გლაზუნის ძე ფილია. მაგრამ მელიტონ ფილია „კოლხეთის ვარსკვლავში“ არც იხსენიება, ამ „მხატვრულ ნარკვევში“ პროპაგანდისტი გოგი არც მხოლოდ პროპაგანდისტი გოგი, ავტორის ფანტაზიის ნაყოფი, რომელსაც რეალურ მელიტონ ფილიასთან საერთო არაფერი აქვს.

„კოლხეთის ვარსკვლავში“ აღწერილი მოვლენებზე ი. მელქაძეს საუბარი აქვს თავის შონოვ, რაფიაში „რსდმპ იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტი და 1905-1907 წლების რევოლუცია დასავლეთ საქართველოში“ (თბილისი, 1960 წ., გვ. 121-127). მაგრამ ამ გამოკვლევამდე კი (ჩვენთვის ამგვარად საინტერესო ნაწილში) მტკიცების არგუმენტები „ბელეტრისტილი“ ხასიათისაა. აქ, მაგალითად, ვკითხულობთ: „გლგლთა ფართულ კრებაზე სიტყვით გამოსულმა მოსწავლემ ახალგაზრდობის წარმომადგენელმა ქალიშვილმა, როგორც ა. ქოიავა, ცირადავა, პაპავა და სხვები აღნიშნავენ თავიანთ მოგონებებში, მორბალებთან დაიწყო ლაპარაკი.“ მერე ამას მოსდევს ამ ქალიშვილის სიტყვა, რომელიც დოკუმენტის უფლებამოსილებით მოჰყავს ავტორს და სქოლიოში შენიშნავს: მოსწავლე ახალგაზრდობის წარმომადგენლის სიტყვა 1957 წ., სოფელ მუხურის ფართული კრების მონაწილეთან საუბრის დროს ჩაუწერეთო.

ესე იგი, სიტყვა წარმოთქმვიდან 53 წლის შემდეგაა ჩაწერილი, იგი კრების მონაწილეებს „კოლექტიურად“ აღუდგენიათ და ისტორიკოსს ანონიმო რატორის ეს სიტყვა თავის გამოკვე-

**ჯუმაბარ თითთარია**  
დოკუმენტური უმჯობობა

ლევამი ჩაურთავს დოკუმენტად. ამ წიგნის 123-124 გვერდზე, სქოლიოში ეკითხვლობთ: მუხურში გამართულ კრებაზე პროპაგანდისტი რომ გამოვიდა, მისი ვინაობა საარქივო მასალებში, დოკუმენტებსა და მოგონებებში არ არის ნაწვევებით, მაგრამ ს. თოლორადავას მეუღლემ მიიხრა, რომ მოქალაქეს ერთი ერქვაო, გვარი დღესაც არ ვიცით. სხვის უთქვამს, პროპაგანდისტი ისეთი კილოთი ლაპარაკობდა, ნამდვილად გურული იყო (ადრე შეცდომით მეგრელი მეგონაო, ბრძანებს ავტორი, ასე მიწერილია შრომაში „რსდმპ კავკასიის კავშირის იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტი“ გვ. 54), მეგრე ისტორიკოს ი. მელქაძეს ზემოთი საუბრის გზით გაურკვევია, ერთი მელიტონ ფილიას ფსევდონიმი იყო და ა. შ. კვლევის ამგვარაზემპისრისტუციერებშია“ მეთოდით შეიქმნა დოკუმენტი, ხოლო ამ დოკუმენტმა ი. მელქაძის „მხატვრული ნარკვევი“ „დოკუმენტურ მოთხრობად“ აქცია.

ასეა თუ ისეა, 1957 წელს ი. მელქაძეს ურწმუნია, რომ 1904 წ. კრებაზე გამოსული პროპაგანდისტი ყოფილა სახელდობრ მელიტონ ფილია, 1960 წ. გამოცემულ თავის მონოგრაფიაში ეს აღწერიწვავს, 1966 წ. გამოსულ მის „მხატვრულ ნარკვევში“ კი ამის აღწერიწვა საჭიროდ არ მიუჩნეწვია. (რაკი ავტორი თავისი პერსონაჟის — გოგის ფილიაობაში დარწმუნდა, იგი „ციცკრის ვარსკვლავში“ დამატებით სპირიდონ ბიჭინაძე ამაღლობელის სახელითაც გამოიყენა — არსებობს 1908 წ. 7 მაისს ამ გვარ-სახელით გადაღებული სურათი მ. ფილიასი — იხ. „რევოლუციის მატანიე“, 1928 წ. № 1).

ავტორმა რატომ მამინეე არ მიუჩინა თავის „მხატვრულ ნარკვევში“ ეთენილი ადგილი ბიჭინა სპირიდონის ძე ამაღლობელ — მ. ფილიას? ნუთუ ამისთვის ექვსი წელი არ კმაროდა? რატომ მაინცდამაინც „ციცკრის ვარსკვლავში“ (ჟაქტიურად სახეცელი „კოლხეთის ციციარში“) გამოჩინდა მელიტონ ფილია? ავტორს, ალბათ, სურდა დავერწმუნებინეთ, რომ მან, მეცნიერმა და მწერალმა, წლების მანძილზე იკვლია თავისი გმირების ზედი, მიაკვლია ახალ მასალებს, ჟაქტებრთა და დოკუმენტებით გააღრმავა

თავისი ადრინდელი წიგნი, რაც მთავარია, დაადგინა, რომ მისი „მხატვრული ნარკვევის“ მხარესონაჟი ყოფილა ცნობილი პროფესიული რევოლუციონერი, სახელოვანი ბოლშევიკი მ. ფილია. ყოველივე ამის შედეგად, თითქოს თავისთავად უნდა დამდგარიყო მისი წიგნის ხელმეორედ გამოცემის საკითხი. მაგრამ რაც მეორე გამოცემაში ავტორს ნათქვამი აქვს მ. ფილიაზე, მან ხომ არგად იცოდა ჭერ კიდევ წიგნის პირველ გამოცემაში კარგა ხნით ადრე? ვფიქრობთ, ეთხვების ამგვარად დასმა გარკვეული წილად მათზე პასუხის გაეცემათ.

„ციცკრის ვარსკვლავში“ ავტორმა ჩვენ კიდევ ერთხელ შეგვახსენა ის, რაც მ. ფილიაზე თქმულია ბექდურ წყაროებში (გაქცევა სასამართლოს დარბაზიდან, გამგზავრება პარიზს და ა. შ.), მაგრამ რაც აქ მისი „მწერლური“ ეთენილუბაა, აუფერულებს, აღარბებს, ამელოდრამულებს რევოლუციისათვის თავგანწირული ჭარისკაცის თავისთავად ამაღლევებელ, გმირულ ბიოგრაფიას. რაც კი დოკუმენტური და ჟაქტობრივია აქ, ყველაფერი არამწერლის, არა „მოთხრობის“ ავტორის მიერ მექანიკურად, ქაოტურადაა ჩაკერებული წიგნში.

დოკუმენტური მოთხრობის ეანრი, ისევე რაკორე ყოველგვარი სახის სიტყვაკაზმული მწერლობა, გულისხმობს ადამიანების, ცოცხალი, მოქმედი ადამიანების ზატვის უნარს, გულისხმობს გარკვეულ მწერლურ დონეს. დოკუმენტური მოთხრობა, უწინარეს ყოვლისა, მოთხრობაა, მხატვრობაა, დოკუმენტრობა კი მხოლოდ მოთხრობის გარკვეულ სახესხვაობაზე, სპეციფიკურობაზე მიგვანიშნებს. ამოღ დამწერება ყველა ის „დოკუმენტალიტი“, ვინც ამ ანბანურ ქეშმარიტებას არ სცნობს.

ამოღ ცდილობს გამომეცელობა, რომ დავარწმუნოს — „წიგნში ჩანს მთელი გაღერეა სახეებისა“ და „ეს წიგნი ჩვენი ზალხის გმირული ბრძოლის მატანიის ერთი ფურცელია და მას მკითხველი ინტერესით გაეცნობაო“ (სხვათა შორის, ეს წინასიტყვა ეტეველადაა გადმოსული წიგნის პირველი გამოცემიდან).

ეფიქრობთ, დროა, ჩვენს მკითხველებზე უფრო მაღალი აზრი გვერდებს.



# მ ვ რ ი ნ ი

არ იმღერება ეს სიმღერა.  
ჩემი სტრაქონი  
არ იფარფატებს როიალის ნათელ მინდვრებზე,  
არ დაძვლებს ბეჩავს ძეზორციელი, არც გუთნისდედა  
შემოსძახებს, არცა ტრიალი ტრამალის მკვიდრი  
მენახირე  
და  
არც დაღლილი  
მგზავრი იმღერებს ამტვერებულ გზებზე მარები.  
მუნჯია ეს ხმა მოგუდული და უმოტივო.  
  
მუნჯია იგი — როგორც ბავშვი გულამომჯდარი.  
ცრემლის ტალღებით ეცხება ხახა.

ეს სტრაქონები მოტანილია ქარჯი ფხოველის ლექსიდან „გვრინი“, რომელიც ერთგვარად ხსნის გასულ წელს „საბჭოთა საქართველოს“ მიერ გამოცემული მისი ლექსების წიგნის საერთო განწყობილებას და მხატვრულ არსს. პოეტის ამ პირველსავე წიგნში შეინიშნება საკუთარი სახის ძიება და პოეტური გამოსახვის ახალი საშუალებებისაკენ სწრაფვა. ქარჯი ფხოველი, უმთავრესად, თავისუფალი ლექსის ფორმას მიმართავს.

თანამედროვე ქართულ პოეზიაში ვერსიფიკაციის ეს სახეობა ნელა, მაგრამ ჩიუტად იკვლევს გზას ტრადიციული ლექსის გვერდით თანასწორუფლებიანი ადგილს დასამკვიდრებლად. განმარტებისათვის აღენიშნავ: ტერმინ „ტრადიციულს“ პირობითად ვხმარობ, მასში ნაგულისხმევ ლექსის ფორმასაც პირობითად ვუპირისპირებ თავისუფალი ლექსის ფორმას, რამეთუ ამ უკანასკნელში პოეტური ფორმის რაიმე თვისებრივ უარყოფას ადგილი არა აქვს. იკვლება გარეგანი ფორმის მხოლოდ ერთი

ან ორი კომპონენტი: არ არის დაცული მეტრი, რითმა; მართალია, ლექსის გარეგანი ფორმის ცვლილება ნაწილობრივ მის შინაგან სტრუქტურასაც ცვლის, მაგრამ ეს გარემოება ვერ განსაზღვრავს პოეზიის არსს.

ეპოქის მოთხოვნილებებმა შესაბამისად გააფართოვა პოეზიის სფეროც, გამოიწვია ლექსის ერთგვარი დეფორმაცია და პოეტური ხელოვნებისათვის ახალი, სრულყოფილი გამოხატვითი ფორმების ძიება. რა თქმა უნდა, ამა თუ იმ ეპოქის შემოქმედებითი იდეალები და სტილური თავისებურებანი, უწინარეს ყოვლისა, ხელოვანის მხატვრულ აზროვნებაში, მის შემოქმედებაში ისახება, მაგრამ ისინი თვით ეპოქის მომწიფებელი მოთხოვნილებებით, ეპოქის სოციალური და კულტურული შინაარსით არიან განპირობებულნი, დღეს მწერალს სრულიად სხვა გარემოში უხდება ცხოვრება და მოქმედება. გაფართოვდა მისი შემეცნების არე, სინამდვილის აღქმის დიაპაზონი და მისადმი დამოკიდებულებაც. ყოველივე ეს შემოქმედ-



საგან მოითხოვს მეტ სიფიზილეს, გარემომცველი სინამდვილის ღრმად შეცნობას, განსაკუთრებული გამოსახველობის ძეხვნას, რის გამოც პოეტი გამოადის ტრადიციული ჩარჩოებიდან. სწორედ ეს ობიექტური პირობები განაპირობებენ თავისუფალი ლექსის შემოჭრას. იგი არ წარმოადგენს რომელიმე პოეტის სუბიექტური კაპრიზის შედეგს, ყოველი ახალი ვერსიფიკაციული მოდელის დამკვიდრება ყოველთვის გარკვეულ რეაქციას იწვევდა ალბათ, მაგრამ დღეს, როდესაც ეგზოზ დახვეწილია პოეტური ხელთვნების ფორმები და მკითხველის ესთეტიური გემოვნება ამაღლებულია, უხერხულა დაეა იმის შესახებ, ლექსის რომელი ფორმა უფრო უკეთესია: ტრადიციული თუ თავისუფალი. პოეტი ვერც ერთ ფორმას ვერ მიანიჭებს უპირატესობას, მისთვის ორივე თანაბრად ღირებულია, თუ ის სრულყოფილად უწყობს ხელს მისი შინაგანი საძიაროს წარმოჩენას. თავორმა თავისი „გიტანჯალი“ ინგლისურად თარგმნა. თარგმანს შეუნარჩუნა ორიგინალის გარეგნული ფორმა. იმის მიუხედავად, რომ თარგმანში არ იყო არავითარი საზომი და რითმა, „გიტანჯალმა“ ინგლისური ლიტერატორების დიდი ქება დაიმსახურა. თავორი ასეთნაირად სვამდა საკითხს: „პოეზია მთლიანად დამოკიდებული იქნება თუ არა თავის გარეგან გარსზე? ზოგიერთებს ჰგონიათ რომ კი, მე მიმანია, რომ — არა“. ასეთი იყო დიდი მწერლის პოზიცია თავისუფალი ლექსის მიმართ. არაერთი მაგალითის მოყვანა შეიძლებოდა. არც ისაა სწორი, თითქოს თავისუფალი ლექსის ფორმა უცხო იყოს ქართული ლექსის ბუნებისათვის.

შესაშვთებლად მაშინაა საქმე, როცა მწერალი კარგავს თავის შემოქმედებით „მეს“, მექანიკურად გადმოაქვს უცხო პოეტური ფორმები, წყდება ეროვნულ ნიადაგს, ფსიქოლოგიასა და ტემპერამენტს.

ჯარჯი ფხოველი, მომართავს რა თავისუფალ ლექსს, არსებითად, ამჟღავნებს ბუნებრივ მიდრეკილებას, ამ ფორმაში გადმოსცეს თავისი პოეტური სათქმელი და შეინარჩუნოს ეროვნული თავისთავადობა. მისი მხატვრული ქსოვილი ძირითადად უშუალოდ და ძალდაუტანებლადაა ნაქსოვი. პოეტი თავის სათქმელს, განცდებსა თუ განწყობილებებს, უაღრესად დრამატულსავე კი ვადამოგვემს ძლიერი ვნებითა და დაოცებული ტემპერამენტით. მის ლექსებში მიღწეულია სადა და მკაცრი. პოეტური მეტყველება, შეიჯარმობა — მთელი კაცის სიღინჯე, სულიერი სიმტკიცე და სიკრძაბე. ალბათ, ამიტომაც გამოსცემენ ეს ლექსები მთის დაბავსებული კლდეებიდან მოყვნილ სიგრაფეს. ამას განაპირობებს არა მარტო პოეტის ხასია-

თი, არამედ თავისუფალი ლექსის ბუნებრივრომელიც უფრო დიწი, ძლიერი, ფიქრობი პოეტური მეტყველებისაგან უბიძგებს. ჯარჯი ფხოველი თვითონვე ახასიათებს თავისი სტილის თავისებურებას „გვირინს“ შესავალში: „არ იმღერება ეს სიმღერა. ჩემი სტრიქონი არ იფარვლებს როიალის ნაფელ მინდვრებზე... არც გუთნისდღა შემოსძებებს, არც ტრიალა ტრამალის მკვიდრი მენახირე და არც დაღლილი მგზავრი იმღერებს ამტვერებულ გზებზე მარები. მუნჯია ეს ჰმა, მოგუდული და უმოტივო.. მუნჯია იგი — როგორც ბავშვი გულამომჯდარი, ცრემლის ტალღებით ევსება ხახა“. ეს ლექსი ერთ-ერთი საუკეთესოა კრებულში. მასში გადმოცემულია ავტორის შემოქმედებითი მრწამსი, შემოქმედისა და პოეზიის არსი და დანიშნულება.

ამას გარდა, მკითხველი უსათუოდ გამოარჩევს წიგნში ერთი ჩანაფიქრთა და მიზანდასახულობით დამუხტულ მხატვრულად სრულყოფილ ლექსებს: „ნახირი“, „გამიცილა წვიმის მოსასხამი“, „ხელში მიპყრია დეკის ყვავილი“, უძღურება“, „წყალდიდობა“, „ხალხური მოტივი“, „კათოლიკური ეკლესიის ეზოს ფილაჟანს“, „კოშალა“... და სხვები. უმთავრესად ამ ლექსებში გამოხატა პოეტმა თავისი ესთეტიური იდეალი, მისწრაფებები, მზესავით ბებერი ბორბიტისა და კეთილის, სიკვდილისა და სიცოცხლის პრობლემები, თანამედროვე აღმანიის ფიქრები, მისი ტკივილები და სიხარული. დაეძება და რწმენის ძიება („მაგარამ სადამდე, გეკითხები, სადამდე გასტანს ამ მწუხრეული ბაიარის შრიალი შორი“?). სწორედ რწმენის განახლებისაგან დაუცხრომელ სწრაფვაში იჩენს თავს მძაფრი პათოსითა და დრამატიზმით გაფენილი პოეტის სულიერი განწყობილებანი.

ჯარჯი ფხოველი თავის აზრებს იღვამლებით მოსაეს. იგი შიშობს, რათა მთ არ დაჯარგონ ინტომის იღვამლება და ბანალურად არ ახმანდნენ. მისი ლექსები ფორმით ალტერატიული სიმბოლური არიან. ასეთი სახის ნაწარმოებნი ორმაგი სიციცხლით ცოცხლობენ: უწინარეს ყოვლისა, ისინი შეიცავენ სადა და ვასაგებ პოეტურ სახეებს, მეორე მხრივ კი, გარკვეულ სიმბოლოებში იმალება პოეტის სათქმელი. ისინი ჩვეულებრივი თვალისათვისაც მშვენიერი სახილველია, ხოლო დამკვირვებლის ხედვიდან ახალი სიშორე და საწყარო იშლება.

ჯარჯი ფხოველის შემოქმედებაში გარესამყარო შინაგანი, ხილვითაა გაციკროვნებული, რაც საშუალებას გვაძლევს ახლებურად შევიჯარმოთ და ვავიზროთ იგი. მისი ლექსები კიბხისას ისეთი შთაბეჭდილება გრჩებათ, თითქოს ცხადად ზედავლეთ წარმართულ საფე-



ლოდან ცივილიზებულ სამყაროში მოხვედრილ ადამიანს, განცვიფრებული რომ დალა-  
ჩებს მისთვის გაუცნობიერებელ ნივთიდან მოვლენად, მოვლენიდან ნივთამდე და მის ცნობისმყოფარე სულში მათი შეცნობის დაუშ-  
რეტელი სურვილი იბადება. პოეტს აღუღებს, რომ ადამიანის სულიერი განვითარების ზრდა ჩამორჩება ცივილიზაციისას, კარგავს პირველ-  
ყოფილ სინედლესა და სისპეტაცეს, საუქუნე-  
ვიც წილ რომ განძეციკებულია მთის ყოფაში. ეს კონტრასტი პოეტურადაა წარმოსახული  
„ლამარის მწუხრში: „მე ცალი ხელით ჯვარს ვისახავ და ცალი ხელით ვაწინაურებ ვადალი-  
ლი თვითმფრინავის ხმას“. ლირიკული გმირი მუქმავ გამჭვირვალობაში მოპყვება „მწუხრის კიბეებს“, „კურთხეულის სახელი მიაქვს ტატ-  
ნობისაკენ“, რათა დაარისხოს „...ბნელში მხოლოდმავალი გატრუნული სამრეკლო ერთი“ და კვლავ აღანთოს დამჭრალი ნათელი. მას ხელთ უპყრია დეკის ყვავილი, თვისი „წარ-  
მართი მამულის დროშა“, ცდილობს განშორ-  
დეს მეფეტიურ უდაბურებას და მისწვდეს „იმედის ლურჯ ნაყოფს“.

ამ უღრანებში წილ მავალ მიეხეტებენ მიღმეთს ყარბიბი,  
შორი ნათლისკენ,  
დასალიერის  
იქით რომ ბეუტავს...

მაგრამ პოეტის სულიერ სამყაროში ხდება უეცარი შემობრუნება. თითქოს იგი გარესამყაროს ხილვისა და შინასამყაროს შეცნობის სა-  
მანზე იდგეს და იკვებულობდეს: „მაგრამ იქ-  
ნება ეს ტევრი მე ვარ და ჩემს წყვილადმი მოკუენე უღრანს მივარღვევ“ ჯარჯი ფხოვე-  
ლი ამ კითხვით მიგვანიშნებს, რომ მის შემოქ-  
მედებს ასაზრდოებს არა მარტო ემპირიულა სინამდვილე, არამედ მის შინაგან სულიერ წი-  
ალში დაყურსული ის თანდაყოლილი ირაციო-  
ნალური მხარე, რომლითაც ადამიანი უსასრუ-  
ლო და შეუცნობელი ფენომენია.

ჯარჯი ფხოველის აზრით, ყოველ ადამიანს გააჩნია თავისი ოცნებათა სამყარო, თავისი იდეალი, რომლის დაუცნობელი ძიებაც ავე-  
თილშობილებს ადამიანს, აძლევს მის არსებო-  
ბას აზრსა და მიზანს. პოეტს აშფოთებს: ვაი თუ მიუღწევლის მიღწევამ მასში დაახშოს შეუხლდდავი ლტოლვა იდეალისაკენ, მაძიებ-  
ლი და ქმედითი სული. ამიტომაც გაისმის მი-  
სი ლოცვისებური ლაღადი:

შენ არ ჩამიჭრო ეს სანთლები, ეს კეთილი ტყე  
არ გამიჩეხო, არ შეხვიდე უღრანში ცულოთ.  
არ გამოღენო ბაკებიდან  
საზმრების ჯოგი...  
შენ არ ჩამიჭრო ეს სინათლები.

ჯარჯი ფხოველს უნათებს არა მარტო იდე-  
ლი, რომლისაკენაც იგი მიისწრაფვის, არამედ იდეალური სახე, ოცნებაში ხორცშესახსნელ მის მღერე სიზარულს და სიმწარეს ფაქიზ, წმინდა გრანობებდად რომ გარდაქცევს. პოე-  
ტი ცდილობს ღრმად შეიენოს თავისი ქვეყნის წარსული, მისი ნამდვილი აწმყო და მომავა-  
ლი, თვლი გაუსწოროს სინამდვილეს. აქედან წარმოსდგება ის დაუოკებელი ლტოლვა მიზნ-  
საკენ — ქეშმარიტებისაკენ, „ნახირში“ რო-  
მაა გამქვადნებული. ლექსში ზღვას აკისრია სტიქიონის, ბრძოლისა და მოქმედების აზ-  
რობრივი მნიშვნელობა („მიველალები ყინუ-  
ლიან ხერხემლის გასწვრივ ფერდებჩაკეცულ და მწყურვალ ნახირს... ზღვისაკენ მიდის ჩემი ნახირი“); ხოლო თოვლის სიმბოლიკა ზღვის საპირისპირო შინაარს შეიცავს:

შენ, თოვლო,  
უკვე ხერხემალს რომ ვადმოაბიჯე,  
ნუ მომდევ უკან გაბურჭნილი,  
ნუ მიფრთხობ ნახირს...  
ნუ მომდევ უკან, ნუ მომიკვი, ვერ  
გაგიღვიძებ  
შენ ბავგამშრალ მდინარეებს,  
გაქცეულ მინდვრებს.  
ჩემი წუხილი  
ჯოგებისგან გადაჩეგილ ჯაგების თავზე  
იკიაფებს და მოგაგონებს,  
რომ ამ ჭალებში  
ბინადრობდა ჩემი ხვისტავი...

სწორედ ქეშმარიტების ძიებაში და და-  
უცხროლობაშია გამოხატული ჯარჯი ფხოვე-  
ლის პოეზიის შინაგანი ქმედითობა და კეთილ-  
შობილება.

ჯარჯი ფხოველი მთელი არსებით არის და-  
კავშირებული სამშობლოსთან, „მზის სო-  
ფელს“ რომ უწოდებს. სტრიქონებს მიღმა მიმალული სამშობლოსადმი გაუღოტბელი სით-  
ბო და სიყვარული მისი პოეზიის ნიშანსვეტია („სტიტველ ფესვებში დახლართული ვივლი: მა-  
რადის, იფართხალევენ ჩემს ბუკებზე ფოთლე-  
ბი არყის“). პოეტს გული სტკივა იმის გამო,  
რომ მთას — ჩვენი ქვეყნის ამ უღამაზეს მხა-  
რეს — სტოვებს ხალხი, იქმნება მისი გაუკაც-  
რიელების საშიშროება: „ჩემს ლბებებზე გადა-  
წოლდა ხვიარა, ჩემს ყორეებზე ატოცებულა ფათალო, ჩემი ჭალები ამოხერგილა ღორლით“. ეს პრობლემა ჯარჯი ფხოველის ლექსებში გან-  
ზოგადებულ ხასიათს ატარებს.

ჯარჯი ფხოველის პოეზიაში კოლორიტი მქვადნდება არა იმდენად ეგზოტიურ გამოთქ-  
მებსა და მთის ყოფის ამსახველ აქსესუარებში,  
რამდენადაც თვით პოეტის ხასიათში, მის სუ-

**ლარი ალიმონაკი**  
ბგირინი

ლიერ განწყობაში. „წყალდიდობაში“, ღიღ-  
მღელვარებითა და ექსპრესიულობით რო-  
მაა შესრულებული, ხაზგასმულადაა წარ-  
მოჩენილი პოეტის მამულიშვილური შემართე-  
ბა, რეალისტური მოაზრება დაძაბულობით აღ-  
სავსე სინამდვილისა, დაუოკებელი წაძლიო  
სამშობლოს ბედნიერებისა, სულიერი წვა და  
მღელვარება:

უახლოვდება წყალდიდობა ჩემს კეთილ  
ანბანს,  
ჩემს უკან ღამეს,  
ახალ კედლებს და მღელვარებას...  
ინურჩულე, ნათულო, ჩემო, ინურჩულე...

ამავე განწყობილებითაა დაწერილი ლექსი  
„კობალა“...

ჯარჯი ფხოველს აქვს წმინდა პოეტური  
ვანცდობა და ასოციაციებით შესრულებული  
ლექსები, რომლებიც მკითხველში ერთგვარ  
ნელსურნელებს და სიწმინდეს ამკვიდრებს  
(„ამოდის“, „\*ფანჯრიდან მოჩანს...“ „მარტი“;  
„\*დამადგა შვიმის...“ „ქალი“, „თეთრი სტუმარ-  
ი“); მაგრამ მას აქვს ისეთი ლექსებიც, რომ-  
ლებიც არსებითად არაფერს მატებენ მის პოე-  
ტურ სახეს. ჩემი აზრით, ასეთებია: „\*მე შეეშე-  
როვე...“, „\*ჭერზე ქანაობს ობობასავით“, „\*ხე-  
თა ფერმიხდილი კიბეებზე...“ „\*დასალიერი ბინ-  
დი. ტატნობი“ და რამდენიმე სხვა. ამ ლექსებ-  
ში შეინიშნება ფრაგმენტულობა, გრძობათა  
და განწყობათა სტილიზაცია, უფრო მეტი პა-  
სიური ჰერტიკა, ვიდრე მოქმედება, ძიება. ეს  
კი უჯარგავს მათ პოეტურ ხერხემაღს და უქმა-  
რისობის გრძობებს ტოვებენ.

ჯარჯი ფხოველი პოეტური განწყობილების  
მხატვრული განსურათებისათვის იშველიებს  
პეიზაჟს, ბუნებას, რომელიც მისთვის ესთე-  
ტიური საყრდენია განსხვავებული მხატვრული  
შინაარსის წარმოსახვისათვის. ბუნების ესა თუ  
ის ხილული მოვლენა თუ ნივთი კარგავს საგ-  
ნობრიობას, აღწევს მალღ განზოგადოებას და  
მთა კონტრასტებში მეტაფორულად ცნაურდე-  
ბა პოეტის სათქმელი. ასე მაგალითად: „ნელა-  
ნელა მოცოცავს თოვლი ტყეებისაკენ, ნაღვლია-  
ნი ღელეებისკენ, ახოებისკენ... ქვემოთ და  
ქვემოთ... ღამდება — მაგრამ მინც მოჩანს  
თეთრი სინათლე და ღამეს კაწრავს შორი ყვი-  
რილი...“ პოეტი თითქმის ყოველი ლექსის და-  
საწყის სტრიქონებში პლასტურ ფერწერულ  
სურათებით წარმოსახავს წლის რომელიმე

დროს, ღღესა თუ ღამეს. ეს მხატვრული ხერხი  
მხოლოდ სამკაული როდია ლექსისათვის, —  
ამით მკითხველი შედის იმ გარემოებაში, რომელიც  
ლიე განწყობის მას უკეთ აღიქვას და გაიზი-  
როს პოეტის იდეური ჩანაფიქრი. თუ რამდენ-  
ად ახლოსაა პოეტი ბუნებასთან კარგად ჩანს  
ლექსში „პროცესია“, რომელშიც ბუნების პან-  
თეისტური გააზრება შეიგარძნობა. პოეტისა-  
თვის ისეთივე შემამოფრთხილებელია მცენარის  
სიკვდილი, როგორც ადამიანისა: „ორი ცხელა-  
რი მიაქვთ ჭალისკენ... ცხელარი ჭადრის და  
ტყისმჭერელის გავიხეული“.

ჯარჯი ფხოველის პოეტური სტილი, რო-  
გორც აღწინაშეთ, სადა, მაგრამ შეიმჩნევა ერ-  
თი საერთო ტენდენცია, რომელიც უარყოფი-  
თად მოქმედებს მის სახისმეტყველებაზე. ესაა  
პოეტის თვისება ყოველი სტრიქონი პოეტურ  
სახედ აქციოს. გადაჭარბებული სახეობრიობა  
აბნელებს აზრს, ხელს უშლის იმ სახის უკეთ  
წარმოჩენას, რომელშიც გააზრებულია პოეტის  
არსებითი სათქმელი, იდეური მრწამსი. ლექსის  
საერთო ფონზე ინტონაციური ხშირებითა და  
წარმოსახვის მოულოდნელობით რელიეფურად  
უნდა იყოს გამოხატული ასეთი სახე, რომე-  
ლიც პოეტის შინაგან სამყაროსაც გაანათებს.  
სტრიქონის სისადავე არ გამოირიცხავს მის  
აღუგორიულობას, აზრის სიღრმესა და პოეტუ-  
რობას. სადა სახეებითაც შეიძლება გაღმრიცხ-  
რთული და ღრმა აზრი. სტრიქონთა მეტაფო-  
რიზაციით გატაცება კი პოეტს უბიძგებს ხე-  
ლოვნურობისაკენ, მანერტულობისაკენ. ჯარჯი  
ფხოველის პოეტური სტილისათვის ხელოწუ-  
რი და ნაძალადევი გვეჩვენება ასეთი რამ:  
„საღამოსხანს ქაშუეთის ეკლესიასთან ტრო-  
ლეიბუსმა აწუღურ ელემქტრონული ჩაძოატარა  
ჩემი წუხილი“, ან: „ხეთა ზედაპირს, მიქცევი-  
დან დაბრუნებული ტალღების ფსკერზე და-  
ლექილი კენჭებით სავსე უჭირავს შენი თეთრი  
სხეული“. ეს და ამის მსგავსი სახეები, შეიძ-  
ლება ზუსტად გამოხატავდეს პოეტის განცდებს,  
მაგრამ ისინი მოკლებულია ბუნებრიობას, პოე-  
ტურობას და ორიგინალობის პრეტენზია  
აბუკით. სწორედ ეს მაფიქრებინებს, შეიძლე-  
ბა ამ ზედმეტმა გატაცებამ დაჩრდილოს  
ჯარჯი ფხოველის ინტუიციური ჰერტიკა და მის  
პოეზიას უშუალობა განერიდოს.

ჯარჯი ფხოველს კი ნამდვილად აქვს მხატვრუ-  
ლი ინდივიდუალობით აღბეჭდილი პოეტური  
სახეები, რომელნიც გამოხატავენ მათი შემქმ-



ნელის მიერ სამყაროს თავისებურ ხედვას. აი რამდენიმე მათგანი: „უნდა შევკრიბო სინანულის ყველა ნაფლეთი და მარტოობის ფსიქრზე გავფინო“, „შრილებს მთვარის უმწურო ცრემლი“, „სხვა რაღა შემრჩა? მარტოდენ საღამოების მგლისფერ სხეულზე განფენილი უსასობა“, „მხრებზე მკიდებენ სივრცეები დუმილის ლოდებს“, „ქარი კითხულობს დახეთქილი ლოდების ანბანს“.

ქარჯი ფხოველის თავისუფალ ლექსებს შეიგავანად კრავს და ამთლიანებს დინჯი, მაგრამ ენერგიული და მღელვარე რიტმი — ეს მიუცილებელი საყრდენი თავისუფალი ლექსისა. მისი მუსიკა დახვეწილია, თუმცა, ალაგ-ალაგ ხე-

ლოვნურად ალიტერირებული სტრიქონები შეინიშნება („ჯოგებისაგან გადაჯეგოლ ჯაგებზე თავზე“, „ჯაგების თავზე ჯამბაზობს ჯანლი“). ინტონაცია წმინდად ქართულია, უმთავრესად, სასაუბრო ინტონაციის ეყრდნობა.

ქარჯი ფხოველი არაა ერთფეროვანი თავის შემოქმედებაში. იგი თითქმის თანაბარი სიძლიერით ფლობს თავისუფალი და ტრადიციული ლექსის ხელოვნებას. მაგრამ თუ მისი გამომსახველობითი სიღრმე და შემოქმედებითი ინდივიდუალობა უფრო თავისუფალ ლექსში გამოჩნდა, ეს მისი პოეტური ნების ბუნებრივი გამოვლენაა და, ვფიქრობ, ქარჯი ფხოველის შემოქმედებაც ამ გზით განვითარდება.





## რონაი კანდიდაი

# ალმანახი „ფეშქეში“

1855 წელს საქართველოს ჟურნალისტიკის ისტორიაში საკმაოდ საინტერესო მოვლენა მოხდა: გამოვიდა პირველი ლიტერატურული ალმანახი (რუსულ ენაზე) „ზურნა“. მისი დაარსების იდეა იშვა გაზეთ „კავკაზის“ ირგვლივ შემოკრებილი ქართველი და რუსი საზოგადო მოღვაწეებისა და მწერლების წრეში. ამ განზრახვისთვის ხორცის შესხმამ ხანგრძლივი და დამაბული მოსამზადებელი მუშაობა მოითხოვა. კავკასიის საცენსურო კომიტეტთან მოლაპარაკებას დიდი ენერჯია მოხმარდა. ბოლოს და ბოლოს, დიდი ჯახირის შემდეგ, ალმანახის გამოცემა მთავრობამ შესაძლებლად მიიჩნია. ამიერკავკასიაში პირველი ლიტერატურული ალმანახის გამოცემის ცდა წარმატებით დაგვირგვინდა. პირველ მერცხალს, ეხადია, იმედითა და ცნობისწყურვლით შეხედენ.

პროფ. ს. ხუციშვილის თქმით, პირველი ალმანახი, სადაც რუსი, ქართველი, აზერბაიჯანელი ავტორები თანამშრომლობდნენ, ამიერკავკასიური ორგანო იყო, მაგრამ ამ გამოქვეყნებული ლიტერატურული მასალების უმრავლესობა საქართველოსა და თბილისს შეეხებოდა. ეს ნაწარმოებები ქართველი ხალხის სიყვარულითაა გამსჭვალული, მათში ქართული

ყოფა, ისტორიული წარსული, წეს-ჩვეულებები და ტრადიციები ბუნებრივი ტაქტითაა გადმოცემული.

საინტერესო, პროგრესული ალმანახი „ზურნა“ შეუმჩნეველი არ დარჩენილა. აქ, რა თქმა უნდა, გადაჭარბება არ გვმართებს; თვით ალმანახის გამომცემელი ი. ვერდერეცკისაც ჩინებულად ესმოდა, რომ ალმანახის პირველივე ნაბიჯები მთლად გამართული ვერ იქნებოდა. ამიტომ იყო, რომ კრებულის წინასიტყვაობაში წერდა:

„...როგორც აზიური ზურნისაგან არ უნდა ელოდეთ სავსე მუსიკალურ ფერადობას, ასევე, უსამართლობა იქნებოდა, პირველ ამიერკავკასიურ ალმანახს მოეთხოვოს ლიტერატურული თვალსაზრისით სრულყოფილება“.

ალმანახის გამოსვლას გამოეხმაურნენ „ზაკავკასკი ვესტნიკი“, „კავკაზი“, „ბიბლიოტეკა დლია ჩტენია“. განსაკუთრებით საყურადღებოა ნ. ჩერნიშევსკის სტატია, რომელიც მან ანონიმურად გამოაქვეყნა ჟურნალ „სოკრემენიკის“ 1855 წლის მეშვიდე ნომერში. დიდი რევოლუციონერ-დემოკრატის რეცენზია გამსჭვალულია ქართველი ხალხის, მისი კულტურის პატივისცემით და ქართული ლიტერატურის დიდი მომავლის რწმენით.



ალმანახში სულ 29 ნაწარმოებია გამოქვეყნებული: ოცი ლექსი, ორი დრამატული თხზულება და შვიდი — პროზაული.

ალმანახის რედაქტორ ე. ვერდერევისკის გარდა; ამ კრებულში დაიბეჭდა ვ. სოლოგუბის, მ. ახუნდოვის, რ. ერისთავის, ნ. ბერძენიშვილის, მ. მამაცაშვილ-ბაღრაძის, ი. ცისკარიშვილის, გ. გვაგრინის, ფ. ბობილევის, მ. შერბინინის, ნ. დუნკელ-ველინგის და სხვათა ნაწარმოებები.

„ზურნის“ წარმატებამ მის ორგანიზატორებს, ავტორებსა და პირველ რიგში, თვით გამომცემელს იმედი ჩაუსახა, რომ მათი პირველი პერიოდულად და ყოველწლიურად გამოვიდოდა. სამწუხაროდ, ამ იმედს ახდენა არ ეწერა — 1656 წელს „კავკაზის“ და „ზურნის“ გამომცემელს თბილისის დატოვება მოუხდა. ვერდერევისკის საინტერესო და სასარგებლო წამოწყება გაიხსენეს პირველი ალმანახის გამომცემის მხოლოდ ორი წლის შემდეგ.

1857 წელს, სააღდგომოდ, გაზეთ „კავკაზის“ მუდმივ ხელმძღვრლებს დამატების სახით დაურგდა ალმანახი „ფეშქეში“.

გ. ზერცალოვის „საქართველოს რუსული პერიოდიკის ბიბლიოგრაფიაში“, მიანასრთვის, ყოფიძის, პავირევისა და სხვათა ცნობარებში „ფეშქეში“, სამწუხაროდ, არ იხსენიება. ღარბ ცნობებს მასზე წაიფუძლით მხოლოდ 1901 წ. გამოცემულ წიგნში „ვახუთი „კავკაზი“ (რუსულ ენაზე) და „კავკაზის“ 50 წლისთავისადმი მიძღვნილ სათბილეო სტატიაში, რომელიც გამოქვეყნებული იყო 1896 წ. 15 იანვარს, თვით „კავკაზის“ ფურცლებზე ჩვენს დროში „ფეშქეს“ ყურადღება მიიქცია ამჟამად ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორმა ი. ბოგომოლოვმა (იხ. „ვეჩერნი ტბილისი“ 18-XI 1961 წ. „დავიწყებული ლიტერატურული ალმანახი“).

ჩვენ გვახსოვს, ვერდერევისკი იმდროეებდა, შემდგომი გამოცემები პირველზე უფრო საინტერესო იქნება და მეტ ხანსაც იარსებებს. მაგრამ „ფეშქეში“ უღელური აღმოჩნდა. ახლა იწელია ითქვას, რატომ მოხდა ეს. ჩვენის აზრით, ვერდერევისკისთან შედარებით გამოუცდელმა და ნაკლებნიჭიერმა „კავკაზის“ რედაქტორმა ბობილევა საკმეხ თავი ვერ გაართვა: „ფეშქეში“ ნომრები სულსწრაფად მზადდებოდა, ვერ მოხერხდა სოლიდური ავტორების მოზიდვა, მასალების შერჩევას მკაც-

რად არ ეკიდებოდნენ და ა. შ. „ფეშქეში“ „ზურნას“ შინაარსითაც ჩამორჩებოდა ფორმებითაც (მცირე ფორმის ფურცლებს უსაშველოდ დიდი ველი ჰქონდა, მაგრამ ამანაც ვერ იხსნა გამოცემა შემთხვევითი მასალებისაგან). „ფეშქეში“ ავტორთაგან მხოლოდ ორნი იქცევდნენ ყურადღებას — ნ. ბერძენოვი (ბერძენიშვილი) და ფ. ბობილევი, სხვები ან ფსევდონიმებით წერდნენ, ან საერთოდ არ აწერდნენ ხელს თავიანთ თხზულებებს, რაკილა არ იყვნენ მათზე ვადაპირბეჭდილი აზრისანი.

„ზურნაში“ გამოქვეყნებულ ნაწარმოებთა მნიშვნელოვანი ნაწილი, როგორც აღინიშნა, საქართველოს შეეხებოდა, „ფეშქეში“ დაბეჭდილი რვა ნაწარმოებიდან კი (სამი მოთხრობა და ხუთი ლექსი) საქართველოს მხოლოდ სამი შეეხებოდა — ა. ბერძენოვის „ივანე“ და ლექსები — ბ. ბ.-ს „წმინდა-გიორგის შთა“ და რ-ს „გამელელის ჩანაწერებიდან“.

იწელია საუბარი „ფეშქეში“ რაიმე იღვერ მიმართულებაზე, ენარობრივ თავისებურებებზე, მხატვრულ ღირსებებზე, რადგან ეს ალმანახი საქმად ჰქრელი და ფშეტესწილად, მღორე, ერთმანეთთან იღვერად და თმბატურად დაუკავშირებელი მასალების თამოყრაა. ყველაზე საინტერესოდ ნ. ბერძენოვის მოთხრობა „ივანე“ გვესახება. შს ქვესათურად ნარაევი უზის და ამას თავისი აზრი აქვს. „ივანე“ მოთხრობის ენარობრივ მოთხოვნებს სრულიად არ პასუხობს, იგი ფრაგმენტებია თბილისელი გლახის ცხოვრებისა. ამ გლახას ავტორი თორმეტი წლის მანძილზე ხედებოდა ქალაქის ხან ერთ, ხან მეორე უბანში და აი, ბოლოს და ბოლოს, დაიყაბულა, რომ თავისი ცხოვრების ებიზოდები მოეთხრო. ავტორს მარტო ივანეს ცხოვრების პერაპტიები კი არა, მისი ხასიათი, ამხანაგებთან ურთიერთობები, ცხოვრებასა და ადამიანებზე შეხედულებებზე აინტერესებს. ისევე როგორც თავის სხვა ნაწარმოებებში (მათ გაზეთ „კავკაზიდან“, ალმანახ „ზურნიდან“ და სხვა ორგანოებიდან კინობთ), ნ. ბერძენოვი „ივანეშიც“ საინტერესო, ღაკვირვებულ ავტორად გვევლინება, რომელიც ჩინებულად იცნობს ადგილობრივ წეს-ჩვევებს,

**დონარა კანელაკი**  
ალმანახი „ფეშქეში“

ტრადიციებს, თავისი ქვეყნის ისტორიას, ხალხურ ზეპირსიტყვიერებას. მოთხრობა, პირობითად, ორ ნაწილად დაიყოფა: პირველი — ავტორისეული თხრობა და მეორე, უფრო ვრცელი — გლახის ნაამბობი საკუთარ სვე-უბედურ ცხოვრებაზე.

საინტერესოა ისიც, რომ ნ. ბერძენოვისთვის მისი მოთხრობის პერსონაჟი, ივანე, გამონაკლისი, შემთხვევითი პირი არ არის, ავტორის სიტყვებით რომ ვთქვათ, „თბილისელ გლახთა ჭრელ ბრბოში შეხვდებით არა ერთ ტიპურ ფიზიონომიას, რომელიც საესებით იქცევს დაკვირვებული კაცის ყურადღებას“.

ივანე სხვა გლახებს არ ჰგავს, — იგი ხელგამოშვებით თითქმის არასოდეს თხოულობს მოწყალეებს და ეს ეზარება იმათგანაც, ვინც წამდაუწუმ მათხოვრობს. ივანეს ორატორის თანდაყოლილი ნიჭი აქვს. მსახიობობაც (თვალთმაქცობაც) ეხერხება. მკითხველი (მით უფრო რუსი მკითხველი) უნდა დაინტერესებულყო მისი „რეპერტუარისადმი“ მიძღვნილი ადგილებით... ივანე უმღერის ავტორს სიმღერას თბილისზე, რომელიც მას და მის ამხანაგს მესტიერეს შეუთხზავთ თბილისში პირველად ჩამოსვლისას. ავტორი მკითხველს აუწყებს — ამ სიმღერას მე პროზად ვაღმოგაცემთ, მაგრამ დედანში იგი რითმინაო. უნდა ვიდებოთ, რომ გლახის ეს სიმღერა ქართული ხალხური ფოლკლორიდან უნდა იყოს მოხმობილი. ლექსი მეფე ერეკლეს უმღერის, ხალხის განწყობილებას გამოხატავს და საქართველოს რუსეთთან შეერთებას დადებითად აფასებს (ამაზე ლექსის ფინალი მიგვანიშნებს). ბერძენოვის მოთხრობაში ივანე ერთმანეთს უპირისპირებს წარსულსა და აწმყოს. იგი წარსულს აიღვალებს და აწმყოს განაქიქებს (ამ ახალ დროში უსინდისობა დასადგურდა ქვეყნად და ყველაფრის განმგებელი ფულიაო), მაგრამ, ვფიქრობთ, ივანე იმას იმიტომ კი არ აკეთებს, თითქოს იგი ძველი დროების ბრმა მოთაყვანე იყოს, არა, იგი ნამართლიანად აღნიშნავს იმ დადებით მოვლენებსაც, რაც ახალ დროს მოჰყვა, მაგრამ თავისი გაუნათლებლობის გამო, იგი, ცხადია, ვერ ერკვევა იმ ისტორიულ, სოციალურ, პოლიტიკურ პროცესებში, რომლებიც ხდებოდა სინამდვილეში. მას ვერ გაუგია, რომ ჩასახულ კაპიტალისტურ ურთიერთობებს, ბურჟუაზიულ ცივილი-

ზაციასა და ტექნიკურ პროგრესს შოაქეთ პაქრიარქალურ ურთიერთობათა მსხვერველედ უფრო თვალნათლივ წარმოჩენაც, და ყოველივე ამას იმით ხსნის, რომ ქვეყანა გადაგარდა, ადამიანები გაიხრწნენ და უსირცხვილონი გახდნენო. ე. ი. შედეგს მიზეზად მიიჩნევს.

კრებულში დაბეჭდილია ვ. პ.-ს მოთხრობა „ორი ზეგდრი“. „ხალხური ზღაპარი“ — მიუწერია ავტორს ქვესათაურად და მართლაც ცდოლა, რომ მოთხრობა ფოლკლორულ სტილზე დაეფუძნებინა (უხვად იყენებს ანდაზებს, ხალხურ სიმღერებს, აფორიზმებს...).

ზღაპრის სიუჟეტი მიამიტური და სადაა: ერთ სოფელში ცხოვრობდა ორი ძმა — ივანე და დემიანი. მამის სიყვდილის შემდეგ ყანა, საქონელი და მელი უძრავ-მობრავი თანაზრად გაიყვეს და თავთავიანთ მეურნეობას უძღვებოდნენ. ორივენი გამრჩენი იყვნენ, მაგრამ ივანეს ბელელში მოსავალი ვერ ეტოლდა, დემიანის ცოლშვილს კი შიმშილისაგან კუჭი უხმებოდა. დემიანს ვერაფერი ჰგავო, სანამ ერთხელ ერთ გოლიათ გლეხაყს არ მოჰკრა თვალი. იგი ივანეს ზეგდრი აღმოჩნდა. ამ გოლიათმა დემიანს უთხრა: შენი ზეგდრი აქა და აქ გელოდებო და ურჩია, ვაჭრობას მოჰკიდე ხელიო. დემიანმა რამდენიმე წელი გოლგაზე ივაჭრა და ძალიან გამდიდრდა. შემდეგ მან ივანესაც ურჩია, ივაჭრეო, მაგრამ ივანემ სოფლიდან ფეხი არ მოიკვალა.

ვ. პ.-ს ზღაპარი ნ. ბერძენოვის „ივანეზე“ ნაკლებ საინტერესო ნაწარმოებად გვეჩვენება. აქ საქმე მხოლოდ სიუჟეტში როლია. მხედველობაში გვაქვს ნაწარმოების იდეური მხარე. რაც, რბილად რომ ვთქვათ, გვაოცებს, ნებით თუ უნებლოეთ, ავტორი საკმაოდ თავისებურად ხსნის უთანასწორობას. დემიანის კითხვაზე: რატომაა, რომ ძმას თითქოს ხელის გაუნძრევლად მოსდის და მოსდის სიმდიდრეო, ივანეს ზეგდრი პასუხობს:

— თავისი ზეგდრი იპოვნა და სიმდიდრე მოსდის და მოსდის, მე ვეხმარებიო!

მოგვიანებით, როცა დემიანმა თავისი ზეგდრი იპოვა, იღბალმა მასაც გაუღიმა.

სანამ გვიჩი მკლავდაკაპიწებით შრომობდა, ისე, რომ ყანას მწარე ოფლით ზწყავდა. ხველფერი ამო იყო, ზოლო როცა ზეგდრი იპოვა, ყველაფერი შეიკვალა, თითქოს ჯადოსნური ჯოხი აიქნიესო. თურმე, საქმე ის კი არ



ყოფილა, უქნარაა კაცი თუ გამრჩე, არა, ყველაფერი ბედისწერაზე, იღბალზე ყოფილა დამოკიდებული. ყველაფერი წინასწარაა დაწესებული, „დაპროგრამებული“ და თავად ადამიანს ხელ-ფეხი პქონია შეკრული.

რალაჲ ზეციური ძალებისადმი ემწყო მორჩილებად მოსჩანს ზღაპრის ფინალი.

დემიანი ივანეს სთავაზობს ვოლგაზე წამყვერიო, მაგრამ იგი უარსაა, „ყველას თავისი ბედი აქვსო“.

არავინ მოითხოვს, რომ ზღაპარში მოცემული იყოს არსებული სოციალური ურთიერთობების ღრმა ანალიზი, აიხსნას სოციალური კონფლიქტები, დაიჭინოს უთანასწორობის გამოწვევები მიზეზები და ძირები და ა. შ. მაგრამ ბედისწერის აბსოლუტიზება, სინამდვილესთან ფაქტალური შემრიგებლობა, რასაც საფუძვლად კანონიკური ქრისტიანული ტრადიციები უდევს, თავისი ბუნებით ანტიხალხური ტენდენციაა და პროტესტს იწვევს.

ზღაპარი რეალობიდან არ ამოდის, იგი გულუბრყვილად აზვიადებს ფანტომის, ბედისწერას, ხედრის როლს ადამიანის ცხოვრებაში და აყენებს შრომის, გამრჩეობის მნიშვნელობას. ამდენად, ზღაპარი ვერ გამოხატავს ხალხურ სიბრძნეს, მის ტენდენციებს.

„ნაწვეტი რომანიდან“ სენტიმენტალობისა და ფსევდორომანტიზმის ნაზავია, თუმცა ავტორს სინამდვილის რეალურად ასახვის პრეტენზია აქვს. მას რამდენიმე სოციალური საკითხიც აღუბრავს, მაგრამ საქმე უნიადავო ლაყაფს არ სცილდება, მოვლენებს განმეჭების სიღრმე აკლია, მკრთალია ავტორის იდეური პოზიცია.

ნაწარმოების მთავარი გმირია შემამულე მაკაროვისა და უხრალო ყმა-ქალის ბუში ოლგა. საკმაოდ ჭკვიანი, დაკვირვებული ადამიანი, ვისაც უსამართლობისა და უთანასწორობის მათრახის სუსხი საკუთარ თავზე უწუნვია; თითქოს ოლგას უნდა გამოეხატა გარკვეული კლასობრივი პოზიცია და სოციალური პროტესტი, მაგრამ ავტორს ეს აზრადაც არ მოსვლია. ოლგა სოციალური ჩავერის ფაქტებს კი ხედავს, მაგრამ მათი მიზეზების ღრმად გააზრებას არც ცდილობს. ოლგას მიერ დახატულ იდოლიურ-პასტორალურ სურათებს ძალზე ცოტა საერთო აქვთ XIX საუკუნის ოცდაათიან-ორმოციანი წლების რუსეთის სინამდვილესთან.

ავტორს უცდია, რომ ნაწარმოების იდეური სამკრთალე მისი „მხატვრობით“ მიეჩქმალა; მოთხრობაში ვულუხვადაა გაბნეული „მგრანობიარე“ ეპითეტები, სენტიმენტალური გამოთქმები, რომლებიც ობიექტულს გულს უჩუყებდნენ.

კრებული იხსნება ბ. ბ.-ს კარგა მოზრდილი ლექსით „წმინდა-გიორგის მთა“, რომელიც ორი ნაწილისაგან შედგება, პირველის ჭკესათაურია „აღმართი“, მეორეისი — „მობრუნება“. ლექსი ფაქტიურად ნაქვრალს მთაზე ასვლისა და იქ წმინდა გიორგის მონასტრის ნანგრევების მონახულების გართომული „ანგარიშია“, რომელსაც პრინციპად უდევს: „ვნახე — ჩავიწერე“. ლექსს ერთვის მთაზე ასვლის საკმაოდ მოზრდილი პროზაული აღწერილობა, რომელიც, ასე განსაჯეთ, თვით ლექსზე უფრო საინტერესოა: აქ მეტად იგრანობა ავტორის ემოციები, გულწრფელობა. ავტორი აღფრთოვანებულია ჯადოქრული ბუნებით, საყდრის ნანგრევებით, ძველი ფრესკებით, მაგრამ ნაცვლად განცდების პოეტური სახეებით გამოხატვისა, მას აღუძერის „ლოცვად დავარღნა“ სურვილი.

ლექსი „გამეღელის ჩანაწერებიდან“ უფრო საყურადღებო ნაწარმოებია შინაარსითაც და ფორმითაც, საკმაოდ მუსიკალურია და აზრიანი. პოეტი ყოველდღიური ცხოვრებისგან განდგომას ესწრაფვის, იგი „მთების ჩრდილსა და სამხრეთის მზეს“ ამურებს, მაგრამ ამაოდ... ასეთია პოეტის სურვილი, მაგრამ მას მეორე განწყობილებაც ეძალება: კავასიონის მთების ჭაჭვი და ბობოქარი თერგი მის „სულს ამღელვარებს“ და სიხარულით ავსებს.

„ჩანაწერების“ ავტორი „აღმწერლობას“ არ სჯერდება. იგი ფაქტებს კი არ აღუნახავს, არამედ წარსულთან და მომავალთან მიმართებაში განიხილავს. ავტორი მართებულად უდგება რუსეთთან საქართველოს შეერთების საკითხს. ავტორისადმი ღრმა სიმპათიას ჰხადებს ის გარემოება, რომ იგი მოწიწებით ეკიდება ქართველ ხალხის ისტორიულ წარსულს და ცხადად გამოხატავს მასთან შეგობრულ დამოკიდებულებას.

ტ. დ. ტ.-ს ფანტაზია „ობოლი გოგონა“ 22 თავისაგან შედგება და აღმანახის 17 გვერდს

**დონარა კანდელაკი**  
აღმანახი „ფეშქაში“





იკავებს. სამწუხაროდ, ავტორი ფორმის სიახ-  
ლეს ვერ აღწევს და ვერც ღრმა აზროვნებას  
ავლენს. ნაწარმოები სენტიმენტალურ, მელო-  
დრამულ ამბავზეა აგებული. ავტორის ფი-  
ლოსოფია ასეთია: ეს ცხოვრება საბავლეოა.  
გარკვეული წესრიგი და ჰარმონია მხოლოდ  
საიქიოშია, ადამიანის სიცოცხლე სიზმარია,  
მოჩენებაა, წამიერია, მხოლოდ საიქიოა მყა-  
რი და წარუფალი. ამიტომ სიცოცხლე და მოქ-  
მედება უაზროა. მიწიერი სწრაფვანი ამაოებაა.  
იშვითია შემთხვევა, როცა ადამიანი ბედებს  
და „ბუნების მღვდლვარე ძალებს“ შეებმება,  
იგი საბოლოოდ მაინც მარცხდება.

აღმანახი იხურება „კავკაზის“ რედაქტორის  
ფ. ბობილევის ორი ლექსით „ალბომში“ და  
„სურვილი“. პირველი ლექსის დასაწყისი, მო-  
საწონია. — ავტორი სულიერი სიმბნევისაგან  
მოუწოდებს, ბორტებთან, უკეთურებთან,  
საბრძოლველად გვაძხვდრებს, მაგრამ ლექსის  
დაბოლოება გვაძახუნებს: ბორტება შებრ-  
ძოლი, შემართებული ადამიანის მიერ კი არა,  
„მხოლოდ მწრფელი- ლოცვით“ ითრგუნება.  
საკითხავია, რაღად მოგვიწოდებდა ავტორი  
ბრძოლისაგან, თუკი ამგვარ მორალს შემოგე-

თავაზებდა. ფ. ბობილევის ეს ლექსი, მსგა-  
სად ვ. პ.-ს ზღაბრისა, ტიპიური სენტიმენტალური  
ქრისტიანული დამოძღვრებაა. უფრო საყურა-  
დლებო ჩანს ლექსი „სურვილი“. ავტორი შე-  
პრწუნებულია საიქიოზე, სიკვდილზე დიქრიო.  
ამვე დროს იმასაც ხედება, რომ ცხოვრების  
საღვიველთა საფუძველი მოქმედებაა.

კრებულის ანალოზი გვიჩვენებს, რომ იგი  
მხოლოდ სუსტი მიბაძვია აღმანახ „ზურნისა“.  
თავისი გაფორმებითა და შინაარსით „ნუჰქე-  
ში“ ცხადყოფს, რომ იგი ხელაჩქარებულად  
მზადდებოდა. აღმანახს არ ჰქონდა მაგისტრა-  
ლორი ხაზი, ძირითადი ზერხემალი, რომელიც  
მოელ მასალას მიზანდასახულად წარმართავ-  
და. როგორც ჩანს, კრებულის რედაქტორს  
მასალებიც აკლდა, ამიტომაც, რომ იგი ნაწარ-  
მოებების მხატვრულ-იდევრ მხარეებზე ნა-  
ლებ ზრუნვდა, ცდილობდა უფასო დამატე-  
ბეზითა და „წარმტაცისუფეტიანი“ ნაწარმოე-  
ბეზით გაეზარდა ხელისმომწერთა რიცხვი.

ეურნალისტიკის ისტორიაში „ფეშქეშსა-  
მნიშვნელოვანი კვალი არ დატოვებია, მაგ-  
რამ ამ აღმანახის არსებობის გათვალისწინე-  
ბა და მასზე მართებული აზრის შემუშავება  
კი გვმართებს.



# ორიბინალი და თარგმანი

სარეცენზიო წიგნის ავტორს აქვს მთელი რიგი ღირსებები, რამაც შესაძლებლობა მისცა, დაეწერა საინტერესო, შინაარსიანი ნაშრომი მთარგმნელობითი ლიტერატურის შესახებ.

იგი შესანიშნავად ფლობს ქართულსა და რუსულ ენებს, ასე რომ მისი შედარებითი ანალიზები ქართული პოეტური ორიგინალების და შესატყვისი რუსული თარგმანებისა, ზუსტი და დამაწყობებელია. ამასთან, ელვარდ ელიველავილს აქვს კრიტიკოსის თვალი და ამიტომ ზუსტად, გულისხმიერად და ორიგინალურად აღდენს კონკრეტული მხატვრული ნაწარმოების ინტერპრეტაციას; ფილოლოგის და ლიტერატურათმცოდნის ადლოც, რაც საშუალებას აძლევს, მეტი ყურადღებით მოეკიდოს „უცხო“ ტექსტების ენობრივ დეტალებს და დინტერესდეს ზოგადთეორიული პრობლემებით. ამას უნდა დავემატოთ აგრეთვე ფურნალისტის ნიკი — გარკვევით, ლაციონურად და მოხდენილად გადმოგვცეს სათქმელი.

ელიველავილის წერილებში (წიგნი წარმოადგენს წერილების კრებულს, რომელიც სხვადასხვა დროს იბეჭდებოდა პერიოდულ პრესაში) გარკვევით მოჩანს ავტორის მრავალმხრივი ნიჭი, ვთქვათ, ფილოლოგის თვალი, წერილში — „ციცხალი ხმა“, რომელიც უხეზა ირაკლი აბაშიძის ცნობილ ციკლს რუსთაველის შესახებ და ამ ციკლის თარგმანებს რუსულ ენაზე; კრიტიკული შორსმჭვრეტელობით გამოირჩევა მისი წერილები მეკეროვზე, ლუკონინზე ან თუნდაც ევტუშენკოს პოემაზე „პუშკინის გადასასვლელი“.

ლიტერატურათმცოდნის ადლო ატყვია საადისკუსიო, პოლემიკურ წერილს კულტურის ეროვნული თავისებურების შესახებ. ყველა ამასთან ზემოხსენებული წიგნი არ წარმოადგენს უბრალო კრებულს წერილებისა, რომლებიც მარტოოდენ ერთმანეთის გვერდით არიან განლაგებულნი. მას აღუბაძებს და კრავს მთა-

ვარი თემა, — „ორიბინალი და თარგმანი“, რომელიც ავტორს სათაურად წარუმატებელია წიგნისთვის და აგრეთვე პოზიცია ავტორისა, რომელსაც მე ვუწოდებდი ხელოვნებისადმი პატივისცემას.

ეს პატივისცემა იგრძნობა მაშინაც, როცა ავტორი მსჯელობს თეორიულ კატეგორიებზე, სადაც მეცნიერები და ლიტერატურათმცოდნეები ცდილობენ „დაიჭირონ“ სხვადასხვა ხალხების მხატვრულ კულტურათა ეროვნული თავისებურებანი (ამ საკითხზე ქვემოთ კიდევ გვექნება საუბარი), და როდესაც ხელთა აქვს კონკრეტული ლირიკული ნაწარმოები, ან თუნდაც ცალკეული სტროფები და სტრიქონები — მათი თანგანცდა და ემოციურობა დიდ სიხარულს ანიჭებს, რის გარეშეც, როგორც თვითონ სწამს, შეუძლებელია როგორც მათი აღქმა, ისე საკუთარი განცდის სხვისთვის გადაცემა.

კრიტიკოსი მსჯელობს ამა თუ იმ ნაწარმოებზე, მას აქვს ამის უფლება, მაგრამ უნდა ახსოვდეს, რომ თვითონ არ ქმნის ამ ნაწარმოებს და რომ ყოველი ქვეშაობიტი მხატვრული ნაწარმოები მისთვის კრიტიკის საგანია, მკითხველისთვის კი — მოვლენა.

ე. ელიველავილმა კარგად იცის, რომ ამა თუ იმ ნაწარმოების ხელახლა შექმნა კრიტიკული ინტერპრეტაციის გზით — არის ამოცანა, რომელიც „პრიინციპულად გადაუწყვეტელია“ (73), ამიტომ ეკამათება პოეტებს და ედავება მათ იმ შემთხვევაში, თუ ემოციური თანგანცდა არ წარმოიქმნება, ან თუ წარმოიქმნება ლექსის ეთიკურ, არასერიოზულ შინაარსში, წვრილმანდებ და ხელოვნური, სენტიმენტალური და ა. შ. ხდება. ერთი სიტყვით, ე. ელიველავილი საკმაოდ მკაცრად მსჯელობს პოეტებსა და პოეზიაზე და მისი „ჩივილი“, ჩვენ ეერ ამოუხსნით ხელოვნების საოცრებას და ისღა დაგვრჩენია, მხრები ავიჩივოთ

და ვილაპარაკეთ პოეტის სულზე, რომელიც ლირიკულ სტრუქტურაშია მოქცეული“ (გვ. 73), საკუთარ თავზე ცილისწამება იქნება მხოლოდ.

ავტორი სულაც არ იჩენავს მხრებს, იგი სწორედ პოეტის სულზე ლაპარაკობს... ლაპარაკობს ზუსტად, სერიოზულად, საბუთიანად, გამსკვლავლია პატივისცემით მით მიმართ, ვიზუალურად წერს. ეძებს გზებს, რომ გამოიხატოს და მერე სიძნელე დაგვიანახოს ამა თუ იმ პოეტის შემოქმედებით ინდივიდუალობის მნიშვნელოვანი მხარეები. ასე, მაგალითად, ჩემის აზრით, ელიგულაშვილმა ივრანო და დამაჯერებლად — ობიექტური ანალოზით დამატყვიცა, რომ ირაკლი აბაშიძის ლექსების ციკლი „პალესტინა, პალესტინა“ მშლავრად ეღერს, თუ საერთოდ არ ჰარბობს ტრაგიკული ხასიათის მოტივი, რომ ლაღო სულაბერიძის პოეზია ვევიხდავს გულწრფელი, მეგობრული საუბრით შეითხველთან (გვ. 137), რომ ლუციანის ნაწარმოებების სტილისა და კომპოზიციის დამახასიათებელი ნიშნებია „დებულების ემოციურობა და ლექსის ქარგის რაციონალურობა“ (გვ. 91), რა თქმა უნდა, იგი არ არის პირველი, ვინც მსგავს მოსაზრებებს გამოთქვამს, ისევე როგორც პირველს მას არ შეუნიშნავს დრამატუზში, დამატულობა და, თუ გნებავთ, ინტონაციის მერყეობაც (82) ბელა ახმადუღინის ლექსებში, მაგრამ ქართული კრიტიკოსი ანალოგიურ დაკვირვებებსა და დახასიათებებს მსჯელობის პროცესში გამოთქვამს, ამიტომაც ისინი დამოუკიდებლად და ახლებურად ეღერენ.

შესაძლოა, წამოიჭრეს კითხვა, რა საკიროა მსგავს საკითხებზე საუბარი წიგნში, რომელიც ეძღვნება თარგმანს და, მით უმეტეს, წიგნის რეცენზიამო? ვანა უფრო მართებული არ იქნებოდა გვემსჯელა ამგვარად: თქვენ ვანზრახული გაქვთ თარგმანების განხილვა, მამსადადე, უნდა აიღოთ ორიგინალები და შეუდაროთ თარგმანებს, მიუთითოთ დამახინჯებებსა და ხარვეზებზე, ეს იქნება ობიექტური მსახურება, ხოლო პოეტის სულზე საუბარი არაფერ შუაშია, ეს საკითხი ფსიქოლოგებს მიანდეთო... ე. ელიგულაშვილისათვის უცხოა საკითხისადმი ამგვარი მიდგომა. როდესაც ორიგინალს თარგმანებს უღარებს, იგი ითვალისწინებს ერთგულად ენების განსხვავებას (გრამატიკის, სინტაქსური წყობის, ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური და სტილისტური სტრუქტურების ობიექტურმა სხვაობამ არ შეიძლება თავი არ იჩინოს მთარგმნელობით მუშაობაში), ითვალისწინებს აგრეთვე ობიექტურ, თმცა არც ისე იოლად შესამჩნევ ეროვნულ კულტურულ-მხატვრულ ტრადიციებს, რომლის ატმოსფეროშიც იმყოფებიან და ქმნიან ორიგინალის ავტორი და მთარგმნელი. ყველაზე მეტად კი ე. ელიგულაშვილს აინტერესებს თარგმანი, როგორც ორი

ხელოვანის — პოეტისა და მთარგმნელის ინდივიდუალური პოეტური სამყაროს გადმოცემაში წერტილი. ამ საკითხზე იგი განსაკუთრებით ლაღად წერს და არა ერთგზის ამტკიცებს „მოთხოვნა“, პოეტი ჩაყვდეს მთარგმნელში, ისევე სოფისტური და ფუქია, როგორც მოთხოვნა, მსახიობში ჩაყვდეს რეჟისორი, კომპოზიტორში კი — მუსიკოსი-შემსრულებელი (83-85), და რომ „მთარგმნელმა... ბრმაღ კი არ უნდა მისდოს ორიგინალს, არამედ შემოქმედებითად უნდა გარდაქმნას იგი (83-85), რომ თარგმანი — ეს არის ავტორისა და მთარგმნელის ინდივიდუალობის შეჯახების შედეგი“ (გვ. 94).

საკითხის ამგვარად გაგება აიძულებს წიგნის ავტორს განსაკუთრებული ყურადღებით გაანალიზოს ის შემთხვევები, როცა ხელთა აქვს ნამუშევარი მთარგმნელისა, რომელიც ხელახლა ქმნის „არა ცალკეულ სტრუქტურებს, ფრაზებსა და სანებებს, არამედ ლექსს, არამედ მთლიან ლექსს, მის სიუფეტურ-სახეობრივ მთლიანობას“ (გვ. 61). ეს ის შემთხვევებია, როდესაც „ორიგინალის ზუსტად და გულისხმიერად აღქმის შედეგადაც კი ეღებულობთ რაღაც ახალს, რაც ატარებს მისი ნამდვილი შემოქმედის — ავტორის და პოეტი-მთარგმნელის ხასიათს“. (გვ. 83). ამგვარ თარგმანს ზოგჯერ უწოდებენ „თავისუფალს“, „ვარაიკულს“, „მოტივების მიხედვით“ ავებულ ლექსს (ელიგულაშვილი ამას უწოდებს „აზრობრივს“, „კომპლექსურს“ (გვ. 62). საქმე ის კი არ არის, რას ვუწოდებთ, არამედ ის, რომ ასეთი სახის მთარგმნელობითი მუშაობის დროს პოეტი-მთარგმნელის პიროვნება მერე სიძნელედა ელინდება, საქმე არც მსგავსი მუშაობის კონკრეტული მავალია კონკრეტულ ანალოზში (ვთქვათ, ჩემი აზრით, წიგნის ავტორს შეეძლო უფრო კონკრეტულად გაერჩია ს. ჩიქოვანის ლექსის „თიხის ქამის ნამსხვრევების“ ახმადუღინასეული თარგმანი), მთავარია, ზუსტად შეაფასო თვით ასეთი თარგმანი.

იგი, — ხანგასმით ამბობს ე. ელიგულაშვილი, — მისაღებიცაა და ნაყოფიერიც (ისევე, როგორც თარგმნის მეორე მიხედვით სტრუქტურების, ფრაზების, სახეების მიხედვით თარგმანი). ორივე სახის თარგმანზე უნდა ვიმსჯელოთ მხოლოდ მიღებული შედეგების მიხედვით და არა, ასე ვთქვათ, მეთოდებისადმი აპროორული მიდგომით. რაც შეეხება „მეთოდოლოგიას“, მისი ფარგლები ორივე შემთხვევაში განისაზღვრება ორი მთხოვნით, ჩვენ, მკითხველებმა, უნდა დავინახოთ თარგმნილ ლექსში როგორც პოეტი-ავტორის, ისე მთარგმნელის პიროვნებაც. სიტყვასიტყვითი თარგმანი, რომელსაც ელიგულაშვილი გვსლანის რებს ესერის (ამ შემთხვევაში იგი არც პირველია, არც უკანასკნელი), არსებითად სიტყვასიტყვაობა კი



არ არის, არამედ გულგრილობა, უფრო ცუდი გაგებით, ლექსის მექანიკურად გადმოღობვა, რომლის დროსაც მთარგმნელს არც თუ ისე აინტერესებს ორიგინალის ავტორისა და არც საკუთარი პიროვნების გამომქლავება (რასაკვირველია, თუ კი ასეთი გააჩნია).

მაგრამ მთარგმნელის მიერ ნაწარმოებისადმი შემოქმედებითი მიდგომა, მის მიერ საკუთარი უფლებებისადმი პატივისცემა და მოვალეობის გრძნობაც არ გამოირიყვას „კონფლიქტებს“, „უზუსტობას“, „გაუგებრობას“ მათ შორის, რაც არსებობს ერთ ენაზე და რაც მივიღებ სხვა ენაზე თარგმნის შედეგად. არსებობს კი ობიექტური კრიტერიუმები, რომლებზედაც დაყრდნობით შეიძლება სწორად შეფასდეს თარგმნის დროს მიღებული ცვლილებანი, თუ მათი შეფასება მთლიანად სუბიექტურია?

თარგმანის წარმატებისა და წარუმატებლობის გარჩევით ცელოგულაშვილი ყველაზე დეტალურად და ღრმად მევიროვის თარგმანებს არჩევს) წიგნის ავტორი გვიპასუხებს, რომ ობიექტური კრიტერიუმები არსებობს: — მთარგმნელმა სათარგმნად უნდა აირჩიოს ის ნაწარმოები, რომელიც უფრო ეხდავება მის შემოქმედებით ინტერესებს (კვ. 99); სხვა ენაზე მოლაპარაკე ამა თუ იმ პოეტიკისათვის არც თუ ისე ძნელია ამის დადგენა, მაგრამ თარგმანი რომ მხატვრულად ზუსტი იყოს, ამისთვის საჭიროა დიდი შემოქმედებითი ანალიზური მუშაობის გაწევა, ჩვენს ლიტერატურაში სულ უფრო და უფრო ხშირად მსჯელობენ იმის შესახებ, რომ მთარგმნელი, სხვა ყველაფერთან ერთად, არის „სხვისი“ ტექსტის გამოქვეყნებელი. ე. ვილოგულაშვილი სარეცენზიო წიგნში სწორედ ამგვარი გამოკვლევის ზოგიერთ მომენტს განიხილავს.

ასე, მაგალითად (მევიროვის და ახმადულანას თარგმანების კონკრეტულ მაგალითზე), იგი აყენებს თეორიულად მნიშვნელოვან საკითხს იმის თაობაზე, რომ „ორიგინალი შეიცავს პირველ და მეორეხარისხოვან ელემენტებს, აუცილებელსა და არაუცილებელს თარგმნის თვალსაზრისით“ (კვ. 61). ეს კი ნიშნავს, რომ დასმულია საკითხი ნაწარმოების მხატვრული ფორმის სხვადასხვა აღნაგობის შესახებ და მასზე პასუხის გაცემა პრაქტიკულად, თარგმნით, ნიშნავს იმის გაგებას, რომ მთარგმნელის თავისუფლება განისაზღვრება მისი შესაძლებლობის დონით, შეიცნოს ამ ფორმის რთული სტრუქტურა.

თარგმანში, როგორც ეტყობა, გარდუვალია განსაზღვრული სახის დანაჯლისი, მაგრამ ეს დანაჯლისი, უპირველეს ყოვლისა, შეგნებულად და რაც შეიძლება სრულად უნდა იქნეს აღდგენილი. ამ დროს უცხო ენის ზარჯზე უნდა გამოვლინდეს მთარგმნელის უნარი და მისი

შემოქმედებითი ინდივიდუალობაც. მეორე, ეს დანაჯლისი არ უნდა შეეხოს სათარგმნელის სიღრმეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ვერ მივიღებთ სრულფასოვან მხატვრულ თარგმანს.

დამახინჯება — ეს, მკაცრად რომ ეთქვას, „სისტემატური დანაჯლისია“ (144). ამ ზუსტი ფორმლის მიხედვით სიტყვასიტყვითი თარგმანიც დამახინჯებას უდრის.

მსჯელობა იმის შესახებ, რომ მთარგმნელი არის მკვლევარი, რომელსაც შესწევს უნარი ამოხსნას მხატვრული ფორმის ობიექტური სტრუქტურა და სისტემა მისი ელემენტებისა, რომელზეც სხვადასხვა „დონეს“ განუყოფებია, სწორედ უნდა იქნეს გაგებული. ლიტერატურული, ფილოლოგიური განათლება ხელს როდი შეუშლის მთარგმნელს საქმეში, მაგრამ მაინც ცხადია, რომ მისთვის აუცილებელია შემოქმედებითი ინტელიცია. ფანტაზია, წარმოსახვის ძალა და ა. შ. ეცნობა რა უცხო პოეტურ ტექსტს. მთარგმნელი ითვალისწინებს თავის შემოქმედებით შესაძლებლობებს და შემდეგ იწყებს თარგმნას, მაგრამ შემოქმედებითი „წეის“ პროცესი თარგმნის დროს მაინც სხვაგვარად მიმდინარეობს და განსხვავდება საკუთარ, ორიგინალურ ნაწარმოებზე მუშაობისაგან. „ზომის“ პრობლემა ეს შინაგანად საჭირო, ფსიქოლოგიურად აუცილებელი პრობლემა მთარგმნელობითი შრომისა. რაიმე ტიპიური, ყველა შემთხვევისთვის საერთო თანაფარდობა აქ არ არსებობს, მაგრამ ე. ვილოგულაშვილი კონკრეტული ანალიზების საშუალებით ამტკიცებს, რომ არსებობს თეოთ პრობლემა, რომელიც ცალკეულ შემთხვევაში თავისებურად უნდა იქნეს გადაჭრილი.

ამ მხრე უყრდნობა, მაგალითად, მისი ანალიზი კ. კალაძის, რ. მარგანიის, ი. ნონეშვილისა და სხვათა ლექსონიშნული თარგმანებისა, ანალიზი, რამაც წიგნის ავტორი მიიყვანა დასკვნამდე, რომ საჭიროა არსებობდეს საერთო ინტონაციები ორიგინალის ავტორისა და მთარგმნელს შორის და რომ ავტორის ინტონაციის „უეცრად“ შეცვლა პოეტი მთარგმნელის მიერ საკუთარი თავის ღალატს უდრის.

როდესაც ელოგულაშვილი ლაპარაკობს ბოეზიაზე და პოეტურ თარგმანებზე, მისი მსჯელობები მეტწილად მეცნიერულად არის დასაბუთებული. ამიტომაც ავტორის ყველა წერილი პოეტებსა და თარგმანებზე სასარგებლო იქნება წაიკითხონ როგორც პრაქტიკოსმა მთარგმნელებმა, ისევე ლიტერატურის თეორეტიკოსებმა.

ახლა კი გადავღვივებთ ე. ვილოგულაშვილის წერილზე. „რამდენი იქნება ორჯერ ორი“

**იური სპროცინი**  
ორიგინალი და თარგმანი

(თავის დროზე იგი დაიბეჭდა ჟურნალ „დრუტ-მა ნაროდოვში“)..

ამ თეორიული ნაშრომის შეტანა წიგნში, რომელიც ძირითადად თარგმანის საკითხებს ეხება, არ საჭიროებს დასაბუთებას. ყველასათვის ცხადია, რომ ეროვნული თავისებურების პრობლემა მკვიდროდ არის დაკავშირებული მთარგმნელობით საკითხთანაც. მაგრამ აქ საქმეს წყვეტს მისი თეორიული დონე. ვერ ვიტყვი, რომ წერილი არ ამჟღავნებდეს მეცნიერულ სერიოზულობას და ავტორის შესაძლებლობებს (პირიქით, რეცენზიის დასაწყისში ვულგარულად აღვნიშნე ე. ელიგულაშვილის სათანადო მომზადება ამ საკითხებში) მაგრამ, ჩემის აზრით, წერილი „რამდენი იქნება ორივე ორი?“ სარეცენზიო წიგნში სხვა სტატიების დონეზე ვერ დგას.

ავტორის პოლიტიკური მსჯელობა შეტწილად ზუსტია. თუმცა, ვიტყვოდი, რომ მისი შეხედულებები ოსკოციის მიმართ ფსიქოლოგიურად სათანადოდ დასაბუთებული ვერ არი. ქართველი კრიტიკოსი შეცხუნებულა იმით, რომ რუს კრიტიკოსს ეროვნულ თავისებურებებში ყველაფერი უბრალოდ და ნათლად წარმოუდგენია. სინამდვილეში კი ე. ოსკოცი ამ პოზს (ტერმინოლოგიურად არც ისე ზუსტად), ეროვნული არსებობს სოციალისტურთან „შენაღწობში“ და წარმოადგენს სოციალურ-ისტორიული თვისებების თავისებურ „გამოვლინებას“. ე. ელიგულაშვილი „შეახსენებს“ ოპონენტს, რომ ეროვნული — სოციალისტურის არსებობის ფორმაა“ (გვ. 153).

საინტერესოდ უპირისპირებს ერთმანეთს. ე. ელიგულაშვილი მხატვრულ ნაწარმოებებს, რომლებშიც არის ქართული დღესასწაულის „ალავერდობის“ სურათები და გვიჩვენებს, როგორ განსხვავდებიან ეს სურათები ლ. ლუონოვთან და კ. ლორთქიფანიძესთან, მაგრამ ე. რჩეულიშვილისა და „ალავერდობა“ ხომ თავისებურად, კ. ლორთქიფანიძესგან განსხვავებულად აქვს ასახული. ისე რომ ამ დაპირისპირებებს განსაზღვრავს არა აღქმის ეროვნული ხასიათი, არამედ თვით ავტორის კონკრეტული და მხატვრული აღქმა.

რასაკვირველია, მე ვერ მოვიტოვე ერთი კრიტიკოსისაგან თეორიულად გადაქრას პრობლემა, რომელზეც თავს იმტერევეს ათობით და ასობით დადიანი. პირიქით, ელიგულაშვილმა შეძლო ამ წერილებში გადმოეცა საკითხები, რომლებიც, ჩემის აზრით, შეტად მნიშვნელოვანია დღევანდელი ლიტერატურისმკოდნეობისათვის, მაგალითად, ლიტერატურის ეროვნული თვითმყოფადობის შესწავლის დაყვანა ისეთ ლოკალურ სფერომდე, როგორცაა ლიტერატურული გვირის ხასიათი“ (გვ. 159). განსაკუთრებით ერთი რომელიმე გვირისა, რომელსაც აქისრია საქმოდ მძიმე მოვლეობა, წარმო-

ადგინოს“ ერის, მთელი ხალხის ხასიათი. მაგრამ მაინც თეორიული მეთოდოლოგიის საკითხს წერილი ბევრს ვერაფერს მატებს. მსჯელობამ მსგავსად იმისა, რომ „მხატვრული შემოქმედების ეროვნული ხასიათი, უპირველეს ყოვლისა, განისაზღვრება ავტორის მსოფლმხედველობით, მისი პოზიციით, მისი დამოკიდებულებით სინამდვილისადმი, წერის მანერით, (ყველაფერ ამით ერთად, თუ ყველაზე მოჩამოთვლილი სინონიმებია?— ს. (გვ. 154). რომ მხატვრული შემეცნება „შემკველად“ შეიცავს ეროვნულ თვალსაზრის და, მაშასადამე, ავტორის ეროვნული მსოფლმხედველობის თვისებებს“ (გვ. 189) და ასე შემდეგ, შესაძლოა უფრო გაართულოს საკითხი, დახლართოს მისი მეთოდოლოგია, თუ მსოფლმხედველობა—იდეოლოგიური კატეგორიაა (ავტორის სოციალური, პოლიტიკური, ზნეობრივი, ფილოსოფიური, ესთეტიკური და ა. შ. შეხედულებები), მაშინ ესტერებულ სტრიქონებში შეიძლება ჩაითვალოს არასწორად, არაზუსტად და ზედმეტად.

კიდევ ერთი განზოგადება ავტორისა: „ღიალქტია და ისტორიული გამოცდილება მოწმობს, რომ არა მხოლოდ ეროვნული განისაზღვრება სოციალურ-ისტორიული პირობებით, არამედ სოციალური პროცესებიც განპირობებულია ადგილისა და დროის პირობებით, ესე იგი, ამ პროცესების მონაწილე ადამიანების ეროვნული ხასიათით (გვ. 152)“. ეს „ესე იგი“ აქ ძალზე არალოგიკურია თუ კი ჩვენ განვიხილავთ ეროვნულს, როგორც ადამიანების, ხალხების, კაცობრიობის სოციალური ყოფის თვისებრივ სფეროს.

„...ისტორიის მსვლელობა გასაოცრად ერთფეროვანი იქნებოდა, რომ ეკონომიური და სოციალური დამოკიდებულებანი, რომლებიც მას განსაზღვრავენ სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვაგვარად არ ვლინდებოდეს“ ამბობს ე. ელიგულაშვილი, (გვ. 152). ეს ასეა, მაგრამ ისტორია, როგორც მოძრაობა ერთი სოციალური დამოკიდებულებიდან მეორისადმი სულაც არ იქნებოდა, თუ კი სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვა ეროვნული ხასიათები განაპირობებდნენ სოციალურ დამოკიდებულებათა არსს. თუმცა ე. ელიგულაშვილი, რასაკვირველია, ასე არ ფიქრობს, მაგრამ ზემოთყვანილი მისი მსჯელობა არ არის ზუსტი და მეთოდოლოგიურ პერსპექტივაში ეს უზუსტობა შეიძლება ამგვარად იქნეს ვაგებულა.

მიუხედავად ამ მცირე შენიშვნისა, მე როგორც რეცენზენტს, მიმაჩნია, რომ ედუარდ ელიგულაშვილის ნაშრომი საინტერესო და შინაარსიანი და წარმოადგენს მნიშვნელოვან მოვლენას მთარგმნელობისადმი მიძღვნილ ლიტერატურაში, კერძოდ, პოეტური თარგმანების საკითხში.



# ბურჟუაზიული იდეოლოგიის ქარიზმი

დავით ბერიძე

## თანამედროვე ბურჟუაზიული ესთეტიკის ერთი თეორიის შესახებ

ისტორიული განვითარების თანამედროვე ეტაპი მეცნიერულ, მარქსისტულ-ლენინურ და ბურჟუაზიულ იდეოლოგიებს შორის ბრძოლის მკვეთრი გამწვავებით ხასიათდება. ეს ბრძოლა თანამედროვე ეპოქის ძირითადი წინააღმდეგობის — კაპიტალიზმსა და სოციალიზმს შორის არსებული წინააღმდეგობის ასახვაა იდეოლოგიურ სფეროში. შექმნილი ვითარება მოითხოვს იდეოლოგიაში მტკიცედ, თანმიმდევრულად განვახორციელოთ კლასობრივ-პარტიული ხაზი, გავაძლიეროთ სიფხიზლე და ბრძოლა ბურჟუაზიული იდეოლოგიის, სოციალიზმისათვის უცხო შეხედულებების შემოჭრის წინააღმდეგ. ამიტომ „რეაქციულ ბურჟუაზიულ იდეოლოგიას პარტია უპირისპირებს კომუნისტების მეცნიერულ იდეოლოგიას“<sup>1</sup>.

თანამედროვე ბურჟუაზიული ესთეტიკა რეაქციული ბურჟუაზიის სამსახურშია ჩაყენებული. იგი, ერთი მხრივ, მარქსისტულ-ლენინურ ესთეტიკას, ხოლო მეორე მხრივ, სოციალისტურ ხელოვნებას უპირისპირდება. თანამედროვე ბურჟუაზიულ-ესთეტიკური თეორიები, პირდაპირი თუ არაპირდაპირი გზით თანამედროვე ანტიკომუნისტური იდეოლოგიის ერწყმის.

ბურჟუაზიული იდეოლოგიის საერთო კრიზისთან დაკავშირებით, თანამედროვე ბურჟუაზიულმა ესთეტიკამ მთელი რიგი ახალი ნიშნები შეიძინა. მისთვის დამახასიათებელი ვახარა: ხელოვნების ობიექტური საფუძვლის უარყოფა; სუბიექტივიზმი და რელატივიზმი; ხელოვნების ცხოვრებასთან, პრაქტიკასთან კავშირის უარყოფა; ხელოვნების განვითარების უარყოფა; პესიმიზმური ხასიათი, თეოლოგიას-

თან კავშირი; შუა საუკუნეებისაყენ უკან დახევის ტენდენცია და სხვა.

ბურჟუაზიული ესთეტიკის ზემოხსენებულ ნიშნები განაპირობებენ თანამედროვე ბურჟუაზიულ ესთეტიკაში მიმდინარეობათა და თეორიათა სიჭრელე-მრავალფეროვნებას, რომელთა უკან მათთვის საერთო იდეალისტური, სუბიექტივისტური არსება იმალება. თანამედროვე ბურჟუაზიული ესთეტიკური თეორიები: გამოხატების, სიამოვნების, ილუზიის, შთაგონების, ფსიქოანალიტიკური, ფორმის და მრავალი სხვა თეორია. ამ თეორიათა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია თამაშის თეორიას, რომელიც მხატვრულ შემოქმედებას არსებითად თამაშის სახედ მიიჩნევს. ეს თეორია სათავეს ი. კანტის (1724-1804) ესთეტიკური კონცეფციიდან იღებს, ხოლო შემდგომ გაღრმავებასა და განვითარებას ფ. შილერის (1759-1805) პ. სვენსერის (1820-1903) კ. გროსის (1861-1946) და სხვათა შეხედულებებში პოვებს.

კანტის აზრით, ესთეტიკური სიამოვნება ეს არის დაუინტერესებელი, უანგარო, თავისუფალი სიამოვნება, რამდენადაც იგი არავითარ მოთხოვნილებაზე არ არის დამოკიდებული. იგი თამაშის მსგავსია, რადგან არაფერი აქვს საერთო ცხოვრების სერიოზულობასთან. ადამიანის ესთეტიკური მდგომარეობა — თამაშის მდგომარეობაა. კერძოდ, შემეცნების ძალთა (წარმოსახვისა და განსჯის) თავისუფალი თამაშია.

წმინდა მოთამაშე ჭკრეტა, — კანტის აზრით, — სრულიად დამოუკიდებელია მისი ობიექტის ემპირიული სინამდვილისაგან, საგნებისაგან. ამრიგად, ესთეტიკური ტკბობა არ არის განასაზღვრული არც საგანთა ობიექტური არსებობით, არც საგნის ლოგიკური ცნე-

<sup>1</sup> სამკოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა. თბ., 1967. გვ. 138.

მით (კრეშმარტებით), არც მისი ეთიკური ან უტილიტარული მნიშვნელობით. ესთეტიკური მსჯელობის საფუძველი მხოლოდ წარმოსახვისა და განსჯის თავისუფალი თამაშის სულიერი მდგომარეობა შეიძლება იყოს.

კანტთან ურთიერთს უპირისპირდება თამაში და შრომა, ხელოვნება და ხელობა. ხელოვნება თავისუფალია, ხელობა კი დაქირავებული ხელოვნებაა: პირველი შესაძლებელია როგორც თამაში, ე. ი. თავისთავად სასიამოვნო საქმიანობა. შრომა მაცდუნებელია თავისი შედეგების მიხედვით და შესაძლებელია აუცილებელი იყოს ვინმესათვის მხოლოდ იძულებით.<sup>2</sup>

კანტის მოძღვრება ესთეტიკური თამაშის შესახებ შემდგომ განვიხილავთ ფ. შილერის თავის ნაშრომში — „წერილები ადამიანის ესთეტიკური აღზრდის შესახებ“.

შილერის აზრით, ხელოვნება ან მხატვრული შემოქმედება არსებითად მხოლოდ გაფორმებაა მისი მოღვაწეობა, მხოლოდ ფორმის შემოქმედებაა. „ხელოვნების კრეშმარტად მშვენიერ ნაწარმოებში ყველაფერი ფორმაზე უნდა იყოს დამოკიდებული... კრეშმარტად ესთეტიკურ თავისუფლებას მხოლოდ ფორმისაგან შეიძლება მოველოდეთ... ისტატის ხელოვნების ნამდვილი საიდუმლოება იმაში მდგომარეობს, რომ ფორმით მოსკოს შინაარსი“.<sup>3</sup> ფ. შილერის აზრით, აუცილებელია შევთვროთ გამოყვოს და განსხვავდეს ხელოვნება, როგორც მხატვრული გაფორმების შემოქმედება — შემოქმედებისაგან: ესთეტიკური სფერო — მორალურ-პრაქტიკულისაგან.

შილერთან ესთეტიკური თამაშის ცნება გაგებულა, როგორც ადამიანის განსაკუთრებული მოღვაწეობა. იგი ადამიანის ყველა შემოქმედებით ძალთა და უნართა შეთანხმებული მოქმედებაა. თამაში უპირისპირდება ადამიანის უტილიტარულ მოქმედებას, რომელიც იძულებით არის ნაყარნაბევი და ამის გამო ცალკეობს ხასიათს ატარებს. უტილიტარული მოქმედებისაგან განსხვავებით, თამაში ადამიანის შემოქმედებით ძალთა თავისუფალი მოქმედებაა, რომელიც არ შეიცავს თავისში არც შინაგან და არც გარეგან იძულებას.

თამაშის შედეგად წარმოქმნილი პროდუქტა „მოჩვენებითობაა“. („ჩვენება“, Schein), რომელიც არც რეალური ცხოვრების უშუალო საგანია, და არც წარმოსახვის წმინდა ოცნება; იგი იდეალურია ცხოვრებასთან მიმართებაში და რეალურია წმინდა წარმოსახვის პროდუქტთან შედარებით. „მოჩვენებითობა“ ესთეტიკურია იმიტომ, რომ მას პრეტენზია არა აქვს რეალურობაზე და დამო-

უყიდველ ხასიათს ატარებს. იგი არც მომსახურება და არც სინამდვილე.

ესთეტიკური მოჩვენების (ჩვენება) წარმოქმნის თამაშის ცნებასთან ერთად, ხელოვნების სპეციფიკურობის გამომხატველია. ხელოვნება, როგორც შემოქმედება, რომელიც ცხოვრების მსატარებელ სახეებს წარმოქმნის — თამაშის სფეროა. ხელოვნება, როგორც თამაშის გზით შექმნილ სახეთა ერთობლიობა-მოჩვენების სფეროა. ამრიგად, ესთეტიკური თამაშისა და მოჩვენების ცნებები, შილერის ესთეტიკური თეორიის ძირითადი ცნებებია.

თამაში, როგორც ადამიანის ქცევის გარკვეული ფორმა, ფსიქოლოგიის შესწავლის ობიექტია, რის გამოც თამაშის შესახებ მოძღვრებას ეხედვით ფსიქოლოგებთან, ამიტომ შემოთხვევით არ არის ის ვარაუდობა, რომ კანტ-შილერის თამაშის ესთეტიკური თეორია პერტ სენსერმა და კარლ გროსმა შემდგომ განავითარეს იმ თავისებურებით, რომ ამ მოზარდებთან თამაშის ესთეტიკური თეორია უშუალოდ უკავშირდება ხელოვნების წარმოშობის საკითხს და თამაშის ფსიქოლოგიურ თეორიას.

შილერთან თამაშის ცნებას ფილოსოფიურ-ესთეტიკური აზრი ჰქონდა, სპენსერმა კი იგი განმარტა როგორც ფსიქოფიზიოლოგიური და ზოგჯერ წმინდა ფიზიოლოგიური ქმედება, რომელიც როგორც ცხოველის, ასევე ადამიანისათვის ერთნაირად არის დამახასიათებელი. ხელოვნების წყაროს სწორედ ასე გაგებული თამაში წარმოადგენს. მხატვრული შემოქმედება ესთეტიკური სიამოვნების მიღების მოთხოვნისგან წარმოიქმნება და ეს თვით ადამიანის ბუნებაშია მოცემული.

თამაშსა და ესთეტიკურ ქმედებას, — სენსერის აზრით, — საერთო ნიშანი გააჩნია. როგორც ერთი, ასევე მეორე უშუალოდ არ მოწოდებს ცხოვრების საჭირობოტოტო საქმიანობაში, ხელს არ უწყობს ცხოვრებისეულ არსებობას; ე. ი. თამაში და ესთეტიკური ქმედება არავითარ უტილიტარულ მიზნებს არ ისახავენ. თამაშიცა და ხელოვნებაც ცხოვრებისეულ მოქმედებებს (ისეთებს, რომელთა საფუძველზეც ხდება არსებობის შენარჩუნება) არსებობედ ემიჯნებიან. თამაშისა და ხელოვნების უახლოესი მიზნები მათი ერთადერთი მიზნებია, მათ არაფერი აქვთ საერთო საბოლოო სარგებლიანობასთან; ამასთანავე, თამაშიცა და ხელოვნებაც განცალკევებული არიან აუცილებლობის სფეროდან, ისინი თავისუფლები სფეროს მიეკუთვნებიან; ეს ვარაუდობა თამაშსა და ხელოვნებას ერთ კატეგორიაში აერთიანებს.

ცხოვრებისეული მოქმედებების შემთხვევაში კმაყოფილება რეზულტატის მიღწევით არის გამოწვეული, ხოლო თამაშისა და ხელოვნების შემთხვევაში კმაყოფილება პროცესუ-

<sup>2</sup> И. Кант. Соч., т. 5, М., 1966, гл. 319.

<sup>3</sup> Ф. Шиллер. Собр. соч., т. VI, М., 1957, гл. 325—326.



ლური ხასიათისა. საიდან იღებს სა-  
თავეს თამაშის იმპულსი, იმ-  
პულსი იმ მოქმედებისა, რომელიც არავითარ  
უტილიტარულ მოღვაწეობას არ იწვევს? რო-  
გორ იყო შესაძლებელი ასეთი უმიზნო მოქ-  
მედების წარმოშობა? სპენსერი ამ საკითხის  
განხილვისას ჩერდება იმ თავისებურებაზე,  
რაც ამ მიმართულებით დაბალ და მაღალ სა-  
ფეხურზე მდგომ ორგანიზმებს ახასიათებთ.

განივითარების დაბალ საფეხურზე მყოფ ორ-  
განიზმთა მთელი ძალეები სიცოცხლისეულ  
მოქმედებათა შესრულებაზე იხარკება. ასეთია:  
საკეების ძებნა, მტრებისაგან თავის დაღწევა,  
თავშესაფარისა და საკეების დაშლადება-მოპო-  
ვება და სხვ. ე. ი. ეს მოქმედებანი მხოლოდ  
უტილიტარულ ხასიათს ატარებენ. განვითარე-  
ბის მაღალ საფეხურზე მყოფ ცხოველებთან—  
შათი მაღალი ორგანიზაცია და უფროსი ეგეზ-  
პარბი ძალის დაგროვებას განაპირობებს. გარ-  
და ამისა, მაღალორგანიზებულ ცხოველს სხვა  
დასხვა მოთხოვნების შესატყვისი მოქმედე-  
ბის სხვადასხვა უნარი გააჩნია. ვარკვეული  
კონკრეტული ვითარებანი ცხოველის ხან ერთ  
და ხან მეორე მოქმედებას იწვევენ. დროის  
მნიშვნელოვან მონაკვეთში ცხოველის მრავ-  
ალი უნარი ვარკვის ვარკვე რჩება, რაც  
თავის მხრივ ხელს უწყობს აგრეთვე ორგანიზ-  
მში კარბი სასიცოცხლო ძალების დაგროვებას.  
აქედან წარმოიქმნება სწრაფვა უნართა „უსარ-  
გებლო“ ვარკვის მიმართ, რომელიც დიდ-  
ხანს იყენებ ვარკვის ვარკ მდგომარეობაში.  
აქედანვე წარმოიქმნება თამაში მისი ყოველი  
ფორმით და ამითვე აიხსნება ის ფაქტიც, რომ  
წარმოქმნილი გამოვონილი ვარკვებნი და მოქ-  
მედებნი წარმოადგენენ ამ ცხოველის არსე-  
ბობის შენარჩუნებისათვის ყველაზე აუცილე-  
ბელ და მნიშვნელოვან მოქმედებათა ინსტინქ-  
ტებს. თამაში ძალთა ხელოვნური ვარკვიზია.  
თამაშს ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როდესაც  
ბუნებრივი ვარკვის უქონლობის გამო  
ძალიბი განუხტვისათვის მზადყოფნაში არიან

**და ნამდვივ მოღვაწეობათა ნაცვლად გამოვა-  
გონ მოღვაწეობებში განიშუტებთან. მოთამაშე  
ცხოველთა თამაში სხვა არაფერია თუ არა —  
მსგებრბის დენის დრამატული წარმოდგენა**  
ანუ ნგრევეით ინსტრუქტების იდეალური დავ-  
მაყოფილება მათი რეალური დამაყოფილების  
შეუძლებლობის გამო.

სპენსერის აზრით, „ძალთა განტვირთვის“  
კანონი ვრცელდება იმ უნარებზეც, რომელიც  
არავითარ როლს არ თამაშობენ ცხოველებისათ-  
ვის საჭირო საქმიანობაში. „ძალთა განტვირთ-  
ვა“ დაბალ უნარებთან თამაშით ხდება (არსე-  
ბობისათვის საჭირო მოქმედებების ნაცვლად),  
ხოლო მაღალუნარებთან ეს განტვირთვა ესთე-

ტიკურ ქმედებაში ანუ ხელოვნებაში წარმოიქმნება  
ბავშვებში ძალთა განტვირთვა თამაშის შემთხვევაში  
წარმოებს, ხოლო მოზრდილებთან — ესთეტი-  
კური ქმედების ან სხვა რომელიმე მოქმედების  
სახით; ე. ი. ხელოვნება თამაშის განვითარებულ-  
ი უმაღლესი ფორმის სახით გვევლინება; იგი  
თამაშის მაღალი საფეხურია.

**ამრიგად, სპენსერის მიხედვით, თამაშისა და**  
ესთეტიკური მოღვაწეობის იმპულსი კარბი  
ენერგის საფუძველზე წარმოიქმნება. რაც შე-  
ნება თამაშის შინაარსს ცხოველებთან იგი  
განისაზრდება იმ ქმედებთა, რომელთა მეოხე-  
ბითაც ხდება არსებობის შენარჩუნება, ხოლო  
ბავშვებთან — თამაშობანი მოზრდილთა ქმედ-  
ბის თეატრალური წარმოდგენებია. სპენსერის  
აზრით, ესთეტიკური ცნობიერების საგანს შე-  
ადგენს თვით მოქმედებნი უტილიტარული მი-  
ზნების ვარკვე. მშვენიერი ან ლამაზი მიეკუთ-  
ნება მოქმედების არა რაიმე მიზანს; არამედ —  
თვით მოქმედებას მიზნის მიღწევის დროს.  
მშვენიერის ცნებაში ცნობიერებას საქმე აქვს  
საგნის სარგებლიანობასთან კი არა, არამედ  
თვით საგანთან როგორც სიამოვნების პირდა-  
პირ წყაროსთან.

**კარლ გროსმა, განავითარა რა „შილერ-სპენ-  
სერის“ თამაშის თეორია, მოგვცა სპენსერისა-  
გან რამდენადმე განსხვავებულ თვალსაზრისი**  
თამაშის როგორც ადამიანის ქცევის ვარკვეუ-  
ლი ფორმის წარმოშობისა და მისი ბუნების  
შესახებ. თამაშისა და შეშობის დაპირისპირე-  
ბისას, — წერს კ. გროსი, — ამ მოქმედებათა  
ძირითად განმასხვავებელ ფაქტორს თავისუფ-  
ლების გრძნობა წარმოადგენს. შრომის პრო-  
ცესში მუშა იძულებულია შეასრულოს ვარკ-  
ვეული სამუშაო, რათა მიადროს სასურველ  
შედეგს. მუშაობა ამ შემთხვევაში მიზნის მიღ-  
წევის საშუალებაა; სიამოვნება კი პროცესის  
რეზულტატშია. თამაშის შემთხვევაში მოქმედე-  
ბა თავისუფალია იძულებისაგან; თამაში საშუა-  
ლებაა არის და მიზანიც, სიამოვნება კი თვით  
თამაშის პროცესშია.

გროსის აზრით, კარბი ძალის სპენსერისეუ-  
ლი თეორია მრავალი მართებული აზრის შემც-  
ველია, მაგრამ იგი მიიხე არ გამოდგება თამა-  
შის წარმოშობის მიზეზის ასახსნელად. კარბი  
ძალა ვერ კიდევ არ არის თამაშის აუცილებელა  
პირობა, იგი მხოლოდ ხელშეწყობი ფაქტო-  
რია, რადგან ცხოველებიცა და ბავშვებიც ძა-  
ლის გამოლევაზე თამაშობენ. ამრიგად, დასკე-  
ნის გროსი, „ძალთა სიკარბე“ თამაშის ზოგად  
კრიტერიუმად ვერ გამოდგება. ძალთა სიკარ-  
ბის თეორია არსებობს შესწორებას საჭიროებს.

სპენსერის თეორიის კრიტიკული ვადამუშა-  
ეების საფუძველზე გროსი იძლევა თამაშის

#### ელისაბადე როსტომაშვილი

თანამაშრომე ბურჟუაზიული ესთეტიკის  
ერთი თეორიის შესახებ

4 Г. Спенсер, Основания психологии, т. II, М., 1898, гл. 414—415.





ახალ თეორიას, რომელსაც იგი თვითაღზრდის თეორიას უწოდებს. გროსის „თვითაღზრდის“ ანუ „ეარჩიშის თეორიის“ აზრი შემდეგნაირად შეიძლება ჩამოვყალიბოთ. ყოველ ცოცხალ არსებას აქვს შემკვიდრებობით მიღებული მიღრეკილება, რომელიც მის ქცევას მიზანშეწონილობას ანიჭებს. ამასთანავე, მისთვის დამახასიათებელია მოქმედებებისაყენ იმპულსურა სწრაფვა, რისთვისაც „ხანგრძლივი სიმშვიდე“ უღირესად ხელსაყრელი პირობაა; ცხოვრებისეულ ამოცანათა შესასრულებლად თანდაყოლილი რეაქციები არ არის საკმარისი; ბავშვობისა და ზრდის პერიოდში არსებობის შენარჩუნება მხოლოდ მშობლიური ზრუნვით არის შეაძლებელი, ამ ხანის შეგუების უნარს მოპოვება ახასიათებს; შეგუების გამომუშავება დამოამარტობს იმაში, რომ თანდაყოლილ უნართა საფუძველზე წარმოიქმნება შექმნილი ჩვევები და უწინარეს ყოვლისა, — ახალი ჩვევის რეაქციები; ეს პროცესი მეორდება უფროსი თაობის ჩვეებისა და უნარების მიბაძვით; აქ, სადაც ვანიტარებაში მყოფი ინდივიდი, მითითებულ ფორმაში, საკუთარი შინაგანი სწრაფვით და ყოველგვარი გარეგანი მიზნის გარეშე ავლენს, ამტყვებს და ავითარებს თავის მიღრეკილებას, საქმე გააქვს თამაშის თვლდაპირველ მოვლენებთან. ამრიგად, თამაში აღამიანის შემკვიდრებობით შექმნილ ბუნებასთან მჭიდრო კავშირში წარმოგვიდგება.

გროსის მიერ წარმოდგენილი თამაშის ფსიქოლოგიური თეორია მისივე თამაშის ესთეტიკურ თეორიას უკავშირდება. მხოლოდ ბავშვის სულიერი ცხოვრების შესწავლის შედეგად ხდება ნათელი, — აღნიშნავს გროსი, — რომ აღამიანის ესთეტიკური ქმედება არის ქმედების უფრო ფართო სფეროს — თამაშის კერძო მოვლენა.<sup>6</sup> გროსის ესთეტიკურ მოძღვრებაში თამაშის ცნება მჭიდროდ უკავშირდება „ესთეტიკური მოჩვენებისა“ და „შინაგანი მიბაძვის“ ცნებებს. ესთეტიკური მოჩვენება ის ესთეტიკური შთაბეჭდილებაა, რომელიც გარეგანი საგნის შინაგანი ასახვის საფუძველზე მიიღება. ყოველდღიურ სიტყვა-ხმარებაში „მოჩვენება“, რაღაც არარეალურს აღნიშნავს, რომელიც თავის თავს რეალურად ასაღებს. ესთეტიკური მოჩვენება, პირიქით, თემცა რეალური სამყაროდანა გამოყოფილი, მაგრამ მას მხედველობაში არა აქვს რეალურობის სიმულირება. ესთეტიკური მოჩვენება იმაზე მეტია, ვიდრე მარტივი მდგომარეობა. იგი ამავე დროს ცნობიერების მოღვაწეობაა, რომელიც აქტიური გამოყოფისა და წარმოსახვის გზით მიიღება. ესთეტიკური მოჩვენება გარედან მოცემული მოვლენის შინაგან მიბაძვაში მდგომარეობს, იკა

საგნის შინაგანი ასახვა. გროსის აზრით, შინაგანი მიბაძვა ყოველგვარი ესთეტიკური ტექნიკის არსებობა. შინაგანი მიბაძვა მოხსნაჩქმისსარსებას საკვრეტ ობიექტში ჩაითრევს, იგი არა მხოლოდ წარმოადგენებს, არამედ მგროზბელობასაც წარმოქმნის. ესთეტიკური გროზბეობი ესთეტიკური ჰერტის არსებას წარმოადგენენ. შინაგანი მიბაძვა თამაშთან ახლო ნათესაობაში იმყოფება. „აღამიანისათვის ცნობილი თამაშებიდან შინაგანი მიბაძვა ყველაზე კეთილშობილური თამაშია. შინაგანი მიბაძვის დროს ჩვენ ებაძვთ მხოლოდ მიბაძვით მონიჭებული სიამოვნების გამო. ბავშვის თამაშის შემოსხვევაშიც, ბავშვები რაიმე სარგებლიანობის გამო კი არ თამაშობენ, არამედ მხოლოდ თამაშით მონიჭებული სიამოვნებისათვის. მართალია, ბავშვების თამაშობანი (მოძიანა, ყაჩაღობანა) გარეგან მიბაძვის წარმოადგენენ, ხოლო საგნის ესთეტიკური განცდა — შინაგან მიბაძვის, მაგრამ „ერთიკა და მეორეც თამაშია, რომელიც ჩვენს ცნობიერებას სიამოვნებას ანიჭებს“<sup>6</sup>.

„თამაშისა“ და „შინაგანი მიბაძვის“ ცნებები გროსთან, ამასთანავე „ესთეტიკური ილუზიის“ ცნებას უკავშირდება. ესთეტიკური ილუზია ისეთი ცდომილებაა, რომელსაც შინაგანი მიბაძვის თავისუფალ თამაშში თვითონ ვჭმნი, თამაშის დროს ჩემი „მე“ უცხო ობიექტში გადამაქვს და ეს გადატანა, ყოველ უსიცოცხლო საგანს განასახიერებს, არსებულად წარმომიდგენს. ესთეტიკური ილუზია, რომელსაც უცხო ობიექტებში თავისი თავის გადატანით მოძრობაში მოქყავს ყოველგვ უძრავი და ყოველ უსიცოცხლოს აცოცხლებს, — არის ცდომილება, რომელსაც მე თამაშის დროს ვუშვებ, მე მას საკუთარი ნებით ვეშვები. ესთეტიკური ილუზია აქტიური და ნებაყოფლობითია, ხოლო ნამდვილი ცდომილება — პასიურია და არა ნებაყოფლობითი.

ბურჟუაზიული ესთეტიკის წარმომადგენლები თამაშის თეორიაზე დაყრდნობით შეეცადნენ ხელოვნების წარმოშობის საკითხის გარკვევასაც, ისე რომ, თამაშის თეორია ამავე დროს ხელოვნების წარმოშობის თეორიად იქცა. ამ თეორიის ერთ-ერთი წარმომადგენელი იყო გერმანელი ეკონომისტი კარლ ბიუხერი (1847-1930), რომლის მიხედვითაც „თამაში წინ უსწრებს შრომას, ხოლო ხელოვნება — სასარგებლო ნივთების წარმოებას“<sup>7</sup>.

ბიუხერის შეხედულებათა კრიტიკულ ანალიზის საფუძველზე გ. ვ. პლენანოვა თავის ცნობილ ნაშრომში „უმისამართო წერტილები“ ხელოვნების წარმოშობის საკითხის მარქსისტული გადაწყვეტის ცდა მოგვცა.

<sup>6</sup> К. Гросс. Введение в эстетику. Киев — Харьков, 1899, гз. 128.

<sup>7</sup> К. Бюхер, Возникновение народного хозяйства, Пгр., 1923, гз. 23.

<sup>6</sup> К. Гросс. Душевная жизнь ребенка. Киев, 1916, гз. 187.



პლენაროვის აზრით, თამაშისა და შრომის ურთიერთობისა და საერთოდ ხელოვნების წარმოშობის საკითხის მეცნიერული გადაწყვეტილსათვის აუცილებელია ისტორიის მატერიალისტური გაგებიდან ამოსვლა. სწორედ ისტორიის მატერიალისტური გაგების ანუ ისტორიული მატერიალიზმის საფუძველზე იძლევა გ. ვ. პლენაროვი კ. ბიუნერის შეხედულებათა საერთოდ და კერძოდ „თამაშის თეორიის“ ანალიზსა და კრიტიკას. ისტორიის მატერიალისტურ გაგებაზე დაყრდნობით პლენაროვი თავის შეხედულებათა ამოსავალ პრინციპად შემდეგ დებულებას აყენებს: „შრომა წინ უსწრებს თამაშს, ხოლო თამაში უტილიტარული საქმიანობის ანუ შრომის პირშეშოა“, თამაში რომ მართლაც წინ უსწრებდეს შრომას, ხოლო ხელოვნება სისარგებლო ნივთების წარმოებას, — აღნიშნავდა პლენაროვი, — მაშინ ისტორიის მატერიალისტური გაგება (როგორც ამას „კაპიტალის“ ავტორი გვთავაზობს) ყირაპალა შეტრიალდებოდა. შრომა ხელოვნების პირშეშო რომ ყოფილიყო, მაშინ უნდა გველაპარაკა, რომ ეკონომიკა დამოკიდებული ხელოვნებაზე და არა — პირიქით. გ. ვ. პლენაროვი მრავალ ფაქტორს მონაცემად დაყრდნობით ასაბუთებს მის მიერ წამოყენებულ დებულებას კეშმარტებას.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენში დიდი ქართველი ფსიქოლოგი დ. უზნაძე (1886-1950) შეეცადა გაერკვია თამაშის ბუნება და მისი კავშირი ადამიანის ქცევის ისეთ ფორმებთან როგორც არის მხატვრული შემოქმედება, შრომა და სხვა. ამასთან დაკავშირებით დ. უზნაძე იძლევა თამაშის არსებულ თეორიათა კრიტიკულ ანალიზს. კერძოდ, მან გვიჩვენა ნაწარმოების და გროსის თეორიათა როგორც ღირსება, ასევე მათი ცალმხრიობა და ნაკლოვანება.

ცხადია, კეშმარტი შემოქმედების პროცესი თამაშს არ წარმოადგენს. თამაშის ესთეტიკური თეორია, რომელიც ხელოვნებას თამაშის სახედ თვლის, დ. უზნაძის აზრით, მიუხედავად ზოგიერთი საღი ელემენტისა, არსებითად მცდარ თეორიას წარმოადგენს. ხელოვნური შემოქმედება და თამაში არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. შექმნილი ნაწარმოების ფსიქოლოგიური მნიშვნელობის მხრივ, მხატვრული შემოქმედება უფრო შრომას უახლოვდება, ვიდრე — თამაშს.

თამაშის თეორია მის მთლიანობაში არსებითად მცდარი თეორიაა. ხელოვნების თამაშთან ვაიგივება, მისი თამაშის სახედ გამოცხადება: მხოლოდ სუბიექტურ-იდეალისტური პოზიციებიდან არის შესაძლებელი. ხელოვნების თამაშთან ვაიგივება ნიშნავს მისი, როგორც საზოგადოებრივი ენობეგრების ფორმის, უპიყოფას და აქედან გამომდინარე მისადმი დაკასრებულ ფუნქციათა (შემეცნებითი, აღმზრდელიობითი და სხვ.) უკუღებულყოფას.

ხელოვნება თამაში კი არ არის, არამედ საგ-

ნებით სერიოზული ადამიანური საქმიანობაა. იგი, ისევე როგორც მთელი ადამიანური ცხოველყოფილება სავარაუდოდ მატერიალურ და საზოგადოებრივ-იდეოლოგიური მოღვაწეობის პროდუქტია. შეიძლება ხელოვნება თამაშის ფორმაშიც გამოვლინდეს, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ იგი თამაშია ისევე როგორც, მაგალითად, შოფრობანას თამაში არ ნიშნავს, რომ შოფრობანა თამაშის ან თამაშის მსგავსი მოღვაწეობაა. ხელოვნების წარმოშობის პროცესი, ხელოვნების როლი და მნიშვნელობა იმაზე მეტყველებს, რომ ხელოვნება თამაში არ არის. კეშმარტიად მხატვრული შემოქმედება დამკანცავ შრომას, იღივსა და ფორმის დამკანცავ ძიებას მოითხოვს.

თამაშის თეორიის უსაფუძვლობა კიდევ უფრო ნათლად წარმოგვიდგება ესთეტიკურის მარქსისტულ-ლენინური გაგების შექმნაზე.

მარქსისტულ-ლენინურმა ესთეტიკამ გადალახა მარქსადმილი მატერიალიზმისა და იდეალიზმის ცალმხრიობა. მარქსისტული ესთეტიკის მიხედვით, ესთეტიკური ობიექტურისა და სუბიექტურის, სინამდვილის ასახვისა და შეფასების გარკვეული, დიალექტიკური ერთიანობაა. მარქსიზმის კლასიკოსებმა გვიჩვენეს, რომ ობიექტურისა და სუბიექტურის ამ ერთიანობაში სუბიექტურის საფუძვლად, საბოლოო გამში, ობიექტური გვევლინება: რომ ესთეტიკური წარმოდგენები აღმამან მხოლოდ რეალური სინამდვილის ზემოქმედების შედეგად უწნდება გარკვეული მატერიალური საზოგადოებრივი წარმოებას პირობებში. მარქსი და ენგელსი მიუთითებდნენ ესთეტიკური აღქმის ობიექტისა და ესთეტიკური გინამის რთულ დიალექტიკაზე და ადამიანის ესთეტიკური გინამის წარმოშობასა, ცვალებადობასა და განვითარებაში განმსაზღვრელ როლს ობიექტის ანიჭებდნენ.

როგორც მარქსადმილი მატერიალისტური, ასევე იდეალისტური ესთეტიკის წარმომადგენლები შორს იყვნენ ესთეტიკური დამოკიდებულების ბუნების, მისი კანონზომიერების სოციოლოგიური ახსნისაგან ე. ი. შორს იყვნენ ესთეტიკურის ბუნებისა და არსების ახსნისაგან, ვინაიდან ესთეტიკური, როგორც საზოგადოებრივი მოვლენა მხოლოდ ამ გზით შეიძლება იქნას ახსნილი.

ამრიგად, ესთეტიკური დამოკიდებულება, მარქსისტულ-ლენინური თვასაზრისით, ჯერ ერთი, რეალურად, ობიექტურად არსებულ ფაქტსა და მეორეც, იგი საზოგადოებრივი, სოციალური ხასიათის მატარებელია. ესთეტიკურის სფერო ადამიანის სინამდვილესთან გარკვეული დამოკიდებულებას სფეროა. „ესთეტიკური დამოკიდებულება“ მხოლოდ ადამიანისათვის არაა

**მლისაბად რომსოგაშვილი**  
 თანამედროვე ბურჟუაზიული ესთეტიკის მრთი თიორიის შესახებ



დამახასიათებელი. ცხოველი არაფერთან არ არის „დამოკიდებულებაში“, — აღნიშნავდა კ. მარქსი. ცხოველისათვის მისი დამოკიდებულება სხვასთან, როგორც დამოკიდებულება არ არსებობს. ცნობიერება იმთავითვე საზოგადოებრივი პროდუქტია და ასეთად რჩება სანამ საერთოდ აღამიანები არსებობენ.

ამრიგად, ესთეტიკური დამოკიდებულება სოციალური ბუნებისაა. მართალია, ჩვენს, საბჭოთა ლიტერატურაში ესთეტიკურის გაგების საკიხისი აზრთა სხვადასხვაობა არსებობდა და დღესაც არსებობს, მაგრამ ესთეტიკურის სოციალური ხასიათი თითქმის ერთხმად არის აღიარებული ჩვენს ესთეტიკოსთა მიერ.

ესთეტიკური მხოლოდ ესთეტიკური დამოკიდებულების სახით შეიძლება არსებობდეს. ისე რომ „ესთეტიკური“ სხვა არაფერია თუ არა „ესთეტიკური დამოკიდებულება“ და ამდენად, ესთეტიკური დამოკიდებულების კვლევა ამავე დროს ესთეტიკურის კვლევადაც უნდა ნიშნავდეს.

„ესთეტიკური“ საზოგადოებრივი დამოკიდებულების გარკვეული სფეროა. ამიტომაც ესთეტიკურის სპეციფიკა საზოგადოებრივი დამოკიდებულების ამ განსაუთრებულ სახეში უნდა იქნას მონახული.

უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა ესთეტიკოსების ერთ ნაწილს მიანიძა, რომ ესთეტიკური დამოკიდებულების სპეციფიკა, უწინარეს ყოველისა, ობიექტში, საგანთა და მოვლენათა „ესთეტიკურ თვისებებში“ უნდა იქნას მონახული, რომ ესთეტიკური არის თვით საგანი, საგნის განსაკუთრებული თვისება. სწორედ ამაში ხედავენ ისინი საკითხის მატერიალისტურ გადაწყვეტას.

ასეთი თვალსაზრისი არ უნდა იყოს მართებული. ესთეტიკური საგნის და მის ესთეტიკურ თვისებათა არსებობას მხოლოდ სუბიექტ-ობიექტის მიმართებაში აქვს ადგილი. ამიტომ იგი ობიექტურად კი არ არსებობს, ობიექტური კი არ არის, არამედ სუბიექტურ-ობიექტურია.

ამრიგად, ესთეტიკურის ადგილი აქვს მხოლოდ აღამიანის სინამდვილესთან ურთიერთობის სფეროში. ესთეტიკურობა არც საგანთა ობიექტური თვისება და არც მხოლოდ სუბიექტური უნარი (როგორც ეს თამაშის თეორიაში იყო წარმოდგენილი). ესთეტიკურს ადგილი აქვს მხოლოდ სუბიექტ-ობიექტის ურთიერთობის სფეროში.

ესთეტიკური დამოკიდებულება აღამიანის მიერ მხატვრული იდეალის საფუძველზე სინამდვილის საგანთა და მოვლენათა განცდა-შეფასება. საგანთა ესთეტიკურ განცდა-შეფასებას ობიექტური საფუძველი აქვს. მართალია, ესთეტიკური თვისებები ობიექტურად არ არსებობენ, მაგრამ ეს როლი ნიშნავს ესთეტიკური შეფასების ობიექტური საფუძველის უქონლობას, ისე რომ ესთეტიკურს მხოლოდ ობიექტური ან

მხოლოდ სუბიექტური ხასიათი კერძოდ ნიშნავს არამედ სუბიექტურ-ობიექტური. მარქსიზმი

აღამიანის სინამდვილესთან დამოკიდებულება ცნობიერი დამოკიდებულებაა, რომლის ერთ-ერთ სახესაც ესთეტიკური დამოკიდებულება წარმოადგენს. ესთეტიკური დამოკიდებულება ამავე დროს სოციალური, ბიოლოგიური, ფიზიკური და სხვა მხარეების შემეცვლია; მათ ერთობლიობას წარმოადგენს, რომელთა შორის წინა პლანზე სოციალური მხარეა წარმომდგარი (რაც, თავის მხრივ, ესთეტიკური შეფასების საფუძველია). ამ მხარეთა ერთობლიობა ესთეტიკური დამოკიდებულების თავისებურებას განსაზღვრავს. ესთეტიკურ დამოკიდებულებაში შედარებით მკრთალად მოიხანს ფიზიკური მხარე. ამ ფაქტორის როლი შედარებით ნათლად მოიხანს მაშინ, როდესაც საქმე გვაქვს ბგერებით და ფერებითან. ესთეტიკურ დამოკიდებულებაში უფრო მეტ როლს ბიოლოგიური ფაქტორი ასრულებს. ფროიდისწინა სწორედ ეს ფაქტორია ერთ-ერთ განმსაზღვრელ ფაქტორად მიჩნეული.

მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის თვალსაზრისით, ესთეტიკურ დამოკიდებულებაში განმსაზღვრელ ფაქტორად სოციალური ფაქტორი უსდება ჩათვალა.

მართალია, როგორც ესთეტიკური დამოკიდებულების სუბიექტისა და ობიექტის, ასევე თვით ამ დამოკიდებულების ბუნების გაგებაში, საბჭოთა ესთეტიკოსთა შორის აზრთა სხვადასხვაობას აქვს ადგილი, მაგრამ ერთი რამ უდავოა სახელდობრ ის, რომ ესთეტიკური გარკვეული მიმართებაა, დამოკიდებულებაა სუბიექტსა და ობიექტს შორის. საბჭოთა ესთეტიკოსთა უმრავლესობა ამ თვალსაზრისზე დგას. შეიძლება სადავო იყოს ის ვარაუდობა, თუ რომელი მართლად მართებული ესთეტიკური დამოკიდებულების სპეციფიკის გასარკვევად; სადავო იყოს თუ რა რას განსაზღვრავს, ესთეტიკური დამოკიდებულება ამ დამოკიდებულების სუბიექტსა და ობიექტს, თუ პირიქით, მაგრამ ესთეტიკურის, როგორც გარკვეული დამოკიდებულების სახით არსებობა უდავოა.

და თუკი ესთეტიკური შეიძლება არსებობდეს მხოლოდ როგორც დამოკიდებულება სუბიექტსა და ობიექტს შორის; თუ ესთეტიკური დამოკიდებულებისათვის და ამდენად ხელოვნებისათვის ორივე ეს კომპონენტი აუცილებელია, აქედან გამომდინარე ცხადია, თამაშის სუბიექტურ-იდეალისტური თეორია, რომლის მიხედვით ხელოვნება „აღამიანური წარმოსახვის ძალთა თავისუფალი თამაშია“, ანდა შინაგანი მიბაძვის საფუძველზე შექმნილი ესთეტიკურა ჩვენებაა ე. ი. ხელოვნება ჩვენი ცნობიერების წმინდა სუბიექტური შინაარსია — უდავოდ შედარია.

თამაშის ესთეტიკური თეორია ესთეტიკურში (კერძოდ ხელოვნებაში) სარგებლიანობის



მომენტს მთლიანად გამოირცხვას. ხელოვნება, მისი აზრით, დაუინტერესებელი, უანგარო ქმედებაა.

ესთეტიკურის სარგებლიანობის საკითხი (ე. ი. შეუძლია თუ არა ესთეტიკურის აღამიანისათვის რაიმე სარგებლიანობის მოტანა) ესთეტიკის ისტორიაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენდა. აქვს თუ არა ესთეტიკურის რაიმე კავშირი აღამიანის უტილიტარულ მოღვაწეობასთან, მის პრაქტიკულ ინტერესებთან, საზოგადოებრივ პრაქტიკასთან? ამ საკითხს ესთეტიკურის ბუნების გარკვევისას მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა.

ესთეტიკურისა და უტილიტარულის ურთიერთობის საკითხის გარშემო ესთეტიკის ისტორიაში სხვადასხვა თვალსაზრისი არსებობს, რომელთაგან შეიძლება ორი ძირითადი, ურთიერთსაპირისპირო თვალსაზრისი იქნას გამოყოფილი. პირველი თავის საწყისს სოკრატეს, ხოლო მეორე — კანტის ფილოსოფიაში იღებს.

სოკრატემ სცადა ეჩვენებინა ის მჭიდრო კავშირი, რასაც ადგილი აქვს მშვენიერსა და სასარგებლოს შორის. მისთვის მშვენიერია ის, რაც ამავე დროს სასარგებლოა. თუ ლამაზად გაფორმებული ფარი მეომარს მტრისაგან არ იცავს, მაშინ ასეთ ფარს მშვენიერი არ შეიძლება ეწოდოს, მშვენიერია ის, რაც გარკვეულ უტილიტარულ მოთხოვნილებებს პასუხობს.

ცხადია, მშვენიერის გაიგივება სასარგებლოსთან, უტილიტარულთან — უმართებულოა. მაგრამ სოკრატეს თვალსაზრისი უღაგოდ რაციონალური აზრის შემცველი იყო, რამდენადაც მასში (მართალია ჭერ კიდევ გულუბრყვილო ფორმაში) მითითებული იყო იმ კავშირზე, რასაც ადგილი აქვს მშვენიერსა, ესთეტიკურსა და საზოგადოებრივ-პრაქტიკულ ინტერესს შორის.

სოკრატეს უტილიტარული თვალსაზრისის სერიოზული ნაკლოვანებანი გაჩნდა. დასაყვება რა მშვენიერი სასარგებლომდე, მას არ შეეძლო მშვენიერის ზოგადი ბუნება, მისი სპეციფიკურობა აეხსნა. ამ თვალსაზრისის მიხედვით მრავალი ფაქტი აღუხსნელი რჩებდა. ისე რომ სოკრატეს თვალსაზრისი როგორც სუსტი, ასევე რაციონალური მომენტების შემცველია.

სოკრატეს ცონცეფციის სუსტმა მხარეებმა, ესთეტიკური აზროვნება კანტის თვალსაზრისის სახით მეორე უკიდურესობამდე მიიყვანა. კანტის აზრით, საგნის ესთეტიკური აღქმისას გამოირიცხული უნდა იქნას პირადი სარგებლობა. ესთეტიკური აღქმა ეს არის აღქმა უანგარო, დაუინტერესებელი. კანტის თეორიას, რომელიც ასევე ცალმხრივ ხასიათს ატარებდა, სოკრატეს თვალსაზრისთან შედარებით გარკვეული უპირატესობა ჰქონდა. კერძოდ, იგი უფრო ღრმად სწვდებოდა ესთეტიკურის ბუნებას. კანტის თეორია უშუალოდ სვამს საკითხს ესთეტიკურის სპეციფიკურობის შესახებ და ამ მიზნით ესთეტიკურის სფეროს მთლიანად გამოყოფს უტილიტარულისაგან. მაგრამ კანტის თვალსაზრისსაც მთელი რიგი სუსტი მხარეები გაჩნდა, კერძოდ, სასებით იგნორირებულია საზოგადოებრივი პრაქტიკის როლი ესთეტიკურში. სამაგიეროდ ესთეტიკური ტკბობის როლი იდეალისტრად გაზვიადებულია.

ესთეტიკურის ბუნების მეცნიერული გადაწყვეტისას, ერთ-ერთ სახელმძღვანელო პრინციპს უნდა წარმოადგენდეს მარქსისტული მოძღვრება საზოგადოებრივი პრაქტიკის შესახებ. მთელი საგნობრივი სამყარო აღამიანს საზოგადოებრივი პრაქტიკის საფუძველზე ექლება. საზოგადოებრივი პრაქტიკის საფუძველზე მიმდინარეობს აგრეთვე საგნის ესთეტიკური აღქმა.

ესთეტიკურის ბუნების მეცნიერული გადაწყვეტისას, ერთ-ერთ სახელმძღვანელო პრინციპს უნდა წარმოადგენდეს მარქსისტული მოძღვრება საზოგადოებრივი პრაქტიკის შესახებ. მთელი საგნობრივი სამყარო აღამიანს საზოგადოებრივი პრაქტიკის საფუძველზე ექლება. საზოგადოებრივი პრაქტიკის საფუძველზე მიმდინარეობს აგრეთვე საგნის ესთეტიკური აღქმა.

ამ თვალსაზრისიდან გამომდინარე, როგორც სოკრატეს უტილიტარული, ასევე კანტის „დაუინტერესებლობის“ თეორია ცალმხრივი ხასიათისაა და მიუღებელია ჩვენთვის. კუშმარატება ამ ცალმხრობათა გადალახვაში უნდა მდგომარეობდეს. მარქსიზმის კლასიკოსებმა უკუაბრუნეს ესთეტიკურის როგორც უტილიტარული, ასევე ანტი-უტილიტარული („შეშინდა ესთეტიკური“) გაგება. მართალია, აღამიანის სინამდვილისადმი ესთეტიკური დამოკიდებულება, სინამდვილის ესთეტიკური აღქმა, უტილიტარულ სარგებლიანობას უშუალოდ არ უკავშირდება, მაგრამ აღამიანის სინამდვილესთან ყოველგვარი (და მათ შორის ესთეტიკური) დამოკიდებულება საბოლოო მიზნად სინამდვილის გარდაქმნას ისახავს. კუშმარატის ხელოვნების ნაწარმოებთა ძალა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ განაწყობს აღამიანები ამ ნაწარმოებებში გატარებული იდეისათვის საბრძოლველად, აღუძრან მათ ამ ნაწარმოებში გატარებულ იდეათა განხორციელების სურვილი.

პლენანოვი, ეხებოდა რა უტილიტარიზმის საკითხს ხელოვნებაში სამართლიანად შენიშნავდა, რომ საზოგადოებრივი აღამიანი საგნებსა და მოვლენებს ისტორიულად ჭერ უტილიტარული თვალსაზრისით უყურებდა და მხოლოდ ამის შემდეგ გადადიოდა იგი ზოგიერთ ამ საგნისადმი ესთეტიკურ თვალსაზრისზე. საზოგადოებრივი აღამიანისათვის უტილიტარული თვალსაზრისი ესთეტიკურს არ ემთხვევა. სარგებლიანობა განსებით შეიმეცნება; სილამაზე — ჰერეტელობით უნაირთ. პირველის სფერო-ანგარიშია; მეორისა — ინსტინქტი. ამასთან ერთად ჰერეტელობით უნარის სფერო განსჯის სფეროზე გაცილებით ფართოა. საზოგადოებრივი აღამიანი, — განაგრძობს პლენანოვი, — ტკებმა რა იმით, რაც მას მშვენივრად ეჩვენება, ადარდოს ანგარიშს არ

**ელისაბაე როსტომოშვილი**  
 თანამედროვე ბურჟუაზიული ისტორიკოსი  
 ერთი თეორიის შემსახბ



უწყებს იმ სარგებლიანობას, რომელიც ამ საგნის შესახებ წარმოდგენას უკავშირდება. უმეტეს შემთხვევაში ეს სარგებლიანობა მხოლოდ მეცნიერული ანალიზის საფუძველზე შეიძლება იქნას აღმოჩენილი. ესთეტიკური ტკბობის ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი — მისი უშუალოებაა. მაგრამ სარგებლიანობა მაინც არსებობს; იგი მაინც საზოგადოებრივი ადამიანის (და არა ცალკეული პირის) ესთეტიკური ტკბობის საფუძველში ძევს. ამის გარეშე საგანი მშვენივრად არც მოგვეჩვენებოდა.<sup>8</sup> ამავე პოზიციაზე იდგა ჩერნიშევსკიც.

მართლაც, ჩვენ ხშირად ვტკბებით მშვენივრით არა იმიტომ, რომ გარკვეული უტილიტარული მიზნები დავიკმაყოფილოთ (მაგ. წყურვილის, შიმშილის და ა. შ.). აქ უფრო მაღალ და ინტერესებულბასთან გვაქვს საქმე, რომელიც ვლინდება მას შემდეგ, როდესაც ადამიანს მისი ძირითადი მოთხოვნებიდან დაკმაყოფილებული აქვს. მშვენიერის ესთეტიკური აღქმისას ადამიანი უფრო რთულ საზოგადოებრივ ინტერესებს ემყარება, ვიდრე უშუალო უტილიტარული ინტერესებია. ესთეტიკური აღქმისას ბევრ შემთხვევაში პირადი სარგებლიანობა გამორიცხულია. მაგრამ ერთია პირადი, ხოლო სხვაა — საზოგადოებრივი სარგებლიანობა. ესთეტიკური ტკბობა საზოგადოებრივ სარგებლიანობას კი არ გამოიცხავს, არამედ ველისხმობს მას. ეს ელემენტრი ყოველთვის იმყოფება ესთეტიკურ გრძობაში, რომელიც ხშირად რთული, გაშუალებული სახით არის მოცემული.

გვება რა ესთეტიკურისა და უტილიტარულის ურთიერთობის საკითხს, ი. ბორევი თავის გამოკვლევაში კომიკურის შესახებ (ჩვენი აზრით) საძირითადნად შენიშნავს, რომ ესთეტიკური შეფასება არის საგნის ფართო მრავალმხრივი, და ამავე დროს ყველა სხვა შეფასებასთან (მორალური, პოლიტიკური და სხვ.) შედარებით უაღრესად ზოგადია. როცა ჩვენ ვამბობთ, — აღნიშნავს ბორევი, — რომ ეს აღმაშანი მოწინავეა, რეველუციონერია და ა. შ. ჩვენ ამით ვიძლევივით ამ კაცის პოლიტიკურ დახასიათებას. როცა ვამბობთ, რომ ეს კაცი კარგი ამხანაგია კოლექტივში, ჩვენ ვიძლევივით მის მორალურ შეფასებას. როცა ვამბობთ, რომ ეს კაცი კარგი მუშაკია, ჩვენ მხედველობაში გვაქვს მისი საქმიანი დახასიათება. როცა ჩვენ ვამბობთ რომ ეს კაცი მშვენიერია, ჩვენ ვაძლევივთ მას ყველაზე ზოგად შეფასებას.<sup>9</sup>

ცხადია, ასე გაგებული ესთეტიკური საზოგადოებრივ ხასიათს უნდა ატარებდეს.

ამრიგად, ესთეტიკური (მშვენიერი) ცალკე პი-

რისათვის უტილიტარულის (ე. ი. ვერტიკალური უტილიტარულის) შემცველი კი არ არის, უტილიტარულის შემცველია ფართო, საზოგადოებრივი მნიშვნელობით, რომელიც ისტორიული განვითარების ზოგად ხაზს ემთხვევა.

ის ვარემოება, რომ ესთეტიკური უტილიტარულს კი არ გამოიცხავს, არამედ მოიცავს მას; რომ იგი ესთეტიკური ტკბობის საფუძველში ძევს და ასე თუ ისე განსაზღვრავს მას, კიდევ ერთხელ მიუთითებს თამაშის თეორიის მკვლევარებზე, რომელშიც სარგებლიანობის მომენტი აბსოლუტურად გამორიცხულია.

თამაშის ესთეტიკური თეორია, რომელშიც აბსოლუტურიზებულია სუბიექტური ფაქტორის როლი მხატვრულ შემოქმედებაში, ხელოვნების შემეცნებითი ღირებულების, შემეცნების ობიექტის როლის უარყოფაა. კერძოდ, კანტის „აბსოლუტური დეინტერესებლობის“ და ანტი-უტილიტარზმის პრინციპი მხოლოდ შემეცნების თეორიის ვადაქტორი უარყოფის საფუძველზე იყო შესაძლებელი.

ესთეტიკური (როგორც ზემოთ ვნახეთ) შეიძლება არსებობდეს მხოლოდ როგორც დამოკიდებულება სუბიექტსა და ობიექტს შორის. ეს დამოკიდებულება შემეცნებითი, ასახვითი ბუნებისაა. ხელოვნება საზოგადოებრივი ცნობიერების ერთ-ერთი ფორმაა. საზოგადოებრივი ცნობიერება და მისი ფორმები საზოგადოებრივი ყოფიერების ასეთი თუ ისეთი ასახვაა. ამდენად, ხელოვნებაც სინამდვილის გარკვეული ასახვაა. და თუ ეს ასეა, მაშინ აქაც, ისე როგორც საერთოდ შემეცნების პროცესში, ესთეტიკური შემეცნების ობიექტსა და შემეცნებელ სუბიექტთან უნდა გვექონდეს საქმე.

ესთეტიკურის ასახვითი ბუნება, ცხადია, არ გვაძლევს იმის საფუძველს, რომ ერთმანეთთან გავაიგივოთ მეცნიერული (ანუ ლოგიკური) და ესთეტიკური შემეცნება, რომლის ცდასაც ბელინსკის შეხედულებებში ვხვდებით. ბელინსკიმ დასაბამი მისცა ე. წ. გნოსეოლოგიურ კონცეფციას ესთეტიკაში, რომლის თანახმადაც, მეცნიერებასა და ხელოვნებას შორის შემეცნებითი ღირებულების თვალსაზრისით არავითარი განსხვავება არ არსებობს, რამდენადაც ორივე ჰუმანიტარული მნიშვნელობისაა. ბელინსკის აზრით, ხელოვნებასა და მეცნიერებას ერთი და იგივე შინაარსი აქვთ და ისინი მხოლოდ ფორმით, ამ შინაარსის გამოთქმის წესით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. კერძოდ, მეცნიერებასა და ხელოვნებას შორის ამ მხრივ განსხვავებაა, რომ პირველი ჰუმანიტარულ გვიმტყვიებებს, ხოლო მეორე — გვიჩვენებს მას.

ცხადია, თუ ჩვენ ასახვას მხოლოდ ინტელექტუალურ (აზრობრივ) პროცესებამდე დავიყვანთ, მაშინ იძულებული ვიქნებით ასახვის მხოლოდ ერთად-ერთი სახე - მეცნიერული ასახვა ვალიარით და მეცნიერული ასა-

<sup>8</sup> Г. В. Плеханов. Избр. филос. пр., т. V, 33. 433—434.

<sup>9</sup> Ю. Гоорев. О комическом, М., 1957, 33. 19—20.



ხვის გვერდით თავიდანვე უარყოფით მხატვრული ასახვის (როგორც ასახვის სპეციფიკური ფორმის) არსებობა. საქმე იმაშია, რომ სინამდვილის ასახვის პროცესში გარდა ინტელექტუალურისა ემოციური და ნებელობითი პროცესებიც მონაწილეობენ. მაგრამ თუ მხატვრული შემეცნების სპეციფიკას ემოციური და ნებელობითი მომენტები განსაზღვრავენ, მეცნიერული შემეცნებისათვის ამ მომენტებს არსებითი მნიშვნელობა არა აქვთ. თუ მეცნიერებისათვის მნიშვნელობა არა აქვს იმას, ესა თუ ის დებულება რა ემოციონებს აღმოიქმნება, ხელოვნებაში, პირიქით, მხატვრული ნაწარმოები აუცილებლად ემოციური ზეგავლენის შემცველი უნდა იყოს.

მაგრამ არც ის იქნებოდა მართებული, რომ ხელოვნება, როგორც მხატვრული ასახვის უმაღლესი ფორმა წმინდა ემოციონალისტურად (ინტელექტუალურის საპირისპიროდ) გაგვეგვა. მხატვრული ნაწარმოები ამავე დროს აზრობრივი ელემენტის შემცველიც არის. მხატვრული ნაწარმოების ემოციურობას სწორედ ეს ელემენტი მატებს ძალას. უახრო მხატვრული ნაწარმოები აღამიანზე ვერავითარ ემოციურ ზემოქმედებას ვერ მოახდენს, და ამდენად, მას არც შეიძლება მხატვრული ნაწარმოები ვუწოდოთ.

ამრიგად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხელოვნება სინამდვილის ემოციურ-ინტელექტუალური ასახვაა. მხატვრული ასახვა ამ ორი ელემენტის მომცველია, მათი ერთიანობაა.

ხელოვნებაში სინამდვილის თავისებურ (ემოციურ-ინტელექტუალურ) ასახვას განაპირობებს როგორც მხატვრული აღქმის, ასევე მხატვრული აზროვნების (ანუ „სახეებით აზროვნების“) სპეციფიკა. მეცნიერული და ესთეტიკური აღქმა იდეტურია არ არიან. მართალია, აღქმის როგორც პირველი, ისე მეორე სახე საგნის ნიშნებს წარმოგვიდგენენ, მაგრამ ესთეტიკური აღქმისას ამ ნიშნებს ემოციური ელფერი აქვთ. ესთეტიკური აღქმისას, — აღნიშნავს ნ. ჭავჭავაძე, — „შეგრძნება ემოციურ ტონთანაა შერწყმული და მხოლოდ ამ ემოციასთან ერთად აქვს მას მნიშვნელობა ესთეტიკური აღქმისათვის. თუ, შემეცნებითი აღქმისათვის, მავალითად, თითო ფერსა და შავ ფერს სრულიად ერთნაირი მნიშვნელობა აქვთ, ესთეტიკური აღქმისათვის ეს ასე არაა. მხატვრისათვის ფერი უფრო მეტია, ვიდრე უბრალო საგნის ერთ-ერთი აღქმადი თვისება. ცნობილია, რომ, მავალითად, თითო ფერი უმანკობის სიმბოლოდ ითვლება, შავი კი ბოროტებასა და ტანჯვას „ნიშნავს“... მხატვრის აღქმაში ფერის შეგრძნებები ამ ემოციურ ხასიათშია გათქვეფილი“<sup>10</sup> დაახლოებით იგივე ითქმის ბევრთა ემოციური ხასიათის შესახებ, ხაზების, ფიგურების, სიტყვებისა და მხატვრულ

ნაწარმოებთა სხვა გარმობად მასალის შემოხვევაშიც.

როგორც აღვნიშნეთ, ხელოვნების თავისებურება (მის მიერ სინამდვილის ასახვის თავისებურება) მხატვრული აზროვნების სპეციფიკითა და გამირობებულთა. ავიღოთ ლოგიკური აზროვნების ფორმა — ცნება და მხატვრული აზროვნების ფორმა — „სახე“. როგორც მეცნიერული ცნება, ასევე მხატვრული სახე ობიექტურობას ფორმულად არ არიან. შემეცნების ორივე ფორმა ცდილობს მოვლენათა სინერგიულ შექმნას. მაგრამ, ცხადია, რომ მხატვრულ და ლოგიკურ აზროვნებას შორის მსგავსებასთან ერთად გარკვეული სხვაობაც არსებობს. კერძოდ, „მხატვრული სახე“ სინამდვილის „მშრალი“, „დაუინტერესებელი“ ჩვენებით არ გამოიხატება. ხელოვანის მიერ შექმნილი სახე წმინდა სუბიექტურ ხასიათს კი არ ატარებს (როგორც ამას თამაშის თეორიაში აქვს ადგილი), არამედ ობიექტური სინამდვილის სუბიექტურ სურათს იძლევა. მხატვრული სახის ამოცანა სინამდვილის ჩვენებით არ ამოიწურება. სინამდვილის სურათთან ერთად, ხელოვანი მხატვრული ხერხების საშუალებით აფასებს და მსჯავრსა სდებს სინამდვილის მოვლენებს; სინამდვილისადმი თავის დამოკიდებულებას გამოხატავს. ამიტომაც არის იგი სუბიექტური სახე, ასე რომ აზროვნება მხატვრული შემოქმედების აუცილებელი მომენტია. მხატვრული შემოქმედება აუცილებლად გულისხმობს როგორც სინამდვილის (ცხოვრების) ცოდნას (ობიექტურ მხარე), ასევე მის თავისებურ ასახვას, მხატვრული ხერხებით შეფასება — მსჯავრდადებას (სუბიექტური მხარე). ამიტომაც მხატვრული აზროვნება, მხატვრული აღქმის მსგავსად ემოციური ელფერის მატარებელია. მხატვრული ასახვა მიზნად არ ისახავს ობიექტური სინამდვილის აღქმადური სურათის მოცემას (ეს მეცნიერების ფუნქციაა). მისი მიზანია მხატვრული სინამდვილის შექმნა, ამიტომ აქ სუბიექტურ ფაქტორს დიდი როლი ენიჭება, თუმცა ხელოვნების მთლიანად ამ ფაქტორზე დაყვანა — იდეალისტური შეცდომაა.

ჩვენ აქ მიზნად არ ვისახავთ მხატვრული ასახვის თავისებურებათა დეტალურ გარჩევას. ჩვენი მიზანი იყო გვეჩვენებინა მხოლოდ ის, რომ ესთეტიკური ასახვითი ბუნებისაა; რომ ხელოვნების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფუნქციას მისი შემეცნებითი ფუნქცია წარმოადგენს.

მარქსიზმის კლასიკოსები განსაკუთრებულად ხაზს უსვამდნენ ხელოვნების შემეცნებითი ფუნქციას. ასე, მავალითად, ახასიათებდა რა XIX საუკუნის ინგლისელ რომანტიკოსთა — ლიქენ-

<sup>10</sup> ნ. ჭავჭავაძე, ესთეტიკის საკითხები თბ., 1958. გვ. 34-35.

**ელისაბად როსტომაშვილი**  
 თანამედროვე ბურჟუაზიული ესთეტიკის ერთი თეორიის შემსახმ

სის, თეკერის, ბრონტეს შემოქმედებას, მარქსი წერდა: ინგლისელ რომანტიკტა მხატვრულმა ნაწარმოებებმა მსოფლიოს უფრო თვალსაჩინოდ გაუხსნეს პოლიტიკური და სოციალური ქმშარიტებანი, ვიდრე ეს გააკეთეს პოლიტიკონებმა, პუბლიცისტებმა და მორალისტებმა, ერთად აღებულმა. ასევე, ე. ენგელსი, ახასიათებდა რა ბალზაკის შემოქმედებას, წერდა რომ მან თავის „დამიანურ კომედიაში“ ფრანგული საზოგადოების ყველაზე ღირსშესანიშნავი რეალისტური ისტორია მოგვცა. ამ ნაწარმოებიდან, — აღნიშნავს ენგელსი, — ეკონომიური დეტალების აზრით მე უფრო მეტი გავიგე (მაგ. ქონების გადანაწილება რევოლუციის შემდეგ), ვიდრე ამ ღროის ისტორიკოსების, ეკონომისტების, სტატისტიკოსების ყველა წიგნებიდან ერთად.<sup>11</sup>

მარქსიზმის კლასიკოსები, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ რა ხელოვნების შემეცნებით როლს, ესთეტიკური კვლევის ცენტრში აყენებდნენ რეალიზმის, როგორც მხატვრული მეთოდის პრობლემას, რომელიც სინამდვილის ღრმა და ფართო ასახვას იძლევა.

მაგრამ, რეალური სინამდვილის ასახვა, მარქსიზმის თვალსაზრისით, თვითმიზანი როდია. სამყაროს ათვისება ორ მხარეს მოიცავს: ერთის მხრივ, სამყაროს შემეცნებას, ხოლო მეორეს მხრივ — მის გარდაქმნას ადამიანის მიზნებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად. ხელოვნება — გასწავლიდა ლენინი, — მოწოდებულია, როგორც სინამდვილის შემეცნებას, ასევე მის რევოლუციურ გარდაქმნას ემსახუროს. ასეთი მნიშვნელოვანი ამოცანა მხოლოდ იმ ხელოვნებას შეუძლია შესარტლოს, რომელიც სამყაროს მართებულ სურათს იძლევა ე. ი. — რეალისტურ ხელოვნებას.

ხელოვნების შემეცნებითი ფუნქცია, მისი ქმედითი, რევოლუციური ხასიათი ნათლად მოწმობს თამაშის სუბიექტურ-იდეალისტური თეორიის მცდარობას, რომელშიც აბსოლუტურად გამორიცხულია ხელოვნების შემეცნებითი როლი და მისი საზოგადოებრივ-უტილიტარული მნიშვნელობა.

თამაშის თეორია ხელოვნების იდეურობის, პარტიულობის საზოგადოებრივ-იდეოლოგიური როლისა და მნიშვნელობის სრულ უარყოფას ნიშნავს.

პარტიულობის პრინციპის უარყოფა ყველა ბურჟუაზიული ესთეტიკური თეორიისათვის (და მათ შორის თამაშის თეორიისათვისაც) არის დამახასიათებელი. ბურჟუაზიული ფილოსოფიისა და ესთეტიკის წარმომადგენლები, ჩვეულებრივ, ქებას ასხამენ უპარტიობას და იგი ობიექტურობისა და მეცნიერულობის, ხოლო ხელო-

ვნებაში — მხატვრულობის ერთ-ერთ აუცილებელ პირობად მიაჩნიათ. ბურჟუაზიული ლოგთა მიერ პარტიულობის პრინციპული დენეციურობასთან და, ამდენად, ფაქტების დამახინჯებასთან არის გაიგივებული. მათთვის პარტიული — ტენდენციურია, ხოლო ტენდენციური — მეცნიერულობისა და მხატვრულობასთან შეუთავსებელია.

სხვა შინაარსი აქვს პარტიულობის პრინციპს მარქსისტულ-ლენინურ ფილოსოფიისა და ესთეტიკაში. კომუნისტური პარტიულობა იმ პრინციპული ხაზის გატარებას ნიშნავს, რომელიც განსაზღვრული საზოგადოებრივი ჯგუფის თვალსაზრისს, მის ინტერესებს გამოხატავს. ხელოვნების პარტიული ხასიათი ბუნებრივად გამოძინარობს მისი საზოგადოებრივი როლის მარქსისტული გაგვიდან.

პროლეტარული, კლასობრივ-პარტიული ხაზის გატარება სრულიადაც არ ნიშნავს სინამდვილის დამახინჯებას ან და მხატვრულობის დაქინებას. საერთოდ, მარქსისტულ ფილოსოფიაში ერთმანეთს არ უპირისპირდება ტენდენციურობა და ობიექტურობა, რადგან სამყაროს განვითარების ობიექტური კანონზომიერება იმ კლასის (პროლეტარიატის) ინტერესებს შეესაბამება, რომლის მსოფლმხედველობასაც მარქსისტული ფილოსოფია წარმოადგენს. ამდენად, პარტიული ხაზის გატარება სავსებით კანონზომიერი და მართებული მოქმედებაა. აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ კლასობრივ საზოგადოებაში ხელოვნება — ტენდენციურია; რომ კლასობრივ საზოგადოებაში შეუძლებელია, „დაუინტერესებელი“, „უანგარო“ ხელოვნების არსებობა. როგორც ე. ი. ლენინი ვკასწავლიდა, არასოდეს არსებულა და არც არასოდეს იარსებებს საზოგადოებრივი ცხოვრებისაგან „აბსოლუტურად თავისუფალი“ ე. წ. წმინდა ესთეტიკურ მიზნებზე დამყარებული ხელოვნება. „არ შეიძლება საზოგადოებაში ცხოვრობდე და საზოგადოებისაგან თავისუფალიყო“ — აღნიშნავდა ე. ი. ლენინი.

კომუნისტური პარტია და მისი ბელადები ყოველთვის მოითხოვდნენ ხელოვნების მკიდრო კავშირს საზოგადოების პრაქტიკულ მოთხოვნილებებთან, ხალხის ინტერესებთან; რომ ხელოვნებას მართებულად აესახა მშრომელი მასების ცხოვრება, მათი ბრძოლა, მისწრაფებანი. თანამედროვე ეპოქაში ქმშარიტად მაღალ-მხატვრული შეიძლება მხოლოდ ის ხელოვნებაც იყოს, რომელიც მშრომელი მასების ინტერესებს, სოციალიზმისა და კომუნისმის გამარჯვების ანუ საზოგადოების წინსვლა — განვითარების საქმეს ემსახურება.

ხელოვნების იდეურობა, მისი კლასობრივ-პარტიული ხასიათი კიდევ ერთხელ მოწმობს თამაშის სუბიექტურ — იდეალისტურ თეორიის უსაფუძვლობასა და მცდარობას.

<sup>11</sup> Маркс, Энгельс. Об искусстве, М., 1957, т. I, 33. 11—12, 529.



# პსკიდან

## ბ უ შ

### ფლენარი ო' კონორის მოთხრობები

გაზეთმა „ინტერნეშენალმა“ გამოაქვეყნა ალფრედ კეიზინის რეცენზია, ფლენარი ო' კონორის წიგნზე — „მოთხრობათა სრული კრებული“.

კრებულში გამოაქვეყნებული ოცდაცხრამეტი მოთხრობიდან თორმეტი პირველად იბეჭდება.

„ფლენარი ო' კონორი კარგად იცნობდა ადამიანებს, — წერს რეცენზენტი, — ისევე კარგად, როგორც, მწერლის თქმისა არ იყოს, მანძილს სამოთხიდან ჭოგობებამდე.“

მან, უთვალსაჩინოესმა მწერალმა ქალმა, აღმოაჩინა ამერიკული ცხოვრებისათვის შეტანილი ნიშნული რამ — სამხრეთი, სამხრეთი მწერლისათვის მხოლოდ ადგილმდებარეობის აღმნიშვნელი ცნება როდი იყო, იგი ადამიანის ცოდვითა აღმწესსავი დიდებული მეთაფორაც გახლდათ.“

კეიზინი მაღალ შეფასებას აძლევს მწერალი ქალის შემოქმედებას და აღნიშნავს, რომ მისი ფრაზა აბსოლუტური სიზუსტით გამოირჩევა.

## ი რ ა შ ი

### ლიბერალური სიხლენი

უფრანალი „ალ-ადიბი“ მკითხველს აუწყებს, რომ ერაყელმა ლიბერალურათმცოდნემ, მკვლევარმა ქალმა — შაია შარაბამ გამოაქვეყნა წიგნი „ლიტერატურის როლი მხატვრის“ ეს საინტერესო ნაშრომი ბაღდადის უნივერ-

სიტეტის გამოცემლობამ დაბეჭდა.

„ალ-ადიბი“ უკვე გამოქვეყნებულ თუ დასაბეჭდად მომზადებულ სხვა წიგნებსაც ასახელებს.

უახლოეს ხანებში გამოსულ ნაწარმოებთაგან განსაკუთრებით გამოირჩევა ცნობილი ერაყელი მწერლის შაჟირ ხასბაჟის მეცნიერულ-მხატვრული გამოკვლევა — „ინ ბატუტა და მისი მოგზაურობა“. წიგნი XIV საუკუნის დიდი არაბი მოგზაურის ცხოვრებასა და მოღვაწეობას ასახავს.

## ინგლისი

### შონ ო' კეისის პორტრეტი

ინგლისში გამოიცა მოგონებათა წიგნი შონ ო' კეისის შესახებ. წიგნის ავტორია მწერლის ქვრივი, მსახიობი ელიინ ო' კეისი. იგი ორმოცი წლის განმავლობაში ქმრის ერთგული თანამგზავრი იყო და, გამუდმებული ხელმოკლეობის მიუხედავად, ძალიან ბედნიერი ცხოვრება ჰქონდათ.

„შენ ჩემი გულის ფოთქვა იყავი მუდამ და მუდამაც ასე დარჩები, — სწერდა ცოლს სიკვდილამდე ერთი თვით ადრე ოთხმოცდაოთხი წლის დრამატურგი, — ამ გულს უყვარხარ და ეყვარები უკანასკნელ ჩემს ამოსუნთქვამდე“.

„შონ ო' კეისი თანამედროვეობის ერთ-ერთი უსაჩინოესი დრამატურგია, — აღნიშნავს გაზეთ „ტრიბუნის“ მიმოხილველი, — მის მავიურ სიტყვას ბაღ-

დად არა ჰყავს; ინგლისში მან განავითარა შექსპირის ტრადიციები, და მისი პროზაც ისე თავანჯარა, როგორც ელინაბედის ეპოქის მწერალთა ნაკლამევი... თანამედროვე თეატრისათვის უდავოა მისი დიდი მნიშვნელობა“.

მიმოხილველი აღნიშნავს, რომ წიგნის ფურცლებზე ცოცხლდება მომხიბლავი საზე კეთილი, გულჩვილი კაცისა, რომელიც ადამიანებში ყველაზე მეტად სიმატონის სიყვარულს, პატონინებას, კეთილშობილებას აფასებდა.

მიუხედავად იმისა, რომ მწერალმა და მისმა მეუღლემ ცხოვრების ძნელი გზა განვლეს, საოცარია, რომ წიგნში სულ არ იგრძნობა წუბილი ანდა სიძულელი. იგი აღსავსაა გულითადობით, ჭეშორობით, სილაღით, შეკავშულია ოჯახის ახლო მეგობრების — შოუს და ოგასტის ჯონის გონებაშევილური აფორიზმებით.

წიგნში ჩართულია პიესებისა და პირადი წერილების ნაწყვეტები, რაც კიდევ უფრო მიმჭიდვებს ხდის ამ მშვენიერ წიგნს.

დასასრულს, მიმოხილველი გამოთქვამს სინანულს, რომ „შესანიშნავი დრამატურგის პიესები... ისე ხშირად არ იდგმება ბრიტანეთის სცენაზე, როგორც ისინი ამას იმსახურებენ“ და აღიარებს, რომ ინგლისლებმა მიუფრჩხეს მისი შემოქმედების სიღრმე და სერიოზულობა მისივე „სამწუხარო პოლიტიკურ რწმენათა გამო“.



# ი ტ ა ლ ი ა

დონ კინოზის  
მკრანისაჲნი

რომში, სერვანტისის უკვდავი ნაწარმოების მიხედვით, დაიწეს გადაღება ფილმისა — „ლამანელი ადამიანი“. ფილმის დრამატულ პირველწაროდ მწერლის ნაწარმოებთან ერთად გამოყენებულია ტექსტი სიკეთის მძიებეული რანდისადმი მიძღვნილი მუსიკალური კომედიისა, რომელიც აგერ უკვე ხუთი წელია არ მოშორებია ბროდუვის თეატრებს.

ფილმს ამერიკელი კინორეჟისორი არტურ პილერი დგამს. იგი ცნობილია გასართობი ხასიათის ფილმებით: „უამი ომისა, უამი სიყვარულისა“, „პროვინციული ნიუ-იორკში“. განსაკუთრებული პოპულარობა ამერიკელ კინომოყვარულთა შორის რეჟისორს ამ ცოტა ხნის წინათ გადაღებულმა მელოდრამამ — „სასიყვარულო ამავამა“ მოუხვეჭა.

გადაღებაში ცნობილი კინოვარსკვლავები მონაწილეობენ: სოფი ლორენი დულსინეასა და ალდონსას ასახიერებს, პიტერ ოტული — სერვანტისს, დონ კიხოტსა და ალონსო კიხანს,

ხოლო სანჩო პანსას როლში მყოურებული ცნობილ ამერიკელ კომიკოს — ჯიმს კოკს იხილავს.

გადაღების ოპერატორია იტალიის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი — ჯუსეპე როტუნო.

## კ უ ზ ა

„პას დე ლას ამერიკას“ პრემიები

ჰავანაში ყოველწლიურად ტარდება ლათინური ამერიკის ქვეყნების ლიტერატურული კონკურსი — „პასა დე ლას ამერიკას“. წელს კონკურსზე სამხრეთ ამერიკის სხვადასხვა მწერლებმა 45მ ნაწარმოები გამოგზავნეს.

გაზეთი „გრანმა“ იუწყება, რომ პირველი პრემიები წილად ჰედიათ ბოლიველ ფერნანდო მელონე ფერადესს — რომანისთვის „შეკვდრები დღითიდღე დაუმორჩილებელი ხდებიან“; კუმბელ ნოელ ნავარისს — მოთხრობათა კრებულისათვის „თითის ანაბეჭდი“; ურუგუაელ ანტონიო ლარეტესს — პეისისათვის „ხუან პალმიერი“. ენეს უანრში პირველი პრემია მიენიჭა სერხიო რამოს კორდოვოს — ნაშრომისათვის „რილი: გარდამავალი პერიოდის ეკონომიკა“.

გარდა ამისა უიურომ მიზანშეწონილად მართებულ კონკურსზე წარმოდგენილი მთელი რიგი ნაწარმოებების გამოქვეყნება.

## ფ ი ლ ი პ ი ნ ე ზ ი

ოთხი კონტინენტის  
თეატრის მუშაობა შეპვიდრა

მანილში ჩატარდა აზიის, აფრიკის, ლათინური ამერიკისა და ავსტრალიის ქვეყნების თეატრთა პირველი კონგრეს-ფესტივალი. ამ ფორუმის მომზადებაში დიდი წვლილი მიუძღვის ფილიპინელ რეჟისორს, აღმწარდემლობითი თეატრის ასოციაციის დირექტორს სესელ გოდოტს.

ფილიპინების დედაქალაქი ინდოეთის, ისრაელის, კამბოჯის, იაპონიის, კორეის, ეგვიპტის, ნიგერიისა და ავსტრალიის ორმოცდაათამდე თეატრმცოდნესა და თეატრალურ დასს მასპინძლობდა.

კონგრესის მონაწილენი თხუთმეტი დღის განმავლობაში მსქელობდნენ თეატრალური ხელოვნების ტენდენციებზე, მიმოიხილავდნენ სადღეისო პრობლემებს, ეცნობოდნენ ახალ სპექტაკლებს.

გარკანის II ვეზე ფოტო გ. ხანაიასი.

ტექნიკური ხელმძღვანელი ჟ. ტაკარაძე.

კრიტიკისა და პუბლიცისტის განყოფილება მასალებს მიიღებს არა უშემტებს ერთი საავტორო თაბახისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლესანოვის პრ. № 91.

ტელეფონები: რედაქტორის — 95-08-75. პ/მგ. მდივნის — 95-08-85. განყოფილებების: პოეზიის კრიტიკისა და ბიბლიოგრაფიის — 95-08-85, პროზის, ნარკვევისა და კულტურის — 95-08-84.

გადაეცა ასაწყობად 11/VI-72 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 26/VI-72 წ., ჭაღალდის ზომა 70x108. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 14. სააღრ-საგ. თაბახი 14.5. შეკვეთა 1025. უე 01905. ტირაჟი 30300.

საქ. კპ ცკ-ის გამომქმელობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14. Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

6 87/121



ფაზი 60 353.

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-  
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛ

**«ЦИСКАРИ»**

ИЗДАТЕЛЬСТВО  
ЦК КП ГРУЗИИ  
ИНДЕКС 76236